მისს ბრწყინვალებას

პავლე იოსების ძე თუმანიშვილს

გულითადის პატივისცემით და მადლობით

ამ შრომას უძღვნის

წინასიტყვაობა.

1884 წელს გამოვიდა ჩვენი წიგნი „საქართველოს მოკლე ისტორია“. მიუხედავად წიგნის მრავალგვარ ნაკლულევანებისა, მისი დაბეჭდვა ფრიად სასიამოვნო მოვლენად ჩასთვალა მგოსანმა ვახტანგ ორბელიანმა. „კავკაზმაც“, რომელიც იბეჭდებოდა დ. ერისთავის რედაქტორობით, შენიშნა: „ჯანაშვილის შრომა, როგორც თვით ავტორიც ამბობს, მეცნიერული გამოკვლევა არ არის, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდა პრაქტიკულის მხრით: საქართველოს ვრცელი მატიანე, დაბეჭდილი ორ დიდ-დიდ ტომად, ძვირი და ხელმიუწდომელი უმრავლესობისთვის, ავტორს მოკლედ გამოუთქვამს თავისს სახელმძღვანელო წიგნში, და ეს არის მისი უმთავრესი დამსახურება“. სათანადო მთავრობისგანაც ნება გამოვიდა, რომ ხსენებული ჩვენი წიგნი სახელმძღვანელოდ იხმარებოდესო იმ სკოლებში, რომლებშიაც ისწავლება ქართული ენა (მზრუნველის ცირკულიარი 1886 წლ., № 1).

1895 წელს მეორე გამოცემად დაიბეჭდა ჩვენივე „საქართველოს ისტორია“, ერთიორად ვრცელი წინანდელზე. ამ წიგნის დირსებასა და ნაკლულევანებაზე ბევრი წერილი დაიბეჭდა. გაზეთი „კვალი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს წარსულის კარგად მცოდნე გიორგი წერეთელი, ჩვენს წიგნს მიეგება შემდეგის სიტყვებით: „ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა, ახლათ შემუშავებული და შევსებული საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. ეს ჯირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა სჯირობდეს უოველი ქართველი და მუდამ სელში ეჭიროს დოცვანიგით. იგი იწეება ისტორიული დასაბამიდგან ქართველი ერისა და მოუვანილია დღეუანდელ დღემდე. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ასეთს სახელმძღვანე-

ლოს, მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენათ ამ დროის ქართულ ლიტერატურაში და მწიგნობრობაში. წიგნი შეღარებით ძალიან იაფია. სწორედ მადლობის ღირსია... ასეთი წიგნის გამოცემისთვის“ („კვალი“, 1895, № 12, გვ. 4). „ივერიის“ რედაქციამაც თავისს მხრივ შენიშნა (1895, № 49): „მივიღეთ თხზულება ჯანაშვილისა „საქართველოს ისტორია“. ეს მეორე გამოცემა უფრო შევსებულია და ახალის წყაროებით შემუშავებული. შეიცავს 503 გვერდს და ღირს მხოლოდ თოთხმეტი შაური. უველამ ვიცით, რა ნაკლებად არის გავრცელებული, ჩვენ ნასწავლთა შორისაც კი, საქართველოს ისტორიის ცოდნა... უველანი იმით ვიმართლებდით თავს, რომ სახელმძღვანელო არა გვაქვსო. დღეის შემდეგ კი, მგონი, ასეთი თავის-გამართლება აღარ გვეკუთვნის, რადგან ჯანაშვილის იაფი და საკმარისად ვრცელი „საქართველოს ისტორია“ სრულს შეძლებას აძლევს, ვისაც კი მცირეოდენი სურვილი აქვს ჩვენის წარსულის გაცნობისა, სულ ადვილად შეისწოს ეს ნაკლი“. ამავე გაზეთის ერთი თანამშრომელი თავისს ვრცელს წერილში „ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის“ გამოცემის გამო“ („ივ.“, 1895, № 74), სხვათა შორის, ამბობდა: „...მეორედ გამოცემული „საქართველოს ისტორია“ სწორედ შვენიერი საჩუქარია ჩვენის მოზარდ თაობისთვის... ჯანაშვილი თავისს მოკლე ისტორიაში შეძლებისა და გვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებათა: გვაცნობებს არათუ მარტო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულს ცხოვრებასაც, იმდენად, რამდენადაც საქართველოს საისტორიო არსებული წყაროები ნებას აძლევენ მას. შეგნებული მკითხველი ამაში თვით დარწმუნდება, როცა მისს ისტორიას წაიკითხავს“.

დღეს საზოგადოებას წარვუდგენთ „საქართველოს ისტორიას“ მესამე გამოცემად.

ეს მესამე გამოცემა იბეჭდება ოთხ ტომად. პირველი ტომი შეიცავს საქართველოს ისტორიას უუძველეს დროითგან ქართლისა და ათხაზეთის გაერთიანებამდე 985 წელს, მეორე ტომში მოჰყვება საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანა (ბაგრატ III—თა-

მარ მეფე), მესამეში—განდგომილების ხანა (დავით გიორგი—გიორგი XII) და მეოთხეში—ახალი დრო (1800 წლითგან დღევანდლამდე).

ჯერ დაიბეჭდა პირველი ტომი, რომლის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

ქართველთა წარსული, მეტადრე სამამასახლისო ხანა, მრავალ-მერთობის დრო, ეპიზოდიურად და მონოგრაფიულად გამოკვლეული და შემუშავებული არ არის. ამიტომ ყოველ მხრივ სრული, ყველას დამაკმაყოფილებელ ისტორიულ სახელმძღვანელოს შედგენა მეტად ძნელია. ამ სიძნელეს პორკეტებს ჩვენი უმთავრესი მატიანეც —„ქართლის ცხოვრება“, რომელიც საქართველოს ძველი დროის ამბავს მოგვითხრობს არა პრაგმატიულად, არამედ აგრეგ-წოდებულ მატიანურ წესით, ე. ი. ისტორიულ მოვლინებებს გვისხნის არა მათ შინაგან ძალთა მიხედვისამებრ ანუ მათ შედეგისა დაგვარად, არამედ აგვინუსხავს ქრონოლოგიურს რიგზე, ისიც, ხშირად, შეცდომებით, აბრეულ-დაბნეულად. ჩვენ ვცდილობდით მატიანური სინამდვილეც დაგვეცვა და პრაგმატიული ისტორიის მოთხოვნილებაც დაგვეკმაყოფილებინა, შეძლებისამებრ, რასაკვირველია.

ქართველებს დამოკიდებულება ჰქონდათ ოსეთ მძლავრ ხალხებთან, როგორც ეგვიპტელნი, ასურნი, ბერძენ-რომაელნი, მიდიელნი, სპარსნი, არაბნი, ავარნი, თურქნი, და აგრეთვე ისეთებთანაც, ვით სომეხნი, ლეკნი, ოსნი, ეს ჯირსა და ლხინში განუყრელნი ძმანი ქართველებისა. უველა ამ ხალხების შესახებ ჩვენს წიგნში შევიტანეთ მოკლე ცნობები. მათი ამბავი, მეტადრე ბერძნებისა, სპარსებისა და სპარსებისა, ნათელს ჰფენს საქართველოს და, საზოგადოდ, კავკასიის წარსულს და, ხშირად, აღადგენს და ასწორებს „ქართლისცხოვრების“ ცნობებსა და ქრონიკონებს.

ტექსტი დავბეჭდეთ სამნაირ შრიფტით: გამოსარჩევად უმჭველისა სეჯოსგან, უმთავრესისა დასამატისა და მეორეხარისხოვანისაგან, თუმცა, სამწუხაროდ, უველგან ეს წესი ვერ დავიცვეთ სხვა და სხვა მიზეზის გამო.

პირველს ტომს დავურთეთ ოთხი რუკა. 1-ლი რუკა გვიჩვე-

ნებს თარგამოსის შვილების სამეფოს საზღვრებს, მეორე—კავკასიას, მესამე—კავკასიისა და მცირეაზიის მე-IV საუკ. (ქრ. წ.) სამეფო-სამთავროებს და მეოთხე—საქართველოსა, ჰონტოსი და სომხეთის მიწა-წყალს მე-II-I საუკ. ქრ. წინად. ორი უკანასკნელი რუქა ამოვიღეთ ჰენრიხ კიპერტის „Atlas Antiquus“-იდამ ლათინური ტრანსკრიპციით სინამდვილის დასაცავად.

ამავე წიგნს დაურთეთ აგრეთვე ქრონოლოგიური ტაბულები, რომელნიც გვიჩვენებენ ქართველთა, სომეხთა და სპარსთა მეფეების გენეალოგიას და არაბთა ხალიფების შთამომავლობას. ეს ტაბულები გვიჩვენებენ არათუ მარტო მეფეთა ცხოვრების ქორონიკონებს, არამედ მათ თანამედროვეთაც (წამებულებისა, წმიდანებისა და სხ.), რომელთა მოღვაწეობის ქორონიკონებს ჩვენი მატიანეები, ხშირად, არ აღნიშნავენ.

უმთავრეს წყაროდ გვქონდა „ქართლისცხოვრება“ და მისი ვარიანტები, რომელთაგან ერთი, მეტად საყურადღებო და საკირო, შეგვიძინეთ მხოლოდ ამ ჩვენის წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, აგრეთვე შატბერდის მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ორბელიანთ ისტორია“ სტეფანესი, „ბაგრატიონთ ისტორია“ სუმბატ დავითისძისა, „თავად-აზნაურთა საები“ ერეკლესი, „მამათა ცხოვრებანი“ და თხზულებანი გ. ვებერისა, გიბბონისა, შლოსსერისა, ლენორმანისა და სხ. (იხ. ბოლოში სია).

ჩვენის სახელმძღვანელოს პირველი და მეორე გამოცემები ექვსიოდე თვეში სულერთიან გავრცელდნენ. თუ მესამე გამოცემის 1-ლ ტომსაც ასეთივე ბედი ხვდა, შეძლება მოგვეცემა მეორე ტომის ბეჭდვასაც დაუყოვნებლივ შევუდგეთ.

მ. ჯანაშვილი.

სასწავლები

წინასიტყვაობა გვ. V—VIII
შინაარსი. IX—XV

I. უძველესი ხანა.

განყოფ. I. თავდაპირვანდელი ცნობები.

თავი I. ქართველთა წინაპრები და სამშობლო: ქართველთა სამშობლო—გვ. 1· ქართველთა წინაპრები—4. მატიანის გადმოცემა ამ წინაპრების შესახებ—5. ბაგრატიონთ გადმოცემა ქართველების შესახებ—9. ბერძნების გადმოცემა კოლხთა წინაპრების შესახებ—10. ჯუანშერის გადმოცემა აგოგ-მაგოგთა შესახებ—14. დიბადების გადმოცემა აგოგ-მაგოგთა, მოსოხთა და თობელთ შესახებ—14. ლურსმურ წარწერების გადმოცემა ალაროდიელ თემთა შესახებ—17. მამასახლისობა და სამამასახლისონი—21.

თავი II. თარგამოსიანთა განწყობილება მეზობელ ხალხებთან: ბრძოლა ნებროთთან—25. ხეთელთა ბრძოლა ეგვიპტელებთან—26. ქართველთა და ეგვიპტელთ რწმენანი—30. ურარტუს ბრძოლა ასურელებთან—32.

თავი III. საქართველოს განწყობილება ახლად დაარსებულ სახელმწიფოებთან: ბრძოლა ხაზარებთან და ოსებთან—39. სპარსეთი და მიდია—41. კვიროსი და ქართველები—47. კადუსნი და სპარსთა მოხარკენი—48.

თავი IV. სამეფოს დაარსება მცხეთას: მეფე ამზო—50. მეფე ფარნავაზი—53. არან-ქართლის მხრის ტალღა (ჰუნნი, ბუნთურქნი, ალ. მაკედონელის ლაშქრობა, ორბელიანთ გადმოსახლება, ფარნავაზი და „ანტიოქოზი“)—57. ვან-არარატის მხრის ტალღა

და ქართული ენა—62. ფარნავაზის მოღვაწეობა: წოდებანი და ხელისუფალნი -- 68. ქართული ანბანი—70.

თავი V. მცხეთისა და ქუთაისის სამეფო: გეოგრაფიული აღწერა—72. აღებ-მიცემა—75. სიმდელი—77. სავაჭრო გზები —77. ქალაქები—78 სჯული და რწმენანი: კეთილისა და ბოროტის დასაწყისი—79. გეშაჰი—80. ცა—80. მზე და მთვარე—80. შვიდი მნათობი და შვიდი დღე—82. მზე—84 (ფარნავაზის სახელი—85). მთვარე (ეგვიპ., ქალდ. და ქართ.)—86. სხვა ღმერთები—86. ღმერთ-კაცნი—92.

განყოფ. II. სამეფოს დაარსებიდგან ქრისტიანობის მიღებამდე.

თავი I. მეფეები რომაელთა შემოსევამდე: საურმაგი (237—162)—97. მირვანი (162—112)—99. ფარნაჯომ (112—93)—100. არსაკ (93—81)—101.

თავი II. რომაელთა შემოსევა: არტაგი და მიტრიდატ დიდი—103. ბარტომი—11. ფარნავაზ II და მიტრიდატი—112. დასავლეთი საქართველო—113. ანდრია მოციქული 115. საქართველო სტრაბონის და პლინიუსის აღწერით—116. ფარსმან დიდი—120.

თავი III. ორგამგეობა საქართველოში: ორგამგეობის დადგენის მიზეზი—124. მეფეები—125. ფარსმან-ქველი—127. ფარსიანი რომში—129. დაბა-ქალაქნი კლ. პტოლომეოს ჩვენებით—131.

თავი IV. ორგამგეობის შემდეგი დრო: ამზასპ ფარსმანისძე (182—186)—133. რევ-მართალი—134. რევ-მართალის მომდევნო მეფეები—135. ასფაგური—136. მესამე საუკ. დასასრული და მირიანი: ა) ქართლისცხოვრებით—136 და საზოგადო წყაროებით: გუთნი—138, ალანები—139, ფრანკები—139, სასანიანთ გამეფება—140, ნიზიბის ხელშეკრულობა 298 წელს—142.

განყოფ. III. ქრისტიანობის მიღებიდგან ძველი საუკ. დასასრულამდე.

თავი I. ქრისტიანობის გავრცელება: მრავალღმერთობა და

ერთღმერთობა—143. ქრისტიანობის გავრცელება მსოფლიოში—144. ქრისტიანობის მოფენა საქართველოში ქართველთ მოქცევამდე—146. სომხეთის განმანათლებელი—151. ბრანჯგეთის განმანათლებელი—151. კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში ქართველთ მოქცევის წინა წლებში—152.

თავი II. ქართველთა მოქცევა: წმ. ნინოს მშობლები და ადზრდა—155. ნინოს გამომგზავრება—156. ნინოს მოსვლა ურბნისს—157. ნინო არმაზის გორაზე—158. ნინო მცხეთაში—161. მირიანი ნინოს მაყოფაძეში—162. მოციქულების გაგზავნა საბერძნეთს და სვეტიცხოველის აშენება—163. ქართველთ მოხათლვა—164. ზემოსაყდრის (სამთავროს) აშენება—165. ბატიოსანის ჯვრის ადმართვა—165. სანუგეშო წერილი—166. მთიელთა და კახელთ მოხათვლა—166. ნინოს გარდაცვალება—167. ქართველთა ჯვრის საყდრის აშენება იერუსალიმში—168. საქართველოს საეკლესიო იერარქია—169. ქართველთ განმანათლებელის სახელი—169 ნინოს ნათესავები—170. ქართველთა მოქცევის დამწერნი—171. რამ შეუწყო ხელი ნინოს მოღვაწეობას—173.

თავი III. მირიანის მეფობის დასასრული და აღმოსავლეთის მდგომარეობა ამ დროს: მირიანის და მის მემკვიდრეთა ცხოვრების ქრონიკონები—175. ნიზიბის ხელშეკრულობის დარღვევა და ბრძოლა სპარსთა და ბერძენთ შორის—175. მერიბანის (მირიანის) მონაწილეობა ამ ომებში—177. ბაკურის დაგვირგვინება და მეფობა—178. ბაკური ტყვეობაში—171. სავრომაკი და ასპაგური (ასფაგური)—180.

თავი IV. მეფენი ვახტანგ გორგასლამდე: მირდატი (374—389)—183. ვარაზ-ბაკური (389—425)—183. სომხეთის განაწილება სპარსთა და ბერძენთ შორის—185. მურვანშაჰი (ვეტრე მაიუმის ეპისკოპოსი)—186. თრდატი და მისი მემკვიდრეები—187. სია მეფეებისა—188. არჩილ მირდატისძე (442—466)—189. მეფე მირდატი (466—478)—190. „ძუძუსმტე“ და „მამამძუძე“—191.

თავი V. ძველი საუკ. დასასრული: ნიშნები ძველი საუკ-

დასასრულისა და განახლების ხანას დადგომისა -193. ერთა გადასახლება, ატილა და სხ.—193. ჰუნნების მოძრაობა და ამ მოძრაობის შედეგი—195. ამმიან მარცელინის ნაამბობი შესახებ ალანებისა (ოსებისა)—196. ქრისტიანობის მდგომარეობა მსოფლიოში და საქართველოში (სვიმონ მესვეტე, ჯვრების მოქცევა)—197.

II. საშუალო ხანა.

განყოფ. I. საშუალო საუკ. დასაწყისიდამ არაბების შემოსევამდე.

თავი I. მეფე ვახტანგ გორგასალი: ქორონიკონები—201. დედოფალი სანდუხტ (478—486)—203. ოსების შემოსევა. ქრისტიანობის უნუგეშო მდგომარეობა—204. ლაშქრობა ოსეთს—205. გადმოცემა ოსეთიხ მეფეების შესახებ—208. ბრძოლა ბერძნებთან (502—504 წწ.)—209. ბრძოლა სპარსელებთან ტფილისში—212. ინდოეთის ლაშქრობა—214. კათალიკოზის გამწესება (512 წ.), რაჟდენის წამება და ეპისკოპოსების გამწესება—216. ანბანზეკი იწერს „ივერიის კარებს“—219. ყაენი შემოდის საქართველოში და მეფე გურგენი (გორგასალი) მიდის ჯანეთს თვისის სახლობით—220. მეორე ომი სპარსელებთან—221. ამ ომის მიზეზები—221. ქალაქი ტფილისი—222. ბრძოლა ივრის ჰირზე—223. იმპერატორისა და ყაენის შერიგება—224. ვახტანგის სიკვდილი—225. იუსტინიანემ საქართველოს ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალობა—226.

თავი II. მეფეები გორგასლიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე: სპარსთა და ბერძენთ მძლავრობა—227. სპარს-ბერძენთა ომები ლაზიკის დაჩემებისთვის—229. ლაზთა მეფეები (გუბაძე და სხ.)—234. თურქებისა და ავარების მოძრაობა—237. ბრეშუმეული—239.

თავი III. აღმოსავლეთის ქრისტიანობა და საქართველოს საყდარი: ყაენების-მიერ დევნა ქრისტიანებისა, უმეტესად-კი მართლმადიდებლებისა; მოწოფისიტნი—241. ქართველების თხოვნა იუსტინიანესადმი შესახებ კათალიკოზის დანიშვნისა ქართველთაგან—243. ქართველთა და სომეხთ საეკლესიო განხეთქილება—244. ია-

კობ (ალბარდაი)—245. 13-ნი მამანი—246. მონანტრების მნიშვნელობა—247.

თავი IV. ბაგრატიონთ გამეფება: ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ მეფის დადგენის უფლება—249. მარზაპნები—250. ტეტხლის მსახურების აღდგენა—250. წამება ბიბიბოს ნეკრესელისა და ევსტათი მცხეთელისა—251. შლილობა სპარსეთში, უანის ურმიზდის მოკვლა, ქსერე-ამბარვეზის ტახტზე ასვლა იმპერატორის მავრიკის დახმარებით—252. მარზაპნის ვეჟან ბუზმილის მოკვლა ქიზიყში და ბაგრატიონთ გამეფება—254.—ბაგრატიონთ ჩამომავლობა—255. დასკვნა: აზნაურთა უფლების დასასრული—257. შუშანიკის წამება: ქორონიკონები—259, მისი სახლობა, კარი ჩორა (ჩოდა), შუშანიკის ცხოვრების დამწერი—260; ვასკენი: მისი ხასიათი, სასახლე, ჯარი, სპეპრობილე, სიკვდილი—261. ქორონიკონები—264.

თავი V. გურამის მემკვიდრენი: შლილობა სპერძნეთში და უანის ხოსროს გაძლიერება—265. იმპერ. ირაკლისა და ხოსრო უანის ბრძოლა—266. ირაკლის ემხრობიან ადარნასე ბაკურისძე და ხაანი ზიბელი—268. ტფილისის გარემოცვა, აღება და დარბევა—269. ირაკლი ამარცხებს ხოსროს და ბრუნდება სამშობლოში—270. სიონის აშენება—271. ჯვრის სალარი—272. წოდებანი პატრიკოსი, ეპატოსი, კურაპალატი და სხ.—272. მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში—273.

განყოფ. II. არაბების შემოსევიდამ საქართველოს გაერთიანებამდე.

თავი I. მთავარი სტეფანოზ და არაბები. სტეფანოზის „შრომა“—275. მაჰმადი—275. ხალიფების მიერ ქვეყნების დაპყრობა—276. მათ შიშით ირაკლი სტოვებს შუამდინარეს, სტეფანოზი იხიზნება ანაკოფიას—277. მურვან I საქართველოში—279. მოწამენი დავით და კოსტანტინე—281. საქართველოს გაყოფა-განაწილება მირ მეფის ქალებსა, არჩილ მეფესა და სხ. მთავრებ შორის—282. არჩილის მოკვლა აკარიანთაგან და მისი ცხოვრების დამწერი—284.

თავი II. არაბების მძლავრობა: საქართველოს უნუგეშო მდგომარეობა იოანესა და ჯუანშერის დროს—287. ხაზარების მიერ კახეთისა და ტფილისის აოხრება—288. მურვან II—288. ქართველთ გაჭირება—289. ხალიფა ჯაფარი—289. გურამის ჩამომავალი მთავრები—290. ნერსე და აბო-თბილელი—292. საქართველოს საეკლესიო თავისუფლება—293. ხატთა ბრძოლა—297. ქართული ფულები—298. ქართველთ ცხოვრებიდამ—299. აბხაზთა რწმენიდამ—299.

თავი III. აშოტ კურატპალატი: შლილობა სახალიფოში—302. განდგომა კახეთის მთავრისა—303. არაბნი დღისტანში—304. ოსნი დალატობენ ათხაზებს—305. ათხაზთ განდგომა და მათი მეფე ლეონი—305. აშოტის ბრძოლა კასელებთან და არაბებთან—306. აშოტის სიკვდილი—307. არტანუჯი, ოპიზა—308.

თავი IV. მეფე ბაგრატ I კურატპალატი: მოძრაობა ათხაზეთს, ქართლს, კახეთს, სომხეთს—310. ნეოფიტე ურბნელი—311. ტფილისის აღება—313. კოსტანტინე მთავარი—313. ატენის წარწერა—314. ბედა თურქის მძვინვარება—314. ტფილისის ამირები—315. ათხაზთა მეფეების ძალმომრეობა—316. გრიგოლი ხანძთელი—316. ილარიონ-ქართველი—316. მეცხრე საუკ. წიგნი და ემბაზი—317.

თავი V. ადარნასე II კურატპალატი: ორი ურთიერთის მოწინააღმდეგე ბანაკი—319. მეფე-მთავრების გადაკიდება—320. ათხაზეთის მეფე კოსტანტინე იჭერს უფლისციხეს—320. არაბთა სარდლები სომხეთსა და საქართველოში—321. სომხეთის მდგომარეობა ამ ხანს—322. უფლისციხის კარემოცვა და გახრწნის წამება—323. ადარნასე მეფემ გვირგვინი დაადგა სომხეთის მეფეს—324. ადარნასესა და იმპერატორს შორის დადებული ხელშეკრულობა და ამისგამო მოლაპარაკება—325. საყდრები ბანა, ეოშხი, ტბეთი—327. ცნობები არაბის მწერლის ალ-ისტახრიდამ (ქალაქები ბარდავი, ტფილასი, შამქორი, ხუნანი, დაბილი და სხ.)—329. საქართველოს სიძველენი სჩეჩნოს—332.

თავი VI. საქართველოს გაერთიანების წინა-დრო. მეფე-

მთავრების კადაკიდება – 333. ჭეონდიდი—334. უფლისციხე—335. შლილობა კახეთში—336. მოქცი და კუმურდო—337. დინარ დედოფალი (ჭერეთის მოქცევა)—337. არსენის შრომა—338. ბრძოლა არტანუჯის კამო—338. დოლისყანა—341. ოთხთავები—341. შესანიშნავი გუჯარი—342.

თავი VII. საქართველოს გაერთიანება: გაერთიანების ხელშემწყობი მიზეზები და გარემოებანი—344. დავით კურაპალატი—346. ბერძენთ ძლიერება, განდგომილება სკლიაროსისა და მისი დამარცხება—347. ათხაზეთის ამბები—349. მარუშიძეს თაოსნობა, ბაგრატ III-ის გამეფება—350. ხახული, ზარზმა—352. „სამოთხე“—დავით კურაპალატის თხზმედროვენი——353. სადროშო ჯვარი. ფული. შატბერდის კრებული ბერაისა—355. ფსალმუნთა თარგმანება—356. სტეფანე მტბევარი—357. „თუალთად“—357. „დაბადება“—358. დავითნები—359. კალენდარი—360. საკალობელი მიქელ მოდრეკილისა—361. ტბეთის ეპისკ. წმ. იოანეს ნაშრომი და სურათი—363. ჭეონდიდელი სტეფანე სანანოისძე—364. მგოსნები მინჩხი, გიორგი, ფილიპე და სხ.—364. სამკურნალო—364. დავით და სტეფანე, არაბული ანბანი ქართველთათვის—365. ქანდაკება, ხელთული სამკაული—366. დასკვნა—367.

ქრონოლოგიური ცხრილები გვ. 389.

ზოგიერთი წყაროები და მასალანი 388

შემჩნეული შეცდომები

საქართველოს ისტორია.

I.

უძველესი ხანა.

განყოფილება I.

თავდაპირვანდელი ცნობები.

თავი I.

ქართველთა წინაპრები და სამშობლო.

I. მსოფლიო ისტორია თავისს დასაბამშივე შენიშნავს კასპიის ზღვასა და შავის ზღვის შორის მდებარე ქვეყანას. ეს ქვეყანა ბუნებრივ მდიდარი იყო, უხვად ირწყოდა მდინარე წყლებით, მარად განათებული იყო აღმოსავლეთის ბრწყინვალე მზით და დასახლებული იყო ნიჟიერის და ლამაზის ხალხით, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელმწიფო წეს-წყობილება, საკმაოდ განვითარებული ცხოვრება. ამ ერს ერქვა კოლხი, ხოლო თვით ქვეყანას—კოლხეთი. ბერძენთ მწერალი ჰეკატე, რომელიც ცხოვრობდა მეექვსე საუკუნეში ქრ. წინად, ამბობს, რომ მოსხნი (=მესხნი—ქართველები) კოლხის გვართომნი არიანო. მაშასადამე, თვით კოლხიც ყოფილა იგივე ქართველი *).

იმავე ბერძენ-რომაელთა მწერლებს შეუკრებიათ ცნობები

*) ქართუელი=მეგრ. ქორთუ=სვან. მი-ქართ; ქართლი=სვ. ქართ-ტფილისი=მეგრ. ქართი.

შესახებ ქართველთა ჩამომავლობისა. ამათგან ტაციტს თვით ქართველებისაგანვე შეუტყვია, რომ იგინი (იერნი და ალბანელნი) თესალიელთა ჩამომავალნი ყოფილან და მათს სამშობლოში, შემდეგ მეფე აიეთის გარდაცვალებისა, გამეფებულა მისი ასულის მედეას ქმარი იაზონი. ჰერიეგეტის სიტყვით, აღმოსავლეთის საქართველოს (ამერეთის) იერნი პირენეიდამ მოსულან და შებრძოლებიან ჰირკანელთ. ეს ჰირკანელნი (=ჯორჯანნი) ცხოვრობდენ კოლხეთის მეფის აიეთის ქალის მედეას-მიერ დაარსებულს საგართიაში (მიდიაში). ჰეროდოტეს (480—426 წ. ქრ. წ.) კოლხები ეგვიპტელებად მიაჩნია და მათს ერთობას იგი ჰხედავს ამ ორის ერის ყოფა-ცხოვრებასა და ენაშიაც-კი. თვით ეგვიპტელებს, მისივე სიტყვით, კოლხები მიაჩნიათ თავიანთ მეფის სეზოსტრისის (=რამზეს) ლაშქრის ნაშთად (ეს რამზე ცხოვრობდა მე-XIV საუკ. პირველ ნახევარს ქრ. წ.).

II. სხვა ნაირად მოგვითხრობს ჩვენი მემატიანე ქართველთა თავდაპირვანდელ ისტორიას, მათ წინაპრების ამბავს.

ქართველებისა და, საზოგადოდ, ყველა კავკასიელების წინაპრებად ჩვენი მატიანე სთვლის თარგამოსს და მისს შვილებს ქართლოსს, ეგროსს, ბარდოსს, ცეროსს, მოვაკანს, ლეკოსს, კავკაზოსს და ჰაოსს.

უველა ერის ისტორიის დასაწყის ხანას ჰფარავს გაულიღ საუკუნეთა წუვდიადი. ისტორია ერისა, ვიდრე გაჩნდებოდეს დაწერილი მატიანე, ზეპირად გადმოიცემის. თაობანი და მოდგმანი ამკობენ მას თავის წინაპრების საგმირო მოთხრობითა და ამბებით, წარმოიდგენენ მათ უძლეველ გმირებად, რომელნიც ადვილად ჰმუსრავენ დევებს. მრავალთავიან ვეშაპებს, უმრავ ალ-ქაჯებს. როდესაც ეს გადმოცემანი და მოთხრობანი ეფინებიან მთელს ერს და მის საერთო საკუთრებად ხდებიან და ამ ერში იღვიძებს საერო თვითცნობიერება, მაშინ იბადება აგრეთვე მოთხოვნილება უველა ეს გა-

დმოცემანი დაიწეროს, შესდგეს წერილობითი მატიანე საგულისხმიერთ შთამომავლობისა.

ასეთი გადმოცემა-ლეგენდები დაედვა საფუძვლად ჭომაროსისა და ჰეროდოტეს თხზულებებს, ფირდაუსის „შაჰნამეს“, ქართველთა დიდს წიგნს „ქართლის ცხოვრებას“ და სხ. ამგვარს წიგნებში შეტანილია იგავი, თხრობა სახოლიტიკო, სარწმუნოებრივი.

ქვეყნის რომელიმე მარჯვე ადგილი სახედებს, კაც-მრავალ ქალაქად თუ დაბად ხდებს, იძენს ძალას, ძლიერებას, გავლენას. მომავალ შთამომავლობას ეძლევა შემოხაზვა წარმოიდგინოს, რომ ეს დიდი და ძლიერი დაბა და ქალაქები გააშენეს მძლავრმა და გმირმა წინაპრებმაო. ასრე წარმოსდგა თქმულება შესახებ იმისა, რომ, ვითომ, რომი გააშენეს რომმა და რემმაო, რომ, ვითომ, ჰელლინეთი (საბერძნეთი) დაარსა ჰელლენმაო, სოლო ეოლია, დორია, იონია და აქეა დაარსეს ეოლმა, დორმა, იონმა და აქეამო.

ჩვენშიაც ასრე მოხდა. ჩამომავლობამ, დროთა განმავლობაში, დაივიწყა, თუ როგორ თანდათან მოშენდნენ და დასახლდენ ქართჯი, მცხეთა, უფლისციხე და სხ. ადგილები და წარმოიდგინა, ქალაქ ქართლს და საქართველოს გააშენებდა და დაარსებდა ქართლოსიო, ეგრისს (სამეგრელოს) ეგრისიო, ჭერეთს—ჭეროსიო, კახეთს—კახოსიო, კუხეთს (იერის ხირს) კუხოსიო, მცხეთას—მცხეთოსიო, უფლისციხეს—უფლოსიო.

იყოო, ამბობს მემატიანე, თარგამოს კაცი გმირი. შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილონს გოდოლი და განეყენეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქვეყანასა, წარვიდა თარგამოს ნათესავით მისით და დაემკვიდრა ორთა მთათა შორის, კაცთა შეუვალსა, არარატსა და მასისსა *). და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიც-

*) სომხურად მასისი არარატს ჰქვიან, მაგრამ ჩვენი მემატიანე მასისს სხვა მთას უწოდებს, ალბად, მასიოს, ქურთთა ქვეყნის სამხრეთით

ხვი: რამეთუ ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი, შვილნი და შვილის შვილნი ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხონდა იგი ექვსას წელ და ვერღარა იტევდა ქვეყანა არარატისა და მასისისა, ქვეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა.

შენიშვნა: სპარსთა მეფე ეუბნება ვახტანგ გორგასალს: „ნოესითგან ჯაზირას (შუამდინარის) ნახევარი მამათა შენთა ნაწილი არს“.

თარგამოსის წილხდომილ ქვეყნის მიჯნები იყო: აღმოსავლით—გურგანის ზღვა (კასპიის ზღვა), დასავლეთით—პონტოს ზღვა (შავი ზღვა), სამხრეთით—მთა ორეთისა (ქურთისტანშია, პირისპირ მიდიისა) და ჩრდილოეთით—კავკასიონი.

მაშასადამე, თარგამოს თავის შვილებითურთ დაჰერილი ჰქონია მტკვრის, არეზის, რიონის, ეგრის-წყლის, ჭოროხის და ღალისის ხეობანი და აგრეთვე ტიგრის და ევფრატის ხეობების ზემო მხარე.

ბაბილოვნიდამ გადმოსახლების შემდეგ თარგამოსმა არარატ-მასისს შორის დაჰყო 600 წელიწადი და მერე არეზის ქვემო მხარე დაუტოვა თავისს შვილს ჰაოსს და თვითონ სხვა შვილებთან ერთად წამოვიდა ჩრდილოეთისკენ და დაბინავდა ამიერ-კავკასიაში. მისს შვილებს ერგოთ: ქართლოსს—ქართლი, ჰეროსს—ჰერეთი, ეგროსს—ეგრისი, ბარდოსს—ბარდჯი, მოვაკანს—მოვაკნეთი, ლეკოსს—ლეკეთი და კავკაზოსს—კავკასია (იალბუზისა და მყინვარის ჩრდილოეთი მხარე აზოვამდე).

ქართლოსი, სწერს მემატიანე, მოვიდა-რა მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ავიდა მაღალს მთაზე, შექმნა იქ სიმაგრენი, იშენა თავის სადგომად სახლი, და ამ მთას სახელად დაერქვა ქართლი და მისგამო მთელს მის წილ-ხდომილ ქვეყანასაც—ქართლი ანუ საქართლო—საქართველო. შემდგომ ამისა

მდებარე მთის ორეთის (ურთას თუ ურთუს?) მწვერვალს (იხ. კიპერტის Atlas antiquus-ში).


ქართლოსმაევ ააშენა ორბის-ციხე (სამშვილდე) და მტკვრის-ციხე (ხუნანი—გატეხილი ხიდის ციხე).

ქართლოსმა იცხოვრა დიდხანს. მას ჰყვანდა გმირი ვაჟები—მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი. ქართლოსი რომ მოკვდა, დამარხეს იგი ქალაქ ქართლს (=არმაზს). მისი საფლავი საფიცარ ადგილად გახდა.

ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა ქვრივმა ააშენა დედა-ციხე და ბოსტან-ქალაქი (რუსთავი, ყარაიაა). მერე თავისს შვილებს მისცა: გარდაბოსს—ხუნანი, გაჩიოსს—ორბისციხე (სამშვილდე) და ქვეყანა სკვირეთის მდინარითგან აბოკის თავამდე (ამ გაჩიოსმა ააშენა გაჩიანი ანუ სანადირო ქალაქი), კუხოსს—ბოსტანქალაქი ანუ რუსთავი, კახოსს—ქვეყანა კახეთის მთებ შორის, არაგვითგან ტყე-ტბამდე და კავკასიონამდე. ამ კახოსმა ააშენა ქალაქი ჩელეთი, რომელსაც წინად ერქვა ბერი. ამათი უფროსი ძმა მცხეთოსი კი დარჩა ქართლს (არმაზს) და მას ერგო ქვეყანა ტფილისითგან და არაგვითგან სპერის ზღვამდე (შავის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხემდე). ოთხნივე ძმანი ემორჩილებოდნენ მცხეთოსს, რომელმაც ააშენა ქალაქი მცხეთა. იგი იყო „გამგე და უფალი ძმათა ზედა“.

ძმებმა იცხოვრეს დიდხანს. ქვეყანა გამრავლდა, მოშენდა. გმირს მცხეთოსს მიეცა შვილები უფლოსი, ოძრახოსი და ჯავახოსი. სიკვდილის წინად მცხეთოსმა ამათ გაუყო თავისი კერძი მამული. ოძრხოსს მისცა ტასისკარითგან ზღვამდე (სამცხე, აჭარა) და მან ააშენა ციხე-ქალაქები ოძრხე და თუხარისი, ჯავახოსს მისცა ქვეყანა ფანავრითგან მტკვრის თავამდე და მან ააშენა ციხე-ქალაქები წუნდა და არტანი (ქაჯთა-ქალაქი, ჰური), უფლოსი დარჩა მცხეთას და მას დაემორჩილა ქვეყანა არაგვითგან ტასისკარამდე და ფანავრამდე, ე. ი. ზენასოფელი ანუ შიდა-ქართლი. აქ მან ააშენა ქალაქები უფლისციხე, ურბნისი და კასპი.

დრო, თუ როდის ცხოვრობდნენ ეს გმირი წინაპრები, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მათ საშთამომავლო შტოთი, ასე:



აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ამ სახელების დაბოლოება ო ს ი კი არ უნდა იყოს, არამედ ი ს ი. ეს თავდაპირველი დაბოლოება (—ისი) გვხვდება სახელებში: ე გ რ ი ს ი, ე გ რ ი ს-წ ყ ა ლ ი, უ ფ ლ ი ს-ც ი ხ ე. ამათ მსგავსადვე თავდაპირველად იქნებოდა

ქართისი (ქართლისი)	და არა	ქართლოსი
ჱრისი	„	ჱროსი
ბარდისი (ბარდავი)		ბარდოსი
ჰაისი (ჰაიკ)		ჰაოსი
მცხეთისი		მცხეთოსი
გაჩისი (=გაჩიანი)		გაჩიოსი
ეგრისი (=ეგური)		ეგროსი
უფლისი	„ „	უფლოსი
ჯავახისი	„ „	ჯავახოსი.

სახელების პირველ რიგს, მართლაც-და, აქვთ მიჩემებითი ანუ კუთვნილებითი მნიშვნელობა, ხოლო მეორე რიგი უაზრობას წარმოადგენს.

თარგამოსი იყო თანამედროვე ნებროთ გმირისა, ხოლო ეს ნებროთი ცხოვრობდა 2716 წლამდე. ამის შემდეგ თარგამოსი გადმოსახლდა არარატ-მასისს და აქ იცხოვრა 600 წლამდე და მერე წამოვიდა ჩრდილოეთისკენ. მაშასადამე, მისი გადმოსახლება მოხდებოდა დაახლოვებით 2116 წ. თარგამოსის წი-

ნაპრობას, თითქო, მოწმობს მისი სახელის სოფელი თარგაშოუ-ლი (სამეგრელოშია).)

§ III. **ბაგრატიონთა გადმოცემა.** ქართული, სომხური და ბერძნული გადმოცემა ერთხმად ამბობს, რომ ბაგრატიონნი იერუსალიმიდან მოვიდნენო. იმპერატორი კოსტანტინე ძოწით მოსილი (952 წ. ქრ. შ.) სწერს: „იერიის კურატპალატნი ამაყობენ, რომ ჩამომავალნი არიან ურის ცოლისა, რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა. იგინი ამტკიცებენ, რომ ჩამომავალნი არიან ამ დავითის შვილებისა. ამ სახით, იგინი თავის თავს სთვლიან ნათესავად მეფის დავითისა და ღვთისმშობლისა, რომელიც აგრეთვე იყო თესლისაგან დავითისა. იგინივე ამბობენ, რომ იერთა ერი გაჩნდა იერუსალიმში, რომ იქიდგან გადმოსახლდა და დასახლდა სპარსთა ქვეყანაში, საცა ცხოვრობენ დღესაც. იერუსალიმიდგან წამოვიდნენ იერიის ცნობილი მეფე დავითი და მისი ძმა სპანდიატი. ამ სპანდიატმა, როგორც თვითონვე მოგვითხრობენ, ღვთისაგან აღთქმა მიიღო, რომ ბრძოლაში მის ტანის არც ერთს ასოს, გარდა გულისა, ხმალი არ მიეკარება. ამისგამო ბრძოლაში გასვლისას გულზე ჯავშანს იფარებდა. ამიტომაც ასრე ძლიერ ეშინოდათ მისგან სპარსებს, რომელნიც დაამარცხა და დაიპყრა, ხოლო თვისნი ნათესავნი იერნი დაასახლა მიუვალ ადგილებში, საცა დღესაც ცხოვრობენ. აქ ესენი ნელ-ნელა გამრავლდნენ და შეიქმნენ დიდ ხალხად. და რადგან, როგორც ამბობენ, ჩამომავლობით იერუსალიმელნი არიან, ამიტომ დიდი სიყვარული აქვთ ამ ქალაქისა“.

ჩვენის მატიანის სიტყვით, ბაგრატიონნი იყვნენ ურიანი და წამოვიდნენ ფილისტიმით.

ასრეთი გადმოცემა, ალბად, განმტკიცდა იმის გამო, რომ აბრაამი ურ-ქალდიდან გადასახლდა ქანაანის ქვეყანაში და დასახლდა ხევ-რონის ხეობაში, საცა მანამდე ცხოვრობდენ ხეთელნი, იმავე ქალდთ მონათესავენი, და აგრეთვე იმიტომაც, რომ დავით მეფემ, რომელიც ევფრატელი იყო (მეფეთა, 17, 12),

ცოლად შეირთო ხეთელ ურის ცოლი ვირსავია, და ეს სახელი კი ემსგავსება სახელს ვირქ=საქართველო. ყოველ შემთხვევაში, აქ საყურადღებო ის არის, რომ ბაგრატიონთ გადმოცემაც ქართველთა ჩამომავლობას მიაჩემებს სამხრეთს.


სახელი სპანდიატი (სპანდიატ-რვალი) გვხვდება ქართლის ცხოვრებაშიაც (იხ. ქვემო სპარსთა მეფეების შთამომავლობა).

IV ბერძენთა გადმოცემა. მე-XIV საუკ. ქრ. წ., როგორც გადმოგვცემს ბერძენთა ლეგენდა, კოლხეთში (საქართველოს) შემოვიდა ფრიქსოსი და მერე იაზონი. თესალიაში (საბერძნეთშია) მოსახლეობდნენ მინიელები. მათი მეფეები—ათამანტიდები—თავიანთ ღმერთს ზევსს საკუთარ შვილებს სწირავდენ ხოლმე. მეფეს ათამას, ეოლის ძეს (ეოლი—ქარი), ნეფელისაგან (ნეფელი—ღრუბელი) ჰყვანდა შვილები - ფრიქსოსი და ჰელლე. მამამ მოინდომა ფრიქსოსი შეეწირა ზევსისთვის. დედას ღრუბელს შეეცოდა შვილები და გამოუგზავნა ოქროს საწმისიანი ვერძი. და-ძმანი შეასხდენ ვერძს, ჰაერმა აიტაცა და გამოაქანა კოლხეთისკენ. ჰელლე ვერ გამაგრდა ვერძზე, ჩამოვარდა ძირს, ზღვაში, რომელსაც მას აქეთ დაერქვა ჰელლესპონტი (ჰელლეს – ხიდი). ფრიქსმა მოაწია მსოფლიოს განაპირას, ქალაქ აიას, საცა მეფობდა ქუთაის ანუ კოლხეთის მეფე აიეთისი. ამან მოყვრულად მიიღო ფრიქსოსი, დიდი სტუმრობა გაუმართა. მაშინ აიეთის კარზე იყო მისი სიძე, სკვითის მეფე. აიეთს მოეწონა ფრიქსოსი და მიათხოვა მას თავისი ასული ქალკიოპე. ფრიქსოსმა ვერძი შესწირა აქაურ ღმერთს არეას და მისი ოქროს საწმისი არეას ტაძარში ხეზე ჩამოჰკიდა. ამ ტაძარს და ოქროს საწმისს ჰხმილავდენ ვეშაპები და ცეცხლის მფრქვეველი ხარები.—ფრიქსოსს მიეცნენ ძენი არგი, ფრონტისი, მელასი და ხიტისორი. ასრე გადიოდა დრო. აიეთს ესიზმრა, რომ მას მოჰკლავდა ეოლის შვილი. ამიტომ გაიმეტა სიძე—ფრიქსოსი და მოჰკლა. მისი შვილები კოლხთა ნავში ჩასხდნენ და გასწიეს თესალიისკენ. ზღვა აუღელდათ. დაიღუპებოდნენ, თუ არ მიშველებოდათ მათივე ნათესავი ია-

ზონი.—ეს იაზონი იყო ძე ეზონისა, იოლკოს მეფისა. ეზონი რომ კვდებოდა, თავისი სამეფო და მცირე წლოვანი იაზონი ჩააბარა თავისს ძმას პელეოსს. ამან დიდის ფუფუნებით გამოზარდა იაზონი, შეასწავლა სამხედრო ზნე-ჩვეულება, წესები. ხალხმა შეიყვარა ბატონიშვილი. პელეოსმა მოისურვა მისი დაღუპვა, რადგან ტახტის დათმობა არ უნდოდა. მოიწვია და უთხრა: „ტახტი შენია, მაგრამ ვიდრე გამეფდებოდე, კარგს იზამ, რომ კოლხეთს წახვიდე და გამოიტაცო ჩვენის ნათესავის ფრიქსოს საწმისი“. პელეოსს ევონა, იაზონი ან ზღვაში დაიღუპება ან დასჭამენ მას ის გველვეშაპები, რომელნიც ჰხმილავენ ოქროს საწმისსო. მაგრამ ღმერთებმა უშველეს იაზონს. მათ ჩაგონებით იაზონს მიემხრნენ ყველა რჩეული გმირები:—ჰერკულესი, ორფეოსი, დიოსკურები და სხ. ჩასხდნენ ნავში, რომელსაც ერქვა **არგო**, და შესცურეს ზღვაში. მათი ხელმძღვანელნი იყვნენ ფრიქსოს ძენი. კოლხეთს რომ მოვიდნენ, ფრიქსოს შვილებმა ნავი გააჩერეს, თვითონ გადმოვიდნენ, წამოვიდნენ, ნახეს დედა თვისი და დეიდა მედეა და უამბეს სიკეთე იაზონისა. ამათ ინახულეს ნავი არგო. მედეას მოეწონა იაზონი და ცოლქმრობა აღუთქვეს ერთმანეთს. დებმა ასწავლეს მას ხერხი საწმისის გატაცებისა და დაბრუნდნენ. იაზონი ეწვია აიეთს. ამან დიდი ხერი (ვახშმობა) გადუხადა. იაზონმა შეატყობინა მიზეზი მოსვლისა. აიეთმა უთხრა: დაგითმობ საწმისს, თუ მისს მცველ წყვილ ხარს შეაბამ, გადახნავ არეას რვა დღიურ მინდორს, დასთესავ გველვეშაპის კბილებს და ამოსულს ყანას იმავე დღეს მომკიო. ღმერთს ათინას აიეთისთვის მიეცა კადმოსისაგან მოკლულ გველაშაპის კბილები. ამ კბილებს რომ დათესავდენ გადახნულს მინდორში, გმირთა-ყანა ამოდიოდაო. იაზონმა ყველაფერი შეასრულა მედეას და მის დის ფრიქსოს ქვრივის დახმარებით. აიეთს ეწყინა, რომ მედეამ უღალატა. მოიწვია მხედრობა, რათა ამოსწყვიტოს ბერძნები. მაგრამ მათ ხელში იგდეს ოქროს საწმისი, მედეაც გაიტაცეს და წავიდნენ. აიეთი რომ ვერ დაეწია მტა-

ცებლებს, საბერძნეთში გაგზავნა მოციქული, მოითხოვა დაკმაყოფილება ქალის მოტაცებისთვის და მისი დაბრუნება. ბერძნებმა შემოუთვალეს: რადგან კოლხებმაც არ დაგვაკმაყოფილეს მათ-მიერ არგიველის ქალის იოს მოტაცებისთვის, ვერც ჩვენ დაგაკმაყოფილებთ მედეას მოტაცებისთვისაო. ამ ამბავმა კოლხეთში არეულობა გამოიწვია. აიეთს აუჯანყდა მისი ძმა პერსეი, ტახტიდამ ჩამოაგდო და გამეფდა.—ბერძნები რომ მივიდნენ იოლკოსს, იაზონმა არ მოინდომა პელეოს გადაყენება, და ტახტი დაუთმო მისს შვილს. მედეამ ეს იწყინა. იაზონმა სხვა ქალი შეირთო ცოლად. მედეა ათინას წავიდა და შეირთო მეფე ეგეა, რომლისაგან მიეცა ვაჟი მიდი. ეს რომ წამოიზარდა, მედეა, მიდი და იაზონი დაბრუნდნენ კოლხეთს, უშველეს აიეთს, პერსეი დაამხეს და კოლხეთის ტახტი ისევ აიეთს დაუბრუნეს და თვითონ წავიდნენ აღმოსავლეთისკენ (საგართიას—მიდიას)

ფაზიანიდების საგვარეულო შტო (გენეოლოგია) ბერძენთა გადმოცემით.



ეს სახელები თავისთავადაც ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა ფართედ გადაშლილი იყო ფაზიანადების საგვარეულო შტო, რომელიც სწვდებოდა დასავლეთს (საბერძნეთს), ჩრდილოეთს (სკვითიას) და აღმოსავლეთს (მიდიას).

მიდია. ზევითაც შევნიშნეთ, რომ არიელების წინადროინდელი მიდია დააარსა აიეთის ასულმა მედეამ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ საქმეში დედას დაეხმარა აგრეთვე მისი ვაჟი მიდი და ამიტომ თვით მათ-მიერ დაარსებულს ქვეყანასაც დაერქვა მედეა ანუ მიდია. მიდიაშიო, ამბობს პერიეგეტი, ცხოვრობს კეთილშობილი ერი, ჩამომავალი სახელოვანის მედეასი, აიეთის ასულისა. ამ ქვეყნის ნაწილები იყო საგართი, კადუსი, კასპი, გელია, ამარდია და გურგანი, რომელსაც ეწოდებოდა აგრეთვე ჰირკანი, ვარკანი, ჯურჯანი, ჯორჯანი. კადუზების ღმერთები, როგორც სჩანს „დილარიანიდამ“, იყვნენ არმაზი, გაცი და გა. ყველა ამით მტკიცდება, რომ მიდიას პირვანდელი მოსახლეები ყოფილან ქართნი (საგართი ==სა-ქართი), ივერნი (ვირქ -ვირკანი), გურჯანი (გურგანნი —ჯორჯანნი), ე. ი. იგივე ქართველები (ქართნი==გურჯნი).

სკვითია. ცირცეა II, აიეთის ასული, ცოლად ჰყვანდა სკვითის ანუ სარმატიის მეფეს. ეს მეფე ცირცეამ მოწამლა და თვითონ გამეფდა. ამ მხარეზე, საზოგადოდ, დიდი გავლენა ჰქონდათ კოლხებს. ბერძენთ მწერლები აიეთს უწოდებენ მეფედ კოლხეთისა და მეოტისა (აზოვის ზღვისა და არემარესი). თვით ყირიმის ნახევარ კუნძულზე აიეთის შვილს ჰქონდა დიდი ქალაქი—პანტიკაპეა, რომელიც ბოსფორის სამეფოს სატახტო ქალაქად შეიქმნა. ეს ადგილი მან გამოართვა სკვითის მეფეს. მთელის ტავრიდის (ყირიმის) მეფედ იყო აგრეთვე პერსე, ძმა აიეთისა.

აბსირტ==აბსარ იყო აიეთის შვილი. აბსარ აბხაზების სახელია, ვინაითგან თვით აბხაზნი თავის თავს უწოდებენ **აბს**, თავიანთ ქვეყანას—**აბსნ**. ქართველთა მატიანით იგინი (აბხაზნი) არიან **აბსარნი, აფშილნი.** ეს სახელებიც უდრიან ბერ-

ძენთა მწერლების აპსაროს-ს, აბსილ-ს, აფსილ-ს. ალბად, აბსირეთი ანუ აბსარეთი ბერძენთა ლეგენდამ აბსირტ-ად გადააკეთა.

სარგ ერქვა ქალკიოპეს შვილს. მსგავსივე სახელებია ა) არგვეთი=მარგვი (მარგვისი=მარგვეთი), ბ) მარგველი=მარგალი=მეგრელი=ეგრელი.=აფხაზურ. აგრუა (=მეგრელი)=სტრაბ. აგრი, გ) ეგური=ეგრისი (=ენგური, ინგური), დ) გურია=აფხაზ. აგურაა და ე) აგ ანუ აგ—მაგოგ =გოგ-მაგოგ=ჯუჯ-მაჯუჯ.

ეს აგი (აგოგი) ერთი იმ რვა ხალხთაგანია, რომელიც „ენათა შერევნის დროს“ ჩრდილოეთისკენ წამოვიდა ბაბილოვნიდამ, სადამაც, როგორც იყო ნათქვამი, გადმოსახლდა ქართველთა წინაპარიც—თარგამოსი. ჯუანშერ ჯუანშერიანი სწერს: „ნებროთმა დაუტევა ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეთს, ჰრომნი რომს, ბერძენნი სპბერძნეთს, აგ და მაგუგ მჯგუგეთს, სპარსნი სპარსეთს და ასურნი ასურეთს“. ჯუანშერი ცხადად არ ამბობს, თუ ვინ იყვნენ ეს აგნი (=აგოგნი=გოგნი=გუგნი). ჩვენის აზრით, ესენი უნდა ყოფილიყვნენ წინაპარნი იმ ერისა, რომელიც ცხოვრობდა ჯავახეთს, ქვეყანაში, რომელსაც თავდაპირველად ეწოდებოდა გოგარენა=გუგარქი, სადაც დღესაც არის სოფელი გოგაშენი (გოგ-აშენი), ხეობა გუჯარეთი.

ეს გოგი დაბადებაშიაც მუდამ იხსენიება მეზობლად მესხისა, როშისა (ერუშეთისა?) და თობელისა. იეზეკიელი სწერს:

ა) ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს (=როშს), მოსოხს (მესეხს) და თობელს (იეზ., 38. 1).

ბ) აჰა, მე შენზედა გოგ, მთავარსა როსისსა, მოსოხს (მესეხს) და თობელს (39 1).

დაბადებაში (10, 2—3) იაფეტის შვილებად მოხსენებულია დამერი, მაგოგი, მადაიმი, იოვან, ელისა, თობელი, მოსოხი (მესეხი) და თირასი, ხოლო თარგამოსი—შვილად ღამერისა. ამ თარ-

კამოსის ადგილ-სამყოფელოს ასრე იხსენიებს იეზეკიელი (ლჩ. ვ): „სახლი თარგამოსი დასასრულისაგან „ჩრდილოასა“.

ჩრდილო განუსაზღვრელი ცნებაა, მაგრამ საქართველოც იხსენიებოდა ჩრდილოდ:

ა. სადაჲ არს ჩრდილოასა იგი ქვეყანა ანუ სადა არს სამოსელი იგი ოჯოფლისა ჩვენისაჲ (შატბ. ქრ., გვ. 11).

ბ. სამოსელსა ზედა წილ-ითხინეს და წილით ხვდა ჩრდილოთა მცხეთელთა კუართი (იქვე, 10).

გ. ჩრდილოაჲ (საქართველო) ბღუარსა (სამხრეთს) თანა იხარებდეს (იქვე, 23).

დ. მოხედა ღმერთმან ქვეყანასა ჩრდილოასასა კავკასიათა, რომელსა სახელი ერქუა სამართლად ჩრდილოაჲ (იქვე, 29).

ამ ჩრდილოეთში (კავკასიაში), ალბად, ორი ერი იყო—აგი (აგოგი—აგუგი) ამიერ-კავკასიაში და მაგოგი—ჩრდილოეთისაში. აბოს ცხოვრებაში ცხადად არის ნათქვამი, რომ მაგუგეთი (დარიალის გადაღმა, ჩრდილოეთი კავკასია) არის ადგილ სამყოფელო მაგოგის ჩამომავლების ხასიათისაო. ხოლო იეზეკიელის სიტყვით სჩანს, რომ გოგი (იგივე აგი) ყოფილა მთავარი როშისა, მოსოხისა და თობელისა.

გეოგრაფიულადაც ერთურთს მეზობლობდენ ერუში (ერუშეთი!), მესხი და თობელი (=ტაბალი=ტბელი). ჯერ ისევ 18-ის საუკ. წინად იოსებ ფლავიოსმა გამოაცხადა, რომ თობელისაგან (ტუბალისაგან) წარმოსდგნენ თობელნიო (ტუბელნი), რომელნიც ჩვენს დროს იწოდებიანო იევრებად—ქართველებად. ბიბლიურ დროს ამ მესხებსა და ტაბალებს ეკჭირათ შავი ზღვის სამხრეთი ნაპირები მდინ. ღალისის დასაყოლეთ კიდემდე და ჭოროხის ზემო ნაწილამდე. ამავე ადგილების მოსახლეებად სთვლის მათ იეზეკიელიც. ასურულ ლურსმურ წარწერებით, ორი ძლიერი ერი—ტაბალი და მუშკი (=თობელი და მესხი) მე-XII—VII ს. ქრ. წ. მოსახლეობდა მთელს კათბადოკიაში კილიკიამდე და ზემო ევფრატამდე. მე-XIII-ს. დასასრულს მესხების მეფე მიტამ შემოიერთა კილიკია, მაგრამ იგი მალე დამარცხეს ასურეთის მეფეებმა. 1175 წ. მუშკების (მესხე-

ბის) მეფემ დაიპყრა კუმუხი (კომაგენა), რომელიც მდებარებდა ევფრატის ორიკე ნაპირებზე, ტავრის მთების სამხრეთით, და წაართო ასურელებს მისიას (მსისის?) მთის დასავლეთით მდებარე მიწები. 1100 წლ. ახლო ხანს მუშკი დაამორჩილა და დახარკა ტიგლატ-ფალასარმა. სალმან-ასარის დროს (860—825) ტაბალი 24 თემად იყოფებოდა. მე-IIIს საუკ. ტიგლატ-ფალასარმა ტაბალის მეფე უასსურმა გადაყენა და მის მაგიერ დაადგინა თავისი ერთგული მეფე ხული. სარგონ IV-ის დროს ტაბალი განთავისუფლდა ასურეთის უღლისაგან, მაგრამ მალე მისი მთავარი ამბრისი ისევ დაემორჩილა მტერს, რომელმაც აიყვანა ტაბალის სატახტო ქალაქი ტიდდარიმა=თიდარმა. შემდეგ საუკუნეებში (მიდიელ-სპარსელთა ხანაში) მესხები იხსენიებიან მუსკებად, მოსხებად, ხოლო თობელნი—ტაბალად, ტიბარად, ტიბრანად.

„თობელად“ უნდა იგულისხმებოდეს არა მთელი ივერობა, როგორც ფიქრობს ი. ფლავიოსი, არამედ მისი ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ზღვის ნაპირებზე, ტბიან ადგილას. სიტყვები თობელი, ტუბალი, ტაბალი, ტიბარენი (ტიბრანი) სახეობანია ერთისა და იმავე სახელის ტბა (ტობა, ტოპი, ტვიბ) და მისგან წარმოებულ სიტყვებისა ტბელი=ტობელი=ტვიბელი=ტაბალი, ტბევარი.

დღესაც მრავალგან სოფლები, დაბები და ადგილები იწოდებიან ძველის-ძველანდებურადვე: ტაბა-სმელა (სოფ.), ტობანიერი (სოფ.), ტბეთი (სოფელი, რომლის დვდელმთავრებს ეწოდებოდათ ტბელი, ტბევარი), ტობა-წყური, ტობარავანი (=ფარავანი), ტობის-უერი და სხ.

ორს ზღვას შუა მდებარე საქართველო ზოგან ისეთი ჭაობიანი, სველი და ნოტიო იყო, რომ ადამიანი ცხოვრობდა მაღალ ბოძებზე აშენებულს სახლებში და ორღობეებში თუ ნავით არა, სხვაფრივ ვერ გაივლიდა (იხ. ქვემო); თვით შიგნითი კახეთი, როგორც ამბობს ზეპირგადმოცემა, მთლიანი ზღვა იყოო და მხოლოდ შემდეგში კაცმა გადასწრა მისი ქვემო ნაპირი, წყალი გადუშვა და მის მერე წვიმისა და თოვლის წყალი ალაზნის კალაპოტში ჩადგა.

ამისთანა ტბა-ზღვიან ადგილების თემს სახელად დაერქმეოდა ტობელი=ტბელი=ტაბალი.)

V ლურსმურ წარწერების გადმოცემა ურარტთა (ალაროდელთა) შესახებ. ზევით მოვიყვანეთ ჩვენის მატიანის თქმულება, რომ ქართველთა წინაპრები ვან-არარატის მხარეს ცხოვრობდნენ თითქმის 600 წლის განმავლობამდეო. ამ თქმულების სიმართლეს ამოწმებს ვანშივე აღმოჩენილი ეგრედ-წოდებული ლურსმური წარწერები. ეს წარწერები გამოკრილია კლდეებსა და ქვებზე. მთელი ის არე-მარე, რომელიც დღეს იწოდება არმენიად, წარწერებში იხსენიება ქვეყანად ნაირი, ბიაძნა, რომლის სატახტო ქალაქია ტუსპა. ამ ბიაძნას სახელი ბაბილონურად და ასურულად არის ურარტუ, ხოლო ებრაულად—არარატი. შემდეგში არარატის ქვეყანას ბაბილონელნი იხსენიებდენ ურასტუ-დ, ხოლო სპარსნი—არმინა-დ, მიდიელნი—ჰარმინიაპ-ად. ურარტუ იყო ჩრდილოეთისკენ, არეზის, ევფრატისა და ტიგრის ზემო ნაწილებში, ხოლო ბიაძნა—ვანის ტბის არემარეს. ურარტელებს ჰეროდოტე იხსენიებს ალაროდებად. ერთი და იგივეა არარატი=არაროდი=ალაროდი=ურარტი=ურასტი.

ასურულ და ვანურ წყაროებით, ურარტუ იყო ნაწილი სხვა, უფრო ვრცელის, ერთეულისა, რომელსაც იგინი უწოდებენ ქვეყნებად ანუ ქვეყანად ნაირი. ასურულ წარწერებით, ნაირი იყო განუსაზღვრელი ცნება, აღმნიშვნელი თემებისა, რომელნიც ცხოვრობდენ ტიგრისა და ევფრატის სათავეებში, ვანისა და ურმიის ტბების ახლოს და კასპიის ზღვისა და შავის ზღვისკენ. ნაირს შეადგენდა ასზე მეტი ქვეყანა. ამ ქვეყნების მოსახლენი შიშიანობის დროს ერთად უხვდებოდენ მტერს. მათ ბევრი ღმერთები ჰყვანდათ, ხოლო უმთავრესები კი იყვნენ უპირველეს სამების შემადგენელი ღმერთები—ქალდი, ზეირბა *) და არდინი. ნაირის ქვეყნების ენაც

*) თეიშბა.

ვანურის მონათესავე ენა იყო, ხოლო ეს ენა კი სწავლულების უმრავლესობას ქართულ ენის მონათესავედ მიაჩნია. ვანურ გრამატიკასა და ქართულში შეინიშნება მრავალი საერთო ნაწილაკები, ვანურსა და ქართულში ბევრია მსგავსი სახელები ადამიანებისა, ადგილებისა, ქვეყნებისა, ღმერთებისა. ვანის სიძველენი ჯეროვანად და საბოლოოდ გამოკვლეული არ არის. აქ მოვიყვან ცნობას მხოლოდ უმთავრეს გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ სახელების შესახებ.

ვანი ანუ ვანნა ხაირის ქვეყანაში ერთი უმთავრესი სამეფო იყო. ეს სიტყვა წმიდა ქართულია და ნიშნავს სახლს (ათხაზ. ავუნჲ —სახლი), სახურავს, თავსაფარს. ამას გარდა, ვანი ნიშნავს (სვან.) ბრტყელს. მისგან გვაქვს სა-ვანე, ვანება. საქართველოში მრავალი სოფლებია, რომელთაც ჰქვიანთ ვანი, ვანთა, ვანეთი. ვანს ერქვა აგრეთვე ბიაჲნა. შესაძლებელია, რომ ვანი უოფიღიყო არა ბიაჲნა, არამედ ბანი, რომელიც, იმავე გახიეთ, გვიჩვენებს სახურავს (სახლის ბანი, აგრეთვე სა-ბანი) და ადგილს (უბანი: გარეთ უბანი, გარდაბანი). ეს ბანი-ც ხშირად იცვლება მან-ად (გარდ-ბანი=გარდ-მანი). ამიტომაც ასე მრავალია ჩვენში სახელები: კოდ-მანი, წილ-ბანი, თხილ-ვანი, მუხრა-ვანი, დიო-ბანი, წილ-ბანი, შინდო-ბანი, გარეთ-უბანი, წინ-უბანი და სხ. ვანურშიაც გეხვდება მანა, ვანა (ვანნა) და იქაც და აქაც (ქართულში) დაბოლოება ა ადგილის მაჩვენებელი ნაწილაკია. შეადარე: ჰერანგ-ა (მთაა), უნაგირ-ა (მთაა), ტაბახმელ-ა (სოფელია), ბან-ა (ტაოში).

არსისა (მუშაშირი) იყო ხაირის მეორე უმთავრესი სამფლობელო. ეს ქვეყანა (მიწა არსისა!), ალბად, მდებარებდა არსიანის მთაში.

მილდისი (მილიდ, მილიდი, მელიტენე ანუ მალატია). შეადარე: მოლიითი.

ურარტუ (ურასტი, არარტი, არარატი, ალაროდი). ეს სახელი უახლოვდება საქართველოს სახელს ვრასტან=ურასტან (ვრაც=ურაც—ქართველი).

ქალდეურ ბიბლიის თარგმანში არარატის მაგიერ ნახმარია კარდუ (Kardu). ბოლიგისტორით, ნოეს კიდობანი შეჩერდა გორდიის მთაზე, რომელსაც, დამსკინის სიტყვით, ერქვა ბარისი. ეპიფანეს ცნობით, ნოეს კიდობანი შეჩერდა არარატის მთებში, სომხეთსა და ქარდუ-თა ქვეყანას შორის მდებარე მთის მწვერვალზე, რომელსაც ერქვა ლუბარ. არაბთა გადმოცემით, კიდობანი გაჩერდა მთებზე ჯუდი (ჯურდი, გურდი).

აქ ნახსენები ერი კარდუ=გორდი=ჯურდი მიაჩნიათ კარდუხებად (=კართუ, გორდიენი), რომელნიც ცხოვრობდენ ტიგრის ხეობაში, ვანის ტბის სამხრეთით, და ეს კარდუხები კი მიაჩნიათ ასწინდელ ქურთების წინაპრებად. მაგრამ არის ცნობა, რომ ქურთთა წინაპრები ტიგრის ხეობაში გადმოსახლდენ მე-VI საუკ. ქრისტეს შემდეგ. ამიტომ კარდუ=გორდი=ჯურდი=კართუ უნდა იყოს იგივე ქორთუ=ქართი=ქალდი=გურჯი. ქურთები მხოლოდ ამათ სახელს მიითვისებდენ. (თვით მთის მწვერვალის სახელები—ბარისი და ლუბარი—ორივე აღნიშნავენ ბარიანს, სწორ ადგილს: ბარისი =სვ. ღუ-ბარ (შეადარ: რუსისა=სვან. ლუ-რუს).

ბაბილონურად ქვეყანა ურარტუ იხსენიება აგრეთვე ურთუ-დ. სამეგრელოსა და გარიანში არის მთები, რომელთაც ჰქვიანთ ურთა.

ურარტი=ურარდი=არარდი უნდა იყოს რთული სიტყვა—ურარდი, რომელიაგან პირველი—ური—შეიძლება ნიშნავდეს თვით ქართველს *) და მეორე—არდი—იყოს ამ ერის ღმერთის სახელი არდინი. ამნაირადვე ეს ური მისწებებია მეორე ღმერთის (ქალდის) სახელს აღსანიშნავად ამ ერის უმთავრეს ადგილისა, რომელსაც ერქვა ურქალდი. ამ ურქალდიდამ ბრწყინვალე ქვეყანის ქვეშ 2015 წ. ქრ. წ. ალბად, ეს ურქალდი იყო შუამდინარის ის ქალაქი ურაჰ=ურჰა, რომელსაც იხსენიებს ჩვენი მემატიანე მე-VI ს.-ში ქრ. შ. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ჩვენი მემატიანე ორის

*) ქართველი=ივერი=სომხ. ვრაც (=ურაც), ე. ი. ურელი, ური; შეადარ. ივრელი (=იჳრელი, იორელი, ივრის-ხეველი).

სახელით ისსენიებს მესხეთის უუძველესს ქალაქს არდაჭანს, რომელსაც ერქვა ჭური ანუ არტანი. შესანიშნავი აქ ის არის, რომ ამ ორი სახელის შეერთება გვაძლევს იმავე ძველსახელოს ურარდაანს, ურარდიანის, ურარდს, ურარტანს. მეორე ნაჩვევარი ამ სახელისა ფრიად გავრცელებულია საქართველოში: არტანი (თელ. და თიანშ. მაზრ.), ართვისი, არდანუჯი (=არდანური). ეს სახელები, მეტადრე ართვიანი, არდანი, ემსგავსებიან ვანურ ღმერთის სახელს არდინი.

ნაირი შეიძლება იყოს მამდეობის სიტყვისა (მეგრ.) ირო=ირიართო—მარადის, ნიადაგ, და ნაირი ნიშნავდეს ნამარადისს, საუკუნოს, ან და ნაირ-ნაირობას ერთის სამეფოში მრავალ თემთა ცხოვრებისა გამო.

ქალდისი ანუ ქალდია იყო უმთავრესი ღმერთი ვანის ერისა. აგი იყო მთავარ-ღმერთი, სამების პირველი პირი. მეორე ღმერთი იყო მზე. წარწერებით, როგორც ამბობენ ზოგიერთი სწავლულები, სამების მეორე პირს ერქვა ზეირბა და მესამეს არდინი. რადგან მზე არის იგივე ზედ (ინგ.), ბჟა (მეგრ.). მჟორა (ჭან.) და მიუ (სვ.), ამიტომ ზეირბა შეიძლება იყოს იგივე ზედ (მზე), ხოლო არდინი—არესი, არსიანი (სვ. მე-რდე=არსი; მეგრ. ორდუნი—რომ იყო, ქორდუ—რომელიც იყო). ართლაც, ალბანიაში, როგორც გადმოგვცემენ ბერძენთა მწერლები (იხ. ქვემო), უმთავრესს სამებას შადგენდენ მზე, ზევსი და მთვარე და უპირველესი კი მათ შორის იყო მთვარე. თვით საქართველოში უპირველესი თაყვანსაცემელი იყო ქართლოსი, ალბად, იგივე ქალდი (ქართი=ქორთუ=ქართლი).

ნაირის ანუ ურარტუს ტომისანი იყვნენ აგრეთვე სეთები, უძლიერესი ერი ძველის მსოფლიოსი, და დადესი ანუ დიაუხინი. მრავლობით რიცხვის დაბოლოება ენი რომ მოგვშორებოთ ამ სიტყვებს, დაგვრჩება დად, დიაუხი და ეს სახელი კი ერქვა ქართველთა თემს დიო=ტაო-ს=ტაოხ-ს (ეს სახელი, ალბად, შემდეგში ჯავახად იქცა). ამათ ქვეყანაში შემოსასვლელ კარებს ერქვა—სამხრეთისას ტაოს-კარი, ჩრდილოეთისას ტაშისკარი (ტაოხისკარი!). ეს ტაშისკარი ითვლებოდა მიჯნად მესხეთისა და ქართლისა.

—1100 წელს ქრ. წ. დავითი და მათი მეფე სენი ებრძოდნენ ასურელებს.)

V. **მამასახლისობა და სამამასახლისონი.** თავდაპირველად, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, საქართველოში იცოდნენ ერთი მხოლოდ მთავრობა—მამასახლისობა. ყოველი ერის დასაბამად, მართლაც, ყოფილა „სახლი“, რომელიც თანდათან გამრავლებულა და აყვავებულა ეროვნებად, ცალკე ხალხად. მთელს სპარსეთს ჩვენი მატიანე იხსენიებს ერთ სახლად. იმავე მატიანეს ახსოვს ის დრო, როდესაც საქართველოში ბევრი მამასახლისები იყვნენ, თითქმის იმდენი, რამდენიც იყო ცალკე გვარეულობა, ცალკე საზოგადოება, ხოლო ყველაზე უძლიერესი კი ამათ შორის იყო მცხეთის მამასახლისი. ეს მცხეთის მამასახლისი იყო „მაზავებელი და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა, თავადი ყოველთა სხვათა მამასახლისთა; მას ერჩდენ და უფლად ხადოდენ“

უფლება მამასახლისისა, როგორც ჩანს ამავე სიტყვიდამაც,—მამა სახლისა,—გაჩნდა ოჯახში, კერიის პირას. ეს კერა ჩვენს წინაპრებს, როგორც მრავალ სხვა ხალხების წინაპრებსაც, წმინდად, საღვთოდ მიაჩნდათ. „ოჯახი დაგეცვას“, „კერა გაგინელდეს“, „ოჯახი ვაგიქრეს“—ეს დღესაც უდიდესი წყევლაა, უწინ ხომ არათუ მარტო წყევლა იყო, არამედ შეუნდობელი დანაშაულობაც. კერიის უსაღვთოესობა გამოიწვია იმან, რომ ადამიანი იმთავითვე თაყვანს სცემდა ცეცხლს და შეუნდობელ ცოდვად მიაჩნდა ამ ცეცხლის ჩაქრობა, დავსება. არსებობდნენ ცალკე მოხელეები, უმეტესად ქალწულები, რომელთაც უნდა მარადის ელვიათ ცეცხლი კერაში და ეზრუნათ, იგი არ გამქრალიყო. იგინი ამისთვის ხმარობდნენ განსაკუთრებულს შეშას, მოჭრილს წმინდა ხისაგან. ცეცხლი იყო ღვთიური ქმნილება, მას თაყვანს სცემდენ და სწირავდენ საკმელს, ღვინოს, საღვრთოს. კერიის პირას დღესაც ზოგიერთგან ჩვენში სრულდება მთელი თავდაპირვანდელი ღვდელ-

მოქმედება საკმლის კმევით, „ღვინის გადაქცევით“, და ამ ღვდელმოქმედებას ასრულებს სახლის უფროსი, რომელიც ილოცება, ითხოვს დღეგრძელობას, ოჯახის გამრავლებას და ბედნიერებას. იგივე ახალწლის დღეს ცეცხლში ატკაცუნებს ნედლს წნელებს და ყოველ გატკაცუნებაზე ითხოვს ღვთისაგან სიუხვეს პურისას, ვენახისას, საქონლისას და სხ. მისივე მოვალეობა იყო საღმრთოს დაკვლა და გარდაცვალებულთა სულების მოხსენება საკმეველის დაკმევით გაღვიებულს ნაღვერდლებზე.

ეს წეს-ჩვეულება დღესაც არ დაუვიწყნია ჩვენს ერს. საინგილოში, ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთს, სვანეთს და აფხაზეთს ყველგან ერთნაირად სწამთ გარდაცვალებულთა მოსახსენებელის—ტაბლის—საჭიროება. წელიწადში 2—3-ჯერ მზადდება ნაირნაირი საქმელები, რომელსაც არიგებენ კერძებად კერიის პირას. მერე ანთებენ სანთლებს და სახლის უფროსი (მამა) იწყებს სულების მოხსენებას: ყოველი სულისთვის ცალკე „აქცევს“ ღვინოს, საკმეველს აგდებს საცეცხლურში და თან ლოცულობს, რომ ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს გარდაცვალებულს, მისცეს მას სიხარული, შვება და ლხენა, რომ საიქიოსაც ისე გაიხაროს, როგორც ხარობდა სააქაოს. ინგილოები საიქიოს გორ-ს *) უწოდებენ, რადგან სწამთ, რომ იქაც „გარდაცვალებული სულები“ ცხოვრობენო გვარ-გვარად, კერა-კერად და იქაურს გორშიაც ისეთივე წეს-წყობილებააო და უფროს-უმცროსობა, როგორც აქაურს გორში, იქაური გორის უფროსი მოთხოვნილებას უდგენსო აქაურ გორის უფროსს და სთხოვს შესაწირავს: საკმელს, საკლავს, სასმელს, ხილს და სხ. თუ თხოვნა არ შეუსრულა, ემუქრება რისხვით—ტანჯვას, მწუხარებას, ავადმყოფობას მოგივლენო, თუ შეუსრულა, უქადის შველას, შვებას ყოველს საწაღმართო საქმეში

*) გორი==გვარი, გვარეულობა.

ცეცხლის გაუქრობლობა იყო დამოკიდებული შთამომავლობის და გვარეულობის განუწყვეტლად მიმდინარეობაზე. ამიტომ დიდ უბედურებად ითვლებოდა უმემკვიდრეოდ გარდაცვალება, ვინაითგან მამის სიკვდილის შემდეგ მისი მოვალეობანი კერიისა და, საზოგადოდ, სახლობისადმი ეკისრებოდა მისს ღვიძლს შვილს (ვაჟს). ამას უნდა „დაეცვა“ საოჯახო ცეცხლი იმისთვისაც, რომ ამ ოჯახთან, კერასთან კავშირს არ სწყვეტდა მისი გარდაცვალებული მშობელი, რომელიც უხილავი თანადამსწრე იყო ოჯახის კრებულისა; მას კერძი ჰქონდა კერიის პირასაც და საიქიოსაც. იგი მემკვიდრისაგან ითხოვდა შესაწირავს, მსხვერპლს და თაყვანისცემასაც კი, ვინაითგან მას შეეძლო ვნებაც მიეყენებინა ცოცხალთათვის და სიკეთეც მოეტანა მათთვის. ამიტომაც, ქართლოსი რომ მოკვდა და დაიმარხა, მის საფლავს თაყვანისცემა დაუწყეს, მისს საფლავს ფიცულობდნენ. გარდაცვალებულის ქართლოსის ადგილი კი დაიჭირა მისმა უფროსმა ვაჟმა—მცხეთოსმა, და ამის მემკვიდრეობა კი მიიღო—უფროსობის უფლებითვე—ამისმა შვილმა უფლოსმა. თვით ქორწინებაც სიძის კერიის პირას განიმტკიცებოდა ხოლმე: მაშინდელი ჩვეულება უნდა იყოს, რომ პატარძალი მამის სახლიდან ქმრის სახლში მისვლის უმალ ჯერ პირველად კერას შემოუვლის ხოლმე: ამით მას თითქო იმის თქმა უნდა, რომ მამის კერა-ცეცხლი უვარგყავ და აწ ქმრის ოჯახს, საცეცხლეს ვუერთდებიო.

სიტყვიო, მამასახლისი ოჯახში იყო მშობელი, ღვდელ-მოქმედი, მესაკუთრე, მოსამართლე, ყველას პატრონი და ბატონი. ასეთივე უფლება შერჩა მას მაშინაც, როდესაც ოჯახი გაიზარდა გვარეულობად, სოფლად, საზოგადოებად და თემად იქცა. სტრაბონი (+ 24 წ. ქრ. შ.) ამბობს: ივერიაში ქონება ეკუთვნის მთელს გვარეულობას, რომლის მბრძანებელი და მმართველი გვარეულობის უფროსიაო. ჯერ ისევ ვახუშტის დროს თითო სახლად ითვლებოდენ გვარეულობანი ციციშვილებისა, მუხრანბატონისა, ამილახორისა, ქსნის ერის-

თვისა და სხ. მთელი მესხეთი მე-X—XI საუკ. 13 სახლად იყო დაყოფილი. მეფე აზომ რომ ქართველობა გადმოასახლა მკხეთას, სულ 18 სახლობა იყო. საკავკასიძეო, სადიასამიძეო, საბარათიანო, საწულუკიძეო, საჭილაძეო—ესენი და ბევრი სხვაც თითო გაუყრელს სახლს წარმოადგენდენ და ემორჩილებოდნენ ერთს უფროსს—მთავარს ანუ მამასახლისს. ჯერ ისევ მე-VI—VII ს. ქრ. შ. ქართლს ჰყვანდა თავისი მამასახლისი. პირველ მთავრებად კი (მამასახლისებად), როგორც ამბობს მემატიანე, იყვნენ ქართლოსი, ძენი და ძის ძენი მისნი. მთავარს, ჩამომავლობა-გვარიშვილობას გარდა, უნდა ჰქონოდა საკუთარი ციხე, ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი. მთავართაგანვე ირჩევდნენ აგრეთვე მეფეს *). სტრაბონიც ამბობს: ივერიაში პირველს წოდებას ეკუთვნიან იგინი, რომელთაგან ყველაზე უხუცესს—ნათესაობითა და წლოვანობით—მეფედ აღგენენო. უპირველეს ნათესაობად კი ჩვენშ. ითვლებოდა ქართლოსიანობა.

მამასახლისობასთან ერთად ჩვენში არსებობდა დიასახლისობაც ანუ დედასახლისობა. მამასახლისი უფლებებს არ ჰკარგავდა თავის გარდაცვალებამდე, დიასახლისი კი მისდამი მინიჭებულ უფლებებს ქმრის გარდაცვალების დღიდანვე უთმობდა უფროსს რძალს. დღესაც ეს წესი არსებობს ჩვენში, თუმცა აქა-იქ დაქვრივებული დედა დიასახლისობას არ სთმობს თავის სიკვდილამდე. მაგრამ ეს დამოკიდებულია მისს პირად ნიჭსა და ღირსებაზე.

საქართველოს მამასახლისი და დიასახლისი შემდეგ იქცნენ:—ერთი—მამფალად და მეორე—დედფალად და მერე კი —მეფედ და დედუფალად.

*) ვახუშტი: „წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იკი, უმეტეს პატივ-იცემებოდა“.

თავი II.

თარგამოსიანთა განწყობილება მეზობელ ხალხებთან.

1. **ბრძოლა ნებროთთან.** ქართველთა წინაპრები, როგორც გადმოგვცემს ჩვენი მატიანე, თავიანთ წილხდომილ ქვეყანაში დასახლების შემდეგ შებრძოლებიან ბაბილონის უძლიერეს მეფეს ნებროთს. მაშინ ჯერ ისევ ქართლოსი და მისნი ძმანი ემორჩილებოდნენ თავიანთ ნათესავს, რომელიც მეფობდა ვან-არარატს, ე. ი. ტიგრისა, ევფრატისა, არეზისა და მტკვრის სათავეებში მდებარე ქვეყანას. ხოლო რვანივე ძმანი ჰმონებდენ ნებროთ გმირს, მაშინდელ მსოფლიოს მეფეს. შვიდნი ძმანი რომ წამოვიდნენ ჩრდილოეთისკენ, დაიპირეს მთელი კავკასია და დაბინავდნენ, აღარ მოინდომეს ნებროთის მონება, გადასწყვიტეს გაენთავისუფლებინათ სამშობლო მისის მძიმე უღლისაგან. შეიყარნენ ყველა თარგამოსიანნი, შეიჭურვნენ, შიიმხრეს ზოგიერთი სხვა ტომნიც, წავიდნენ და ჩადგნენ მასისის მთის ვიწროებში. ამ განდგომილების თაოსანი და ხელმძღვანელი იყო ქართლოსიანთა მთავრების უფროსი ძმა, მფლობელი ვან-არარიტისა. ნებროთმა ყველაფერი შეიტყო, დიდის ძლიერებით და 60 გმირით წამოვიდა ჩრდილოეთისკენ და შეება განდგომილებს. ასტყდა „ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსებოდა სასტიკებასა ჰაერისასა: რამეთუ მტევრი ფერხისა მათისა იყო ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯრისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა, ხმა პირისა მათისა, ვითარცა ხმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა და ტყორცა ქვისა მათისა, ვითარცა სეტყვა ხშირი, დათხევა სისხლისა მათისა, ვითარცა ღვარი სეტყვათა". ვან-არარატის მფლობელი ამხნევებდა ძმებს, ხმა მისი ჰქუხდა მეხის-ტეხასავით. თარგამოსიანთ ნებროთს მოუკლეს 60 გმირი და ბოლოს თვითონაც მოკლეს და მისი ლაშქარიც დაამარცხეს და განდევნეს.

ამ ბრძოლას შატბერდის ქრონიკა გადმოგვცემს ასრე:

„ქალდეველთა ღმერთი ითრუშან და ჩვენი ღმერთი არმაზ ყოველადვე ურთიერთას მტერ არიან: რამეთუ ამან არმაზ ოდეს-მე მას ზედა ზღვა მოაქცია და აწ მან შურ-იძია და მოაწია ესე ამას ზედა“.

ქალდეველთა ქვეყანაში იყო ნებროთის მსოფლიო ქალაქი ბაბილონი, იგივე „კარ—დუნიასი“. ამ ქვეყნის ღმერთ ითრუშანზე არმაზმა ზღვა მოაქციაო (ალბად, იგულისხმება წარღვნა) და აწ მან თვით არმაზი შემუსრაო.

ამ ომში ჩვენს წინაპრებს ეცვათ აბჯარი (ჯავშანი), რომელიც, ალბად, ფოლადისა იყო, რადგან ელვასავით ლაპლაპებდაო, საბრძოლო იარაღად კი ჰქონდათ შვილდ-ისარი და ავრეთვე ქვა, რომლითაც, საზოგადოდ, იბრძოდნენ მეშურდულენი, მეციხოვნენი და მთებსა და გორებზე გამაგრებულნი. მოსეულს მტერს ებრძოდნენ—შორეულს ისრით, მოახლოებულს – ისრითა და შურდულით, ხოლო ციხის ძირს მომდგარს – აყრიდნენ დიდრონ ქვებს, ასხამდნენ ადუღებულს წყალს.

ძნელია კაცმა სთქვას, რავდენად მართალია მატიანის მოთხრობა შესახებ ამ ომისა, რომელიც უნდა მომხდარიყო მეოცე საუკუნეზედაც უწინარეს ქრ. შობისა, ვინაითგან ნებროთი, რომელსაც ებრძოდენ ქართლოსიანნი და რომელიც „მოჰკლეს“, ჩანს 2716 წელსაც. მაგრამ მატიანის ამ თქმულებას საფუძველი ეძლევა, თუ ქართლოსიანთა ბრძოლად ნებროთთან ვიგულისხმეთ მრავალსაუკუნოვანი სასტიკი ომები ჩრდილოეთისა სამხრეთთან, ვიგულისხმეთ ურარტუს (არარატის) ერთა და მათ ტომ-მოდგმა ხეთელთა ბრძოლა ეგვიპტელებთანა და აგრეთვე ასურელებთანა და მიდიელ-სპარსელებთან. ამ ომების დროს ყოფილა ისეთი წამი, თუ მებრძოლთა შორის ვინ უნდა დარჩენილიყო მსოფლიოს მბრძანებელად—ხეთა—ურარტუ, თუ მათნი მეტოქენი. მი.გვყავს მოკლედ ცნობები ამ ომების შესახებაც.

II. **ხეთელთა ბრძოლა ეგვიპტელებთან.** ამ ძლიერის, ურარტუს მონათესავე ერის ადგილობრივი სახელი იყო ხატი

(=ხატინა), ეგვიპტური—ხეტა, ასურული—ხატტი, ბიბლიური—ქეტა, ქიტა. ხეთა ძველი მსოფლიოს უძლიერეს ერთაგანი იყო. იგი მონათესავე იყო იმ ერისა, რომელმაც ეგვიპტე დაიპყრა 2214 წ. ქრ. წ. და აქ იბატონა 511 წელიწადი, ე. ი. მე-XVIII საუკუნემდე. მათი უმთავრესი ქალაქი იყო ტანისი, იგივე საისი, სუანი, ცოანი, ცეანი, ცარი, ცალი და უფრო კი—ავარისი. ამ ქალაქში იყო მათი უმთავრესი ძალა —240,000 მეომარი. თვით ერს ეგვიპტელები უწოდებდენ ჰიკსოს ანუ ჰაკსოს (=მწყემსი). ხოლო წარწერებით, ეგვიპტის დამპყრობ ერს ერქვა მენტი. ეს „მწყემსები“ ეგვიპტელებმა ძლივს მოიშორეს (მე-XVIII ს. ქრ. წ.), მერე თანდათან ისევ გაძლიერდნენ, იწყეს პყრობა ქვეყნებისა და იმ ადგილებისაც, საითაც გაირეკეს „მწყემსები“.

მე-XV საუკ. დასასრულს ეგვიპტეში დაიბადა სარწმუნოებრივი განხეთქილება. ვიდრე ეს შინაური ბრძოლა დანელდებოდა, ეგვიპტის ჩრდ.-აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ქვეყნებში განვითარდა ძალა და მნიშვნელობა დიდის გვარ-ტომისა, რომელიც მალე საშიშარი შეიქმნა ეგვიპტის პირველობისათვის წინა აზიაში. ჯერ ამას წინადაც, 3800 წლითგან, ეგვიპტელების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ჩნდებოდნენ ხეთელნი, როგორც ერი მფლობელი, მმეფობი. თანამედროვე ეგვიპტურ წარწერებით, ხეთა იყო „ერი დიდი“, „მიწა დიდი“. ეგვიპტელები აფასებდენ ამ ერის რაინდულ ღირსებებს და გმირობას და ამიტომ თავიანთ თანასწორად მიაჩნდათ. ქანაანის ქვეყანა ეჭირათ ამ ხეთელებს, როდესაც აქ გადმოსახლდა (2040 წ.) აბრაამი. ფარაო თუთმეს III-თან ბრძოლის დროს ხეთა, როგორც ერი უძლიერესი, ბატონობდა სირიის ჩრდილოეთ ნაწილებში. მე-XV საუკუნეში ხეთას უფლება გავრცელდა ყველა მეზობელ ხალხებზე და მან დაიჭირა პირველი ადგილი წინა-აზიის მეფეთა და ქალაქთა კავშირში. მისი გავლენა ყოველ წლივ გაიზარდა და იმოდენად ძლიერი შეიქმნა,

რომ ეგვიპტის წარწერებში მათი მეფეებისა და ღმერთების სახელებს ამიერიდგან პატივით იხსენიებდენ.

გამეფდა-რა რამზეს 1 (დაახლოვებით 1400 წ.), შეება ხეთელთა მეფეს საფლელს, მაგრამ ეს ომი დასრულდა მორიგებით და ორივე სახელმწიფო დაკმაყოფილდა იმით, რაც ეჭირა ომის წინად.

სეტი 1-მა (დაახლ. 1366 წ. ქრ. წ.) გამოილაშქრა, აიღო ნეღები, შემოვიდა რუტენში, აიღო კადეში, მერე შეესია ხეთას, დაამარცხა მისი მეფე მაუთნური, წაართვა ტყვეები, შეურიგდა და დაბრუნდა ლიბანის გზით.

რამზეს II, დიდი (დაახლ. 1333 წ. ქრ. წ.). ამავე ფარაოს ერქვა აგრეთვე სეზოსტრისი. ბერძენთა გადმოცემა გვაუწყებს, რომ სეზოსტრისმა დაიპყრაო არაბეთი, სირია, შუამდინარე, მიდია, ბაკტრია, ინდოეთი, სკვითია (დონისა და დუნაის არემარე), თრაკია და კავკასია, საცა დააარსაო ახალი სახელმწიფო—კოლხეთი. თვით რამზესის წარწერები კი საქმის ვითარებას წარმოადგენენ სხვანაირად.

ხეთელთა მეფემ მოიწვია მოკავშირენი არატუ (არადი), ხალებუ (ჰალები), შარდან კოლხელი და მრ. სხვანი და დადგა კადეშს. ხეთელთა საომარი იარაღი იყო შურდულები, ლახვრები და მოკლე დაშნები. მათს საომარ ეტლებში წყვილ-წყვილი ცხენი ება. რამზესმა დაამარცხა ხეთა და აიღო მისი ქალაქები კაზანალითა, კალიპა, ხირნცა, პარიხი, აბელი, კარმანა, კაზირი-ბანა, კაცაა, კასარია, კარი-კა, აცარ (აჭარა?) და სხ ამ დამარცხებით ხეთელთა ძლიერება არ გამქრალა. მათ ისევ დიდი ძალ-ღონე შერჩენიათ და ამის მხილველ ფარაოს საჭიროდ დაუნახავს შერიგებოდა ხეთელთა მეფე ხეთასარს და დაედო მასთან ხელშეკრულობა, რომელიც იწყება ასრე: „ხელშეკრულობა, რომელიც დაიდო თხოვნისამებრ ხეთას დიდის მეფის ხეთასარისა, უძლიერესისა, ძისა მაურისარისა, ხეთას დიდებულ და უძლიერეს მეფისა, ძისა საფალილისა, ხეთას დიდის და ძლიერის მეფისა, — (მიეცა) ვერცხლის

დაფაზედ რამზესს, ეგვიპტის დიდს მფლობელს, უძლიერესს, ძესა ძისა რამზეს პირველისა“... „დამმარცხებელი“ და „დამარცხებული“ ერთნაირად იხსენიებიან, ერთნაირად შემძლებელნი და ძლევამოსილნი ყოფილან.

თუ ვინ იყვნენ ხეთელები და ეგვიპტის დამწერობი ჰიკსები, ამას ნათელს ჰფენს ბერძენთა მწერლების გადმოცემა შესახებ ჰოლხეთისა. იგინი სწერენ: პერიეგეტი (90 წ. ქრ. შ.) „ჰოლხები მოსულან ეგვიპტიდან“, კალლიმახი (260—230 ქრ. წ.): „ჰოლხები არიან ეგვიპტელთა ჩამომავალნი“, „ჰოლხები გადმოსახლებულან ეგვიპტიდგან“. მარცელინი (330 წ. ქრ. შ.): „ჰოლხები ეგვიპტელთ ჩამომავალნია“. ეს მწერლებიც, როგორც სჩანს, ამტკიცებენ ჰეროდოტეს ზემო მოყვანილ სიტყვებს, რომ მას ჰოლხები ეგვიპტელებად მიაჩნია, ვინაითგან „ამ ორი ერის ყოფა-ცხოვრებასა და ენასაც კი დიდი ერთობა აქვსო“.

ადნიშნავ ხეთელთა და „მწყემსთა“ ქვეყნების და მეფეების სახელებს. ეგვიპტის დამწერობი მწყემსთა მეფე იყო საიტეს. მისი და ხეთელთა ეროვნული ღმერთი იყო სუტეკი. ამის მსგავსი სახელი ჰქვიან ჰოლხთა მეფეს სუტარნას, რომელმაც, ბლინიუსის სიტყვით, დაამარცხა ფარაო სეზოსტრისი (რამზეს II) და წაართო ოქროს და ვერცხლის კამარები, დიდები, სვეტები და თროები.

თვით ხეთს მეფობდნენ: საფალი-ლი=სეფლელი, სეფლული (შად. ქართ. მეფე, სეფელი, სეფლული), მერე მისი მემკვიდრე მაუროსარი, ამის შვილი მაუთანარი (მუთნური), ამის ძმა ხეთასარი და ამის მწერალი სირჰასარა, მეფე სისცარი (შად. სისცარი=სვ. სისცარ). ხეთური სახელები: სამარიუს (შადარე: სამარა. სამარ ანუ ამარ ნიშნავს მფარველობას, ცვას: „ბერანგის ამარ“, „ხუცის სამარ“ და სხ.), ცვცას, თალდ (ჰოლხეთში 731 წელს მეფობდა დადილი), თარგანნას (შად. თარგამოს), ცაგერელ. ადგილების სახელები: ნაგებუს (საქართველოში არის ადგილები: ნაგები და ნაღები), ჰირხეტა (=ჰირ-ხეთა), ხარკახი, ცირასი (მეგრ.

ცირა—კასიოხოვარი ქალი), ფარუა, პაპა, კარშაუა, ჰუკიუ (ფოკიო?), ტინნური,ტამაკური (თამა-ური), კაცაუ-თანა, ცარანდა, ჰირკა (ჰილკა), სარჰინა (სარაპანა=შორაპანი!) და სხ.

ღმერთები: ა) მეომრობის ღმერთი სუტეხი და მისი მეუღლე, ცაზედ ეტლით მავალი ღმერთ-ქალი ანტა (=ანათა=ანუკა). ბ) მთვარე-ღმერთს ერქვა თუთ, თუთა (შეგრ. თუთა—მთვარე). გ) მზის შუაგულ სინათლის ღმერთი იყო ხუდ ანუ ხუთ (შეადარე: ქართ. ღუთა, ხთაება). დ) ბეს=ბას=ბაშტ=ბასტ—მეუღლე სამების ღმერთის თოთ-სი, შემოქმედ ძალთა მპირობელისა (სვან. ფუს=ფუსტ—უფალი. შეადარე აგრეთვე ბოჩი, რომელიც იყო ქართველების უძველესი ღროის ღმერთი).

ქართველთა და ეგვიპტელთა წყობილება

ეგვიპტელთა

გამოეთხოვება-რა ტანს, სული მიდის ქვესკნელს, საიქიოს. მას მიჰყვება პეპელა, რომელიც, როგორც გასასამართლებელი ქაღალდი, გულის ახლოს უკირავს. ღვლარჭნილებს გადის ძაფის შემწეობით და შედის სასამართლოში, საცა ელიან მას ღორუსი (მზე) და იზირისი (უზირისი, ანუ უზირისეთი)—ღმერთი ქვესკნელისა. მის გუღს სდებენ სასწორზე, რომელიც უპერია თუთას—სიბრძნისა და სიმართლის ღმერთს. თუ გულმა დასძლია, მაშინ გასამართლებული აღებს კარს და შედის კერ-ნეტერში, მკვდართა ქვეყანას, სანეტარო ქვეყანას (ლენორმანი. 171—173, 176—178).

ქართველთა

სული, გამოეთხოვება რა ტანს, მიდის საიქიოს პეპელას სახით. კუპრის ტბაზე გადავა-რა ძაფის ხიდით, დახვდებიან სიმართლე-სიმტყუნის გამომცნობელნი; აუწონენ დანაშაულობასა და სიკეთეს სასწორზე და თუ სიკეთემ დასძლია, გასამართლებული მიდის სამოთხეში, სანეტარო ადგილას=ნეტარების-კარს.

ეგვიპტელთა	ქართველთა
კერ-ნეტერი ნაყოფიერი ადგილია. მას ხვნენ მკვდრები, თესვენ ხორბალს, მკიან და ლეწვენ. ცხოვრება მათი სამარადისო მხიარულებაა, სიმღერა და სხ. (მასპერო, გვ. 123). —მკვდართა სულნი, გადაელენ-რა ტბას, თუ განმართლდენ, მიდიან ზეცათას, საცა გულს იგრილებენ ცხოვრების წყლით, ჰკრეფენ ხილს ხეებიდამ, მხიარულობენ, იცინიან, ნეტარებენ (ვებერი, 1, 165, 169).	კეთილთათვის საიქიო ნეტარი ადგილია, მარადის განათებული, ამწვანებული. მკვდრებს წინ უშლიათ მიმდემად აუღებელი სუფრა, მხიარულობენ, მღერიან, გალობენ. ეს ადგილი ტბას იქით არის და იქ უთესიათ ყანა.
საშინელებანი მოელის ჯოჯოხეთს იქით მხარეს, რომელიც სავსეა გველებით, დათხრილია ცხელის წყლის ნაკადულებით და ჰაობებით (მასპერო, 123).	ტანჯვა-ვაება მოელის კაცს ჯოჯოხეთში, საცა დუღს კუპრი, ხოლო ნეტარება სამოთხეში (სა-ამოთხეში).
მკვდარი საფლავიდან გამოდის, თუ დააკლდა საზდო, თუ მოშივდა. იგი ღამ-ღამე დაწანწალებს სოფლით-სოფლად და სჰამს, რასაც იხელთებს. ასეთის სიღარიბისა და ხელმოკლეობის გამო მასში იბადება მძულვარება ცოცხალ ნათესავთადმი, რომელთაც იგი დაივიწყეს. იგი დაეცემა ხოლმე მათ, სტანჯავს, უვლენს სნეულებას, პირს. (მასპერო, 121).	იგივე ქართველთა რწმენაცაა.
ეგვიპტელები თაყვანს სცემდენ ზოგიერთ ცხოველებს, მეტადრე ხარებს, კატას. სახლს თუ წაეკიდებოდა ცეცხლი, პირველად ცდილობდენ ეხსნათ კატა. თუ დაიღუპე-	კატის თაყვანისცემის ნიშნად ჩვენში (ფშავ-ხევსურეთს) დარჩენილა ჩვეულება კატის ხელში აყვანით დაფიცება საგვარეულო სალოცავში, აგრეთვე ანდაზაც, რომ კატის მკვლე-

ეგვიპტელთა

ბოდა, დიდად სწუხდენ. თუ კატა მოუკვდებოდათ, გლოვობდენ, წარბებს იპარსავდენ. კატას, ძაღლს და სხ. წმინდა ცხოველებს მარხავდენ დიდებულად. თუ ვისმე შემოაკვდებოდა ეს ცხოველები, სცემდენ, აჯარიმებდენ. ყოველ ამგვარ პირუტყვისთვის მიჩენილი იყო ცალკე ადგილი, რომლის შემოსავლით იგინი საზდოობდენ (ვებერ, 1. 160—163).

ქართველთა

ლმა შვიდი საყდარი უნდა აეშენოსო, რომ ცხონებას ეღირსოსო. ძაღლი და კატა საიქიოს მიმავალს უხვდებიან ტბაზე გადაპიმულს ხიდზე: კატა ქონს უსომს, რომ გადამავალს ფეხი დაუსხლტეს და კუპრში ჩავარდეს, ხოლო ძაღლი ამ ქონს ლოკავს, რომ პატრონს გაუადვილოს გადასვლა სამშვიდობო მხარეს. ძაღლივე ერთად-ერთი მეგობარია მიჯაჭვულ ამირანისა.

ეგვიპტელების წელიწადი სამ დროთ იყოფებოდა—რ წ ყ ი ს ა, თ ე ს ვ ი ს ა და მ კ ი ს ა. თავდაპირველად ქართულშიაც ეგრე უნდა ყოფილიყო. წელიწადს, ალბად, შეადგენდა ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული. ეგვიპტურში არის თვე თ ი ბ ი ს, რომელიც იწყება 20 ნოემბრიდამ. ჩვენი თ ი ბ ი ს-თ ვ ე სწორედ ეგვიპტურს თიბის თვეს უსწორდება, თუ ჩვენც, ვით ეგვიპტელებმა, თვეები ვითვალეთ სარწყვნისიდამ (თებერვლიდამ). ასე: თოით—სარწყვნისი, ფაოფი—მირკანი, ათირ—იგრიკა, ხოიაკ—ვარდობისა, თიბის—თიბისა (თიბათვე) და სხ.

ქართულსა და ეგვიპტურში მსგავსი სიტყვებიც ბევრია. ეგვიპ. ა ბ = აბზაზ. ა ბ = სვ. მუ = მეგრ. მუმა = ქართ. მამა. ეგვიპ. კ ა მ ი ანუ კემი—შავი (შეად. კუკუმათი, კუმატი). ეგვ. კა—ხარი. ეგვიპ. კარ = ქართ. კარი. ეგვიპტური სახელები: ნენა, ნუნა, ბაბა, ონი, სუანა, კაბალოი (ქართ. კაბალი), ამტენა (ქართ. ამტნის-ხევი), ნებ (ქართ. ნეფე), სებეკა (ქართ. სებეკა—სოფელია იმერეთში). თვით ეგვიპტეს ერქვა კ ე მ ი, რ·მლისაგან, ვფიქრობთ, წარმოებულა ჩვენებური გვარები—კემულარი (კემული—არი), კემირიძე.

III. **ურარტუს ბრძოლა ასურელებთან.** ასურეთის მეფეები—სცდილობდნენ წინა აზიის წვრილ-წვრილ სახელმწიფოების შეერთებით შეექმნათ ერთი დიდი სამეფო თვისის უზენაესობის ქვეშე. ეს წვრილი სახელმწიფოები მედგრად იცავდნენ თვისს თავისუფლებას. ასურეთი ცდილობდა დაეპყრა

წვრილი სამთავროები, მაგრამ ეს წვრილი სამთავროები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ძლიერის მტერის ლუკმად არ გამხდარიყვნენ. ამ წვრილ სახელმწიფოთა შორის გამოჩნდა ერთი სამეფო, რომელიც ასურეთის მეტოქედ შეიქმნა. მასაც ჰსურდა დაეფუძნებინა თვისი საკუთარი მსოფლიო მფლობელობა. ამგვარ მეტოქედ ასურეთისა შეიქმნენ ერნი, რომელნიც მოსახლეობდენ შუამდინარის ზემო, არეზის ველზე, ვანისა და ურმიის ტბის ახლო. აქ ასურეთის მეფეები იბრძოდნენ არა თუ თვისის უფლების დასამყარებლად, არამედ, ხან-დახან, თავის საკუთარ დამოუკიდებლობისთვისაც.

ამ ჩრდილოეთის, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ერთა შორის უპირველესობდა ქვეყანა, რომელსაც ერქვა ურარტუ. ამ ქვეყნის მეფეებმა დაგვიტოვეს თავის ღვიძლს ენაზე წარწერები და ეს წარწერები, როგორც ვთქვით, აქაურ სამეფოს უწოდებენ ბიანა-ს და მის სატახტო ქალაქს კი—ტუსპა. ბიანას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა მხოლოდ ქრ. წინად მე-IX საუკ.

არარატ-ვანის ანუ ალაროდიის ტომ-მოდგმის თემნი, სხვათა შორის, იყვნენ: უნზამუნი, პილაკინი, ატურგინი, კულიბარძინი, სინ-იბირნი, აბაენი (აბუნი), ადაენი, კირინი, აბარსიუნი (აბურ-ზანი), ტუალი (თუალი?), კიდარი, არდინი, ალბაია, აზანი, დაკინედია, ირდია, ბია, ერიაინი, ეტიუნი, პაიტერი, უდურიეთნი, უდური, არსიუნი, ერიდუანი.

ამავე ალაროდიელებს, როგორც ვთქვით, ეკუთვნოდნენ ზემოხსენებულნი ხეთები, მამათ-მთავარნი თავისებურის კულტურისა და მამაცნიმეტოქენი ეგვიპტელთა და ასურთაც. ამ ერის მიერ შექმნილი კულტურა, რომელშიაც შემოერია ნაკადულები ბაბილონიდამა და ეგვიპტიდამ, იჩენს თავისებურობას, გარნა მათი მწერლობა, განსაკუთრებული ხერხი წერისა—იეროგლითი, —წარმოადგენს სრულს თავისებურობას. ასურთა მპყრობელობის ჟამს ეს ერი დაძაბუნებული იყო, დაეკარგა წინანდელი ძლიერება და აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ასურეთისთვისაც ისე, ვითა ეგვიპტეს უწევდა.

მე-IX ს. ქრ. წ. ურარტუსა და ასურეთს შორის იმართება მედგარი და თავგამეტებული ბრძოლა, რომელიც არ სწყდება ორ საუკუნემდე. სემის მოდგმა და ურარტისა (ალაროდიისა) იბრძვიან მსოფლიოს უზენაესობის დასაჩემებლად. ბოლოს სემისნი იმარჯვებენ, მაგრამ ამ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ასურეთის ბედი არა ერთხელ ჰკიდებია ბეწვზედ, და, ვითარცა პუნიკურ ომების დროს არა ერთხელ აღიძრა კითხვა—როგორი უნდა იყოსო მსოფლიო, სემიტური თუ რომანული, ასევე მე-IX-VIII ს. ქრ. წ. სასწორი არა ერთხელ გადახრილა ხან ალაროდიელებისკენ და ხან სემიტებისკენ.

ასურთა მეფეების გამოლაშქრება ნაირის ქვეყანას იწყება დაახლოვებით 1100 წ. ქრ. წ., თიგლატ-ფალ-ასარ I-ის ჟამს, თუმცა ჯერ ისევ სალმანასარ I-მა (1300 წ. ახლო ხანს) მოაწია ნაირის მთის კარებამდე. თიგლატ ფალ-ასარი, რომელიც შემოვიდა ნაირს, თავის წარწერებში ამბობს, რომ ეს ქვეყანა ყველაზე ჩრდილოეთი სამეფოა და მდებარებსო ზემო-ურ ზღვის კიდეზე, მისმა „მეფეებმა მორჩილება არ იციანო“. თიგლატ-ფალ-ასარმა გადმოლახა 16 დიდრონი მთა და გამოვლო ევფრატი. აქ დახვდა მას ნაირის 23 მეფეთა ლაშქარი (მათ შორის ურარტუ ჯერ არ იხსენიება). თიგლატმა გაიმარჯვა. მან დაამარცხა აგრეთვე 60 მეფე, რომელნიც მოძმეთა საშველად გამოვიდნენ, „ზემო ზღვასთან“ *) დაეწია მათ და დაატყვევა ყველანი. მაგრამ შემდეგ განათავისუფლა იგინი, დააფიცა რა, რომ საუკუნოდ მორჩილნი იქნებიან და ხარკს მისცემენ. მეამბოხე მეფეთა კავშირის მოთავე იყო ერი დაჲანი, რომელიც, ვანის წარწერებით, მოსახლეობდა ბიანის მეზობლად, ვანის ტბის ჩრდილოეთით, არეზსა და ვანს შორის. მათს მეფეს ერქვა სენი.

---

*) ზემო ზღვად ანუ ჩრდილოეთის ზღვად ლურსმურ წარწერებისა ჩვენ შიგვაჩნია ჩირდილის-ტბა (აწინდელი ჩილდირ-გელი): მისი ქართული სახელი—ჩ ი რ დ ი ლ ი ს ა—გვიჩვენებს, რომ იგი წარწერების გამომკრელთათვის ზემო-ზღვა იყო.

ტახტზედ რომ ავიდა ასსურ-ნასირ-აბალი (885—860 წ.) მოინდომა დაეპყრა ხეთა, ფინიკია და ხმელთა შუა ზღვის ნაპირები. იგი შემოვიდა ნაირს ურარტუმდე, დაიპყრა ხეთა და მერე ტირი და სიდონი.

სალმანასარ II-მ (860—825) წ.) 21-ჯერ გამოილაშქრა ხეთელთა ქვეყანას. ამ დროს გაძლიერებული ურარტუ თვისის მოკავშირეებით ცდილობდა სამხრეთისკენ გაელაშქრა. მისვე მეფე არამმა სამჯერ უკუაგდო ასურთა ლაშქარი (860 წ., 857 წ. და 844 წ.).

სალმანასარი შევიდა ხუბუშკიას, რომელიც მდებარებდა ვანსა და ურმიას შორის, დაიპყრა იგი, წავიდა სუგუნიას (სუგუნია იყო ურარტუს მეფის არამის ციხე), დაიმორჩილა და დაბრუნდა.

მეორე ლაშქრობისას (857 წ.) იგი ჯერ მიდის ხეთას, მერე ტავრის გზებით შედის ენზის ქვეყანაში და იქიდგან არზანს, იპყრობს სუხმის ქვეყანას, გადადის დაჟანთა მხარეს და იქიდგან ურარტუს და ცდილობს დაიპყრას ამ ქვეყნის მეფის არამის სატახტო ქალაქი არზაშკუნ ანუ არზაშკუ. მაგრამ მას ვერ იპყრობს, ერითიას მთაზედ სდგამს თავის ანდალმას და იღებს ქალაქს არამალის (არამული—არამის ქალაქი).

844 წ. სალმანასარი კვალად მიდის ნაირს, მიაღწევს ურარტუს ქალაქებამდე, საცა, 12 წლის ამის შემდეგ, შეხვდება აქაურს მეფეს სედურს. მისი წარწერა გადმოგვცემს: „მე წარვგზავნე ჩემი ლაშქარი ურარტუს. ჩემი ამირსპასალარი დაეშვა ბიტ-ზიმანს და ამაშტუბის გზით გადავიდა არაზს. სედურმა, ურარტუს მეფემ, შეიტყო ესა, მიენდო თავის მრავალრიცხოვან რაზმს და წარმოდგა წინ საომრად და საბრძოლად. მე შევებრძოლე და დავამარცხე“.

ეს სედური არის იგივე სარდური I, ძე ლუტიბრისა, პირველი მეფე ბიაჲნასი. ურარტუს მფლობელობის შუაგულად მან აღირჩია ვანის ტბის ნაპირები და მისს აღმოსავლეთს კი-

დეზედ დააარსა სახელოვანი ქალაქი ტუსპა. ეს ქალაქი იდგა განმარტოებულს მაღალს კლდეზედ, რომელიც სამის მხრით მთებით იყო მოზღუდვილი და მეოთხე მხრით კი—ტბას ებჯინებოდა. ურარტუს მეფე აქ დასახლდა და მით ცხადად აღნიშნა თავისი მიზანი—სამხრეთის მხრივ განიმტკიცოს თვისი ძლიერება და ამასთანავე შეიქმნას ბატონად ჩრდილოეთისა და მოსეულ მტრისაგან უზრუნველ იქმნას.

იგი იწოდებოდა ასრე: „მეფე დიდი, მეფე შემძლებელი, მეფე მსოფლიოსი, მეფე მეფეთა, მეფე, რომელსაც მოხარკეობენ ყოველნი მეფენი“.

სალმანასარ II მოადგილეების შამში-რამმანს (825—812) და რამმან-ნირარს (812—783) ნაირს შესევა ჰსურდათ, მაგრამ ამ ქვეყნის ერნი წინააღუდგნენ. მეამბოხეთა შორის იყვნენ აგრეთვე ქვეყნები ხირსინა, იშპინა, მანა და სხ.

სარდურის შემდეგ ნაირს მეფობდა იშპუინი და მისი ძე მენუა. ამათ წარწერებიდამ ჩანს, რომ ადგილობრივი უმთავრესი ღმერთი ჭალდი იმყოფებოდა ბიაჲას ანუ ბიაჲნას. თვისი ღმერთები ჰყვანდათ აგრეთვე ქალაქებში: არდინის, კუმენუს, ტუსპას, არსუინის, ერიდიას, ბაბანის, ატკანას და სხ. იშპუინის სურვილი იყო თვისი სახელმწიფო გაეერთებინა არათუ მარტო პოლიტიკურად, არამედ საერო სარწმუნოებრივის მხრითაც.

იშპუინმა განითქვა სახელი მითაც, რომ თვისს ურარტულს ენაზე განაწყო ასურულ-ბაბილონისებური სამწერლო ნიშნები.

მისი შვილი მენუა თავისს წარწერებში უმეტესად მოგვითხრობს ცნობებს თვისს ნაშენობათა. შესახებ და გაკვრით მოიხსენიებს გალაშქრებას ხეთელთა ქვეყანას, რომელთაც წაართო ქალაქი გუპანი, დიაუხინს (დაჲანს), რომელიც დაიმორჩილა, ერია-ს, მელიდას, ალზინს.

არგისტი მენუასძემ ასურთა ძლიერება ძირს დასცა. არგისტიმ ვანის კლდეზე დაგვიტოვა უდიდესი წარწერები. ეს წარ-

წერები მაჩვენებელია ალაროდიელთა მოდგმის უზენაესობისა წინა აზიაში. არგისტის ძლიერებისა და მპყრობელობის გამო ასურეთი მეტისმეტად დასუსტდა და ამიტომაც აქ მოხდა აჯანყება (746 წ.). დაუძინებელმა მტერმა წაჰგლიჯა მას ჩრდილოეთის მხრის ქვეყნები და ზოგიც სამხრეთის მხრისა და განმტკიცდა ევფრატზე. კიდევ ერთი ძლევამოსილობაც და მსოფლიო ისტორია სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა: მაშინ ბიბლიის მატიანეები მოგვითხრობდენ არა თიგლათფალასარისა, სალმანასარისა, სარგონისა, სენნაქერიმისა და სხ.. ლაშქრობას ქვეყანასა ისრაელისა და იუდისასა, არამედ არგისტისას, სარდურისას და ურარტის სხვა მეფეებისას. ჩრდილოეთს გაძლიერებული ურარტის სამეფოს ძალა საკმაო იქნებოდა წინ გადაჭლობებოდა მოძრაობას არიელებისას, კიმმერიელებისას, სკვითებისას, და მსოფლიო ისტორიის მსვლელობა სულ სხვა იქნებოდა. გარნა ეს ასრე არ მოხდა. ასურეთი, ეს მძინარე დევი, მოელოდა მოხერხებულ შემთხვევასა და განძრევას, რომ გაეღვიძა მასში ახოვნებასა და აღფრთოვანებას. და ამისთანა შემთხვევა მისცა მას თიგლატ-ფალასარ II-ეძ, რომელიც გამეფდა 745 წ. იგი შეესია ურარტუს.

არგისტის შვილი სარდური II დაუხვდა მტერს, გარნა იძლია: 72,950 კაცი დაატყვევა მტერმა და სარდური კი გაიქცა.

735 წელს მტერმა ისევ გამოილაშქრა ურარტუს, შემუსრა ურარტის სამეფო, გარდა ქალაქის ტუსპისა, საცა მაგრობდა სარდური, შემდეგ წავიდა ფინიკიას, დაიპყრა იგი, აგრეთვე ისრაელთა და იუდიელთა სამეფოები, დაანგრია დამასკო და შემოიქცა ბაბილონს.

731 წელს თიგლატფალასარმა დაამარცხა 23 მეფე და მათ შორის კოლხთა მეფე დადილი და ვასსამი ტიბარენელი (ტბელთა მთავარი).

15 წლის შემდეგ ურარტუს მეფემ ურსამ შეჰყარა დიდძალი ლაშქარი ასურეთის დასაპყრობად. გარნა გენიოსმა ალარ

დააცალა: ცალკ-ცალკე დაეცა მის მომხრე თემთ და შემუსრა.

პირველად შემუსვრილ იქმნენ ტაბალნი კათბადუკიას და იგინი მტერმა გადაასახლა სხვა ქვეყანას. ტაბალნი ალაროდიელნივე იყვნენ. შემდეგ შემუსრვილ იქმნა ხეთელთა სახელმწიფო და მერე მანა, საგართი *), ელიპი და სხ. მათ საშველად გამოვიდა მეფე ურსა, გარნა დამარცხებული უკანვე გაბრუნდა. 714 წელს სარგონი დაეცა მუსასირს, ურარტუს წინაკარს, აიღო იგი და აოხრა. მეფე ურსამ, რომელმაც დაჰკარგა თვისი უკეთესი მომხრეები და აგრეთვე ნაციონალური ღმერთები, თავი მოიკლა.

713—711 წლებში ამ მეფემ სრულიად დაანელა ალაროდიელთა მოძრაობა. ასრე დასრულდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ასურთა და ურარტუს ტომთა შორის. სკიპტრა მსოფლიოს მონარქიისა დაშთათ ასურთ. მათ მიერ დამარცხებული ურარტის მოდგმა დასუსტდა, დაძაბუნდა, მაგრამ არც ასურეთი მუშაობდა თავისთვის. შემუსრა-რა ძლიერება ჩრდილოეთის ერთა, ამით მან ააჩქარა თვისი დამარცხებაც, რადგან ჩრდილოეთის გზა გასწმინდა შემოსასევად კიმმერიელთა, სკვითთა და არიის ბოგანო ხალხთა. ამათი ტალღა ჩრდილოეთის მხრიდგან თავისუფლად დაეშო ასურეთის მიჯნებისკენ და ხელი შეუწყო მონარქიის დაცემას. სამკვიდრებელი-ლა მისი ქალდეველებმა გადასცეს სპარსებს.

ურარტუს მეფეები: არმი (860—844), სედური (სარდური), ურსა, მენუა, არგისტი, სადური (645 წ.), ურსა II (635 წ.).

აქ, ჩვენის ფიქრით, ურსა იგეთივე ეპონიმია, ვით ქართლოსი (ქართლისი), უფლოსი (=უფლისი) და სხ. შეადარე: სვან. ოთარ-შა=ოთარისა, დადიან-შა=დადიანისა, „დადიან-შა გიმ"=დადიანის მიწა. მაშასადამე, ურ-სა=ურ-შა=ურისა (ურის მეფე). სადური თუ ზადური!

---

*) ამ საგართის (საქართის, საქართველოს) მეზობლად იყვნენ ზემოხსენებულნი კადუსნი, კასპნი, გელნი, ჯორჯანნი (ვირკანნი).

თავი III.

საქართველოს განწყობილება ახლად დაარსებულ სახელმწიფოებთან.

1. მე-VII საუკ. ქრ. წ. მდინარე ვოლგასა და კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირებზე გამოჩნდა ველური და მებრძოლი ერი—ხაზარი ანუ ყივჩაღი (ყიბჩაყი). ხაზარები საზრდოობდენ მწყემსობით, უფრო კი ძარცვა-გლეჯით. იგინი მიესივნენ ლეკებს. ამათ შეელა ითხოვეს ყველა თარგამოსიანთაგან. მაშინ ქართლოსის ძმას კავკასოს წილ-კერძის მფლობელად იყო ძურძუკი. მოძმე ლეკების თხოვნა შეისმინეს ყველა თარგამოსიანებმა: გარდავლეს კავკასიონი, ხაზარების საზღვრები აიკლეს, ხაზარეთის ნაპირზე ააშენეს ციხე-ქალაქები მოსაგერებლად ჩრდილოეთის ველურებისა, და დაბრუნდნენ. მაგრამ ამ ციხე-ქალაქებმა ქვეყანა ვერ იხსნეს განსაცდელისაგან. ხაზარებმა წინამძღოლად დაიდგინეს ჩინებული მეფე, ზღვის-კარით (დარუბანდის გზით) ჩამოეშვნენ სამხრეთისკენ, შეცვივდენ სომხეთსა და მიდიას, დაარბიეს არარატ-მასისის ქალაქები, შემოებრძოლნენ ქართველებსაც, მაგრამ ვერ აიღეს თუხარისი (აჭარაშია), სამშვილდე, მტკვრის-ციხე (ხუნანი) და ვერც დაიპყრეს ქართლი და ეგრისი. ხაზარები მალე მოედვნენ მთელს ჩრდილოეთ კავკასიასაც, დაიჭირეს არაგვისკარი (დარღალანი), გაახშირეს ლაშქრობა, რბევა და ოხრება საქართველოისა და მის არემარესი.

ხაზართა ძლევა-მოსილ მეფეს ჰყვანდა შვილი—უობოსი. ამას მამა მისმა მისცა ტყვენი სომხეთისა და ქართლისა და დაასახლა ქართლოსის ძმის კავკასოს წილში—ლომეკის (თერგის) დასავლეთით, კავკასიონის გაყოლება აზოვის ზღვამდე. ამ ნასახლარიდამ წარმოსდგაო, შენიშნავს მემატიანე, ნათესავი ოვსთა და ქვეყანა ოვსეთი.

ძურძუკი, უწარჩინებულესი კავკასოს შვილთა შორის,

ველარ გაუმაგრდა უობოსს, მამის ნაწილიდგან აიყარა, წამოვიდა აღმოსავლეთისკენ, დაესახლა კავკასიონის ნაპრალებში —ძურძუკეთს (=დურძუკეთს) და თავს იდვა ხარკი ხაზართა მეფისა.

ამავე დროს იმავე ხაზართა მეფემ თავის მამის ძმისწული დაასახლა ლეკოსის ნაწილში—კასპიის ზღვითგან ლომეკამდე (თერგამდე) და მისცა მას ტყვენი რანისა და მოვაკნისა.

ხოლო ხოზანიხი, რომელიც უწარჩინებულესი იყო ლეკოსის ნათესავთა შორის, იძულებულ იქმნა ბარიდამ აყრილიყო და შესულიყო მთის ნაპრალებში (შუა დაღისტანს). აქ მან ააშენა ქალაქი—ხოზანიხეთი.

ამ მოთხრობით ჩვენს მემატიანეს კავკასიის ერების ჯგუფში შემოჰყავს ახალი ხალხები—ოვსნი (უობოსნი!), ყივჩაღნი ღ ხუნძნი (ხოზანიხი=ხუნძახი შუა დაღისტანში).

ხაზართა შემოსევა ჰე შმარიტი ამბავია, „სკვითთა შემოსევად“ ცნობილი. სკვითთა (ხაზართა) მეფე მაშინ იყო მადიასი, რომელმაც დაამარცხა რა კიმვრნი, მცხოვრებნი ჩრდილოეთ კავკასიისა, კავკასიის მთებით შემოიჭრა მიდიაში (625 წ. ქრ. წ.) და 18 წლის განმავლობაში გათელა მთელი წინა-აზია.

თვით სახელი ხაზარი ოსური სიტყვაა და ნიშნავს სახლს. ალბად ეს სახელი ამ ხალხს (ხაზარებს) დაერქვა მის შემდეგ, როდესაც ოსებმა დაიმორჩილეს, მაწანწალაობიდგან ხელი ააღებინეს, ერთ ადგილას დაასახლეს და დახარკეს. აბოს ცხოვრება ხაზარებს მაგოგის შვილებად ჰხადის და ხაზარეთს მაგუგეთს ეძახის.

თვით ოსებს (მეგრ. ოფსი=ოვსი=სვან. სავ) წინად ერქვათ მასსაგეტი (ოსურად მასსიგთე—კოშკოვანნი) და მერე—ალანი ანუ ჰალანი. თავიანთ თავს იგინი უწოდებენ ირ, ხოლო ქვეყანას—ირონ. ალბად, იგინი არიან არანიდამ (რანიდამ) წასული ახალშენები—არანები=ალანები. მათს ენას ემჩნევა ქართული ენის გავლენა. ამით თუ აიხსნება თქმულება

ბერძენთ მწერლისა, რომ ალანნიც ივერნი (ქართველნი) არიანო. ალანია ერქვა აგრეთვე სამურზაყანოსა, აფხაზეთსა და სვანეთ შორის მდებარე კუთხეს. აქ ახლაც მოსახლეობენ ქართველები—ალანიები.

უობოსის (ოფსის) გამოჩენამდე, ალბად, ქართველებიც ოსებს უწოდებდენ ალანს. ამგვარ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს თავდაპირვანდელი სახელი დარიალისა—დარღალანთკარი: ოსურად (ალან-ურად) დარღ ნიშნავს გრძელს. მაშასადამე დარღ-ალანთ-კარი· ყოფილა ის გრძელი და ვიწრო ხეობა-გასავალი, რომელიც ითვლებოდა აზიისა და ევროპიის შემაერთებელ ერთ უმთავრეს გზად. ამ გზის ჩრდილოეთის კარი ეპყრათ ალანებს და დასავლეთისა—არაგვის-კარი—ქართველებს.

არის ცნობა, რომ თვით ზღვისკარსაც (კასპიის კარს) ერქვაო ვირა-ფარახი (სომხურად: ივერთკარი, ივერიის ზღუდე). კასპიის კარიდამ დაწყობილი მაღალი ციხე-სიმაგრე შემოდის საქართველოში მთელის 360 ვერსის მანძილზე.

სპარსეთი და მიდია. ცნობები შესახებ სპარსელებისა ჩვენს მემატიანეს ამოუღია „სპარსთა ცხოვრებიდამ“, რომელშიაც, როგორც შენიშნავს იგივე მემატიანე, ყოფილა „არა ყოველი მართალი, არამედ უმრავლესი ტყუილი“. რა წიგნი იყო ეს „სპარსთა ცხოვრება“, არა სჩანს. მოგვყავს აქ მოკლე ცნობები ქართ. ცხოვრებიდამა და შჯნამედამ, რომელიც შეადგინა ფირდაუსიმ მე-1000 წლ. ქრ. შ.

შჯნამე ქართლ. ცხოვრება.

1. კაუმურსი იყო კაცობრიობის წინაპარი. მან პირველმა დაიდგა თავზე გვირგვინი და სამეფო სარტყელი შემოირტყა. მისი შვილი სიამეკი დევებთან ბრძოლაში დაიღუპა. ეს დევები ბოროტს არიმანს გამოეგზავნა.

გუშანგ სიამეკის ძემ დაამარცხა დ·ვები, ცეცხლის დასაკვესებელი ხერხი მოიგონა, ცეცხლს აღუგო საცეცხლე. მის მოადგილე თამურაზმა დააწყნარა დევები, ერს ასწავლა ქსოვა, რთვა, მღერა, ხედნა. გამეფდა ჯიმშედი, რომელმაც უბრძანა ერს მაღმერთეთო.

(„ნებროთიანით“ ცეცხლი ციდან ჩამოიტანა ნებრ·თ-გმირმა. ბერძენთა ლეგენდით ეს საქმე მოიმოქმედა პრომეთეოსმა, რომელიც ამის გამო კავკასიონზე მიმსჭვალა ღმერთმა).

2. ერი განუდგა ჯიმშედს და მეფედ გამოაცხადა უცხოელი ზოჰაკი, მეკობრე ბელზებულისა. ჯიმშედის შვილი ფერიდუნი მის შიშით დაიმალა ელბორსის მთებში და იქ იგი გამოკვება ძროხამ—ფურმაჲი-მ.

აფრ·დონმა დაიპყრა ერანი და სხვა ქვეყნები და ყველგან თვისნი კელადნი დაადგინა. საქართველოში ერისთავად გამოგზავნა არდამი. მან ასწავლა ქართველებს ქვით, კირით შენება. ააშენა „ზღვის კარი“ და დაარქვა დარუბანდი.

16 წლის ფერიდუნი ჩამოვიდა მთიდამ, დაამარცხა ზოჰაკი (აშდაკი), შეჰკრა იგი და მიაბა მთის დემავენდის გამოქვაბულში. ზოჰაკმა მეფა 1000 წელიწადი.

აფრიდონმა შეჰკრა ბევრასპი, გველთა უფალი, და მიაბა მთასა კაცთა შეუვალს.

ი ფერიდუნმა იმეფა 500 წ. თავისი სამეფო ჩააბარა სამს შვილს—სელმს, ტურს, ირეჯს.

თავის შვილს იარედს აფრიდონმა ჩააბარა ერანი და საქართველო.

4. აფრასიაბი (ფრანჰარშა), ტურის ჩამომავალი და თურანის მეფე ამარცხებს მოწინააღმდეგეთ და აღმართავს ალამს ჯემშიდის ტახტზე.

ძლიერდება ქეკაპოსი, ლეკეთს გალაშქრება უნდა, მაგრამ ვინმე გრძნეული, ხოზანიხის შთამომავალი, აბრმავებს მას. ქეკაპოსი ხარკს ადებს ქართველობას, მაგრამ როდესაც მიდის თურანელების წინააღმდეგ, ქართველები და ყველა თარგამოსიანნი თავისუფლდებიან სპარსთა უღლისაგან. ქეკაპოსი მათ წინააღმდეგ გზავნის ფარშოროტს, მაგრამ ამარცხებენ.

ე. გმირი რუსტემ, ძე სალისა და რუდაბესი, ამარცხებს აფრასიაბს და ამეფებს კაიკაბადს (კავაკავადს), ფერ·დუნის ჩამომავალს. რუსტემი გმირულად იცავს ერანს კავუსისა (კაიკავუს), კავასიავარეშისა (სიავაკუშ) და კაიხოსროს ჟამსაც.

6. არიმანი ებრძვის გმირს რუსტემს; მის ძეს ზორაბს, რომელიც თურანში დაიბადა, მამის წინააღმდეგ გზავნის. მამა ჰკლავს მას. დიდად სწუხს რუსტემი, როცა ზორაბს თავის შვილად სცნობს.

(ყველა ეს უფრო დაწვრილებით, ვიდრე შაჰნამეშია, ზეპირ გადმოცემით იცის ქართველმა ერმა. „ქართ. ცხ.“ კი ამის შესახებ არას ამბობს).

7. სიავუშს რუსტემი ასწავლის საგმირო საქმეებს. სიავუშის წინააღმდეგია რუდაბე. სიავუში თურანს განივლტის აფრასიაბისას, მაგრამ ამის ძმა ჰკლავს მას. რუსტემი შედის თურანს და ჰკლავს აფრასიაბს.

საქართველოში მოდის ქაიხოსრო, ძე შიოშ ბედნიერისა, თურანს მოკლულისა. იგი ამარცხებს ქართველებს, აოხრებს ბევრ ქალაქებს და დაბრუნებისას ადარბადაგანს აშენებს სალოცავს.

8. ტახტზე ჯდება ქაიხოსრო, სიასუშ ბედნიერის ძე. იმართება დიდი ბრძოლა ერანსა და თურანს შორის. ამათ შველიან ბევრი სხვა მეფეები: ქაჯნი, ხაზარნი, ალანნი. ერანელნი ჯძლევენ თურანელებს და კავკასიანთა წინააღმდეგ მიდიან, მიაწევენ კავკასიონის (ყაფის) ძირამდე და ხაზარეთამდე. ფარემუზი აოხრებს ალანთა და ღუნძთ ქვეყნებს. თურანთა მეფე უთმობს სპარსებს ბალხს, ალანიას, დევისტანს და მთას ყაფისას.

ქაიხოსრო ლაშქრით შედის თურანს: ჰსურს მამის სისხლი აიღოს. ქართველები თავისუფლდებიან სპარსთა უღლისაგან.

ამავე დროს გურგანის ზღვის მხრიდან შემოდიან საქართველოში ბუნთურქნი, ლტოლვილნი ქაიხოსროსაგან, სულ 28 სახლი. იგინი ქართველებს აღუთქვამენ შემწეობას წინააღმდეგ სპარსთა. ეს თურქნი (თურანელნი) მაგრდებიან სარკინეთს, ურბნისს, უფლისციხეს.

9. მეფდება ვაშტაშაბ და ამ დროს შემოდის ახალი სჯული ზარატუსტრისა. აფრასიაბ თურანელის შვილის შვილი აჯასპ ამ სჯულის წინააღმდეგია და შედის ერანში. შპენდიდად ვაშტაშაბისძე ამარცხებს მას.

შემოდის საქართველოში სპანდიათ—რვალი, ძე ვაშტაშაბისა. ადარბადაგნიდგან ბრუნდება, აცნობებენ რა თურქნი სპარსეთს შეესივნენო და პაპა მოგიკლესო.

სია ამ ლეგენდალურ მეფეებისა.

შჯნსმე-თი	„როსტომიანით“	ქართლ. ცხოვრ.
კაჲმორს		
სიამეკ		
ჰუშანგ		
თაჰმურაზ		
ჯიმშედ	ჯიმშედ	
ფრიდუნა	ფრიდონ	აფრიდონ
სელმ, ტურ, ირეჯ	ერაჯ	იარედ *)
მინოჯერ	მანუჩარ	
კაჲკუვად	კაჲკუვად	
კაჲკაუს	ქეკაოზ	ქეკაპოს
სიავაკუშ		
ფრავარშა		ფარშოროტ
სიავუშ	სიოშ	შიოშ ბედნიერი
ქაიხოსრო	ქაიხოსრო	ქაიხოსრო
ლოჰრასპ	ლუარსაბ	
გუშტაშაბ	გოშტაშაბ	
(ვაშტაშაბ)		ვაშტაშაბ
შპანდიდატ ჯავშნიანი	სპანდიატ-რვალი	სპანდიატ-რვალი
რუსტემ (გმირი)	როსტომ	
აფრასიაბ (თურანელი)	ბაამან	ბაამან არდაშირ.

უკვე აღვნიშნეთ ბეროლოტეს სიტყვები, რომ მიდიას ძველისძველად არია ერქვაო, ხოლო როდესაც აქ მოვიდნენ კოლხეთის მეფის აიეთის ასული მედია, ამის ქმარი იაზონი და შვილი მიდი, მაშინ ამ ქვეყანას დაერქვა მიდია ანუ მედიაო.

*) ქართლის ცხოვრებით, აზო, მცხეთის მეფე, იყო ძე იარედოსი (იხ. ქვემო).

ქვემოთაც გვექნება შემთხვევა შევამოწმოთ ჱეროდოტეს ნათქვამის სიმართლე, ხოლო აქ კიდევ აღვნიშნავთ ფრ. ლენორმანის სიტყვას. იგი ამბობს: არიელნი (იაფეტის ჩამომავლობა) წინად ცხოვრობდნენ აზიაშიო. ამათგან კელეტნი გავრცელებულიყვნენ მერვ-ჰირკანიამდე. შემდეგ მათ შემოუარეს კასპიის ზღვას სამხრეთის მხრით და შეჩერდნენ კავკასიონის ძირობაზე, ივერიასა და ალბანიაში. მაგრამ აქ დიდხანს ვერ დარჩნენ. მათ მოაწვნენ **ერანის ახალშენი ქართველები,** გამოსულნი სომხეთის მთების გადაღმიდამ, და აგრეთვე ნათესავნი, მოსულნი ჩრდილოეთიდამ, და იძულებულ ჰყვეს გადაელახათ კავკასიის მთები და წასულიყვნენ ევროპაში. არიელთა გადასახლება და ერანელთა დასახლება კასპიის ზღვის მხარეს, ლენორმანის გამოკვლევით, დაიწყო, დაახლოებით, 3000 წ. ქრ. უწინარეს. ამ ხანს ცხოვრობდაო ზემოხსენებული ჯიმშედი.

ერანელთა შორის ადრევე გამოჩნდა ბრძენი ზერდუშტი (ზოროასტრი), რომელმაც შემოიღო ახალი სჯული. მან ყოველი ღვთაება დაუმორჩილა ორს უმაღლესს ღმერთს: კეთილს—ჰურა-მაზდას და ბოროტს—ანგრომანიუსს. პირველს დაუკვემდებარა ბუნების მაპიროვნებელი კეთილი ღმერთები, მეორეს—ბოროტი ღმერთები. უპირატეს საქმედ მან გამოაცხადა სამსახური ბუნების ღმერთებისა და ბრძოლა ბოროტ ძალთა წინააღმდეგ. ერი მზის პატივსაცემლად და მისთვის მსხვერპლის შესაწირავად ძველებურადვე ადიოდა მზით განათებულს მთის მაღალს მწვერვალებზე და სამსხვერპლოზე ასხამდა „ჰაომის“ წვენს, „გამამაგრებელს“, „უკვდავების მომცემელს“. წინანდელებრ თაყვანს სცემდა ცეცხლს, მიწას „მომთმენს“ და „მორჩილს“, წყალს, წმინდა მთებიდგან მომდინარეს, გამანაყოფიერებელს მინდვრისას, შეიარაღებულს სეროშს, დღის თანამგზავრს, ღამის მოჩვენებათა განმდევნელს. უკეთეს სახსრად ბოროტ ძალთა დასაძლევად გამოაცხადა ზნეობრივი წმინდა ცხოვრება, შემუშავებით განაყოფიერება მიწისა, დახოცვა მავნებელ ცხოველებისა, ზომების მიღება წინააღმდეგ ზამთრის სისასტიკისა, უდაბურ ადგილებისა და ჭარიშხალთა; სიმართლე და პატიოსნება დაევალა კაცს, აგრეთვე დაცვა სულისა ცოდვისაგან და ლოცვითა და განწმენდით სინათლის ღმერთისადმი მისწრაფება, დაახლოვება.

სახელდობრ რა დროს ცხოვრობდა ზოროასტრი, არ იციან. ზოგი ამბობს 5000 წლით უწინარეს ტროადის აღებისაო, ზოგი 6000 წლ. უწინარეს პლატონისაო, ზოგი 6000 წლ. უწ. დარიოზ I-ისაო, ზოგი მე-VI საუკუნეშიო, კვიროსის ჟამს. ლენორმანი კი ჰფიქრობს XXV—XXI ს. ქრ. უწინარესო.

მთელი „არიელობა“ მიდიისა და აქაური ბინადარი ერი ეშორჩილებოდა ბაბილონსა და ქალდეას, მერე ასურეთს. ლენორმანის სიტყვით, ჯერ ისევ მე-IX—VIII ს. აქ ცხოვრობდნენ მოსხნი, ტიბარენნი და თურანელნი და ამის შემდეგ კი დამკვიდრდნენ არიელები. მხოლოდ 736 წ. ქრ. წ. მიდიამ მოიპოვა თავისუფლება და დაისვა საკუთარი მეფე, დეჱოკი. ამ დეჱოკმა ორონტის სადგეთო მთაზე ააშენა დიდი ქალაქი ეკბატანი (აგბატანი) და აღმართა კერპი ანაჰიტა არდვისურის წმ. წყაროზე. გამეფდა მისი ძე ფრაორტი და უფრო განავრცო სამეფოს მიჯნები სპარსთა შემომაგრებით. სპარსნი შესდგებოდნენ შვიდ თემისაგან და ფრაორტმა ამათ უფროსად დაუდგინა ახემენიდი (ჰაქმანისი). ასურელებმა დაამარცხეს ფრაორტი რაღა ქალაქთან... ტიგლატ-ფალ-ასარის (745=727 წ.) წარწერებით, მიდია რომ დაიპურა ამ მეფემ, აქ ნახა მრავალი თემები, რომელთა უფროსებად მამასახლისები იყვნენ. შემდეგ ფრაორტისა გამეფდა მისი ძე ციაქსარი (633—593 წ.). ამის მეფობაში მიდიას შემოესივნენ სკვითები (ზემოხსენებული ხაზარები) მადიასის წინამძღოლობით. ეს სკვითები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგასა და დონს შორის. დიდხანს იგინი ტრიალებდნენ კავკასიის ღელე-ყურეში და 625 წელს მიესივნენ მიდიას და აიკლეს თითქმის მთელი მცირე აზია. იგინი ონავრობდნენ აქ 18 წლის განმავლობაში და მერე ზოგი მათგან გასწყდა მიდიელებთან ბრძოლაში და ზოგი სომხობლოშიეე დაბრუნდა.

606 წელს ციაქსარმა სხვა მეფეების დახმარებით აიღო ნინევია. ციაქსარის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ასტიაგი, რომელიც უზრუნველად ცხოვრობდა ეკბატანას. იგი ჩამოაგდო ტახტიდგან კვიროსმა (558 წ.) და ამან დაიპყრა სპარსეთის სახელმწიფო კაღუზთა, ჰირკანელთა და მათ მეზობლების დახმარებით.

დამსკელი ამბობს: „მაშინ (მიდიის მეფის ასტიაგის ჯამს), კადუსთ მტრული განწყობილება ჰქონდათ სპარსეთის ხელმწიფესთან. მათ მამფალად იყო ოხოფერნი. ამან უღალატა თავის ერს, მიემხრო სპარსთა მეფეს. მოციქული ახლა ასტიაგს და სთხოვა, ვინმე სანდო კაცი გამომიგზავნე, მოველაპარაკო, როგორ გადმოვიდე თქვენს მხარესო. და მან გაუგზავნა კვიროსი მის დასახმარებლად. ხოლო კვიროსმა ხელშეკრულობა დასდო ოხოფერთან და კადუსნი წაიყვანა წინააღმდეგ ასტიაგისა".

ასტიაგმა შეჰკრიბა დიდი ჯარი, მაგრამ კვიროსმა შემუსრა მისი ძალა და თვით ასტიაგი დაატყვევა. ასრე დასრულდა მიდიელთა თავისუფალი ცხოვრება 558 წელს ქრ. წ. და დაარსდა ახალი სამეფო, სპარსეთი.

დანაშთენი ძლევამოსილობაც კვიროსს ერგო იმავე კადუს ჰირკანელების დახმარებით. კსენოფონტეს „კიროპედია"-ში ვკითხულობთ:

გამეფების შემდეგ კვიროსმა მოინდომა გაელაშქრა ასურელთა მეფის წინააღმდეგ. მოიწვია ჰირკანიის მეფე და ჰკითხა:

„მითხარ, ასურთა მეფე მარტო შენ გთვლის მტრად, თუ სხვაც ჰყავს მტერი?".

„უპასუხა: „უამრავი და ვაშკაცი მოდგმა კადუსთა უკიდურესი მტერია მისი, აგრეთვე ჩვენს მეზობლებს საკებს დიდი უბედურება დაატეხეს, რადგან მათი დაჰყრობა უნდოდათ".

„თუ ეგრეა—ეუბნებოდა კვიროსი—გწამთ რომ იგინი ჩვენთან ერთად გაილაშქრებენ წინააღმდეგ ასურთა მეფისა?".

„დიდის სიხარულითო", მიუგო ჰირკანიის მეფემ.

მოლაპარაკების შემდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს კადუსთ, საკთ და ჰირკანელთ. კადუსთა ჯარი „ჰელტასტი" იყო 20,000 და ცხენოსანი 4000, საკთა ქვეითი ჯარი იმდენი იყო, რამდენიც შეეძლოთ სათმრად გამოეყვანათ.

ლაშქარი მიდიოდა ამ რიგად: ხრისანტს მიჰყვებოდა ჯავშნიანი მეომრები, მას მიჰყვებოდნენ: არტავაზი სპარსთა ჰელტასტებით და მეისრეებით, ანდამია—მიდიის ქვეითი ჯარით, ემვა—არმენიის

ლაშქრით, არტუხი,—ჰირკანიის ჯარით, თემურაზ—სპეებით, დაო თამი—კაზუსიებით.

რომ მართლაც კვირაობსა და სომეხთ მეფეს ქართველები დაჰხმარებიან ასტიაგთან ბრძოლაში, ეს სჩანს ქორენელის სიტყვიდამაც. იგი სწერს: „სომხის მეფემ შემოიკრიბაო ლაშქარი კათბადუკიიდამ, კაპადოკიიდამ და ალბანიიდამ და ყოვლის თავის ძალღონით მიესიაო მადიის მეფე აჟდახს“ (ასტიაგს).

თეიმურაზ ბატონიშვილს დიოდორ სიცილიელიდგან გადმოუთარგმნია შემდეგი საყურადღებო ცნობა (გვ. 100—101): „მიდთა მეფე იყო არსეი. იგი გადაემტერა პერსითს. ეს 4,000 კაცით განიელტო კადუზიანთ ქვეყანას, რომელსა ეწოდების ივერია. პერსითის და ცოლად ჰყვანდა აქაურს მამასახლისს. პერსითმა განამხნო ქართველნი, რათა არ დაეშორჩილნენ მიდელთ, რომელთაც მათი დაპყრობაც უნდოდათ. ქართველთ სპასპეტად ამოირჩიეს პერსითი. ამან შეკრიბა საქართველოში 200000 მეომარი და მიდიას საზღვარს წაიყვანა. არსეი არბაკისძე 80,000 მეომრით დაუხვდა. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. მიდელნი იძლივნენ. ქართველებმა მათ მოუკლეს 50,000 კაცი.

ამ კადუზთა შესახებ „დილარიანი“ გადმოგვცემს: „მოვიდა განსადიდებელი ძლიერებითა და გმირთა გმირი დიდი იგი მეფე კადუზიანთა ფარსმან უთვალავ ფალავანთა დასებითა და მრავალ ხელოვნებათა მცოდნე რაზმებითა, რომელთაგან გაფრთხილება დიდად სახმარ არს. ახლავან ყმანი თვისნი ბრუტოსის მთისა და მის კერძოთა მთათა მოსახლენი გმირნი ვითარ ხუთასი ათასი, რომელთა საბრძოლველად უპყრიათ დიდ დიდთა ძელთა მსგავსნი რკინანი და თუმცა მთასა ბალბასისათა დაუშინონ, მასცა ძირითურთ დაჰფშვნეტენ, და საზრდელად მათდა არს თვით კაცთავე ხორცი საჭმელად. კვალად ახლავან ყმანი თვისნი კოლხეთისა კერძოსანი და საგაბუნოჲსანი, რომელთასა ესრეთსა მპარაობასა იტყვიან, რომე რაჲცა უნდესთ, დღისით მზისით ესრეთ მოიპარენ, რომე ვერა სადა ვინ სცნასო. სიმრავლე მათი არა შეიგების, ყოველნივე არიან

გმირნი და, თუ ჰსთქვა, კაცთა არად შემრაცხნი და იტყვიან-ცა—ჩვენდა საჰმელად მოცემულ არიან ყოველნი კაცნიო. უბნობენ, რომე თვით მეფე მათი იყოს უძლიერესი ყოველთა ნამყოფთა და აწმყოთა ხელმწიფეთა და გმირთაგან; ყმა კაცი არს, გულ მყარი და მკლავ მტკიცე და უკეთილესისა სახისა მექონი. მე მონასა კელმწიფებისა თქუენისასა მშვიდობისა სიტყვითა მთხოვა ძლიერმან მეფემან ფარსმან გზაჲ, და ბრძანებისამებრ თქუენისა მივეც ნებაჲ. ესერა გამოვლეს ქვეყანა ჩემი და მას გვირაბისა პირსა მოვიდნენ. ესვენ ღმერთებად რასმე სახელდებულთა არმაზ და ზადენს, გაციმ და გაიმს და ცეცხლსაცა თაყუანის ჰსცემენ"... სხვა ადგილას ნათქუამია, რომ ფარსმანი ქართლოსის სჯულის მეფეაო.

კვიროსის მემკვიდრეთა შორის გამოჩნდენ მძლავრი მეფეები, რომელნიც დაუპატრონდენ მრავალს სამთავრო-სამეფოებს. ეს სამეფო-სამთავროები დარიოზმა (514—510 წ. ქრ. წ.) გაჰყო 19 სატრაპიად (საერისთაოდ) და ხარკად დაადო 14,560 ტალანტი (დაახლოვებით 662, 382, 928 ფრანკი). მარტო ქართკელოდგან დარიოზს ხარკად შესდიოდა 500 ტალანტი (იერია-ალვანიიდამ 200 ტ., მესხებისა, ტიბარენებისა (ტაბალებისა), მაკრონებისა (მეგრელებისა) და მოსინეკებისაგან 300 ტ.). ამას გარდა საგ ‘ითია მის მეზობლებით ხდილობდა 600 ტალ., სომხეთი—400 ტალან. კოლხნი და მათნი მეზობელნი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, თავის ნებაყოფლობით, სპარსეთში გზავნიდნენ ას-ას ჰაბუკს და ას-ას ახალგაზდა ქალს.

ამ ცოცხალ „ხარკს" არ შეეძლო კეთილად არ ემოქმედნა სპარსელებზე და დროთა გახშავლობაში არ შეეცვალა მათი ბუნებრივვე უშნო ელფერი. ქართველების ამგვარ ზედმოქმედებას სხვადასხვა ხალხებზე აღნიშნავენ შემდეგი დროის მწერლებიც.

თავი IV

სამეფოს დაარსება მცხეთას.

1. მეფე აზო. საქართველოში მამასახლისობის მოსპობას და მეფობის დაარსებას ჩვენი მემატიანე უკავშირებს ბერძნების გმირის ალექსანდრე მაკედონელის (336—323 წ. ქრ. წინად) შემოსევას.

ეს ალექსანდრეო, ამბობს მატიანე, გამოვიდა დასავლით, შევიდა სამხრით, წამოვიდა ჩრდილოეთისკენ, გარდმოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად. აქ მან ჰპოვა ქართველნი და შემოხიზნულნი ბუნთურქნი (ყივჩაყნი). ამ შემოხიზნულებს ეჭირათ მტკვრის პირი და ციხე-ქალაქები სარკინეთი, ციხედიდი, კასპი, ურბნისი, წუნდა, თუხარისი, ზანავი და სხ. ამათ შეებრძოლა ალექსანდრე და ექვსი თვის განმავლობაში აიღო ყველა ციხე-ქალაქი, გარდა სარკინეთისა, ხოლო ამ სარკინეთს ებრძოლა თერთმეტი თვე. მასში ისხდენ ბუნთურქები და მათი მომხრეები. ესენიც ველარ გაუმაგრდენ, გახვრიტეს ციხის ჩრდილოეთის მხრით აყუდებული კლდე, გაიხიზნენ და კავკასიონის წიაღში შეიმალნენ. ალექსანდრემ აიღო სარკინეთიც, ქართველების უფროსად დაადგინა თავისი ნათესავი აზონი, ძე იარედოსი, მაკედონელი, მისცა მას 100000 მეომარი ფროტათოსელნი, რომნი, კაცნი ძლიერნი და მხნენი, მტერნი რომისა. ეს ჯარი და აზონი მოიყვანა ქართლს, აქ დაამკვიდრა და აზონს დაავალა მსახურება მზისა, მთვარისა და ხუთის ვარსკვლავისა. ამის შემდეგ ალექსანდრე დაბრუნდა. ხოლო აზონმა ქალაქ მცხეთის ზღუდეები დაანგრია, გაამაგრა ციხეები არმაზი, არმაზის მთის დასასრულ ცხვირზე აგებული ციხე, მცხეთის-თავის ციხე და მცხეთა-მტკვრის ციხე. ესენი გაავსო ლაშქრით, ხოლო ქართლის ციხეების ზღუდეებიც დაანგრია და დაიპყრა მთელი ქართლი ბერდუჯიდგან (დებედა-წყლითგან) სპერის ზღვამდე და აგრეთვე დაიპირა ეგრისი (იმერეთი),

დაიმორჩილა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი და დახარკა ყველა ეს ხალხი.

ასრეა ქართლის-ცხოვრებით. შატბერდის მემატიანე კი გვაუწყებს:

პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი. იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხვდნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი—ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხვეულით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი იყო: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე, და ციხენი მათნი: ციხე-დიდი სარკინისად, უფლისციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრაკისა. და უკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რომელ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ეოველსა კორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს... და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა და წარვიდა. მაშინ მოვიდეს ნათესავნი მებრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი – ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთად უფლისაგან ქვეყანა სარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეკერათ. იგი, რომელ სარკითა აქვნდა, ჰრქჳან მას ხერკი.—და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ეოველსა ქვეყანისად, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვილი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთვე და დედგა სარკინესა დასავლით კერძო და დასხა ვენაკი და რუდ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუდსადთა და ჰრქჳან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე გამოიღო სარკინე: თჯთ დაუარეს და მეოტ იქმნნეს. და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა ახოად, ძე არან ქართლისა მეფისა, და მას მიუბოძა მცხეთად სუდომად, და სახედვარი დაუდვა მას ჰერეთი, ეკრისწყალი, სომხითი და ძთად ცროლისა და წარვიდა.

„ხოლო ესე ახოად წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვად სახლი და ათი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანა ჰყვანდეს კერპნი ღუთად გაცი და გაიმ. და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა ახოად, ძე არან ქართველთა მეფისად. და მოკვდა“.

ბერძენთა მწერლები ამბობენ:

ტაციტი: „იაზონი მოვიდა კოლხეთის თავისუფალ ტახტის დასაჭერად“.

იუსტინე: „თითქმის მთელმა აღმოსავლეთმა იაზონს, როგორც თავისს დამაარსებელს, დაუდგა ტაძრები და პატივი სცა, როგორც ღმერთს“.

პლინიუსი: „ალვანელნი, ამბობენ, იაზონის ჩამომავალნი არიანო“.

სტრაბონი: „იაზონმა კოლხეთიდგან შემოიარა ივერია, ალვანია და ნაწილი არმენიისა და მიდიისა. ამას მოწმობენ მის პატივად აგებული ტაძრები და სხვა ძეგლები“.

ამ მწერლებს, ჩვენის ფიქრით, ვერ გაურჩევიათ ორი პირი—ლეგენდარული იაზონი (მედეას ქმარი) და აზო (=აზონი), რომლის სახელი (იასონი) ღღესაც დიდს პატივშია მთელს საქართველოში.

აზო არ იყო იაზონი. აზოს მამად ქართლის ცხოვრება ასახელებს იარედოსს, ხოლო შატბერდის ქრონიკა მის მამას არ იხსენიებს, გარნა აღნიშნავს ქვეყანას—არან ქართლს,—საცა მეფობდა იგი. კიპერტის რუქაზედ საგართი ნაჩვენებია არიანეში, ჰირკანიის სამხრეთით და აგრეთვე მიდიაში, არეზის ქვემო, კადუზთა და კასპთ ზომიჯნავედ. ეს არიანე უნდა იყოს „არან-ქართლი“. თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც სარგებლობდა შატბერდისებურ კრებულით, ცხადად ამბობს, რომ აზონი „წავიდა მამისა თვისისა მიმართ არიანესსა“. ჩვენ ვფიქრობდით, რომ აზოს მამა, მართლაც, იყო არანიო, ის არანი, რომლის შესახებ მ. ქორენელი ამბობს: „არანი, კაცი ბრძენი, სახელოვანი ინიშნება დადიანად (მეფის მოადგილედ) მტკვრის ხეობისა, რომელიც არის ქვეყანა დიდი, ჩინებული, დასახლებული. მისგან (არანისაგან) ჩამომავლობენ უტნი (უდნი!), გარდმანნი, წოდანი და გარგარნი. ეს გარგარნი მირდატის ჩამომავლობაა. იგინი ნაბუქუდურასარმა, ივერია რომ და-

არბია, გადაასახლა პონტოს“. ეს არანი ვერ იქნებოდა აზოს მამა. ამიტომ:

ა. აზოს მამა უბრალო დიდიანი კი არ იყო, არამედ მეფე.

ბ. აზოს მამა მეფობდა არა მტკვრის ხეობაში, არამედ სრან-ქართლს.

გ. აზოს მამას რომ ქართლს (მცხეთას) ემეფნა, მაშინ მეშატიანე ველარ იტყოდა: „იყო ჰირველი მეფე მცხეთას შინა აზოჲ, ძე არან-ქართველთა მეფისაჲ“.

დ. თუ სრან-ქართლი არ ყოფილიყო შორეული არიანა — საგართი (საქართი), არამედ ყოფილიყო აწინდელი ქართლი, არც საჭირო შეიქმნებოდა ამ ქართლ-კახეთ-იმერეთ-კლარჯეთის დაპერის შემდეგ აზო წასულიყო ქართლსვე, (აწინდელს საქართველოში) იქიდგან გადმოესახლებინა (სად?) ერი და მოეტანა კერპები.

ამიტომაც, ჰკუაზედ ახლოა, რომ აზოს მამა მართლაც იყო იარედოსი და ეს იარედოსი კი იგივე ზემოხსენებული იარედი *) (=ერაჯი=ირეჯი), სპარსეთის ლეგენდარულ მეფის აფრიდუნის (ფრიდუნას) შვილი. მცხეთის დაპერის შემდეგ აზო წავიდოდა არან-ქართლს და იქიდგან წამოიყვანდა დიდძალს, მაგრამ არა ყველა, ქართველობას და იქიდგანვე მოიტანდა მამა-პაპათა კერპებს — გაცს და გაიმს, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ (გვ. 49), თაყვანს სცემდენ კადუსნი.

თვით ალექსანდრე მაკედონელიც არ შემოსულა მტკვრის ხეობაში (იხ. ქვემოთ).

II. **მეფე ფარნავაზი.** მცხეთას იყო სამარა, შთამომავალი უფლოსისა. ფარნავაზი სამარას ძმისწული იყო. ალექსანდრე მაკედონელმა რომ დახოცა სამარა და მისი ძმა, ფარნავაზი ჯერ ისევ სამის წლის ყრმა იყო.

ფარნავაზი დარჩა უნუგეშოდ, მარტო დედის ამარად. საქართველოში მძვინვარებდა აზონი, ალექსანდრე მაკედონელის

*) იარედივე ერქვა მალალეილის შვილს (დაბად. 5—15).

მიერ გახელმწიფებული. იგი სასტიკად ეპყრობოდა ყველა გამოჩენილს კაცს, ხოცავდა, ჟლეტავდა. მის შიშით ფარნავაზის დედა შეივლტო კავკასიის მთებში და იქ დამალა თავისი შვილი.

ფარნავაზი ჯერ ისევ ჰაბუკი იყო, რომ წამოიყვანა დედა და მცხეთას მოვიდა. იგი იყო ახალგაზდა, გონიერი, უშიშარი მხედარი, ხელოვანი მონადირე. საზდო აკლდათ და მონადირეობით აცხოვრებდა თავის მცირე სახლობას.

დედა აფრთხილებდა შვილს: შენი ვინაობა არავის გაუმხილო, აზონმა არ შეიტყოს, ვისი შვილი ხარ, თორემ აგვიკლებსო.

ფარნავაზმა სახელი გაითქვა ნადირობით. აზონმა გაიცნო იგი, როგორც კარგი მონადირე, და შეიყვარა.

ბოლოს ფარნავაზსაც აზონის შიში შეეპარა და გადასწყვიტა გასცლოდა მცხეთას. ამ დროს იგი უკვე 27 წლის ვაშკაცი იყო. დედა და შვილი მცხეთიდგან წასვლის თავდარიგში იყვნენ, რომ ფარნავაზი გავიდა სანადიროდ დიღმის მინდორს. აქაურობა და ტფილისის არემარე ტყით იყო დაბურული. იგი შეეფეთა ირემს, სტყორცა მას ისარი. დაჭრილი ნადირი გაიქცა და კლდის ძირს დავარდა. მივიდა ფარნავაზიც, დაათვალიერა იქაურობა, კლდეში შეამჩნია ამოქოლილი კარები, გამოანგრია, შევიდა გამოქვაბულში და ჰპოვა დიდძალი ოქრო და ვერცხლი, აგრეთვე ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი. ჰაბუკს ფრიად გაუხარდა. იფიქრა: ამ განძეულით ძალას მოვიპოვებ და მამაპაპეულს ტახტს დავიბრუნებო. ჩუმათ გადაზიდა განძეულობა მცხეთას; ჩუმათვე აცნობა ეგრისის მმართველს ქუჯის ეს ამბავი, მოიმხრო იგი და სხვებიც, შეება აზონს, რომელიც ვერ გაუმაგრდა და გაიქცა კლარჯეთს. ფარნავაზმა თავი თვისი გამოაცხადა საქართველოს მეფედ, დიდძალი ძღვენი და მოციქულები გაუგზავნა ასურეთის მეფეს „ანტიოქოზს“ *), აზონისა და მის მომხრე ბერძნების მტერს, და

*) სელევკოსს.

ითხოვა შემწეობა და შეწყნარება. ანტიოქოზს ფრიად გაუხარდა, ძღვენი მიიღო, ფარნავაზი თავის შვილად გამოაცხადა, გამოუგზავნა მას სამეფო გვირგვინი და სომხეთის ერისთავებს უბრძანა დახმარებოდნენ და შემწეობა აღმოეჩინათ მისთვის.

აზონს მეშველი ჯარი მოუვიდა საბერძნეთიდამ და მეორე წელს გამოილაშქრა ფარნავაზის წინააღმდეგ. ამანაც შეკრიბა ქართველთა ლაშქარი, მოიწვია ოსნიც და მტერს დაუხვდა ჰურს ანუ არტაანს. მოხდა ბრძოლა სასტიკი. იძლივნენ ბერძენნი. მოკლულ იქმნა აზონი. ფარნავაზი ძლევამოსილობით შევიდა საბერძნეთს, ანძიაძორით და ეკლეციით უკან დაბრუნდა. მოვიდა კლარჯეთს, დაიპყრა იგიც და დაბრუნდა მცხეთას დიდად გამდიდრებული და გაძლიერებული.

ფარნავაზს ჰყვანდა ორი და. რომ მუდამ ერთგული მეგობრები ჰყოლოდა, ერთი და მიათხოვა ოსეთის მეფეს და მეორე ქუჯის. ამას დაუმტკიცა ქვეყანა ეგრისის-წყალსა და რიონს შორისი შავი ზღვითგან კავკასიონამდე, ე. ი. მთელი ეგრისი (სამეგრელო) და სვანეთი, და გამოაცხადა იგი ამ ქვეყნის ერისთავად. ქუჯიმ თავის საერისთაოში ააშენა დიდებული სიმაგრე—ციხე-გოჯი. შემდეგ ამისა ფარნავაზმა გაიმრავლა ლაშქარი, რომელსაც უფროსად დაუნიშნა სპასპეტი, და აგრეთვე დაადგინა რვა ერისთავი, სახელდობრ:

ერთ საერისთაოდ გამოაცხადა ქვეყანა ლიხის მთიდგან ზღვამდე და ეგრისის საზღვრამდე, და აქ ააშენა ორი ციხე-სიმაგრე, შორაპანი და ქიმნა.

მეორე ერისთავი დასვა კახეთს და მისცა ქვეყანა არაგვითგან ცერეთამდე.

მესამე გაგზავნა ხუნანს და მისცა ბერდუჯიდგან ტფილისამდე და გაჩიანამდე.

მეოთხე დანიშნა სამშვილდეს ერისთავად და მისცა სკვირეთის მდინარითგან ტაშირისა და აბოცის მიჯნამდე.

მეხუთე დაადგინა წუნდას და მისცა ჯავახეთი, არტანი და კოლა.

მეექვსეს მისცა ერისთაობა სამცხისა და აჭარასი.

მე'მვიდეს მიუბოძა კლარჯეთი არსიანითგან შავ ზღვამდე.

მერვე დაადგინა ერისთავად შიდა-ქართლისა და მისცა მას ქვეყანა არაგვითგან ტასისკარამდე და ფანავრამდე. ამასვე ჩააბარა სპასპეტობა ლაშქრისა და გამგეობა ყველა ერისთავებისა. დაადგინა აგრეთვე სპასალარნი და ათასის თავნი. განსაზღვრა ხარკი სამეფო და საერისთაო.

შემდეგ ამისა შეუდგა საქართველოს ციხე-ქალაქების მაგრებასა, განახლებასა და განდიდებას. ყველაზე მტკიცედ კი მოზღუდა სატახტო ქალაქი მცხეთა და არმაზი, საცა აღმართა კერპი არმაზი. იგი მარადის მუშაობდა და იღვწოდა. გაზაფხულსა და სთვლის დროს შრომობდა მცხეთას, ზამთარს ატარებდა გაჩიანში, ზაფხულს კი—წუნდას. დროით-დრო მიდიოდა აგრეთვე ეგრისს, ნახულობდა მეგრელთ და კლარჯთ, ზრუნავდა მათ შესახებ. ერს უყვარდა მომჭირნე მეფე, ყველანი ამბობდნენ:

„ვმადლობთ სვესა ჩვენსა, რომე მოგვეცა მეფე
ნათესავისაგან მამათა ჩვენთასა, და აღგვეხადა
ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან".

ბრძენმა, ქველმა და მხნე მეფემ შექმნა აგრეთვე მწიგნობრობა ქართული.

ფარნავაზს ცოლად ჰყვანდა ძურძუკელთა ქალი, რომლისაგან ეყოლა ვაჟი საურმაგ. მოკვდა მეფე 92 წლისა (27-ის წლისა გამეფდა, 65 წ. იმეფა).

—

ზემო მოყვანილი ცნობები გვაძლევენ საბუთს დავასკვნათ, რომ ქართველობა ამერეთისკენ (ქართლ-კახეთისკენ) გამოკრებილა ორ ტალღად: ადრე—არარატ-ვანიდამ, შემდეგ—(აზო-ფარნავაზის დროს)—არან-ქართლიდამ. ქვემო მოყვანილი განხილვა ამ აზრს უფრო განამტკიცებს.

1) **არან-ქართლის მხრის ტალღა.** უკვე ვსთქვით, სად იყო არან-ქართლი და აზომ საიდგან გადმოასახლა ქართველობა ქართლ-მცხეთას. იმავე არან-ქართლს არ გამოსცილებია ალექსანდრე მაკედონელი, თუმცა ჩვენი მემატიანეები ამტკიცებენ, რომ იგი სწორეთ ორჯელ იყოო ქართლს, აქ დაიჭირაო სარკინეთი, დახოცაო მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა, ფარნავაზის მამა, აქედგან გარეკაო ბუნთურქნი.

რომ ალექსანდრე მტკვრის ხეობაში არ ყოფილა, ამას ამტკიცებენ მისი თანამედროვე მწერლები და აგრეთვე შემდეგი ცნობაც მისვე შესახებ.

ა. ალექსანდრე რომ მიდიოდა ინდოეთს, ივერიის მეფემ მეგობრობა გამოუცხადა და საჩუქრად მიართო ვეებერთელა მეომარი ძაღლები. მაშასადამე, თუ სამარა მაშინ მართლაც მეფობდა მცხეთას (ივერიაში). ალექსანდრე რაღად მოჰკლავდა მას, მეგობარს, იგი ხომ მისს მტრების ბუნთურქების გასაჟლეტად მოდიოდა?

ბ. თვით ბუნთურქნიც აწინდელს ქართლში არ ყოფილან. მათ დაეხარკათ სწორეთ არან-ქართლის ქართველობა.

ჩვენი მემატიანეები ამტკიცებენ, ალექსანდრემ სარკინეთი, საცა იდგნენ ბუნთურქნი, აიღო მეორე გამოლაშქრებისას, ხოლო მის პირველ გამოლაშქრების შემდეგ საქართველოში მოვიდნენ ჰუნნიო.

ეს ჰუნნი, პერიეგეტის სიტყვით, ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის ნაპირას, მეზობლად კასპთა და კადუზთა. მათი სპარსული სახელი იყო „თურქი“, რომელიც უახლოვდება ქართულს ბუნ-თურქი. იგინი იყვნენ ჰუნნი კედარიტნი (შატბერდის მემატიანე კი ამბობს, რომ ალექსანდრემ კედარს ქვეყანას შეარეკა ლოთის შვილთა ნათესავნიო). ეს ბუნ-თურქნი (ჰუნ-თურქნი!) 457 წ. ქრ. წ. ეპრძოდნენ პართელებს. მათ მშვიდობა აღუთქვეს მიდიელებს (საგართიას, კასპიას, კადუზიას და სხ.) და მათგან საჩუქრად მიიღეს 40,000 ოქრო და ისრე

გამდიდრდნენ, რომ იკეთებდნენ ოქროს ტახტებს, მაგიდებს, სკამებს, სელებს.

ალექსანდრე ორჯერ იყო არა აწინდელს ქართლში, არამედ საგართია-კადუზიაში: ერთხელ ინდოეთში წასვლამდე, მეორედ—იქიდგან რომ დაბრუნდა. მას აქ დიდი ომები ჰქონდა და, ალბად, ჰუნ-თურქებსაც შეება, დაამარცხა და გარეკა.

გ. ქართლის ცხოვრება ამბობს: „ალექსანდრე შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდმოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად". ეს მართალია, მხოლოდ უკანასკნელ წინადადებას უნდა დაემატოს სიტყვა არანი („მოვიდა არან ქართლად"). სწორეთ იქაც იყო მთა კავკასი მწვერვალით ლიბუზი (ჩვენებური იალბუზი!) და კარებით Pylae Caspiae (კასპის კარები), აქაც (აწინდელ სპარსეთის შუაგულში) აგრეთვე იყო მდინარეები Cyrus (მტკვარი) და მისი ტოტი Araxes (არეზი), იყო ქალაქები Artacana (ჩვენში: არდაგანი=არტაანი), Harmozia (ჩვენში: ჰარმაზი=Harmozica=Harmastis), ქვეყნები Carmana (ჩვენში: გარმანი=გარდაბანი), Sagartii (საქართი=საქართველო), Caspii (კასპი), ვარკანი (=ვირკანი=გურგანი=ჯურჯანი) და სხ.

ალექსანდრე მცირე-აზიას რომ გადმოვიდა, შეება სპარსეთის მეფე დარიოზს, დაამარცხა და გაქცია, დაიპყრა ეგვიპტე და გამოეკიდა გაქცეულს დარიოზს, ხელახლა დაამარცხა იგი არბელას და გავგამელას (331 წ. 1 ოქტ.) და შერე აიღო ბაბილონი. შემდგ წავიდა აღმოსავლეთისკენ. სუზა უომრად დაემორჩილა. აიღო პერსეპოლისი და გადასწვა. აქედგან გაემართა ეკბატანასკენ. აქ იმალებოდა დარიოზი, მაგრამ გაიქცა რაღას; ალექსანდრე გამოეკიდა და ზემოხსენებული კასპიის კარები დაიჭირა. დარიოზი გადავიდა თაფურების ქვეყანაში და ტარას დადგა. აქ შებოჭა იგი მისმა ერისთავმა (სატრაპმა) ბესმა და აღმოსავლეთისკენ გაიქცა. ფეკატომფილის მინდვრებზე უკვე ეწეოდა მას ალექსანდრე, მაგრამ ბესმა მოჰკლა დარიოზი (330 წ. 3 იულ.) და გაიქცა ბაქტრიანას. ალექ-

სანდრე მივიდა ვარკანის (გურგანის) ქალაქ ზადრაკარტას, დაიპყრა ჰირკანია (ვარკანი), კასპია, პართია, არიანა და გამოეკიდა გაქცეულ ბესს, რომელიც ოქსიანას იქით გამაგრდა ნავტაკს. მაკარ ციხეებში გამაგრებული მტრები დასცინოდნენ ალექსანდრეს და უყვიროდნენ: ჩვენ ვერ დაგეიმორჩილებ, ჩვენს ციხეებში შემოსასვლელად საჭიროა ფრთები გამოისხაო! მაგრამ ალექსანდრემ უველა გაჭირება დაჭსძლია და უველგან გაიმარჯვა. თვით ბესსი შეებრა მარაკანდს (სამარკანდს) და ჯვარს აცვა. შემდეგ ჩავლო ინდოეთისკენ, იქაური მეფე პიროხი დაამარცხა და გედროზიითა და ეთიოპიით დაბრუნდა სუზას, მერე მოვიდა ეკბატანს და ისევ საგართია-ჰირკანია-კადუზიას. აქ დათვალიერა ნისეის ველი, სადაც ძველადგანვე ფრიად კარგის ჯიშის ცხენები იზრდებოდნენ. ჰირკანის მთებში დაჭრეგინა ხე-ტყე ნავების ასაშენებლად: მას სურდა ინდოეთიდგან ევროპას გზიდნა სავაჭრო საქონელი კასპიის ზღვასა, მტკვარსა, რიონსა და შავს ზღვაზედ. მაშინ ეგონათ კასპიის ზღვიდამ მეოტიის (აზოვის) ზღვამდე სავით სავლელი გზა არისო. ნავების აშენება ალექსანდრემ დაავალა ჰერაკლიდს.

ალ. მაკედონელის ცხოვრებაში მოხსენებული სახელებიც ჩვენს მეცნიერებს აგულისხმებინებდენ აწინდელს საქართველოს და მის ადგილებს: Kurae schate—ცხეთას (მცხეთას), ნავტაკი—ნასტაკს, Pylae-Caspiae და Caspii—კასპს, კასპიის კარს, ბაკტრიანა—ბახტრიონს, ოქსიანა—ქსანს, ზადრაკარტი—ზადს (ზადენს) ანუ ზადურ-ქართს, ლაბუზი—ალბუზს (იალბუზს) და სხ.

დ. სწორეთ ამავე აღმოსავლეთიდამ, გადმოკვემით, გადმოსახლდენ ორბელიანნი, გუგუნავანი, აბაშიძენი და ბარათაშვილნი.

ა. თავად-აზნაურთა სიაში, რომელიც ძველ სიგელ-გუჯრების თანახმად შეადგინა მეფე ერეკლე II-ემ, სწერია: თავადნი აბაშიძენი გადმოსახლდნენ ინდოეთის ეთიოპიიდამ ანუ აბაშეთიდამ, ხოლო ორბელიანნი (ბარათაშვილნი და გუგუნავანი) დიდის სათათრეთიდამ, ქვეყნიდამ ჩინეთის მხრისა, კიტაიდამ. ჯამბაკურ, ბარათა და ბოშ იძულებულ იყვნენ დაეტოვათ თვისი ქვეყანა; იგინი დიდის ძლიერებით აიყარნენ და

მოვიდნენ რანის ქვეყანასა, რომელსაც აწ ქვიან ყარაბაღი. ბოში დასახლდა აქვე სიოხს, შემდეგ სისიანად *) წოდებულს, და ამისი წილი მოსახლეობა დაიფანტა სპარსეთისა კერძოთა ცარიელთა ადგილებთა შინა, ხოლო ჯამბაკური და ბარათა ევედრნენ მეფე ფარნავაზ ქართლოსიანს, რათა მიეცა ადგილი საქართველოს შინა დასასახლებლად. და მან მიუბოძა სომხითსა ადგილსა შინა კერძოდ გორისა და თრიალეთისა მხარესა და ადგილთა შინა მისთა. და ჯამბაკურ და ბარათა 5000-მდე მეკომურით დაესახლნენ მუნ.

ბ. სტეფანე ორბელიანი, რომელსაც, როგორც თვითონვე ამბობს, ორბელიანთ ისტორია ამოუღია ქართულ წყაროებიდამ („ესე ამბავი მცირედ ვცანით ქართველთ მოთხრობათაგან"), ორბელიანების მოსვლას აწერს ფარნავაზის წინა დროს, ხოლო მათს განმტკიცებას საქართველოში თვით ფარნავაზის ჟამს.

აფრიდონმა, რომელიც უფლებდაო სპარსთა, ქართველთა და ავლანთა **) ზედა, საქართველოს გამგეობა ჩააბარაო ადარმას. ამის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთის საქმეები აირიაო (ხოსრო პირველსა და მეორის ჟამს). ჰინელთა ქვეყანაშიაც, რომელიც მოსამზღვრეა ხაზართა და ჰუნთა, ასტყდა შფოთი. მოკვდა ჰინელთ მეფე, ჯამბაკურ და მისი შვილები აიშალნენ, ერთმანეთს გადაემტერნენ. ერთი მათგანი, ყველაზე ძლიერი და მარჯვე, თვისის სახლობით და სამეფო გუნდითა და უნჯით წამოვიდა და მცხეთის მამასახლისის ნებართვით დასახლდა ციხე ორბეთში (სამშვილდეს). მეფე ფარნავაზმა მიაგო მას აღმატებითი პატივი და „არავინ იყო მსგავსი მისი ქართლში თვინიერ მეფისა".

სტეფანე ორბელიანების თავდაპირველ სამშობლოდ სთვლის კასპიის ზღვის იმ მხარეს, რომლიდგანაც საქართველოში მოვიდ-

---

*) ამ ქვეყანას (ყარაბაღს) უწინ ერქვა სიუნიეთი (სომხ. სიუნ).

**) ფრანგულ თარგმანში—ა ღ ვ ა ნ თ ა (ალვანთა).

ნენ ბუნოურქნი (ყივჩაყნი) და ჰუნნი. ამ ერთა ქვეყანა იყოო გუგართა მხარე, რომელი მიაწევისო სიგრძითა, ვიდრე ემმაონ მთისაჲდე.

„გუგართა მხარედ“, გუგარეთად, გუჯარეთად გუგარქად იწოდებოდა ჯავახეთი, რომელიც ძველად ფრიად ვრცელი ქვეყანა იყო. თვით „ჭინელთ“ მეფე ჯიმბაკურ (=ჯიმ-ბაკურ) თანამოსახელეა ისრთველთ მეფეებისა: ბაკურების, ვარაზ-ბაკურის, ფარნაჯიმის.

ალექსანდრე რომ კვდებოდა, დაეკითხნენ: „შენს ტახტს ვის უტოვებო“,—„ღირსეულსო“, უპასუხათ. დიდის ხელმწიფის სიკვდილს მოჰყვა მისი სამფლობელოს დაყოფა, დანაწილება. გაჩნდნენ მრავალი დიდი და მცირე მეფეები, მთავრები *). ფარნავაზიც სწორეთ ამ დროს გამეფდა.

ფარნავაზმა სასტიკი ომი გამოუცხადა აზოს, ბერძენთა მომხრეს და მათ-მიერვე გამეფებულს. მაგრამ აზოს 100.000 მეომარი ჰყვანდა. მისი დამარცხება ადვილი არ იყო. ამიტომ მის და ბერძნების შესამუსრავად ფარნავაზმა შემწეობა ითხოვა ასურეთის მეფის „ანტიოქოზისაგან“ **) და ალუთქვა მას მსახურება. „ანტიოქოზმა“, როგორც უკვე იყო ნათქვამი, შეიწყნარა თხოვნა, სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა და სომხეთის ერისთავებს ღრძანა მიშველებოდნენ ფარნავაზს. იგი შეება აზო-ბერძნებს ქალაქ არტაანს ანუ ურ-არტანს, დაამარცხა ბერძნები, მოკლა აზო და გამეფდა.

ცხადად სჩანს, რომ ფარნავაზის შემწყნარებელი ასურეთის მეფე ბერძნების მოწინააღმდეგე ყოფილა. და, მართლაც, სელევკოსი (და არა ანტიოქოზი) დიდი მტერი იყო ანტიგო-

---

*) მათშორის უპირველესნი იყვნენ პერდიკა, სელევკ ნიკატორი, ალექსანდრი, ანტიგონი, ევმენი, პტოლომეოსი.

**) ქართ. ცხოვრება სცდება, როდესაც ამბობს, რომ თვით ალ. მაკედონელმა გაუყოო თვისი იმპერია ანტიოქოზს, რომოსს, ბიზინტოსს და პლატონს (პტოლომეოსს?). ანტიოქოზ 1-ლი ამ დროს კი არ მეფობდა, არამედ 282—262 წლ. ქრ. წ.

ნისა, რომელსაც ალ. მაკედონელის ტაბტზე დაჯდომა უნდოდა და არ იწყნარებდა არც პტოლომეოსს (ეგვიპტის მფლობელს), არც სელევკოსს, არც ლისიმახს და არც სხ. მთავრებს. ამან გამოიწვია დიდი შუღლი და ბრძოლა. ყველანი მომხრესა და მოკავშირეს ეძებდნენ და ემზადებოდენ თავისი წილ-კერძი მეტოქისთვის ჩასისხლად არ დაეთმოთ.

312 წელს სელევკოსმა დაიპყრა ბაბილონი და ეს წელიწადი დაიდო ეგრედ-წოდებულ „სელევკიდების ერად“. ამ წლიდგან სელევკოსს გაცხარებული ბრძოლა ჰქონდა ანტიგონთან, რომელიც ფრიად მხნე და ძლიერი კაცი იყო. ბოლოს სელევკოსმა და ლისიმახმა დაამარცხეს და მოკლეს ანტიგონი (301 წ., აგვ.).

სწორეთ ამ წელსვე (301 წ.) ვახუშტი დასდებს ფარნავაზის გამეფების წლად.

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისას სამარა, ალბად, იყო უმთავრესი მამასახლისი არან-ქართლისა, მეგობარი დარიოზისა; სამარა და მისი ძმა (ფარნავაზის მამა) მძვინვარედ ეომნენ ალექსანდრეს და ამისათვის მან იგინი დახოცა და საქართველოში მეფედ დაადგინა სხვა მამასახლისის (ანუ მეფის) შვილი, აზო. ხოლო როდესაც ალექსანდრე გარდაიცვალა (11 ივნ. 323 წ.), აღმოსავლეთი აირია, ფარნავაზმაც, იქნებ, იმავე ბესსის (ბოშის!) ძემ ჯამბაკურ-ორბელიანმა შემოკრიბა ბირიან-აბაშ-ბარათიანნი, 100,000-მდე მეომარი, წამოვიდა და დაიჭირა ალგეთისა და ქციის მხარე გორამდე, მიიმხრო ქუჯი ქართლოსიანი, შეეწყნარა ძლიერს სელევკოსსაც და შეება აზოს, დაამარცხა და მოკლა და მით ჯავრი ამოიყარა, რადგან ამ აზომ შემწეობა არ აღმოუჩინა მისს მამას მაკედონელთან ბრძოლაში.

VII. ვან-არარატის მხრის ტალღა და ქართული ენა. უკვე მოვიყვანეთ მატიანეს ცნობა შესახებ იმისა, რომ თავდაპირველად ქართველობა ცხოვრობდა ვან-არარატში და იქიდგან წამოვიდა აწინდელ საქართველოში. თვით ვანის წარწერების

ენის შესწავლამაც გვიჩვენა, რომ ურარტუ-ხეთას მოდგმა ფართოდ გავრცელებული ყოფილა წინა-აზიაში (კასპიის ზღვამდის, საცა ცხოვრობდნენ საგართნი, შავ-ზღვამდის, საცა მკვიდრობდნენ კოლხნი).

გამოჩენილი მეცნიერი სეისი სწერს: „ვანის ლურსმურ წარწერების ენასა და ქართულ ენას შორის დიდი მსგავსებაა. მგონია მალე დავრწმუნდებით, რომ ეს ორი ენა მონათესავე ენებია“.

(ნიკოლსკი ამბობს: „თუ ამ ტომმოდგმას (რომელიც ვანის წარწერებშია მოხსენებული) არ ეკუთვნიან ახლანდელი ქართველები, იგი სრულიად გამქრალ და მოსპობილ ერად უნდა ჩაითვალოს“ *).)

ქორენელი ამბობს, როდესაც სომეხთა მამათმთავარი ჰაიკ არარატს მოვიდაო, აქ ნახა ნაშთი ერისა, რომელიც აქედგან წინად გადასახლებულიყოო.

ლეონტიანი იმავე ლურსმურ წარწერების მიხედვით ამბობს: „სომხებს არ აბადიათო არავითარი ნაციონალური თქმულება ტიგრან 1-მდე, რომელიც კვიროსის თანამედროვე იყო. რაიც შეეხება ამაზე წინადროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მ. ქორენელის წიგნიდგან და ეს წიგნი-კი დამყარებულია მარ-აბას-კატინას ისტორიაზე, რომელიც შეიცავს უფრო მეტს ტყუილს, ვიდრე სიმართლეს. ვან-არარატს ქართველები გამოშორდებოდნენ „მე VII—VI საუკ. ქრ. წინად“. სეჯისის სიტყვით კი მეექვსე საუკუნის ნახევრამდე სომხებს ჯერ ვერ მიეხწიათ ვანამდე. განსვენებულ პროფეს. პატკანოვმა, ამავე ლურსმურ წარწერათა შესწავლის შემდეგ, გამოაცხადა: „სომხეთის ისტორია მე-VIII—VII საუკუნის ქრ. უწინარეს ჟამისა ჩვენთვის სრულიად უცნობია **). იგივე მეცნიერი ამავე

---

*) В. г. Никольскій. Клинооб. надписи ванскихъ царей (Древности, ტ. 1, გამოც. 1, გვ. 382).

**) კ. პატკანოვი. Ванскія надписи, გვ. 33.

წარწერების წაკითხვამდე ამტკიცებდა, რომ სომხის ტომმოდგმამაო სამი ათას წელსა თუ კიდევ უწინარეს ჟამს ქრ. წინად იწყო გადმოსახლება არარატის მხ'ეს და ნელნელა განაძევა აქედგან პირვანდელნი მკვიდრნი უცნობის ტომისა და აგრეთვე სემისნი“ *).

„სომხეთიო, — სწერს სტრაბონი, — ისტორიკოსთა სიტყვით, პირველხანს მცირე ოლქი იყო. იგი გადიდდა არაქსიასისა და ზარიადრიას ჟამს, რომელნიც ანტიოქოზ დიდი (222—187 წ. ქრ. წ.) სპასალარები იყვნენ და ეს ანტიოქოზი რომ დამარცხდა, ესენი გამეფდნენ.

სჩანს, სომხები რომ შემოესივნენ ვანს და ნელნელა დაიპყრეს იგი სპარსთა ყაენების შემწეობით, და განაძევეს ძველნი მკვიდრნი ანუ დაიმორჩილეს იგინი, საქართველოს ბატონობაც ვანსა თუ მის არე-მარეს მოისპო და მის მერმეთ მთელს ქართლოსიანთა ტომ-მოდგმაზე თვითმპყრობელობა და „თავადობა“ იწყო მხოლოდ მცხეთამ.

ვან-არარატის ახალი მეფეები, რაღა თქმა უნდა, ეცდებოდნენ იქ დაშთენილ ქართველებს ასომთაებას. რომ ეს ასე იქნებოდა, ამის საბუთს გვაძლევს გეოგრაფია და ისტორია.

კლერჯი ამბობს, რომ სომხეთის გეოგრაფიულ სახელების უმეტესი ნაწილი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართულის ენის შემწეობითაო.

„ქართულის და სომხურის შესწავლამ ჩვენ დაგ არწმუნა, — სწერს გატერიასი, — რომ დიდი ნაწილი ქართულ სიტყვებისა და ყველა ძირები ეკუთვნიან განსაკუთრებულს ჯგუფს ენებისას, რომელსაც ვუწოდებთ ქართულ ჯგუფად. თუ მრავალი რიცხვი ამ სიტყვებისა მოიპოვება სომხურშიაც, ეს იმას ამტკიცებს, რომ სომხურს მიუღია ისინი ქართულისაგან, რომელიც ოდესმე დიდის სომხეთის დიდს ნაწილზედ უნდა ყოფი-

*) მისივე. Изслѣдованіе о діалектахъ армянскаго языка, გვ. 5.

ლიყო გავრცელებული, სანამდე იქ არიელები მოვიდოდნენ. ქართულს ენას დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურის ენის შესასწავლად. ამიტომ სომხურ გრამატიკის გამოქვეყნებამდე მე საჭიროდ ვცან სისრულით გამომერკვია, თუ რა ეკუთვნის ქართულ ენას, რადგან უამისოთ შედგენილი სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა სამეცნიერო საფუძველს და მეთოდს. სომხურს ძლიერ ბევრი სიტყვები შეუთვისებია ქართულისა და კავკასიის სხვა ენებისაგან და ამ ენებს სომხურის სინტაქსზედაც უმოქმედნია".

სტრაბონი, აღნიშნავს-რა ანტიოქოზ დიდის (222—187 წ.) სპასპეტებისაგან სომხეთის სამეფოს დაფუძნების შემდეგ წარმოსდგაო ახალი სომხური ენა, განაგრძობს: „ასე რომ ახლა (ე. ი. სტრაბონის ჟამს) ყველა მკვიდრი იმ ქვეყნისა (არმენიისა) ლაპარაკობს ერთს ენაზე".

თვით ქორენელი მოწმობს, რომ ა) ხარკს მოსახლეთაგან წარმოსდგა თოღარმას სახლის შთამოებაო და ბ) არამმა უბრძანა ამ ქვეყნის მკვიდრთ ესწავლათ სომხური ენა და ამ ენაზე ელაპარაკნათო.

ცნობა, რომ „წარმოსდგა ახალი მოდგმა თოღარმას სახლისაო" გვანიშნებს ქართლის ცხოვრების გადმოცემას—ქართველები თარგამოსის შთამომავალნი არიანო. ახლად მოსულები, ჩაეთესლნენ-რა ბინადარ მკვიდრთა შორის, რომელნიც ქართველის ტომისანი იყვნენ და არ მოინდომეს მცხეთის სამეფოს გადასახლება, დროთა განმავლობაში უნდა შეერეულიყვნენ მათთან, და შექმნილიყვნენ ერთ ხალხად, ერთ სახლად თარგამისა და ესწავლათ ერთი ენა.

საგულისხმოა, როდესაც ქართ. ცხ. ამბობს: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო", ანუ „ქართლსა შინა იზრახებოდა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული". ეს საგულისხმოა მით, რომ ქართლად მაშინ იგულისხმებოდა ვრცელი მიდამო კასპიისა და შავის ზღვის შორის, კავკასიონიდგან შუა მდინარემდის და

აქ მაშინ (VII—VI საუკ.), მართლაც, იზრახებოდა ყველა ხსენებული ენები: მტკვრის ხეობის ქართლს რა უნდოდა ასურულსა და ებრაულ ენებს? ან-და ამ ენებს როგორ შეისწავლიდა „ყოველი ქართველი, მამრი და მდედრი“! ამგვარი ენათა შერევნა უნდა მომხდარიყო არმენიაში, საცა მე-VII—VI საუკ. დათარეშობდნენ სკვითნი და ხაზარნი, საცა უნდა ყოფილიყო ბრძოლა ხსენებულ ენათა შორის იმ დრომდე, ვიდრე არ გაიმარჯვებდა სომხური ენა, ვიდრე მოსული მძლავრი ნაკადული არ შეილევდა ადგილობრივ ნაკადულს და არ შეელეოდა მას.

ამ მხრივ ძვირფასია თვით სომხურისა, ქართულისა და მრავალ ენების მცოდნე პროფეს. ნ. ი. მარრის აზრი. იგი სწერს:*)

„სომხური ენა, როგორც ვიცით, არიულ ენად ცნობილია მეცნიერებაში, და საფუძვლიანადაც; ჩვენს ლინგვისტიურს გამოკვლევებში ჩვენ უფრო შორს წაველით და იმ დასკვნამდის მივედით, რომ სომხურს ენაში არის შესამჩნევი ნალეკი, მონათესავე ქართულისა, და ამ ნალეკის,—სულაც არ შემოტანილის და არ სესხებულის ქართველებისაგან,—ანალიზისათვის ქართულ ენას მართლაც აქვს უაღრესი მნიშვნელობა. ეს გენეტიური კავშირი ქართულის ენისა და სომხურის შორის მოასწავებს არა კულტურულ ზეგავლენას ქართველებისა სომხებზე ანუ სომხებისა ქართველებზე, არამედ—მას, რომ, როგორც ქართველები, ისე სომხები არიან ორნი ძმა ერნი, შემდეგში განცალკევებულნი სხვადასხვა ეთნიურ და ლინგვისტიურ და კვალად კულტურულ და პოლიტიკურ ზედმოქმედებით“.

თავისს ახალს შრომაში იგივე ავტორი ამბობს: **)

„სომხურს ენას აქამდის სწავლობდნენ და სწავლობენ

---

*) „ნოვ. ობოზ. № 4894.

**) გრამატიკა ძველ სომხურ ენისა. ეთიმოლოგია. გვ. XXXI.

გულდადებით მხოლოდ მიხედვისამებრ მისის მონათესაობისა ინდურ-ევროპულ ლინგვისტიურ ჯგუფისა. გარნა ინდურ-ევროპულ ანუ არიულ ნაწილაკით არ აღმოიცვება ბუნება სომხურ ენისა. სომხურში ინდურ-ევროპულ ნალექთან ერთად განუწყვეტლად შერთულია ნაჟური, რომელიღაც უცნობ ლინგვისტიურ მოდგმისა.

„სახე ამ უცნობ მთელისა თანდათან გამომეხატა, როდესაც ვმეცადინეობდი დამედგინა გენეტიური ნათესაობა ქართულის ენისა სემიტურთან. საბუთებმა რახანია მაიძულეს აღმეარა, რომ ქართული მონათესავეა სემიტურ ენებისა, თუმცა იგი ისე დაახლოვებული არ არის მათთან, როგორც სემიტურები ერთმანეთთან. მეორე მხრით, ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ სომხური ენა ზოგიერთ არსებით მხრით თვისის ბუნებისა არის მონათესავე ქართულისა“ ვანის ლურსმურ ნაწერების ენის შესახებ იქვე შენიშნავს მარრი (გვ. XXX), რომ ეს არმენიის ენა არიელების გადმოსახლების წინა დროის ენა არისო, არა ინდურ-ევროპულიო, მას დამოკიდებულება აქვსო სომხურ ენასთან და, შეიძლება, ფრიად არსებითიც, რადგან მით ეს სომხური ენა უნათესავდებაო ქართულს.—

სომხის წინაპართა ტალღა საკმაოდ მძლავრი უნდა ყოფილიყო, რომ შეილია ადგილობრივი ნაკადულები და მით გამძლავრებულმა და განახლებულმა ერმა დააარსა საკუთარი სამეფო დე, მეორეს მხრით, სომხური ენა რომ ქართულ ენის კულტურულ ზეგავლენის ქვეშ არ ყოფილიყო ხანგრძლივად და ამ გავლენის ზემოქმედებით არ შემუშავებულ იყო, თვით სომხური ენაც ის მთელი აღარ იქნებოდა, რაც დღეს არის, არამედ დაშთებოდა იმ არიულ ენად, რომელზედაც ლაპარაკობდა ჰაოსის ჩამომავლობა, როდესაც იგი შემოვიდა არარატის ხეობაში. ქართველთა და სომეხთ ძმობა იმის მეტი არ უნდა იყოს, რაც არიელ მოსულ ხალხს და მისს ენას შეეთვისა და შეელია ადგილობრივ ბინადარ ერისაგან.

თუ დავუჯერეთ ჩუბინაშვილის დაუსაბუთებელს მოწმო-

ბას და მისს მიმდევართ, თითქმის ყოველი ქართული კულტურული სიტყვა ქართველებს უსესხნიათ სომხებისაგან და იქიდგანვე ანუ იმათ გზით (via armeniaca-ს ბილიკით) გადმოუნერგიათ იმავე ლექსებით აღნიშნული კულტურული ნაშთებიც. ამგვარ, ვითომ-და სომხურიდამ ნასესხებ, სიტყვების სიაში მათ მოუქცევიათ არა თუ მარტო მართლადაც სომხური სიტყვები, არამედ, ხშირად, თათრულებიც, მაგალ. ბეგარა, თაფი, ჯარხა, იაღი და სხ.

იმავე სიაში შეტანილია „ქალაქი“ (სომხ. ქალაქ). არ ვამბობთ, რომ ქართველებს მეზობელ ხალხებისაგან არ შეეთვისნოთ სხვა და სხვა სიტყვები, მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ შუამდინარის და კოლხეთის დიდებულ ქალაქების (ბაბილონის, ურქალდის, აიას, ქუთაისის და სხ.) თანამედროვეთ და ანუ მათ პატრონ-ქართველებს ქალაქის სახელი ესესხნოთ იმ სომხებისაგან, რომელთა სიძველე კვიროსის თანამედროვე ტიგრანს იქით არა სწვდება, იმ სომხებისაგან, რომელნიც დაუპატრონდნენ ქართველთა მემკვიდრეობას არარატის არემარეზე. ვიმეორებთ, თუ სესხება იყო, ამგვარ სიტყვებს ისევ ისესხებდნენ შედარებით ახლად მოწყობილი სომხები ძველადვე განწყობილ ქართველებისაგან, მით უმეტეს რომ, როგორც ამბობს ნ. მარრი, „სომხურ ენაში არის შესამჩნევი ნალეკი, მონათესავე ქართულისა“.

იმ ძველს დროს ქართულს ექნებოდა მეზობლობა და ნათესაობა ყველა მაშინდელ ენებთან. მის გამო, რომელს ენასაც უნდა შეადაროს კაცმა ქართული, სანათესაობო ნაწილაკებს ყველგან ჰპოვებს, თუმცა ეს ქართული ენა, როგორც უკვე პროფეს. ა. ა. ცაგარელმა განმარტა, სრულიად დამოუკიდებელ მოდგმისა და ჯგუფისა.

III. **ფარნავაზის მოღვაწეობა.** მეფე ფარნავაზს მემატიანე მიაწერს საქართველოს დაყოფას საერისთაოებად, აზნაურთა წოდების განმტკიცებას, ქართულ მწიგნობრობის შექმნას.

ა. წოდებანი და ხელისუფალნი. ფარნავაზმაო, ამბობს ქართლის ცხოვრება, 100,000 მეომარი აზონისა (აზოსი), ამ აზოს

მოკვლის შემდეგ, „განჰყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად და უწოდა მათ სახელად ასნაურნი“.

ეს სიტყვა, როგორც ჭეიქრობენ და ზოგიც ამტკიცებენ, წარმომდგარა არა „ასონისგან“ (ვითომ ასონაური!) და არც სომხურ (?) ასატისა და ასნისგან, არამედ სიტყვიდამ ზენა: შეგრუდი ჟინო-სქუა ნიშნავს ასნაურ-შვილს, ხოლო ჟინი—ზენა-ს. ასნაური (=ზენაური) მიმღეობაა სიტყვისა ზენა (=ზე) ჩვეულებრივის თავსართის ა (=აღ) დამატებით და ე-ს გამოტოვებით და ნიშნავს გაზეებას (სიტყვიდამ ზე)—აღმატებულებას, უაღრესობას. ქართულ „ასნაურს“ (ჟინოსქუა) და თათრულს (და არა სომხურს!) „ასატ“ არავითარი მონათესაობა არა აქვთ (თათრ. ასატ= ასად ნიშნავს გაშვებას, განტევებას, განრინებას). სიტყვა ასნაური ხანდახან გვსვდება თავდაპირველ სახით: „იყო გვარ-ტომობით არა უაზნო“ (=უზენაო). ასნაურთა (=ასნათა) სისხლი უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე სისხლი უაზნოთა (უზენაოთა, უგვაროთა).

ფარნაჯომავე დაადგინა შვიდი ერისთავი და იგინი დაუმორჩილა მერვე ერისთავს (ქართლისას) და ამასვე ჩააბარა ლაშქრის უფროსობა; საერისთოებში ადგილ-ადგილ დაადგინა სპასალარნი და ათასისთავნი და ყველა ესენი დაუმორჩილა ერისთავებს. ამ ათასისთავებსა და სპასალარებს დაავალა: სამეფო და საერისთაო ხარჯის აკრეფა ერისაგან და წარდგენა დანიშნულებისამებრ.

ვახუშტი სწერს: ქართველებს „წესი აქვნდათ: კერპთა მღვდლების პატივი და რიგნი იყვნენ ცალკერძად, ვითარცა სულიერთა, ხოლო სოფლიერნი იყვნენ: ა) ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) ასნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსხურნი და ვ) მუშაკნი გლეხნი. წესი ერისთავთა იყო: მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მართველად და ამის მიერ მოურნეობა; სამაროალი და ლაშქარნი მის ქვეყანისანი მის ქვეშევე იყვნენ და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეუფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ: მთავარნი და წარჩინებულნი და ძენი მათნი—შეცვალებით. ხოლო წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა,

ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო, იგი უმეტეს პატივიცემებოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქვნდეს შთამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქვნდა გვარი და შთამომავლობა და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დაბნები და ძალედვას გამოსვლა მარჭაფითა, კარვითა და მათითა განწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ჯუართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთამე—სწორი; და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათთა—მუშაკთა გლეხთა. სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ: ჩინებისა მათისა მიერ—ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით ერთი-ორად.

ბ ქართული ანბანი. მემატიანე სწერს: „ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ამბობენ, ფარნავაზმა კი არა, სომეხ მესროფმა. მოიგონა ქართული ანბანი (მეხუთე საუკ. ქრ. შ.). ეს მართალი არ არის. არათუ ქართული, მესროფს თვით სომხურიც არ მოუგონია: მის წინადაც სომხებს ჰქონდათ ეგრედ-წოდებული დანიელის ანბანი და ეს ანბანი, ალბად, შეავსო მან.

ქართველებს გვაქვს სამნაირი ანბანი—ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. პირველი ორი ანბანი იწოდება ხუცურად, რადგან ამ ანბანებით ხუცები (მღვდლები) სწერდნენ საღვთო წიგნებს, მხედრულ ანბანს კი იმთავითვე ხმარობდნენ მხედრები (ცხენოსანი მეომრები) და, საზოგადოდ, ყველა ერისკაცი. სამთავე ანბანი ერთის ძირისაგან განვითარებულა. (შეადარე:

Ⴔ ⴔ ა	Ⴕ ⴕ ბ	Ⴖ ⴖ გ	Ⴗ ⴗ ე	Ⴘ ⴘ ზ
Ⴙ ⴙ თ	Ⴚ ⴚ მ	Ⴛ ⴛ ნ	Ⴜ ⴜ ნ (=ჰ)	Ⴝ ⴝ ე
Ⴞ ⴞ რ (ი)	Ⴟ ⴟ ს	Ⴠ ⴠ ფ	Ⴡ ⴡ ქ	Ⴢ ⴢ ყ
Ⴣ ⴣ ჩ	Ⴤ ⴤ ძ	Ⴥ ⴥ წ	⴦ ⴦ ჯ	Ⴧ ⴧ ა
⴨ ⴨ ჯ				

ძველს წიგნებში, ხშირად, ჩვენი ასოები ისე იწერება ანუ იხატება, რომ ეს ნაწერ-ნახატობა გვაფიქრებინებს – ქართული ანბანი ფარნავაზზედაც ადრე იქნებოდა მოგონილიო, იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ მხატვრული წერა იცოდნენ: გამოსახულობა არწივისა, ხარისა, ვარსკვლავისა, თვალისა და სხ. ცალკე სიტყვას შეადგენდა ან-და რომელიმე სიტყვის დასაწყის ხმას (მაგალ. ხარის სახე ხ-ს). ჩვენს ანბანში ეს ცხადად შეინიშნება. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩვენში ერთი და იგივე სახელი ჰქვიან, მაგალ., კარს (ცხოველს) და კარს (ასოს), ფარს (იარაღს) და ფარს (ასოს): ასო კარი ძველს წიგნებში იხატებ-იწერება ხარის თავის მსგავსად და ჩვეულებრივს წერაშიაც ჰგავს მას (Ꙗ); ასო ფარი იხატება ფარის მსგავსად (Ф); ასო განი გავს კანბეჩს (კან-ბეჩი), ქანი—ქანქაშს (ქარქაშს), თანი (სვ. თე)—თვალს, დონი—კაცის თავს (თავი—მეგრ. დუდი), ტარი ტარის (თითის-ტარის) მსგავსად და სხ.

ჩვენი ანბანი ისრე სრულია და ქართულს ენაზე ზედგამოჭრილი, რომ მას უცხოელი ვერ მოიგონებდა. ჭულარი ამბობს: „ქართული ანბანი ყველა ანბანებზედ უუსრულესია. ყოველ ხმას განსაკუთრებული ნიშანი (ასო) აქვს, ყოველი ნიშანი (ასო) მუდამ ერთ და იმავე ხმას აღნიშნავს. ყოველ ევროპიულ ენას აქვს თავისი საბოძიკო—ორთოგრაფია, ქართველებისთვის, მათის ანბანის სისრულის გამო, ესრეთი სიძნელე არ არსებობს“.

ეს მართალია ჩვენი დროის ანბანის შესახებ, ძველად კი, ხშირად, უ-ს მაგიერ იხმარებოდა ოჳ (ოჳკოჳეთოჳ=უკუეთუ =უკეთუ), აგრეთვე ე-ს მაგიერ ѣ (მე=მѣ), უ-ს მაგიერ ჯ, ჭ, ჳ (ყუავი=ყუჭავი=ყვავი), ი-ს მაგიერ ѧ (კაი=კაѧ, ღუთისაითა=ღუთისაѧთა), კ-ს მაგიერ ხ (კარი, კოკობი, კმა, კევი და არა ხარი, ხმა, ხევი), ზ-ს მაგიერ ძ (ზროხა და არა ძროხა).

თავი V

მცხეთისა და ქუთაისის სამეფო.

1. გეოგრაფიული აღწერა. მკვიდრ მოსახლეთა გაერთიანებით თვით სამეფოს მიჯნებიც შემოიფარგლა. კავკასიონი, ენგური (ეგრის წყალი), შავი ზღვა, ჭოროხი, ამ მდინარისა და მტკვრის სათავეებიდამ წამოსული მთები პალაკაციომდე, დებედის მარჯვნივ მდებარე მთები მტკვრამდე და მერე მტკვარი ალაზნის შესართავამდე და აქედგან ხაზი კავკასიონამდე—ეს იყო მიჯნები მაშინდელ საქართველოსა. ამ მიჯნებ გარეშე იყო პანეთი (პონტო) და კათბადუკია, საცა აგრეთვე მოსახლეობდენ ქართველთა გვარ-ტომნი.

ქვეყანას ორ დიდ ნაწილად—ამერეთად და იმერეთად—ჰყოფდა ლიხ-ღადო-არსიანის მთა, წამოსული სამხრეთისკენ კავკასიონიდამ. ამერეთს ჰყოფდნენ დიდ-წვრილ ნაწილებად მთები თრიალეთისა, ცივგომბორის, კვერნაკ-ზედაზნის და მესხეთისა, ხოლო იმერეთს—ფერსათის, ფასის (სვანეთის), პონტოს, ფარხალის მთები.

მეცნიერთა გამოკვლევით, მთელი ამიერ-კავკასია უწინარეს ჟამს წყლით ყოფილა დაფარული, მთელი საქართველო ერთი მთლიანი ზღვა ყოფილა. სტრაბონი აღნიშნავს კლიტარხის სიტყვას, რომ ხანდახან კასპიისა და შავი ზღვების წყლები ერთდებოდნენო და მათ შორის მდებარე ყელს—მიწას ჰფარავდნენო. თვით ქართველების გადმოცემით, მთელი შიგნითი კახეთი ერთი თვალუწვდენელი ზღვა ყოფილა, ერი მთის კალთებიდამ ბარს ვერ გადასახლებულა იმ დრომდე, ვიდრე ვეშაპის შემწეობით არ გადუჭრია ამ ზღვის ქვემო მხარე, წყალი არ გადაუშვია მტკვარში და წვიმისა და თოვლის ნაკადულები ალაზნის კალაპოტში არ ჩამდგარანო. სახსოვრად ამ ზღვისა დაშთენილა ტყე-ტბა (სოფელი თელავის ახლოს).

რომ საქართველოში უწინ ყოფილა მრავალი ტბა, ეს მტკიცდება არა თუ იმით, რომ დღესაც აქ ბევრია ტბები (ტო-

ბის-ყური, ტობორავანი, ყელის-ტბა, ფცა და სხ.), არამედ იმითაც, რომ მრავალს სოფელსა და ადგილს შერჩენია ტბის სახელი: ტაბახმელა (=ხმელი ტბა), ტობანიერი, ტბეთი, ტყე-ტბა (ეს იყო კახეთ-ცერეთის მიჯნა), ჭალა-ტყე და სხ.

საქართველოს უდიდესი მდინარეებია:

მტკვარი (კურა ანუ კირ) გამოსდის სოღანლუღის მთებს, მოდის სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ, მერე, ახალციხიდგან ტფილისამდე, მომდინარეობს აღმოსავლეთისკენ და აქედგან კი კასპიის ზღვამდე, რომელშიაც ერთვის, მიდიის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. მასში შემდინარებენ: ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი, დებედა (=ბერდუჯი), ხრამი, ალგეთი, არეზი (რახსი).

რიონი (ფაზისი) გამოსდის კავკასიონს რაჭა-სვანეთის შორის, მიდის დასავლეთისკენ, მერე სამხრეთისკენ ვარდციხემდე და შემდეგ ისევ დასავლეთისკენ და ერთვის შავს ზღვას. მასში შემდინარებენ: ყვირილა, ცხენისწყალი (ჰიპპუს), ტეხური, ხანისწყალი. ზოგნი სწერენ, ეს ფაზისი=ფასონი ის ფისონიაო, რომლის შესახებ მოსე წინასწარმეტყველი ამბობსო: „მდინარე გამოვალს ედემით, მომრწყველი სამოთხისა, და მიერ განიყოფის ოთხად თავად: სახელი ერთისა ფისონ. ესე გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ევლატისასა. მუნ უკვე არს ოქრო. ხოლო ოქრო ქვეყანისა მის კეთილ, და მუნ არს ანთრაკი და ქვაჲ მწვანე“.)

ხოფი (Choïos) სდის სვანეთის ქედს და ერთვის შავს ზღვას (ხოფი ანუ ხოპი წარმოსდგება ზმნიდამ ხოპვა—წყლის ჩქეფა. ხოპი ეწოდება მენავეთა წყლის საჩქეფ ნიჩაფს).

ენგური (ეგური, ინგური) გამოსდის სვანეთის ზემო კავკასიონს და ერთვის შავ ზღვას.

ჭოროხი (ბოას, აკამფსის, ფაზის) გამოსდის ირიჯლუს მთას, ხვარამზეს ხიდამდე მოდის ჩრდილოეთისკენ, მერე დასავლეთ სამხრეთისკენ და ბათომის ახლოს შავს ზღვას ერთვის.

ქვეყანა, საზოგადოდ, მდიდარი იყო ბუნებითვე, მეტად ნაყოფიერი, უხვად აღმომცენებელი ყოველგვარ მარცვლი-

სა და თესლისა; მდიდარი იყო აგრეთვე სხვა და სხვა მადნეულობით. მაგრამ ბუნების სიუხვე და სიმდიდრე ყველგან თანასწორი, ერთნაირი არ იყო. აღმოსავლეთის მხარე იყო უფრო მწირი და მშრალი, ვიდრე დასავლეთისა, ჩრდილოეთისა უფრო ცივი და გაუძლისი, ვიდრე სამხრეთის და დასავლეთის ნაწილები.

ბერძენთა ძველი დროის მწერლები საქართველოს ერისა და მიწა-წყლის შესახებ გადმოგვცემენ შემდეგ ცნობებს:

(1) **Ცეროდოტე** (480—426 წ. ქრ. წ.): კოლხეთში იზრდება სელი, რომლისაგან აკეთებენ ტილოს. აქედგან გამოტანილს ბერძნები უწოდებენ სარდონულს. როგორც ამბობენ, კავკასიის მთებზე ხარობს ხე, რომლის ფოთოლს ნაყენ, წყალში ხსნიან და ამით ღებავენ თავიანთ ნაქსოვებს, და ეს ნაქსოვი არ ხუნდება რეცხვაში და მატყლეულის დაძველებამდე ფერს არ ჰკარგავს.

ჰიპოკრატე (470—376 წ. ქ. წ.): ფაზისზე (რიონზე) მცხოვრებ ერთა ქვეყანა ჭაობიანია, ცხელი, ნოტიო, ტყიანი. წელიწადის ყოველ დროს იქ მოდის დიდი წვიმები. ერი ცხოვრობს ჭაობიან ადგილებში. წყალშივე იშენებენ ხისა და წნელის სახლებს. გარე გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ წავიდნენ ქალაქში ანუ სავაჭროდ, თავის მიწებს შემოუვლიან ხოლმე მთლიან ტივისაგან გაკეთებულ ნავით. სასმელად ხმარობენ თბილს, დაგუბებულს, დამპალს წყალს. ფაზისი (რიონი) ყველა მდინარეზე ნელია და მდორე. ამ ადგილას ხილი არ ვარგია, ცუდი, მრავალწყლიანობის გამო ყოველთვის უნდილი. წყლისაგან ავარდნილი ნისლი ჰფარავს აქაურობას მარადის. ამ გარემოებას გავლენა აქვს თვით ადამიანზედაც, რომელიც აქ მაღალია, მაგრამ მსუქანი, მოყვითლო-მომწვანო ფერისა. წელიწადის დრონი აქ დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უმეტესად აქ უბერავს სამხრეთის ქარი, გარდა ადგილობრივის „კენხრონისა“ (ზენა-ქარი!), რომელიც მეტად ლიერია, ცხელი და გაუძლისი.

ქსენოფონტე (431—354): კოლხების ქვეყანაში (ტრაპიზონის მხარეს) იყო მრავალი ფუტკარი. ვინც შეჭამა აქაური თაფლი, ყველა ავად გახდა, აღებინა და ასაქმა. ცოტას მჭამელი მთვრალს დაემსგავსა, ბევრის მჭამელი ცოფიანს ანუ სასიკვდილოდ გადადებულს (ამისთანა შხამიანი თაფლი დღესაც იცის იმერეთში). კოლხებმა ბერძნებს ხარები აჩუქეს. მათ მეზობლებისაგან წაასხეს მრავალი ცხვარი. მოსინეკების სარდაფები სავსე იყო ხორბლით. იგინი იკვებებოდენ აგრეთვე მოხარშულ წაბლით. ერი იყო მეტად ნაზი და თეთრი—მათ ემორჩილებოდენ ხალიბნი (ქალდნი), რომელთა საქმე მადნებში მუშაობა იყო. მოსინეკნი ცხოვრობდენ ხის კოშკებში—მოსინებში.

აღებ-მიცემა. ერის საცმელი და სხ. საზოგადოდ, ვაჭრობა, აღებ-მიცემა არსებობს ძველადგანვე, იმ ხნიდგან, რა ხანსაც ამოაშუქა ცივილიზაციას პირველმა ცისკარმა. პირველნი ვაჭარნი იყვნენ ფინიკიელნი. მათ სამი სავაჭრო გზა ჰქონდათ: კავკასიისკენ, ეგვიპტისკენ და ხმელთა-შუა ზღვით ევროპიისკენ. ამ გზებზედ მოუდიოდათ აუარებელი საქონელი, რომლის გადმოსაზიდავად გამართული ჰქონდათ ძლიერი ნავსონობა. თვისის ვაჭრობის გასაძლიერებლად დამართული ჰქონდათ ახალ-შენები: კვიპროსს, კრეტას, კავკასიაში და სხ. საბერძნეთის ვაჭრობა მთლად ფინიკიელების ხელში იყო. ბერძენნი მაშინ ფრიად სუსტნი იყვნენ და საკუთარი წარმოება არა ჰქონდათ. ფინიკიელთ მოიგონეს მინა, საღებავი წამლები, დაიწყეს ქედვა ბრინჯაოსი, რკინისა, შემუშავება ოქრო-ვერცხლისა და სხ. ყოველივე ეს შეჰქონდათ უცხო ქვეყნებში და სცვლიდნენ ადგილობრივ ნაწარმოებზე. სხვათა შორის, საქართველოდგან გაჰქონდათ: ოქრო, რომელიც თავიანთ მადნებიდგან გამოჰქონდათ კოლხელთ, კალა (ბრინჯაოს გასაკეთებლად), რომელიც გამოჰქონდათ ივერთა და ალბანელთ თავიანთ მთებიდამ, ტყვია-ვერცხლი, რომელიც იმავე ქვეყანაში მოიპოვებოდა, შემუშავებული რკინეულობა

და მადნეულობანი, რომელიც ხალიბების მთებში იპოებოდა და რომელმაც ამ ხალიბებს სახელი გაუთქვა. ეს მადნეულობა იყო: ბრინჯაო უაღრესის ღირსებისა, რკინა ზოდებად და ნაჭრებად დაჭედილი და მეტადრე კი ფოლადი, რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ხალხმა არ იცოდა და აქ კი, საცა მეტალურგია რკინისა პირველად მოიგონეს, ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროითგანვე*). ჯერ ისევ მოსე წინასწარმეტყველი აღნიშნავს, რომ თობელი (იბერი) იყოო „კვერით ხუროო, მჭედელი რვალისა და რკინისა“ (დაბად დ. კბ).

ბერძენ-რომაელთა მწერლების სიტყვით, ჩვენი ქვეყანა ძველადგანვე განთქმული ყოფილა თავის სიმდიდრით. აქაური ერი მიწის მუშაკი იყო. აქაურ ნიადაგის სიმდიდრეს აღტაცებაში მოჰყავს იგივე მწერლები. აქ უთესნიათ პური, ჩალთუკი (ბრინჯი). ღვინო საუკეთესო სცოდნიათ. თაფლი კამბიზენისა (ქიზიყი) მშვენიერიაო, ხოლო კოლხეთისა—მწარე. ამას გარდა უთესნიათ სელი, ლერწამი, კანაფი და უკეთებიათ ტილო. ჰყოლიათ ცხვარი, ცხენი, ძროხა, სცოდნიათ მატყლეულის შემუშავება და შელებვა. უხუნო საღებავის გაკეთება, მიწის შემუშავება გუთნითა და სახნისით. აპოლ. როდოსელი (250—200 წ. ქრ. წ.), აღწერს რა ძველს კოლხეთს, ამბობს, აიეთს ჰყვანდაო ხელოვანი კაცი, რომელმაც მეფეს გაუკეთა ხარები სპილენძის ფეხებიანი და რქიანი და გუთანი ფოლადის მთლიან ნაჭრისაო. თვით ბერძენთ ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ იმას მოასწავებსო, ამბობს სტრაბონი, რომ ამ ქვეყანაში ოქრო მოიპოვებოდაო. ამბობენო, განაგრძობს პლინიუსი, რომ კოლხთა მეფე სათაკმა (მე-XIV საუკ.) სვანთა ქვეყანაში ბევრი ოქროვერცხლი ჰპოვაო. სვანთა ხელობა არის ოქროს მადნების შემუშავებაო.

ქართველ ტომ-მოდგმათა საცმელი და იარაღი, ბერძენთა მწერლების გადმოცემით, იყო:

---

*) ლენორმანი. ისტორია ფინიკიისა, გვ. 467.

მოსხთა (მესხთა): ზუჩ-ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ფარი და მოკლე ტარიანი, მაგრამ გრძელ-რკინიანი, ლახვრები.

მაკრონებს: იგივე იარაღი. (მაკრონებს წინად ერქვათ sanni, tzanni და ესენი კი არიან იგივე ჭანნი, მეგრულნი=მაგრალნი. (სვან. ზან—სამეგრელო, მჰ-ზან—მეგრელი).

კოლხთ: ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ხარის ტყავის ფარები, მოკლე ლახვრები და საომარი დანები. ურარტელები (ალაროდები) და ისპირელნი საომრად გამოდიოდნენ ამავე იარაღებით.

კათბადოკიელთ: კაბა, შარვალი მატყლეულისა, ჩაჩქანი და წაღები.

ხალიბთ (ქალდთ): ჯავშან-ჯუბანი, ლახვრები (ბერძნულის 15 ალაბის სიგრძისა).

ივერ-ალბანელთ: ჯავშან-ჯუბანი, ლახვრები, ისრები, ფარები, ჩაფხუტი.

კასპთ: მოკლე ჯუბანი (მათებურად „სისურა“), შურდული და მოკლე ხმალი.

საზოგადოდ ქართველთ სცოდნიათ თვისის ნაწარმოების გატანა. ნავსნობა უცხო საქმე არ ყოფილა მათთვის.

დემოსთენი (450—413) ამბობს, აქამდე ყველა ნავთ-საყუდელთა შორის უმეტესი ხორბალი ჩვენთვის მოდის პონტოს ნავთ-საყუდლიდამ, ამიტომ რომ ადგილობრივ მეფეს ბაჟისაგან გაუთავისუფლებია ყველანი, რომელნიც კი ათინისთვის ვაჭრობენო. პირველად ათინაში მომავალი გემები იტვირთება ხორბლითა და შემდეგ სხვანიო.

სავაჭრო გზები: ევმელ ერატოსთენი (276 ქრ. წ.) იხსენიებს სავაჭრო გზას, ფაზ-მტკვრის ხეობაზე მიმავალს კასპიის ზღვამდე და იქიდგან ინდოეთამდე. ჰეროდოტეს სიტყვით, უწინდელ დროითგანვე შავსა და კასპიის ზღვაზედ არსებობდა ნავსნობა სავაჭროდ. სტრაბონი ამბობს: 7—8 ვერსის მანძილზე ფაზის შესართავიდგან სავაჭრო ნავები თავისუფლად დადიოდნენ, შემდეგ (მეტადრე შორაპნიდამ) საქონელი ხმელით გა-

დაჰქონდათ სურამამდე და იქიდგან მტკვრით კასპიის ზღვამდე. ამ მდინარეების გაყოლება მრავალი ქალაქებია და სადგურები, აგრეთვე 120 ხიდი, სადგურებზედ გაკეთებულია ხის დაფები ზედ-წარწერით გზის მიმართულების საჩვენებლად. ამ სავაჭრო გზის გაძლიერებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ალექსანდრე მაკედონელი, სელევკოს ასურასტანელი, მისი ძე ანტიოქოზი და სხ.

ამ გზის გარდა საქართველოში იყო კიდევ შემდეგი გზები: არაგვის ხეობაზედ „არაგვის-კარი“ და მერმე დარიალისა. ეს კარი დახშული იყო. ალბანიის გზა ანუ თოღისა. სამხრეთიდგან გზა მოდიოდა მტკვრის ხეობაზე. ამ გზებზე მანძილით მანძილ დამართული იყო მაგარი ციხე-ქალაქები. კასპიის ნაპირებზე სხვა გზა მიიმართებოდა ჩრდილოეთისკენ. იგი დახშული იყო რკინის ძელებით.

საქართველოში იყო მრავალი ქალაქი, სახელდობრ:

ქართლი. ეს იყო ის პირველი სიმაგრე, რომელიც ააშენა ქართლოსმა. შემდეგ მას ეწოდა არმაზი (Harmozika).

ორბისი. ესეც ააშენა იმავე ქართლოსმა. იგი მდებარებს ხრამზე და იწოდება სამშვილდედ.

მტკვრის-ციხე (ხუნანი) მის მიერვე აშენებული იქ, საცა დებედა ერთვის მტკვარს.

დედაციხე თეძამზე და ბოსტან-ქალაქი (რუსთავი). ესენი ააშენა ქართლოსის ცოლმა.

გაჩიანი (სანადირო-ქალაქი) ქციაზე, მაშავერის ახლოს. ააშენა გაჩიოს ქართლოსის ძემ.

ჩელეტი (ბერ), რომელსაც დღეს ჰქვიან შილდა.

მცხეთა (ცხეთა) ააშენა მცხეთოსმა. პტოლომეოსით იგია მესხტლეტა. ძველად მეტად ვრცელი ქალაქი იყო. მის ერთს უბანს ერქვა კოდმანი. მეორე საუკ. ქრ. შ. ამ ქალაქში იმდენი მცხოვრები იყო, რომ, ზღუდეებისა და კარების მცველებ გარდა, გარე გამავალი ქვეითი მეომარი იყო 30,000.

უფლისციხე გამოკვეთილია კლდეში. აქ მრავალი ოთა-

ხებია, პალატები, დარბაზები, გამოქანდაკებულნი და კამაროვანნი. იგი ააშენა უფლოსმა.

ამავე დროისაა ქალაქები ოძრხე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯთაქალაქი, ჰური), ურბნისი, კასპი.

კოლხეთის მეფეს აჲეთს ჰქონდა ქალაქები: ადა, ქუთაისი, სიბარისი და ფაზი (ფოთი). იქვე იყო ეგრისი (ბედია).

შორაპანი (სარაპანი) და დიმნა ააშენა ფარნავაზმა.

ციხე-გოჯი (ნაქალაქევი) იყო ფარნავაზის ერისთაეის ქუჯის ქალაქი.

II. სჯული და წარწმენანი..

კეთილისა და ბოროტის დასაწყისი. სიგელ-გუჯრებში ხშირად იხსენიება ბოროტი სული სამალი. ეს სამალი, გადმოცემით, ღმერთს უძმია. იგი ღმერთს მოხმარებია ქვეყნის შექმნაში: უსწავლებია, როგორ გამოეყო წყალი ხმელეთისაგან. ღმერთს მისთვის დაუთმია სუკუნო სოფელი და თავისთვის დაუტოვებია სოფელი სწუთო. სამალის მეორებით გაჩენილა ეოველი უსწორმასწორობა, მძულვარება. სამალი ფრიად სტანჯავდა კაცს. ამან ღმერთს სთხოვა შველა. როგორც შეგეძლებოდეს, ისე გაუმკლავდიო, შემოუთვალა ღმერთმა. კაცმა გაახურა მაჯაში, მწვალებელი სამალი რომ კელზე მოვიდა, მაჯაშით სწვდა ცხვირში და მაგრა მოუჭირა. სამალმა იწყო ფართხალი, ზნექა, სიითკენაც იჭიმებაიწურებოდა, იქითკენ ჩნდებოდა ღელე-ღულეები, სრამები, ოღრო-ჩოღროები; მისი კუდი, სხვათა შორის, კავკასიასაც მოხვდა და აქაც ადიმართა, ანაჲდგან ბრქომდე, დახლაჩნილი კავკასიონი, ღელეებითა და ხეეებით. ამის შემდეგ სამალი უფრო გადაეშტერა კაცს, მისი დაუძინებელი მტერი გახდა. ამხარად დაიბადა დასაბამი კეთილისა და ბოროტისა. თაგვმა მოიტანა ბურის თავთავი. კატამ წაართო, და რომ თვით თაგვსაც გაგლეჯას უპირებდა, სწვდა მას ძაღლი და წაახჩო. ღმერთს (ძმას) გაუჩენია ბადის ცა. სამალის (მის დის) გაჩენილ თაგვს იგი შეუწამია. ღმერთს გაუჩენია ვენახი. სამალის გაჩენილ თხას იგი შეუწამია. ღმერთს გაუჩენია მგელი და ამას თხა შეუწამია. მგლის შემწეული, რაც თქმა უნდა, იქნებოდა ისარი,

ისრისა—ჯანგი, ჯანგისა—მიწა, მიწისა=თაგვი, თაგვისა—კატა, კატისა—მგელი, მგლისა—დათვი და სხ.

ძაღლი, როგორც დამცველი ადამიანის უმთავრეს საზრდოსი —თავთავისა, კატა, როგორც მტერი მიწის ამაოხრებელ თაგვისა, ვენახი, როგორც კაცის ხელით დამუშავებული ნაშენობა, კეთილობად ითვალა მიჩნეული.

ვეშაპი. ზღვა-ოკეანები, დედამიწა და მასზე დანდობილი ცა ვარსკვლავებითურთ უკავიათ ვეშაპს და ეს ვეშაპი რომ შეინძრევა, ირევიან მთელი დედამიწაც. წმ. ნინო ამბობს: „ოდეს შეიძრის ეშაპი დიდი, რომელ არს ზღვასა შინა, შეიძრის ოველი ქვეყანად ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი“.

ცა—ღვთის სატახტოა. თავდაპირველად ცა იმდენად დაშორებული იყო დედამიწისაგან, რომ კაცი ცას ხელით სწვდებოდა. ცაზე სუფევდა ღმერთი და პატრონობდა ქვეყანას, სადაც იყო მხოლოდ ნეტარება, სიხარული. მაშინ იყო მხოლოდ ერთი ენა, რომელიც ესმოდა ყველა ქმნილებას—კაცს, ცხოველს, მცენარეს, ქვას, ქვეწარმავალს. ყველა პირმეტყველი იყო, პირუტყვი არავინ და არა-რა ჩანდა. ხანდახან ცა იღებოდა და ვინც ამ „ცის კარის“ გაღებას დაინახავდა და რასმე ინატრებდა, გულის წადილი უკლებლივ უსრულდებოდა. მხოლოდ შემდეგში ცა იმ სიმაღლემდე აიწია, რა სიმაღლიდანაც დაჭსარქლებია დედამიწას. ამის მიზეზად შეიქმნა მთვარის დედა. ამან თავისს შვილს ლავაშით მოჰხოცა უწმინდურობა და მით შეურაცხჰყო ღვთის მადლი—პური. ღმერთმა აღარ ინდომა უმადურ ერთან ახლოს ყოფნა, ცა ასწია და მაღლა აიმართა.

მზე და მთვარე. მზესა და მთვარეს მამა ერთი ჰყოვნდათ, დედები—სხვადასხვა. ორთაენი მნათობნი იყვნენ. ღმერთმა გამოუცხადათ: თქვენს შვილებში ერთი დღის მნათობი—მზე—უნდა იყოსო, მეორე კი—ღამის მნათობი, მთვარე. მზედ ყოფნა სამკობი ნარო იყო. რომელიც მოასწრობდა დილით ადრე ადგომას, ის უნდა ყოფილიყო მზე. ერთის მნათობის შვილმა ჩინჩარი და ეკალი დაიგო და დაწვა: დილით მე ავასწრობ და მზედ გავხდებიო. პირველს ხანს ბევრი იფხიზლა სიმწვავისაგან, მაგრამ ბოლოს, გათე-

ნებისას, ღრმად ჩაძინა. მეორის შვილი ადრეულ ჩაწვა ლოგინში, დაიძინა, დილას ადრიან გამოიღვიძა, იქცა მზედ და წავიდა მსოფლიოს გასასთბობლად. მისს მეტოქეს გვიან გამოელვიძა და მთვარედ იქცა. სიმცონარისათვის დედა გაუჯავრდა და ცხვირ-პირში ცომიანი ხელი ჩასცხო. ამის ბრალია, რომ მთვარეზე ლაქებიანი მკრთალ წერტილებს ვხედავთო.

მზე გმირი ჭაბუკია. ღამე ზღვაში ჩადის, ზღვითვე მიემგზავრება აღმოსავლეთისკენ და დილას ადის ცაზე, სცა აქვს სპილენძის *) სახლი, ვენახები. შუადღისას სადილობს. მზე თვითონ არ ანათებს, არამედ მისი ტანისამოსი. სადამოს შინ ბრუნდება, დედასთან ერთად იძინებს. სატმელს რომ გაიხდის—ბნელდება, დილას რომ ჩაიცვამს—ნათდება. ზღვაში ჩასვლას დროს მზე ოქროს აბნევს. თუ ამ დროს კაცმა კვერნის ტყავი ზღვაში ჩაუშო, ოქროთი გაიჟღინთება. მრავალ ერთი მხარე ბრწყინვალე აქვს, მეორე—შავი. მზე და მთვარე მადლიანნი არიან.

თუ რა სქესისა იყვნენ მზე და მთვარე, სჩანს გალმოცემიდამ:

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
„ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რო კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა!“

მაშასადამე, მზე უოფილა და და მთვარე—ძმა. კახთა გალმოცემით, მთვარე იმიტომ არის ძმა, რომ იგი გულმკერია და დადის არათუ მარტო დღისით, როგორც მშიშარა მზე, არამედ ღამითაც. სტრაბონიც მოწმობს: ივერიისა და ალვანიის საზღვარზე ალმრთულიაო ღმერთები—მზე, ზევსი და მთვარე. უკანასკნელს აქ უფრო პატივსცემენ“. მიუხედავად უველა ამისა მზე მაინც სამჯობინა-

*) მზის ღმერთი არმაზი გაკეთებული იყო სპილენძისაგან (იხ. ქვემო).

როა, ამიტომ რომ მთვარე უამინდობისას გზებს ვერ გაუშრობს, გაუინულს ვერ გაცოცხლებს“. მაგრამ, სხვა გადმოცემით, მზე ძმაა, გმირი ჯაბუკი, რომელიც მთვარესავით მალვით კი არ დადის ღამის სიბნელეში, არამედ დღისით, გაბედულად, ვაშკაცურად.

ალნიშნულ გადმოცემით ცხადად ვხედავთ, რომ ქართველების რწმენაში უპირველესი ადგილი სჭერია დამბადებელს ღმერთს და მერე მნათობებს და ამათ შორის მზესა და მთვარეს.

ქართლის ცხოვრება გვაუწყებს, მთელის საქართველოს მამასახლისი დაჯდა მცხეთას და „მას ჟამს დაივიწყეს დამბადებელი ღმერთი და იქმნეს მსახურ მზისა, მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა, ხოლო მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო სიფლავი ქართლოსისა“, რომელიც დამარხეს ქალაქ ქართლს (არმაზს).

ეს სიტყვები მართლდება კვირის შვიდის დღის ქართულ-მეგრულ-სვანურ სახელებითაც. ვიდრე ალნიშნავდეთ ამ სახელებს, საჭიროა წინადვე მოვიხსენოთ შემდეგი.

ქალდეველთა და ეგვიპტელთა რწმენა საკმაოდ ემსგავსება ქართველებისას. „რა ვარსკვლავზე დაიბადა“, „როგორი ეტლისაა“, „შეტლოა“, „ეტლიანია“,—გვესმის ჩვენ ხშირად.

კაცის დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი, ამბობდნენ ქალდეველნი, იმეოფება ვარსკვლავთ გავლენის ქვეშე, ვარსკვლავნი არიან მაუწყებელნი ღვთის ნებისა, მათს ხელშია ყოველის კაცის, მთელის ერისა და მის მეფის ბედ-იღბალი, ბედისწერა, ეტლი. ქალდნი, ვითარცა ქართველნიც, თაყვანს სცემდნენ ხუთს ვარსკვლავს და აგრეთვე მზესა და მთვარეს. ქალდთა სასულიერო იერარქია შეადგენდა ვარსკვლავებით შეკრებილ ცის მსოფლიოსა და კაცთა შორის. ქალდთა ღმერთებად ითვლებოდა ორი უმაღლესი სამება, ხუთი ვარსკვლავი, ღმერთების 12 ბუნ. ეს ბუნები ითვლებოდნენ მზრუნველებად წელიწადის რომელიმე თვისა და ერთ ერთ თორმეტ ბურჯისა*) (ზოდიაქოსი).

შვიდ მნათობთა კაღმერთებამ დიდი მნიშვნელობა დასდო რიცხვს

*) Фр. Ленорманъ. Исторія Востока, ტ. I, გვ. 426.

შვიდს. მაშინ ცნობილი იყო შვიდი მნათობი—მზე, მთვარე, მარსი, მერკური, ვენერა, იუპიტერი, სატურნი,— და შვიდი ღითონი. წუმდათ, მნათობებს დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის საქმეებშიო. ოქრო შეწირული იყო მზისთვის (ქართველთა რწმენით—„მზე რომ ჩადის, ოქროს აბნევს"), ვერცხლი—მთვარისთვის, რკინა—მარსისთვის და სხ. კვირის შვიდი დღეც ამნაირადვე იყო განაწილებული შვიდ მნათობთა შორის: მნათობი, რომელიც ჩნდებოდა დღის 1-ლ ჯამს, იმ დღეს ეს მნათობი ანათლიდა თავისს სახელსაც *).

ჩვენს ქვეყანაშიაც წარმართობის დროსვე კვირის დღეებს დარქვა შვიდთა მნათობთა სახელები. კვირა ბერძნული სიტყვაა, ქართულად უნდა ეთქვიათ ნაგზი, როგორც დღეს სვანურშია (ნაგზი, ე. ი. ერთი გზობის გავლილი შვიდი დღე). აი თვით ეს სახელები:

კვირა	მზისა (დღე)	ჟეშხა (მეგ.)—(სვ.)	მიშ-ლა-დელ
ორშაბათი	თთვარისა—	თუთაშხა—	დოშდიშ
სამშაბათი	არიასი (არიანი)—	თახაშხა—	თახაშ
ოთხშაბათი	ერმისა—	ჯუმაშხა—	ჯიმაშ
ხუთშაბათი	აფროდიტისა—	ცაშხა—	ცაშ
პარასკევი	დიოსისა—	ობიშხა—	ვობიშ
შაბათი	კრონოსისა—	საბატონი (საბატინი)—	საფტინ.

მაშასადამე, ქართულები, მზესა და მთვარეს გარდა, არიან:

თახა—ბერძნ. არია—ლათინ. მარსი
ჯუმა (=ჯიმა)—ერმი—მერკური
ცა—აფროდიტე—ვენერა
ობი (=ვობი)—დიოს (ზევს)—იუპიტერი
საბატონი (=საფტინ)—კრონოს—სატურნი

ს. მეგრ.-სვანურში—აშ, იშ, შ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა (თახაშ=თახასი, ჯუმაშ=ჯუმასი და სხ. მიშ—და-დელ=მიჟ-შ=ლადელ—მზის დღე). ბ. მეგრული სახელების დაბოლოება

*) Дж. Дрэперъ. Исторія умств. развитія Европы, გვ. 301.

ხა უნდა იყოს არა დღა—დღე (ულურად ღე—დღე), არამედ ხა (ფესვიდგან ხუალა—შობა, ხუეს).

მზე. სვანური გადმოცემით, მზეს ჰქონდა სპილენძის სახლი. იგი იყო ჯაბუკი. ტანთ ეცვა ბრწყინვალე სამოსელი. ანათებდა არა თვითონ მზე, არამედ მისი ტანისამოსი. ჩვენი მემატიანე მზის ღმერთს არმაზს ასრე აგვიწერს: „აჰა დგა კაცი ერთი (არმაზი) სპილენძისა. ტანსა ეცვა ჯაჭვი ოქროისა და ჩაფხუტი ოქროისა (ზევით უკვე ვთქვით, ოქრო მზისოვის იყო შეწირულიო). სამხართა ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი. ხელსა აქვნდა ხმალი ღესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა ხელსა მისსა“. მემატიანეც განაგრძობს: „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმის მომცემელნი, ქვეყნისა ნაყოფთა გამზრდელნი,—ქართლისანი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი, და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა“ (შატბ. კრებ. X საუკ., გვ. 37).

სტრაბონი ამბობს (4, 7): „ალბანელნი თაყვანს სცემენ ღმერთებს—მზეს, ზევს (დიოსს) და მთვარეს, მეტადრე ამ უკანასკნელს“. ლიოდორე სიცილიელის ჩვენებით ღმერთის მზის ტაძარი იყო აგრეთვე კოლხეთს, ზღვის პირზე. ბერძნებისავე მწერლების გადმოცემით თვით ფაზისი (რიონი) იყო შვილი მზისა, კოლხი—ძე ფაზისისა, აჲეთისი—ძე მზისა. აჲეთისი ბრწყინავდა როგორც ოკეანედამ ამომავალი მზის გული. მისი ეტლის ცხენები ისე სწრაფნი იყვნენ, ვით ქარი, და იგინი მოეცა მისთვის ღმერთს მზეს. სჩანს, მზეს უწინარეს დროითგანვე ქართველები თაყვანს სცემდნენ, როგორც უპირველესს ღმერთს სინათლისას. თუშ-ფშავ-ხევსურთა ლოცვა დღესაც ასრე იწყობა: „დიდება ღმერთსა. დიდება მზესა, დიდება მზის ყველა ანგელოზსა, დიდება გმირ კოპალეს, „ცამდის მაღალს, ზღვამდის მაგარს“. ალბად, თვით მზე მიაჩნდათ კოპალედ (შეგრ. კოპული—შურდული), რადგან სხივებს „ისვრის და ასობს“. ქართულ ენასა და ჩვენულებაში დღესაც ბევრია სიტყვები, მაჩვენებელი მზის დიდებისა, ძლიერებისა, შვენიერებისა და მაცხოვრობისა. ძველს ელისენში თანაბარია ფიცილი: ზისმა, ღმერთმა

(მზის-მადლმა, ღმერთის-მადლმა). „მზის წვერმა უნდა წაჰკრასო შაის თესლს, რომ მურს სიცოცხლე მიეცესო“) „მზე შინაოს“ სიმღერა იგივე მზის დიდებაა. ფიცილი კაცის „მზით“ („შენმა მზემ«, „ჩემი მამის მზემ“ და სხ.) უწინ იგეთივე მტკიცე ფიცი უჩდა ყოფილიყო, როგორც ქრისტიანობაში ხატსა და ჯვარზე დაფიცება. მზეს ადარებდნენ უწინ ყველა კარგს, შეუნიერს და ასრე წარმოსდგენენ სიტყვები: ენა-მზეობა, მზე-გრძელობა, მზექალი, ქალთამზე, მზევინარი, ხვარამზე, მზეწაბუკი.

ეგვიპტეში სწამდათ: ხარი არისა ღვთაური ემბლემა მზისა, რომელიც დროგამოშვებით იბადება ელვის-მიერ დამწვებულ დეკეულისაგანაო, შეიძლება ჩვენშიაც ასრე ყოფილიყო. ხარის „ქედის მადლით“ ფიცილი აქ უველგან იციან. ამას გარდა მზისა და რძის სახელიც ერთი და იგივეა ჩვენში.

ა) მზე —ინგ. ზეე—მეგ. ბეა—სვ. მიქ.

ბ) რძე, სძე — ზეჲ—— ბეა — ლჯე.

არმაზი, სადა იყო ქართველთა სამება, ორმუზდ-ად მიაჩნიათ. ქართველი მწერლები მას არმაზს უწოდებენ. მისს ხევს დღეს ჰქვიან ალმასის წყალი. ბერძნების არც ერთი მწერალი „არმაზს“ არ ამსგავსებს ორმუზდს. იგია არმოზიკე (სტრაბ.), ჰარმასტის *) (ელიან.), არმაზიკა (პტოლომ.).

შემატიანე ამბობს: „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესეცე არს არმაზი. და ფარნავაზს სჯარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის“.

სახელს „ფარნავაზ“ ბერძნები სწერენ „ფარნაბაზის“. დაბოლოებანი ვაზი (=ბაზი) და მაზი (არმაზი) ჩვენ მიგვაჩნია მზე-დ **), ხოლო ფარნავაზი —ფარნა-მზე-დ, ფარნაჯიმ-ად

*) ალბად, „ჰარმასტის“ არის არმაზ-თა, არმაზ-თისი.

**) კავკასიელთა ენებზე მზის სახელი გადაქცეულა მთვარის სახელად. შეადარე: მ ზ ე (ბეა, მიქ, ზეჲ)—აფხ. ამრა—არჩულად ბარკ—ყუ-

მთვარე. ჩვენი ღმერთი მთვარე უდრის ბერძნულს არტემის ანუ არტემიდას. მისი საკერპო და აგრეთვე მის ძმის აპოლონისა იყო აწეურში (ქ. ცხ., 44). ჩვენში მთვარეს მზის ძმად სთვლიდნენ; ძმაა, რადგან მზესავით მშიშარა არ არის, დღე-დამე დაიარებაო. საბერძნეთში იგი მიაჩნდათ მზე-ღმერთის აპოლონის დად. არტემი, დაი აპოლონისა, ქალწული ღმერთი მთვარისა, დადის მთებსა და ტყეშიო, ნადირობსო, იბანება ცივს წყაროებშიო, მფარველობას უწევს მონადირეებს, დამე აჩენს ცხოველს ცვარ-ნამს, ემტერება მეზღვაურთ (მის გულის მოსაგებლად სამღთოდ სწირავდნენ ადამიანებს). იგი იყო ღმერთი ნოეიერებისა, მიწას ანაყოფიერებდა, ქალთ შვილებს აძლევდა. მას სახავდნენ ქალის მსგავსად ბევრის ძუძუებით—ნიშნად უხვობისა. მისს საკერპოში იყო ბევრი შეიარაღებული ქალი. დიოდორე სიცილიელი ამბობს, არტემის ტაძარი აშენა კოლხეთის მეფის აიეთის ტოლმა ჰეკატემსო.

ალბანიაში (და საქართველოშიაც), როგორც მოწმობს სტრაბონი, არსებობდა სამება—მზე, ზეკსი და მთვარე და ეს უკანასკნელი ითვლებოდა უმთავრეს ღმერთად. ქალღნი უშველებელად დიდს ქალს, ხაოსის პატრონს, უწოდებდენ თაოთა==თაუთა და ეს იყო ღმერთა მთვარე, ზღვა. ეგვიპტეში მთვარე ღმერთს ერქვა თოთ== თუთა. შეადარე:

ეგვიპტ.	ქალდური	ქართული	მეგრ.	სვან.
თუთა	თაუთა	თუარე	თუთა	დოშდულ
		თთვე	თუთა	დოშდ
		თთვისა	თუთა-შ-ხა	დოშდიშ
		(ორშაბათი)		

თახა. სამშაბათს ერქვა თახაშ ანუ არეასი. არეა იყო შვილი ზეგსისა და ღერასი, ღრუბელთა ქალ-ღმერთისა. იგი ითვლებოდა სიმბოლოდ აბობოქრებულ ცისა, ქარიშხლისა. შემდეგ შეიქმნა ღმერ-

---

მუხ. ბარღ—აკარულ. ბაყ—ახტურ. რაღ—წახურ. ვირელ—უდურ. ბელ. მთვარე: აფხაზ. ამზა—არჩულ. ბაც—ყუმუხ. ბარზ—ავარ. მოწ—ახტ. ავრზ—წახურ. ვაზ.

თად ომ-ბრძოლისა, დაშქრობისა. იგი შეიარაღებული მეომარია, მრისხანე, მღელვარე.—არეას ტაძარი ბერძენთა მწერლების გადმოცემით, იურ კოლხეთში, მეფის აიეთის ქალაქის ახლოს. ახლონ როდოსელი (250—200 ქრ. წ.) ამბობს: „მეომარ კოლხების ქვეყანაშია მდ. ფაზისი, რომელიც ამარანთას მთებიდამ გამოდის. ალმა რომ გასცუროთ, დაინახავთ ქუთაიდის მეფის აეთის ციხეს და ჩრდილოეთისა და წმინდა წკლაკს არეისა. აქ საშინელი გველაშაი არემარეს განიმსტრობს, ულარაჯებს ოქროს საწმისს, რომელიც გართხმულია მუხის წვერზე. ამაზონება ამ არეისაგან დაიბადნენ *), ამიტომ მათი საქმეა მეომრობა. აეეთისი მზის შვილია და თავის თავზარ დამცემ ხმითა და დიდის დონით შეელრება არეას. თვით საწმისის მცველი გველაშაი აქვე, კავკასიაში, დაბადებულა. არგონავტნი რომ ალმა მისტურავდნენ ფაზისზე, მარცხნივ დაინახეს კავკასიონი და აეეთის ქალაქი ქუთაის (Khutaiis-polis), მარჯვნივ კი იყო არეას მინდორი და წმ. წკლაკები ამ ღმერთისა“ არეი ამაზონების წინაპარია და ასწავლა მათ მეომრობა, იარაღის ხმარება, სპოვარ რაშებზე ჯდომა და ცხენების გაშენება, მოელა. პავზანი ჰერიეგეტს (70 წ. ქრ. შ.) შეუტყვია, სპერძნეთში არეას ტაძარი კოლხეთიდგან გადმოიტანესო.—არეას=არიას სახელი ჩვენ დღესაც გვესმის სახალხო სიმღერაში: „არი-არალო, თარი-არალო“. არეას სწორი თახაც, ალბად, მეომრობის ღმერთი იყო. თახას ტაძარი შეიძლება ეოფილიყო თხოთს, სატა წმ. ნინომ ალმართა ცხოველმყოფელ ხისაგან გაკეთებული ჰერველი ჯვარი.

ჯუმა=სვ. ჯიმა. მის სწორი არის ერმი, ჭერმესი (მერკვირი), მოციქული ციხა, დრუბელთა (წვიმის) მპარველი, სპაალახოების და მწყემსების მფარველი, თვიდგან მოხერხებულად ამცილებელი უბედურობისა, მწე იმათი, ვისაც შეუძლიან მოხერხებულად ალპარაკოს, მართალი დამალოს, მიეფეროს, გულჩათხრობილი

*) ჩვენის ფიქრით, თავდაპირველად ამაზონი უნდა რქმეოდა მეგრელს: სვან. ზან-სამეგრელო, მ ა ზ ა ნ-მეგრელი (სა-ზ ა ნ ო სოფლის სახელია იმერეთში). ქართული ზან უდრის ბერძნულს ზონ (ალაზონი=ალ-ზანი).

იყოს. იგი იყო აგრეთვე მფარველი ვაჭრობისა, რიტორობისა, მოციქულობისა.—ეს ჯუმა=ჯიმა უნდა იყოს ის მნათობი, რომელიც დილით ყველაზე ადრე იწყებს ციმ-ციმს, ჰიმჰიმს, ჰვირვას (საბათი: „ჰიმჰიმელი—არიას ცა მეხუთე“).

ცა=ცაა. მისი სწორია ასტროდიტე. მატიანეს გადმოცემით ასტროდიტეს კერპი მოიტანა სპარძნეთით მეფე რევის ცოლმა სეფველიამ მცხეთას. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მსგავს ღმერთის თაყვანისცემა ამის წინად არ იცოდნენ ქართველებმა. ამას ცხად ჰყოფს სვანურ-მეგრული სახელი ხუთშაბათისა ცაშხა, ცაშ. თვით სპარძნეთში, ასტროდიტეს კულტი გადინერგა ფინიკელების ახალშენებიდამ. ასტროდიტე იყო ფინიკიელთა აშერა და ასტართა. ასტროდიტა უდრიდა აშერას, როდესაც იყო ქალ-ღმერთი, მოტრფიალე ბადებისა და ყვავილების, მცხოვრები ჯალებში, ქალღმერთი სასმურ გაზაფხულისა, ტკბილად დროს გამტარებელი ტყეში მადღას მთაზე ჯაბუკ ადონისთან *) ერთად. ასტარტად იყო მაშინ, როდესაც თაყვანს სცემდნენ ვითარცა „სიმაღლეთა ქალღმერთს“, ქალთა ქალწულობისა, ცოლქმრობისა და ზნეობის დამცველს. სპარძნეთში ასტროდიტე შეიქმნა შვენიერების ღმერთად, გულის გამხარებელად და თვალის მსიამოვნებლად.

ობი=ვობი **). ბერძნ. დიოსი იგივე ზევსია, და რადგან პარასკევი იწოდება დიოსად (მეგრულად—ობიშ-ხა, სვანურად—ვობიშ), ამიტომ ობი უნდა იყოს იგივე ზევსი. ბერძნების გადმოცემით, ზევსი არის ღრუბელთა შემკრები, ტახტს მჯდომი ეთერზედ, მრყეველი ელვარე ფარითა (წვიმის ღრუბლით), განმაცხოველებელი და განმანაყოფიერებელი მიწისა, დამადგენელი წეს-რიგისა, დამცველი მართლიერებისა, მფარველი სჯულიერებისა, მეტადრე საოჯახო წესისა და სტუმართ მოყვარეობისა. იგი აძლევს კეთილდღეობას მეფეებს, ერს, ქალაქებს და ოჯახებს. მთავრობას ავალებს კეთილად იზრუნოს ქვეშევრდომთათვის. იგი თვით ჰეშმარიტებაა, წყარო კეთილისა და კეთილშობილებისა. იგია მამა ქალღმერთებისა, რომელნიც არიან სიმბოლონი დრო-ჟამთა, წელიწადის ცვლილებათა და კაცთა ცხოვრების მსვლელობისა. იგია მამა მგოსნობის ღმერ-

*) ამ ადონისს ერქვა აგრეთვე „გაის“.

**) შეად. ქართ. ბოჩი, სვ. ფუს (=ფუსტ)—უფალი, აფხაზ. აფი.

თებისა; მისი ცოლია ღერა, მრისხანე ქალ-ღმერთი ღრუბელთა, რომლის მოსამსახურეებია ცის-სარტყელა და ღრუბელნი ამასთანავე იგია დამადგენელი ქორწინების საღვთო კავშირისა და ამის გამო მისი დღესასწაული გაზაფხულს უნდა მოირთოს ყვავილებით. იგია მფარველი ქმრის ერთგულ დიასახლისისა. იგი ქორწინებას აკურთხებს შვიღებითა და ზრუნავს შვილთა დღეგრძელობისათვის. იგივე მშობიარეთ უმსუბუქებს ტკივილებს.— ყველა ამ თვისებით შემოსილია ქართველთა ზენაარი, უფალი (=ოფალი).

გაცი და გა. არმაზის მთაზე სამებას შეადგენდნენ არმაზი, გაცი და გა. „და მარჯულ (მარჯვენით) მისა (არმაზის) დგა კერპი ოქროისა და სახელი მისი გაცი და მარცხლ (მარცხენით) მისა კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა“. (შატბ. კრებ., 21). „ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი და ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გა“ (იქვე 37). „ესენი ღუთად ჰქონდათ“ (იქვე, 21). ეფთვიმე მთაწმინდელი († 1028 წ.) ამბობს (მცირე სჯულის კანონი, გვ. 121): „მოისპენ საწარმართო სახელის დებანი დიოს, აპოლონ, არტემ, ბოჩი, გაცი, გა **), გეონ და არმაზ.., ანუ რომელნი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონოსეს სახელსა იტყვიან და სიცილსა აღაზრზენენ“.

მიწა. ნიმფადორ სირაკუზელი შენიშნავს: „კოლხნი უმეტესად პაჟიკსცემენ ცასა და მიწას“. იაზონმაო, აბჭიბს აპოლონ როდესელი (250—200 წ. ქრ. წ.), თავის ოქროს კირასაულით, რომელიც სავსე იყო წმინდა ღვინით, აეეთის ქალაქს ქუთაისს (Kutaiis) რომ მივიდა, აპკურაო პატივად ქალღმერთის მიწისა.

ღმერთებს, როგორც დღეს ფშავ-ხევსურეთში ხატებს, უნდა ჰქონოდათ თავ-თავიანთი მამულები, სახატო მიწები. მათგან, ჩვენის ფიქრით, დაენათლა სახელები—გაჩიანს (გაცი=გაჩი=გაჩიანი), ზედაზენს, არმაზთას, ცაიშს, ჯუმათს, თბოთს, უფლის-ციხეს და სხ.

ზადი, ზადენი. მეფე ფარნაჯუმმა ააშენაო ციხე ზადენი და მასში დადგაო კერპი ზადენი. არმაზი და ზადენი იყვნენ „ნაყოფთა მომცემელნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი, ნაყოფთა გამზრდელნი“.

არმაზი იყო მზე-ღმერთი, მაშასადამე „მზის—მომფინელიც“, ხო-

---

*) ვ ემატება თავში: ვერძი—სვ. ერჯი, ორი—ვორი.

**) ფინიკიელთა ღმერთის ასტარტას მაგიერ ქართულს დაბადებაში გვხდება გა ანუ „მაღნარი გა“, „სიმაღლეთა გა“.

ლო ზადი იქნებოდა დრო-ჟამის ღმერთი, „წვიმის მომცემელი“, „ნაყოფთა გამზდელი“. თვით მისი სახელი ზ ა დ ი, ვფიქრობთ, უნდა ნიშნავდეს ზ დ ა ს, წინსულას და წარმომდგარიყოს ცნებიდამ ზ ა *) რომელიც უდრის ზმნას წა=წადი=წარ და რომლითგანაც გვაქვს წელიწადისა და მის დროთა სახელები:

სვან. ზ ა-მეგრ. წანა-წელი (წელიწადი)
ზ ა-ფ ხ უ ლ ი=მეგრ. ზა-რხული=სვ. ზა, ზავიშ
გა-ზ ა-ფ ხ უ ლ ი= „ გა-ზა-რხული= „ ლუ-ფხვ
ზ ა-მ თ ა რ ი= „ ზი-თონჯი= „ ლუ-ნთვიშ

გამოდის, რომ ძველად ქართველებს წელიწადი სამ წლად (დროდ) ჰქონიათ დაყოფილი (იხ. გვ. 92): ზა-ფხული—წელიწადი ფხიანი (ფოთლიანი), ზ ა-მ თ ა რ ი **)—წელიწადი თოვლიანი და გა-ზა-ფხული=ე. ზაფხულისკენ მიმართული.

ა ნ ი ნ ა, დ ა ნ ა ნ ა. ამ ღმერთების კერპები საურმაგმა დასდგაო მცხეთას, გზის პირად. მათი სახელწოდება ჰგავს შემდეგ სახელებს: ნინა, ნინო (ლეკურად ნ ი ნ ო—დედა=ნენე=ნანა=აფხ. ან-=ანან) (ენა=სვ. ნინ=მეგრ. ნინა). აფხაზთა გადმოცემით, ანან არის დედა-შემოქმედი. ასრე ეუდრებიან: „დედანო შემოქმედნო, მწუხარებას ნუ გამომაცდევინებთ შვილის სიკვდილით, მიჩვენეთ მათი კეთილდღეობა“. ა ნ ც ა არის უმაღლესი დედა-ღმერთი, მომვლინებელი ყოველგვარ სნებისა და ამიტომ ჰგონიათ, ყოველი ავადმყოფობის მიზეზი ანცაოა („ანცა რ მზზ“—ანცა არი მიზეზი).

ჩვენი ერის გადმოცემით, მთელი ქვეყანა სავსეა სხვადასხვა სულებით, ანგელოზებით. არის პატრონი ტყეთა, ტბათა, ანგელოზი მონადირეთა და სხ. ამგვარივე რწმენა ჰქონდათ ქალდიაშიაც, აკკად. აქაურების რწმენით, უპირველესნი სულნი იყვნენ ა ნ ნ ა და ე ა, ღმერთნი ცისა და მიწისა. ე ა იყო ღმერთი მიწისა ანუ მიწის ნიადაგისა, ზედაპირისა.

სულხან საბა სწერს: „ერმი. ესე არს მეორესა ცასა, რომელსა ე ა-ს ცას ეწოდების ცორანო. ღმერთის აიე-ს=ეა-ს ქალაქს, ალბად, ერქვა აიეთი, ხოლო მისს მეფეს აიეთისი (Aiétis).

ჯ ა ჯ ა. აფხაზურად ჯეჯილების მფარველ ღმერთს ჰქვიან ჯაჯა. მისთვის შესაწირავს ამზადებენ გაზაფხულის დამდეგს და სთხოვენ კარგს მოსავალს. სიტყვა ჯეჯილი=ჯეჯლი იმავე ფესვიდგან არის, რომლიდგანაც მეგრ. ჯა=ხე, ქართული ჯაგი, სვან. ჯეჯი (=ჯეჯილი).

---

*) სვან. (ლი)-ზი, (ლი)-ზა-ლალ—სულა, სიარული.

**) მთარი მიმღეობაა მეგრულისა თ ი რ ი—თოვლი.

ალი. აფხაზთა გადმოცემით „წყლის დედა“ ცხოვრობს ტბაში ან წმინდა წყაროში. იგი ფრიად ლამაზი ქალია. ხან და ხან გამოდის წყლის ნაპირს, წინ იდებს სავარცხელს და ივარცხნის თავის გრძელს თმას. მას სახე თვალთ-შეუდგამი აქვს. ამ „ბატონ წყლის დედას“ აფხაზნი დღესაც შესაწირავს სწირავენ და ევედრებიან ავადმყოფის მორჩენას. ყველა ამ თვისებისაა ალი-ც (ჰინკა), რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ჰალა-ტყეთა ღმერთი, წყლის დედა, ცეცხლისებრ მანათობელის ქალის სახით: ალი (==სვ. ჰალ) აღგზებულ ცეცხლს ჰქვიან.

აგუნა. გურიაში აგუნას იხსენიებენ ახალს წელს. იგი ვენახის ღმერთია. მას ევედრებიან ასრე: „აგუნა, აგუნა, ჩამოიარე ჩვენს კარს, ჩვენს მამულში კარგი მტევნები მოიყვანე“. აგუნა, რასაკვირველია, არის იგივე ღუნო, ღუინო, ღვინო (მკრ. ღვინი, სვ. ღვინალ, სომხ. გინი). მდაბიურად აგრეთვე ჰქვიან ნუნუა.

დალი. სვანეთში ტყის ქალს (პატრონს) ჰქვიან დალი. მისგან დაიბადა ამირან-გმირი. დალი, ალბად, იყო ბუნების ამწვანების და აყვავების ღმერთი. (სვან. დაიღ—ყვაილი, მდელო==ველრ. ნდელო. სვ. დიარ—პური, მეგრ. ოდიარე—საძოვარი, საბალახე). ამას დღესაც დამღერიან ჩვენში („ოდელია, დელა“) (აპ. როდოსელი კოლხიდელთ ერთ ღმერთს უწოდებს დაირა) (ჩაჩნურად დელი—ღმერთი). იგი უნდა იყოს ის ღმერთი თარ, რომელიც ისსენიების სახალხო სიმღერაში: არნანა, თარნანა.

დევი უწინარეს დროს ითვლებოდა უმაღლეს ღმერთად სინათლისა, ბრწყინვალებისა. დევი არის ლათინთა Deus, ბერძენთა თეოს. შემდეგში მხოლოდ იგი იქცა ბოროტ სულად ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, ბაყბაყ-დევად. ამ დევს (სვან. დაუ, მეგრ. ნდი) ქართველთა ზღაპრები ხატავენ უზარმაზარ დედაკაცად, რომელსაც შუბლზე აქვს ერთად-ერთი თვალი, ხოლო ძუძუები დიდრონი, თუნგის ოდენები. თვით ქალდნი, როგორც იყო ნათქვამი (გვ. 86), ამ უშველებელად დიდს ქალს, ხაოსის პატრონს, უწოდებდნენ თათთა, თაუთა, რომელიც იყო ღმერთი მთვარე, ზღვა.

თუ ეს დევი (==ნდი, დუ) იგივე მთევია (მთაებია ზმნიდან ნაება, დება) და სწორია თუთუსი (მთვარის), თოთის (გვ. 86), შეიძლება, მისგანვე წარმოებულიყოს სახელები ქალდი (ქალდეველი), ქართი (ქართველი), ღმერთი—ღოროხთი, ღუთა (აფხ. ახდაუ).

ცეცხლი. ცეცხლის თაყვანის ცემა ისევე ძველია, ვით ადამიანის ოჯახი, კერა, ბინადრობა. ბერძენთა მწერლების გადმოცემით, პრომეთე-

ოსი იმიტომ მიმსჯვალა ზევსმა კავკასიონის მთაზედ, რომ მან კაცი გააჩინა მიწისა და წყლისაგან და მერე ცეცხლი მოიპარა და ციდამ ჩამოიტანა. მიმსჯვალა-რა ღმერთმა გმირი, მიუჩინა მას აგრეთვე არწივი, რომელიც მარად გულს უწიწკნის და უღადრავს. ასრეა ბერძენთა მწერლების გადმოცემით. მის მსგავსია გადმოცემები შესახებ „ამირანისაც“. ამ თქმულებას საფუძვლად დაედებოდა განმარტება სახელისა ცეცხლი, რომელიც რთული სიტყვაა: სვ. დეც=ცა; ქართ. ცეც-ხლი=მეგრ. დაჩ-ხირი. ბოლო სიტყვისა (დაჩ)-ხ ი რ ი ნიშნავს პ ა რ ვ ა ს (მეგრ. ხირუა—პარვა). რადგან ც ა (დეც) თავის თავადაც ითვლებოდა სინათლედ, უშველებელ დიდ ცეცხლად (ცია=ცეცხლი), ამიტომ სიტყვაში ცეც-ხლი=დაჩ ხირი ცნებას „ცეცხლი“ საკუთრად უნდა ნიშნავდეს ცეც=დეც=დაჩ. ლეგენდა ცეცხლის „მოპარვის“ შესახებ გავრცელდებოდა მის მერმეთ, როდესაც ქართველებმა დაივიწყეს, რომ სიტყვას „ხირი“ ხირუას (პარვას) გარდა ექნებოდა სხვა მნიშვნელობაც, მაგ., ხურება, ხურვალი, ხლა=ხალება, კელი.

პრომეთეოსმა მოსტაცა ღმერთს ცეცხლი და მისცა ერს და იხსნა იგი წარწყმედისაგან. ამ დროითგან კაცობრიობის ცხოვრებამ გაუკეთესება იწყო. მოიგონა იარაღები, გაიკეთა სახლები, ისწავლა წეს-რიგი მნათობთა ტრიალისა, მათი მსახურობა და ყოველი ხელოვნება (ვებერ, II გვ. 48). და ამ მაღლის მოტაცებისთვის ზენაარმა მიმსჯვალა იგი „სკვითის ქვეყნის მაღალს კავკასიონის მთაზედ“.

ხ ა ტ ე ბ ი. ჩვენი ღმერთების ქვეყნიურს საკერპოებს შემდეგში დაერქვა ხატი და მათ თაყვანისცემის დღესასწაულს ხატობა. (შვაველების გადმოცემით, ხატი ღვთის გაჩენილია, ღვთის შვილია, ქვეყნიური ბატონი. ხატები თავდაპირველად იყვნენ კაცები მაღლიანი, უცოდვონი. რომ დაიხოცნენ, ღმერთმა იგინი აქცია ხატებად, ანგელოზებად. ხატს ჰყავს მოსამსახურედ დობილები (მხავანნი). ეისი ჯავრის ამოყრა უნდა, ამ მხავანთ მიუსეჯს. ხახმატის ჯვრის დობილები იყვნენო სამძივარი, თამარჭალი, ხოშაკი, მზეკალა და აშეკა.

სამძივარიც ითვლებოდა აწყურის არტემის (მთვარის) საკერპოს დიოფალად.)

ბ. ღმერთ-კაცნი.

ა. **ქართლოსი.** პირველ კაცს საქართველოში ერქვა ქართლოსი (ქართ(ლ)ისი), პირველს ქალაქს ქართ(ლ)ი, პირველი საფიცარი იყო საფლავი ქართლოსისა.

შები. ესენი მისთვის მიეცა მზე ღმერთს. ჩაჯდებოდა-რა ეტლში, მარჯვენა ხელზე იკეთებდა მრგვალს ფარს და მარცხენა ხელში იჭერდა ბუმბერაზ ლამპარს. მის გვერდით ურჩობდნენ მეტად დიდს ლახვარს. ეტლს ჰმართავდა აბსირტი. ბოლოს იგი მოკლა მელეაგრმა. სტრაბონი იუწყება: „ქალაქ აიას ახლაც უჩვენებენ ფაზის მდინარეზეო და ყველას სჯერა, რომ აჲეთისი მეფობდა კოლხეთშიო, საცა მისი სახელი დღესაც იხმარებაო“. მართლაც, აიეთისი ერქვა გუბაძეს თანამედროვე ქართველს (554 წ. ქრ. შ.).

3. ცირცეა I, ღმერთქალი, ენამზიანი, მბზინავთმიანი. ფაზისი, გამოდიოდა-რა ამარანთის მთიდგან და რწყავდა-რა ცირცეას მინდორს, ერთოდა ზღვას. ვენახითა, ბალახითა და ტირიფებით იყო შემოსილი ეს ცირცეას მინდორი. ცირცეა აქ აგროვებდა წამლის გასაკეთებელ ბალახებს (მისი სახელი ემსგავსება მეგრულს ცირა—გასათხოვარი ქალი და გურულს ცია).

ზ. პერსეჲ, ძმა აჲეთისა, მმართველი ტავრიდისა (ყირიმის). მან აჲეთისი ტახტიდგან ჩამოაგდო, მაგრამ მეღვემ უშველა მამას და ტახტი დაუბრუნა (შეადარე ფერსათი (მთაა იმერეთში), ფერის).

ი. Ცეკატა, ღმერთქალი, პერსეს ასული და მეუღლე აჲეთისა. უყვარდა ნადირობა. თუ ნადირი არ შეხვდებოდა, ხოცავდა კაცებს. ყველაზე მეტად შეისწავლა წამლების გაკეთება და აღმოაჩინა წამალი aconitum. მოიგონა-რა წამლები, მოსწამლა თავისი მამა და დაიპყრა მისი სამეფო და მერე ააგო ტაძარი არტემიდისა, რომელსაც სწირავდა ყველა უცხოელს, რომელიც გაბედავდა მის ქვეყანაში შემოსვლას. Ცეკატეს პატივად ააგეს ბრწყინვალე ტაძარი. მას იცავდნენ გველები ნოჩჩ მუხის ტოტების ჩდილში. ლამპრები ანათებდნენ არემარეს. მის გარეშემო ძაღლების საშინელი ყეფა ისმოდა. ველები ირყეოდნენ მის ფერხთ ქვეშ და ყუოდნენ წყლის ალე-

ბი, მცხოვრებნი ამარანთის ფაზისის ჰაობებში (შეადარე: Amaranta ქართულს ამირან-თა, ამირანის მთა).

თ. აბსირტ ადეთისძე. მისი სახელი ეწოდებოდა პონტოს კუნძულს აბსარს. (ქართლის ცხოვრება, როგორც იყო ნათქვამი, აფხაზებს უწოდებს აბსარ, აბშილი. თავის თავს იგინი უწოდებენ აბსუა, თავის ქვეყანას—აბსნ).

ი· ქალკიოპე, ასული ადეთისა. ოქროს ვერძით რომ კოლხეთს მოვიდა ფრიქსი, ეს ვერძი აქ შესწირა კრონოსს. შემდეგ იგი მიიღო ადეთმა, რომელმაც მას მიათხოვა თავისი ასული ქალკიოპე- მისგან იშვნენ არგი, ფრონტის, მელასი და ციტისორი. ფრიქსი მოკლა ადეთმა, რადგან მკითხავმა უთხრა, მოსული სტუმარი მოგკლავსო. მისი შვილები ნავში ჩასხდნენ და წავიდნენ. იღუპებოდნენ, რომ მოასწრო მათ იაზონმა, რომელიც კოლხეთს მოდიოდა. იაზონმა იგინი გადასხა თავის ხომალდზე. მათ დაამალინეს ხომალდი და თვითონ მოვიდნენ დედასთან და შეატყობინეს მიზეზი იაზონის მოსვლისა. ქალკიოპემ დახმარება სთხოვა თავის დას მედეას.

ია. ცირცეა II, ადეთის ასული. თავის დედა ჰეკატესავით ესეც წამლების კეთებას სწავლობდა და ბევრი ახალი წამალი აღმოაჩინა, ასე რომ ამ მეცნიერებაში სხვას არ დაუვარდებოდა. იგი მიათხოვეს სკვითის მეფეს, რომელიც მოწამლა და გამეფდა. მაგრამ ფიცხად და ულმობელად ეპყრობოდა ქვეშევრდომებს, რომელთაც იგი განაძევეს.

იბ. მედეა=მედია, ასული ადეთისა. მისი მოართვა: „რა წამს ცისკარმა აღმოაშუქა, მედეამ შეიკრა თავისი აწეწილი თმები და დაიბანა ხმელ-ხმელი ლოყები; ტანზე კი იცხო სანეკტარო ნელსაცხებელი. მერე ჩაიცვა ლამაზი ტანისამოსი და შეიკრა იგი მოკაუჭებული ღილებით. გასურნელოვანებული თავი დაიბურა თეთრის რიდეთი. თავის მხევლებს, რომელნიც იყვნენ მის ტოლნი და რიცხვით 12-ნი, უბრძანა შეებათ ჯორაკები ეტლში, რადგან ჰეკატეს ბრწყინვალე ტაძარში წასვლას აპირებდა“.—მან იცის გაკეთება წამლებისა, შხამისა და

ნელსაცხებელისა. წამალს ამზადებდა შავის წვენით იმ ძირკვებისა, რომელიც ეშოვნა კასპიის Uეკატეს ტაძარში. იგი იყო მზის ტაძარში, როდესაც მოვიდა იაზონი. ეს მოეწონა მედიას და შეჰპირდა, შენი მეუღლე ვიქნებიო. მანვე ასწავლა იაზონს ხერხი ოქროს საწმისის გასატაცებლად. მერე ჩასხდნენ ხომალდში, რომელსაც ერქვა არგო, და წავიდნენ. ათინაში იგი გაეყარა იაზონს და შეირთო ეგეა, რომლისაგან ეყოლა მიდი. თეზეოსთან მომდურების გამო, მედეა განაძევეს. მაშინ მას შეურიგდა იაზონი და ერთად დაბრუნდნენ კოლხეთს. აქ მაშინ მეფობდა პერსე, რომელსაც თავისი ძმა აიეთისი ტახტიდგან ჩამოეგდო. მედეამ უშველა მამას და ტახტი დაუბრუნა მერე წავიდა აღმოსავლეთს, კასპიის ზღვის პირად, და იქ დააარსა სამეფო, რომელსაც ეწოდა მედია ანუ მისის შვილის სახელი—მიდია *).

---

*) მედეას შვილმა მიდმა, აპოლოდორის სიტყვით, დაიპყრა მრავალი ბარბაროსთა ქვეყნები, თავისს სამფლობელოს დაარქვა მიდია და თვითონ მოკვდა ინდოეთის ლაშქრობაში.

განყოფილება II.

სამეფოს დაარსებიდგან ქრისტიანობის მიღებამდე.

თავი I.

მეფეები რომაელთა შემოსევამდე.

I. **საურმაგი** (237—162 წ.) ფარნავაზი რომ გარდაიცვალა (237 წ.), იგი დიდის დიდებით დამარხეს ქალაქ არმაზს (ქართლს) კერპის არმაზის წინ, და გაანეფეს მისი შვილი საურმაგი. მაგრამ შვიდობამ დიდხანს არ გასტანა. ერისთავებმა არ მოინდომეს საურმაგის მორჩილება და განუდგნენ. იგინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „კარგი არ არის, რომ ვემორჩილებით ჩვენს ნათესავს საურმაგს. შეველართდეთ, საურმაგი მოვკლათ, დავიბრუნოთ ის თავისუფლება, რომელიც გვქონდა ფარნავაზის წინად. თუ ვინმე გამოჩნდა მძლავრი, მას ვაძლიოთ ხარკი“.

საურმაგმა შეუტყო ორგულობა თავისს მოხელეებს და გაიქცა ძურძუკეთს. მალე მას ეახლნენ ქართლიდამ აზნაურნი, რომლებსაც სიცოცხლეს უმწარებდნენ იგივე გაამაყებული ერისთავები, და მოახსენეს მეფეს: „დიდი კეთილი დგას ჩვენ ზედა მაშისა შენისა. ამისთვის ვართ მტკიცე ერთგულებასა შენსა“. საურმაგს გაუხარდა. მოიწვია ოსეთის მეფე, რომელიც მისი მაშის ფარნავაზის დის წული იყო, ავრეთვე მოიშველია ძურძუკნი, დიდის ლაშქრით მოვიდა, შეება ერისთავებს, დაა-

მარცხა განღგოჰილნი, ამოწყვიტა ურჩნი და ისევ გამეფდა მცხეთას. შემდეგ შეუდგა ქვეყნის მართვა-მოწყობას. ქართლოსიანნი, რომელთაგან ერისთავები განიმწესებოდნენ ხოლმე, დაამდაბლა, ხოლო აზნაურნი აამაღლა და წარჩინებულ ჰყო. გაიწრავლა მოლაშქრე ძურძუკთა და კავკასიანთაგან. ამათგან მრავალს წარჩინება მისცა, კავკასის ნათესავის ნახევარი მოიყვანა და დაასახლა მთიულეთს, მთა-მთა, დიდოეთიდგან სვანეთამდე. ყველა ესენი გამოაცხადა თავის ერთგულ მცველებად. ამას გარდა მცხეთა და ქართლი გაამაგრა ციხეებით, მცხეთის გზაზედ აღმართა კერპნი აინინა და დანანა. სიყვარულით მსახურება გამოუცხადა ასურეთის მეფეს.

საურმაგმა შეირთო ბარდაველის ერისთავის ასული და მისგან მიეცა ორი ქალი, და რადგან ვაჟი არ ეყოლა, რომ ტახტი მისთვის დაეტოტცნა, სპარსეთიდგან მოიყვანა მირვან ნებროთიანი, თავის ცოლის ნათესავი, და იგი გამოაცხადა თავის შვილად და მემკვიდრედ. ამასთანავე შერთო მას თავისი ასული, მისცა საცხოვრებლად ქალაქი გაჩიანი და სამშვილდის საერისთაო. მეორე ასულიც მიათხოვა ცოლად თავის მამის დისწულს, ქუჯისძეს.

საურმაგის მეფობას ვახუშტი დასდებს 237 წელს და მემატიანე კი შენიშნავს, რომ საურმაგმა სიკვდილი გამოუცხადა ასურეთის მეფესო. ამ მეფედ იქნებოდა სელევკოს II (247—227). თუ ვახუშტის ქრონოლოგია მივიღეთ, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ მე-IV—III საუკ. ფრიად არეული და დაუდგრომელ დრო-ჟამს ფარნაჯაზსაც „მეუდროდ და მშვიდობიანად“ უმეფნია 64 წელიწადი (301—237 წლამდე), ე. ი. იმ ხანს, როდესაც მის მფარველ ასურეთში სამი მეფობა დასრულდა და მეოთხემაც ათი წელიწადი განვლო (სელევკოს I (312—280), ანტიოქოზ I (280—261), ანტიოქოზ II (261—247) და სელევკოს II (247—227).—გარეგვნილებამ სელევკიდების სასახლეში და სამეფო ტახტის მეძებართა სიმრავლემ მალე შეაძულა ხალხს ეს სელევკიდები, ბერძენ-მაკედო-

ნელთა წარმომადგენელნი აღმოსავლეთში. ამიტომ ამ სამეფოს ჩამოშორდნენ უველა ერნი, რომელნიც ცხოვრობდნენ ტიგრის მდინარის აღმოსავლეთით ინდოეთამდე. განცალკევდა ანტროპატენა (ადარბადაგანი) და ბაქტრია, სადაც 254 წელს 1000 ქალაქამდე ითვლებოდა. ამავე ხანს ჩრდილოეთიდგან ჰართიის შემოესიენენ დიენი. ამათმა მთავარმა არსაკმა დაიპყრა ჰართიის სამეფო. ბანაკარი ერი ჰართიისა შეუერთდა მოსულებს, ერთი ერი შეიქმნა და მალე არსაკის სამეფო გაძლიერდა და გაგანაერდა ასე, რომ მისი აღმოსავლეთი მხარე ეპყრობოდა ინდოეთს, დასავლეთისა — კასპიის ზღვას. (ამ დიენებს სკვითის ერად სთვლიან, მაგრამ დაი ერქვათ არეთევე ქართველ ტოელებსაც). ასრეთი მდგომარეობა აღმოსავლეთისა ცხადად გვიჩვენებს, რომ სპარშაგი, რომელსაც მფარველობდა სელევკოსი, ვერც ოვის ტოლს და ვერც თვის ტახტის მემკვიდრეს ვერ მოიგებდა სპარსეთიდამ, სადაც, ამას გარდა, მეფობდნენ აქამენიდნი და არა ნებროთიანნი, და მირვანი კი ნებროთიანი იყო, თესლ-ტომა იმ ნებროთ-გმირისა, რომლის ჩამომავალნი მთავრობდნენ ბაბილონს, ასურეთს და, სახლგაღდ, შუამდინარეს.

2. **მირვანი** (162—112). მირვანი იყო კაცი ტანადი, შვენიერი, ძლიერი, მხნე და ქველი. მაგრამ ვერც ამისთანა მხნე მეფემ შეიკავა სამეფოს მეზობელი ველურები. მას აეშალნენ ძურძუკნი, გადმოვიდნენ ჰართალს, საცა ესახლნენ კავკასიის ტომნი, შეიერთეს ესენი და დაიწყეს რბევა კახეთისა და ბაზალეთისა. მეფე არ შეუშინდა განდგომილებს, მოიწვია ყველა ერისთავნი და მთელი ლაშქარი, ქვეითი და ცხენოსანი, აგრეთვე ერთგულნი კავკასიის ტომნი და წავიდა ძურძუკეთს. ამ ქვეყნის მიწაზედ დაუხვდა ძურძუკთა ძლიერი ლაშქარი. მირვანმა ხერხი იხმარა: მტერს უკანიდგან მოუარა, ზედ კარზედ მიადგა, შეება სასტიკად, დაამარცხა და უკუნაქცია. მირვანი გამოეკიდა მათ, შევიდა ძურძუკეთს და ჰართალს, მოაოხრა ეს ქვეყნები, ძურძუკეთში შესავალს შეაბა კარები—დარუბალი და დაბრუნდა მცხეთას.

მირვანი შეიყვარეს ქართველებმა, რადგან სახელი გაითქვა გულკეთილობით, სიმხნე-სიქველით. ესეც მსახურებდა ასურეთის მეფეს. თავისი ასული ამ მეფემ მიათხოვა სომხეთის მეფის ძეს არშაკს.

3. **ფარნაჯომ** (112—93). გამეფებისავე უმალ ფარნაჯომი შეუდგა ქვეყნის მაგრებას, ციხე-ქალაქთა შენებას, მაგალ., ააგო ციხე ზადენი, იქვე დასდგა კერპი ზადენი, კახეთში ააშენა ქალაქი ნელქარი (=ნეკრესი). ასრე ზრუნავდა იგი ქვეყნისთვის, მაგრამ ბოლოს შეიყვარა სპარსთა სჯული—ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთიდგან ცეცხლის მსახურნი, მოგვნი, დაასახლა იგინი მცხეთას, მოგვთას, და დაუწყო მათ პატივის და თაყვანის ცემა, ძველი, მამაპაპათა სჯული კი შეიძულა, გმობა დაუწყო კერპებს. ამისგამო ქართველებიც გადაეტერნენ. ქართლის ერისთავნი შეითქვნენ მის წინააღმდეგ, მოციქული გაუგზავნეს სომხითის მეფეს და მოახსენეს: „მეფე გადაუდგა ჩვენს მამა-პაპათა სჯულს, იგი აღარ მსახუროს ქართლის მპყრობელ ღმერთებს, უცხო სჯული შემოიღო. აღარ ღირს, რომ იგი მეფედ გვყვანდეს. მეფედ მოგვეცი შენი შვილი არშაკ, რომელსაც ცოლად ჰყავს ჩვენთა მეფეთ ფარნავაზიანთა ასული, მოგვეშველე, ვაიტოთ ფარნაჯომი და გავამეფოთ შენი ძე არშაკი და მისი ცოლი, ასული მეფეთა ჩვენთა“.

სომეხთა მეფემ განდგომილებს შემოუთვალა: თუ ჩემი შველა გინდათ, მზევლები მომეციოთო. ერისთავებმა მისი მოთხოვნა შეასრულეს. მაშინ სომეხთა მეფე დიდის ლაშქრით წამოვიდა ქართლისკენ. აქედგან ერისთავები გაეგებნენ და ტაშირს დაუხვდნენ. შესდგა დიდი ლაშქარი, რომელსაც ფარნაჯომი უნდა შეემუსრა. ამან მოიშველია ერთგულად დარჩომილი ქართველობა, სპარსნიც მოიწვია და მტერს შეება ტაშირს. დიღხანს და ძლიერად იბრძოლეს, ბოლოს ფარნაჯომი დამარცხდა. იგი მოკლეს. ეს რომ გაიგო მისის მემკვიდრის მირვანის აღმზრდელმა, წაიყვანა იგი და სპარსეთს გარდაიხვეწა.

მირვანი მაშინ ერთის წლის ყრმა იყო. გაბეჭდა არსაკ არსაკუნიანი.

ისტორიკოსი იეიმურაზ ამ ამბავს ცოტა სხვანაირად გვდმოგვცემს. მისის სიტყვით, ფარნავაზმა ცაშარას დამარცხების შემდეგ მცრებს გაუქცა ჯორტოს, თან მიიტანა დიდძალი საუნჯე, მაო მიიმხრო იქაური მთავრები და ბრძოლა აუტეხა თავისს მცრებს. რძალი ათის წლის განმავლობაშდე, მრავალჯერ შეიჭიჭრა საქართველოში და ბოლოს მოკლეს ცაშარში. მისი შვილი შაშან იყო ორის წლისა და მას ზრდიდეს დედა მისი და მამამძუძე ბავდური.

თეიმურაზის ჩვენება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. პონტოსა და კათბადუკიაში ქართველთა ტომნი მოსახლეობდნენ მ. ქორენელის ცნობით ნაბუქუდურასარის დროითგან იერიელთა ერთი ნაწილი ესახლა პონტოს მხარეს და ალექსანდრე მაკედონელს ამათ უფროსად დაედგინა მიტრიდატი.

4. არსაკ (93—81). არსაკი, როგორც ამბობს ქართ. ცხ., სომხეთის მეფის არტაშეზის შვილი იყო და ცოლად ჰყვანდა მირვან მეფის ასული. გამეფდა-რა, იგი შეუდგა საქართველოს მაგრებას, ციხე-კოშკების განახლებას. უმეტესი ყურადღება მან მიაქცია ჯავახეთის მოწყობას. ბემატიანე ამბობს: „არსაკმა დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა ნებიერად. მან უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთის ქალაქსა წუნდას.—

ეს არტაშეზი იყო ძე არშაკისა, ხოლო ამის მამა ვაჰარშაკი იყო ძმა მიტრიდატ 1-ისა (150 წ. ქრ. წ.), რომელსაც დაედგინა იგი სომხეთის მეფედ. მ. ქორენელის ცნობით, ვაჰარშაკი ძლიერი მეფე იყო, მან გააფართოვა თავისი სახელმწიფო, სასახლის დასაცველად დაადგინა მეომრები, ჰაიკის ჩამომავლობისანი, მეჯვიდრეობით მფლობელნი დაბა-სოფლებისა. ამათ მაგიერ წინად იყვნენ სხვა მცველები, მსგავსად ივერიელთ სეფე-წულებისა. ვაჰარშაკმა ააშენა ქალაქი არმავირი

და მასში დადგა კერპები მზისა, მთვარისა და თავისს წინაპრებისა, დაბა-სოფლებში დაადგინა მოსამართლენი.

მ. ქორენელი არას ამბობს იმის შესახებ, რომ, ვითომ, არტაშეზის შვილს არშაკს *). შეერთოს მირვანის ასული და საქართველოში გამეფებულიყოს; პირიქით, იგი აღნიშნავს, რომ არტაშეზმა თავისი ასული ცოლად მიათხოვა ივერთა „ბდეშხს“ მიტრიდატს და მიანდო მას გამგეობა ჩრდილოეთ მთებისა და პონტოს ზღვისა **).

---

*) ვაჰარშაკ I (150—128), არშაკ I (128—115), არტაშეზ I (115—90).

**) ამ მიტრიდატის შესახებ იხ. გვ. 104.

თავი II.

რომაელთა შემოსევა.

1. არტაგი დი მიტრიდატ დიდი. არტაგის დროს აღიძრა კითხვა, თუ ვინ უნდა იყოს მსოფლიოს მპყრობელი და პატრონი—საქართველო-პონტო და, საზოგადოთ, აღმოსავლეთი, თუ დასავლეთი—რომი. უწინაც იყო ასრეთი განწვავებული წამი ქართველთ მოდგმა ურარტებსა და ასურთა შორის და მაშინ მსოფლიოს გეგემონია შერჩათ ასურელებს. ახლაც ბურთი და მოედანი დარჩათ რომაელებს, მაგრამ ვიდრე იგინი თავის საწადელს მიაღწევდნენ, ქართველებმა და მათმა მოკავშირეებმა გამოიჩინეს ბუნებრაზული სიგმირე, ვაშკაცობა და სიქველე. ეხლა საქართველოს შეადგენდენ ალბანია (კახეთი), ქართლი (ამერეთ-იმერეთი) და კათბადუკია. ქართლში მეფობდა არტაგი, ალბანიაში მისი ძმა ორეზი და პონტოში მირდატი (მიტრიდატი). რომაელებთან ბრძოლაში მესვეურობა ერგო მიტრიდატს.

სპარსთა მფლობელობის დროს მე-VI—V საუკ. ქრ. წ., დასავლეთ საქართველოს, ჩუბინაშვილის გამოკვლევით, შეადგენდნენ კათბადუკია ხმელეთისა და კათბადუკია ზღვის პირისა. ამ უკანასკნელის ნაწილები იყვნენ პონტოს სამეფო და კოლხეთი (იმერეთი). ხმელეთის კათბადუკია მდებარებდა ფრიგიასა და ევფრატს შორის. ჩრდილოეთით მას საზღვრავდა პონტოს ანუ სკიდიის მთა. მას ჰყვანდა საკუთარი მეფეები. ამათგან არიარატ II მტერმა დაამხო 322 წ. ქრ. წ. მისი შვილი არიარატ III გამეფდა და თავის შვილს არიარატ IV-ეს შვრთო ანტიოქიის მეფის ასული. არიარატ VI და არიარატ VII თანამედროვენი იყვნენ მიტრიდატ დიდისა.

მეორე კათბადუკია—ზღვის პირისა—იყო პონტო და კოლხეთი. პონტო იყო ქვეყანა მდინარიანი, ტყიანი, ნაყოფიერი, მდიდარი მადნეულით. მის დასავლეთით მიმდინარებდა

ღალატი (აწინდელი ყიზილ-ირმაკი), რომელიც გამოსდიოდა გემის ცთას. აქ კიდევ იყვნენ მდინარეები: ირისე, თეძამი, გეგრელი წყალი, თერმადონი, ფსიხრონი. პონტოს სამხრეთი მხარე იყო მთიანი. აქ იყო საკუთარ საქართველოსა და კათბადუკიის გამყოფელი ქედი—პარხალი (საქართველოს ყელი= გურჯი ბოღაზი). პონტოს სამეფოში იყო ქალაქები ტრაპიზონი, კერასუნტა, სინოპი. მე-VII საუკ. ამ ქალაქებში დასახლდნენ მილეტიდგან გამოსული ბერძნები. სპარსთა მფლობელობის დროს ამ ქალაქებს საკუთარი მმართველობა ჰქონდათ და არ ემორჩილებოდნენ სპარსთა მეფეებს. ხოლო დანაშთენი პონტო და კოლხეთი შეადგენდნენ ორ საერისთაოს და შველოდნენ სპარსებს ბერძნებთან ბრძოლაში. იგინი მაშინ ოთხ რაზმად იყვნენ დაყოფილნი: 1-ლ რაზმს შეადგენდნენ მესხნი და ტიბარენნი, მეორეს—მოსინეკნი, მესამეს—მარნი და კოლხნი, მეოთხეს—ალაროდიელნი (ურარტნი) და ისპირელნი. პონტოს პირველ მეფედ იყო არტაბაზი, თანამედროვე დარიოზისა. მისი შვილი მიტრიდატ (მირდატ) I მეფობდა 4¹/2 წლითგან, ხოლო ამის შვილი მიტრიდატ აღმაშენებელი იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა. ეს სწორეთ ის მიტრიდატი (ქართველი) უნდა იყოს, რომლის შესახებ მ. ქორენელი ამბობს: „ეს ტომი (გუგარქნი—მესხნი) წარმოსდგებიან მირდატისაგან, რომელიც იყო დარიოზის სატრაპი (ერისთავი). იგი მოიყვანა ალექსანდრემ (მაკედონელმა) და დაადგინა მთავრად იმ ივერიელებისა, რომელნიც ტყვედ წაეყვანა ნაბუქუდურაასარს (604—561) და დაესახლებინა პონტოს ზღვის მარჯვნივ დასავლეთით“. მიტრიდატ II-ის შვილი იყო მიტრიდატ III. ამ გამოჩენილმა მეფემ შემუსრა (284 წ.) ის ლისიმახი, რომელიც სელევკოს I-თან ერთად ებრძოდა ანტიგონს, და ამ მოკავშირეო, დაამარცხეს-რა ანტიგონი (301 წელს), გაიყვეს ალექსანდრე მაკედონელის სამფლობელო. მიტრიდატის გამარჯვების წელიწადი (284 წ.) დაიდო ეპოქად ანუ „ერად“ კოლხეთ-საქართველოსა და ბოსფორში.

ერის კისკეოსს ანუ მოქცევას შეადგენს 532 წელიწადი, რომელიც შესდგება მზისა და მთვარის მოქცევის თვეების ნამრავლებით (19×28). „ერას“ დაწყებითგან (284 წ. ქრ. წ., ბირუელი კისკეოსი დასრულდა 248 წ. ქრ. შ., მეორე 780 წ., მესამე 1312 წ., მეოთხე 1844 წ. მსოფლიოს დასაბამითგან გა ვი 1844 წელს გვქონდა იმ სულ 14 კისკეოსი (5508+96+1844): 532=14.

163 წლის შემდეგ პონტოში მეფობდა ფარნაკი. მის მემკვიდრეს შეიქმნა მიტრიდატ V ევერგეტი (156—130). ეს მიტრიდატ ევერგეტი (კეთილისმყოფელი) ლალატით მოკლეს მისს ბრწყინვალე სატახტო ქალაქ სინოპს. მისი მემკვიდრე მიტრიდატ VI ამ დროს 11 წლისა იყო. დედას, რომელსაც აბრალებდნენ მიტრიდატ V-ის მოკვლას, შვილის მოკვლაც უნდოდა, მაგრამ იგი მოშორდა მას. ობლობაში განმარტოებით გამოიზარდა, მერე მოკლა დედა და გამეფდა. იგი იყო მეტად ღონიერი, გამბედავი, მხნე, გულმყარი, შეუბრალებელი. მამა მისი შეეობრობდა რომაელებს, მას კი სურდა დამოუკიდებლად ემეფნა, გაეფართოვებინა თვისი სამეფო, გაეძლიერებინა, აეყვავებინა.

მან დაიპყრა კოლხეთი, მდიდარი ნავების საშენებელ ტყით, აგრეთვე კანაფით, სელით, ფისით, თაფლით. დაამარცხა და დაიპყრა კავკასიონის ჩრდილოეთი, დნეპრსა და დონს შორის— მოსახლე ერნი და დააარსა ბოსფორის სამეფო (ტავრიდის ნახევარი კუნძული და მის ალმოსავლეთით მდებარე ზღვის პირი). აქედგან მოსდიოდა დიდძალი შემოსავალი, პური და მერმრები. შემდეგ დაიპყრა მცირე სომხეთი, დაეზავა დიდის სომხეთის მეფეს ტიგრანს, რომელსაც მიათხოვა თავისი ასული კლეოპატრა. მერე დაიპირა ფებლაღონია. მიტრიდატისვე ჩაგონებით ვინმე გორდიამ მოჰკლა მისი უშახლობელ სი ნათესავი კათბადუკიის ზემო ხსენებული მეფე არიარატ VI. ამის შვილი მოიწვია მიტრიდატმა და მოკლა. კათბადუკიის მეფედ გამოაცხადა ვიღაც უგვარო კაცი და მის ხელმძღვანელად კი დანიშნა ზემოხსენებული გორდია. მას ამ ჟამად ჰყვანდა

80,000 ქვეითი ლაშქარი, 10,000 ცხენოსანი, 600 საომარს ეტლი და 300 სამხედრო გემი. დანაბიდამ (დუნაიდამ) კავკასიონამდე და იქიდან კასპიის ზღვამდე ხელი უწვდებოდა მიტრიდატს. ყველა აქედგან მას მოსდიოდა მეომრები. კოლხეთი აძლევდა მას გემების საშენებელ მასალას. ხაზინა სავსე ჰქონდა ბუარებელ შემოსავლით. ამისთანა ძლიერებისა შეეშინდა ბითინიის მეფეს, რომელიც დაედგინა თვით მიტრიდატს. მან საიდუმლოდ გაგზავნა მოციქული რომს და აუწყა სენატს, თუ რა შიში მოელის მსოფლიო ქალაქს მიტრიდატის გაძლიერებისაგან. ამგვარივე საჩივრით რომს მიჰმართეს სკვითის მეფეებმა. სენატმა უბრძანა მიტრიდატს, ხელი აეღო მცირე-აზიის სამთავროებისაგან და რომაელთა სარდალს სულლას დაავალა კათბადუკიაში გაემეფებინა არიობარზანი, მოკლული მეფის არიარტის მემკვიდრე. სულლამ ეს შეასრულა. მაგრამ სულლა რომ დაბრუნდა, მიტრიდატმა გააგდო არიობარზანი და შეუდგა მზადებას ბრძოლად რომაელებთან. რომაელთა ერი,—ამბობდა მიტრიდატი, მგელივით გაუმაძღარიაო, სწყურიანო სისხლი, მიწა და ოქრო. მან გადასწყვიტა, მტრის მოგერებისათვის თავი დაენებებინა და შებმოდა მას გულდაგულ, დაეპყრა აზია. მან კარგად იცოდა, რომ რომთან ბრძოლა ძნელი იყო, ამიტომ წინადვე შეუდგა მზადებას: გაიჩინა 250,000 მეომარი—ქვეითი, 40,000 მხედარი და 400 საომარი გემი, ეგვიპტეს, ასურეთს, ფინიკიას, საბერძნეთს, მაკედონიას, გალლიას და სხვაგან დაგზავნა თავისი კაცები და ყველა ერს შეუთვალა, დროა აღვდგეთ წინააღმდეგ რომაელებისა, დავამხოთ მისი ძლიერება, ავიხსნათ მისი უღელიო. ხმელთაშუა ზღვის მეკობრენი (ზღვის ავაზაკნი), რომელთა რიცხვი უამრავი იყო, აგრეთვე მიუსია იტალიას. რომს თავზარი დაეცა. მალე მიტრიდატმა დაიპყრა თითქმის მთელი მცირე აზია, გასწყვიტა 80.000 რომაელი, გადავიდა საბერძნეთს, დაიპყრა ეს ქვეყანაც, აიღო ათინა, მაკედონია, თესალია, ბეოტია, აქეია, ლაკედემონია აღძრა რომის წინააღმდეგ.

თვით იტალიასა, ისპანიასა და გალლიაში მიტრიდატს ჰყვანდა მეგობრები და მომხრენი. საშინ მდგომარეობაში ჩავარდა რომი. მაგრამ იგი იხსნა გენიოსმა სპასალარმა, სულლამ. ამან დიდის ლაშქრით დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბერძნეთი და მცირე აზია და იძულებულ ჰყო მიტრიდატი შერიგებოდა რომს (85—84 წელს). რომის კუთვნილ აზიის სამთავროებს სულლამ გადაახდევინა, წინააღმდეგობისა და მიტრიდატის მომხრეობისთვის, 20,000 ტალანტი (30,000,000 მან.).

სულლა მალე დაბრუნდა, რადგან რომი იწიწკნებოდა შინაურ შლილობით. ვიდრე სულლა და სხ. სარდლები დაამყუნარებდნენ ერს, მიტრიდატი ისევ გამძლავრდა, გამძლავრდა აგრეთგე მისი სიძე ტიგრანი, რომელმაც დაიპირა ანტროპატენა, ედესსა, შუამდინარე, ააგო დიდებული ქალაქი ტიგრანაკერტი (ტიგრანის ქალაქი). ამ ტიგრანის დახმარებით მიტრიდატი ისევ შეება რომაელებს (74 წელს), 70 გემი დაუღუპა. მაგრამ ბოლოს დამარცხდა (ქალაქ ქიზიყს). რომაელთა სარდალი ლუკულლი შემოვიდა პონტოს, ხელახლა დაამარცხა მიტრიდატი და დაიპყრა მთელი მისი სამეფო. ამ უბედურ დროს კოლხეთისა და ტავრიდის (ყირიმის) მეფედ იყო მახარა, ძე მიტრიდატისა. ეს მახარა განუდგა მამას და მიემხრო რომაელებს, რომ არ დაეკარგა ტავრიდის ტახტი.

მიტრიდატი გაიქცა სომხეთს. მისმა სიძემ ტიგრანმა მრავალი მეომარი შეჰყარა. ლუკულლი მასაც მიუხტა მოულოდნელად, შეება, დაამარცხა, აიღო მისი ქალაქი ტიგრანაკერტი, დაუხოცა 100,000 მეომარი (რომაელებს კი მოუკვდათ მხოლოდ ხუთი კაცი!), შემდეგ ლუკულლი წამოვიდა ქალაქ არტაქსატასკენ. აქაც გაიმარჯვა, მაგრამ საკუთარი ჯარი აუჯანყდა. ლუკულლი დაბრუნდა. მას მიჰყვა მიტრიდატიც და ისევ პონტო დაიპირა (67 წ.) და რომაელები დაამარცხა ზელესთან (მოკლა 7,000 რომაელი).

ლუკულლი დაბრუნდა რომს და მის მაგიერ აღმოსავლეთს გამოგზავნეს პომპეოსი (67 წ.).

ლუკულლის წასვლის შემდეგ აღმოსავლეთის საქმეები გაიხლართა. ტიგრანს უღალატა მისმა შვილმა ტიგრანმა და გაიქცა პართიის მეფე ფრაატისას. ამას პომპეოსი დაჰპირდა, დაგვებმარე, თუ გინდა დაიპყრა სომხეთის სამეფოს აღმოსავლეთის ბჰრის მიწებიო. ფრაატი თანხმდებოდა, რადგან არ იცოდა რომაელების ვერაგი პოლიტიკა: გაჰყავ, რომ დაიპყრა.

პომპეოსი პირველად მიესია მიტრიდატს, რომელმაც ევფრატისკენ დაიხია. პომპეოსმა დაამარცხა იგი ევფრატის სათავეზე, იქ, საცა შემდეგ ააშენეს ნიკოპოლი (=გამარჯვების ქალაქი). იგი გაიქცა თავისს ციხე სინორისს *), საცა ჰქონდა ხაზინა. ჯარს დაურიგა მთელის წლის ჯამაგირი, თვითონ-კი 9,000,000 მან. წაიღო და სიძე-ტიგრანთან წავიდა. ტიგრანს უკვე დაემარცხა ფრაატი და თავისი შვილი. მას აღარ უნდოდა რომაელების მომდურება. ამიტომ სიმამრის (მიტრიდატის) მოციქულები შეიპყრა და 100 ტალანტი დაჰპირდა იმას, ვინც მიტრიდატის თავს მოუტანდა. მიტრიდატმა ეს შეიტყო, გავლო ევფრატის სათავეები, გადავიდა კლარჯეთს, იმერეთს და მივიდა დიოსკურიას (ცხუმს). პომპეოსმა პონტოს მეფედ დანიშნა მიტრიდატის შვილი ფარნაკი და თვითონ მას გამოედევნა ფაზისამდე (რიონამდე), ველარ დაეწია და დაბრუნდა, რომ დასაჯოს სომხეთის მეფე.

არტაქშატს რომ მიუახლოვდა პომპეოსი, ტიგრანი შეშინდა, ბრძოლაზე ხელი აიღო, გამოეგება ძლევა-მოსილს სპასალარს, ფეხთ-ქვეშ დაუვარდა, მოიხადა გვირგვინი და მის წინ დასდო. პომპეოსი ამდროს იჯდა სამსაჯულო სელზე. მას გაუხარდა, რომ უომრად ჩაიგდო ხელში „მეფეთ მეფე“, მეფის ღირსება არ ახადა, მაგრამ ჩამოართო ასურეთი, ფინიკია, ნაწილი კილიკიისა, გალატია, კათბადუკია და გადაახდევინა 6000 ტალანტი (9,000,000 მ.). მეფისძე ტიგრანი, რომელ-

---

*) ქართული სინორი იგივე მიჯნაა.

საც მამა უთმობდა სოფლნას და გორდიენას, შეიპყრო, შებორკილა რომში წასაყვანად.

შემდეგ პომპეოსმა პირი იბრუნა ჩრდილოეთისკენ და მოვიდა მიტრიდატის მომხრე ქართლ-კახეთის დასასჯელად.

ქართლის მეფე არტაგი ტიგრანსა და მიტრიდატს შეუკავშირდა მაშინ, როდესაც ჯერ ისევ ლუკულმა გამორლაშქრა არტაქსატასკენ და დაბრუნებისას გაატარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მიწები. მათ სიხარულით მიიღეს არტაგი და მოკავშირედ მოაწვევინეს აგრეთვე მისი ძმა და მის-მიერვე გამეფებული ალბანიის (კახეთის) მეფე ორეზი.

მაშინ არტაგს ჰყვანდა 40,000 მეომარი (აპპიანის სიტყვით—70,000). ერი აქ იყო მხნე, უშიშარი, თავისუფლების მოყვარე, მიწის მხვნელ-მთესველი, კეთილ-წესიერად მცხოვრები. იგინი არასდროს არ ყოფილანო სპარსთა და მიდიელთ მონობაში. ამათ ლაშქარს ეცვა წითელი სამოსელი, ნაწილი ცხენოსანი იყო და ნაწილი ქვეითი. ალბანელთ ჰყვანდათ 60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი ჯარი.

პომპეოსი ჯერ ალბანიაში შევიდა (66 წელს), დაამარცხა ორეზი, მოჰკლა მისი ძმა კოსია, მზევლად შეილები წაართო, გადმოვლო მდინარე პელორი, აიღო ივერთა ციხეები ჰარმოზიკა (არმაზი) და სევსამორა (წიწამური). რომაელები მტკვარზე გადავიდნენ 10,000 ნავტიკით. არტაგი გაიქცა. რომაელები გამოეკიდნენ. არტაგი გადავიდა მდინ. პელორზე და ხიდი დასწვა. პომპეოსი მდინარის პირზე გაჩერდა იმ დრომდე, ვიდრე წყალი იკლებდა. მერე იწყეს გადასვლა. ამდროს არტაგი შემოება. პომპეოსს გაემარჯვა. ქართველებს დაუხოცა 10,000 მეომარი, 9000 ტყვეთ ჩაიგდო. არტაგი გაიქცა. პომპეოსი დაედევნა. თუმცა დიდად აზარალებდა რომაელებს, მაგრამ მაინც მეფემ მათი დამარცხების იმედი დაჰკარგა და შერიგება მოინდომა. პომპეოსმა მოითხოვა მზევლად მეფის შვილი. არტაგმა შვილიც გაუგზავნა და მიართო აგრეთვე წმინდა ოქროსაგან ჩამოსხმული ტახტი, მაგიდა და სკამი.

პომპეოსი, შეურიგდა-რა არტაგს, გადავიდა იმერეთს, რომ დაიჭიროს ანუ მოკლას მიტრიდატი. იმერთ 72 წლითგან ჰყვანდათ საკუთარი მეფე ოლთაკი, რომელიც, მიტრიდატის ნებართვით, თვითვე ამოერჩიათ. პომპეოსმა ეს ოლთაკი მზეველად დაიჭირა და მის ადგილას დანიშნა თავისი მოხელე არისტარხი.

სამეგრელოდგან დიოსკურისკენ გასწია, მაგრამ ამდროს ალბანელთა განდგომის ამბავი მოუვიდა. პომპეოსი დაბრუნდა ალბანიას, ხელახლა დაიპყრა ქვეყანა, მერე შევიდა და დაიმორჩილა გელნი, ლეკნი, ჰირკანნი და სომხეთიდგან ასურეთს წავიდა.

პომპეოსი რომ დიოსკურიისკენ მიდიოდა, მიტრიდატი გაიქცა თავისს ჩრდილოეთს სამეფოს (ყირიმს და ღრინის ყასხების სამფლობელოში, ქერსოვნეთიდგან ოდესამდე), საცა მაშინ, სხვათა შორის, ცხოვრობდნენ გეტნი, გუთნი და კელტნი. აქ, ჭალაქ ფანაგორიაში მაშინ მეფობდა მიტრიდატის შვილი მახარა, რომელიც მომხრე იყო რომაელებისა. მას შეებრძოლა მამა ქერსოვნეთს, დაამარცხა. მახარამ თავი მოიკლა. მიტრიდატმა ხელდახელ შეაგროვა 36,000 მეომარი და კელტებისა, გეტებისა და გუთების მომხრეობით განიზრახა აჰყოლოდა დუნაის ხეობას, გადაევლო ალპის მთები და შეჰსეოდა იტალიას. უნგრეთი, ალპის ქვეყნები და ტიროლი სიხარულით მიეგებნენ მიტრიდატის განზრახვას. მაგრამ ღალატმა აღარ დააცალა. განუდგა მას მისი საყვარელი შვილი ფარნაკი. მიტრიდატი უკვე ავათ იყო. მის სასახლეს ფარნაკმა შემოარტყა მეამბოხენი. მიტრიდატი გამოვიდა ცხის გალავანზე და დაუწყო ხვეწნა შვილს, არ მოეკლა იგი. ფარნაკმა თხოვნა არ შეიწყნარა. მაშინ მიტრიდატმა საწამლავი შეასვა თავისს ცოლებს და ქალებს (ერთი მისი ქალი ეგვიპტის მეფის დანიშნული იყო და მეორე—კვიპრის მეფისა), მერე თვითონაც შესვა. რომ მალე მომკვდარიყო, გული გაიგმირა დაშნით (63 წ.).

პომპეოსს რომში მეფურად მიეგებნენ. მისი დაბრუნება იდღესასწაულეს 28 და 29 ენკენისთვეს (61 წ. ქ. წ.). ამისთანა დახვედრა ჯერ რომაელებს არ ენახათ არავისთვის. მოჰკონდათ დიდი დაფები ხელწარწერით: პომპეოსმა დაიპყრაო 1000 ციხე, 900 დიდ ქალაქი, ხელთ იგდოო 800 გემი, დააარსაო 39 ქალაქი, სახელმწიფო ხაზინას შეჰმატაო 20000 ტალანტი (30,000,000 მ), დაიპყრაო აზია კასპიისა და აზოვის ზღვითგან მეწამეულ ზღვამდე და ეგეიპტემდე. ამ დაფებს მიჰყვებოდა განუწყვეტელი ქარავანი ეტლებისა და ურმებისა; ყველა დატვირთული იყო აღმოსავლეთიდგან მოტანილ ნადავლით, გვირგვინებით, ოქროს ჯურჭლით, თვალ-მარგალიტით მოკაზმულ ნივთებით და სხ. ყველა ამას მიჰყვებოდა თვით პომპეოსი ეტლით, რომელიც მოკაზმულ იყო თვალ-მარგალიტით. მის წინ მიდიოდნენ, თავიანთ საერო ტანისამოსში გამოწყობილნი, ტყვე მეფეები, დედოფლები, მეუფეთა შვილები, სულ 324 სული. მათ შორის იყვნენ: ხუთი ვაჟი და ორი ასული მიტრიდატისა, ძენი ივერთ და ალბანიის მეფეებისა, სომხეთის მეფის ძე ტიგრანი ცოლით და ქალებით.

რიტტერი შენიშნავს, რომ ვიდრე პომპეოსი არ გაილაშქრებდა აღმოსავლეთს, არ დაამარცხებდა მიტრიდატს და იქიდგან არ მოიტანდა აუარებელს ნადავლს, მანამდე რომაელებს გაცნობილი არ ჰქონდათ მარგალიტი, ძვირფასი თვლები, ალმასი, ბრილიანტი. მხოლოდ ამ დროდგან რომში იწყეს მდიდრული ცხოვრებაო.

2. **ბარტომი** (**ბრატმანი**). გამეფდა-რა ბარტომი, მას წინაღუდგა ზემოხსენებული მირეანი, ძე ფარნაჯომისა. უცხოობაში გაზდილი მეფისძე იყო კაცი ქველი, მხნე, მხედარი გამოცდილი. ამან შემოუთვალა ქართველობას: ტახტი მე მეკუთვნისო, მე შემიწყნარეთ და მომეხმარენითო. არა წარჩინებულთ შეიწყნარეს მისი სიტყვა და ეახლნენ მას, ხოლო ერისთავნი და დიდკაცობა ბარტომის მხარეს დადგნენ. ბარტომმა მცხეთის ზღუდეები გაამაგრა და ქართლის ციხეები მომტკიცა. შემდეგ წავიდა ხუნანს და შეებრძოლა მირეანს, რომელიც ბერდუჯის პირას იდგა. აქედგან და იქიდგან გამოვიდნენ თავი კაცები, გოლიათები, იწყეს ერთურთის შებმა და ბრძოლა. ორივე მხრიდგან ბევრი დაიხოცა. ბოლოს ბარტომი მოკლეს და მასთან მისივე ნაშვილობევი და სიძე ქართამი, რომლის ორსული ცოლი გაიქცა სომხეთს, საცა შობა ვაჟი ადერკი. გამარჯვებული მირეანი შემოვიდა ქართლს, შეირთო ცოლად ბარ-

ტოლის ქვრივი და შეირიგა ბარტომის მომხრე დიდკაცობა. ეს შეფობდა მცირე ხანს და მოკვდა (23 წ.). მის შემდეგ მეფე არსუკმა ააშენა ქალაქი ნეკრესი და გაამაგრა უფლისციხე.

3. ფარნავაზ II და მიტრიდატი. ქრისტეს შობის წინა და უკანა ხანის წლების ამბავი არეულია.

ს. ვახუშტის სიტყვით, 46 წ. ქრ. წ. სქართველოს მეფედ იყო ბარტომ I. დიონ კასიუსი (იშვა 155 წ. ქრ. შ.) კი ამბობს, რომ მარკ-ანტონის ბრძანებით კანიდუს კრასმა გაილაშქრა წინააღმდეგ ალბიის ივერიელებისა, დაცა ამათ მეფეს ფარნაბაზს, დაამარცხა ერთს ბრძოლაში და იძულებულ ჰყო მაემხრო წინააღმდეგ პართველთ მეფის ფრაატისა. ეს მოხდა 46 წ. ქრ. წინად, ზამთარში (ბროსეს Introd., 29).

ბ. მე-2 წლ. ქრ. დაბად. წ. და 55 წლამდე ქრ. შ. ქართლის ცხოვრებით და ვახუშტის აწყარიშით მეფობს ადერკი ქართამისძე, ხოლო იმავე დიონ კასიუსით საქართველოს მეფეებად ჩანან: მატრიდატი (35 წ. ქრ. შ.), მერე ფარსმანი, რომელიც ჰკლავს თავის შვილს რადამისტს 54 წ. ქრ. შ., და მიტრიდატი.

გ. თვით ქართ. ცხოვრების დამწერმა დანამდვილებით არ იცის, ვინ იყო ადერკის მამა ქართამი. ერთ ადგილს (გვ. 37) მას იხსენიებს ქუჯის შვილის შეილად და ბარტომ მეფის სიძედ, მეორე ადგილს კი (გვ. 38) მას სთვლის საურმაგის ძედ და ბარტომ მეფის ასულის წულად.

დ. თუ ადერკი ქუჯის ჩამომავლად ჩავთვალეთ, მაშ მეფობის ქრონოლოგიაც შეუსაბამო გამოდის.

ქუჯი (ფარნავაზ მეფის დის ქმარი 301 წლითგან)
|
(ვაჟი) (საურმაგ მეფის სიძე)
|
ქართამი
|
ადერკი († 55 წ. ქრ. შ.

რადგან 301 წელს ქუჯი 30 წლის ვაჟკაცი მაინც იქნებოდა, ამიტომ 331 წლითგან ქრ. წ. ვიდრე 55 წლ. ქრ. შ. მეტად

გრძელი დროა 4-ის თაობისთვის: თითოსთვის მოდის 96½ წ. (331+55: 4).

ე. თვით ქართლის სიმპრის სახელიც იწერება ნაირნაირად: ბარტამ-ად, ბარტომ-ად, ბარტორ-ად, ბრატმან-ად და იგივე სახელები—ქართლში, ბარტამი—ჰქვიან ადერკის შვილებსაც, რომელთაც მამა უნაწილებს საქართველოს: ერთს ძაღუს მცხეთას, მეორეს—არმაზს, და ესენი ვითომ-და იწყობენ ეგრედ-წოდებულს ორგანიგებას, რომელიც გასტანს 129 წლამდე; ამ ხანს წუთად-წუთად მეფობენ 12-ნი მეფენი: ერთსა და იმავე წელიწადს მეფდებიან და ერთ და იმავე წელიწადს იხოცებიან! სამდივნად, ისტორიის მსწავლელობა სხვანაირი იყო, ხოლო ჩვენს მემატიანეებს შეურეგიათ მეფობანი, დაუვიწყნიათ ანუ გაურეგნიათ მეფეთა სახელები. მაგ. ამაზარ=არმაზელი მეფის სახელი კი არ არის, არამედ მისნენებელი ქალაქისა, სადც იგი მეფობდა.

დასავლეთი საქართველო (კოლხეთი) მიტრიდატ დიდის შემდეგ საცილობელ კუთხედ გახდა. იგი ხელიდგან ხელში გადადიოდა და 48 წელს კი დაიპყრა ფარნაკ მიტრიდატის ძემ. მაგრამ ეს ფარნაკიც მალე მოკვდა და გამთავრდა მისი სიძე ასანდრ I. ამ დროს კოლხეთის ტახტი მოითხოვა მიტრიდატ დიდის შვილმა მიტრიდატმა, მაგრამ ასანდრმა მოკლა იგი. ცეზარმა მეფობა დაუმტკიცა ასანდრს (36 წ. ქ. წ.). იგი მოკვდა 14 წ. ქ. წ. უმემკვიდრეოდ, და კოლხეთის ტახტის მეძიებლად გამოცხადდა მიტრიდატ დიდის ნათესავი სკრიბონიუსი, მაგრამ იგი მოაკვლევინა მარკოს აგრიპპამ და ბოსფორისა და კოლხების სამეფო ჩააბარა პოლემონს, ზენონ ლაოდიკიელის ძეს.

ეს პოლემონი მოკლეს ქრისტეს დაბად. 1-ლს წელს და მისს შვილების მცირეწლოვანობისა გამო გამეფდა მისი ჰკვიანი მეუღლე პითადორიდა. ამას ემორჩილებოდა პონტო, კოლხეთი და ბოსფორი, მაგრამ მალე მისი სამეფო დაიშალა. ბოსფორი დაიპყრა სავრომატმა, კოლხეთი (სამეგრელო-კლარჯე-

თი) დაიჭირა საქართველოს მეფემ, პითადორიდას კი დარჩა მარტო პონტო.

ამ დროს საქართველოს მეფედ უნდა ყოფილიყო მიტრიდატი, რომელმაც დიონ-კასიუსის ჩვენებით იმეფა ვიდრე 35 წლამდე ქრ. შ. ამ მეფის სახელი ჩვენს მემატიანეებს, როგორც ზემო ითქვა, გაურყვნიათ, ვინაითგან მას იხსენიებენ ადერკ-ად (=როკ ად).

ეს ადერკი (მიტრიდატი), მემატიანეს ჩვენებით, იყო საურმაგ მეფის ძის ქართამისძე და ასულის წული პარტამ მეფისა. იგი იყო ტანით შვენიერი, ძალ-ღონით გოლიათ-ბუმბერაზი კაცი. ადერკი შეებრძოლა ქართველთ მეფე არსუკს. იბრძოდნენ ოროლებით, ჩუგლუგებით, მშვილდ-ისრებით. ტანთ ეცვათ მაგარი ფარ-საჭურვლები. ბრძოლა დასრულდა არსუკის დამარცხება-მოკვლით. მაშინ ყველა ქართველნი და ადერკის მომხრე სომეხნი შეიკრიბნენ ერთად, გამარჯვებულ ადერკის წინ დაცვივდნენ, თაყვანისცეს, მეფედ გამოაცხადეს და თავზე სამეფო გვირგვინი დაადგეს. ამ დროს იგი იყო 30 წლისა. ცოლად შეირთო სომხეთის მეფის ასული და შეუდგა ქვეყნის მართვას. პირველი მისი საქმე იყო ეგრისის (კოლხეთის) დაპყრობა და მერე საქართველოს ციხე-სიმაგრეთა შემომტკიცება და გამაგრება მცხეთისა, რომელსაც „წყლის ამიერ და იმიერ ზღუდენი მოუმტკიცნა“.

ასეა „ქართლის ცხოვრებით“. ბერძენთა წყაროებით კი ამ დროს დაიწყო ომი ტიბერიოსსა (14—37 წ.) და პართიას შორის. ტიბერიოსმა მოსწერა საქართველოს მეფეს მიტრიდატს, მხარი დაეჭირა მის მეგობარ ტირიდატისთვის და შესეოდა სომხეთს, რომელიც დაეპყრა პართიის მეფეს. მიტრიდატმა თხოვნა შეუსრულა.

ამ მეფის (ადერკი=მიტრიდატის) ჟამს იშვა იესო ქრისტე და მის ჯვარცმის დასასწრებლად ქვეყნის ყოველი მხრიდგან იერუსალიმს წავიდნენ ურიების წარმომადგენელნი. საქართველოშიაც მაშინ მრავალი ებრაელი ცხოვრობდა. თვით მცხე-

თაში მთელი უბანი იყო ურიებისა. აქვე იყო მაშინ ვინმე ელიოზი, ურიების ელი მღვდლის ნათესავი. ეს ელიოზი და ვინმე ლონგინოზი წავიდნენ იერუსალიმს და დაესწრნენ ქრისტეს ჯვარცმას (32 წელს). მისი სამოსელი—კვართი—წილად ხვდა ელიოზს, რომელმაც იგი ქართლს წამოიღო. მცხეთას რომ მოვიდა, კვართი თავის დას სიდონიას გადასცა. სიდონია გარდაიცვალა, კვართს რომ შეეხო. იქვე კვართიანად დამარხეს. მის საფლავსა და კვართზე კვიპაროზის ხე აღმოცენდა, სურნელოვანი და სამკურნალო. იგი შემდეგში მოსჭრა წმ. ნინომ და მცხეთის დიდი ტაძარი—სვეტი-ცხოველი ააშენა.

ამავე ხანებში საქართველოს მოვიდა მოციქული ანდრია. ამან გამოვლო აჭარა და ქადაგა ქრისტე, შემდეგ რკინისჯვრით გადმოვიდა ოძრახოს, მოვიდა სოფელ ზადენ-გორას, მერე აწყვერს (სოსანგეთს), პირისპირ საქრისი. აქ მაშინ მთავრობდა ქვრივი დედაკაცი სამძივარი. ესენი მოაქცია მოციქულმა, დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი, და წავიდა ნიგლას, არტან-კოლას, კლარჯეთს და იერუსალიმს. შემდეგ ისევ დაბრუნდა სხვა მოციქულებთან ერთად. ამოვლეს ჰოროხის ხეობა ქადაგებითა და მოძღვრობით, გავლეს იმერეთი და მივიდნენ სვანეთს. აქაც მაშინ მთავრობდა დედაკაცი. მის მოსაქცევად ანდრიამ დასტოვა მოციქული მატათა მოწაფეებითა და თვითონ მოციქული სიმონ კანანელი წაიყვანა და წავიდა ოსეთს და მივიდა ფოსტაფორსა და ბოსფორს, შემდეგ ჩამოვლეს აფხაზეთს, ქალაქ ცხუმს (სევასტს). აქ მოკლეს სიმონ კანანელი (მისი საფლავი არის ქალაქ ნიკოპსიას). ანდრიამ მოვლო ჯიქეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და წავიდა სკვითიას.

ასრე უველა ეს ჩვენის მატიანის გადმოცემით. შეიძლება ზოგიერთი წვლილი უკარგეოთ, არ მივიღოთ, მაგრამ ის კი ცხადზედ უცხადესია, რომ ანდრიასა და მას ძმას პეტრეს ქრისტიანობა უქადაგებიათ დასავლეთის საქართველოს,—კათბადუკიასა და პონტოს, სადა, სხვათა შორის, პეტრემ მოხუთლა ვინმე ბაგრატი, ტყვრობიდან მოციქული. მატიანის მოთხრობაში საკურადღებო ის არის,

რომ სამცხე და სპანეთი სამთავროებად წოდებულია და ორივე ამ ქვეყნებში მთავრებად ყოფილან დედაკაცები (პარველში—სამძაკვრი, წანაპარი იმ შესანიშნავ სამძივართა, რომელნიც ჩნდებიან თამარ მეფის ცხოვრებაშიაც).

საქართველოს ყოფა-მდგომარეობას ამ ხანს აღწერს თანამედროვე სტრაბონი, რომელიც დაიბადა 66 წ. ქრ. წ. და მოკვდა 24 წ. ქრ. შ. იგი იყო ჭანის ქალის შვილი. მისი დედის ბიძა მოაფერნი მიტრიდატ დიდს დაედგინა კოლხეთის გამგედ. ამიტომ სტრაბონის ნათქვამს, როგორც თვალით მხილველისას და ადგილობრივ კაცისას, მნიშვნელობა და ფასი აქვს. იგი სწერს:

არეზი მამდინარეს სომხეთში, ხოლო მტკვარი (კური) ავერაკასა და ალბანიაში. ამბობდნენო, რომ კასპიისა და შავი ზღვის წყლები ხანდახან ერთდებოდნენო და ჭოვარავდნენ ამ ზღვებ შუა მდებარე მსარეს. იკურიისა და ალბანიის ჩრდილოეთით, კავკასიონს გადაღმა, ცხოვრობენ სარმატნი. კავკასიონი დაფარულია ნაირ-ნაირ ტყით, რომელიდგან გამოტანილი მასალა იხმარება გემებას საშენებლად. კავკასიონიდგან წამოსული მთება სერავენ იკურიას და ებჯინებიან მესხეთისა და სომხეთის მთებს, აგრეთვე სციდიისა და ფარიადრის (პარხალის) მთებს. ეს მთები ტყიანია, მისგან მოწყვეტილი და წამოსული ჩრდილოეთისაენ კავკასიონიდის და პონტოს ზღვამდის, კოლხეთიდგან თემისკურამდე. კოლხეთის უდიდესი მდინარეა ფასისი (რიონი)—სასაოსხო ზღვის მხარეს, ხოლო ქალაქები კი – ფასისი (ფოთი), ბიჭვინტა და დიოსკურია. ქვეყანა მდიდარია სილით, ხოლო აქაური თაფლი მწარეა. იგი მდიდარია უოველგვარ მასალით, რომელიც საჭიროა გემების ასაშენებლად (სასაშენებლო სე-ტყე მდინარეებით ჩამოაქვთ). კოლხეთშივე მზადდება ბეური ტილო, კასაფეულობა, ფიქა და ფისი. აქაური ტილო და სელის საკეთობა სახელგანთქმული იყო შორეულს ქვეყნებშიაც. დიოსკურია დიდი ქალაქია, სადა საკმაროდ, მეტადრე კი მარილისთვის, თავს იყრიან 70 ხალხის წარმომადგენელნი. დიოსკურიის ზემო ცხოვრობენ სუანნი (სვანები), რომელნიც სისუფთავის მოყვარენი არ

არიან, მაგრამ ვაშკაცობითა და ქველობით თითქმის ყველა იქაურ ხალხებს სჯარბობენ. მათ ჰყავთ შეფე. 300 კაცი შეადგენს მათს სახლხოს და, როგორც ამბობენ, 200,000 მეომარს გამოიყვანენო სახრძოლად, ვინაითგან მთელი ერი მუცად მეომარია, თუმცა სომრო წეს-წყობილება არ იცის. მოგეითხრობენ, რომ აქ მთის ნაკალულებში ოქრო არისო და ამ ოქროს იძენენ დახვრეტილის ვარცლებითა და საწმისებით (ბეწვიან ტყავებით). ხვანები იბრძვიან ისრებით. ამ ისრებს იგინი ჩვეულებრივ შხამავენ რაღაც საწამლავით, რომელიც დაჭრილებს აბრუებს სიმკრალით.—იველთა და ალვანელთ ქვეყანა კეთილხასიათა და შკვნიერი. იველიაში მრავალია ქალაქები და სხვა საცხოვრებელი ადგილები; აქ შეეგებენება კრამიტით გადახურული შენობები, ხუროთმოძღვრულ ხელოვნების წესით აშენებული სახლები, ქალაქები (ბაზრები) და სხვა საერთ სახლები. იველიას ერთის მხრით აუდია კავკასიონი, რომელისაგან სომხეთისა და კოლხეთისაკენ წამოსული მთები გარს შემორტყმიან. შუაში ბრია, რომელიც ირწყვის მდინარეებით. უდიდესია მტკვარი და მასში შემდინარე არაგონი (არაგვი), ალაზონი (ალაზანი) და სხ. იველნი იყოფებიან ორ ნაწილად: ერთი მოსახლეობს ბარში და მეორე მთაში. ორნივე ხვნა-თესვას მისდევენ. ეს ერი მუცად მეომარია. ბარში მცხოვრები იველები სომეხთა და მიდიელთაებრ მოწესრიგებულან, სოლო მთის იველები ცხოვრობენ სკვითებისა და სარმატთა წესრიგით, მაგრამ ომის დროს ორთავენი ერთდებიან და ბრძოლის ველზე რამდენიმე „ბევრი“ ლაშქარი გამოჰყვათ („ბევრი“=10,000). ამათ ქვეყანას ოთხი შესავალი (გზა) აქვს: ერთი მიდის კოლხეთის ციხე შორაპანიდამ (სორაპანიდამ) მდინარის ხეობით, სადაც 120 ხიდია გაკეთებული, ვინაითგან წვიმის დროს მთის ნაკალულები სამინლად ხრამავენ აქაურობას. ეს გზა მაგარია კლდით, ციხეებით და მთის წყლებით. მეორე გზა შემოდის ჩრდილოეთის მწყემს სალხუბის მხრით: ალმართ სავლელი სამ დღეს და მერე კიდევ არაგვის ჭიწრო ხეობით ოთხის დღის გზაა. გზის დასასრულს მაუდგომელი ციხეა. მესამე გზა მოდის ალვანიიდგან ჯერ კლდეში გამოკვეთილ ვიწრო ბილიკით, მერე ალაზნის ჭალებით. მეოთხე გზა მო-

დის სომხეთიდგან მტკვრის მოუოლება. არაგვისა და მტკვრის ნაპირებზე, მათ შესართავამდე 16 სტადიონის სიშორეზე, ქალაქებია —არშოზიკა (არმაზი) და სევსამორა (წიწამური). ამ ქვეყანაში ერი იუოფება 4 წოდებად. პირველს წოდებას ეკუთვნიან იბერნი, რომელთაგან უველაზე უფროსს ირჩევენ მეფედ და მის მერმეთ მეორეს—უმთავრეს მსაჯულად და ლაშქრის წინამძღოლად. მეორე წოდებას შეადგენენ ქურუმნი, რომელთაც ამასთანავე ეკითხვის სადაო საქმეები მეზობლებთან. მესამე წოდებას ეკუთვნიან მეომარნი და მხვნელ-მთესველნი. მეოთხე წოდებად ითვლება მდაბიო ხალხი, მისგანვე მეფის მონები *), რომელნიც აღასრულებენ უველა საქიროებას მისს ცხოვრებისთვის. ქონება ეკუთვნის მთელს გვარეულობას, რომლის მბრძანებელი და გამგებელი არის გვარის უხუცესი.—ალვანელნი უმეტესად მწყემსები არიან. იგინი ცხოვრობენ ივერიასა და კასპიის ზღვის შორის. ამათ მხრის კავკასიას ჰქვიან კერაუნისმთა (ალბად, უორნის-მთა). სამხრეთი ალვანიისა ზოგან ვაკეა, ზოგან მთიანი, მუტადრე კამბიზენა (კამბეჩოვანი—ქიზიყი). ალვანიაში მოდის უველასაირი ნაყოფი და უველასაირი მცენარე. ზოგან ერთხელ დათესილი მიწა ორს და ხან სამს შემოსავალს იძლევა, პირველად—თესლზედ 50-ჯერ მეტს, და ისიც მოხნული არა რკინის გუთნით, არამედ ხის სახნისით. ქვეყანა უხვად ირწყვის მდინარეებით, ამიტომ მუდამ მწვანე ფერი აქვს, შვენიერი სახალისოები და უკეთესი ჰავა. ვაზს აქ არ სთოხნიან და სხლავენ 5 წელიწადში ერთხელ. ახალი ვაზი მეორე წელიწადსვე იძლევა ნაყოფს, ძველი ვაზი კი იმდენს ისხამს, რომ სთვლობისას მომეტებულს ნაწილს ველარ ჰპრეფენ. გარეული ყურძენიც (კრიკინა) აქ კარგად მოდის, ერი აქაც დიმაზია, დიდ ტანოვანი, გულკეთილი და არა ცბიერი. მცხოვრებნი ფულს არცკი ხმარობენ, ასზე მეტი რიცხვი არა აქვთ, ვაჭრობენ გაცვლა-გამოცვლით. არა აქვთ სწორე სარწყავი და სასწორი, თვით სამხედრო და სახელმწიფო საქმეებშიაც მზრუნველობას ვერ იჩენენ. ომობენ ქვეითად, ზოგნი ცხენით, მსუბუქად შეიარაღებულნი, ჯავშნიანნი. ივერებზე მეტი ჯარი გამოჰყავთ: 60,000

*) „Basiliki duli".

ქვეითი და 22,000 ცხენოსანი. ომის დროს ამათ და ივერებს შეკლიან მთა-ბარზე მავალი მეზობლები, მაგრამ ეს გვლური მეზობლები ხშირად მათვე მტრობენ და ხანა-ოხვას აცდენენ. ალვანელნი, ვით ივერნიც, ომობენ ისრებით, ლახვრებით, იცმენ ჯავშნებს, იკეთებენ კარების მსგავს ფარებს და იხურავენ ნადირის ტყავის ჩაფხუტებს. მათს ქვეყანაშია კასპიანი (არეზის შესართავიდგან ხლვამდე), რომლის სახელით იწოდება კასპიის ზღვაც. ალვანო და მათ ძაღლებმაც კარკი ნადირობა იციან. აქ ცხრა ერთი შეფენა, წინად კი იმდენი იყო, რამდენიც თვე. აქაური თვეები 26 ენაზე ლაპარაკობენ. ქვეყანაში არის შხამიანი ქვეწარმავალები, ობობები, მორიელები. ალვანნი დიდის პატივით ეპყრობიან მოხუც კაცებს, თავისიანებსა და უცხოელებს. მკვდრებს მარხვენ მთელის მათის ქორებით, ჩაცმულ-შეიარაღებულებს და ამიტომ თვითონ დარიბად რჩებიან. თავვანს სცემენ მზეს, ზეცეულს და მთვარეს, მეტადრე უკანასკნელს, რომლის ქუაბრი ივერიის მაჯანაზეა.

ბლინიუსით (29—79 წ. ქ. შ.) ალვანიასა და ივერიას შუა მაჯანად ითვლება მდ. ალაზანი. ალვანიის უმთავრესი ქალაქი იყო კაბალაკა (ალბად, ყაბალა ანუ კაბალი ლაგოდეხის სასლოს) და ივერიაში ჰარმასტა (=ჰარმაზ-თაისი=არმაზი). ალვანიის მაჯანის წინამხარეს მოსახლეობდენ დიდურნი (დიდონი), სოდნი *). ივერიის ქალაქ ჰარმასტის პირდაპირ არის „კავკასიის კარები". აქ, კავკასიონის ნაპრალში, გაკეთებულია ძელის კარები. ძელები რკინით გადართმულია. ძელებ ქვეშ შიილტკის მდინარე: ხოლო მის ქვეთ ერთ კლდეზე აგებულია პატარა ციხე—კუშანია **), რომელიც იცავს ამ გასავალს. ამ კარებიდამ დაწყებული ტორდის მთებში ცხოვრობენ ჯერ ვალნი (ჭარ-თალნი?) და შერე სვანნი, რომელიმც მაღაროები-დამ ოქრო გამოაქვთ. კოლხეთში მრავალია ხახობი და აგრეთვე უველაზე უკეთესი ფესვი უველი შროშნისა (acorus calamus). უველაზე უკეთესი წყენი თვალის სინათლის მოსამატებლად იცის

*) ალბად, სოჭნი=სუჭნი—ივრის პირის მოსახლენი.

**) მრავლ. რიცხვი ზმნისა კუმვა, კუმა—პერა, პყრობა.

აკურაზია. ამ წყენს სდიან კამას თესლისაკან და მას ღორის სიდუნ წყეთაბასგან. ამ წყენსა და თოფის ერთმანეთში ურევენ, რომ მიიღონ თვალზე წასასმელი წამალი. კასპიის ზღვასა და აკრთოფე კავკასიონსა და სომხეთს შორისი ქვეყანა ალბ-ალბა, ველობიანია და ალბ-ალბა, მთიანია, ამისთანაა მეტადრე მისი სწილა კამბიზენა (კამეჩოვანი=ქაზაეი). მაწა აქ მეტად საუოფიერია. მოდის აქ ეოველგვარი საუოჯი, სარობს ეოველგვარი მცენარე. ბევრგან ერთგზის დათესილი ადგილი მოსავალს იძლევა ორჯელ და სამჯერაც კი. ბირველად ათ-კურაც მცტს, მერე მოხნული არა რაინის გუთნით, არამედ უბრალო ხეჩით. ქვეყანას აქვს შეუსაერი სარწყავები და ამიტომ აქაურობა მარად მწვანეა და აქვს კარგი საბალახოები და ჭაბ უველგანი. ფანი აქ შეუფერებად იზრდება და ისხლებს მხოლოდ სუთ წელიწადში ერთხელ. ახალგაზდა ვაზები მეორე წელიწადსვე იძლევიან საუოს, ხნიერები კი იმდენს ისხმენ, რომ საუოფის უმეტესი ნაწილი ვაზებზევე რჩება დაუკრეფავი. კრიკინაც კარგად ხარობს აქ. მათი დმერთებია მზე, ზევსი და მთვარე, რომლის ტასარი ივერიის მიჯნაზეა. იგინი დიდ ბატიეს სცემენ მოხუცებულებს, თავისიანებსა თუ სხვისებს. მკვდარზედ ზრუნვა კი ადრძალული აქვთ. მკვდრებს მარხავენ მთელის ჩაცმულობითა და ქონებით, ამიტომ სამკვიდრო ადარა რჩებათ და დარიბები ვრიან. კოლხეთი მეტად მდიდრია კასაფით, სელით, თაფლით, ფიჭით. აქაური ტილოს ნაკეთობა განთქმულია. დიდრონი ქალაქებია აქ დიოსკურია, ფაზისი (ფოთი), სარაპანა (შორაპანი), ბიტიუსი (ბიჭვინტა).

4. ფარსმან დიდი (35 წლ.) მიტრიდატს დარჩა ძენი ფარსმან და მიტრიდატი. ფარსმანს ჰყვანდა ვაჟი რადამისტი და ერთი ქალი. ეს ქალი მეფემ მიათხოვა ცოლად თავისს ძმას მიტრიდატს და ამ მიტრიდატის ასული კი ცოლად ჰყვანდა მის ძმისწ ლს რადამისტს.

ამ ფარსმანის დროს აღმოსავლეთი ფრიად აირია.

36 წელს პართიის მეფე არტაბანმა სომხეთის ტახტზე დასვა თავისი შვილი არშაკი. ეს არ მოინდომეს მისმა მოწინაა-

ღმდეგეებმა და რომის იმპერატორს ტიბერიოსს სთხოვეს, სხვა შეცვლა დაგვინიშნეო. რომს მაშინ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა აღმოსავლეთში. ტიბერიოსი მიემხრო არტაბანის ორგულთ და პართიის მეფედ დანიშნა ტირიდატი, ხოლო ქართველთა მეფე ფარსმანს სთხოვა მფარველობა გაუწიე ტირიდატსო და შენს ძმას მიტრიდატს სომხეთში გავაგზავნებო. ფარსმანმა სიხარულით მიიღო ეს დავალება, არშაკი მოაწამლვინა, მერე დიდის ლაშქრით შევიდა სომხეთში, აიღო სატახტო ქალაქი არტაქსატა და აქ გამაგრდა. მეფე არტაბანი მეტად განრისხდა. შეჰკრიბა უამრავი ლაშქარი, თავისი და დაქირავებული, მისცა თავის შვილს ოროდს და უბრძანა მისეოდა ფარსმანს, რომელსაც უკვე მოეწყო ალბანელნი და სარმატნი და ლაშქრით გაევსო მთელი სომხეთი. ოროდს ჰყვანდა მარტო ცხენოსანი ჯარი, ფარსმანს კი უამრავესი ქვეითი ლაშქარი, რკინით შეკურვილი. რაწამს გამოჩნდა ოროდი, ფარსმანმა უთხრა თავისიანებს: „აქ გმირები ხართ, იქ დავლაა“, და მიესია მტერს, რომელიც იძლია და გაიქცა. ოროდი დაიკრა და მოკვდა ბრძოლის ველზევე.

ეს რომ შეიტყო არტაბანმა, ფრიად გაცეცხლდა. დიდის ჯარით წამოვიდა ჯავრის ამოსაყრელად. მაგრამ ამდროს რომაელებმა უხერხეს, თავიანთი ლეგიონები შეუსიეს შუამდინარეს. არტაბანი დაბრუნდა, რომ შეაჩეროს მისი დაუძინებელი მტრები — რომაელნი. მაგრამ აქაც წააგო და არათუ სომხეთი, პართიაც დაჰკარგა და თავი შეაფარა სკვითიას.

და ასრე, ტირიდატი დაშთა მეფედ პართიისა, ხოლო სომხეთის მეფედ გახდა მიტრიდატი და ორთავეს უმახლობელეს მფარველად კი შეიქმნა ფარსმან მეფე.

მალე ტიბერიოსი მოკვდა (37 წ.) და ფარსმანმა აღარ მოინდომა პართიისა და სომხეთის საქმეებში გარეოდა. ამით ისარგებლა სკვითიას გაქცეულმა არტაბანმა, სკვითიის ლაშქრით მოიკრა, ტირიდატი განაძევა და გამეფდა, ხოლო რომის ახალი იმპერატორი კალიგულა დაიმეგობრა საჩუქრებით. საქმის

ამგვარმა ვითარებამ შეარყია სომხეთის მეფის მიტრიდატის ყოფა-მდგომარეობა. არტაბანის თხოვნით იგი შებოჭეს რომაელებმა (40 წ.) და გაგზავნეს რომს, საცა შვიდ წლამდე დაჰყო.

მალე კალიგულა მოკვდა და გამეფდა კლავდიოსი (41—54). ფარსმანის თხოვნით მან გაანთავისუფლა მიტრიდატი და ნება მისცა დაებრუნებინა სომხეთი, საცა მაშინ მთავრობდა ვარდანი. ფარსმან მეფემ ისევ გაამეფა მიტრიდატი სომხეთს და შემდეგ მოინდომა ალბანიის დაპყრობა ამდროს მას შეატყობინეს, შენი შვილი რადამისტი, მხნე და უშიშარი ვაჟკაცი, მეცადინეობსო მოგისპოს სიცოცხლე და დაიჭიროსო შენი ტახტი. ფარსმანმა, რომ შვილი მოიშოროს თავიდგან, მოიწვია იგი და უთხრა: „შენი ბიძა მიტრიდატი სამართლით არ ფლობსო სომხეთს, რომელიც პართელებს მე წავართვიო. მიტრიდატი უკეთური კაციაო და მისი ტახტი შენ შეგფერისო".

რადამისტმა აღარ დააყოვნა. მიუხტა ბიძას და მოულოდნელად თავს დაესხა ქართველთა ლაშქრით. მიტრიდატი ჩაიკეტა ციხე გორნეას, საცა რომაელთა მეციხოვნე ჯარი იყო. ამ ჯარის უფროსები რადამისტმა მოისყიდა, მიტრიდატი აიძულეს ციხე დაეტოვა.

ბიძა და ძმისწული ერთად შეიყარნენ, ერთმანეთი გადაჰკოცნეს, ერთურთს აღუთქვეს ნათესაობრივს სიწმინდავეს ნუ შევლახავთო. მერე წავიდნენ ტყეში, რომ თავიანთ ღმერთების წინაშე სამეგობრო მტკიცე ფიცი დასდონ. რომ მივიდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ხოლო მხლებლებმა ძუით ცერები შეუკრეს ისე მაგრა, რომ სისხლი წასქდათ თითებიდამ. და მათ ერთმანეთის სისხლი შეწოვეს. ასრეთი დამეგობრება და ზავი ყველაზე უმტკიცესად ითვლებოდაო მაშინ საქართველოში. მაგრამ ამ უსაღმთოეს წესის შესრულებისავე უმალ, რადასისტის ნიშნებით მისი მხლებლები მისცივდნენ მიტრიდატს, შებოჭეს, აგრეთვე მისი ცოლი და მცირეწლოვანი შვილები და ყველანი წაახჩეს. ეს რომ შეიტყო ასურეთის მართველმა უმიდიოს კვადრატმა, ფარსმანს მოსთხოვა

დაეტოვებინა სომხეთი და შვილი სომხეთიდგან გაეწვია. მაგრამ იმავე დროს რადამისტთან მივიდა კათბადუკიის მმართველი პელიგნუსი და ურჩია დაგვირგვინებულიყო. რადამისტი გამეფდა სომხეთში.

პართიის მეფე ვოლოგეზმა ვეღარ მოითმინა ამდენი დამცირება. ლაშქრით შემოვიდა (52 წელს) სომხეთს, რომ აქ გაამეფოს თავისი ძმა ტირიდატი. რადამისტი განაძევა, მაგრამ სომხეთი კი მთლათ ვერ დაიპყრა ზამთრის მკსინვარებისა გამო და დაბრუნდა. რადამისტი ისევ დაბრუნდა და დაუწყო დევნა ერს, რომელიც თავის მოღალატედ გამოაცხადა. სომხები მოთმინებიდგან გამოვიდნენ და მის სასახლეს მიესივნენ. რადამისტი გაიქცა და თან გაიტაცა თავისი ცოლი ზენობია. ეს მაშინ ფეხმძიმედ იყო, მაღე ცხენით სიარული გაუჭირდა და გრძნობა დაჰკარგა. რადამისტს შეეშინდა, ცოლი მდევარს არ ჩაუვარდეს ხელშიო, გაჰგმირა იგი თავის ხმლით, ჩააგდო არეზში და თვითონ საქართველოსკენ გამოიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ ზენობიაც მწყემსებმა მოიყვანეს საქართველოში: წყალს მისთვის გრძნობა დაებრუნებინა და ჭრილობაც მსუბუქი ჰქონდა.

თავზედ ხელაღებულ შვილის სიახლოვე აშინებდა ფარსმან მეფეს. მას სურდა შვილი დაეღუპა. ამდროს ტირიდატი უკვე მეფობდა სომხეთში. ტირიდატმა სთხოვა იმპერატორ ნერონს, რომელმაც იგი დაამტკიცა მეფედ, რადამისტი შეეპყრო და მოეკლა. ფარსმანის ბრძანებით იგი მოჰკლეს 54 წელს და ამისთანა სამსახურისთვის ნერონმა ფარსმანს მისცა სომხეთის ერთი ნაწილი.

ესრე დასრულდა ცხოვრება რადამისტისა და ამ ცხოვრებით ისარგებლა ფრანგის მწერალ კრებილიონმა და დასწერა ტრაგედია „რადამისტი“.

თავი III.

ორგამგეობა საქართველოში.
(60—130 წ.).

როგორც ისეც სტრაბონი ამბობს, საქართველოში ოთხი წოდება იყო და პირველს წოდების ეკუთვნოდნენ იგანი, რომელთაგან ყველაზე უფროსს ირჩევდნენ მეფედ და მის მერმეთ მეორეს—უმთავრესის მსაჯულად და ლაშქრის წინამძღოლად. ეს სიტყვები ასრე უნდა გვესმოდეს: გარდაცვალებულ მეფის უფროსს ვაჟს ამტკიცებდნენ მეფედ და მის მომდევნო მეორე ვაჟს ასრებდნენ სამოქალაქო ნაწილს და ლაშქრის უფროსობას. ესრეთი ჩვეულება დაირღვა 60 წელს: ბარტამი იყო უფროსი ძმა და მას ეკუთვნოდა მეუობა, ხოლო ქარიამი—უმცროსი ძმა და იგი უნდა დამაყოფილებულიყო მსაჯულის ხარისხითა და ლაშქრის უფროსად ყოფნით. მაგრამ ეს ასრე არ მოხდა: ორივე ძმები გამეფდნენ, ერთი—ბარტომა—მცხეთას, მეორე—ქართამი—არმაზს. ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ ფარსმან დიდის დროს სომხეთის ერთი ნაწილი შემოეერთდა საქართველოს და, ამის გარდა, ქართველთა მეფე შეიქმნა მაყარკელად სომხეთისა. არმაზში მოვრობის დადგენას გამოიწვევდა ამ ქალაქის სიახლოვე სომხეთთან და სიმარჯვე იმ ლაშქრის მამოძრობისთვის, რომელსაც მშვიდობა უნდა დაეცვა მტკვრის მარჯვენით მდებარე ქვეყნებში იმ დროს, ალბად, მტკვარზედ მცხეთის ხიდის გარდა სხვა ხიდები ან სულ არ იყო, ან თუ იყო, ისინიც გაეხრებინათ შეშინებულ რომაელებს. უხიდობასა გამო დიდის ლაშქრის გადაყვანა მტკვრის მარცხენა მხრიდგან (მცხეთიდგან) მარჯვენა მხარეს და საჭირო ადგილას დროზედ მაყვანა შეუძლებელი იქნებოდა. ასეა თუ ისე, მცხეთის მეფეს 60 წლითგან დაქვემდებარა მტკვრის მარცხენა მხარე წერეთიდგან ეკრისამდე და მტკვრითგან კავკასიონის მწვერვალამდე, ხოლო არმაზის მეფეს—ქველა მიწები მდ. ბერდუჯიდგან ჭოროხამდე (სომხით—საბარათიანო, ჯავახეთი, სამცხე, კოლა, კლარჯეთი).

ამ ბარტამისა და ქართამის დროს იერუსალიმი აიკლო რომის იმპერატორმა ვესპასიანემ (70 წ.), გასწყვიტა მრავალი მცხოვრები, დანაშთენ 97,000 მცხოვრებთაგან ზოგი დაატყვევა და ზოგი კი აქეთ-იქით გაიბნა. ამათგან დიდძალი ებრაელობა საქართველოსკენ გამოიქცა. იგინი ბარტომმა დაასახლა ურიათა უბანში, მცხეთას.

მეფობასა ფარსმანისა მცხეთას ქ კაოსისა არმაზს (72—87 წ.) გამძლავრდა სომხეთის მეფე იარვანდი, დაამარცხა კაოსი, დაიჭირა ქალაქები წუნდა და არტანი.

გამეფდნენ ასპურკ და არმაზელ (87—103 წ.). ეს მეფეები იყვნენ მბნენი და გამბედავნი და მოინდომეს იარვანდის დასჯა. მაგრამ მათ მისვლამდე იარვანდი მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა და მის მაგიერ გაამეფა მისი ძმა არტაშანი. ქართველთა მეფეებმა თავის განზრახვაზე მაინც ხელი არ აიღეს და დაიწყეს მზადება, რომ შეესივნენ სომხეთს. მათ მოწვევისამებრ მოვიდნენ ოსთა მეფენი ბაზუკ და ანბაზუკ და თან მოიყვანეს ლაშქარი ოსთა, აგრეთვე პაპანიკნი და ჯიქნი, ლეკთა მეფემ მოიყვანა ლეკნი, ძურძუკნი (ღლიღვ-ჩაჩანნი) და დიდონი. ქართველ მეფეებმა ყველა ესენი თავიანთ ლაშქრებითურთ წაიყვანეს, შევიდნენ სომხეთს, დაარბიეს შირაკუნი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, დაშტი ნახჭევანამდე და დიდის ტყვითა და ნადავლ საქონლით წამოვიდნენ ფარისოს გზით, მივიდნენ კამბეჩოვანს (ქიზიყს) და დაიწყეს ტყვისა და ნადავლის განაწილება-გაყოფა. სუმბატმა სწრაფად შეაგროვა სომეხთა მხედრობა, გამოეკიდა მტრებს, დაეწია და შეუთვალა: „პირუტყვი, ოქრო, ვერცხლი და ნაქსოვი, რომელიც წამოიღეთ სომხეთიდგან, თქვენი იყოს, ოღონდ დამიბრუნეთ ჩვენი ტყვეები“. მათ უარი შეუთვალეს. გაიმართა დიდი ბრძოლა. კავკასიელნი დამარცხდნენ, მიმოიბნენ. ქართველთ მეფეებიც დაიპრნენ და მცხეთას გამოიქცნენ. სუმბატი დაბრუნდა, სამცხეს შევიდა, ააშენა ციხე დემოთი, შიგ ჯარი ჩააყენა და უბრძანა—წუნდელებს შეეწიენითო.

ქართველი მეფეები მალე მოსულიერდნენ, მოღონიერდენ, მოიწყიეს ოსობა და დაიწყეს სომხეთის კირთება. ამასობაში მეგრელნიც გადმოვიდნენ ოძრხეს, საცა იყო მეფის არმაზელის ერისთავი, აზნაურთაგანი. ესენიც შეუხდნენ სომხეთს და რბევა დაუწყეს. ამათ დიდი ბრძოლა ჰქონდათ მდ. ნოსტეზე. კლარჯეთსაც ჰყვანდა თავისი ერისთავი, აზნაურთაგანივე. ესეც აზორკ მეფის ბრძანებით არ უსვენებდა სომხეთის საზღვრის მოსახლეებს. თვით კლარჯეთი იყო ქვეყანა შეუვალი, მაგარი და კლარჯნიც იყვნენ მკვირცხლწი და ჩინებულნი მბედარნი. მეფეები სომხეთის დასარბევად აბოცის გზას ირჩევდნენ.

მიუხედავად ამგვარ ძლიერებისა, სომხეთის მეფე არტაშანმა და მის სპასპეტ ბივრიტიანმა მტრები დაამარცხეს და უკუაგდეს, მაგრამ ამდროს შეიბნენ სომეხნი და ბერძენნი და ამ უკანასკნელების საშველად და სამეფოს მიჯნების დასაცველად სომეხნი უკანვე დაბრუნდნენ, ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლად კი დასტოვეს მეფისძე ზარენი. ქართველ-ოსთა მეომრებმა ეს ზარენი დაამარცხეს (ცელის ტბის პირას), მისი ჯარი დახოცეს და თვითონ ზარენიც წამოიყვანეს და დარიალანის ციხეში შეამწყვდიეს. მესამე წელს ბივრიტიანი თრიალეთს გადმოდგა, ზარენი დაუბრუნეს და დაიბრუნეს წუნდა, დემოთი, არტანი და ჯავახეთი.

ეს სამი ერი—სომეხნი, ქართველნი და ოსნი—დამეგობრდენ და ამიტომ მშვიდობით იმეფეს ამზასპ და დეროკმა (103—113).

ეს ასე იყო ქართლისცხოვრებით. ბერძნულის წყაროებით 75 წელს საქართველოში ორი მეფე არ ყოფილა, არამედ ერთი, მიტრიდატი, რომაელების ერთგული კაცი.

1867 წ. მცხეთის ახლოს იპოვნეს ქვა 75 წლის თარიღით და შემდეგის ბერძნულის წარწერით: „იმპერატორ ვესპასიანემ (70—79), აგვისტომ, დიდმა ღვდელმთავარმა, მუშვიდეჯერ შემო-

სილმა ტრიბუნის უფლებით, მამამ მამულისამ, და იმპერატორ ტიტე ცეზარმა და დომიციანე ცეზარმა იგერთა მეფეს მიტრიდატს, ფარასმანისა და იამაზდის ძეს, მეგობარს კეისრისა და რომის ერისა, ვუგეთ ციხე".

ეს მიტრიდატი უნდა იყოს არმაზის მეორე, რომლის სახელი ჩვენს მემატიანეს ვერ დაუსოვნია და ისსენიებს მას არმაზულ-ად (არმაზაერად). ამ მირდატის მშობლები იქნებოდნენ კოსის თანა-მმეფობი ფარსმანი და მისი მეულლე იამაზდა.

ალბად, სუმბატ ბივრატიანმა რომ დაიწერა წუნდა და ართანი, იგერთ მეფე მიტრიდატ ფარსმანის ძემ შემწეობა ითხოვა რომაელთაგან, ამათი მეშვეული რაზმი მოვიდა სამხრეთ საქართველოში და იმპერატორის ვესპასიანეს ბრძანებით მიტრიდატს აუგო ციხე.

რომ მიტრიდატი სწორეთ „არმაზელი" იქნებოდა, სჩანს იქიდგანაც, რომ ბერძნული წარწერანი ქვა იპოვნეს არმაზის ვიწროებში, ე. ი. მტკვრის მარჯვენა მხარეს, რომელსაც განაგებდნენ არმაზის მეფენი.

ფარსმან-ქველი. რომაელთა მწერლების ჩვენებით, სომხეთი ისე ძლიერი არ იყო, როგორც ამბობს „ქართლის-ცხოვრება". ეს ქვეყანა დიდი ხნითგანვე ხელიდგან ხელში გადადიოდა: მას იპერდნენ ხან რომაელნი, ხან პართელნი და ხან ქართველნი. რადამისტის გამოძევების შემდეგ სომხეთში რომაელებმა გაამეფეს ტიგრანი (58 წ.). ამან თავის მფარველების შემწეობით ხუთი წელიწადი იმეფა. შემდეგ გაძლიერდნენ პართელნი და გაამეფეს ტირიდატი (63 წ.). რომაელთა სპასალარი კორბულონი შევიდა სომხეთში. ტირიდატი დაემორჩილა მას. იგი რომს წაიყვანეს და იქ ისევ გვირგვინი დაუბრუნეს (67 წ.). შემდეგ ამისა, შინაურ არეულობისა გამო, რომს არ ეცალა აღმოსავლეთისთვის, პართელთ დაიპყრეს სომხეთი და აქ გაამეფეს ეკსადარა. მაგრამ პართველმა მეფე ხოსრო 1-მა დაამხო ეკსადარა და გაამეფა თავისი ძმისწული პარტამისარა. ამ დროს (114—117 წ.) იმპერატორი ტრაიანე წამოვიდა აღ-

მოსავლეთისკენ. დაიმორჩილა ედესის მეფე ავგაროზი. სომხეთს რომ შემოვიდა, მეფე პარტამისარი გამოეცხადა, გვირგვინი მოიხადა და იმპერატორის ფეხთქვეშ დასდო. იმპერატორმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა, მეფობა ჩამოართო და სომხეთი რომის ქვეყანად გამოაცხადა. პარტამასარი მალე დაიღუპა.

აი, ამდროს გამეფდნენ ფარსმან-ქველი არმაზს და მირდატი მცხეთას. მირდატი იყო კაცი ზოსისხლე, დაუნდობელი, ფარსმანი კი კეთილი, უხვი, შვენიერი, ტანოვანი, ძლიერი, მხნე, უშიში. ფარსმან-ქველი მირდატის კერძ ქართველებსაც უყვარდათ.

მირდატმა ცოლად შეირთო სპარსთა (პართელთა) მეფის ნათესავი. იგი პართელთავე ჩაგონებით გადაემტერა ფარსმან-ქველს და განიზრახა მისი მოკვლა, და ამ განზრახვით მიიწვია იგი თავისს სასახლეში სტუმრად. ფარსმანი დაიღუპებოდა, რომ ერთს ერთგულ კაცს არ ეცნობებინა მისთვის, თუ რა მოელოდა მირდატის დარბაზში. გადაეკიდნენ ერთმანეთს. ფარსმანმა აჯობა ბრძოლაში. მირდატი გაიქცა პართიას.

ფარსმან-ქველს ჰყვანდა გამოჩენილი სპასპეტი, ფარნავაზი; ამას აღეზარდა თვით ფარსმანი, ახლა ხანში შესული კაცი იყო, მაგრამ მხნე, ძლიერი, გოლიათი. მირდატმა მოიყვანა პართელთა ძლიერება და შემოება ძმას. იბრძოლეს დიდხანს. ფარსმანმა მტერს მოუკლა 17 ბუმბერაზი, ხოლო ფარნავაზმა 23. ბოლოს მირდატი დამარცხდა და გაიქცა.

მეორე წელიწადს უფრო მეტი ლაშქარი მოიყვანა. ფარსმანმა მცხეთა გაამაგრა და შიგ ჩადგა. მირდატი ჯვრის (ჯვაჭვის) გორაზე გადმოდგა. მაგრამ ფარსმანი მას დაეცა მოულოდნელად, შემუსრა და გააქცია.

ფარსმან-ქველმა მტერს სდია პართიამდე, რომელსაც ამის შემდეგ მოსვენებას აღარ აძლევდა, არბევდა და აწიოკებდა. ბოლოს მტრებმა მოისყიდეს ფარსმანის მზარეული და მოაწამლვინეს. ეს საზარო ამბავი მალე მთელს საქართველოს მოე-

დო და „იქმნა გლოვა, ტირილი ტყება ყოველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთამდე. იტყებდეს თავთა ყოველნი და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი. შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა, სიქველესა, სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა, და იტყოდიან: „ვაჲ ჩვენდა, რომე მოგვძინა სევმან ჩვენმან ბოროტმან და მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან“.

ამის შემდეგ საქართველოში გამაგრდნენ მიტრიდატი და პართელთა ერისთავი. ხოლო ფარსმანის ცოლი ღადანა და მემკვიდრე ადამი ფარნავაზ სპასპეტმა წაიყვანა სომხეთს და იქ შეუდგა ახალის ლაშქრის მზადებას საქართველოს სახსნელად პართელთა უღლისაგან. ადამს მიემხრნენ მეგრელნი და რომაელნი. ადამი შემოვიდა ქართლს და ლიახვის პირად რეხას შეება მტერს. მირდატი და პართელთა ერისთავი დაიხოცნენ ბრძოლაში. ადამი გამეფდა.

ასრე დასრულდა ეს ქიშპობა და ორგამგეობა საქართველოში 129 წელს. მაგრამ ადამმა, სულ სამი წელიწადი იმეფა და მოკვდა. მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი ფარსმანი და მის დავაშკაცებამდე სამეფოს მართავდა მისი დიდედა, ღადანა.

ფარსმანი. ტრაიანეს შემდეგ რომში გახელმწიფდა ფრიად განათლებული და მრავალის ღირსებით შემკული ადრიანე (117—138). ტრაიანესაგან დაჩაგრული და დამცირებული აღმოსავლეთი მან დაამშვიდა. პართიაში გაახელმწიფა მეფობის ღირსება-ახდილი ხოსრო და მისს სამეფოს დაუმატა ასურეთი და შუამდინარე. მისს მოწინააღმდეგე პარტამასპატს აგრეთვე მისცა ცალკე სამთავრო. სომხეთშიაც საკუთარი მეფე დაადგინა და იგი გამოაცხადა რომის მფარველობის ქვეშე. კათბადოკიაში მმართველად დანიშნა არრიანე, სახელგანთქმული ფილოსოფოსი, სპასალარი, სახელმწიფო კაცი და მწერალი.

ამ დროს კავკასიონიდგან ჩამოეშვენენ ალანნი ანუ მასსაგეტნი (ოსნი) და აღმოსავლეთის საქმეებიც აირია. ოსობა მაშინ ძლიერი იყო. ფარსმანმა იგინი მიუსია მიდიას. ოსნი წალეკავდნენ პართიასა, სომხეთსა და კათბადუკიას, თუ მალე უკანვე არ დაბრუნებულიყვნენ ფლავიოს არრიანეს შიშით და თუ იგინი არ დაეშოშმინებინა პართიის მეფის ვოლოგეზ I-ის საჩუქრებს. ოსნი დაბრუნდნენ, მაგრამ პართიის მეფემ ადრიანეს წინაშე დააბეზღა ფარსმანი: ამან ცბიერება იხმარა და ოსობა შემოუშვა ჩვენს ქვეყანაშიო. მაგრამ ფარსმანი თვითონაც აჩქარდა; თავისი მეუღლე წაიყვანა და რომს გაეჩქარა, რომ საქმის ჭეშმარიტი ვითარება წარუდგინოს იმპერატორს და თავი იმართლოს. მართლაც, ისეთი საბუთები წარუდგინა ადრიანესა და სენატს, რომ იგი უდანაშაულოდ სცნეს, სამფლობელო გაუდიდეს ახალის მიწებით, რომში მიაგეს უჩვეულებრივო პატივი: მას და მის ცოლს კაპიტოლიის ტაძარში საღმრთოს შეწირვის ნება მისცეს და ბელღონის ტაძარში დაუდგეს ანდალმა, რომელიც წარმოადგენდა ცხენზედ მჯდომარე ფარსმანს. ყველა ეს მოხდა 138 წელს.

რომს მყოფობისას ფარსმანი თავს ევლებოდა არათუ მარტო ადრიანეს, არამედ პიოსსაც, რომელიც ადრიანეს შემდეგ გახელმწიფდა. ამ პიოსმა ლაზთა მეფედ, ალბად, ფარსმანის თხოვნით, დანიშნა ბაკური.—ადრიანემ ფარსმანისაგან მიიღო დიდძალი საჩუქრები და მათ შორის მოოქრული წამოსასხამები. თვით ადრიანეც არც ერთს მეფეს იმდენს საჩუქრებს არ უგზავნიდა, რამდენსაც ქართველთ მეფეს. ფარსმანს მან უძღვნა მრავალი საჩუქარი. ერთი სპილო და 500 კაცი მცველად.

ასეთ ყურადღებას იმიტომ აქცევდნენ იმპერატორები საქართველოს მეფეებს, რომ ამათ ეპირათ რომაელთა აღმოსავლეთ სამფლობელოებში შესასვლელი გზა-კვალი. ეს გზა-კვალი უმალვე იხსნებოდა და რომაელთა ხსენებული სამფლობელოები დიდს შიშში ვარდებოდა, როდესაც ქართველთა მეფეები კავკასიონის კარებს უღებდნენ ჩრდილოეთის ველუ-

რებს, ალანებს, ლეკებს, პაჭანიგებს და სხ. ამას გარდა, თვით საქართველოს ერიც საკმაოდ ძლიერი იყო, დროის შესაფერად განათლებული და მოწყობილი, სიმამაცითა და თავისუფლების მოყვარეობით განთქმული. ამ ქვეყნის უმთავრესი ნაწილი—ივერია—რომაელების გამოჩენამდე აღმოსავლეთს, როგორც სტრაბონი მოწმობს, არ დაეპყრა არც ერთს უცხოეთის მეფეს. თვით რომაელთა სპასალარებიც—პომპეოსი და სხვანი აქ მხოლოდ გავლისას იყვნენ, მცირე ჟამსა და დროს. აქამდე ამ ქვეყანამ არ იცოდა რომაელთა მონობა, და ამავე დროს კი პართია და სომხეთი მათ სანავარდო და საომრო ასპარეზად გადაქცეულიყვნენ.

ამ დროის საქართველოს თემნი, დაბა-ქალაქნი და სდგილნი კლავდი პტოლომეოს (120—170 წ. ქ. შ.) ჩვენებით: კოლხეთში: ნავთსაყუდელი და დაბა ბატა (ბათომი). ქალაქები დიოსკურია, ია, ნეაპოლის (ნაქალაქევი?), ფაზის (ფოთი), მადია (ბედია?), სა-რკე, სურიონ (სურები?), სდრისი. ივერიაში: ლუბიონი, აგინნა (ალაიანი!), სურა (სურამი), არტანისსა (არტანისი=არტანი=არდაგანი), ზალისსა (ძალისი!), არმაკტიკა (ჰარმასტის=ჰარმოზიკა—არმაზციხე=არმაზ-თისი=არმაზი). ალვანიაში: მდინარე სოანს შესართავს იქით ალბანთა, უდონთა, ალვანიის კარები. კავკასიონის ქედსა და კერაუნს (ყორნისს!) შორის ცხოვრობენ ტუსკი (თუში) და დიდური (დიდო), კასპიის ზღვის მხარეს—უდნი, მას აქეთ ჰერრნი (ჰერი—Серетии), ალვანიას ზემო—სანარნი (წანარნი). დაბა-ქალაქები: ტელები (თელავი?), ქალაქი გელდა (შილდა?), ქალაქი ალვანა (ალვანი), ქალაქი გეტარა. ივერიასა და ალვანიას შორის არიან ქალაქები ტაგოდა, ბაკხია, სანუა, დეგლანე, ნიგა; სხვა ქალაქები: მოსეგა, სამუნისი (სამუხი?), იობულა, იუნა, აბლანა, მამეხია (მამრეხი?), ოსსიკა, შიობა, ვარუკა. ალვანის წყალსა და კესიოს (კისის?) ხევს შორის: ხაბალა და ხობოტა, მოზიათა, ხადახა, მისია, ალამი; კესიოს და ჰერრს (იორს) შორის: თიავნა

(თიანა—თიანეთი?), თაბილაკა; ჰერრსა და სოანას შორის: თილბის (თბილისი!).

ალონთას, ალონს იხსენიებს ვახუშტიც. იგი ამბობს: „ძველად კახეთს შეადგენდნენო ფშავ-ხევსურეთი, თიანეთი, ერწო, ირტოსხევი, პანკისის ხეობა, საყდრიონი და ალონი, ხოლო ბახტრიანსა და ლალისყურს შუა არისო ველი ალონად წოდებული". ალონი იგივე ალვანი-ა.—დიდური: ვახუშტი ამბობს, რომ ერი დიდოეთისა ჩამომავალია იმ ბუნთურქებისა, რომელნიც ესახლნენო ციხე-დიდს, სარკინეთს და სხ. ალბად, მათი სახელი დიდური წარმოსდგა სიტყვიდამ დიდი ციხე-დიდში ცხოვრების გამო.—ხაბალა უნდა იყოს იგივე სტრაბონის მიერ ხსენებული ალვანიის სამეფოს სატახტო ქალაქი კაბალიკა. დღევანდლამდე არსებობს ყაბალა (ნუხის მაზრაში), კობალა (ხევია საინგილოში) და კაბალი (ხეობა და სოფელი ლაგოდეხის ახლოს).

თავი IV.

ორგამგეობის შემდეგი დრო

1. **ამზასპ ფარხმანისძე** (182—186). ამზასპი იყო გმირი კაცი. მის დროს დიდი მოძრაობა და სიმხნე გამოიჩინეს ოსებმა. ესენი უგრძნეულად გადმოვიდნენ დვალეთის გზით, რომლის მცველები, ალბად, დახოცეს, წამოვიდნენ ლიახვის ხეობით მცხეთისკენ; მათ განეზრახათ, აეღოთ მცხეთა, დაერბიათ იგი.

მეფეს არ შეეშინდა. ფიცხლავ მოიწვია ერისთავები კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა და მხედრობანი თავის სპასპეტისა, რომელიც იდგა ქართლში. ვიდრე ესენი მიეშველებოდნენ მეფეს, ოსნი ჩამოდგნენ მცხეთის ჩრდილოეთის კარს, მუხრანს.

მეფეს თან ახლდა დიდი ლაშქარი და იგინი ჩააყენა ქალაქის ციხეებსა და კარებში. ეს სულ მცხეთელთა ლაშქარი იყო და ამას გარდა კიდევ „გარე გამავალი“ ქვეითი ჯარი იყო 30,000 და მხედრობა კი 10,000. ქვეითობა მეფემ დააყენა არაგვის იმიერ და ამიერ ციხეებში, ხოლო თვითონ წაიყვანა მხედრობა და დადგა მცხეთის ახლოს, საფურცლეს. მის ლაშქარს იარაღად ჰქონდა შუბი, ოროლი (ლახვარი), შვილდ-ისარი, ხმალი, ფარი და სხ. ოსნი მოვიდნენ. შეიბნენ. იბრძოლეს ორი დღე. ამასობაში მოვიდნენ ერისთავნიც. მტერი დააშარცხეს, მოსპეს. მოკლულ იქმნა ოსთა მეფეც. მაგრამ მეფე ამზასპმა ეს არ იკმარა; ამგვარ თაეხედობას და კადნიერებას იგი ვერ აპატიებდა ჩრდილოეთის ველურებს. მეორე წელსვე შეევიდა შუაგულს ოსეთში, დაამარცხა, დაარბია, დახარკა, დაბრუნდა.

სამწუხაროდ, ამგვარმა ძლევამოსილებამ მეფე გააღალა, გააამპარტავნა. წარჩინებულ კაცების მუშაობას ქვეყნისთვის იგი აღარაფრად აგდებდა. მრავალნი დაამცირა, დაამდაბლა.

ამან გააგულისა ერისთავნი ეგრისისა, ოძრხისა, კლარჯეთისა, წუნდისა. ესენი შეითქვნენ და მეფის გადაყენება და სხვა მეფის დადგენა მოინდომეს. მოიწვიეს მათ ოსნი, რომაელნი და სომეხნი, გადმოვლეს თავკვერის გზა (რაჭაშია) და დადგნენ გუთისხევს. ამზასპმა მოიშველია სპარსნი და დაეცა მტრებს, მაგრამ დამარცხდა და მოკლულ იქმნა. ერისთავებმა გაამეფეს რევი, მისი დისწული, ძე სომეხთ მეფისა.

2. **რევ-მართალი** (186—213). რევი იყო კაცი მოწყალე, მართალი, შემწე გაჭირვებულთა. ეს სათნოებანი მას შეჰმატა ქრისტეს სახარების შესწავლამ.

მეფემ ცოლად შეირთო სეფელია, ასული ბერძნის ლოღოთეთისა. ამ მეფემ საბერძნეთიდგან მოიტანაო საქართველოში კერპი აფროდიტე. ეს აფროდიტე იყო ქალ-ღმერთი, მოტრფიალე ბაღ-ვენახებისა და ყვავილებისა, მცხოვრები ჰალებში, ქალღმერთი საამურ გაზაფხულისა, ტკბილად დროს გამტარებელი მაღალს მთაზე ჰაბუკ ადონისთან ერთად. ამისთანა ღმერთის საკერპოს აღმართვით საქართველოში მეფეს, ალბად, სურდა აღენიშნა—ერთის მხრით, თავისი სიყვარული დედოფლისადმი და მეორეს მხრით, საქართველოს განახლება, აღყვავება, წარმატება. მაგრამ ამ ქალღმერთს ქართველები წინადაც თაყვანსცემდნენ, მეტადრე კოლხეთის მეფეების ფარნაკის, ასანდრის და პოლემონის ჟამს.

რევი კაცთ-მოყვარე მეფე იყო. მან აღკრძალა კაცის შეწირვა უსულ-გულო კერპთათვის. მანამდე კი კაცის შესაწირავად ასრე ემზადებოდნენ: ივერიისა და ალბანიის (ქართლ-კახეთის) მიჯნაზე იყო ტაძრები მთვარისა, ზევსისა და მზისა. ქურუმის თანამდებობას ასრულებდა მეფის შემდეგ უპირველესი პატივცემული კაცი. ამას ექვემდებარებოდა მთელი წმინდა ადგილი, ვრცელი, დიდი, მჭიდროდ დასახლებული და აგრეთვე საქურუმოებისა და სახატოების მოსამსახურენი, რომელნიც, ხშირად, ქადაგად დაეცემოდენ ხოლმე. ამ ქადაგთაგან რომელიც იწყებდა ტყე-ღრეში უგზო-უკვლოდ სიარულს, მას

იჭერდენ უპირველეს ქურუმის ბრძანებით, ფეხთ უყრიდნენ საღვთო დადიანს (ბორკილს), მთელს წელიწადს ჰკეებავდენ, მერე ხსენებული ქურუმი სცხემდა ზეთს და საღვთო პირუტყვებთან ერთად სწირავდა ღმერთს. ხოლო სწირავდენ ასრე: მსხვერპლის გარშემო მდგომ დასიდამ გამოდიოდა ის, რომელსაც ხელში ეჭირა საღმრთო ლახვარი და ამ ლახვარს ასობდა გულში, მსხვერპლი რომ წაიქცეოდა, მის ძირს დაცემის მიხედვით ქურუმები იწყებდენ მკითხაობა-წინასწარმეტყველებას. როდესაც განგმირულ გვამს მიასვენებდენ დანიშნულ ადგილას, ამ გვამს ფეხს ადგამდენ, რომ განწმენდილიყვნენ.

3. **რევ-მართალის მომდევნო მეფეები.** ოთხი მეფის ამბავისთვის ჩვენს მემატიანეს მიუძღვნია მხოლოდ 15 სტრიქონი! იგი სწერს:

მოკვდა რევ, მეფე იქმნა ძე მისი ვაჩე (213—251) *)
შემდგომად მეფე იქმნა ძე ვაჩესი ბაკურ (231—246)
შემდგომად ბაკურისა მეფობდა ძე მისი მირდატ (246—262)
შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ (262—262)
ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა.

და ამას კიდევ უმატებს: ასფაგური იყო უკანასკნელი ფარნავაზიანი. მის დროს სპარსეთში გამეფდა ქასრე ანუშირვან სასანიანი, რომელმაც მოსრა წინანდელი სამეფო სახლი—აჟდალიანი არდაშირი, ხოლო სომხეთში გამეფდა კოსაროსი; ასფაგური და ეს კოსაროს გადაეკიდნენ ქასრეს. ასფაგურმა მოიწვია ოსნი, ლეკნი და ხაზარნი, შეუერთდა კოსაროსს, შეება ქასრეს და დაამარცხა.

ეს მცირე ცნობებიც არეულ-დარეულობას წარმოადგენს.

ა. სასანიანი გამეფდა არა ასფაგურის ჟამს, არამედ 226 წ. და მან არდაშირი კი არ მოკლა, არამედ თვით არდაშირი იყო პირველი სასანიანი (იხ. ქვემო).

ბ. ამდროს, როდესაც ვითომ მეფობდა ასფაგური, სპარ-

*) ვახუშტის ანგარიშით.

სეთში მეფობდა არა ქასრე, არამედ შაბური I (240 — 271), ხოლო ბერძენთა მწერლები ივერთა მეფე ასპაგურს და მისს თანამმეფობ სავრომაკს უჩვენებენ 368—374 წლებში შაბურ II-ის ჟამს (309 – 380).

სჩანს, ჩვენის მატიანის გადამწერსა თუ შემმუშავებელს შაბურ მეორე მიუჩნევია შაბურ ჰირვულად და მის თანამედროვედ გამოუცხადებია ასფაგური.

არის სხვა ცნობაც, რომ ასფაგურს, მართლაც, უმეფნია შემდეგ მირიანისა და არა მის წინად.

ა) შატბერდის მემატიანე მირიანის მამად ასახელებს მეფე ლევის (მეფობდნენო: რევ-მართალი, ვაჩე, ბაკურ, მირდატ, ასფაგურ, ლევ-მამად მირეანისი).

ბ) **ასფაგური** ითვლება მე-23-ე მეფედ, „ციხე-ქალაქის უჯარმის“ ამშენებლად. ვახუშტი თავისს გეოგრაფიაში „ციხე-ქალაქის უჯარმის“ აღმაშენებლად სთვლის მე-23-ე მეფესვე სურმაგს.

ცხადია, რომ ეს ასფაგური და საურმაგი არიან ის ასპაკურ და სავრომაკი, რომელნიც საქართველოში ერთად მეფობდნენ 368—374 წლებში, შაბურ II-ის დროს. (იხ. ქვემო).

ეს არეულ-დარეულობა ირკვევა შემდეგი დროის ამბების მოთხრობითაც.

4. მესამე საუკუნის დასასრული და მირიანი.

ა. **ქართლის ცხოვრებით.** ასფაგური და კოსაროს რომ ებრძოდნენ სპარსთა მეფე ქასრეს, მაშინ სპარსეთში იყო სომეხთ მეფის მოღალატე ანაკი. ამან მოახსენა ქასრეს, მე წავალ და შენს მტერს კოსაროსს მოვკლავო. წამოვიდა და ხილხალს ნახა მეფე კოსაროს, თავი მეგობრად აჩვენა და მოჰკლა იგი არარატის მთაზე, საცა ერთად ნადირობდნენ. ქასრეს გაუხარდა, წამოვიდა, დაიპყრა სომხეთი და შემოვიდა ქართლს. ასფაგური გაიქცა ოსეთს და იქვე მოკვდა. მას დარჩა ასული აბეშურა.

მაშინ მცხეთაში იყო მაიქან სპასპეტი. მისას შეიყარნენ ქართველნი და დაიწყეს აპობა, თე ვინ ამოერჩიათ მეფედ. მაიქანმა ყველას ურჩია, გვიკობს სპარსეთის მეფის შვილი მეფედ დავისკათო. რჩევა მოიღეს და

მოციქულები გაუგზავნეს ქასრეს. მან მოიყვანა მცხეთას თავისი შვიდი წლის ვაჟი მირიანი, შერთო ასფაგურის ასული აბეშურა ცოლად, დაუდგინა მას ხელმძღვანელად მირვანოზი, მისცა მცველად 40,000 მეომარი— სპარსი, დაიპყრა კავკასიელთა ყოველი ხევ-ღელეები, გაუმაგრა სამეფო, დაავალა ბრძოლა ხაზართა და წავიდა სპარსეთს.

მირიანმა სიყრმითგანვე დიდი სიყვარული გამოიჩინა ქართველებისა: ერთგულად ემსახურებოდა მათს შვიდს კერპს და აგრეთვე თაყვანსცემდა ცეცხლს, მალე შეისწავლა მათი ენა, შეამკო მათი კერპები. მღვდლებს (ქურუმებს) ხელი მოუმართა, შეამკო ფარნავაზ მეფის საფლავი და წყალობა მოჰფინა მთელს სამეფოს—ქართლს, კახეთ-ერეთს, მოკაკანს, სომხითს, ეგრისს (იმერეთს) მაგრამ 15 წლისა რომ შეიქმნა, ცოლი მოუკვდა და შეირთო მეორე ცოლი, ულიტორის ასული, რომელიც მოიყვანა პონტოით.

ამის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ხაზარებთან, რომელთაც შეელოდნენ ლეკნი, ძურძუკნი, დიდონი. მაგრამ მირიანი მუდამ სძლევდა მტრებს და დიდის წარჩინებით ლაშქრობდა დარუბანდამდე.

მირიანი 40 წლისა რომ იყო, მამა მოუკვდა და სპარსეთს გამეფდა მისი უმცროსი ძმა ჭარტამი. მირიანს, როგორც უფროსს ძმას და, მაშასადამე, ტახტის მემკვიდრეს, ეწყინა ძმის გამეფება, შეიყარა ჯარი და გაილაშქრა ბაღდადს (!). ძმები შეიბნენ ნასიბისს (ნისიბის) ხევს. მაგრამ მოხუცებულნი შეიყარნენ და ძმები შერიგეს. ბარტამი სპარსეთის მეფედ დარჩა, ხოლო მირიანის სამეფოს მიუმატეს ჯაზირეთი (შუამდინარე) და შამის (ასურეთის) ნახევარი და გამოისტუმრეს.

მის დაბრუნებამდე გადმოსულიყვნენ ოსნი და აეოხრებინათ ქართლი. მირიანმა პირდაპირ ოსეთს გაილაშქრა, დაიპყრა, დაატყვევა და გადაბუგა ოსეთი ხაზარეთამდე. დვალეთის გზით იგი დაბრუნდა მცხეთას.

რამდენიმე წელიწადი გავიდა. დარუბანდს გამოჩნდნენ ხაზარნი. მათ საბრძოლად წავიდა მირიანი. მაგრამ ამდროს საბერძნეთში შეევიდა **გუთთა** მეფე და სთხოვა თავისთავ·ბრძოლა კეისარსა. ამან ვერ გაბედა. იქ იყო მაშინ სომხეთის მეფე თრდატი, კაცი გოლიათი. ეს გავიდა საბრძოლად. დაამარცხა გუთთა მეფე და შეიპყრა. კეისარმა თრდატი გაანთავისუფლა ტყვეობიდგან, ჯარი მისცა და გამოისტუმრა. მოვიდა·რა, სომხეთიდგან მირიანის ერისთავები გამოდევნა. მირიანმა ჯარი დაიბარა სპარსეთიდგან. მოვიდა მეფეთა ნათესავი ფეროზ. ამას მირიახმა შერთო თავისი ასული და მისცა ქვეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკვრის ორივე კერძი, და იქ დაადგინა ერისთავად. გაიმართა განუწყვეტელი ბრძოლა საქართველოსა და სომხეთს შორის. პირველს შეელოდა სპარსეთი, მეორეს —საბერძნეთი. ხან მირიანი სძლევდა, ხან თრდატი იმარჯვებდა.

ასრე იყო ბარტამის სიკვდილამდე *). შემდეგ კი სპარსეთს რომ გამეფდა ბარტამის შვილი **), მირიანმა და ამ ბარტამისძემ შეაერთეს თავიანთი ჯარები, დაიპყრეს სომხეთი, შევიდნენ საბერძნეთს და დაეცნენ კოსტანტინე (?) მეფეს ***). ამას (!) ეუთხრეს მახლობელთ: „ირწმუნე ქრისტე, წაიმძღვარე ჯვარი და სძლევ მტერსო". ასრე ქნა კოსტანტინემ (?) და დაამარცხა მტრები ****). სპარსნი დაბრუნდნენ სპარსეთს. მირიანი მოვიდა ქართლს და რადგან ძალა აღარა ჰქონდა, რომ პასუხი გაეცა კოსტანტინესთვის (?), მიაგება მას მოციქულნი, აღუთქვა მსახურება და სპარსთა დახი ცვა. კოსტანტინე (?) დაეზავა მირიანს, მისი შვილი ბაქარი მზეველად აიყვანა, შეარიგა თრდატი და მირიანი და ამზახლა იგინი: თრდატმა თავისი ასული სალომე ცოლად მიათხოვა მირიანის ძეს რევ. ამას გარდა, მათ სამეფოების გამსაზღვრელ მიჯნად დასდო არეზი: ამ მდინარის სამხრეთი მხარე სომხეთისა იყოსო, ხოლო ჩრდილოეთისა—საქართველოსი.

მირიანმა თავისს შვილს რევს საუფლისწულოდ მისცა კახეთი და კუხეთი და სამთავრო ქალაქად მიუჩინა უჯარმა.

აქ მოთხრობილი ამბები მხოლოდ ნაწყვეტებია იმ დიდდიდ ამბებისა, რომელიც საქართველოსა და მისს მეზობლობაში მოხდა თითქმის მთელის მესამე და მეოთხე საუკ. განმავლობაში. ჯერ მოგვყავს მე-III საუკ. ამბები.

ბ. საზოგადო წყაროების ჩვენებით.

ა. ზემოხსენებულნი გუთნი თავდაპირველად ცხოვრობდნენ აზოვის ზღვის პირად და მერე, მიტრიდატის დიდის ჟამს, გადასახლდნენ სკანდინავიას და იქიდგან იწყეს ქვეყნების პყრობა, დარბევა. მათ სათარეშო ბინად ითვლებოდა შავი ზღვის ჩრდილოეთი ნაპირი, საცა ჰქონდათ საკუთარი სამთავრო. მათ გაიჩინეს ძლიერი ფლოტი. 258 წელს იწყეს პირველი საზღვაოსნო ომი. მათი 15,000 მეომარი ნავებით მოადგა აფხაზეთის ნაპირებს და შემოერტყა ბიჭვინტას, რომელიც თუმცა საკმაოდ გამაგრებული იყო, ჰქონდა მკვიდრი ზღუდეები, გუ-

*) ბარტამად იგულისხმება ვარანი ანუ ბარამი. სპარსეთში სამი ბარამი მეფობდა და უკანასკნელი მოკვდა 294 წელს.

**) იგულისხმება ნერსესი (294—303).

***) დიოკლეტიანეს.

****) 297—298 წელს.

თებმა მაინც აიღეს, და მერე დაეშვენენ სამეგრელოსკენ და მისი ზღვისპირის ნაწილები დაარბიეს და გააოხრეს. შემდეგ წამოვიდნენ ფოთს, გაცარცვეს რიონის შესართავთან მყოფი მდიდარი ტაძარი და გასწიეს ტრაპიზონისკენ. ეს ქალაქი მაშინ ეკუთვნოდათ რომაელებს. იგი იყო ფრიად მდიდარი, მაგარი. გუთებმა აიღეს ტრაპიზონი, პირქვე დასცეს მისი შენობები, დაატყვევეს უამრავი მეომრები და მცხოვრებლები, ძვირფასეულობით დატვირთეს თვისი გემები და დიდის დავლით დაბრუნდნენ თავიანთ ბოსფორის სამთავროში.

ბ. 276 წელს ალანებმა, რომელნიც მოსახლეობდენ აზოვის ზღვის პირას, იმპერატორ ავრელიანეს მოწოდებით გაილაშქრეს სპარსეთს და მერე მივიდნენ საბერძნეთის მხარეს, რომ მიიღონ იმპერატორისაგან საჩუქარი. და რადგან დაპირებული ჯილდო ვერ მიიღეს, შეესივნენ პონტოს, კათბადუკიას, კილიკიას და გალატიას, დაარბიეს, დაატყვევეს და დაბრუნდნენ რიონის გზით. ავრელიანეს მოადგილე ტაციტმა საკმაოდ დააშინა ეს ალანნი (ოსნი).

გ. რამდენიმე წლის შემდეგ იმპერატ. პრობმა პონტოს აღმოსავლეთ მხარეს დაასახლა ფრანკები. ამათ უნდა დაეცვათ იმპერიის მიჯნები. მაგრამ ხელში იგდეს რომაელთა გემები, გამოვლეს კლარჯეთი რიონის შესართავამდე და აქედგან წავიდნენ ევროპას, რომ შეუერთდნენ თავიანთ მოგვარე ფრანკებს, რომელნიც მოსახლეობდნენ რეინსა და დუნაიაზე.

დ. 298 წელს ქალაქ ნიზიბისს მოხდა ხელშეკრულობა რომაელებსა და სპარსთ შორის. ამ ხელშეკრულობას დიდი შედეგი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე *).

---

*) ამას ჩვენი მემატიანეც მოიხსენიებს როგორც „ნასიბის ხევს“ ბრძოლას და ზავს მირიანსა და სპარსეთის მეფეს შორის, და ამ მატიანის აღწერითაც ეს „ნასიბის ზავი“ სწორედ უნდა ყოფილიყო იმავე 298 წ. (მირიანი 40 წლისა იყოო მაშინ; 265 წელს რომ გამეფდა, 7 წლისა იყოო. ამ ანგარიშით იგი დაბადებულა 258 წ., ხოლო 258 + 40 = 298.

ე. კვიროს-დარიოზების დროინდელი მსოფლიო იმპერია სპარსებისა თანდათან დაძაბუნდა, დამცირდა და შეელია პართიის სამეფოს. ეს სამეფოც რომაელებმა ბრავალჯერ აიკლეს, დასჭრეს, დააწყლულეს. მესამე საუკუნის დასაწყისს (ქრ. შ.) იგი წარმოადგენდა სუსტ სახელმწიფოს. ამდროს სპარსეთის ქვეყანაში ისტახარს—ცხოვრობდა ღარიბი სასანი, ჩამომავალი სპარსეთის ძველ სამეფო აქამენიდების გვარისა. მისგან და ბაბეკის ქალისაგან დაიბადა არდაშირი, დამფუძნებელი სპარსეთის ახალის—სასანიდების—სამეფოისა.

ხავის პაპის ბაბეკის სახლში არდაშირმა მიიღო დროის შესაფერი განათლება. მაშინ პართიაში მეფობდა არტაბანი. მის კარზე ნიჭიერმა არდაშირმა უმაღლესი სამსახური მიიღო.

ამდროს რომაელებმა დაამარცხეს არტაბანი, სპარსეთი აიკლეს და უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდეს. ამით ისარგებლა არდაშირმა, მიიმხრო სპარსნი, მიესია არტაბანს, სამჯერ ზედიზედ დაამარცხა, მოკლა 226 წელს და თვითონ გამეფდა.

ამ ამბავმა თავზარი დასცა რომს და მის მფარველობაში მყოფ სომხეთის მეფეს ხოსროს, რომელიც არტაბანის ნათესავი იყო. მან შველა ითხოვა რომაელებისაგან. არდაშირმა 400 წარჩინებული და წარმოსადეგი კაცი გაგზავნა რომს და იმპერატორ ალექსანდრე სეეეროსს შეუთვალა: ჩემმა წინაპარ კვიროსმა პირველმა დაიპყრაო აზია ინდოეთამდე, ეთიოპიამდე და ეგეოსის ზღვამდე. იმავე დიდების აღსადგენად დღეს მე ვარ მოწოდებულიო. რომაელებმა ჩვენს სამფლობელოებს თავი დაანებეთ და მარტო ევროპით იკმარეთო.

ამისთანა დამცირებას ვერ აიტანდნენ რომაელები. სომხეთს ვერ დასთმობდნენ იგინი, რადგან ეს ქვეყანა იცავდა იმპერიის აღმოსავლეთ მიჯნებს. ალექსანდრე იმპერატორი დიდის ლაშქრით მოვიდა აღმოსავლეთს, ხოსროც შეიერთა და შეებრძოლა არდაშირს, მაგრამ რომაელთა ლაშქარი ზოგი ამოსწყვიტა არდაშირმა, ზოგი ინაცვალა ჰირმა და შიმშილმა, მხოლოდ მცირეოდენიღა გადარჩა და უკანვე დაბრუნდა.

არდაშირმა სომხეთის მეფე ხოსროც მოაწამლვინა ანაკს. ხოსროს დარჩა მცირეწლოვანი შვილი ტირიდატი (თრდატი), რომელიც რომს გააქცია მისმა აღმზრდელმა. არდაშირმა დაიპირა სომხეთიც (233 წ.).

არდაშირის (არტაქსერქსის) სიკვდილის შემდეგ (240 წ.) გამეფდა მისი შვილი შაბურ I (იგივე საპორ, შაპუხი). ამან კარრისა და ნისიბის მეციხოვნე რომაელებისაგან გაწმინდა ევფრატის ნაპირები და თავზარი დასცა აქაურობას. რომის სიამაყეს დიდი, აუტანელი ჭუილი გაუჩნდა. 260 წელს ევფრატზე გადმოდგა იმპერატ. ვალერიანე. ამან ამაყად გადავლო მდ. ევფრატი, მაგრამ შაბური შემოერტყა, თვით ვალერიანე დაიპირა, გალიაში ჩასო და რომაელთა ლაშქარსაც იარაღი აჰყარა, რომაელების იმპერატორად გამოაცხადა ვილაც ანტიოქელი კირიადი და ტყვე რომაელებს უბრძანა თაყვანი ეცით კირიადს, როგორც თქვენს იმპერატორსო. ამ ამბავმა შეაძრწუნა რომი და მთელი მსოფლიო.

ამის შემდეგ, ვალერიანეს სიკვდილამდე, შაბური ცხენზე ისე არა ჯდებოდა, რომ გალიაში ჩასმულ მეფის ზურგზე ფეხი არ დაედგა.

ყრმობითგანვე რომში გაქცეულმა ტირიდატმა რომაელებისაგან შეისწავლა სამხედრო ხელოვნება. 286 წელს იგი გამოისტუმრეს სომხეთს, რომელიც მოუთმენლად მოელოდა თავისს განმათავისუფლებელს. მას აღტაცებით დაუხვდნენ თავისუფლების მოწყურებულნი სომეხნი. ამდროს სპარსეთში უფლებისათვის იბრძოდნენ ორნი ძმანი, ნარსეს და ჰორმუზდი, ნარსესმა გაიმარჯვა, მერე ტირიდატს შემოება და განდევნა.

ამდროს რომის სამფლობელო ორად იყო გაყოფილი და აღმოსავლეთის იმპერატორად ითვლებოდა დიოკლეტიანე, რომელიც ანტიოქიას იდგა. მასთან მივიდა ტირიდატი. დიოკლეტიანემ ნარსესი დაამარცხა (298 წ.) და იძულებულ ჰყო მისთვის დაეთმო სომხეთი, შუამდინარე და ხუთი ვაზრა მდინ. ტი-

გრის აღმოსავლეთით, ქურთისტანი და გორდიანა, ხოლო იმპერიასა და სპარსეთ შორის მიჯნად დაიდო მდინარე არეზი.

ვინმე პეტრე პატრიკი ამ ნიზიბის ხელშეკრულობას, რომელიც შესდგებოდა სამის მუხლისაგან, უმატებს მეოთხესაც, რომელიც ამბობს: „ივერია იყო უნაყოფო (?) ქვეყანა, ხოლო მისი მცხოვრებლები იყვნენ ბრიყვნი და მესისხლენი, მაგრამ იცოდნენ ბრძოლა-ომი და ესახლნენ იმპერიასა და უფრო საშიშარ და მესისხლე ბარბაროსების შორის. მათ ეპყრათ კავკასიონის მთის ვიწრო შესავალ-გასავალები და მათზე იყო დამოკიდებული, შემოეშვათ თუ არ შემოეშვათ სარმატთა მაწანწალა ტომ-მოდგმანი, როდესაც ამ ბარბაროსებს აღეძროდათ სურვილი, შემოსეოდენ სამხრეთის მდიდარ ქვეყნებს. ივერიის მეფეების დანიშვნის უფლებამ, რომელიც სპარსეთის ხელმწიფემ დაუთმო რომის იმპერატორებს, ხელი შეუწყო რომაელთა ძლიერების განმტკიცებას აზიაში“.

პეტრე პატრიკის შენიშნვა შესახებ საქართველოს უნაყოფობისა და მის მცხოვრებთა მესისხლეობისა ჩვენ სარწმუნოდ არ მიგვაჩნია, ვინაითგან ჯერ ისევ სტრაბონი აღტაცებით იხსენიებდა საქართველოს ნაყოფიერებას და მის მოსახლეთა კეთილ-განწყობილებას, ხოლო რაიც შეეხება ნისიბის ხელშეკრულობას, ეს ოქმი ფრიად საყურადღებოა: ამ ხელშეკრულობაზე ამყარებდნენ, ალბად, თავისს უფლებას რომის (ბიზანტიის) იმპერატორები, როდესაც საქართველოს უნიშნავდნენ კურატპალატებს.

298 წლითგან ვიდრე 339 წლამდე აღმოსავლეთში მშვიდობიანობა იყო და მხოლოდ 339—340 წლებიდგან ასტყდა ბრძოლა რომაელებსა და სპარსებ შორის და ამ ომებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეფე მერიბანმა (მირიანმა) და სომხეთისამ არშაკმა. ეს ამბავი მოთხრობილი იქნება მესამე განყოფილებაში.

განყოფილება III.

ქრისტიანობის მიღებიდგან ძველი საუკ. დასასრულამდე.

თავი I.

ქრისტიანობის გავრცელება.

ა. მრავალღმერთობა და ერთღმერთობა. ქრისტიანობის გამარჯვებამ ბოლო მოუღო ძველს წეს-წყობილებას, შეხედულებას ღმერთსა, კაცსა და მსოფლიოზედ.

წინად მრავალღმერთობა იყო. სწამდათ—ყოველი ღმერთი მფარველობს ერთს რომელსამე ოჯახს, გვარეულობას ანუ თემსო და მისთვის მხოლოდ არსებობსო. ეს იყო დრო საშინაო და საქალაქო ღმერთებისა. ამ რწმენაზე აშენდა უფლებაც, სამართალი; საკუთრება, მემკვიდრეობა, სასამართლო, კაცთა შორის ურთიერთობა—ყველა ეს განისაზღვრა სარწმუნოების მოთხოვნილებისა-და გვარად.

მაშინ სახელმწიფო იყო სარწმუნოებრივ საზოგადოებად, მეფე—უმაღლეს ღვდელმთავრად, დიდებული — უმთავრეს მღვდლად, კანონი—საღმთო ფორმულად; პირადი თავისუფლება არ არსებობდა, ადამიანი სახელმწიფოს მონა იყო სულით, ხორცით, სარჩო-საბადებლით; მამულისშვილობა ღვთისნიერებად, გმირობად ითვლებოდა, ხოლო მამულად—კარ-მიდამო მამისა, ბინა გვარეულობისა. გარეშე ამ მამულისა და ბინისა—თითქმის ყოველივე უცხოეთი იყო, შემეცნება სიმართლისა, მოვალეობისა და სიყვარულისა მამულისა და საკუთარ ბინის საზღვარს არ სცილდებოდა. მაგრამ ასრეთი ყოფა ველარ აიტანა საზოგადოებამ: მრა-

ვალმა უსამართლობამ, დამცირებამ, პიროვნების შელახვამ ერ-ში დაჰბადა ურწმუნოება, გააღვიძა დიადი სურვილი განთავისუფლებისა. ამ ლტოლვილებას ხელი შეუწყო ქრისტიანობამ, რომელმაც გამოაცხადა, რომ ღმერთი—ერთია, ერთი ოჯახისა, თემისა, გვარ-მოდგმათა და მსოფლიოსთვის, რომ იგი კაცის ხელით გაკეთებული უსულო ნივთი კი არ არის, არამედ არსება უხილავი, გამჩენელი ქვეყნისა, ყოვლის მპყრობელი, უკვდავი, მოწყალე, რომ მას ერთნაირად უყვარს ყოველი დაბადებული და მის წინაშე თანასწორია დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ხელისუფალი და მეფე, რომ იგი არ გაარჩევს ერთმანეთისაგან ურიას, ბერძენს, რომაელს, ბარბაროს სკვითს და ყველანი თანასწორ შვილებად მიაჩნია.

ქრისტიანობამ შესცვალა ღვთისმსახურების არსებაცა და სახეც. სარწმუნოება შეიქმნა სულის, გონიერების საქმედ. ახალს ღმერთს, ძველ ღმერთებივით, საჭმელი და სასმელი აღარ უნდოდა, არამედ ლოცვა თბილი, ტკბილი, საიდუმლო. ახალი სარწმუნოება აღარ ქადაგებდა მძულვარებას, უცხოელის შეუწყნარებლობას, არამედ დიდებას ღვთისას, კაცთა შორის სათნოებას, ქვეყანასა ზედა მშვიდობას.

ქრისტემ სარწმუნოება განაცალკევა სახელმწიფო მთავრობისაგან. იგი ქადაგებდა „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“.

ყველა ამით ძლიერი იყო ქრისტიანობა, ყველა ამით მან დაამხო წარმართობა.

ბ. ქრისტიანობის გავრცელება მსოფლიოში. ქრისტემ თავის ამაღლების წინად (33 წ. ქრ. შ.) დაარიგა მოციქულები: წადით და მთელს მსოფლიოში გააცრცელეთ ჩემი სწავლაო, ქრისტიანობა უქადაგეთ ყოველს თესლსა და ტომს.— იგინიც ეგრე მოიქცნენ. დააარსეს-რა პირველი ეკლესია იერუსალიმში, გაიფანტნენ ყველა ქვეყნებში, უქადაგეს ყველა ერს სარწმუნოება ქრისტესი, სარწმუნოება სიყვარულისა, შებრალებისა, თანასწორობისა, სიმდაბლისა, ძმობა-ერთობისა.

დავრდომილნი, დაჩაგრულნი, უუფლებონი, უძლურნი—ყველანი მოწიწებით ისმენდნენ მოციქულების სიტყვას, ინათლებოდნენ, უერთდებოდნენ ქრისტეს საყდარს და აძლიერებდენ მას. ყველგან დაარსდა საყდრები, ყველგან გამრავლდა ქრისტიანეთა რიცხვი. თანდათან ახალი სარწმუნოების მომხრენი და აღმსარებელნი გაჩნდნენ ყველა წოდებაში: ქრისტეს შეუდგა ბევრი მოხელე, დიდებული, მდიდარი და კერპმსახური. მოციქულების შემდეგ მათი მოვალეობა განაგრძეს მათ-მიერვე დადგენილ ეპისკოპოსებმა, აგრეთვე სხვა მოძღვრებმა, მასწავლებლებმა და ღვდელ-მთავრებმა.

ქრისტიანობას თუმცა სასტიკად სდევნიდნენ წარმართობის დამცველი მეფეები და მოხელენი, მაგრამ მაინც დღითიდღე მისი ასპარეზი დიდდებოდა, ვრცელდებოდა, ასე რომ მეორე საუკუნის ნახევარს ქრისტიანობრივი საზოგადოებანი გაჩნდა სამსავე ხმელეთს—აზიას, ევროპას და აფრიკეთს, და ყველგან აშენდა ეკლესიები.

მესამე საუკუნის გასვლამდეც ასრე წარმატებით მიდიოდა ქრისტიანების საქმე, თუმცა მათ უწყალოდ სდევნიდნენ, სტანჯავდნენ. ქრისტიანებს უფრო მეტად უწყრებოდნენ მეფეები და იმპერატორები, რადგან ქრისტიანობა წარმართობასავით მათ ღმერთებად ანუ ღმერთ-კაცებად არა სთვლიდა, არამედ ქადაგებდა, რომ ღვთის წინაშე მეფეცა და უბრალო გლეხი და მონაც თანასწორიაო. ვიდრე ქრისტიანობა გაიმარჯვებდა (313 წ.), რომის იმპერატორებმა მის წინააღმდეგ ათჯერ აღძრეს საყოველთაო დევნა. პირველი დევნის დროს (64 წ.) იმპერატ. ნერონმა ღბრძანა თავისს მოხელეებს ქრისტიანები გაეხვიათ საწვავებში, ჩამოემწკრიეებინათ რომის ბაღებში და მაშხალასავით აენთოთ. იწოდნენ საცოდავები და არემარეს ანათებდნენ, აჩირაღდნებდნენ.

უკანასკნელი და უმძვინვარესი დევნა ქრისტიანებზე იყო მე-IV საუკ. დამდეგს. იმპერატ. დიოკლეტიანმა ბრძანება გას-

ცა, დაენგრიათ ქრისტიანეთა საყდრები, დაელეწნათ მათი ჯვრები და ხატები, ქრისტიანები დაეთხოვნათ სამსახურიდგან. მისი ბრძანება რომ კედელზე გააკრეს, ერთი ქრისტიანე მივიდა და მოაძრო. ეს იწყინა იმპერატორმა, განძვინდა და ჯარს უბრძანა, უწყალოდ ამოეწყვიტათ და ეძარცვათ ყველა ქრისტიანები. მრავალი ქრისტიანე გაიქცეოდა, მრავალი უმანკო სისხლი დაიღვარა მცირე-აზიასა, ევროპასა და აფრიკეთს, მაგრამ ქრისტიანობა მაინც არ შეირყა.

305 წელს დიოკლეტიანე მეფობიდგან გადადგა. რომში გაჩნდა ექვსი ხელმწიფე. ამათგან ერთი იყო კოსტანტინე კოსტანტინეს ძე. იმპერატორები იბრძოდნენ რომის დაჩემებისთვის. მაქსენცემ ოთხი მეტოქე დაამარცხა და კოსტანტინესკენ პირი იბრუნა. იგი აქამდის მათს ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა და იყო თავისთვის გალლიაში. ახლა კი (312 წელს) ლაშქარი წამოიყვანა და გამოაცხადა: რომს მივდივარ ქრისტიანების დასაცველადო. მის დროშაზე ჯვარი გამოსახულიყო. ეს დროშა გაიძღოლა და მაქსენცის წინააღმდეგ გაეშურა. მაქსენცი ქრისტიანობის მოძულე და მდევნელი იყო, თუმცა მის ლაშქარში მსახურობდა მრავალი ქრისტიანე. კოსტანტინეს დაპირება რომ გაიგეს ქრისტიანებმა, მაქსენცის განუდგნენ და მიემხრნენ კოსტანტინეს. მაქსენცი დამარცხდა და მასთან ერთად წარმართობაც დაემხო: 313 წელს იმპერატორ კოსტანტინემ ბრძანება გასცა, რომ ქრისტიანობის აღვიარება ყველას შეუძლიანო, ყველა ქრისტიანს სამსახურში შესვლის უფლება ეძლევაო („მილანის ედიკტი“). ქრასტიანების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მათს სიხარულში მონაწილეობას იღებდნენ იმპერატორი კოსტანტინე, მისი დედა ელენე, ცოლი ფაუსტა, სიდედრი და სხ. სეფეწულნი. ამის შემდეგ აშენდა მრავალი შვენიერი ეკლესია, დაინიშნენ ღვდელმთავარნი და ქრისტეს სჯული გახდა მთავარ სარწმუნოებად იმპერიაში.

გ. **ქრისტიანობის მოფენა საქართველოში ქართველთა მოქცევამდე**. თავის ადგილას უკვე ვთქვით, როგორ ეფინე-

ბოდა ქრისტიანობა საქართველოს თვით ქრისტესშობის დღითგანვე. აქ უნდა მოვიყვანოთ კიდევ ზოგიერთი წვლილი.

საქართველოში ურიები, როგორც იყო ნათქვამი, გადმოსახლდნენ ძველადგანვე. მათი უბნები იყო ყველგან—მცხეთას, ურბნისს, ბოდს (ბოდბეს), კოდისწყაროს, ქინძარს და სხ. ამ ურიებმა ქრისტეს დაბადების წელს იერუსალიმიდამ მიიღეს ცნობა, რომ აღმოსავლეთიდგან მოვიდნენ მეფეები (ბრძენი მოგვები) ახალდაბადებულის თაყვანსაცემლადო. შემდეგ 30 წ. ანნა იერუსალიმელმა მოიწერა, რომ ქრისტე ღმერთობას ჩემულობსო, მოდით მის ჯვარცმაზე დასასწრებლად, თანახმად მოსეს სიტყვისა: „ვინც იტყვის ღმერთი ვარო, ჯვარს ეცვასო“. გაგზავნეს ელიოს მცხეთელი, ლონგინოს კარსნელი და სხ.

ქრისტე რომ ჯვარს აცვეს, მისი კვართი წილად ხვდა ელიოზს და მან მოიტანა იგი მცხეთას და გადასცა მოსაგებებლად გამოსულს თავისს დას სიდონიას, რომელიც, მიეკარა რა ღვთის სამოსელს, წამსვე გარდაიცვალა. ვერავითარმა ძალამ კვართი ვერ განაშორა სიდონიას გვამს, რომელიც კვართიანად დამარხეს იქვე, საცა სული განუტევა სიდონიამ. აქვე იდგა კვიპაროზი, რომელიც მოეტანათ ლიბანიდამ და ეხარებინათ მცხეთაში. მისი ფესვები გადაეწნა სიდონიას საფლავსა და კვართს.

თითქმის უველა ეკლესია ჩემულობს ამ კვართს, უველა—სომხეთი. საბერძნეთი, ასურეთი და სხ. ირწმუნება—კვართი ჩვენა ეკლესიის წიაღშიაო, და სხვადასხვა ნაირად გადმოგვცემს მის ისტორიას და თავგარდასავალს, თითქმის უველანი კი მის ამბავს უკავშირებენ ლონგინოზის სახელს, იმ ლონგინოზისა, რომელიც ასისთავი იყო და ქრისტეს სიფლავს დარაჯად უდგა. სომხურის წყაროებით, ასისთავმა ლონგინოზმა კვართი მიიტანა გალატიას, მეორე ასისთავმა ლაზმა (ჯანმა) თავისი წილი კვართი მიიტანა სამეგრელოს სატახტო ქალაქ ფუღს *). ჩვენს მემატიანეს კვართის ამ-

*) იხ. დაწვრილებით ნ. ი. მარრის Хитонъ Господенъ (СПБ. 1896 წ.).

ბავი აურ-დაურეკია. ქრისტეს სიფლავის მცველი ასისთავი ლონგინოზი კათბადუკიელი იყო. ამ ლონგინოზმა, ქრისტეს სიფლავზე მოშხდარი სასწაულები რომ იხილა, წამოიძახა: „ჭეშმარიტად იგი არის ძე ღვთისა“. ლონგინოზი დაბრუნდა სამშობლოში და იწყო ქადაგება, როგორც სამდვილ მოციქულმა. ჰილატემ ეს შეიტყო და მისწერა იმპერატორ ტიბერიოსს (14—37), რომ ლონგინოზი კათბადუკიელებს უქადაგებს—ქრისტე ღმერთიაო. ლონგინოზს თავი მოჰკვეთა ტიბერიოსმა და ეს თავი გაგზავნა იერუსალიმს, სადგანაც იგი კათბადუკიაში მოასვენა ვინმე ქალმა. ეს ლონგინოზი ჩვენს მემატიანეს ლონგინოზ კარსნელად (მცხეთელად) მიუჩნევია და გაუხდია ამხანაგად ელიოზს მცხეთელისა. ამ გზით, კვართის მოტანა საქართველოში ადვილ-დასაჯერებელი იქნებოდა, რადგან თვით ლონგინოზის სამშობლო—კათბადუკია—როგორც უკვე იყო ნათქვამი, ქართველებით დასახლებული იყო.

სული წმიდის მოფენის დღეს რომ დაარსდა პირველი ეკლესია, მაშინ ამ ეკლესიის მოზიარედ ქართველებიც შეიქმნენ, ვინაითგან პეტრე მოციქულის ქადაგება სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად მოისმინეს და ქრისტე ირწმუნეს აგრეთვე ქართველების წარმომადგენლებმაც. ეს ახალი მორწმუნენი იყვნენ პართეველნი, უჟიკნი, ელამიტელნი, შუამდინარელნი, ურიანი, კათბადუკიელნი, პონტოელნი და ასიელნი.

ამათგან ქართველნი და ქართველთა გვარ-მოდგმისანი იქნებოდნენ უჟიკნი, კათბადუკიელნი და პონტოელნი (ჰანნი). უჟიკეთი წმ. ნინოს ცხოვრებით იყო ქართლი და ქალაქი მცხეთა *).

ამავე დროს იერუსალიმში შეიყარნენ ქრისტეს ყველა მოციქულები და აგრეთვე ღვთისმშობელი მარიამი და წილი ჰყარეს, თუ რომელს მათგანს რომელი ქვეყანა ხვდებოდა წი-

*) შატბერდის კრ., გვ. 10, 11.

ლად სახარების საქადაგებლად. მაშინ საქართველო ღვთისმშობელს ამოუვიდა წილად და, რომ დააპირა აქეთ გამომგზავრება, ანგელოზმა შეაჩერა და უთხრა: შენ დარჩი აქვე და შენ მაგიერ ივერიაში მოციქული ანდრია გაგზავნეთ. ასრეც მოხდა.

35 წელს 50,000 ქრისტიანე მოეფინა მცირე-აზიას და მისი უმეტესი ნაწილი დაბანაკდა პონტოსა და კათბადუკიაში.

41 წელს კათბადუკიაში შემოვიდ[ნ]ენ მოციქულები ანდრია და პეტრე. იგინი ეწვივნენ ქალაქ თიანას მცხოვრებ ონისიფორს, აღადგინეს მკვდარი და მერე მოიარეს კათბადუკიის დაბა-სოფელნი, ყველგან ქადაგეს ქრისტე, მონათლეს და მოაქციეს მრავალნი. შემდეგ პეტრე შევიდა პონტოს, ეწვია ბაგრატ პონტოელს და მონათლა იგიცა და ბევრნი სხვანიც. მერე აქ დაადგინა ეპისკოპოსი (მაქსიმინე), ღვდლები, მთავრები და წავიდა კილიკიას ბაგრატითურთ. აქ ბაგრატი აკურთხა ეპისკოპოსად და გაგზავნა სირაკუზს და ტავრომანს. ესენი ბაგრატმა მოაქცია და მონათლა. მათ ეპისკოპოსად, როგორც მოწმობს მე-III ს. მწერალი დოროთეოსი, იყო ერმოგენი, ქრისტეს მოწაფეთაგანი *).

მეგრელებმა პირველ საუკუნეშივე მიიღეს ქრისტიანობა.

მე-II საუკ. პონტოში მოღვაწეობდა კოლხელი მარკიონი, ძე პონტოს ეპისკოპოზის პალმისა, რომელმაც თავისი შვილი შეაჩვენა ურწმუნოებისათვის.

107 წ. იმპერატ. ტრაიანემ მიიმხრო ქართველნი, სავრომატნი და ბოსფორელნი, მიესია ბაბილონს და აიღო. შემდეგ ამისა იმპერატორმა შეიტყო, რომ მისს ლაშქარში 10,000 მეომარი ქრისტიანე იყო.

მაქსიმიანეს მეფობაში (III ს.) კათბადუკიასა და სომხეთში თითქმის არც ერთი წარმართი აღარ იყო. მარტო კათბადუკიაში მაშინ იყო 50 საეპისკოპოსო (თიანას, კომანას და სხ.) და ბრწყინავდნენ აქ წმ. ბასილი, წმ. მაკრინე და სხ.

---

*) ტყ. ნაწ. სვინაქსარი მე-XI ს., № 222.

დიდებული მქადაგებლები. აქაურებიც იყვნენ წმ. გიორგი (წმ. ნინოს ბიძაშვილი), წმ. ორესტი, კვირიკე და ივლიტა. ორენტი და მისი 6 ძმა ჯერ დაამწყვდიეს ქალაქ სათლეველს —კერპების უარყოფისთვის და მერე გაისტუმრეს აფხაზეთს. ამათგან ზოგი დაიხოცა ჰანეთ-კლარჯეთს, ზოგი ოსეთს, ხოლო ერთი—ლონგინოზი—მოვიდა აფხაზეთს, აქვე მოკვდა და დასაფლავებულ იქმნა ბიჭვინტას. კვირიკე და ივლიტა აღესრულნენ 15 ივლისს და ამ თვეს ქართველებმა მათ პატივსაცემლად უწოდეს კვირიკობისთვე.

წმ. გიორგი (+ 305 წ. 23 აპრ.) წმ. ნინოს რჩევითვე გამოცხადებულ იქმნა საქართველოს მფარველად და პატრონად. იმთავითვე ქართველები მას სახავდნენ სამეფო ნიშნებზე, ალამებსა და მეომართა ჩაფხუტებზე. მის საოხად მთელს საქართველოში აშენდა 365 საყდარი, ე. ი. იმდენი, რამდენიც დღე წელიწადში. ამას გარდა, ძველადვე წესად შემოვიდა, რომ ყველა ქართველებს ედღესასწაულნათ აგრეთვე 10 ნოემბერს და 23 აპრილს 10 ნოემბერს წმ. გიორგის ურმის თვალზე შეყუენების მოსაგონებლად. ამიტომ თვით ამ თვესაც (ნოემბერს) ქართველებმა უწოდეს მისივე სახელი—გიორგობისთვე. (ასრევე წარმოსდგა სახელები ზოგიერთ სხვა თვეებისა, რომელთაც აგრეთვე მიისაკუთრეს წმიდანების სახელები. ეს თვეებია: ივანობის-თვე (ივნისი), კვირიკობისთვე (ივლისი), მარიამობისთვე (აგვისტო), გიორგობისთვე (ნოემბერი), ქრისტეშობისთვე (დეკემბერი). „გიორგობა“ (10 ნოემბერი) სახელმწიფო დღესასწაული იყო. (ამ წმ. გიორგის ამბავს ისტორიკოსი გიბბონი სხვანაირად მოგვითხრობს (იხ. ქვემო „წმ. ნინოს ნათესავნი“).

ამავე ხანს ქრისტიანობა მოეფინა სპარსეთს, სომხეთს, საბერძნეთს, ბრანჯეთს, ქერსოვნეთს, საცა 301 წელს მოღვაწეობდნენ წმ. ეფრემი და წმ. ბასილი.

ქრისტიანობა სპარსეთს მოეფინა 270 წლიდგან. ამ ქვეყანაში იყო მრავალი ქრისტიანე, ჰყვანდათ ეპისკოპოსები თვით

სატახტო ქალაქ კტეზიფონში და სხ. მაგრამ გამეფდა-რა შაბურ II (309—381), ამოწყვიტა ქრისტიანობა.

სომხეთის განმანათლებელი იყო გრიგოლ პართელი, ძე იმ ანაკისა, რომელმაც მოკლა მეფე ხოსრო (232 წ.). გრიგოლმა განათლება მიიღო კათბადუკიაში. ტირიდატის ჟამს (286—343) შევიდა სომხეთში და იწყო ქრისტიანობის ქადაგება. ტირიდატი ურჩევდა მას უარეყო ქრისტე და მამაპაპის სჯულს დაბრუნებოდა, მაგრამ ვერას გახდა და უწყალოდ სტანჯა. ამდროს სომხეთს მოვიდა 102 კაცი (70 მამაკაცი და 32 ქალწული). მათ შორის იყვნენ გაიანე, რიფსიმე და წმ. ნინო. ესენიც, გარდა წმ. ნინოსი, აწამა ტირიდატმა. ამის შემდეგ იგი შეიპყრო ბოროტმა სენმა. მისმა დამ ხოსროდუხტმა ურჩია, ისევ წმ. გრიგოლი გაგკურნავსო. წმ. გრიგოლი ამოიყვანეს ორმოდგან, რომელშიაც მეფის ბრძანებით ჩაეგდოთ და 15 წელიწადს იტანჯებოდა; წმიდანმა განკურნა მეფე და ამან და მისმა ერმა ირწმუნეს ქრისტე (301 წ.). სომხეთის მეორე ეპისკოპოსად იყო წმ. გრიგოლის შვილი არისტაკესი, რომელიც დაესწრო ნიკიას მსოფლიო კრებას 325 წ. მის დაბრუნების შემდეგ წმ. გრიგოლმა მოინათლა მეფის ნათესავი ქამსარი, და გარდაიცვალა 333 წელს.

ბრანჯეთს ქრისტიანობა მოჰფინა თვით წმ. ნინოს მამამ ზაბილონმა. ეს ზაბილონი, ჩვენის მატიანის სიტყვით, იყო კათბადუკიის ქალაქ კოლასტიდამ. იგი მაქსიმიანეს სამსახურში შევიდა და მონაწილეობა მიიღო მის ლაშქრობაში წინააღმდეგ ფრანკებისა და ბრიტანებისა. ამათ წინააღმდეგ მაქსიმიანე იბრძოდა 287 წლითგან. მისმა სარდლემბა დაამარცხეს ფრანკებიცა და ბრიტანებიც, და ერთი ამ სარდალთაგანი, ალბად, იყო მთავარი ზაბილონი. ხოლო ფრანკთ (ბრანჯთ), როგორც იყო ნათქვამი (გვ. 139), საკუთარი სამთავრო ჰქონდათ აგრეთვე შავი ზღვის პირად და იქიდგან ხშირად შემოესეოდნენ ხოლმე სამეგრელოს, კლარჯეთს და პონტოს. როგორც ქართლისცხოვრების მოთხრობიდგან სჩანს, ზაბილონს

მთელი ფრანკის ქვეყანა კი არ მოუქცევია, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, ბრანჯეთი, საცა იყო სოფლები: ხოზამა, ხოზაჲ, გაახლაჯაჲ, ხონებაგაჲ, ხონგირაგაჲ, ზაჯაჲ, ზაგაჲ, ზარდაჲ, ზამრაჲ და თმონი.

დ. კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში ქართველთ მოქცევის წინა წლებში. საქართველოში მირიანი „აღიზარდა მსახურებასა შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისა... ჰმატა მან შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა. და შეამკო საფლავი ფარნავაზისი".

შვიდ კერპთაგან ერთი იყო არმაზი, მეორე მთვარე, მესამე ზადენი, მეოთხე გაცი, მეხუთე გა (გაიმ), მეექვსე აჲნინა და მეშვიდე დანანა. ეს ღმერთებია ნახსენები წმ ნინოს ცხოვრებაში. მაგრამ კვირის შვიდეულში, ღმერთების სახელები სხვა რიგად ჩაჰყვებიან (იხ. ზემო, გვ. 83) და მათ შორის ნახსენებია აგრეთვე ღმერთი აფროდიტე. ამ აფროდიტეს კერპი საბერძნეთიდგან მოიტანა მირიანის წინადროის მეფე რევმა. მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს, აფროდიტეს კერპი წინადაც უნდა ყოფილიყო საქართველოში და მას, როგორც ზემოთ განვმარტეთ, უნდა რქმეოდა ცა, ცაჲ, ვინაითგან მას აფრიკეთშიაც ერქვა ურანია, ე. ი. ცა. რევი მარტო სახელს შეუცვლიდა: — ცას აფროდიტად გადასცვლიდა. ეს მტკიცდება მითაც, რომ წარმართულ დროინდელ ჩვენებურ ხუთშაბათის სახელს „აფროდიტისა" უდრის მეგრული ცაშ-ხა და სვან. ცაშ (ცისა). ამას გარდა, იგივე ქალ-ღმერთი დიდს პატივდებაში იყო აგრეთვე დასავლეთს საქართველოშიაც — კათბადუკიის ქალაქ კომანას. მისი ტაძარი, როგორც ამბობს არიანე (100 — 160 წ. ქრ. შ.), იყო აგრეთვე რიონის შესართავის მარცხენა მხარეს, ზღვის პირას და იწოდებოდა „ფაზიანთა ქალღმერთად". მას ხელში ეჭირა წინწილი და ტახტის ქვემო გამოქანდაკებული ლომები ედგნენ. ამიტომ საჭირო არა მოითხოვდა, რომ

რევს ანუ მის ცოლს სეფელიას აფროდიტის კერპი საბერძნეთიდგან მოეტანა. იგი, ალბად, რევმა მხოლოდ სატახტო ქალაქ მცხეთას დაუახლოვა და მის არემარეზე დასდგა, რომ დედოფალს შესძლებოდა აფროდიტის ტაძარში სიარული და ლოცვა.

აფროდიტე (=ასურ. ასტარტა=აფრიკ. ურანია=ქართ. ცა) მაპირიანებელი იყო „დიდის დედისა“, ბუნების ქალღმერთისა, გამჩენელ ძალისა და სიცოცხლისა. მის დღესასწაულს ასრულებდნენ სიღოდით, თავაშვებულ მხიარულობითა, გმინვა-გოდებითა, საკრავების დაყვირებით მწუხრის ხმაზედ, თავაშვებულ ცეკვით და თავბრუ დამხვეველ ფერხულით, რომლის დროს ქალები ნებიერებოდნენ ყველა მსურველს; მის კარს მოსული ვაჟები ისპობდნენ მამაკაცობას. მის საკერპოში იყო შვენიერი ტაძრები, საცა საღვთო წესებს ასრულებდნენ „კაცობა მოკლებული“ ქურუმები, ხოლო დღესასწაულს ესწრებოდა უამრავი ხალხი და ქალები, რომელნიც აქვე ჰყიდდენ თავიანთ ტანს.

ასრეთ გარყვნილების კერად იქცა აფროდიტე და მისი ტაძარი შემდეგში, თორემ თავდაპირველად იგი წმინდა სიყვარულის ღმერთქალი იყო.

შესაძრწუნებელი ამბები ხდებოდა აგრეთვე სხვა ტაძრებშიაც, ხოლო არმაზი და ზადენი „იყნოსდეს სულ-მყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პ..რმშოისასა“.

სამეფო ღმერთები იყვნენ კიდევ გაცი და გა. ამათ სწირავდნენ ერთს სეფეწულს, რომელსაც ცეცხლით სწვავდენ და მის ნაცარ-მტვერს კერპს თავს გადააყრიდნენ ხოლმე.

ასრეთ ვაებაში იყო ხალხი. ნათელში დავდიოდითო და ბნელი კი გვერტყაო, აძბობს ნინოს ერთი თანამედროვეთაგანი, ვიხარებდით შვებითაო და ვიუნჯებდით გლოვასაო, დაბადებულთა ვმსხარუბედითო და არა დამბადებელსა, თაყვანს ვცემდით ქვათა, ძელთა, სპილენძსა, რკინასა, რვალსა გამო-

ბერვით-გამოჭედილსა, აგრეთვე ცეცხლსა და ესენი მიგვაჩნდაო ცისა და ქვეყნის შემოქმედებად.

ამდროსვე—ერთი მეფეთაგანი ასრე ჩიოდა: „ქრისტიანებმა ჩვენი უფლება შეურაცხჰყვეს, ჩვენი ხელმწიფება დაიწუნეს, თაყვანს სცემენ ვისმე ჯვარცმულს, მომკვდარს. მეფეებს აგინებენ. ღმერთებს შეურაცხჰყოფენ. მზისა, მთვარისა და ვარსკვლავთა ძალსა ნათლისას არად შეჰრაცხიან, არამედ ყველა ამას ჯვარცმულის გაჩენილად სთვლიან. მათ მთელი ქვეყანა არიეს, გადიბირეს. მე თვითონ შემიძულეს, არა წმიდად შემრაცხეს“.

თვით მირიანამდეც მიეღწია ქრისტეს მოძღვრებას, იგიც ჩაეგდო საგონებელში ახალს სჯულს, მის გულს და გონებაე მძლავრად ამუშავებდა აზრი, თუ რომელი სჯულია მართალი, ახალი თუ ძველი. იგი ხშირად იწვევდა მცხეთელ ურიების მღვდელს აბიათარს და ეკითხებოდა, თუ რა სწერია ქრისტეს შესახებ ძველსა და ახალს წიგნებში და თვითონაც ჰქონდა „წიგნი ნებროთისა“, მამაპაპათაგან გადმოცემული, ”ასშიაც ეძებდა რაიმე ცნობას ღმერთკაცის შესახებ და აკვირდებოდა ამ წიგნის იმ ადგილს, საცა ნათქვამი იყო, რომ ჯერ ისევ ნებროთს ეუწყა ანგელოზისაგან მესსიის მოსვლის ამბავიო.

თავი II.

ქართველთა მოქცევა.

ა. წმ. ნინოს მშობლები და აღზრდა. წმ. ნინოს მამა ზაბილონი და დედა სოსანა კათბადუკიელები იყვნენ, ქალაქ კოლასტას (კოლასეს) მცხოვრებნი. სოსანასა და მის ძმას იობენალს მშობლები რომ გარდაეცვალნენ, იერუსალიმს წავიდნენ და იქ სოსანა მსახურად დაუდგა სარა ბეთლემელს, ხოლო იობენალი დევტალარად (ეკონომოსად) დადგა. ზაბილონი წარჩინებული კაცის, მთავრის, შვილი იყო, სამხედრო სამსახურში. შესვლა მოიწადინა. მაშინ იმპერატორი მაქსიმიანე (284—303) ებრძოდა ფრანკებსა (გვ. 139) და ბრიტანებს. ამ ბრძოლაში ზაბილონმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, დაამარცხა ფრანკების (ბრანჯების) ერთი განდგომილი მთავარი, დანათლა ეს დამარცხებული ერი და რომით იერუსალიმს წავიდა. იქ ნახა თავისი სოფლელები, იობენალი და მისი და სოსანა. ეს უკანასკნელი ცოლად შეირთო და სამშობლოში დაბრუნდა. აქ დაებადათ ასული, რომელსაც ნინო დაარქვეს.

თავდაპირველი აღზრდა ნინომ მიიღო დედისაგან, რომელიც ასწავლიდა მას ღარიბთა და დავრდომილთ მსახურებასა და შეწყნარებას. თორმეტის წლისა რომ შეიქმნა ნინო, ზაბილონმა გაყიდა თავისი ქონება და ცოლშვილით იერუსალიმში გადასახლდა. ამის შემდეგ ზაბილონი გამოეთხოვა ცოლშვილს და წავიდა სამოღვაწეოდ იორდანეს ნაპირას. მისი ცოლიც დედათა ქსენონში შევიდა ღარიბების მოსავლელად, ხოლო ნინო მისმა ბიძამ იობენალმა მიაბარა ნიაფორა დევინელს, ბრძენს, ძველისა და ახალის აღთქმის ზედმიწევნით მცოდნეს.

ნიაფორისას ნინო დარჩა ორს წელიწადს და მისგან ისწავლა საღმრთო წერილი და თავგარდასავალი ქრისტესი. ნიაფორამ მოუთხრო ნინოს ცნობები შესახებ ქრისტეს დაბადე-

ბისა, აღზრდისა, ქადაგებისა, ჯვარცმისა, ამაღლებისა და აგრეთვე იმისაც, რომ უფლის კვართი ერგოთ ჩრდილოელებს, რომელთაც წაიღეს მცხეთას, ხოლო მისი ტილონი ხვდა ლუკა მახარებელს, სუდარა კი პეტრე მოციქულს. ნინომ, მოისმინა რა ყველა ეს, მადლი და კურთხევა შესწირა ღმერთს და მერე ჰკითხა ნიაფორას: „სად არის ის ჩრდილოეთის ქვეყანა, სადაც ქრისტეს კვართია?“ ნიაფორამ მიუგო: „იმ ჩრდილოის ქვეყანას ჰქვიან ქართლი“. წმ. ნინომ, ჯერ ისევ 14 წლის ყრმამ, გადასწყვიტა წამოსულიყო ქართლში ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად.

ბ. **წმ. ნინოს გამომგზავრება.** ქართლს წამოსვლას უკვე ემზადებოდა ნინო, რომ იერუსალიმს მივიდა ეფესელი დედაკაცი, კოსტანტინე იმპერატორის დედის ელენეს მხევალი. ამან ნიაფორასა და ნინოს უთხრა, ელენეს სურს ქრისტიანობა მიიღოს და მოინათლოსო. ნინომ სთხოვა ნიაფორას, მე წავალ და ქრისტეს სჯულს ვუქადაგებ ელენე დედოფალსო. ნიაფორამ მისი სურვილი გადასცა იობენალს, ნინოს ბიძას. მან მიიწვია ნინო, დალოცა და გამოისტუმრა.

ელენეს მხევალი და ნინო მოვიდნენ ეფესოს. აქ მაშინ იყო ქალწულთა მონასტერი, რომელშიაც მოღვაწეობდნენ სეფეწული რიფსიმე, დედამძუძე მისი გაიანე და 50 სული მათი სახლისწუღობა. ყველა ესენი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ჯერ არ მონათლულიყვნენ. ამათ წმ. ნინომ ნათელსცა და თვითონაც იმათთანვე დარჩა ორს წელიწადს.

ამავე ხანს იმპერატორ დიოკლეტიანეს ეუწყა დიდ-შვენიერება რიფსიმესი და გადასწყვიტა, ცოლად შეერთო იგი. მაგრამ ქალწულებმა მალე შეიტყეს მისი განზრახვა და გამოიქცნენ სომხეთის ქალაქ დვინს და დაიმალნენ საწნახელის ფარდულში. მაგრამ სომეხთა მეფე თრდატმა მიაგნო მათ და ყველანი, გარდა წმ. ნინოსი, დახოცა. მაშინ გაზაფხულის ჟამი იყო, ვარდი ახლად აკოკრებულიყო და ამ ვარდის ბუჩქებში დაიმალა ნინო თრდატისაგან. მერე კი გამოიპარა სამალავიდ-

:გან, გამოეშურა ქართლისკენ და მოვიდა ქალაქ ორბანთას, რომელიც სომხეთის და ქართლის საზღვარზე იყო. ამ ქალაქში ესაფლავა მოციქული ბართლომე, რომელმაც, მოაქცია რა ინდოელნი, მოვიდა შემდეგ ურბანთას და აქ გარდაიცვალა.

გ. **წმ. ნინოს მოსვლა ურბნისს.** ურბანთას წმ. ნინომ დაიზამთრა და შემდეგის წლის მარტს გამოვიდა ურბანთიდგან და ივნისს მოაწია ჯავახეთს და მოადგა ფანავრის (ტობორავანის) ტბასა და აქ დაჰყო ორი დღე. ტბის მიდამოში მწყემსები იყვნენ. მათ ჰკითხა ნინომ: სადაურები ხართო? მიუგეს, ჩვენ ვართო ელარბინით, საფურცლით, ქინძარელნი, რაბატელნი და დიდის ქალაქის მცხეთისანი, იმ ქალაქისა, „საცა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ეს მწყემსები ხშირად იხსენიებდნენ თავიანთ ღმერთებს არმაზს და ზადენს. შემდეგ ნინომ იკითხა: „საით არის მცხეთა?“ მიუგეს: „ამ ტბის გარდამდინარე წყალი თანა წარვლის ქალაქსა მას მცხეთას“. ნინომ პირი იბრუნა ჩრდილოეთისკენ და დაინახა კავკასიონის მწვერვალნი, რომელნიც ჯერ ისევ თოვლითა და ყინვით იყვნენ შემოსილნი. ეძნელა შორეული გზის განგრძობა, იქვე ტბის პირს დაწვა, თავქეშ ლოდი დაიდვა და მიიძინა. რომ ეძინა, მოეჩვენა კაცი, რომელმაც მისცა წიგნი შემდეგის წარწერებით:

ა. სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნცა იქადაგოს დედაკაცი ესე (მათე, 26, 13).

ბ. არცა მამაკაცობაჲ არს, არცა დედაკაცობაჲ, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ (ეპ. გალატ., 3. 28).

გ. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა (მათ., 28. 19).

დ. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა (ლუკ., 2. 32).

ე. სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ, მუნცა ითქმოდეს ყოველსა სოფელსა.

ვ. რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა, და რომელმან შე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომაჴლინებელი ჩემი (მათე, 10. 40).

ზ. რამეთუ ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რემეთუ მარადის ისმენდა მისსა სიბრძნესა ჰეშმარიტსა.

Ꙋ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ კორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუეტად (მათე, 10. 28).

თ. ჰქუა მარიამს მაგდალინელსა იესომ: „წარვედ, დედაჲსა, და ახარე ძმათა ჩემთა“ (იოანე, 20. 16—17).

ი. და სადაცა მიხვიდეთ, ჰქადაგებდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა (მათ., 28. 19).

ეს სიტყვები ძილში მოჩვენებულ კაცისა კი არ არის, როგორც გვარწმუნებს მემატიანე, არამედ სახარების სიტყვებია, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ თავთავის ადგილას ყოველი მუხლის ბოლოს. ეს სიტყვები ჩვენ გვარწმუნებენ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში გამომგზავრებულს ქალწულს თან მოჰქონდა ან მთელი სახარება, ან ქრისტეს მოკლე დარიგება სახელმძღვანელოდ მის სჯულის მქადაგებელთათვის. ეს სახარების სიტყვები მოციქულს და მქადაგებელს სასოდ და იმედად ექნებოდა ყოველს გასაჭირში.

გაიღვიძა-რა ნინომ, გაჰყვა მდინარეს, გაიარა ძნელი, საშიში გზა, მხეც მრავალი ადგილები და იქ, საცა მდინარე აღმოსავლეთისკენ პირს იბრუნებს, შეხვდა მგზავრებს და მათთან ერთად მივიდა ქალაქ ურბნისს. აქ ნახა ერი, რომელიც თაყვანსცემდა ცეცხლსა, ქვათა და ძელთა. ურბნისს დაჰყო ერთი თვე ურიათა უბანში. აქ ყოფნისას იგი განიცდიდა ქვეყნის მდგომარეობასა და ძალას.

დ. **წმ. ნინო არმაზის გორაზე.** ამასობაში ერი შეუდგა მზადებას წასასვლელად სატახტო ქალაქ მცხეთას სავაჭროდ და ზორვად *) წინაშე დიდის ღმერთის არმაზისა. ამ მლოცველებს გაჰყვა წმ. ნინოც. რომ მიაღწიეს მცხეთას, დაისად-

*) ზ ო რ ვ ა—კერპთათვის შეწირვა, კმევა და მსხვერპლი. ამავე ფესვიდგან წარმოსდგება სიტყვა ზვარაკი. სვანურში დღესაც იხმარება ნამზურუნ—საღრმთო, ლი-მზირე—კურთხევა.

გურეს მოგვთას, ხიდთან. აქ ნახა ნინომ ცეცხლის მსახურთა მოგვობა და მათი საცთურება. ფრიად შეუძნდა. მეორე დღეს დააყვირეს საყვირი, გაისმა ოხერა ნესტვისა, შეიქნა ზარი და ზათქი. გამოვიდა ერი მრავალი, ვით ყვავილი ველისა. მცირე ხნის შემდეგ გამობრძანდა დედოფალი ნანა. ერი გაირღვა, გზა დაუთმო მას. დედოფალმა რომ გაიარა, ერი კვლავ გამოლაგდა და გზა და ფოლორცი შეამკო ყვავილებითა, ფურცლითა და მრავალფერ სამოსლებით. მერე გამობრძანდა მეფე მირიანი, საზარელითა და თვალშეუდგამითა სახითა. მას ქება შეასხა ყოველმა კაცმა. ნინომ იკითხა: „ყველა ეს რას მოასწავებს“? იმასაო, მიუგეს, რომ ღმერთი ღმერთთა არმაზი თავის წინაშე იწვევს ერს სალოცავად და ზორვად.

ნინოც გაჰყვა მლოცველებს. მალე მოეფინა მთელს არმაზის მთას ერი, დროშებითა და სამკაულებით მორთული.

არმაზის-გორა ანუ არმაზთა მომრგვალო გორაა თრიალეთის მთის მცხეთამდე წამოწეულს წიაღში, მცხეთიდგან ექვსი ვერსის მანძილზე. არმაზის ანუ ალმახის-წყლის ღელეს რომ შეჰყვება კაცი და გაიელის კარგა მანძილს, ღელე საკმაოდ ფართოვდება, მერე ისევ ვიწროვდება და შემდეგ განიერდება და აქ, ვითარცა ახდილ ქვაბის შუაგულს, აბურცებულა მომრგვალო გორა არმაზისა. ზედ გორაზე არის მაგარი ციხე და დანარჩენი ნაშენობა მინგრეულ-მონგრეულია. მთის აქეთ-იქით აუდებულია საკმაოდ მაღალი მთები. გორასა და სამხრეთის მთას შორის ღრმა უფსკრულში ჩარბის შორეულ თრიალეთიდგან ჩამომდინარი ანკარა წყარო — ალმასის-წყალი. დასავლეთის მხარე გორისა ბუნებრივი კლდის მიუწდომელი კედელია. გორის პირდაპირ დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრივ კლდეში ნაბრალია და აქედგან ჩანს მთელი გორის ზედა ნაწილი. საზოგადოდ. მთელი ეს ღელე იწრობა, მიუსვლელი, მაგარი, მტრისათვის ძნელად შესასვლელი. ძველად ქვემო სიფარეთიდგან არმაზის-გორის თავამდე შეფენილი ყოფილა, მთელის ერთის ვერსის მანძილზე, ქალაქი ქართლი (არმაზი). აქ სხვა გზა-ბილიკიც ამოდის, ხიდის ტოტა ზემოდამ, მთა-მთა.

ნინომ ააჩქარა ფეხი და მლოცველებზე ადრე შევიდა ციხეში. აგი ზღუდის ზემოხსენებულს ნაპრალს შეეფარა და აქედგან დაინახა საზარელი სურათი: არმაზის გორის თავზე იდგა სპილენძის კაცი, რომელსაც ტანთ ეცვა ოქროს ჯაჭვი, თავს ეხურა ოქროს ჩაფხუტი, რომლის სამხრეები იყო ზურმუხტისა და ბივრიტისა, ხელში ეჭირა ხმალი ელვარე და ბრწყინვალე და ამ ხმალს ხელში ატრიალებდა. ეს იყო ქართველების უპირველესი ღმერთი არმაზი, რომელსაც ვერავინ ეკარებოდა, ვერც მეფე და ვერც ერისაგანი ვინმე. ყველა შიშის ზარს შეეპყრო, თაყვანს სცემდენ მას ძრწოლით და ამბობდენ: „დამეცეს მე მახვილი არმაზისა, რომლისაგან ყოველსა ქვეყანას ეშინიან, თუ რაიმე დამეკლოს მის დიდებისათვის, ან შემეცოდოს მის მსახურთა წინაშე და ან ვრეულვიყო იმათ შორის, რომელნიც იხსენიებენ ვიღაც დიდს ღმერთს და ძესა ღვთისა ზეცათაისა“. ამ ღმერთის მარჯვენით იდგა სხვა კერპი. ესეც ოქროსი იყო და ერქვა გაცი. აგრეთვე მარცხენითაც იდგა ვერცხლის კერპი და სახელი მისი იყო გა. ყველა ამათ უზორვიდნენ მეფე, დედოფალი, დიდი და პატარა.

შემდეგ ეს სურათი შეიცვალა: წმ. ნინო, ხელაპყრობილი ზეცად, მხურვალედ ლოცულობდა. ცა გრგვინავდა, ჰქუხდა, სჭექდა. დასავლეთის ქარტეხილს მოჰქონდა სიცივე, წვიმა და კოხის ოდენი სეტყვა. ერი გარბოდა დაბლა და იმალებოდა სახლებსა, ქვაბებსა და ფარდულებში. არმაზის-გორის ზედა-ნაშენობა ინგრეოდა, ილეწებოდა, იფანტებოდა, ცვიოდა, მიგორავდა ხევ-ხუვში.

მალე კიდევ იცვალა ფერი ბუნებამ: ღელვა დაყუდდა, დამყუდროვდა. მზემ გამოანათა. ნელმა და საამურმა სიომ მოჰბერა. ნინო იდგა ნაპრალსავე, მაგრამ ვეღარ ხედავდა ქართველების ღმერთებს: იგინიც ქარტეხილსა და სეტყვას დაეღეწა და უფსკრულში ჩაეყარა.

პოველივე ეს მოხდა ექვს აგვისტოს, ქრისტეს ფერისცვალების დღეს. ნინომ მადლი შესწირა ღმერთს, ნაპრალიდ-

გან გამოვიდა და წამოვიდა დაბლა. ხევში იპოვნა არმაზის ჩაფხუტიდგან მოვარდნილი თვალი ბივრიტი, გამოვლო ხეობა და მოაწია გამოშვერილ კლდის ცხვირამდე, საცა არმაზისწყალი სპობს უკანასკნელს ფერდობს, გამოდის მტკვრის ვიწრო ხეობაში და ეშვება მტკვარში. აქ ძველად ციხე-ქალაქი ყოფილიყო. აქვე იდგა ერთი მაღალი, რტო-მრავალი და შვენიერი ბრინჯის ხე, რომელსაც ეწოდებოდა „ბარტამ მეფის (გვ. 111) საგრილი და განსასვენებელი“. აქ დარჩა ნინო ექვსი დღე.

მირიანი კი თავის დიდებულებითა და ჯურუმებით 7 აგვისტოსვე გამოვიდა ღმერთების საძებნელად და, რომ ვერ ნახეს იგინი მათს ადგილას, ფრიად გაიკვირვეს და თქვეს: „ქალდეველთა ღმერთი ითრუშან და ჩვენი ღმერთი არმაზი ერთმანეთის მტრები არიან. ოდეს-ღაც არმაზმა მასზე ზღვა მოაქცია და ახლა მან შური იძია და ესრეთი ყოფა დაახწია არმაზს“. სხვები ამ უბედურებას ქრისტიანეთა ღმერთს აბრალებდნენ, იმ ღმერთს, რომელმაც მეფე ტირიდატი ეშვად (ღორად) აქციაო და მერე ეშვობიდამ ისევ კაცად მოაქციაო.

ბრატმან მეფის საგრილობელ ბრინჯის-ხის ქვეშ რომ იყო ნინო, ეწვია მას შროშანა, სეფექალი. ამან იწვია ნინო თავისს სახლში, მაგრამ იგი არ გაჰყვა. შროშანა შინ დაბრუნდა.

ე. **წმ. ნინო მცხეთაში.** დაჰყო-რა ნინომ ექვსი დღე ბრინჯის ქვეშ, მერე ადგა, გამოვლო ხიდი და მოვიდა მცხეთაში. იქ, საცა ეხლა სვეტიცხოველია, მაშინ იყო მეფის სამოთხე (ბაღ-ვენახი). ნინო შევიდა ამ სამოთხის მცველის ქოხში. მიეგება წმიდანს მცველის მეუღლე ანასტასი, მოიკითხა, ეამბორა, ფეხი დაბანა, ზეთი სცხო, პური და ღვინო მიართვა.

ამ ქოხში ნინო დარჩა ცხრა თვე. ანასტას უშვილო იყო. ნინომ აჭამა წამლები (წამლად, სხვათა შორის, იხმარა თუთია (მიწა) იმ ნაძვის ძირისა, რომელიც სამოთხის შუა იდგა, რომელზედაც აშვებული იყო ვაზი—ბაბილო), და ამიერიდგან ეშვნენ მას ძენი და ასულნი. მათ ირწმუნეს ქრისტე.

შემდეგ ნინო დაბინავდა მაყლის ბარდნის ფარდულში, იქ, საცა ეხლა მონასტრის წინა ეკლესიის საკურთხეველია. აქ ვაზის ნასხლავის ჯვარი გაიკეთა, თავის თმებით შეჰკრა ეს ჯვარი, წინ დაისვენა და იწყო ლოცვა და ვედრება. ხშირად ურიათა უბანში მიდიოდა, კვართის ამბავს იკითხავდა, ჰკურნებდა წამლებით ავადმყოფებს, არჩენდა სასიკვდილოდ გადადებულთ. არწმუნა ქრისტე აბიათარ მღვდელს, მის ასულს სიდონიას და ექვსს სხვა ურიას.

ამასობაში გავიდა სამი წელი და ნინოს სახელი, როგორც გამოჩენილ მკურნალისა, გაითქვა სატახტო ქალაქში. ამდროს ავად გახდა ნანა დედოფალი. ვერც ერთმა მკურნალმა ვერ განკურნა იგი სენისაგან. მაშინ დედოფალმა მოიწვია ნინო, მაგრამ ამან შეუთვალა: ჩემი წამლები ავადმყოფებზე მოქმედობენ მხოლოდ ჩემს მაყლოვანშიო. დედოფალი სარეცელზე დაასვენეს და მიასვენეს მაყლოვანში. ნინომ გაჰკურნა იგი და ამის შემდეგ სახელი უფრო განეთქვა.

მერე უკურნებელმა სენმა შეიპყრო ნანა დედოფლის დედის ძმა ხვარა. ეს ფრიად უყვარდა მირიანს და ამან შველა ითხოვა ნინოსაგან, ნინომ მეფეს აუხსნა ძალი და ძლიერება დამბადებელის ღმერთისა და მისის ჯვარისა, მერე ხვარა წაიყვანა მეფის სამოთხეში, დააყენა ბაბილოიან ნაძვის ქვეშ, ულოცა, უწამლა და მოარჩინა სენისაგან.

ყველა ამან ვერ მოარბილა მირიანი. იგი სარწმუნოების გამოცვლაზე კი არ ფიქრობდა, არამედ ყველა ქრისტიანეთა ამოჟლეტას იმუქრებოდა. მაგრამ იგიც მოინადირა შემდეგმა შემთხვევამ. 20 ივლისს იგი სანადიროდ გავიდა თხოთის მთაზე. შუადღისას მზე დაუბნელდა; გზა აერია, შეეშინდა და ითხოვა შველა თავის ღმერთებისაგან. მაგრამ ეს ნივთნი რას შეეწეოდნენ! მაშინ ნინოს ღმერთს შეევედრა და ამ დროს ქვეყანა განათლდა. მეფემ ირწმუნა ქრისტეს დიდება.

ვ. **მირიანი ნინოს მაყლოვანში** (20 ივლისს 323 წელს შაბათს). მირიანს მზე რომ კვლავ გაუნათლდა თხოთის მთაზე

და განბნეული მონადირენი მოეგებნენ, მეტად გაუხარდა და ღაღად-ჰყო მათ მიმართ: „მიეცით დიდებაჲ ღმერთსა ნინოსსა“. შემდეგ ამისა მეფე და მისი მხლებელნი შესხდენ ცხენებზე და მცხეთისკენ გამოეშურნენ. აქ მათი ამბავი წინათვე გაეგოთ. დედოფალი და ერი მეფის დასახვედრად გამოსულიყვნენ ქინძარს და ღართისკარს, ხოლო ნინო კი და მასთან ერთად მისი მოწაფენი (ამ დროს მათი რიცხვი უკვე 50-მდე იყო) მწუხრის ლოცვას ასრულებდნენ მაყლოვანში. მეფე რომ შემოვიდა ქალაქში, ხმამაღლა იძახოდა: „სადა არს დედაკაცი იგი, რომელ არს დედაჲ ჩემი და ღმერთი იგი მისი მხსნელი ჩემი?“ რომ უთხრეს—მაყლოვანშიაო, ცხენი იქით მიაბრუნა, მაყლოვანთან ჩამოხტა და ნინოს უთხრა: „აწ ღირს ვარ ვადიდო სახელი ღვთისა შენისა და მხსნელისა ჩემისა“. აქვე შემოგროვილი იყო ლაშქარი, ერი, დედოფალი და სხ. ნინომ აღმოსავლეთისკენ პირი მიაბრუნებინა მეფეს და უთხრა: ქრისტეს თაყვანი ეცი. მეფემ შეასრულა მისი რჩევა. გაისმა გრგვინვა და საერთო ტირილი, გამოწვეული დიდის სიხარულისაგან.

ზ. **მოციქულების წარგზავნა საბერძნეთს** (323 წ.). მეორე დღესვე მირიანმა და ნინომ მოციქულები გაგზავნეს კოსტანტინეპოლს და ითხოვეს მღვდლები ქართველთა მოსანათლავად. კოსტანტინე მეფესა და მის დედა ელენეს გაუხარდათ, რომ მათი სახელმწიფოს მეზობლად მოსახლე ერმაც იწვნა ქრისტე, და დაუყოვნებლივ გამოუგზავნეს ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი, სამი დიაკონი, აგრეთვე ჯვარი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და სხ. საჩუქრები.

ი. **სვეტიცხოვლის აშენება** (323 წ.). ვიდრე საბერძნეთიდგან მოვიდოდა სამღვდელოება, ნინო და მირიანი შეუდგნენ საყდრის აშენების თავდარიგს. მეფე დაეკითხა ნინოს: „სად ავაშენოთ საყდარი?“ მიუგო: „სადაც გნებავსო“. მირიანმა უპასუხა: „აქ, შენს მაყლოვანშიაც კარგია საყდრის აშენება, მაგრამ ჩემს სამოთხეში კი მირჩევნია“. გადასწყვიტეს, პირველი ტაძარი აეგოთ ამ სამოთხეში. ნინომ შეუდგინა მე-

ფეს ტაძრის გეგმა. მოჰკვეთეს ბაბილოიანი ნაძვი, მისის ტოტებით დასდგეს ბოძები (სვეტები) და შეამთავრეს მთელი შენობა. შუა სვეტმა იწყო მირონის დენა და ავადმყოფთა და უძლურთ კურნება. ამიტომ მას დაერქვა სვეტი-ცხოველი. ეს სვეტი მეფემ მოზღუდა და შეამკო. ამ ხის ფესვებში, როგორც მეფეს არწმუნებდა ნინო, ესაფლავა ელიოზის და სიდონია ქრისტეს კვართითურთ.

(თ. **ქართველთ მონათლვა** (324 წ.). რომ მოვიდნენ მცხეთაში მოციქულები და სამღვდელოება, მირიანმა მოიწვია ერისთავნი, ჯარი და გლეხობა. ქართველობამ იწყო ნათლისღება. პირველად მოინათლა მირიანი ნინოს ხელ-ქვეშე, მერე მოინათლნენ დედოფალი ნანა, მეფისძე რევი მისის მეუღლით სალომეთი. შემდეგ შეამზადეს სანათლო ხიდთან, იმ ადგილის ახლოს, საცა იყო ცეცხლთაყვანისმცემელთა უმთავრესი ტაძარი, და აქ მონათლეს დიდკაცობა. ამ ადგილს სახელად „მთავართა სანათლო“ დაერქვა. ამის ცოტა ქვემოთ ორმა მღვდელმა მონათლა მდაბიო ხალხი. მოუნათლავად დარჩნენ მხოლოდ მთიელი ქართველები, აგრეთვე მირიანის სიძე ფეროზი, რანის ერისთავი. მცხეთის ურიათაგან მოინათლა მხოლოდ 50 სული, და მათ შორის აბიათარი და მისი ასული სიდონია, დანარჩენნი კი აქეთ-იქით წავიდნენ. მონათლულ ურიებს მეფემ მისცა ციხედიდი.

ი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ მირიანმა საბერძნეთს გაგზავნა ეპისკოპოსი იოანე და ერთი წარჩინებულთაგანი და ითხოვა კოსტანტინე მეფისაგან ხურონი და ნაწილი ძელის ცხოვრებისა, რომელიც ის-ის იყო აღმოეჩინა ელენე დედოფალს, ითხოვა აგრეთვე ბევრი მღვდლები, რომ წარგზავნოს იგინი დაბა-სოფლებში საქადაგებლად და ერის მოსანათლავად. კოსტანტინემ დააკმაყოფილა მეფის თხოვნა: იოანე ეპისკოპოსს და ზემო ხსენებულს წარჩინებულ ქართველს გამოაყოლა ხურონი და მრავალი მღვდელი და გამოატანა ქრისტეს ჯვრის ნაწილი და აგრეთვე ფიცარი, რომელზედაც ქრისტეს

დაულურსმეს ფეხები, და თვით ის სამსჳალნი (ლურსმანი), რომლებითაც დაუმსჳალეს მას ხელები, გამოატანა მათვე დიდი განძეულობა და დაავალა ტაძრების აშენება ქართლში. ერუშეთში რომ მოვიდნენ, იოანე ეპისკოპოსმა აქ დასტოვა ზოგი ხუროები და დაავალა ეკლესიის აშენება, თვითონ კი წამოვიდა მანგლისს და ტაძრის გება იწყო, აქვე დასტოვა წმ. ფიცარნი. ყველა ამან დააღონა მირიანი: იგი სწუხდა იმისთვის, რომ მისმა მოციქულებმა წმ. ნაწილები მცხეთაში არ მოიტანეს. ნინო მწუხარებას უქარვებდა მით, რომ შენს სამეუფო ქალაქში ყველა სიწმინდეზე დიდი საუნჯე არისო—თვით ქრისტეს კვართი.

ია. **ზემოსაყდრის (სამთავროს) აშენება.** მალე მირიანი შეუდგა საყდრის აშენებას წმ. ნინოს მაყლოვანზე და განასრულა კიდეც. მერე მის ახლოს ქვითკირით ააშენა ზემო საყდარი და მასში გაიკეთა სასაფლაო. ერი სალოცავად ამ ეკლესიაში დადიოდა, რადგან სვეტიცხოველში შესვლისა ეშინოდა მის სიწმინდისა-გამო. თვით მირიანი ამბობს: „ქვემოსა ეკლესიასა (სვეტიცხოველს) ერქუა წმიდაჲ-წმიდათაჲ და ყოველადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად, თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა; არცა შესვლად ვინ იკადრებდა თვინიერ მღდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა“.

იბ. **პატიოსანის ჯვრის აღმართვა** (7 მაისს 326 წ.). მცხეთაში, მიუვალ კლდეებში ხაროობდა ერთი საკვირველი ხე. შენიშნულ იყო, რომ ამ ხის ფურცელი და ნაყოფი ჰკურნებდა დაჭრილ ნადირს და ფრინველს. მეფისძე რევი, ეპისკოპოსი იოანე და ერი მივიდნენ, ის ხე მოსჭრეს, ზეზე დგომელა მოიტანეს მცხეთაში და დასდგეს სვეტიცხოველთან. იყო 25 მარტი და იგი კი საამოდ გადაფურჩქნილი იყო და საამო სურნელებას ჰფენდა გარემოს. 37 დღემდე არ დაუჭკნა ფოთლები. 1-ლ მაისს მისგან გააკეთეს სამი ჯვარი, რომელთაგან ერთი აღმართეს თხოთის მთაზე, იქ, საცა მირიანს მზე დაუბნელდა, მეორე გაგზავნეს ბოდბეს და მესამე კი მირიანმა, წმ.

ნინომ, რევმა და მრავალმა ხალხმა გადიტანეს არაგვზე, აიტანეს მაღალს გორაკზე და მისს წვერზე აღმართეს (7 მაისს). აქ წინად კერპი იდგა და ყოველ დილა მცხეთელები მას თაყვანს სცემდენ. ამაღლებული ჯვარი ჰკურნებდა ავადმყოფთ, აღადგენდა დასუსტებულებს და მკვდრებსაც. მის თაყვანსაცემლად შორეულ ქვეყნებიდგანაც მოდიოდნენ. (სომხეთის კათალიკოს აბრაამმა სომხებს აუკრძალა (579 წ.) ამ ჯვრისა და მანგლისის ჯვრის თაყვანისცემა). ამავე გორის კალთაში ნინომ აღმოადინა სამკურნალო წყარო—ძუძუს-წყარო. გორის თავზე ადარნასე მეფემ ააგო (მე-VII ს.) დიდებული ეკლესია—ჯვრისსაყდარი.

იგ. **სანუგეშო წერილი**. ქართველობა რომ დიდს სიხარულს მისცემოდა, რომიდგან მოვიდა სანუგეშო წერილები პატრიარქის სილიბისტროსი და ბრანჯეთის მთავრისა. იგინი ლოცვასა და ქებას უძღვნიდნენ ნინოსა და მირიანს დიად ღვაწლისათვის, საქართველოს მოქცევისა და განათლვისათვის. და ამასთანავე წმ. ნინოსაგან ითხოვდნენ ლოცვა-კურთხევას. ბრანჯეთის მთავარი ამასთანავე იტყობინებოდა, რომ ნინოს მამის ზაბილონისაგან შემოტანილი ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში უკვე განმტკიცდაო და დღეს ყველანი ქრისტეს ადიდებენო. ეს წერილები მცხეთაში მოიტანა ბრანჯელ დიაკონმა პრიკსილამ და აქედგანაც ამანვე წაიღო საპასუხო წერილები ნინოსი და მირიანისა.

იჱ. **მთიელთა და კახელთ მოქცევა**. ბრანჯელი დიაკონის გასტუმრების შემდეგ მირიანმა უთხრა ნინოსა და ეპისკოპოს იოანეს: „მნებავს, რომ იძულებით, მახვილით მოვაქციო მთიელნი და სიძე ჩემი ფეროზი და დავამონო იგინი ქრისტესა და პატიოსანს ჯვარს". ნინომ უპასუხა: „ერის მოქცევა მახვილით ღმერთს არ უბრძანებია. სახარების ქადაგებით და ჯვარის სასწაულით მოვაქცევთ ყველასო და ვასწავლით ჰეშმარიტს გზას. წმიდანმა თვითონვე ითავა ყველა ამათ მოქცევაც. მას გაჰყვნენ ეპისკოპოსი იოანე და ერთი ერის-

თავი. მივიდნენ-რა წორბანს, მოუწოდეს მთიელებს, ჰართალელებს, ფხოელთ, გუდამაყრელთ და უქადაგეს სახარება. მათ ურჩობა იწყეს და არ მოინდომეს კერპების უარყოფა. მაშინ ერისთავმა დაანგრია მათი საკერპოები. იქიდგან წამოვიდნენ ჟალეთს, ერწო-თიანეთს. ამათ ნათელიღეს. ხოლო ფხოელთ არ მოისურვეს სჯულის გამოცვლა და თუშეთს გაიქცნენ. არ მოიქცნენ კიდევ ბევრი სხვა მთიელები. ეს აცნობეს მირიანს. მეფემ ურჩთ დაუმძიმა ხარკი, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს, მთიელები ვერ მოინადირა და იგინი წარმართად დარჩნენ. ერწო-თიანეთიდგან ნინომ ჩამოვლო კაწარეთს, მოაქცია სუჯეთი (კუხეთი—ივრის-ხეობა) და გადავიდა შიგნით კახეთს, გზადაგზა ახარა ერს სარწმუნოება ქრისტესი და მივიდა ქიციყს და დადგა ქცელთა (ქიციყელთა) დაბას ბუდს (ბოდბეს). აქ მოვიდა მრავალი ხალხი, ნინომ იგინიც მოაქცია. ნინოს უნდოდა წასვლა ფეროზისა და მის ერის მოსაქცევადაც, მაგრამ ეს ველარ მოახერხა.

ით. **წმ. ნინოს გარდაცვალება** (14 იან. 338 წ.). მძიმე შრომამ მოღალა ნინო და დაასნეულა. მისი ავადმყოფობის ამბავი მსწრაფლ მოედო მთელს საქართველოს და ყოველის მხრიდგან მოიკრიფა ხალხი ბოდბეში, რომ გამოეთხოვოს თავისს მხსნელს, კეთილისმყოფელს დედას. მოვიდნენ რევ უჟარმელი მისის ცოლით სალომეთი, აგრეთვე ეპისკოპოსი იოანე, მეფე მირიანი, დედოფალი ნანა. ყველანი ევედრებოდნენ ნინოს წაჰყოლოდათ მცხეთას, მაგრამ მან არ ინება: აქამდე მოვაღწიე და აქვე უნდა დავლიო სულიო. 14 იანვარს 338 წელს ნინომ აკურთხა და დალოცა ერი და გარდაიცვალა. დღე იყო შაბათი.

კ. **წმ. ნინოს დატირება და დასაფლავება** (13 თებერ. პარასკევს). ბოდბეში მოზღვავებულმა ერმა, შეიტყო-რა ნინო გარდაიცვალაო, იწყო ტირილი და მწუხარება. ყველა სცდილობდა მიახლოვებოდა მისს სარეცელს და ამბორის ყოფით გამოსთხოვებოდა მოციქულთა სწორ დედას. იგლოვეს ნეტა-

რი 30 დღე და იქვე, საცა სული განუტევა, დაასაფლავეს. მეფე მირიანმა ნეტარის საფლავზე დაიწყო და მისმა შვილმა განასრულა შენიერი ტაძარი საოხად წმ. გიორგისა და მასშივე ეკვედერი საოხად წმ. ნინოსი.

ბოდბის ტაძარი თავიდგანვე საქალებო მონასტერი იყო და აჯრეთვე საეპისკოპოსო. აქაურ ღვდელმთავარს ემორჩილებოდა მთელი ქაზიეი კონდოლამდე და მარავამდე და ამ ქვეყნის დროშა ებარა მას. ეკლესია დანდობილია ექვს სვეტზე, სიგრძით $9^1/_2$ საჟენია, სიგანით—6 და სიმაღლით—15. ტაძრის დასავლეთი კედელი გარედგან შემკულია მრავალფერად მოვარაყებულ აგურით.

კა. მირიანის დროსვე დაწესდა ნინოობა, ე. ი. დღესასწაული 14 იანვარს. ქართველთა საყდარი თავისს დამფუძნებელ ქალწულს უგალობს ასრე: „სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა-მოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

კბ. მირიანს ჩვენი ეკლესიის გადმოცემა მიაწერს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის საუდრის აშენებას იმ ადგილას, საცა ლოთმა დარგო კვიპაროზი, რომლისაგან გამოჰკრილს ჯვარზე ჯვარსაცვესო იესო ქრისტე. გადმოცემა გვარწმუნებს, რომ ამ საქმისათვის მირიანი თვით იყო იერუსალიმშიო და საყდრის ასაშენებელი ადგილი თვითონ გამოსთხოვა კოსტანტინე იმპერატორსო. ისტორიის მსელელობა გვიჩვენებს, რომ მირიანი იერუსალიმში ვერ წავიდოდა, ხოლო თვით გადმოცემა უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ვინაითგან მაშინ იმპერატორის სამსახურში იყო ქართველთა მეფისძე ბაკური, რომელიც პალესტინის საზღვრების ლაშქარს უფროსობდა. ალბად ამ ბაკურს შეეწია მირიანი ხსენებულ ტაძრის აშენებაში. ჯვრის მონასტერს მას აქეთ დიდი გავლენა ჰქონდა ქართველთა აღზრდა-განვითარებაზე. ამ მონასტერს დღესაც საქართველოში აქვს დიდი მამულები, რომლების შემოსავალი დანიშნული იყო ქართველ მოღვაწეების შესანახად იერუსალიმში და აგრეთვე

ყრმების აღსაზრდელად. მე-XVIII საუკუნიდგან იგი დაიჩემეს ბერძნებმა.)

კბ. **საქართველოს საეკლესიო იერარქია.** სამღვდელოებასთან ერთად ქართველებმა ბერძნებისაგან მიიღეს მათი საეკლესიო წესებიც და აგრეთვე შეიწყნარეს პირველი მსოფლიო კრების (325 წ.) დადგენილებანი. ჯერ ისევ ნინოს გარდაცვალებამდე საქართველოს საყდარი სვარხიეპისკოპოსად შეიქმნა. ეს მტკიცდება მით, რომ საქართველოს პირველს ეპისკოპოსს იოანეს, კოსტანტინეპოლიდგან გამოგზავნილს, წმ. ნინო თავისს სიკვდილის წინად სარხიეპისკოპოსად იხსენიებს. იგივე სარხიეპისკოპოსი იოანე სხვა ეპისკოპოსებთან ერთად დაესწრო ნინოს გარდაცვალებას. თვით მირიანი თავისს ანდერძში არხიეპისკოპოსის იოანეს მოადგილეს იაკობს აგრეთვე იხსენიებს სარხიეპისკოპოსად.

კდ. არსებობს თქმულობა შესახებ ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის (325—331) მოსვლისა საქართველოში საშემწეოდ მირიანისა და ნინოსი. მაგრამ ეს თქმულება, გავრცელებული მე-XII საუკუნითგან, ისიც ანტიოქიის გზით, საეჭოდ მიგვაჩნია. მართალი მხოლოდ ის არის, რომ საქართველოს ეკლესია თავდაპირველად მიეწერა ანტიოქიის საპატრიარქოს და ამის გამო მისი გამგებელი დღესაც იწოდება ივერიისადაც („პატრიარქი ღვთის ქალაქის ანტიოქიისა, ასურეთისა, ივერიისა, კილიკიისა, მესოპოტამიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა“).

კე. **ქართველთ განმანათლებელის სახელი** უცხოელმა მწერლებმა და მათ შორის რუფინმაც (349—420) არ იციან. იგინი მას ტუვედ სთვლიან. მხოლოდ ახლად აღმოჩენილ სარაბულ-ეთიოპურ-კოპტურ სკინაქსარში მოთსრობილია ამბავი ვიღაც თეოგნოსტესი, რომელსაც მოუქცევია იბდოეთი და ტეივერია, და ამ ტეივერიას „ივერიასთან“ მსგავსებით ზოგიერთს თეოგნოსტა მიაჩნია საქართველოს განმანათლებელ ტუვე-ქალის სახელად. მაგრამ ეს თეოგნოსტი თანამედროვე ეოფილა იმპერატორების ჰენორისა და არკადის, რომელნიც მეფობდნენ არა მეოთხე საუკუნის პირველ მეო-

თხელს, როდესაც, როგორც ამბობენ ჩვენი წყაროები და აგრეთვე ბარონია და სხვანი, გაქრისტიანდნენ ქართველები, არამედ იმავე საუკუნის დასასრულს (395—423). მაშასადამე, ვიღაც თეოგნოსტას საქართველოში შემოსვლა შესაწყნარებელი არ არის. მისი სახელი სწორედ უნდა იყოს ის სახელი, რომელსაც ქართველები იმთავითვე გამოსოქვამენ ნინოდ, ნინად, ნუნად, ნუნულია-დ, სანო-დ. იგივე სახელი ერქვა ქართველთა ღმერთებს ად-ნინას და და-ნინას. ამას გარდა, ლეკურად ნინო ნიშნავს დედას, ხოლო ქართული „ენა“ მეგრულსა და სვანურ გამოთქმაში იღებს ფორმას ნინა, ნინ. ენა, სა-ზოგადოდ, სიბრძნის, ენამზეობის იარაღად ითვლება და ნინოდაც თვდაპირველად ალბად, იწოდებოდნენ სიბრძნის ღმერთ-ქალები და მისნი მოსამსახურენი.

ნინოს ნათესავები. ა. მატიანის გადმოცემით, წმ. ნინო იყო დისწული იობენალისა, რომელიც იერუსალიმში წავიდა კათბადუკიიდგან, იმსახურა ბევრი ხანი და ბოლოს იქვე გაპატრიარქდა. ჩვენი მკვლევარები იობენალ პატრიარქს იერუსალიმში ჰპოებენ მხოლოდ ერთს და ისიც 451 წ., ე. ი. ოთხმის 120 წლის შემდეგ ნინოსი. მაგრამ აქაურ პატრიარქთა შორის იობენალის ძებნა ამაოა, ვინაითგან ნინოს ბიძას ეს სახელი (იობენალი) ერქვა ერისკაცობაში და პატრიარქობაში, ეკლესიის ჩვეულებისამებრ, წინანდელ სახელს გამოიცვლიდა. ჩვენს მემატიანეს შეცდომად უთვლიან იმასაც რომ იერუსალიმის საეპისკოპოსო კათედრამ სრული საპატრიარქო უფლებანი მოიპოვა მხოლოდ 451 წელს და იგი კი ნინოს ბიძას, მესამე საუკ. დასასრულის ღვდელმთავარს, პატრიარქად იხსენიებს. მაგრამ ეს შეცდომაც შეცდომად ჩასაგდები არ არის: ჩვეულებისამებრ ყოველ საქრისტიანო ოლქის პირველი ღვდელმთავარი თითქმის მუდამ პატრიარხად (=მამადმთავრად) იწოდებოდა. თვით იაკობი, ძმა უფლისა, იწოდება იერუსალიმის პირველ პატრიარქად. ბ. ჩვენის ეკლესიის გადმოცემით, წმ. გიორგი ძლევამოსილი, კათბადუკიელი, ითვლება წმ. ნინოს ბიძაშვილად და მისს თანამედროვე მოღვაწე-მეომრად (გვ. 150). შესაძლებელია, რომ გიორგი, მართლაც, ნინოს ნათესავი ყოფილიყო, მაგრამ შეუძლებელია, რომ იგი დაეღუპოს დიოკლეტიანეს (+ 305 წელს). წმ. გიორგი ჩანს იმპერატორის კოსტანცის მეფობაშიაც (305—361 წ.). მოგვყავს მოკლედ მისი ცხოვრება გიბბონის მოთხრობით *). „გიორგი კათ-

*) ტ. 2, გვ. 574.

ბადუკიელი დაიბადა ქალაქ ეპიფანიას მენაბდეს ჯოხში. მონის ჩამომავლობისა იყო, მაგრამ შეძენის ნიჭი ჰქონდა და ხალხში გამოერია. მისმა მფარველებმა მიანდეს მას სასარგებლო საქმე—ლაშქრისთვის ლორის ზიდვა. მან სიმდიდრე შეიძინა ყალბობით და მოჭრთამეობით. ყოველივე რომ გამოცხადდა, თავს უშველა გაქცევით და სამართალს დაემალა. შემდეგ ცნიღო არიოზის სარწმუნოება. რომ თავი მეცნიერად გამოეჩინა, შეადგინა ძვირფასი ბიბლიოტეკა, რომელიც გაავსო ისტორიულ, რ-ტორიულ, ფილოსოფიურ და სღვთისმეტყველო თხზულებებით. მოწინავე დასმა მიუბოძა მას თავისუფალი საეპისკოპოსო კათედრა ათანასესი. ახალი არხიეპისკოპოსი იქცეოდა მსგავსად ბარბაროს მპყრობელისა და ყოველი წუთი მისის მფლობელობისა იპილწებოდა უწყალო და ანგარებით აღსავსე მოქმედებით. თავისს ეპარქიაში იგი ყველას სისხლს წოვდა. ცხოვრობდა მდიდრულად, მაგრამ ბიწიერად. ალექსანდრიის ვაპრები დაღარიბდნენ, რადგან მან მარტომ ხელთიგდო გვარჯილას, მარილის, ეტრატის ვაპრობა. კოსტანცის მეფობაში ხალხი აუღელდა და განაძევა. მგრამ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობამ იგი ისევ დაუბრუნა კათედრას. იულიანე რომ გამეფდა (361 წ.), სამწყსომ ისევ დაამხო მთავარეპისკოპოსი და მის ორ მეგობართან ერთად ფეხით გათელა. მათი გვამები აკლემებით დაჰკონდათ ალექსანდრიაში და მერე ზღვაში გადაყარეს. მის მეტოქე ათანასეს დასი უძლური იყო, ხოლო მომხრეთა (არიანელთა)—ძლიერი. ამათ მიზნისთვის გიორგი ძვირფასი იყო და წმინდა. მათ თვალთმაქცურ მართლმადიდებლობასთან ერთად კათოლიკე ეკლესიამ შეითვისა თაყვანისცემა გიორგისა. დამალეს-რა ყველა წვლილები შესახებ მისის სიკვდილის დროისა და ადგილისა, ამ საზიზღარ უცხოელს ჩაჰფიცეს ჩაჩი წამებულისა, წმიდანისა და საქრისტიანო გმირისა, და საძულველი გიორგი კათბადუკიელი შეიქმნა სახელოვან წმ. გიორგი ინგლისელად,—მფარველად ლაშქრისა, გმირობისა და „შესაკრავ“ ორდენისა.—აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით კათბადუკიელ წმიდანებმა, ბასილიმ და გრიგოლმა არ იცოდნენ, რომ გიორგიც წმიდანი იყო. დასავლეთში წმ. გიორგი წამებულთა შორის პირველად აღიარა პაპა ქელაზიმ 494 წელს, თუმცა უარჰყო მისი ცხოვრება, როგორც გ-მოგონილი ერეტიკოსთაგან. მაღნეზი, მისანი ათანასე, მოხსენებულნი წმ. გიორგის ცხოვრებაში, მე-IV საუკ. დასასრულის ისტორიული პირებია.

ქართველების მოქცევის ამბავს მოგვითხრობენ ქართველი და უცხოელი მწერლები. ქართველები იყვნენ თვით წმ. ნინო, რომლის სიტყვით, როგორც ირწმუნება მატიანე, ქარ-

თველთ განმანათლებელის თავგარდასავალი, მისივე კარნახით, დასწერეს მისმავე თანამედროვეებმა სალომემ (რევის ცოლმა) და პეროჟარი სივნიელმა. ნინომ ამათ უბრძანა:

„მოიხუენით (მოიტანეთ) აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკე ჩემი და უდები ცხოვრებად ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოებად თქუენი და შეწუნარებად ჩემი". —„მაშინ მოხოლოხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან *) და სივნიელმან პეროჯარი. და იწყო სიტუად წმინდამან ნინო და იგინი წერდეს".

ამავე საგნის შესახებ მოთხრობები და ცნობები დაუწერიათ აგრეთვე მღვდელს აბიათარს, მის ქალს სიდონიას და მეფე მირიანს. მე-IX—X საუკ. ხელნაწერებში შეტანილია წმ. ნინოს ორი სიტყვა ამ სათაურით: ა) თქუმული წმ. დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტჱ ქართლს შინა და ბ) საკითხავი, თქუმული წმ. დედისა ჩუენისა ნინოჲსი ნათლისღებისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა. მთელი ეს მწერლობა, რაღა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში შემუშავებულა, შევსებულა; ამგვარ შემმუშავებლად იქნებოდა ლეონტი მროველი, იოანე დეკანოზი, ანტონი მროველი და სხ. მეფე არჩილის (+ 718 წ.) ცხოვრებაში სწერია: „ესე არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროელმან აღწერა და ახლა იოანე დეკანოზმან აღწერა". აი სწორედ ეს ლეონტის წიგნია შეტანილი მეათე საუკ. შატბერდის ქრონიკაში და ამის შესახებვეა შენიშნული:

„წიგნი „ქართლისა მოქცევისად", რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა...ვითარცა ტალანტი, წინამ ძღვართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ".

თვით „ქართლისცხოვრებაც" ცნობებს შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში იღებს იმავე „ქართლის მოქცევიდგან" („ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა"-ო).

*) უჯარმა=უჯარმა.

უცხოელი მწერლები, რომლებმაც დასწერეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ამბავი, ცხოვრობდენ მე-IV—V—VII საუკ. ესენი იყვნენ რუფინი, სოკრატი, ერმი სოზომენი, თეოდორიტე კირელი, ბარონია და მ. ქორენელი. ამათი ნაწერი არსებითად არ განსხვავდება ქართველ მწერლების მოთხრობათაგან.

ერთის ძველი დროის მწერლის აზრით, საქართველოს მოსაქცევად ღმერთმა განგებ აირჩია ბუნებით სუსტი არსება —ქალწული. ამ სუსტმა და უძლურმა არსებამ მოხეშა და მოინადირა მეომარი ქართველები და მით ერთხელ კიდევ დამტკიცდაო ქრისტეს სიტყვები—„ჩემი სიძლიერე ჩემს„უძლურებაშიაო“. წმ. ნინო, მართალია, ღონით უძლური იყო, მაგრამ სულით, გონიერებით, ცოდნით, მჭევრმეტყველობით, თავმდაბლობით, გამბედაობით და ყოველგვარ სათნოებით კი —ძლიერი, უძლეველი. იგი საქართველოში მოვიდა განსაზღრულის გეგმით, მის ადგილ-მდებარეობისა და შინაურ მდგომარეობის შესახებ შეჰკრიბა ცნობები ჯერ ისევ იერუსალიმში, ამავე საგნის შესახებ ზოგი-რამ ცნობა მიიღო ჯავახეთშიაც და აგრეთვე ურბნისში. მას იქვე კარგად შეესწავლა მკურნალობა. სიტყვით, საქართველოში იგი მოვიდა, ვით „ხელოვანი მკურნალი“, „ქადაგი ძლიერი“, „მეცნიერი დაფარულთა გულის სიტყვათა“, „ჰეშმარიტი მოძღვარი და „მოციქული ქრისტესი“,

ამას გარდა, ნინოს მოციქულობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მის მოსვლის ხანს საქართველოს არემარეზე და მეზობლობაშიაც თითქმის ყველგან ღვიოდა ნაპერწკალი ახალის სარწმუნოებისა. ხოლო იმპერატორი კოსტანტინე მეტად გულმოდგინედ ეკიდებოდა საქრისტიანო საქმეებს. 313 წელს მან გამოაცხადა სარწმუნოების შეწყნარება, ქრისტიანებს ცხადლივ მიემხრო და თავისი შვილი აღსაზრდელად მიაბარა ქრისტიანეთა რიტორს ლაკტანცის. 315 წელს სამღვდელოება გაანთავისუფლა ხარკ-ბეგრისაგან, აღკვეთა დამნაშავეების ჯვარ-

ცმა. 316 წ. გაანთავისუფლა მონები. 319 წ. აღკრძალა წარმართული მკითხაობა. 321 წელს ბრძანა უქმობა კვირა დღისა, რომელიც მანამდე მზე-ღმერთის დღედ ითვლებოდა და მისივე სახელი ერქვა. 324 წელს ცალკე ბრძანებით მიჰმართა ყველა ქვეშევრდომებს თხოვნით, რომ შეიწყნაროან ქრისტიანობა, სახარება. ყველა ამას, ვიმეორებთ, არ შეეძლო დიდი გავლენა არ ექონია ქართველებზედაც, ხელი არ შეეწყო ნინოს ქადაგებისა და შრომისთვის. მატიანე რომ აღნიშნავს კოსტანტინესა და ელენესაგან წერილების მიღებას მცხეთაში, ალბად, იგულისხმებს იმპერატორის 324 წლის ბრძანებას ყველა ქვეშევრდომთადმი შესახებ სახარების შეწყნარებისა და ქართველებმა ხომ სწორედ 324 წელს შეიწყნარეს ქრისტიანობა და მოინანნენ კიდეც.

თავი IV.

მირიანის მეფობის დასასრული და აღმოსავლეთის მდგომარეობა ამ დროს

1. მირიანის და მისს მემკიდრეთა ცხოვრების **ქრონიკონები** არეულია.

ვახუშტის ცნობით მირიანი გარდაიცვალა 342 წელს. იმავე წელს მოკვდა მისი ძე რევი და გამეფდა ბაკური. თვით ნანა დედოფალიც გარდაიცვალაო 344 წელს. ხოლო მემატიანით, მირიანი გარდაიცვალა მის მოქცევიდგან 25 წელს, ვარიანტის ჩვენებით კი—35 წელს. მაშასადამე, საჭიროა გამოირკვეს, რომელს წელიწადს მოიქცა მეფე მირიანი. ა) პირველი მსოფლიო კრება ნიკიას იყო 3 5 წელს და მაშინ მირიანი გაქრისტიანებული იყო; ბ) კოსტანტინე იმპერატორის დედა ელენე, რომელიც გარდაიცვალა 326 წელს, ცოცხალი იყო მირიანის მოქცევის დროს და გ) მირიანს რომ თვალთ დაუბნელდა თხოთის მთაზე, ივლისის 20 იყო, დღე შაბათი. 316—326 წლებ შუა 20 ივლისს შაბათი ხვდება მხოლოდ 323 წელს. მაშასადამე, ამ წელიწადს მირიანს ურწმენია ქრისტე და ამ წელიწადიდგან დაწყებული გავრცელება ქრისტიანობისა დასრულებულა 326 წელს პატიოსანის ჯვრის აღმართებით. ეს უკანასკნელი ქრონიკონები ჩვენ უკვე თავთავის ადგილას აღვნიშნეთ.—ვახუშტით, მირიანს უმეფნია სრული 77 წელიწადი (265—342). ბერძნულ წყაროებით მეფე მერიბანი (=მირიანი=მირვანი=მირევანი) ჩანს 361 წელსაც. ეს წელიწადი მირიანის სიკვდილის წლად რომ ჩავაგდოთ, მისი გაქრისტიანება, ზემოხსენებულ ვარიანტის ქრონიკონის მიხედვით, ხვდება 326 წელს (361—35), ხოლო გამეფება—284 წელს (361—77).—ბ) რომ 342 წელს მირიანი არ მომკვდარა, ჩანს იქიდგანაც, რომ რევმა თავისთვის ქვემო ეკლესიაში საფლავი (კუბო) ააშენა მე-23-ე წელს პატიოსანის ჯვრის აღმართებიდგან, და რადგან ეს ჯვარი აღმართეს 326 წ., რევი ცოცხალი უნდა ყოფილიყო 349 წელსაც. და რევი კი თავისს მამაზე წინად გარდაიცვალა.

ბრძოლა და ქიშპობა სპარსთა და ბერძენთა შორის, როგორც იყო ნათქვამი (გვ. 142), დასრულდა ნიზიბის ხელშეკრულობით 298 წელს. მშვიდობიანობამ აღმოსავლეთში გასტანა მხოლოდ 339 წლამდე.

კოსტანტინე დიდი რომ გარდაიცვალა (337 წ.), ამბერიას

დაუპატრონდნენ მისი შვილები—კონსტანტინე, კონსტანცი და კონსტანტი. კონსტანტინე მოკვდა 340 წ., კონსტანტი 350 წ. და სამეფო დაშთა კონსტანცის (337—361 წ) ამ კონსტანციმ თითქმის მთელი თავისი მეფობა მოახმარა სპარსეთის ხელმწიფეს შაბურთან ბრძოლას. ეს შაბური იყო შვილიშვილი იმ ნარსესი, რომელმაც სპარსეთისათვის სამარცხვინო ხელშეკრულობა დასდო ნიზიბისს (298 წ.). შაბურს სურდა დაერღვია ეს ხელშეკრულობა, იმპერატორისთვის წაერთო ის, რაც მისმა პაპამ ნარსესმა დაუთმო რომს. შაბური იყო ხელმწიფე ახოვანი, გამბედავი, ჭკვიანი. იგი ჯერ შეებრძოლა არაბებს და დაიმორჩილა, მერე სომხეთში მომხდარ არეულობით ისარგებლა და მოინდომა დაეჭირა ატროპატენი (ადარბადაგანი), რომელიც რომაელებს წაერთოთ სპარსთა მეფეებისათვის. ტირიდატმა, რომელიც სომხეთში მეფობდა რომაელების მფარველობის ქვეშე, თავისს სახელმწიფოში ქრისტიანობა შემოიღო. ამით მას სურდა იმპერატ. კონსტანტინე დიდის გული მოეგო და იგი თავის მეგობრად გაეხადა. მაგრამ ამით მან აიშალა დიდებულნი, რომელთაც არ სურდათ დაეთმოთ მრავალღმერთობა და მრავალთლიანობა. ამ უკმაყოფილოების მხარე დაიჭირა შაბურმაც. საუბედუროდ, ტირიდატის ძე ხოსრო (343 – 353) უხასიათო კაცი იყო, დროს ატარებდა სასიხლეში, რომელიც აშენებული იყო ტეეში. იგი ნადირობაში ერთობოდა და სახელმწიფო საქმეებს ყურს არ ათხოვებდა. ამან ატროპატენა დაუთმო შაბურს და ხარკის ძლევაც აღუთქვა, თუმცა იმპერატორის ლაშქარი უკვე უახლოვდებოდა ბრძოლის ველს—ტიგრის ნაპირებსა და შუამდინარის მინდვრებს. ამ აღგილებში 9-ჯერ შეიბნენ რომაელნი და სპარსელნი, რუებრ სისხლი დაიღვარა, ბოლოს შაბურმა აჯობა, რომაელნი გაიქცნენ და ნიზიბისს გამაგრდნენ. ამ დროს ორივე სახელმწიფოს გამოუჩნდნენ სხვა მტრები—შაბურს მასსაგეტნი (ოსნი), რომელნიც დიდის ძალით შემოესივნენ სპარსეთს ჩრდ.-აღმ. მხრიდგან, და კოსტანცის—გალლები. მტრები დროებით მორიგდნენ და გაიყარნენ.

359—361 წლებში ისევ გაჩაღდა ომი სპარსთა და რომაელთ შორის. შაბურმა, ამ „მზისა და მთვარის ძმამ“, მოსთხოვა კოს-

ტანცის სომხეთი და შუამდინარე. უარი შემოუთვალა. შაბურის ძლიერი ლაშქარი შევიდა შუამდინარეში. კოსტანტი იმპერატორმა ჯერ ამის წინათვე აღმოსავლეთის მეფეებსა და ერისთავებს გამოუგზავნა დიდი საჩუქრები და სთხოვა სპარსელებთან ომში რომაელების მხარე დაეჭირათ. უველაზე უწინარეს კი რომაელებმა გადიბირეს საქართველოს მეფე მერიბანი და სომხეთისა—არშაკი. ესენი მოისყიდეს უძვირფასეს საცმელებით და ნაირნაირ საჩუქრებით. ესენიო, სწერს თანამედროვე მარცელინი, მაშინდელ ორჭოფა უოფაშდგომარეობაში დიდს ვნებას მოუტანდნენო რომს, თუ მიმხრობოდნენო სპარსელებს. შაბურმა ალუა შემოარტყა მაგარს ციხე ამიდას (დიარბექირს), სამს თვეს ებრძოლა, გასტეხა, აიღო და ამოხოცა მეციხოვნენი. კოსტანცის ამასობაში აუჯანყდა იელიანე, რომელიც ბარიაში იდგა, მის დასასჯელად წავიდა და მალე მოკვდა (361 წ.).

აქ მოხსენებული საქართველოს მეფე მერიბანი (Meribanes, Merihanes) ჩვენ მიგვაჩნია მირიანად (=მირეანად). რა მონაწილეობას იღებდა ამ ომებში მირიანი, ჩვენის მატიანეებიდამ ცხადად არა სჩანს, მაგრამ უმონაწილოდ კი არ უნდა დარჩენილიყო, რადგან 298 წლითგან ქართველთა მეფეების დანიშვნის უფლება მიენიჭათ იმპერატორებს და, ამას გარდა, ქრისტიანობის მიღებამაც ფრიად დაუახლოვა ერთმანეთს საბერძნეთი და საქართველო. მირიანს ხომ, როგორც ირწმუნება ჩვენი მემატიანე, ხშირად საერთგულო წერილებს სწერდნენ თვით კოსტანტინე დიდი და მისი დედა ელენე. ერთ ამგვარ წერილთან ერთად, მატიანის სიტყვით, კოსტანტინემ მირიანს დაუბრუნა მისი შვილი ბაკური, რომელიც მზევლად იმყოფებოდა საბერძნეთში და თან მოსწერა მეფეს, აწ მზევალი საჭირო აღარ არისო, ჩვენ შორის თვით ქრისტე ჩამოდგაო. იგივე მატიანე გვარწმუნებს, რომ როდესაც ასტყდა ომი კოსტანტინესა და ყაენს შორის, მირიანი მიემხროო პირველს, „აღუთქვა მას მსახურებაჲ და მოწყვედა სპარსთა“.

მირიანი რომ დასნეულდა, იხმო დედოფალი ნანა, შვი-

ლი ბაქარი, დიდებულები და უთხრა მათ: „ვმადლობ ღმერთს, რომ ეშმაკისაგან წარტყვენილი მიხსნა, ღირს მყო არა ჯოჯოხეთისა, არამედ თავისს მარჯვენით ყოფნისა. ნანა დედოფალო, თუ ჩემ შემდგომ შენ დაგცალდეს, ჩვენი განძი ორად გაჰყავ და ერთი ნაწილი მიუტანე ნინოს საფლავს, რომ მწირად არ დარჩეს«. მერე მეფე მიუბრუნდა ბაქარს და რქვა: „შვილო ჩემო, შენდა მომიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან ცისა და ქვეყნისამან განგამტკიცოს შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა. სადაც იპოვნო ვნებანი ცეცხლის მსახურებისა და კერპნი, ცეცხლითა დაწვი და ნაცარი შეასევი იმათ, რომელნიც მათ ესვიდენ. იგივე მცნება დაუდე შენს შვილებსაც, ვინაითგან, ვიცი, კერპები კავკასიაში მსწრაფლ ვერ დაილევიან. პატიოსანის ჯვრის წარმძღვანებით ყოველს მტრებს სძლევ. პატივსცემდე სვეტსა ცხოველსა, ღვთივაღმართებულსა მცხეთას“.

შემდეგ მეფემ აიღო წმ. ნინოს ვაზის ჯვარი და მასზე ჩამოჰკიდა სამეფო გვირგვინი. მერე ახლოს დაიყენა ბაქარი, პირჯვარი გადასახა, ჯვარიდგან გვირგვინი გადმოიღო და თავზე დაადგა. დააგვირგვინა-რა მეფემ ბაქარი, გარდაიცვალა. იგი დაიტირეს და დამარხეს ზემო ეკლესიის (სამთავროს) საშუალო სვეტის სამხრით კერძ. მეორე წელიწადს აღესრულა ნანა დედოფალი და ესეც დამარხეს იმავე ეკლესიის საშუალო სვეტის დასავლით.

2. **ბაქარის (ბაკურის) მეფობა** (361—367). გამეფდა ბაკური, მედგრად შეუდგა მამის ანდერძის სისრულეში მოყვანას. მამას ვერ მოექცია ზოგიერთი კავკასიელნი, ფხოელნი და სხ. ბევრგან ისევ მრავალღმერთობა იყო. ბაკურმა იწყო ამ ღმერთების მუსრვა, წარმართების ნათლვა და მოქცევა. იგი რომ ამ საქმეში იყო გართული, მის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინეს მისმა ძმისწულებმა (რევის შვილებმა). ამათ, როგორც უფროსის ძმის შვილებმა, არ იკმარეს მეფობა კახეთში, ქართლის ტახტის დაჭერაც მოინდომეს. მათ შემწე-

ობა ითხოვეს სომხეთის მეფისაგან, რომელიც ენათესავებოდათ (მათი დედა სალომე სომხეთის მეფის ქალი იყო). სომეხთა მეფემ დიდძალი ჯარი შემოიყვანა ჯავახეთში. ბაკურმა შემწეობა ითხოვა არა საქართველოს მფარველ ბერძნებისაგან, არამედ შაბურისაგან, რომელსაც გული იმით მოუგო, რომ რანის ერისთავს ფეროზს დაუთმო ქვეყანა სამშვილდითგან აბოცის თავამდე, ხოლო რანი და ბარდავი სპარსთა ხელმწიფის განკარგულებაში დასტოვა.

ყველა ამან ისევ აშალა აღმოსავლეთის საქმე. რევისშვილების მომხრეს სომხეთის მეფე არშაკს გადაეკიდა შაბური. ამდროს დასავლეთში იმპერატორობდა ქრისტიანობიდგან გადამდგარი იულიანე (361—363). მან თავისს სიკვდილის წინად ძლივს მოიცალა აღმოსავლეთისთვის, რომელსაც უკვე დაპატრონებოდა შაბური. იულიანე დიდის ლაშქრით გადმოვიდა ევფრატზე, ზედიზედ დაამარცხა სპარსნი და შევიდა სპარსეთში. მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ისევ შაბურს დარჩა. იულიანე იმავე ბრძოლაში დაიჭრა და მოკვდა. მისი მოადგილე იოვიანი შეურიგდა (364 წ.) შაბურს, რომელსაც დაუთმო ნისიბისი, შუამდინარე და ხელი აიღო სომხეთის მფარველობაზე.

შაბური უფრო გამხნევდა. მან შეიპყრა სომხეთის მეფე არშაკი, ვერცხლის ჯაჭვებით შებორკილა, ეკბატანას მიიყვანა და საპყრობილეში ჩააგდო.

ბაკურს ბერძენთა ღალატი და შაბურის მომხრეობა ძვირად დაუჯდა. იგი ხელში ჩაუვარდათ ბერძნებს და ტყვედ წაიყვანეს. ბაკური იქიდგან აღარ დაბრუნებულა. იქვე იგი შევიდა იმპერატორის სამსახურში. 378 წელს იგი ებრძოდა იმპერატორ ვალენტის მტრებს გუთებს ადრიანოპოლთან, საცა წინამძღვრობდა მეისრეთა გუნდს; 394 წელს ახოვნად ებრძოდა იმპ. თეოდოსი დიდის მტერს ევგენიოსს 12,000 მეომრით. ბაკურის სიტყვით მისი თანამედროვე რუფინი გადმოგვცემს ცნობებს ქართველთა მოქცევის შესახებ.

პეტრე-ქართველი ბაკურს სთელის თავისს პაპად და ამბობს, რომ იგი იყო ქართველების პირველი ქრისტიანი მეფე. ბაკური მართლაც პირველი ქრისტიანი მეფე იყო, ვინაითგან იგი დაბადებითვე ქრისტიანე იყო, ხოლო მარიანმა კი, წარმართის შვილმა, თითქმის ნახევარი თავისი სიცოცხლე წარმართობაში გაატარა.

3. სავრომაკი (საურმაგი) და ასპაკური (ასფაგური). 368 წელს ისევ ასტყდა ომი სპარსეთსა და რომაელებს შორის. მიზეზად ისევ საქართველოს და სომხეთის დაჩემება შეიქმნა. საქართველოში მაშინ მეფობდა რომაელების მიერ დადგენილი სავრომაკი. შაბურმა ეს გააგდო და მეფედ დანიშნა მისი ბიძაშვილი ასპაკური, ხოლო სომხეთის გამგებლად დაადგინა ვიღაც ხადუმი კილაკსი და არტაბანი. ამათ დაავალა დაეპყრათ ძლიერი ქალაქი არტოგერასი, საცა იყვნენ მეფის არშაკის მეუღლე ოლიმპიადა და მისი ძე. მაგრამ ამათ ეს ქალაქი ვერ აიღეს და შაბურის შიშით გაიქცნენ და ლაზისტანის მიჯნაზე გამაგრდნენ. მათთან იყო არშაკისძეც პარა. შაბური თვითონ შემოერტყა არტაგერას, აიღო იგი, დაატყვევა დედოფალი ოლიმპიადა და ხელთ იგდო დიდძალი განძეულობა. მერე მოციქული გაუგზავნა პარას და შეუთვალა, არა გრცხვენიანო, რომ მეფე კაცი ხარ და უგვარო კილაკსა და არტაბანს ემსახურებიო. პარამ ესენი დახოცა და მათი თავები შაბურს გაუგზავნა.

ამ დროს რომაელთა ძლიერი ლაშქარი მოიყვანა არინთეოსმა. შაბურმა იმპერატორს მოციქულები გაუგზავნა და მოახსენა: მე და იოვიანმა დავადგინეთ, რომ თქვენ არ მიემხროთ სომხებს.

ეს მოციქულები იმპერატორმა არ მიიღო. სავრომაკი, რომელიც განედევნა შაბურს, ერთის ლეგიონით ტერენტისთან ერთად წამოვიდა საქართველოსკენ. მტკვარს რომ მოუახლოვდა, ასპაკური გამოეგება მას, როგორც თავისს ბიძაშვილს, და სთხოვა ერთად ვიმეფოთო. საქართველოს გაუოფა მას თა-

ვისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა, ვინაითგან არც ტახტს დაჰკარგავდა და არც რომაელების მხარეს დაიჭერდა, რომ არ დაეღუპა თავისი შვილი ულტრა, რომელიც მაშინ სპარსელებს მზეველად ჰყვანდათ.

იმპერატორმა, სცნა-რა წინადადება ასპაკურისა, გადასწყვიტა საქართველო გაეყო ორ ნაწილად ისე, რომ მიჯნად ყოფილიყო მტკვარი, სავრომაკს რგებოდა სომხეთისა და ლაზისტანის მომიჯნავე ნაწილი, ხოლო ასპაკურს—ალბანიისა და სპარსეთის სამფლობელოების მომიჯნავე მხარე. შაბურმა უარი შეუთვალა და ჯარების მოკრეფას შეუდგა, რომ დაანგრიოს ყველა ის, რაც შეჰქმნეს და მოიმოქმედეს რომაელებმა თავიანთ სასარგებლოდ.

შაბურმა ააოხრა მთელი სომხეთი, გაძარცვა დიდებული და მდიდარი არტაკსატა, სომხეთის მეფეების სატახტო ქალაქი. ამ დროს ვიღაც რომაელმა უღალატა პარას და მოჰკლა (374 წ.) თითქმის ოცის წლით სომხეთი სპარსთა საერისთაოდ შეიქმნა. მხოლოდ შაბურის სიკვდილის შემდეგ (+ 380 წ.) სომხებმა სპარსთა უღელი მოიხსნეს და ისევ მიემხრნენ რომაელებს.

თვით საქართველოს შესახებ შაბურს ორის წლის განმავლობაში მიწერ-მოწერა ჰქონდა იმპერატორ ვალენტთან, რომელსაც სთხოვდა, საქართველოდგან გაიყვანე შენი ლაშქარიო და შენ-მიერ მეფედ დადგენილი სავრომაკი. ვალენტი სპარსეთის მეფის მონაწერს ყურადღებას არ აქცევდა. შაბურმა თავის ვეზირთ-უფროსი სურენაც გაგზავნა რომს და რომ ამის მოციქულობაც უყურადღებოდ დასტოვეს, შაბურმა ომი დაიწყო (374 წელს) და იგივე სურენა მიუსია სავრომაკის მომხრე რომაელების ჯარს. სურენამ მტერი დაამარცხა და მთლად ამოსწყვიტა. იმპერატორი ვალენტი მაშინ ებრძოდა გუთებს და აღარ ეცალა აღმოსავლეთისთვის. შაბური დაუპატრონდა საქართველოსა და სომხეთს. ეს ასპაგური ჩვენ მიგვაჩნია ზემოხსენებულ ასფაგურად (გვ. 136), ხოლო სავრომაკი და ას-

პაგური იმ ასფაგურად და საურმაგად, რომელთაც იწყესო მე-23-ე მეფობა (გვ. 136). სავრომაკი, ალბად, იყო ბაკურის შვილი და, როდესაც ბაკური განუდგა ბერძნებს და მიემხრო შაბურს, ეს არ მოიწონა სავრომაკმა, განეზრახა ბერძნებს, მათი ლეგიონი შემოიყვანა საქართველოში და გადასცა მათ თვისი მამა, ხოლო იმპერატორმა მადლობა გადაუხადა მით, რომ გამოაცხადა იგი საქართველოს მეფედ, მაგრამ რადგან საქართველოს ნამდვილ პატრონად ამდროს იყო შაბური, ამან სავრომაკის მეფობა უარჰყო და მეფედ გამოაცხადა თავისი მომხრე ასფაგური, ალბად, რევისძე, ვინაითგან იგინი (სავრომაკი და ასფაგური) ღვიძლი ბიძაშვილები იყვნენ.

ამას ნათელს ჰფენს ქართლისცხოვრებაც. ჯერ ისევ მირიანის დროსვე დაწესდა ორგამგეობა: აღმოსავლეთში (კახეთს) მთავრობა იწყო რევმა, დასავლეთში (ქართლში) კი მეფობდა მირიანი. მემატიანე იმასაც კი ამბობს, რომ რევს „სიცოცხლესავე თვისსა მიეცა მეფობა“, მაგრამ ეს სწორე არ უნდა იყოს, ვინაითგან ბაკურის ცხოვრებაში სწერია: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი (ბაკურის), რომელ ეძლოს პყრობაჲ მეფობისაჲ, მათი იყოს მეფობა, არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა... მაშინ მოიყვანნა ძმისწულნი (რევის ძენი), მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს (ყარაიას) ერისთავად“.

თავი V.

მეფენი ვახტანგ გორგასლამდე.

1. **მეფე მირდატ** (374—389). შაბურმა 374 წელს გააგდო რომაელების მომხრე სავრომაკი და იწყო ბატონობა საქართველოშიაც ისე, ვით სომხეთში. შაბური მოკვდა 380 წ. და, ალბად, მანამდე მის ხელმწიფობის ქვეშე იყო ქართლ-კახეთი, საცა, როგორც იყო ნათქვამი, მეფობდა ასპაგურ რევისძე, ყაენის ერთგული მომხრე. მეფე მირდატმა მან თითქმის მთელი თვისი სიცოცხლე გაატარა კლარჯეთში. აქ მანამდე ეკლესიები არ იყო. მან ააშენა საყდრები, ამათგან ერთი—თუხარისის ციხეში; მანვე გაამშვენა ღვდლები კლარჯთა სამოძღვრებლად. ამას გარდა, შეამკო ეკლესიები ერუშეთსა და წუნდას. ამავე დროს ქართველებმა იწყეს ჯვრების გამოჭრა სვეტის ცხოველისაგან. ერთი ამისთანა ჯვარი მეფემ დაასვენა ერუშეთს, ხოლო თვით სვეტი-ცხოველს შემოავლო ქვითკირის სვეტი და მის თავზე აღმართა ძელი-განმანათლებელი.

ამ მირდატს მემატიანე სთვლის ბაკურის შვილად. მაგრამ ნამდვილად კი იგი უნდა ყოფილიყო ძე სავრომაკისა (საურმაგისა). ქართლიდგან გაგდებული საურმაგი იმალებოდა კლარჯეთში და რომ მოკვდა, მისი ტახტი დარჩებოდა მირდატს.

2. **ვარაზ-ბაკური** (389—425). ვარაზ-ბაკურის მეფობას ვახუშტი დასდებს 379—393 წლ., რადგან მას შეცდომით სთვლის თევდოსი დიდის (379—393) თანამედროვედ. ნამდვილად კი იგი იყო თანამედროვე თევდოსი მცირისა.

ვარაზ-ბაკურის შვილი მურვანოზი 12 წლისა იყო, რომ 422 წელს ასტყდა უთანხმოება თევდოსი მცირესა და სპარსეთის მეფე ბარამგურს (420—440) შორის. თევდოსიმ, როგორც საქართველოს მფარველმა, ვარაზბაკურს მოსთხოვა და-

ხმარება და დასარწმუნებლად რომ იგი მისი ერთგული იქნება, ითხოვა აგრეთვე მზევალი. მეფემ წარგზავნა თავისი შვილი მურვანოზი და სხვა სეფეწულნი „მრავლითა პატივითა და დიდებითა". თევდოსი, მისი მეუღლე ევდუკია და მთელი სამეფო პალატი გაჰყოლებენ კოსტანტინოპოლს მისულ მეფისძეს და მის ამალას. მეფე-დედოფალმა მოიკითხეს მურვანოზი, უამბორეს და სასახლეში მიიწვიეს მეფისძე აღმოსავლეთიდგან მოსული.

ყოველივე ეს მოხდებოდა არა ადრე 421 წლისა, როდესაც თევდოსი მცირემ შეირთო ცოლად ევდუკია, და არა უგვიანეს 422 წლისა, როდესაც გაჩაღდა სპარს-ბერძენთა ომი და ბრძოლა. ამ ხანს მურვანოზი იყოო 12 წლისა (ჩვენით— იქნებოდა მხოლოდ 10 წლისა. (იხ. გვ. 187) და ამ 422 წ. კი ვარაზბაკური კარგა ხნის მეფე უნდა ყოფილიყო, ვინაითგან შეირთო-რა რევის ძის თრდატის (ტირიდატის) ასული ცოლად, დიდხანს ვაჟიშვილი ანუ, როგორც ამბობს მემატიანე, ძე-წული არ ეყოლა. ამიტომ შეცდომა არ იქნება, თუ ვარაზბაკურის მეფობის დასაწყისად დავდეთ 384 წ., ხოლო მის მამის მირდატისა—374 წ. (ამან, ვახუშტის ანგარიშით, იმეფა 15 წელიწადი. 374 + 15=389).

იეზდიგერდ I-ის (+ 419 წ.) მეფობის უკანასკნელს წლებში სპარსეთის ქალაქ სუზას ეპისკოპოსმა დაანგრევინა საცეცხლე ტაძარი. ამისგამო მოგვები გადაეკიდნენ ქრისტიანებს და დაუწყეს მათ დევნა. ქრისტიანები გაიქცნენ საბერძნეთს. გამეფებისავე უმალ იეზდიგერდის ძემ ბარამმა იმპერატორს მოსთხოვა გაქცეულები. მან უარი შეუთვალა. დაიწყო ომი. ორთავე მხრის ლაშქარმა აავსო მთები სომხეთისა და შუამდინარის მინდვრები.

ამდროს სომხებმა წინადადება მისცეს ვარაზბაკურს, შეერთდეთო, კავკასიონის კარი გავაღოთ, გამოვიყვანოთ ოსები და ლეკნი, ბერძნებს შევუერთდეთ ყველანი და ვებრძოლოთო სპარსებს. ესრეთი თხოვნა ქართველთა მეფემ არ შეისმინა,

ალბად, იმიტომ, რომ მაშინ სომხეთი უნუგეშო მდგომარეობაში იყო. მეხუთე საუკუნის დასაწყისშივე ძმათა შორის შუღლმა და დასობანამ სომხეთი ორ ნაწილად გაფხრიწა, მისს აღმოსავლეთს ნაგლეჯს დაეპატრონა სპარსეთის მეფის მორჩილი ხოსრო, ხოლო დასავლეთისას—არშაკი, რომლის მფარველი იყო იმპერატორი არკადი: არშაკის გარდაცვალების შემდეგ რომაელებმა შეიერთეს მისი სამეფო, რომლის უმაღლესი მმართველობა ჩააბარეს სომხეთის მიჯნის სპასალარს, ხოლო შინაური გამგეობა დაუმორჩილეს ხუთს ერისთავს. აზნაურები და ყველანი, ვინც უკმაყოფილონი იყვნენ ამ წეს-წყობილებით, გადასახლდენ არტაკსატას და დაემორჩილნენ ყაენის ერთგულ ხოსროს, თუმცა მისს ნაწილს სომხეთშიაც სუფევდა ღელვა, შფოთი და მტრობა.

ამისგამო ვარაზბაკური ვერ მიიღებდა სომხების რჩევას და არ ჩაერეოდა ბერძენთა და სპარსთა შორის ატეხილს ომში. მან, გაგზავნა-რა თავისი შვილი მურვანოზი კოსტანტინეპოლს მზეველად, ამით დაუმტკიცა იმპერატორს თვისი ერთგულება, ხოლო თვითონ კი უკუ-ჯდა ხევსა-კახეთისასა, ხიდარს ააშენა ციხე, გაამაგრა ციხე-ქალაქები და ქრისტიანებს უბრძანა, ჯვრები დაემალათ. იგი კარგად გრძნობდა, რომ თეოდოსის მეგობრობას არ აპატიებდა მას ყაენი, თუ სპარს-ბერძენთა ომში გამარჯვება დარჩებოდათ სპარსელებს.

მეფის მოლოდინი გამართლდა. სპარსთა და ბერძენთ ომი, რამდენიმე შეტაკების შემდეგ, დასრულდა (422 წ.) მორიგებით (ასის წლის ხელშეკრულობით).

ამ მორიგებამ ბარამგურს სიმხნევე მოუმატა. მან პირი იბრუნა სომხეთისა და საქართველოსკენ. სომხეთის მეფეს არტაშირს და ვარაზბაკურს შემოაწერა ხარკი. მეფე არტაშირი, ხოსროს მოადგილე, უთაოსნო მეფე იყო; იგი შეიძულა სომხეთის დიდკაცობამ. ყაენს შეასმინეს, არტაშირი გღალატობსო და იმპერატორს მომხრეობსო. ბარამგურმა გაასამართლა სომხეთის მეფე, გაამტყუნა, სამეფო ღირსება ახადა, მისი სამ-

ფლობელო სპარსეთს შეუერთა პერს-არმენიის (სპარსთა სომხეთის) სახელწოდებით. ამისგამო თეოდოსის ომის ატეხა უნდოდა, მაგრამ ბარამგური მორიგდა მასთან, სომხეთი თითქმის შუაზედ გაუყო და დასავლეთი ნაწილი არშაკიდების დიდებულ სამეფოისა მას დაუთმო (433 წ.).

ვარაზ-ბაკური რომ კახეთის-ხევში გამაგრდა, სპარსთა ერისთავი შემოვიდა სომხითს, ააოხრა იქაურობა და შემოვიდა ქართლს, დადგა სოფელ ტფილისს და აქ, რომ შეეკრა გზა მცხეთისა, ააშენა შურის-ციხე. ვარაზ-ბაკურმა ბრძოლას და სისხლის ღვრას დამორჩილება არჩია. იგი წარსდგა სპარსთა ერისთავის წინაშე და მშვიდობა ითხოვა. მან უთხრა: „რანი და მოვაკანი სპარსეთის საზღვრებზეა და ჩვენ უნდა დაგვითმო, აგრეთვე უნდა გვაძლიო ხარკი და ეხლავე გადმოგვცე რანის ერისთავის ფეროზის შვილნი". მეფემ თანხმობა გამოაცხადა. სპარსთა ერისთავი დაბრუნდა.

შეიტყეს-რა ეს კლარჯელებმა, ვარაზ-ბაკურს განუდგნენ და ბერძნებს მიემხრნენ. ბერძნებმა დაიჭირეს თუხარისის ციხე და მთელი კლარჯეთი არსიანამდე. ვარაზბაკურს დარჩა Cერეთი, ქართლი და ეგრისი (იმერეთ-სამეგრელო).

მისი შვილი მურვანოზი ბერძნებმა აღარ დააბრუნეს სამშობლოში. მის აღზრდა-განათლებაზე იზრუნეს თეოდოსიმ და მისმა მეუღლე ევდუკიამ. ეს ევდუკია ფილოსოფოსის ლეონტის ასული იყო, ქალი ფრიად განათლებული და კეთილი. მან ქრისტიანობა მიიღო მხოლოდ 421 წელს, როდესაც მისთხოვდა იმპერატორ თეოდოსის. სამეფო სახლში იგი სწერდა სხვა და სხვა თხზულებებს და აგრეთვე ქება-ხოტბას ასხამდა თეოდოსის მის გამარჯვებების გამო სპარსელებზე. იგი ამასთანავე იყო მეტისმეტად ღვთისმოყვარე ადამიანი. რამდენიმეჯერ მოილოცა იერუსალიმი და აქვე დალია სული, ქმრისაგან გამოგდებულმა და მოძულებულმა.

ამ დედოფლის კარზე გამოზდილმა მურვანოზმა ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული და ასურული ენები, სრული ფი-

ლოსოფოსობა და კაცის დამამშვენებელი სათნოებანი. შემდეგ წავიდა იერუსალიმს ვინმე იოანესთან ერთად, უფლის საფლავზე ბერად აღიკვეცა პეტრეს სახელწოდებით და შეუდგა ქვეყნის სამსახურს. ააშენა მონასტრები და ქსენონი იერუსალიმში, მონასტრებივე იორდანის პირას, უდაბნოში. შემდეგ მოვლო ეგვიპტის უდაბნოები. დაბრუნდა-რა იერუსალიმს, აავსო თავისი მონასტრისა და ქსენონის საფქვილე, საცერცვე, საზეთე, საღვინე და საჭურჭლე. შველოდა წმ. ადგილების მოსალოცავად მოსულ ქართველებს, ბერძნებს და სხ. თავის წმინდა ცხოვრებით განითქვა სახელი და ღირს იქმნა დაეპირა მაიუმის საეპისკოპოსო კათედრა. ეპისკოპოსობაშიაც არ ივიწყებდა ღარიბებს, უძლურებს და დავრდომილთ. მთელი მისი ცხოვრება სარკე იყო სიქველისა, სიწმინდისა. აღესრულა 65 წლისა, 2 დეკემბერს, პარასკევს *), ზენონის მეფობაში.

3. **თრდატი და მისი მემკვიდრეები** (425—442). ვარაზბაკური რომ მოკვდა, მას დარჩა სამი მცირეწლოვანი ვაჟი: რევისძის თრდატის ასულისაგან მირდატი და თრდატი, ფეროზის ძის წულისაგან, რომელიც შეირთო მირვანოზის მზევლად წარგზავნის შემდეგ, ფარსმანი. ამათ უსუსურობის გამო მეფობის თავი არ ჰქონდათ. და ამიტომ ქართველებმა ტახტზე დასვეს რევისძე თრდატი, კაცი ღრმად მოხუცებული. მასვე ჩააბარეს მისი ქალისაგან ნაშობი მეფისძენი მირდატი და თრდატი, ხოლო მეორე ცოლისაგან გაჩენილი ყრმა ფარსმანი აღსაზრდელად მისცეს სამშვილდის ერისთავს ფარსმანს. მეფე თრდატი (ტირიდატი) იყო კეთილი, მორწმუნე, ბრძენი და გონიერი. მან დაამშვიდა სპარსნი. ხარკის ძლევა განაგრძო. ფარაზბაკურისაგან დამალული ჯვრები გამოაჩინა ერის თაყვანსაცემლად. შეამკო ეკლესიები, ააშენა ტეძრები რუსთავს (ყარაიას) და ნეკრესს. რუისს რუ გამოიღო.

---

*) 477 წ., როდესაც გარდაიცვალა მურვანოზი (412+65), 2 დეკემბერს, მართლაც, პარასკევი იყო.

მის შემდეგ გამეფდა ვარაზბაკურის ძე ფარსმანი, როგორც უხუცესი ძმათა შორის. ეს იყო კაცი მორწმუნე, კარგი ცხენოსანი, გამბედავი მეომარი. კეისრის შემწეობა ითხოვა, განუდგა სპარსებს და ხარკის ძღევა აღკვეთა. ააშენა ბოლნისის საყდარი.

მისი ძმა მირდატი იყო ქველი, მხედარი, შემმაერთებელი, ურწმუნო, უშიში ღვთისა, ლაღი და ამპარტავანი. იგი მინდობოდა თავის ლაშქარს, არ ემსახურებოდა ღმერთს, საყდრებს არ აშენებდა, თავს არ უდრეკდა ბერძენთ, რომელთაც ედავებოდა კლარჯეთს, და ხარკს არ აძლევდა სპარსებს. ამათ ლაშქარს გულადად შეება გარდაბანს, მაგრამ დამარცხდა და დატყვევებულ იქმნა. სპარსნი შემოვიდნენ ქართლს, ეკლესიები გარუვნეს. მეფის გვარეულობა დაიმალა კახეთის-ხევში. მირდატი წაიყვანეს ბაღდადს (?) და იქ მოკვდა.

ამ მეფეების ცხოვრებაც არეულია. ამათი მეფობის რიგი შატბერდის ქრონიკითა და ქართლის ცხოვრებით:

ქართ. ცხოვრებით	შატბ. ქრონიკით
ბაქარ მირიანისძე	ბაკურ რევისძე
მირდატ ბაქარისძე (374—389*)	თრდატ რევისძე
ვარაზბაქარ მირდატისძე (389—425)	ვარაზბაკური
თარდატ რევისძე (425--437)	ბაკურ თრდატისძე
ფარსმან ვარაზბაქარისძე (437—440)	ფარსმან ვარაზბაკურისძე
მირდატ ვარაზბაქარისძე (440—442	მირდატ

ვარაზბაკურის დროსო, ამბობს შატბერდის ქრონიკა, სპარსთა მეფის მარზაპანნი შემოვიდნენ სივნიეთს (ყარაბაღს), მეფე ხიდარს წავიდა. ხოლო ქრამ-ხუარ-ბორ-ზარდი, სპარსთა პიტიახში, მოვიდა ქალაქ ტფილისის ციხეს. მის მოხარკედ შეიქმნენ ქართლი, სომხითი, სიკნიეთი (=სიონი) და გვასპურაგანი (ვასპურაკანი). ამავე დროს აზნაურებმა დაამთავრეს

*) ყოველი მეფობის წელთა რაოდენობა შეთანხმებულია ვახუშტის ქრონიკონებთან.

მცხეთის დიდი ეკლესია და მიათვალეს მას ზოგიერთი სოფლები.—მირდატის დროს კი სხვა პიტიახში ყოფილა—ვარაშე, რომელსაც იგი ბაღდადს (!) წაუყვანია.

ეს ვარაშე უნდა იყოს იგივე ქართლისცხოვრების უბარაბი: ხუცურის უცოდინარ გადამწერს ასოები არევია და ვარაშე უბარაბ-ად დაუწერია (ვით შიოშე ბიობად, არდაშირი არდაბირად და სხ.). ვარაშე (ანუ ვარანი ანუ იეზდიგერდ II) მეფობდა სპარსეთში 440—457 წლ. ამიტომ ხსენებულ მეფეების ხელმწიფობა დაახლოებით უნდა დასრულებულიყო ზემო ნაჩვენებ წლებში.

4. **მეფე არჩილ მირდატისძე** (442—466). დაიპყრეს-რა სპარსებმა ქართლი, ყოველს ეკლესიაში აღაგზეს ცეცხლი, გააჩაღეს ცეცხლის მსახურება. ქრისტეს მორწმუნეებმა დამალეს ხატები და ჯვრები, ფარულად იწყეს თავის სარწმუნოებრივ წესების აღსრულება. მესამე წელს ამის შემდეგ სპარსეთს გამოუჩნდენ მტერნი აღმოსავლით და მათ მოგერებას მოუნდნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა. შეიყარნენ აზნაურები, კახეთის ხევიდგან მოიყვანეს არჩილი მცხეთას და მეფედ დასვეს.

ხსენებული „მტრები სპარსეთისა“ იყვნენ ჰუნნები. ამათი ძლიერი დასი შეესია სპარსეთს (441—442 წ.), მიდიის მიჯნაზე შეება ყაენის ლაშქარს, თავზარი დასცა იქაურობას, გადაიარა ტიგრი და ევფრატი, გავლო ასურეთი, შეაძრწუნა ანტიოქია და ძლევამოსილებით დაბრუნდა უმთავრეს ურდოს.

ეს ჰუნნები, ევთალიტები და სხ. ველურები მოსვენებას არ აძლევდნენ სპარსეთს. ამით ისარგებლა არჩილ მეფემ, მოსრა და განდევნა ცეცხლის მსახურნი, განუდგა სპარსეთს, მოიშველია ბერძენნი და იქიდგანვე მოიყვანა მარიამი, ასული იოვიანთა გვარისა *), და შეირთო ცოლად.

მაშინ ქართლის გამგეობა სპარსეთის მეფეს მიენდო რან-

*) იოვიანი საბერძნეთში მეფობდა 364 წ. (იხ. გვ. 179).

მოვაკნის ერისთავისთვის. ამან მოიწვია ჯარი რანისა, მოვაკნისა და ადარბადაგნის და მოჰმართა არჩილ მეფეს. მდ. ბერდუჯის ნაპირზე შეიბნენ. არჩილმა დაამარცხა, მრავალი დაატყვევა, მერე შევიდა რანს, იქაურობაც წარმოტყვენა და დაბრუნდა.

გახარებულმა მეფემ ერს სთხოვა: მტკიცედ იყავით თქვენს სარწმუნოებაზედ, ნურავის შიშით ნუ გექნებათო. ერმაც მადლობა შესწირა ღმერთს, იწყო ეკლესიების განახლება, ჯვრების გამოჩენა. თვითონ მეფემაც ააშენა სტეფანწმინდის საყდარი მცხეთას, „კართა ზედა არაგვისათა, იქ, საცა იყვნეს კუბონი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მასვე აღეშენნეს“.

ნ. **მეფისძე მირდატი** (446—478) მამასავით მხნე, ქველი და მეომარი კაცი იყო. ამან აღარ მოასვენა რანი და მოვაკანი, საცა მაშინ ერისთაობდა ბარზაბოდი. ამ ბარზაბოდს ჰყვანდა ასული სანდუხტ, ქალი შვენიერი, კეთილი. მირდატმა მოინდომა შეერთო იგი ცოლად. მამას მოახსენა თავის გულის ნადები და ისიც დათანხმდა: ბარზაბოდთან დანათესავებით კარგს საიმედო მეგობარს შევიძენთო. არჩილმა მოციქულები გაუგზავნა ბარზაბოდს და მისი ქალი ითხოვა. რან-მოვაკნის ერისთავს გაუხარდა და თავისი ასული დიდებით და დიდის მზითვით მცხეთას გამოგზავნა. ქმნეს ქორწილი, შვება და განცხრომა მრავალს დღეს. მეფემ მირდატს მისცა სამშვილდის საერისთაო. სამშვილდეში რომ დასახლდენ, სანდუხტი ჯერ ისევ ცეცხლის მსახური იყო, თუმცა იძიებდა და იკვლევდა ქრისტეს სჯულსაც. მისის სურვილით გადაუთარგმნეს მას (ალბად, მოვაკნურს ენაზედ) სახარება. გაეცნო-რა ამ წიგნს, ირწმუნა ქრისტე და მოინათლა.

მირდატს, რომელიც მამის შემდეგ გამეფდა, სანდუხტისაგან ეშვნენ ქალები ხვარამზე და მირანდუხტი და ვაჟი ვახტანგი *). ვაჟის დაბადება იდღესასწაულა მეფემ. მოიწვია ყვე-

*) ვა(რან) ხ (ვასრო)თანგი.

ლა ერისთავები. ღარიბ-ღატაკებს დაურიგა დიდძალი ოქრო, ვერცხლი. რამდენიმე დღეს ღამისთევით ილოცეს, მერე მეფემ მიიპატიჟა ყველა წარჩინებულნი, გაუმართა პურობა, განცრომა-შვებამ გასტანა რამდენსამე დღეს. სტუმრობის დასასრულს მეფემ თავისი შვილები აღსაზრდელად მისცა: ვახტანგი —ქართლის ერისთავს და სპასპეტს საურმაგს, მირანდუხტი— კასპის ერისთავს.

იმთავითვე წესად იყო საქართველოში: მეფეების შვილებს თვითონ სახლში წაიყვანდნენ ხოლმე დიდებულნი და გამოზრდიდნენ უოველის ზრუნვითა და ერთგულობით: ასწავლიდნენ სამეფო საქმეებს, სიმარ ხელოვნებას, წერაკითხვას და სხ. ამგვარადვე დიდებულთა და მთავართა შვილებსაც კაიბარებდნენ ხოლმე მათნივე ახნაურნი და თავადნი, ხოლო ამათ შვილებს—მათივე შეძლებული გლეხები. აღმზრდელებს ერქვათ: მამაკაცს—მამამძუძე, დედაკაცს —დედამძუძე, ხოლო ერთის ძუძუთი აღზრდილ ძმებს, მაგრამ სხვა და სხვა მამების შვილებს, ძუძუსმტე. ეს მამამძუძეობა და ძუძუსმტეობა ჩვენში ისეთივე მტკიცე ნათესაობა იყო, როგორც სისხლით ნათესაობა. აღსაზრდელად გამზადებულ ურმას დიდის ამბით წაიყვანდნენ ხოლმე მისს მამამძუძის სახლში, და ამ სახლში დაბინავების დღიდგან იგი უნათესავდებოდა არათუ მარტო აღმზრდელის ოჯახს, არამედ მთელს გვარსაც, რომელსაც ეკუთვნოდა თვით მამამძუძე.

ეს წესი ამავე სახით დღესაც არსებობს ოფხაზეთში, სადა აბაძძეი (მამა-მძუძე) და ანა-ძძეი (დედა-მძუძე) კაიბარებენ ხოლმე სხვათა შვილებს, მომეტებულად კავლენიან და შეძლებულ კაცების ურმებს, რათა მით თვითონაც შეიძინონ კავლენა და აგრეთვე კაიჩინონ თვისის ოჯახის მფარველი და მოსარჩლე. დაიბადება-რა ურმა, მშობიარეს სახლში იმართება დიდი სტუმრობა, რომელსაც ესწრებიან მამამძუძე და დედამძუძე. შემდეგ მათ აბარებენ ჩჩვილს, აძლევენ საჩუქრებს, სააკვნე მორთულობას, ქვაბს და ისტუმრებენ. ურმა რჩება მათს სახლში 8—9 წლამდე. მამა-დედამძუძეობა ოფხაზეთსა,

სვანეთსა და სხ. ისეთ საჭიროებად შექმნილა, რომ, ხშირად, დიდებსაც იყვანენ ძუძუსმტედ *). ვისმე გავლენიან კაცს იწვევენ სახლში, პურობას უმართავენ, დიასახლისის ძუძუზე კბილს ადგმევინებენ და ამ დღიდგან მოწვეულსა და მწვეველებ შორის მყარდება მტკიცე ნათესაობა.

---

*) მ ტ ე—სმისა და საპმლის მოზიარე (ლექსიკ. საბა ორბ. მ ტ ე—რძისა ან საპმელის მოზიარე, თანა მეინახე (ლექსიკ. ჩუბინ.). მ ტ ე 1035 წელს გადაწერილს ხელნაწერში იხმარება ტ ე—დ: პურისტე=პურისმტე (მწერლობა, გვ. 204 და სხ.).

თავი VI.

ძველი საუკუნოების დასასრული.

ძველი საუკუნოების დასასრული თითქმის ყველგან აღინიშნება: აღმოსავლეთიდგან გამოსულ ველურ ერთა მოძრაობითა და მპყრობელობით, რომის დასავლეთ იმპერიის დანგრევით (476 წ.), ახალ სამეფოების დაარსებით, ქრისტიანობისა და წარმართობის ურთიერთ შორის ბრძოლით და პირველის საბოლოო გამარჯვებით. ასრეთივე დიდ-დიდი ამბები შეინიშნება აღმოსავლეთშიაც: სპარსთა და ბერძენთ ვერაგობით ისპობა მეფობა არშაკიდებისა (433 წ.) და სომხეთი, სამეფო ძლიერი, მდიდარი, დროის შესაფერად განათლებული, ჰკარგავს თავისუფლებას, საქართველოსა და სომხეთის ქრისტიანობას სასტიკად ებრძვის სპარსთა ცეცხლთაყვანისმცემლობა და გამარჯვება რჩება ქრისტიანობას, რომლის მოთავედ საქართველოშიაც, მალე ამის შემდეგ ვით მანამდე სომხეთში, ჯდება კათალიკოზი, მეფდება ვახტანგ გორგასალი (478 წ.) და იწყება განახლებისა და გაძლიერების ხანა.

აგრედ-წოდებული უდიდესი გადასახლება ერთა დაიწყო 375 წ. მოძრაობა დაიბადა აზიაში. აქ, ალტაის მთა-დელეებში უხსოვარ დროითგანვე ცხოვრობდა მანღულის (მონგოლის) ტომის ხალხი, ფრიად ველური, უშიშარ, შესწავლულობისა, მაგრამ ბეოშარი, მხნე და გამბედავი. ამ ერის შაშით ჩინეთის ხელმწიფეებმა თავისს სამეფოს მიჯნაზე გაავლეს აგრედ-წოდებული „ჩინური-კედელი", მაგრამ ამით მაინც ვერ დაიფარეს სამეფო მის აგლებისა და აოხრებისაგან. ხარკითა და სიწყნარებით ძლივს იოკებდენ და აშოშმინებდენ ამ ველურების „ტანჯუს" —მეფეს. ბოლოს მათი ურდოები გადაიკიდნეს. ამით ისარგებლეს ჩინელებმა და მათი უღელი მოიხსნეს (მეორე საუკ. ქრ. შ.) და ზოგიერთი მათი ურდოებიც დაიმარჩიელეს, დასარკეს და ანუ თავიანთ მიჯნების მცველობა დაავალეს. მა-

თი უმეტესობა კი, უფრო ველური ჰუნნები წინათვე დაიძრნენ და თავიანთ ცხენ-ჯოგებით დასავლეთისკენ წამოვიდნენ. ამათი ერთი ნაწილი—ევთალიტები ანუ „თეთრი ჰუნნები“ ოქსუს და იაქსარტის მინდორ-ველებში ჩადგნენ, დაუწყეს ბრძოლა სპარსეთსა და მიდიას და საქართველომდისაც მოაწიეს ბუნ-თურქთა ანუ ჰუნ-თურქთა სახელწოდებით, მეორე ნაწილმა კი გადმოიარა ურალის მთები და ვოლგის ნაპირებზე დადგა. მე-IV ს. ქრ. შ. მათ მოაწვნენ ახალი ურდოები და იგინი კვლავ დაიძრნენ. მაშინ ვოლგასა და დონს შუა ადგილი ეკჭირათ ალანებს (ოსებს), ერს ფრიად ვაჟკაცს, მეომრობის ღმერთის თაყვანისმცემელს. ამათი ნაწილი კავკასიის მთებს შემოეფარა, ნაწილი კი შეუერთდა ჰუნნებს. ველურები დაეცნენ გუთების მეფეს გერმანრიხს, რომელსაც დაეპყრა გერმანთა და სარმატთ ხალხნი და თავისი სამეფოს აღმოსავლეთი მიჯნა დონისთვის მიებჯინა. გერმანრიხი დამარცხდა. გუთების ნაწილი გაიქცა დნესტრსა და დუნაის სამხრით, ნაწილი კი დაემორჩილა ჰუნნებს. თანდათან ესენი უფრო გაძლიერდენ და თავზარი დასცეს ორივე იმპერიას —კონსტანტინეპოლისას და რომისას. თეოდოსი მცირის დროს (414—453) ჰუნნების მეფედ იყო ატტილა—„შოლტი ღვთისა“. 442 წელს ატტილას ურდოებმა დაარბიეს სომხეთი, შუამდინარე, ასურეთი და თავზარი დასცეს არემარეს. 447 წ. თვით ატტილა შევიდა ილირია-თრაკიას, დასწვა, გადაბუგა, მოსტუენვა ქვეყანა. თეოდოსი მცირემ „ღვთის შოლტს“ დაუთმო დუნაის სამხრეთი ნაპირი, ყოველ წლივ ხარკად განუკვეთა 2,100 გირვანქა ოქრო და მრ. სხვა საჩუქრები და ამით დაამშვიდა და შეირიგა.

ატტილამ, დახარკა-რა აღმოსავლეთის იმპერატორი, ჰირი იბრუნა დასავლეთისკენ. 450 წელს 500,000 მეომრით გაილაშქრა დასავლეთ იმპერიის დასაპურობად. ჰუნნებმა გადალახეს და გადალეწეს ბევრი წვრილი სამეფო-სამთავროები და დაეცნენ (451 წ.) აეციის, იმპერიის მსედართმთავარს. ასტულა საშინელი ბრძოლა კატალაუნის ველზე. ორივე მხარეს დაეხოცა 162,000 მეომარი. გამარჯვება აეციის ერგო. მაგრამ მეორე წელსვე ატტილა უკვე იტალიაში მოქმედებდა და რომზე იერიშის მიტანის თავდარიგში იყო

და იმპერატორ ვალენტინიანმაც მორჩილება და მის ყველა თხოვნის აღსრულება გამოუცხადა. ატტილა მოკვდა 453 წ. მასს სამპერობელოს ნანგრევებზედ დაარსდა ახალი სამეფოები, გაჩნდა გერმანელთა და სკვითთა ერების თავისუფლება. გერმანელთა მთავრმა ოდოაკრმა, რომელსაც ატტილა პატივს არ აკლებდა, დაიპყრა რომის იმპერია (475 წ.).

ჰუნნების მოძრაობას ვერ გადურჩა აღმოსავლეთიც. როგორც უკვე იყო ნათქვამი (გვ. 57), ბუნთურქნი ანუ ჰუნთურქნი საქართველოში გამოჩნდნენ მე-IV საუკ. ქრ. წ. ჯერ მოვიდა მათი ურდო ბუნთურქობა და დასახლდა მტკვრის პირას, მერე მათ მიემატა მეორე ურდო—ჰონნი. ესენი გურგანის (კასპიის) ზღვის იქით მხრიდგან მოვიდნენ. ალბად, იგინი გამონაყოფნი იყვნენ იმ ჰუნნების ეფთალიტებისა, რომელნიც იწოდებოდენ „თეთრ-ჰუნნებად“ და მოსახლეობდნენ ოქსუსსა და იაქსარტზე. საქართველოში შემოსულ ჰუნნებსა და საზოგადოდ ყველა ჰუნნებს ერთნაირი ჩვეულება ჰქონდათ. ჩვენის მატიანის სიტყვით, ბუნთურქნი იყვნენ სასტიკნი, ყოველს სულიერს სჭამდენ, აგრეთვე მკვდარსაც, მკვდრის დამარხვა არ იცოდნენ. არც ცოლქმრობა. ქართველ-ბერძნებმა რომ დაამარცხეს, ესენი შეიმალნენ კავკასიონის მთებში. მემატიანის განმარტებით, ეს ბუნთურქნი იყვნენ იგივე ყივჩაყნი და მათგანვე წარმოსდგნენ დიდოელნი. ყივჩაყნი ცხოვრობდენ მდ. თერგის ზემო ვოლგამდე, ხოლო მათ დასავლეთით იყვნენ ალანნი (ოსნი), პაჭანიკნი (=პეჩენგნი), სამხრეთით—მთებში—ლეკნი, დიდონი, ღლიღვნი და ჩაჩ-ნნი (ნახჩნი). ყველა ამათ, მეტადრე ალანებს (ოსებს) დიდი გავლენა ჰქონდათ აღმოსავლეთის საქმეებზე. მე-V ს. პირველ ნახევარს კასპიის კარები ეჭირა ჰუნნს ანბაზუკს, რომლის მოსახელეცე ანბაზუკი და მისი ძმა ბაზუკი ქართველების მოწვევით ებრძოდნენ სომხებსა და პართველებს 1-ლს ს. ქრ. შ. ბაზუკივე იყო წინამძღოლი ჰუნნების იმ ჯარისა, რომელიც არკადი მეფის დროს (395—408) კასპიის ზღვის ნაპირებით შევიდა სომხეთს, სპარ-

სეთს, შუამდინარეს, დაარბია იქაურობა, თავზარი დასცა ანტიოქიას, ეგვიპტეს, კათბადუკიელებს წაართო შვენიერი ცხენები და ევროპას დაბრუნდა.

ალანებს ეჭირათ ჩრდილოეთის ყელი დარიალისა, რომელსაც ძველად, როგორც იყო ნათქვამი, ერქვა დარღ-ალანთ-კარი (ალანთ გრძელი კარი). ჩრდილოეთის მხრივ ამ გრძელი კარების *) მცველები ანუ დამკეტავ-გამღებელნი იყვნენ ალანნი. მათი მეგობრობა ქართველთათვის მუდამ საკეთილო იყო. მათ და მათ მეზობლების დახმარებით ქართველები არათუ იგერებდენ მოსეულს მტერს, არამედ, ხშირად, შორეულს მიდიასა და პართიაშიაც ლაშქრობდენ. მეოთხე საუკუნეში ეს ალანები საკმაოდ ძლიერნი იყვნენ. თანამედროვე ამმიან მარცელინი (დაიბადა 330 წ. ქრ. შ.) მათ შესახებ სწერს:

„ველური ჰუნნები მოვიდნენ ალანების (მასსაგეტების) ქვეყანაში. ალანები სარმატებისა და სკვითების მეზობლები არიან. ამ ალანებმა დაიმორჩილეს მეზობელი ხალხები და მათ მიაჩემეს თავიანთი სახელი. მათ შორის შუა ადგილი უჭერიათ ნერვების შემდეგ არიან ვიდინები და გელონნი. ესენი მეტად ველურნია. მოკლულ მტრის კანისაგან იკეთებენ ტანისამოსს. ამათი მეზობლები აგათირსნია, მერე მელანხლენი და კატის მჭამლები. ამ ზანების მომიჯნავედ ცხოვრობენ ალანნი. ესენი მხვნელ-მთესველნი არიან. იკვებებიან ხორცით და უმეტესად კი—რძით. სახლები არა აქვთ. ცხოვრობენ ხის ქერქით გადახურულს ორთვლიანს მარხილებში. მინდვრები აქ ვრცელია. ერთს ადგილს რომ შემოაკლდებათ საძოვარი, იურებიან და სხვა ადგილას გადადიან. მარხილებში მრავლდებიან და მარხილებშივე იზრდებიან. მარხილები—მათი სამშობლოა. ადგილიდგან ადგილს გადასვლის დროს წინ მიერეკებიან თავიანთ ნახირებსა და ფარებს, აგრეთვე ცოგებს. იგანი უველასი კარგი მხედრებია. ალანები თითქმის უველანი წელ-წერწე-

*) პროკოპიოსით ამ კარების-გასავალის სიგრძე იყო 50 სტადიონი, ხოლო გიბბონის გამოანგარიშებით—6 მილი.

ტნია, ლამაზნი, წაბლიფერ თმიანნი, საშიშარნი თავისის მრისხანე თვალებით, და მეტად მოძრავნია. უველაფრით ჭკუაებს ემსგავსებიან, თუმცა მათზე უფრო ლმობიერნია. სანადიროდ და საძარცვავად იგინი მიდიან ახოვის ზღუამდე, ბოსფორამდე და აგრეთვე სომხეთამდე და მიდიამდე. როგორც წუნარ და მშვიდობიან მცხოვრებლებისთვის სანატრელია მუუდროება და სიმშვიდე, ისე მათთვის სანუკვარია შფოთი და ბრძოლა, ბედნიერად იმას სთვლიან, რომელიც ბრძოლაში იღუპება, უბედურად იმას, ვინც კვდება შინ. მათში საკვეხურია, ვისაც ბევრი კაცი მოუკლავს. მოკლულს ჭვრიან არა თუ მარტო იარაღს, არამედ სჭრიან თავსაც. მათ არა აქვთ არც ტაძრები, არც სიწმინდენი, არც ჩალით გადახურული ქოხები. მიწაში ჩაურჭობენ ხმალს და მას თაყვანსცემენ, ვით მეომრობის ღმერთს მარსს. მონობა რა არის, მათ არ იციან, ვინაითგან იგინი უველანი ჩამომავლობით კეთილშობილნი არიან. მსაჯულებად ირჩევენ იმათ, რომელთაც სახელი გაითქვეს ომში".

ასეთები იყვნენ ეს ალანები (ოსები) მე-V საუკ. გასულს, როდესაც ისარგებლეს ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვანობით და შემოესიენენ საქართველოს.

დიდი რიხი და ძალა ჰქონდათ ამავე დროს კასპიის იქითა მხარეს მოსახლე ჰუნნებს — ეფთალიტებს, სპარსების დაუძინებელ მტრებს. ამათთან ბრძოლამ დიდხანს დააბანდა სპარსთა მეფეები აღმოსავლეთში და ვიდრე იგინი მოიცლიდნენ, გორგასალმა კიდეც შემუსრა ალანთა ძალა.

ქრისტიანობამ ამ ხანს თითქმის ყველგან გაიმარჯვა, და ბევრგან სახელმწიფო სარწმუნოებად შეიქმნა. მესამე საუკუნის დასაწყისშივე გაქრისტიანდნენ, ქართველებსა, სომხებსა, ბერძენ-რომაელებსა და აბაშელთ გარდა, აგრეთვე ზემო ხსენებულნი გუთნი. ამათ მოციქულად შეიქმნა ულფილა კათბადუკიელი, რომელიც ტყვედ წაიყვანეს თავიანთ ქვეყანაში. ქრისტიანობა მოედო აგრეთვე სპარსეთსაც, საცა დაწესდა საეპისკოპოსოები. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობას გამოუჩნდენ მძლავრი მტრებიც. დასავლეთში ქრისტეს სარწმუნოების მოს-

პობა და მრავალღმერთობის აღდგენა მოინდომა იმპერატორ იულიანემ (+ 363 წ.), ხოლო აღმოსავლეთში იმავე სარწმუნოების დამხობას შეეცადა შაბური, რომელმაც ამოხოცა (343 წ.) კტეზიფონის ეპისკოპოსი სიმეონი და მისნი მიმდევარნი. თვით ქრისტიანეთა შორისაც აქა-იქ იფეთქა უთანხმოებამა და მწვალებლობამ, რომელთაგან უმთავრესი იყო სწავლა არიოზისა *) და ნესტორისა **). თუმცა მოწინააღმდეგეთა და განდეგილთა მოსარიგებლად და საეკლესიო წეს-წყობილების გასაერთგვარებლად შესდგა მსოფლიო კრებები—ნიკიას 325 წ., კოსტანტინეპოლს 381 წ., ეფესოს 431 წ და ქალკიდონს 451 წ., მაგრამ ამ კრებებმაც უთანხმოება ვერ მოსპეს. ასურეთი, სომხეთი და ეგვიპტე გამოიყვნენ კრებების მიერ აღიარებულ სარწმუნოებიდამ და მონოფიზიტობა (ერთბუნებოვანობა) იწამეს. ამ მწვალებლობის მიღება სასარგებლოც იყო სომხეთის ერისათვის, ვინაითგან სპარსეთის მეფეები სასტიკად არ სდევნიდნენ მხოლოდ იმ ქრისტიანებს, რომელთაც არ იწყნარებდენ იმპერატორები.

ამ რყევა-განხეთქილებამ ქრისტიანეთა შორის დაბადა მრავალი შესანიშნავი მქადაგებელი, სასულიერო მწერალი, მოღვაწე და ღვთისმეტყველი (ბასილი დიდი (+ 379), გრიგოლი ნისელი (394 წ.), გრიგოლი ნაზიანზი (+ 390), ათანასი ალექსანდრიელი და მრ. სხ). ამავე დროს შემოვიდა ბე-

---

*) ძე ოდესღაც ღვთიურ ნებისა მიერ შექმნილია არარაისაგან, იგი არს პირველი ქმნილება უწინარეს ყოველთა ჟამთა და არსთა, შემოქმედი ხილულ ქვეყნისა. ამიტომ მას შეიძლება ვუწოდოთ ღმერთი, მაგრამ იგი არის არსება მამისაგან დამოკიდებული, როგორც დასაბამი ქმნილება შემოქმედისაგან.

**) ნესტორი 428 წ. კოსტანტინეპოლის პატრიარქი იყო. იგი აცხადებდა: ქალწულ მარიამს არ უნდა ეწოდოს ღვთისმშობელი, კაცობრიული ბუნება ქრისტესი განსხვავდება ღვთიურისაგანო: იგინი მხოლოდ ერთად მოქმედებდენ ჩვენის ხსნისთვისაო.

რობა. პირველი განდეგილი—ბერი იყო ანტონი ეგვიპტელი (+ 350 წ.), მის შემდეგ ბერობა სწრაფად გავრცელდა. ბერმონაზონთა შორის ყველაზე მეტად განითქვა—განდეგილის ცხოვრებით—სვიმეონ მესვეტე (395—451 წ.), რომელმაც განმარტოებით მაღალს სვეტზე გაატარა 30 წელიწადი.

საქართველოში თუმცა ქრისტიანობა გამოცხადდა საეროა სარწმუნოებად (323 წ.), მაგრამ წარმართობისა და მრავალღმერთობის ძალა ერთბამად არ აღმოიფხვრა ყველგან. მთიელ ქართველობამ (ფშავ-ხევსურ-თუშებმა), სვანებმა, (აფხაზებმა) და ზოგიერთ მიყრუებულ ადგილებში მოსახლეებმა ან სულ არ მიიღეს ქრისტიანობა ან და ზერეულად შეთვისებულ საქრისტიანო წესებთან ერთად შეინარჩუნეს თვისი უწინდელი წესებიც. კოლას მცხოვრებნი ყრმათა კოლაელთა წამებამდეც წარმართნი იყვნენ. ბერძენ მწერლების ცნობით, თვით ქართველთა, სომეხთა და სპარსთაგან ზოგიერთნი მოაქცია და მონათლა (432 წ.) ზემოხსენებულ სვიმონ მესვეტემ, ხოლო პროკოპი კესარიელი, თანამედროვე მწერალი, ირწმუნება, რომ ზანები (ჭანები) რომაელებმა მოაქციესო 522 წელს. ამავე პროკოპის სიტყვით, მე-V საუკ. არც ერთი ერი არ იყო ივერიელებისებრ საქრისტიანო სარწმუნოების წესების წმიდად შემნახავი. ივერიელთა ქრისტიანობაზე, უეჭველია, დიდი გავლენა ექნებოდა საქართველოს ბერობა-მონოზნობის მოთავეს—ზემოხსენებულს მურვანოზ (პეტრეს) ვარაზბაკურისძეს, იერუსალიმისა, ეგვიპტისა და მაიუმის მოღვაწეს, მაგრამ მაინც პროკოპისავით ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ქრისტიანობა ბრწყინვალე მდგომარეობაში იყოო. ამ ქვეყნის მეზობლად მაშინ მძვინვარებდენ სპარსთა მეფეები, დაუძინებელნი მტერნი მართლმადიდებლობისა. მათი სურვილი მუდამ ის იყო, რომ დაეთრგუნათ, ამოეგდოთ ქრისტიანობა და ეს რომ ვერ შესძლეს, შეიწყნარეს მხოლოდ ნესტორიანობა, მონოფიზიტობა და დევნა დაუწყეს იმპერატორების ერთ-მორწმუნე ქრისტიანებს და მეტადრე კი—ქართველებს, რომელთა მფარველობა-

სა და პატრონობაზე ხელს არ .იღებდენ საბერძნეთის ხელმწიფეები. ქრისტიანობა—სხვა და სხვა ერთა შემაერთებელ სახსრად მიაჩნდათ. ამიტომ ამ ქრისტიანობის გასანადგურებლად საქართველოში გზავნიდენ მოგვებს, ცეცხლის-მსახურებს.

II

საშუალო სანა.

—

განყოფილება I.

საშუალო საუკ. დასაწყისიდამ არაბების შემოსევამდე.

თავი I.

მეფე ვახტანგ გორგასალი (გურგენი).

ქორონიკონები. ყოველ ამბავს, ყოველ შემთხვევასა და ნამოქმედარს უნდა ემოწმებოდეს ქორონიკონიც, რომლის აღუნიშნავად თვით დიდებული კაცის ცხოვრებაც საარაკოდ, საზღაპროდ ხდება. ვახტანგის ცხოვრებაში ბევრი ქორონიკონებია ნაჩვენები, მაგრამ ეს ქორონიკონები ჩვენს მემატიანეს (ვახუშტი ბატონიშვილს) ჯეროვნად ვერ გაუგია და ამ მეფის ცხოვრება მოუქცევია არა 471—532 წლებ შუა, არამედ 439—499 წლებ შუა. ესრეთი შეცდომა ვახუშტს მოსვლია ამისთვის. ჩვენს მატიანეში არის ერთი ადგილი, საცა სწერია: „მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგისამდე გასულ იყოო 157 წელიწადი“. ეს ჯამი ვახუშტს მიუმატებია 342 წლისთვის (ამ წელს, მისის აზრით, გარდაიცვალა მირიანი) და ვახტანგის სიკვდილის წლად მიუჩნევია 499 წელიწადი (342 + 157=499). ეს ქორონიკონი შეუსაბამოა.

ა. თვით 157 ქორონიკონი დასმულია ვახტანგის ცხოვრების დასაწყისშივე (გვ. 121), შემდეგ მის დაბრუნებისა ოსეთის ლაშქრობიდამ, როდესაც იგი, როგორც იქვე იუწყება

ქართ. ცხოვრება, იყოო 22 წლისა და მირიანითგან აქნობამდე გარდაცვალებულ იყოო რვა მეფე, ხოლო ვახტანგის ცხოვრების დასასრულს (გვ. 145), მის მიერ კათალიკოზის დადგენის წელიწადს ქორონიკონი იყო 170, მეფობა ათი. თუ ვახტანგი მომკვდარი ყოფილიყო 157 ქორონიკონს, 170 ქორონიკონს როგორღა დააწესებდა კათალიკოზობას ან და ამ წელიწადს როგორღა იქნებოდა რვის მაგიერ ათი მეფობა!

ბ. ვახუშტით, დაჩი გამეფდა 499 წელს, ხოლო მატიანის ვარიანტით (ბარათაშვილების „ქართლისცხოვრებით") ვახტანგი დაიბადა 457 წ., გარდაიცვალა 517 წ. და ამავე წელს გამეფდა მისი მემკვიდრე დაჩი.

გ. ქორონიკონების არევ-დარევა კიდევ იმიტომ მომხდარა, რომ ვახტანგის ცხოვრების დასასრულს ფრაზისთვის „მოკვდა ბერძენთა მეფე, ვახტანგის სიმამრი", შემდეგ მიუმატებიათ სიტყვები „და დაჯდა ზენონ, ძე მისი, მეფედ". და იქვე განუმარტიათ: „ვახტანგისა სიმამრი ლეონ მაკელი".

აქ ყველა შეცდომებია: ა) ლეონ მაკელი (457—474 წ.), ბ) ზენონი (474—491). ეს ზენონი ლეონის შვილი კი არ იყო, არამედ მის ქალის არიადნას ქმარი. გ) ლეონი ვახტანგის სიმამრი ვერ იქნებოდა, ვინაითგან მის ორ ქალთაგან ერთი მისთხოვდა ზენონს და მეორე მარკიონს. ამას გარდა, ლეონის ასულებს ერქვათ არიადნა და ლეონტია, ხოლო ვახტანგის ცოლს ელენე. დ) ვახტანგის პირველი საქმე, ოსების დარბევის შემდეგ, იყო ლაშქრობა, ყაენთან ერთად, წინააღმდეგ ბერძნებისა, ხოლო ამ ბერძენთა და სპარსთ შორის ჰირველი ბრძოლა, 422 წლის ხელშეკრულობის შემდეგ, იყო 502 წელს *)

*) 422 წელს ბერძნებსა და სპარსებ შორის დაიდო ას ის წ ლ ის სამშვიდობო ხელშეკრულობა (ზემო გვ. 185). ეს ხელშეკრულობა ორივე მხარეს არ დაურღვევია 80 წ ლ ის განმავლობამდე (გიბბონი, ტ. III, გვ. 531 და ტ. IV, გვ. 367). მ. შასადამე, პ ი რ ვ ე ლ ი შეტაკება ამ ორს ერს შორის, 422 წლის ხელშეკრულობის შემდეგ, მოხდებოდა არა ადრე 502 წლისა (422 + 80).

ე) თვით ქართლისცხოვრებაც აღნიშნავს, რომ ვახტანგი მე-60 წლის მიღწეული იყოო, რომ მას შემოება ყაენი ხოსრო, ხოლო პირველი ხოსრო გამეფდა 13 ენკ. 531 წელს და 532 წელს კი ქართველ-ბერძნებთან ომი დაასრულა და სჯუკუნო ზავი დაიდო სპარსეთსა და იმპერიას შორის. ამ ხანს კი (531 წელს) ვახტანგი იყო მე-60 წლისა, მაშასადამე იგი დაიბადებოდა 471 წელს, დაობლდებოდა 478 წელს, გამეფდებოდა 486 წ. ამ შემთხვევაში სწორედ მოდის 170 ქრონიკონიც, როდესაც გარდაცვალებულ იყო ათი მეფე (მირიანი, ბაკური, მირდატი, ასფაგური (და საერომაკი), ვარაზბაკური, თრდატი, ფარსმანი, მირდატი, არჩილი, მირდატი): 361 (+ მირიანი) + 170=531, ანუ 361+157 + (170 —157)=531.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბერძენ-რომაელთა მწერლების ჩვენებით სწორედ ამდროს საქართველოში მეფობდა გურგენი, თანამედროვე იმპერატორების ანასტასისა (491—518), იუსტინესი (518—527) და იუსტინიანესი (527—565) და ყაენების ბალატისა (488—491), კობადისა (491—531) და ხოსრო I-ისა (531 13 ენკ.—579). ეს გურგენი (=კურკენი=გორგენი), რასაკვირველია, იგივე გორგასალია ანუ გურგასარი, ე. ი. მეფე (=სარ) გურგთა, გურჯთა —ქართველებისა).

დედოფალი სანდუხტ (478—486 წ.). მეფე მირდატმა, როგორც იყო ნათქვამი (გვ. 190), თავისს სიცოცხლეშივე ვახტანგის აღზდა დაავალა ლაშქრის წინამძღოლს სპასპეტს საურმაგს. ეს საურმაგი რომ მოკვდა (481 წ.), ვახთანგის ხელმძღვანელობა სანდუხტ დედოფალმა მიანდო სპასპეტ ჯუანშერს. ამათგან ვახტანგმა ისწავლა სამხედრო საქმეები, ხოლო დედის სანდუხტისა და ეპისკოპოს მიქელისაგან—კეთილი ზნე-ჩვეულება, ასე რომ 15 წლის ჰაბუკი „ფილასოფოსთა თანა“ აღზდილს დაემსგავსაო.

ვიდრე იგი 15 წლისა გახდებოდა, საქართველოს ჰმარ-

თავდა მისი დედა სანდუხტი. ამ დროს ქვეყანა დიდს უბედურებაში ჩავარდა. 481 წელს ქართლს შემოესივნენ ოსები, მოსტყვენვეს იგი მტკვრის სათავიდგან ხუნანამდე, მოაოხრეს მინდორ-ველნი, შემუსრეს ქალაქი კასპი, მცხოვრებნი დაატყვევეს, აგრეთვე ვახტანგის დაი მირანდუხტი, გასწიეს რან-მოვაკნისკენ, ეს ადგილებიც მოარბიეს, კასპიის კარი გაელეს და მივიდნენ თავიანთ სამშობლოში.

ამავე დროს ბერძნებმა, რომელთაც ეჭირათ კლარჯეთი და აფხაზეთი, დაიჭირეს აგრეთვე მთელი სამეგრელო ეგრისწყლითგან ციხე გოჯამდე.

დედოფლის სანდუხტის მფარველები იყვნენ მისი მამა ბარზაბოდი და მისი ძმა ვარაზ-ბაკური, ბიძა ვახტანგ გორგასლისა, რომელნიც მთავრობდნენ რანსა და მოვაკანს (ბერდუჯიდგან ალაზნის შესართავამდე და იქიდგან კავკასიონამდე).

ეს ვარაზბაკური და მისი მამა ბარზაბოდი, მართალია, საქართველოს მფარველებად ითვლებოდნენ, მაგრამ მის გაძლიერებისთვის კი არ ზრუნავდენ, არამედ მისი დასუსტება და დამცირება უფრო ეწადათ. ბარზაბოდმა თავისი ქალი სანდუხტი გამოაცხადა საქართველოს გამგებელად, მაგრამ ნამდვილად კი ქართლ-ჱერეთის მართვა ჩააბარა თავის მიერვე დანიშნულს მცხეთის მთავარეპისკოპოსს გლონოქორს; ასე რომ ეს გლონოქორი ერთსა და იმავე დროს ღვდელმთავარიც იყო და ქართლ-ჱერეთის ერისთავიც.

ამავე ბარზაბოდმა ფრიად შეავიწროვა ქრისტიანობაც.

ვიდრე ქმარი ცოცხალი ჰყვანდა, სანდუხტ დედოფალი თავისუფლად აღიარებდა ქრისტიანობას და არ ეშინოდა, რომ ამისათვის მამა დასჯიდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ კი ყოველ წამს მოელოდა ცეცხლისთაყვანისმცემელ ბარზაბოდის წყრომას და რისხვას. ამიტომ მცირეწლოვანი ვახტანგი ჩააბარა ერისთავებსა და სპასპეტ საურმაგს, თვითონ კი წავიდა რანის სატახტო ქალაქ ბარდავს, წარსდგა მამის ბარზაბოდის წინაშე, ძუძუებ-ამოყრილი, დავარდა მის წინაშე, მის მუხლებზე თავი

დაანდო და ითხოვა შეწყალება, შენდობა და მფარველობა ვახტანგისა. ბარზაბოდმა შეიწყნარა დედოფლის თხოვნა, ხოლო ესეც უთხრა, რომ ძალით სჯულს არავის დაგატევებინებთო, მაგრამ თუ ვინმე თავის ნებით უარჰყოფს ქრისტიანობას, ნურც თქვენ დაუშლითო. დედოფალი ქართლს დაბრუნდა და ბარზაბოდმაც მცხეთას გამოგზავნა ცეცხლის მსახურნი და მათ ეპისკოპოსად ბინქარი.

ძველს მოგვთას (მცხეთაში) ისევ აღიგზო ცეცხლი, ისევ გაჩაღდა ცეცხლის მსახურება. მაცთურ ბინქარის ქადაგებამ გასჭრა: მრავალმა მდაბიო ხალხმა ცეცხლისმსახურება ირწმუნა. ქრისტიანობის დაცვა დედოფალ სანდუხტმა დაავალა მთავარეპისკოპოსს მიქელს. ეს მიქელი განათლებული კაცი იყო და ჰეშმარიტი ქრისტიანე. იგი მედგრად შეუდგა ცეცხლის მსახურთა მხილებას და მათ ეპისკოპოზის ბინქარის საცთურებით აღსავსე ნაწერები ცეცხლში დასწვა.

ლაშქრობა ოსეთს (487 წ.) დამცირება მამულისა აშფოთებდა ყველა გაგებულ ქართველობას, დედოფალსა და ვახტანგს, მაგრამ შველა არსაიდამ იყო. ჩრდილოეთიდგან ქართლს ემძლავრებოდნენ ოსები, დასავლეთიდგან ბერძნები, აღმოსავლეთიდგან რან-მოვაკნის ერისთავნი.

ვახტანგი უკვე 15 წლისა იყო. მისი გული მწუხარებით ილეოდა, რომ საყვარელი მისი და მირანდუხტი ტყვეობაში იტანჯებოდა, რომ მამულს უნგრევდნენ და უოხრებდნენ ჩრდილოეთის ველურები. ჰაბუკმა მეფემ ველარ მოითმინა, მოიწვია ერი ქალაქებიდამ და სოფლებიდამ, დაიდგა ტახტი ერთს დიდს სახლში, გვერდით ტახტებზევე დაისხა სპასპეტი ჯუანშერ და ორნი ეპისკოპოსნი (ერთი ქრისტიანი და მეორე ცეცხლის მსახური), ერისთავები დასხა სელებზე, ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წინ დაიყენა, და ამ დიდებულს შეკრებულებას მოახსენა:

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჰი-

რი... მოსათმენი არ არის, რაც ოსებმა უბედურება მოაწიეს ჩვენზედ. ამ სირცხვილის დათმენას სიკვდილი გვიჯობს".

ჯუანშერ სპასპეტმა მეფეს მოახსენა: „ცხონდინ, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით. ჰეშმარიტი ბრძანე, რომ დიდს ჭირსა და მწუხარებაში ჩაგვყარეს ოსებმა 5 წლის განმავლობაში და საჭიროა ჯავრის ამოყრა. შენ თუმცა მეფობა შეგიძლიან, მაგრამ მხედრობისა და წყობათა (ლაშქართა) გაძღოლისათვის ჯერ პატარა ხარ. დედის შენის ნებართვით, ჩვენგან ერთი ლაშქრის წინამძღოლად გამოირჩიე და წარგვგზავნე საომრად, შენ კი შინ დარჩი". ყველა ერისთავები დაეთანხმნენ ჯუანშერს. მეფემ არ მიიღო მათი რჩევა და სარდლობა თავს იდო.

შეუდგნენ მზადებას ოსეთს გასალაშქრებლად.

შეიყარა დიდი ლაშქარი (ცხენოსანი და ქვეითი) მუხრანს და მცხეთის ზემო არაგვის ამიერ და იმიერ. ვახტანგის თხოვნით, მისმა ბიძამ რანის ერისთავმა ვარაზბაკურმა გამოგზავნა აგრეთვე 12,000 მხედარი. ესენიც ქართველ რაზმებთან დადგნენ. მათ სანახავად გავიდა ვახტანგი. ლაშქარი შეიარაღებულიყო ოროლით (ლახვრებით), ხმლით, შვილდისრით (შვილდის სიგრძე 12 ტკაველი იყო, ხოლო ისრისა—6), ფარით, ჯავშნით, ჩაბალახით; ცხენები შეეკაზმათ ჯავშნებით; საკრავებად ჰქონდათ ბუკი და დაბდაბი. თვით ვახტანგს ფარი ჰქონდა ვიგრის (ვეფხის) ტყავისა. მეფეს მოეწონა მეომრების განწყობილება, ცხენ-კეთილობა და მოკაზმულობა. ყოველნი დახვდნენ მხიარულად და აღტაცებით. ლაშქრის სიმამაცემა და სიკისკასემ მეფეც გაახარა. იგი დაბრუნდა მცხეთაშივე და შემდეგი განკარგულება მოახდინა.

სამეფოს გამგებლად დაადგინა თავისი დედა სანდუხტი და დაი ხვარამზე. ამასთანავე დედას დაავალა, თუ მე ომიდგან ველარ დავბრუნდე, ხვარამზე მიათხოვე ცოლად მირანს და ეს გაამეფეო.

ეს მირანი (=მიჰრანი=მირიანი) და ძმა მისი გრიგოლი ჩა-

მომავალნი იყვნენ ჸირდანისძის რევისა, ცხოვრობდნენ რუსთავს (უარაიას) და განაგებდნენ კუხეთს.

ვახტანგმა სასიძო მირანიც მცხეთაში დასტოვა და თვითონ წავიდა თიანეთს. აქ მას შემოუერთდნენ კავკასიის მეფემთავარნი 40,000 მხედრით.

მეფე მაშინ იყო 16 წლისა. დიდძალის ჯარით ვახტანგი მიადგა თერგის ნაპირს. მეორე მხარეს იდგა ოსების ძლიერი ლაშქარი. ხაზარებიც მათ შეელოდნენ. ჯერ იბრძოლეს ორივე მხრის გმირ და გოლიათ კაცებმა. თარხან-ხაზარმა დაამარცხა და მოჰკლა მეფის გოლიათი ფარსმან-ფარეხი. მერე თვით ვახტანგმა ოროლი დაასო თარხანს და მოჰკლა. მოჰკლა მეფემ აგრეთვე გამოჩენილი გოლიათი ოს-ბაყათარი. მეფეს შეასხეს ქება-დიდება. მერე მიესივნენ ოსებს მეფის სპანი—ცხენთოროსანნი და ჯაჰვჩაბალახოსანნი, წინა კერძო მიდიოდა ქვეითობა და მას მიჰყვებოდა ცხენოსნობა. ოსები მაღლობს ქარაფზე იდგნენ და ქართველებს ისარს სეტყვასავით აყრიდნენ. მეფე ამხნევებდა ჯარს. მას თან დაჰყვებოდნენ მისი ძუძუსმტე არტვაზ საურმაგისძე და სეფე წული ბივრიტიანი. მტერი დამარცხდა და გაიქცა.

ვახტანგმა დაიჭირა დარიალის ვიწრო გასაელი, კარი შეაბა, მაზე მაღალი გოდლები ააშენა, მცველად დააყენა იმ ადგილის ახლო მცხოვრები მთიულები, და თვითონ შევიდა პაპანიგეთს, რომელიც იმავე თერგის ნაპირზე იყო და მის მეზობლად კი—ჯიქეთი. ესენი დაამარცხა და ოსეთს მოუბრუნდა. ოსების მეფეები დამორჩილდნენ და მზევლები მისცეს მეფეს, აგრეთვე გაანთავისუფლეს მისი და მირანდუხტი და 350,000 ტყვე ქართველი.

ეს ტყვენი და თავისი და მირანდუხტი მეფემ გამოგზავნა დარიალის გზით, თვითონ შევიდა აფხაზეთში და ძლევა მოსილად დაბრუნდა მცხეთას.

დაბრუნებისავე უმალ მეფემ დიდი საჩუქრები გაუგზავნა თავის ბიძას ვარაზბაკურს და აგრეთვე სპარსეთის ყაენს, რომ-

ლისაგან ცოლად ითხოვა მისი ასული ბალენდუხტ. ყაენმა სიხარულით მიიღო საჩუქრები, დაუმორჩილა მას კავკასიის ყველა მთავრები და აგრეთვე გამოუგზავნა თავისი ასული ბალენდუხტ საქართველოს დედოფლად.

ეს დაშქრობა ვახტანგისა მემატიანეს გარდამეტებულად შეუმკია და გაუზვიადებია. დაუჯერებელია, რომ ვახტანგს დაეტევებოს 30,000 ოსი და ესენი მერე გაეთავისუფლებინოს, წაერთვას მათთვის 350,000 ტყვე ქართველი და, ამათ გარდა, საქართველოში წამოეყვანოს 650,000 ტყვე ოსი და საჩუქრად გაეგზავნოს ა) თავის ბიძის ვარაზბაკურისთვის 1000 მონა, 1000 ცხენი სახედარი, 1000 ცხენი ხრდილი და ბ) სპარსთა შეფისთვის 10,000 მონა და 20,000 ცხენი. ისიც დიდი რიცხვი იქნებოდა ვახტანგის დროისთვის, თუ ნაჩვენები რიცხვების მეათე ნაწილიც დაეტევება ან-და ძღვნად გაეგზავნა.

მიუხედავად ამისა, რომ ვახტანგის გამარჯვება ოსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი რამ დიდი შემთხვევა ყოფილა, მტკიცდება მით, რომ დღესაც იქაურები (ჩერქეზები) ვახტანგს ქება-შესხმით იხსენიებენ და თვით ჩვენი მდაბიო სალხიც ოსეთზე დაშქრობას ასრე გადმოგვცემს:

ვახტანგ მეფე დმერთს უევარდა:
ციდან ჩამოესმა რეკა:
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

უფრო საყურადღებოა შემდეგი სახალხო ლექსი, რომელიც შეეხება ოსეთის მეფეების მიწა-წყალს, ვახტანგისა და ბაყათარის (ოსურ. ბაყათარ—გმირი) ბრძოლას:

ჩვენ ვიცვით ცხრანი ძმანი—ჩარჯონიძე-წერხილანი: ოს-ბაყათარ, დვით-სოსლან—ოთხ სამეფოთ მებრძოლანი; ფიდაროს, ჯადაროს, საყურ—მტერთა რისხვით შემხედვარნი; გიორგი, ისაკ, რომანოზ—იქმნენ ქრისტეს კარგნი უმანი. ჩვენ გვიწირავს მიმა-

ვალა ოთხის კუთხის იწრო გზანი; კასრს სიმაღრე მაქვს, სიგანე, სიგრძე მაქვს, სიმაღლე მაქვს, სიმაღლეს ხიდის კარი, სიგანეს მოიმედე, სიგრძეს კარგა მდგარი. ოქროსა და ვერცხლის მაწა იმდენი მაქვს, ვითა წყალი. კვეკასიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს გავუმკლავდი, ქაროველ მეფეს და მოვტაცე *), არ დავაგდე ჩემი გვარი; მამწყდა, ფიცით მიღალატა, მას დაიდვა ჩემი ბრალი: ბაგათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი. ვინც ესე ლექსი იხილოთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი.

ბრძოლა ბერძნებთან (502—504 წ.) ოსეთის ლაშქრობიდამ დაბრუნებულ ვახტანგს ყაენმა „მოუწერა ბრძოლაჲ კეისრისა, რამეთუ კეისარი ბრძოლად განსრულიყო სპარსთა“. ეს კეისარი იყო ანასტასი (491—518): ამან ჰირველმა დააარღვია სპარსთა და ბერძენთ შორის 422 წელს დადებული ხელშეკრულობა და ომი გამოუცხადა (502 წ.) ყაენს კობადს (491—531). სპარსეთი მაშინ და მის წინათ დიდს განსაცდელში იყო ჩავარდნილი, ამიტომ არა თუ არ უშლიდა ვახტანგს დაეპყრა ჩრდილოეთის ველურები და ოსები, პირიქით, ხელსაც უმართავდა, რომ იგივე ველურები არ შესეოდნენ სპარსებსაც, რომელნიც მაშინ ეომებოდნენ საშიშარს და საშინელს მტერს თავიანთ სამშობლოს აღმოსავლეთ მხარეს.

სპარსთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ეფთალიტები ანუ ნეფტალიტები. ამ ევთალიტების დედაქალაქი იყო გორგო (ჯორჯანი), რომელიც მდებარებდა კასპიის ზღვის პირად. თვით ევთალიტები—ჰუნნები თეთრი კანის ხალხი იყო, მეომარი და ვაშკაცი. ყაენი ფირუზი შეებრძოლა მათ, მაგრამ დამარცხდა. იგი შეიპყრეს ევთალიტებმა და გაანთავისუფლეს მაშინ, როდესაც მათს მეფეს თაყვანისცა და პირობა დაუდო, არას დროს აღარ გეომებიო. მაგრამ სპარსეთის მბრძანებელმა ჯავრი გულში ვერ ჩაიკლა. მალე ისევ შეაგროვა დიდი ლაშქარი, მოიწვია მეზობელი მეფეები და შეეჯა იმავე ევთალიტებს, რომ-

*) ვახტანგის და მირანდუხტი კასპიდამ გაიტაცეს.

ლებმაც ახლა იგი არათუ მარტო დაამარცხეს, არამედ მოკლეს კიდეც მისის 30-ის შვილითურთ და ამოუჟლიტეს მთელი ლაშქარიც. სპარსეთს დაედო ევთალიტების უღელი (488 წ.).

ფირუზის მაგიერ სპარსეთში მეფედ გამოაცხადეს ბალატი (=ვალენტი=ვაღარში), მოკლულის მეფის ფირუზის შვილი კობადი კი, ჯერ ისევ მცირე წლოვანი ყრმა, მტრებმა შეამწყვდიეს „დავიწყების ციხეში“. მაგრამ კობადი მალე გაიპარა ციხიდგან და მივიდა ევთალიტების ქვეყანაში, შეირთო მათი მეფის ქალი, მათი ლაშქარი წამოიყვანა, სპარსეთში შემოვიდა, მტრები დაამარცხა და გამეფდა (491 წელს). ამის შემდეგ 10-ის წლის თავზე მას დიდძალი ფული უნდა მიეცა ევთალიტების მეფისთვის. ეს ფული თვითონ არ ჰქონდა და სესხად ითხოვა იმპერატორის ანასტასისაგან. ამან უარი შეუთვალა. ეს შეიქმნა ომის დაწყების (502 წ.) მიზეზად. კობადმა, როგორც იყო ნათქვამი, მოსწერა ვახტანგს ქართველთა ლაშქრით შეჰსეოდა საბერძნეთს. ვახტანგიც ამისთანა წინადადებას სიხარულით მიეგება, ვინაითგან მის მცირეწლოვანობის დროს ბერძნებმა დაიპყრეს საქართველოს ნაწილები—სამეგრელო და კლარჯეთი.

ვახტანგმა მოიწვია ყველა კავკასიელნი და შეჰყარა 200,000 მეომარი. ყაენის ბრძანებით მოვიდა აგრეთვე ვახტანგის დედის ძმა ვარაზ-ბაკური რანისა, მოვაკნისა და ადარბადაგნის ცხენოსან ლაშქრით, სულ შესდგაო 400,000 მეომარი. ამ ლაშქარს გაუძღვა ვახტანგი და შევიდა სომხითს და მივიდა ქალაქ პეროჟკაფარს, რომელიც მეფე ფირუზს აეშენებინა. აქ მოეგებნენ სომხეთის ერისთავები—სივნელი არევი, ასფორაგნელი ჯვანშერ, ტაროვნელი ამზასპ და გრიგოლის ქალაქითგან თრდატი. აქედგან მეფე წავიდა და შემოერტყა კარახპოლს (კარნუქალაქს=არზერუმს), მაგრამ ვერ აიღო, რადგან ქალაქს სამ-რიგი მაღალი და მაგარი ზღუდე ჰქონდა. აქ დასტოვა 12,000 მეომარი, თვითონ წავიდა, აიღო ქალაქები ანძიაძორი, ეკლეცი და დასტერი და ძლევა მო-

სილად გავლო პონტო ზღვის პირამდე. გზადაგზა სპარსთ მეომრები ჰხოცავდნენ ქრისტიანებს, ვახტანგმა ჯარს აუკრძალა ქრისტიანეთა კვლა-ხოცვა. ამის მსმენი მოწესები და ეკლესიის მსახურნი სამალავებიდან გამოვიდნენ და მადლობა შესწირეს მეფეს. ამ მოწესეთა შორის იყვნენ პეტრე, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე მღვდელობდა, და სამოელ მონაზონი. ესენი სთხოვდნენ მეფეს ყაენი და კეისარი შეარიგეო, ამასთანავე პეტრე მღვდელს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მეფესთან შესახებ საქართველოს ეკლესიისა და კათალიკოზობისა. პეტრემ დაარწმუნა ვახტანგი, რომ მას, როგორც ქრისტიანს, არ შეშვენის ცეცხლის მსახურ სპარსთა მომხრეობა. მეფე ვახტანგმა კეისართან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი ძუძუსმტე ვარაზ-მიჰრი და სამოელ ბერი, თვითონ უკან დაიხია და გაჩერდა ზღვის კიდეზე, ხერთვისს. მასთან მოვარდა მისი ბიძა ვარაზ-ბაკური და უთხრა: „ჩ გველო, შენ ბერძნების სიყვარული გაქვს და ჯვარზე მომკვდარ კაცის სჯული გიპყრია და გსურს ბერძნებს დაგვაჭერინო“. მეფემ მოახსენა: „აი შენ და ბერძენნი. მომკვდარის კაცის ძალასაც იხილავ და შენის ცეცხლისასაც განიცდი“. ვარაზ-ბაკური დაბრუნდა. მეფე თეთრს სპილოზე შეჯდა, რომ მაღლიდგან დაათვალიეროს ბრძოლის ველი.

მალე შეიბნენ ბერძენნი და ვარაზ-ბაკური. ბერძნებმა გაიმარჯვეს და აღოწყვიტეს სპარს-სომხითარნი და მათ შორის მოიკლა თვით ვარაზბაკურიც (ვახტანგის ბიძა), ლეკთა მეფე იპაჯაჯი, ბორზო მოვაკნელი და სხ.

ამავე დროს თვით კობადი შესულიყო ჯაზირეთს (შუამდინარეს) და არბევდა იქაურობას. მას აეღო ქალაქი მარტიროპოლი, გადაეწვა თეოდოსიოპოლი (არზერუმი) და ალყა შემოერტყა ქალაქ ამიდასთვის. ეს ქალაქი დიდხანს უმაგრდებოდა მტერს, რომელსაც შეელოდა აგრეთვე ფრიად მამაცი და ვაშკაცი ფარსმან კოლხელი ქალაქის მაღალ კედლებიდამ ამიდელი ქალები თავიანთ სასირცხოს აჩვენებდენ სპარსელებს

და აბრაზებდენ. ბოლოს კობადმა ეს ქალაქიც აიღო. ანასტასი იძულებულ იქმნა შერიგებოდა მტერს და მიერთმია მისთვის დიდძალი ოქრო. ამ ომში კობადს დაეხოცა 50,000 მეომარი, ხოლო ბერძნებს 80,000.

ქართლის ცხოვრებით საქმე ესრე იყო. ბერძენთა რაზმის წინამძღოლ პალეკარტოსმა რომ მოკლა ვარაზბაკური და მისი ლაშქარიც ამოჟლიტა, მაშინ ვახტანგი შეება თვით პალეკარტოსს, როგორც თავისს ბიძის ვარაზბაკურის მკვლელს, და მოჰკლა იგი. ბერძენთა მხრიდგან დახოცილთა რიცხვი აღმოჩნდა არა 80,000, როგორც საზოგადო ისტორია ამბობს, არამედ 72,000, ხოლო ქართველ-სპარსთა მხრიდგან არა 50,000, არამედ 43,000. ამას გარდა დატყვევებულ იქმნა 780,000, რომელიც ვახტანგმა განათავისუფლაო. ამდენი სული ტყვე, ალბად, იყო ყველა მამაკაცობა და დედაკაცობა ვახტანგ-კობადისაგან დაპყრობილ დაბა-ქალაქებისა და ადგილებისა.

შემდეგ ამისა ვახტანგმა დაიტირა თავისი მოკლული ბიძა ვარაზბაკური, მისი გვამი შეამურინა შარითა და მურითა და გამოგზავნა ბარდავს.

იმპერატორმა ვახტანგს სპარსელებთან ბრძოლაში დახმარებისთვის გამოუგზავნაო ჯვარი, გვირგვინი და სამეფო საცმელი, დაუთმო კლარჯეთი არსიანამდე, სამეგრელო და, საზოგადოდ, საქართველოს უწინდელი საზღვრები.

კობადი და ანასტასი შერიგდნენ შვიდის წლის ვადით (504 წ.). ქართლისცხოვრების სიტყვით, ყაენსა და იმპერატორს შორის ზავის დადებას ხელი შეუწყო ვახტანგ მეფემ სპარსელებთან ბრძოლის შემდეგ ტფილისის არემარეს.

ბრძოლა სპარსელებთან ტფილისში. ვახტანგი დაბრუნდა სამშობლოში კლარჯეთის გზით. ამ კლარჯეთის შუა ადგილას იყო სიმაგრე არტანუჯი. გამოვლისას მეფემ აქ ერისთავად დაადგინა არტავაზი, თავისი ძუძუსმტე (ძუძუთი ძმა), და უბრძანა—აეგო ციხე არტანუჯს და აგრეთვე ეკლესიები და მონასტერი მოხერხებულს ადგილას. „ეს ადგილები ჩვენი

თავსაფარი იქნებაო", ეუბნებოდა მეფე არტეზს, „თუ სპარსნი გაგვიძალიანდნენ და შემოგვებრძოლნენო"

მეფის დავალება არტვაზმა შეასრულა. არტანუჯში ააშენა ციხე და მონასტერი, ააშენა საყდრები დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. ამასთანავე განაახლა ახიზის ციხე, რომელიც ქვაბად აქცია.

კობადი უწყრებოდა ვახტანგს ბერძნების მომხრეობისთვის და იმისთვისაც, რომ ცეცხლის-მსახურნი საქართველოდგან გაეერეკნა და ცბიერი ბინქარი საპყრობილეში ჩაეგდო (ეს ბინქარი საპყრობილიდგან გაიპარა სპარსეთს მეფეზე საჩივლელად და იქიდგან დაბრუნებისას ქართლის მიჯნაზე მოკვდა). ყოველივე ეს მეფემ კარგად იცოდა და ემზადებოდა დაუძინებელ მტერთან საბრძოლად.

ვახტანგმა 100,000 ცხენოსანი და 100,000 ქვეითი ჩააყენა დიღომსა და ქართლის-კარს შორის ვიწროებში. მოგვთას ხიდიც გააფართოვა, რომ ჯარს ადვილად ევლო. თვით მეფე და სპასპეტი ჯუანშერ გამარგრდნენ მცხეთაში; არმაზის მხრის ჯარების უფროსობა მეფემ ჩააბარა ნასრს და მირდატს.

სპარსთა დიდი ლაშქარი მოვიდა და დადგა მტკვრის მარცხენა მხარეს, ცხენის ტერფს (დიდუბეს) ქვეით, „ველსა კალისასა, ხოლო სოფელი ტფილისი და კალაცა მოოხრებულ იყო მაშინ" და ქართლშიაც გაიფანტა. ამ ქართლის რაზმმა, სხვათა შორის, შეიპყრა რაჟდენი.

ჯერ ომი არც კი იყო გაჩაღებული, რომ ბერძენთა მაშველი რაზმი ჯავახეთს შემოვიდა. ეს რომ გაიგო ყაენმა, მშვიდობაზე ლაპარაკი ჩამოაგდო. ვახტანგმა მიიღო მისი წინადადება, მიიპატიჟა სპარსნი სოფელ ტფილისს და ყაენს უძღვნა 1000 მხევალი, 500 მონა, 500 სტავრა-საკრამანგი, 500 ბიზიონი-რუზმა, 10000 ხდალი ცხენი, 500 ბარგის ცხენი, 300 ჯორი, 400 ძროხა, 10000 ცხვარი. აქვე იყო მაშინ იმპერატორის მოციქული ლეონი. ვახტანგმა სთხოვა ყაენს შერიგებოდა იმპერატორს. მან უთხრა: დასაბამითგანვე შამი (ასურე-

თი) ჩემია, ჯაზირეთის (შუამდინარის) ნახევარი შენია და ნახევარი ჩემი, ამას გარდა ჩვენია შავი ზღვის მოღმართიც ეხლა ბერძნებს ყველა აქაური ქალაქები აუოხრებიათ, ჯაზირეთსა და შამს იჩემებენ. ჩემი ხვედრი ჯაზირეთი დამიბრუნონ და შენი ნაწილისა შენ იცი". იმპერატორის მოციქულმა (ლეონმა) ყაენს მოახსენა, რომ ხუთს ქალაქს გიბრუნებთო და მშვიდობას ვითხოვთო. დასწერეს ზავის ქარტაჲ და სპარსეთ-საბერძნეთის მიჯნებად აღიარეს ის მდგილები, რომელიც მოხსენებული იყო იმპერატორ იუბიმიანოზის და ყაენის შაბურის შორის დადებულს (363 წელს) ხელშეკრულობაში.

ეს გამწვავებული მდგომარეობა ორს იმპერიას შორის ვახტანგმა დააცხრო. ამისთვის ყაენმა მადლობა გადაუხადაო: უძღვნა მას 3000 ლიტრა ალვა, 500 ლიტრა ამბრი, 500 ლიტრა მუშკი, 1000 ხვასროიანი სამოსელი და 3000 საზდი, ითხოვა მისგან ცოლად მისი და მირანდუხტი და დააკისრა მიშველებოდა მას დასაძლევად სპარსეთის მოსისხლე მტრებისა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ საყაენოს აღმოსავლეთ მიჯნებს. ვახტანგმა ყაენს მისცა ცოლად თავისი და მირანდუხტი და გაისტუმრა სპარსეთს, თვითონაც, ყაენის თხოვნით, შეუდგა სალაშქროდ მზადებას მის საშველად.

ინდოეთის ლაშქრობა. შორეულ მხარეს გალაშქრების წინად მეფემ მოახდინა სხვა და სხვა განკარგულება.

ამ დროს მეფის მემკვიდრე დაჩი ჯერ ისევ მცირე წლოვანი ყრმა იყო. დედოფალი ბალენდუხტი ამ დაჩისა და მის დის მარჩბივად მშობიაროაბაზე მომკვდარ იყო. ეს დაჩი მეფემ ჩააბარა თავისს დიდებულებს.

მაშინ შიდაქართლი ეპყრა ჯუანშერს, ვახტანგ მეფის აღმზდელს. იგი ამასთანავე იყო სამეფოს ლაშქრის სპასპეტი (უფ.როსი) და ყველა დანარჩენ ერისთავების მფლობელი (მბრძანებელი); კახეთ-კუხეთი ებარა დემეტრე ერისთავს, ხოლო ჰერეთი—გრიგოლს, ხუნანი—ნერსარანს, სომხეთ—ადარნა-

სეს, ეგრისი და სვანეთი სამანლირს, მარგვისი (არგვეთი) და თავკვერი—ბაკურს, კლარჯეთი—არტევაზს, წუნდა—ნასარს და ჯა-რხე—ბივრიტიანს სეფე წულს.

ყველა ესენი მოიწვია ვახტანგმა, თავის შვილს დაჩის თავზე სამეფო გვირგვინი დაადგა და მეფედ გამოაცხადა, მერე იგი და მთელი სამეფო ჩააბარა ზემოხსენებულ 7 ერისთავს (ჯუანშერს, დემეტრეს, გრიგოლს, ნერსარანს, ადარნასეს, სამანლირს და ბაკურს), ხოლო თვითონ-კი თან წაიყვანა არ-ტევაზ ერისთავი და „თავი კლარჯეთისა“, ნასარ ერისთავი, ბივრიტიანი, საურმაგ ეჯიბი და 10,000 დარჩეული მხედარი და წავიდა სპარსეთს. მეფეს თან გაჰყვნენ აგრეთვე მისი დედა სანდუხტ დედოფალი და დაი ხვარამზე.

მეფემ ლაშქარი შუამდინარეს გაგზავნა, თვითონ კი დე-დით და დით იერუსალიმს წავიდა, მოილოცა იქაური სიწმინ-დენი და დაბრუნდა შუამდინარის ქალაქ ურას, საიდანაც თა-ვის ლაშქრითურთ მივიდა სპარსეთის სატახტო ქალაქს. ყაე-ნისა და მეფის დის მირანდუხტის ქორწილის შემდეგ სანდუ-ხტი და ხვარამზე ქალაქ ურას დაბრუნდნენ, ხოლო ყაენი და მეფე წავიდნენ სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მტრების და-სასჯელად.

სპარნი და ქართველნი პირველად შეევიდნენ ჯორჯანს (=გურგანს=ვირკანს), აიკლეს, დახარკეს, მათს ქვეყანაში მაა-სახლეს სპარსნი და ელამიტელნი. შემდეგ სამის წლის განმავ-ლობაში ეომნენ ინდოელებს, დაამარცხეს, ხარკი დაადეს, აუარებელი თვალ-მარგალიტი, საქონელი და სიმდიდრე ხელთ იგდეს; იქიდგან შეევიდნენ სინდიას. აქ ვახტანგს მოუკლეს სა-ურმაგი, ძმასებრ საყვარელი კაცი, მეფის ერთგული და ქველი. მაგრამ ეს ქვეყანაც დახარკეს და მეოთხე წელიწადს შევიდნენ ბაბილონს, აქაური ერის ნახევარი (ათასი სახლი) ყაენმა აჰყარა და გადმოასახლა სპარსეთს. მათგან წარმოსდგნენ ქურთნი.

მეხვე წელიწადს (512 წ. სამშობლოდგან წასვლის შემდეგ მეფე ვახტანგი დაბრუნდა საქართველოს შუამდინარის

გზით და ურას ქალაქიდამ გამოკლისას თან წამოიყვანა თავისი დედა და ხვარამზე.

კათალიკოსის გამწესება (512 წ.) და ყაენის რისხვა. თავისი აზრი საქართველოს ეკლესიისთვის კათალიკოსის დადგენის შესახებ მეფე ვახტანგმა პირველად განუცხადა პეტრე მღვდელს, რომელსაც შეხვდა პონტოში სპარს-ბერძენთა ომის დროს (502—504 წ.). ეს პეტრე, როგორც ვთქვით, გრიგოლი ღვთისმეტყველის საფლავზე ღვდლობდა. პეტრე და სამოელ მონაზონი წარსდგნენ ვახტანგის წინაშე და ითხოვეს ტყვე-ქრისტიანების შველა, ატეხილ ომის დაცხრობა, ცეცხლის-მსახურ ყაენის უგულებელ ყოფა და ქრისტიან იმპერატორის მომხრეობა. მეფემ იქვე „სიზმრად“ ნახაო შემდეგი:

წმ. ნინოს თანდასწრებით მისი შარჯვენა ხელი ეკვირა პეტრე მღვდელს და მარცხენა—სამოელ მონაზონს; მეფე ეამბორა გრიგოლი ღვთისმეტყველს. ამან მეფეს გადასცა გვირგვინი და უთხრა: „დარქვ *) ეგე პეტრეს“ მერე პეტრემაც აიღო სხვა, უდარესი გვირგვინი და თავზე დაადგა სამოელს. შემდეგ გამოჩნდა კეისარი, რომელმაც მოიტანა გვირგვინი ჯვრისა და თავზე დადგა ვახტანგს, რადგან ამან წინადვე აღუთქვა—შენი ერთგული და შემწე ვიქნებიო, ხოლო შენის მტრისა-კი ორგულიო. ეს „სიზმარი“ მეფეს იქვე განუმარტა იმავე პეტრემ: „შენი სიზმარი ამას ნიშნავსო, რომ ააშენებ ეკლესიებს, განაწესებ ეპისკოპოსებს და მთავარეპისკოპოსებს. მე მომცემ მთავარეპისკოპოსობას, ხოლო მე ეპისკოპოსად დავადგენ სამოელს. კეისარი შენ მოგცემს ტოლად თავისს ასულს, დაგიბრუნებს ქართლის მიწებს მის ძველ საზღვრებამდე. გვირგვინი ჯვრისა კიდევ ის არის, რომ შენ მიერ ქართლის კათალიკოზისა და ეპისკოპოსებისგან დაემტკიცება ჭეშმარიტება, შენ სძლევ მტრებს და წამებულის გვირგვინით აღსრულებიო“.

ყოველივე ეს მართლა სიზმარი კი არ იყო, არამედ სინამდვილე. იმავე ომის დასასრულს (504 წ.), როგორც იყო

*) დაადე.

ნათქვამი, მეფემ დაიბრუნა კლარჯეთი, საშეგრელო. იმპერატორმა ვახტანგს აღუთქვა თავისი ქალის ელენეს მოცემა ცოლად და აგრეთვე ეგრის წყალსა და კლისურას შორის მდებარე ქვეყნისა მის მზითვად. დანარჩენი „ნასიზმრიც“ მეფემ განახორციელა ინდოეთის ომებიდამ დაბრუნების შემდეგ, თუმცა ამისთვის დასჭირდა დიდი ბრძოლა სპარსებთან.

ყაენი კობადი, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა, დიდი მფარველი იყო ცეცხლის მსახურობისა. ამ ცეცხლის მსახურობის უარყოფისთვის მან აწამა ზემოხსენებული რაჟდენი.

ეს **რაჟდენი** ჩამომაელობით სპარსი იყო, აღმზდელი ყაენის ქალის ბალენდუხტისა; ეს ბალენდუხტი რომ ვახტანგს მისთხოვდა ცოლად, მასთან გამოჰყვა რაჟდენიც, რომელმაც მცხეთაში ქრისტიანობა მიიღო. ყაენის გამოლაშქრებისას რაჟდენს მაღალი თანამდებობა ეჭირა და დიდი მამულები ჰქონდა. კობადის ერთმა რაზმმა რაჟდენი შეიპყრა სოფ. წრომს, ჯვარსაცვა და ისრებით დახვრიტა.

ვახტანგის სურვილი, რომ გაამწესოს კათალიკოზი, აღელვებდა არა თუ მარტო ყაენს, არამედ საქართველოს მთავარეპისკოპოსს მიქელსაც.

მეფე რომ დაბრუნდა „ინდოეთის ლაშქრობიდამ“, ამ მიქელმა იწყო ამბოხება, მეფეს კაცი აახლა და უსაყვედურა: „შენ ქრისტე დაგიტეევებია და ესავ ცეცხლსაო“. მეფემ შემოუთვალა: „უბრალო ვარ მე, ღმერთმა იცის. ეს კია, რომ მოციქული გამიგზავნია კათალიკოზისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად“. მიქელმა შეაჩვენა მეფე და მისი ლაშქარი. მაგრამ ვახტანგი არ შეუშინდა თავხედ ბერძენს და მივიდა მის სანახავად. ბრაზმორეულ მიქელმა ფანდაკი ჰკრა და ერთი კბილი ჩაუმტვრია მეფეს. ვახტანგმა მიქელი ჩააბარა დესპანებს, წარგზავნა კოსტანტინეპოლს და ითხოვა ზემოხსენებულნი—პეტრე—კათალიკოზად, სამოელი—მთავარეპისკოპოსად და კიდევ სხვა 11 ეპისკოპოსი. მიქელი პატრიარქმა გაასამართლა და მღვიძარეთა მონასტერში შეამწყვდია. ხოლო მეფის სათხოვარი პა-

ტრიარქმა და კეისარმა შეიწყნარეს, პეტრე და სამოელი წარუგზავნეს ანტიოქიის პატრიარქს, ვინაითგან მას ექვემდებარებოდაო საქართველოს ეკლესია, და შეუთვალეს: „საქართველოს საყდარს იმთავითვე ემორჩილება ქართლი, აღმოსავლეთი და ჩრდილო, ეს ორნი აკურთხე და აგრეთვე 11-ნი სხვანი, მერე ისევ ჩვენ წინაშე წარმოგზავნე, რომ საქართველოში გავგზავნოთ „დიდითა ნიჭითა და სახმრითა“.

ანტიოქიის პატრიარქმაც აკურთხა 12 ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოზად და კოსტანტინოპოლსვე გაგზავნა. კეისარმა უბოძა მათ დიდი საჩუქრები და გამოაცხადა. მათვე გამოაყოლა დიდი ჯარი, აგრეთვე ვახტანგის საცოლო ელენე. ჯარმა გამოაცილა იგინი სომხეთის საზღვრამდე. აქ დაუხვდა მათ მეფე ვახტანგი, იმპერატორის ჯარი დააბრუნა, ხოლო ელენე, კათალიკოზი პეტრე და 12 ეპისკოპოსი წამოიყვანა და მოვიდა მცხეთას, საცა დაუხვდნენ დიდის ამბით. მეფემ ჯვარი დაიწერა ელენეზე.

კათალიკოზის მოსვლამდე ვახტანგს აეგო დიდი საყდარი —სვეტიცხოველი და მის სამხრეთ სვეტში ეკლესია სიონი. აქ პეტრე დასვეს კათალიკოზად და განაწესეს მწყემსთმთავრად და მამათმთავრად, მთავრად ყოველთა ეკლესიათა, მღვდელთმთავართა და ეპისკოპოსთა. სამოელი-კი დასვეს მცხეთასვე, ზემო-ეკლესიას (სამთავროს), დანარჩენნი წარგზავნეს ეპისკოპოსად: ერთი ახაზს (კლარჯეთს), მეორე არტანს (ერუშეთს), მესამე წუნდას (ჯავახეთს), მეოთხე მანგლისს, მეხუთე ბოლნისს, მეექვსე რუსთავს (ყარაიას), მეშვიდე ნინოწმინდას (უჯარმის კარსა, რომელიც გორგასალს აეშენა), მერვე ჭერმს (ესეც და იქვე ქალაქიც გორგასალსვე აეშენა), მეცხრე ჩულეთს, მეათე ხორნაბუჯს (ქიზიყს), მეთერთმეტე აგარაკს (რომელი არს ხუნანის გამართებით სომხითს). შემდეგში ერთი ეპისკოპოსიც მეფემ დასვა სოფელ სიღნაღს (აქ მას წრომიდამ გადმოესვენებინა წმ. რაჟდენის გვამი და მაზედ აეგო დიდი საყდარი).

შემდეგ ამისა მეფემ თავის მემკვიდრეს დაჩის მისცა კახეთის ქალაქები ჰერამი, ნეკრესი, კამბეჩოვანის ქალაქი ხორნაბუჯი და მთელი ქვეყანა მტკვრამდე. თვით დაჯდა უჯარმას, საცა ძლიერი ციხე-სიმტკიცე ააგო.

მეფე რომ ქვეყნისთვის ზრუნვაში იყო, უცბად შემოიჭრა ყაენი კობადი. ამის მიზეზად უმთავრესად, როგორც ამბობს პროკოპი, შეიქმნა შემდეგი გარემოება.

მე-V საუკ. დამდეგს ივერიის კარები (დარღალანთ-კარი) დაიჭირა ჰუნთა მეფემ ანბაზუკმა. საზოგადოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ჰუნნობა და მეფე დარუბანდისა სპარს-ბერძენთა ომების დროს შველოდნენ სპარსებს. ახლა ანბაზუკმა, რომელსაც ეჭირა ვრცელი მინდვრები დონამდე და აზოვის ზღვამდე, მეგობრობა გამოუცხადა იმპერატორ ანასტასის და, რადგან ძლიერ მოხუცი იყო, შეაძლია მას ხსენებული კარები და ფული ითხოვა. ანასტასის ეშორებოდა ივერიის კარები და მოთხოვნილი ფულიც ებევრებოდა. ეს რომ შეიტყო კობადმა, მეტად განძვინდა. ლაშქრით შემოიჭრა და კავკასიი' სიმტკიცე ძალით დაიჭირა, ვინაითგან ეს ივერიისა და ალვანიის (კასპიის) კარები ჩრდილოეთის ველურებს უკეტავდნენ ყველაზე მოკლე გზას.

ამის შემდეგ მალე იმპ. ანასტასი გარდაიცვალა (518 წ.) და გამეფდა იუსტინე. გორგასალი (გურგენი) კვლავ კობადის ხელში ჩავარდა. ყაენმა უბრძანა მეფეს, აესრულებინა სპარსეთის სარწმუნოების ყველა წესები, მკვდრები არ დაემარხა, არამედ გადაეყარა ფრინველების საწიწკნად და ძაღლების სახრავად. ამას ვერ აასრულებდენ მეფე, რომელსაც ჰყვანდა ძლიერი სამღვდელოება და ერი, რომელიც, როგორც ირწმუნება თანამედროვე პროკოპი, ყველა ქრისტიან ხალხებზე წმიდად იცავდა ქრისტეს სარწმუნოების წესებს. გურგენი (გორგასალი) იუსტინეს მიემხრო (521 წ.) და სთხოვა, საქართველო კობადის ხელში არ ჩაეგდო. იუსტინემ ბოსფორს გაგზავნა ფული ჰუნნებიდამ მაშველი რაზმის წამოსაყვანად საქარ-

თველოში. მაგრამ აქედგან არა გამოვიდა-რა. შემდეგ იმავე იმპერატორმა ლაზისტანს გამოგზავნა სპასპეტი პეტრე საშველად გურგენისა, რომელიც აქაურ სიმაგრეებში, ალბად, არტანუჯს, იდგა. კობადმაც მეფეს დაადევნა კაიძალი ლაშქარი. გურგენმა დაატყო, რომ მტერს ვერ გაუმაგრდებოდა, აიყარა და გაიქცა (521 წ.) ლაზისტანს თავის წარჩინებულებით, დებითა, ცოლითა, შვილებითა და ძმებით, რომელთაგან ყველაზე უფროსი, როგორც იუწყება პროკოპი (გვ. 58), იყო პერანი.

გორგასალს ორი ძუძუთი ძმა (=ძუძუსმტე) ჰყვანდა:—ერთი იყო არტანში ჯუანშერისძე და მეორე სურმაგი ჯუანშერის ძმისწული. დაც ორი ჰყვანდა. პირველი ცოლისაგან მას ჰყვანდა დაჩი და ერთი ქალი, მეორისაგან სამი ვაჟი და ორი ასული. გორგასალი რომ მოკვდა, მას მეორე ცოლისაგან ორი ვაჟი დარჩა (ლეონი და მირდატი); სჩანს, ლაზისტანს გაქცევის შემდეგ უფროსი ვაჟი მოჰკლომია. პროკოპის მიერ ხსენებული პერანი ვახტანგის ძმა კი არ იქნებოდა, არამედ ბიძაშვილი მირიანი, რომელიც ოსეთს გალაშქრებისას თავის მოადგილედ დასტოვა. პერანი ლაზიკას გაქცევის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა; იგი იუსტინესა და იუსტინიანეს სამსახურში შეკიდა, მხედართ-მთავრობა მიიღო და მოკვდა 543 წ. (პროკოპ., 282). ეს პერანი და პეტრე ხოსროს ებრძოდნენ ედესას. ბერძნებმა რომ მშვიდობა ითხოვეს, ხოსრომ შეუთვალა: მომეცით ჩემი ყმები პეტრე და პერანი და ედესას გავეცლებიო (იქვე, 274).

ამავე დროს საბერძნეთს მივიდა კობადის მოციქული და გამოუცხადა იმპერატორს, რომ უსამართლოდ გიჭერიათო ლაზიკა და უსამართლოდვე იქაურ კანონიერ მეფეებს ნებას არ აძლევთ იმეფონო.

ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სპარსთა და ბერძენთა შორის. კობადმა მუქარა შეუთვალა იმპერატორ იუსტინეს, მაგრამ ეს იუსტინე მალე მოკვდა (527 წ.). გამეფდა ისტვინიანე. ამავე წელიწადს კობადმა ომი გამოუცხადა

ბერძნებს, მაგრამ ეს ომი დაასრულა (532 წელს) მისმა შვილმა ხოსრომ, რომელიც გამეფდა 13 ენკენისთვეს 531 წელს.

მეორე ბრძოლა სპარსებთან. „ქართლისცხოვრება“ ამ ომის დასაწყისს და დასასრულს ასრე გვიამბობს: მოკვდა ხოსრო (=კობადი) და გამეფდა მისი ძე ხოსრო. სპარსნი მაშინ გაძლიერებულ იყვნენ, ყოველნი მტერნი დაემორჩილებინათ. იგი წამოვიდა ბრძოლად ბერძენთა, მაგრამ წინათვე მოციქულის პირით შემოუთვალა ვახტანგს: „მოკვდა მამა ჩემი. მეფედ მყო მე ერმან მისმან საყდართა (ტახტზე) მისთა ზედა, და ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოვიდე შენს წინაშე შესვლასა ამას ჩვენსა საბერძნეთს. მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა თქვენთაგანი“.

ჩვენის მატიანის აქ ნათქვამის გასაგებად საჭიროა მოვიყვანოთ პროკოპის სიტყვები შესახებ იმისა, თუ როგორ გამეფდა ხოსრო I (ნუშირვანი).

521 წელს კობადს ფიქრად მოუვიდა, ვაი თუ ჩემის სიკვდილის შემდეგ აუჯანყდენ ჩემს სახლობას და ამოსწყვიტონო. ასრეთი აზრი იმიტომ დაებადა, რომ მას არ სურდა, ტახტი გადაეცა თავის უფროს ვაჟის კაოსთვის, არც მეორე ვაჟის ზამისთვის, რომელიც ბრმა იყო, არამედ გულით უნდოდა,—სპარსეთის ტახტი დაელოცნა თავის უმცროს ვაჟის ხოსროსთვის, რომელიც უშვა მას სპეველდის (სპასპეტის) ქალმა. ამიტომ მან სთხოვა იმპერატორ იუსტინეს—ჩემი ხოსრო იშვილეო და ჩემ შემდეგ გაამეფეო. ამისთანა თხოვნამ კოსტანტინოპოლის დიდებულობა გააბარა და ამასთანავე გააკვირვა; კობადს უარი შემოუთვალეს იმ მოსაზრებით, რომ ვაი თუ ნაშვილობევ ყაენმა იუსტინეს შემდეგ მისი ტახტიც მოითხოვოსო. ყაენს და მის შვილს ხოსროს ძლიერ ეწყინათ, რომ უარი შემოუთვალეს, და სპარსნი შეუსიეს ლაზიკასა და იმპერატორის ქვეყნებს. ბრძოლა ჯერ არ იყო მოსპობილი, რომ კობადი მოკვდა (531 წ.). მის უფროს ვაჟმა კაოსმა ტახტზე დაჯდომა მოისდომა, მაგრამ დიდებულებმა იგი გადაუკეთეს და ხოსრო გაამეფეს. ამან

გამოიწვია ბრძოლა ძმათა შორის. წარჩინებულთ და მოხუცებულებს ზამისა და მის ძის კობადის მხარე ეჭირათ, სხვებს კოსისა და ზოგს ხოსროსი. უველას აჯობა ხოსრომ: მოწინააღმდეგენი ამოწყლიტა და თვითონ მეფედ დარჩა.

ამ შლილობას (სპარსეთის სამეფო გვარეულობაში) ნათელს ჰფენს ჩვენი მატიანის სიტყვები: „მე (ხოსრო) ერმა დამსო ჩემი მამის საყდარზე; მოხუცებულთა მიბრძანეს (ხოსროს) შენს (ვახტანგის) წინაშე მოსვლაო, რომ წარმიძღვე საბერძნეთს; მომეცი ასული ცოლად, რომ ვიყო ვითარცა ერთი შვილთა შენთაგანიო“.

ეს ხოსრო ასპეველის (სპასპეტის) დისაგან ნაშობი იყო, ხოლო კობადს ცოლად ჰყვანდა ვახტანგის და მირანდუხტი. ინდოეთის ლაშქრობაში, თანახმად ჩვენის მატიანისა, მთელის სპარს-ქართველების ჯარის ასპეველად (წინამძღოლად) იყო მეფე ვახტანგი. ჰკუაზედ ახლოა, რომ თვით ხოსროც ყოფილიყოს ვახტანგის დის მირანდუხტის შვილი.

შემდეგ მემატიანე განაგრძობს: „ვითარცა მოვიდა მოციქული ვახტანგ მეფისადა, მაშინ იგი აშენებდა ქალაქსა ტფილისისა და სიფუძველი ოდენ დაედვა, და ვითარცა უთხრა მოციქულმან შეთვალულობა ხვასროსი, ჰრქვა მეფემან: „ამისი თქვიან: მშენელო, განმახვე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა“. მაშინ მეფე მიწევნად იყო ვითარ სამეოცისა წლისა. უთხრა მოციქულს: „ესრეთ უთხართ მეფესა ხვასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩემდა და ეგრე შევედ საბერძნეთად“. ეს იყო 531 წ.

ამ 531 წელს ვახტანგმა ქალაქის საფუძველი დასდო, ხოლო მანამდე კი აქ იყო სოფელი ტფილისი, რომელსაც ჩამოუდიოდა სოლოლაკის ხევი და რომლის ზემო, მთაზე იყო სიმაგრე შურისციხე და მას იქით ორთაჭალა და კრწანისი. ტფილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო აელაბარი, კალისი და ისნი (ისანი), ხოლო ამათ ზემო ჩუღურეთი, მერე კუკია და დიდუბე (=ცხენის-ტერფი), ხოლო კუკიისა და დიდუბის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა მხარეს—ვერა. ყველა ეს ადგილები და აგრეთვე აქაური მთა-გორები, სოლოლაკი, კრწანისი, აელაბარი, ნავთლუხი დაფარული იყო ხშირის ტყით. ამ ტყეებში, როგორც ამბობს ზეპირ-გადმოცემა, ერთხელ ნადირობდა ვახტანგ გორგასალი. მეფემ ქორი მიუტია ხოხობს და ორივე ფრინველნი მალე გადიკარგნენ. მეფე ამალითურთ ფრინველებს მიჰყვა და იგინი იპოვნა წყალში, რომელშიაც ჩახარშულიყვნენ. მეფეს ეს არემარე მოეწონა, თვით

თბილი წყლის სამკურნალო თვისებაც სცნა და ამიტომ აქ ააშენაო ქალაქი, რომელსაც უწოდა ტფილისი ანუ თბილისი. (ბერძენთა მწერლებით იგია ტიფლისი); ტიფლისი უნდა იყოს თავდაპირველი სახელი საქართველოს დედაქალაქისა, ვინაითგან ეს სახელი წარმომდგარა სიტყვიდამ თბილი, ხოლო ამ თბილს უდრის მეგრული ტიბუ, სვანური ტებდი (=თვი). ამიტომ თავდაპირველად იქნებოდა ტიბილისი=ტიფილისი და მერე თბილისი=ტფილისი).

ყაენის მოციქული რომ გაისტუმრა მეფემ, სოფლად და დაბად გაგზავნა ქადაგი და ყველას შეუთვალა შეხიზნულიყვნენ სიმაგრეებსა და კავკასიონის მთებში, აგრეთვე კახეთს, რომელიც ტყით დაბურულიყო და მტრისთვის შეუვალი. მეფისძე დაჩი და მისი დისწული შევიდნენ ლოპოტის ხევს, რომელიც კლდეებით მოზღუდულიყო. ეს ხევი სავსე იყო მცხოვრებლებით, რომელნიც თაყვანსცემდნენ ცეცხლსა და წყალს. თვით მეფე ვახტანგი, მისი ცოლი და დანარჩენი შვილები შევიდნენ ქალაქ უჯარმას. აქ, ქალაქის წინა-ციხეში დადგნენ მეფე, სპასპეტი ჯუანშერ და ადარნასე ერისთავი, ხოლო მცხეთაში ჩადგნენ ერისთავნი დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი. მეფის ლაშქარი (140,000 მეომარი) გაიშალა უჯარმის წინა ველზე იორამდე და აგრეთვე დადგა ციხე-ქალაქის გარეშემო. კათალიკოზი და ეპისკოპოსნი მეფის ბრძანებით შევიდნენ წმ. რაჟდენის ეკლესიაში, რომელიც ვახტანგს აეგო შიგ უჯარმაში.

ახალგაზდა ყაენი გაცეცხლდა, მოციქული რომ მიუვიდა ვახტანგისაგან. ფიცხლავ შეჰკრიბა დიდი ლაშქარი (მატიანის სიტყვით 740,000 კაცი) და განჯის მხრით გადმოვიდა კახეთს, შემუსრა ქიზიყის (კამბეჩიანის) ქალაქები, აგრეთვე ჰერმისა და ველის ციხეები, და მერე გადმოვიდა იორზე და დაიბანაკა. მეფემ სამად გაჰყო თავისი ლაშქარი: ქვეითობა კლდის მხარეს დააყენა, მეორე ფრთა ჩააბარა პატიახშებს და სპასპეტებს, თვითონ კი დადგა ხოსროს კარავის პირდაპირ და თავისთან დაიყენა 100,000 მეომარი.

ნისლიანი ღამე იყო. მეფემ გამოუცხადა ლაშქარს: „ყო-

ველი კაცი, რომელი დარჩეს სიკვდილისაგან და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ ხელი არ გამოიტანოს, სიკვდილითა მოკვდეს ჩვენ მიერ". დილის ცისკარზე მეფე და მისი ლაშქარი მიესივნენ სპარსებს. თვით მეფემ ფიცხლად მიაჭენა ცხენი ხოსროს კარავამდე და მოჰკლა მისი ვაჟი ბარტამი. ამ დროს ერთმა სპარსმა მეფეს მკერდში დაასო ისარი. სასტიკი და უწყალო ომი გაგრძელდა შუადღემდე. სპარსელების მხრივ მოკვდა 130,000, ხოლო ქართველებისა—28,000. ამას გარდა, ქართველებმა შეიპყრეს მრავალი ტყვე და მტრის მხრიდგან გამოირეკეს 100,000-მდე ცხენი.

ხოსრო დაიწია რუსთავისკენ (ყარაიას). მეფემ ქართლის სარდლებს კაცი გაუგზავნა და უბრძანა, არ შეუშინდეთ მტერს და გულადად ეომეთო, თვითონ კი უჯარმაში შევიდა, რადგან მტრის ისარს ფილტვამდე გაეგმირა მისი ფერდი.

ყაენი რუსთავიდგან მტკვარს აჰყვა, მოაოხრა ტფილისი, არმაზი, მუხრანი, არაგვისპირი და წავიდა კარნუ-ქალაქს (არზერუმს) და იქ შეება იმპერატორის ისტვინიანეს ლაშქარს. ორივე მხრით დაიხოცა მრავალი, მაგრამ ერთმა მეორეს ვერა სძლო, გაიყარნენ და თავ-თავისას წავიდნენ.

ასრეა ჩვენის მატიანით. საზოგადო ისტორია კი გვაუწყებს, რომ ხოსრო თავის გამეფების წელსვე შეება ბერძნებს ქალაქ დარას, მერე მათ შეურიგდა (532 წ.) და იმპერატორ ისტვინიანესთან დასდო შემდეგი სუგუნო ხელშეკრულობა:

ა. ორივე მხარეს დაუბრუნდეს ამ ომში წართმეული ქვეყნები და ადგილები. ბ. არც ერთი სარდალი არ დარჩეს ციხე-ქალაქ დარას; გ. ივერთ მიეცეს უფლება—დარჩნენ ვიზანტიას ანუ დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში *). დ. იმპერატორ ისტვინიანესაგან მიეცეს ხოსროს 111 კენტინარი (=11,000 ლიტრა ოქრო= 1.192,000 ფრანკი).

---

*) ეს ის ივერნია, რომელნიც 521 წ. გურგენთან ერთად ლაზიკას გაიქცნენ.

ვახტანგის სიკვდილი. ისრით განგმირულ მეფეს წყლუ ლი გაუვადა. მან სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ამიტომ მოიწვია კათალიკოზი პეტრე, ცოლი თვისი ელენე, ძენი და ყოველნი წარჩინებულნი და უთხრა: „ქართველებო, კეთილად მომიხსენეთ, ვინაითგან მე გადიდეთ თქვენ, სახლსა ჩემსა ნუ შეურაცხჰყოფთ, სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ“. მერე უთხრა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენ გაძლევ ჩემს გვირგვინს, ხოლო შენს ძმებს (ლეონს და მირდატს) ვაძლევ ქვეყანას ტაშისკარითგან და წუნდითგან სომხითამდე და საბერძნეთამდე; მათვე და მათს დედას ელენეს ეკუთვნით ეგრისწყალსა და კლისურის შორისი ქვეყანა. ეს ქვეყნები ჰქონდეთ მათ, აქ იყვნენ იგინი ერისთავებად, მაგრამ შენ გემორჩილებოდნენ“. შემდეგ მეფემ იხმო წუნდის ერისთავი ნასარ, კლარჯეთის ერისთავი არტავაზ და ოძრახის ერისთავი ბივრიტიანი და ამათ ჩააბარა თვისი ცოლი ელენე და მისგან ნაშობი შვილები ლეონ და მირდატ.

ამის შემდეგ მეფე გარდაიცვალა *). შეიქმნა გლოვა და ტირილი მთელს სამეფოში, ასე რომ „ხმისაგან გოდებისა იძროდა მთელი ქვეყანა“. დატირების შემდეგ მეფის გვამი დამარხეს მცხეთის საპატრიარქო ტაძარში, საკათალიკოზო სვეტთან, და დაადგეს ქვის ძეგლი მის სახის ზედ-გამოჭრით.

ვახტანგი საკმაოდ ნიჭიერი მეფე იყო. მან საქართველოს თავისუფლება იხსნა განსაცდელისაგან, ორს ძლიერს მტერს არ გააჭყლეტინა და არ გაასრესინა ქვეყანა. ამას გარდა, მედგრად დაიცვა ეროვნული სარწმუნოებაც და მას მოუპოვა თვითარსებობა—კათოლიკოსობა. ვახტანგი ზრუნავდა საყდრების შესამკობად და ხალხის გასანათლებლად. მეფეს კარგად უნდა სცოდნოდა ბერძნული და სპარსული ენები. ამ ენების შე-

*) 532 წელს, ვინაითგან ამ წელს დასრულდა სპარს-ბერძენთა (და ქართველთა) ომი.

სწავლა მას არ გაუძნელდებოდა, ვინაითგან დიდხნობით უხდებოდა ყოფნა სპარსეთსა და საბერძნეთში და, ამას გარდა, ცოლებიც უცხოელები ჰყვანდა—ბალენდუხტი სპარსი იყო და მეორე ცოლი ელენე—ბერძენი. თვით სამღვდელოების წარმომადგენელნიც აგრეთვე ბერძნები იყვნენ. ვახტანგის მიერ შვენივრად შემკობილი სახარება შემდეგში გადაეცა შიომღვიმის მონასტერს. საქართველოში კათალიკოზის დადგენის შესახებ დარჩენილა ასრეთი ცნობა: „იუსტინიანემაო,—ამბობს ანტიოქიის პატრიარქი ვალსამონი,—დაადგინა რამდენიმე დამოუკიდებელი ავტოკეფალობა და მათ შორის ივერიის საყდრისაო“. ეს, ჩვენის მოსაზრებით, უნდა მომხდარიყო 532 წელს, როდესაც იუსტინიანე დახსრო I შერიგდნენ და თვის შორის დადებულ ხელშეკრულობაში შეიტანეს მუხლი, რომ სარწმუნოებისთვის განდევნილ ივერთ ნება მიეცეთ სამშობლოში დაბრუნდნენო.

საქართველოს საყდრისთვის ავტოკეფალობის მინიჭება უმთავრესად გამოიწვია არა კერძო პირთა სურვილმა, არამედ აუცილებელ საჭიროებამ და ეს საჭიროება კი შეჰქმნა აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის აუტანელ მდგომარეობამ წარმართთა და მწვალებელთა შორის (იხ. ქვემო, თავი III).

თავი II.

მეფეები გორგასლიდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე.

1. სპარსთა და ბერძენთ მძლავრობა. ვახტანგ გორგასალმა თავის სიკვდილის წინად საქართველოს სახელმწიფო ორ სამეფოდ გაჰყო: ამერეთი უანდერძა დაჩის, დასავლეთი საქართველო მესხეთიანად მისს ძმებს ლეონსა და მირდატს. პირველი—დაჩი—ყაენის ქალის ნაშობი იყო, მეორენი—იმპერატორისა. ამ ნათესაობით და ქვეყნის ამგვარ განაწილებით თავშივე აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს პატრონად და მფარველად შეიქმნებოდა ყაენი, ხოლო დასავლეთ საქართველოისა—იმპერატორი. ეს იქნებოდა ვახტანგის დიდი და შეუნდობელი დანაშაული სამშობლოს წინაშე, თუ ქვეყნის ესრეთი დანაწილება მას მოეხდინა ნებსით და არა მძლავრ და სასტიკ გარემოებათა იძულებით.

მაშინ ანდერძისამებრ დაჩი დარჩა მცხეთას, ხოლო ქვრივი დედოფალი ელენე და მისი შვილები ლეონი და მირდატი წავიდნენ წუნდას და ოძრხის ერისთვის ბივრიტიანის, კლარჯეთის ერისთავის არტავაზის და წუნდის ერისთავის ნასარის შემწეობით დაიპყრეს მთელი მესხეთ-კლარჯეთი და გამთავრდნენ. ზაფხულობით ცხოვრობდნენ წუნდას და ზამთრობით ოძრხეს. იქიდგანვე უვლიდნენ აგრეთვე თავიანთ დედის სამზითვო ქვეყანას,—ეგრისწყალსა და კლისურის შორის მდებარეს. სპარსთა შემოსევისაგან აოხრებული იყო ქართლი. მის შენებას შეუდგა დაჩი მეფე. მანვე დაამთავრა ქალაქ ტფილისის ზღუდის და სხვა შენობათა აგება. განასრულა-რა, სამეფო ტახტი მცხეთიდგან ტფილისს გადმოიტანა. მის შემდეგ ტფილისი უფრო გადიდდა, გალამაზდა და შეიქმნა საქართველოს დედაქალაქად, სავაჭრო და სამმართველო შუაგულად. მის დროს კახეთის მთიელები ისევ წარმართნი იყვნენ. დაჩიმ სთხოვათ—ირწმუნეთ ქრისტეო. მათ არ ინდომეს და განდგენ

ყველა ნოპაპატელნი. ამავე ხანს მოკვდა დაჩის ძმა ლეონი და დასავლეთ საქართველოს დაუპატრონდა მისი ძმა მირდატი. ამას დაჩიმ დაუთმო ჯავახეთი და ნაცვლად მისგან მიიღო ქვეყანა ეგრისწყალსა და კლისურას შორისი. მირდატი შეიქმნა მთავრად მთელის სამცხე-კლარჯეთისა ფანავარ-ტაშისკარითგან მოკიდებული სპერის ზღვამდე. მირდატმა ააშენა წყაროსთავის საყდარი.

დაჩის შემდეგ მცირე ხანს მეფობდა მისი ძე ბაკური და მერე ამის შვილი ფარსმანი. ამ მეფის დროს მოვიდნენ სპარსნი, მოაოხრეს ქართლი, ხოლო საყდრები აღარ დაანგრიეს, რადგან ფარსმანი დაემორჩილა მათ, აღუთქვა ხარკი და მსახურება. ყაენი დაბრუნდა. ამის შემდეგ დაჩისძენი ემორჩილებოდნენ სპარსთა და მირდატისძენი ბერძენთა.

ფარსმან ბაკურისძე მოკვდა უშვილოდ და გამეფდა მისი ძმისწული ფარსმანი. მის დროს შუამდინარიდგან მოვიდნენ 14-ნი მამანი. აფხაზთა საზღვარზე გამოჩნდნენ ახალი მპყრობელები—ხასკუნნი; ესენი დაიმორჩილა ფარსმან მეფემ, მათი მოთავეები შეიპყრა და იუსტინიანეს წინაშე წარგზავნა. ამავე იუსტინიანეს სახლში იყო საპურისი აფხაზი ევფრატი. იგი გამოგზავნა იმპერატორმა აფხაზეთს ქრისტიანობის საქადაგებლად. მან და ისუტინიანემ აფხაზეთში ააშენეს ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძარი და მასში დაადგინეს სამღვდელოება.

გამეფდა ბაკურ ფარსმანისძე. სპარსეთის ხელმწიფე ურმიზდმა თავისი შვილი ხოსრო ამბარვეზი გამოგზავნა ბარდავს და დაუმორჩილა მას რანი და მოვაკანი. ეს ხოსრო ცბიერი კაცი იყო. მან ქართლის ერისთავებს აღუთქვა დიდი წყალობა და კეთილი, საერისთავო მამულები საშვილი-შვილო საკუთრებად დაუწერა, ამით მიიბირა იგინი და ბუნებრივ მეფეს გაუორგულა. ყველა ერისთავები ცალკ-ცალკე განდგნენ, ხოსროს დაემორჩილნენ, მისი მოხარკეობა იკისრეს. ბაკურის შვილები კახეთის მთებში დარჩნენ, ხოლო ვახტანგის ძის მირდატის ნათესავნი გამაგრდნენ კლარჯეთის სიმაგრეებში. აქედგან

იგინი განაგებდნენ ჯავახეთსა და კლარჯეთს. ხოსრომ დაიპყრა ქართლი, სომხეთი და ასფურაგანი, შეებრძოლა ბერძნებს. მაგრამ ეს ომი მალე შესწყვიტეს სპარსებმა, ვინაითგან ამ დროს აღმოსავლეთის მხრიდგან სპარსეთს შემოესივნენ თურქნი. ხოსრო რანსა და მოვაკანს ველარ გაჩერდა, სწრაფად წავიდა სპარსეთს თურქების წინააღმდეგ საბრძოლად.

ეს მოკლედ მოთხრობილი ამბები გვაძლევენ შეძლებას, აღვადგინოთ ქორონიკონები იმ დროისა, როდესაც მეფობდნენ ზემოხსენებული მეფეები და იმ შემთხვევათა, რომელნიც მოხდნენ საქართველოსა და მის მეზობლობაში.

ვახუშტის ქორონიკონები არც ერთი სწორე არ არის. ბაკური იყო თანამედროვე უანის ურმიზდისა, რომელიც გამეფდა 579 წ. და მოკვდა 590 წ. ვახუშტს კი ბაკურის ცხოვრება მოუქცევია 557—570 წლებ შუა, და ამ დროს კი ურმიზდი ჯერ არ იყო გამეფებული. ბაკური ურმიზდის შვილს ხოსროს მეფობისაც დაესწრო. ეს ის ხოსროა (591—628), რომელიც ქართლისცხოვრების ცნობით და საზოგადო ისტორიის მოწმობით შეებრძოლა ახლად გამოჩენილ მტრებს—თურქებს.

საზოგადო ისტორიის ჩვენებით საქართველოსი, სპარსეთისა და ბერძნების ურთიერთშორისი დამოკიდებულება და განწყობილება, ვახტანგ გორგასლის შემდეგ, ასრეთი იყო.

II. სპარს-ბერძენთა ომები ლაზიკის დაჩემებისთვის. ამ დროს დასაწყისშივე საქართველოს მეზობლად ორი უძლიერესი და უნიჭიერესი კაცი ხელმწიფობდა—საბერძნეთში იუსტინიანე (527—565) და სპარსეთში ხოსრო I (531—579). ორთავე ხელმწიფეები იყვნენ აღმაშენებელნი, სჯულისმდებელნი, ქვეყნების დამპყრობელნი. ხოსროს ნართაული სახელი იყო ნუშირვანი—მოსამართლე. მას უყვარდა მეცნიერება, მფარველი იყო ფილოსოფოსებისა. სუზის ახლოს მან გამართა სამკურნალო სასწავლებელი, რომელშიაც აგრეთვე ასწავლიდნენ მგოსნობას, ფილოსოფიას, რიტორობას. მის ბრძანებით შეიკრიბა ძველი მატიანეები, გადმოთარგმნილ იქმნა ბერ-

ძნებისა და ინდოელების გამოჩენილი მწერლების ნაწერები. მის დროსვე ინდიურ წყაროების მიხედვით შეადგინეს არაკების კრებული ბიდპაისა, რომელიც შემდეგში გავრცელდა ევროპიის ხალხებში. ნუშირვანი მფარველობას უწევდა არათუ მარტო სპარსელ სწავლულებს, არამედ უცხო ქვეყნებისასაც. მან ჯამაგირი დაუნიშნა იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც იუსტინიანემ გამორეკა ათინიდამ. ამ ორ ხელმწიფეს შორის განუწყვეტელი მტრობა ჩამოვარდა ლაზიკის გამო.

უკვე იყო ნათქვამი (გვ. 103). თუ რომაელებმა როგორ დაიპყრეს მიტრიდატის პონტოს სამეფო და როგორ დაიშალა ამ დიდებული მპყრობელის ვრცელი სახელმწიფო. მას აქეთ თითქმის განუწყვეტლად პონტო შეადგენდა რომაელების (და შერმე ბიზანტიელების) კუთვნილებას. იგინი აქ ამწესებდნენ ადგილობრივ მეფეებს და ხშირად კი, მეფეების მაგიერ, თავიანთ მოხელეებს ნიშნავდნენ. პონტოს ნაწილს შეადგენდა ჰანეთიც. ჰანებს ბერძნები უწოდებდნენ სანნი, ზანნი, სანიგი, ჰანიკი, ჰანი (tzani) და ლაზი, ხოლო მათს ქვეყანას იხსენიებდენ ჰანიკად და უფრო მეტად კი ლაზიკად. (ლაზიკა=ლაზისტანი=ჰანეთი). ეს ლაზიკა და მთელი იმერეთ-ამერეთი სპარსეთში სასანიანთ გამეფების შემდეგ (226 წ.) ბერძენთა და სპარსთ შორის საცილობელ საგნად შეიქმნა: იმარჯვებდენ იმპერატორები—საქართველო-ჰანეთს ბერძენთა მფარველობა ეკისრებოდა, იმარჯვებდნენ სპარსნი—ყაენების უღელი ედებოდა ამ ქვეყნებს. ბერძნების გავლენა უფრო მეტად დაეჩნია ჰანეთს 298 წლითგან, როდესაც ნიკიბისში დადებულ ხელშეკრულობით საქართველოს მეფეების დანიშვნის უფლება ყაენებმა დაუთმეს იმპერატორებს. ეს უფლება იმპერატორებს ეკუთვნოდათ 363 წლამდე. ამ წელს შაბურ I-მა იმპერატორის მიერ დადგენილი ივერიის მეფე საერომაკი გადააყენა და მეფედ დანიშნა მისი ბიძაშვილი ასფაგური. ამ ხნიდგან იმპერიასა და საყაენოს ცილობა საქართველოს დაჩემების შესახებ უფრო გამწვავდა. ყაენები თითქმის დაუპატ-

რონდნენ ამერეთს, რომლის მეფეების ზედამხედველობა ჩაბარეს თვისს მიერვე დადგენილ რან-მოვაკნის ერისთავებს. მათმა მეტოქე ბერძნებმაც თვისი უფლება განამტკიცეს ლაზიკაში. ვახტანგ გორგასლის დროს ბერძნებს უკვე ეპირათ თითქმის მთელი იმერეთი და აფხაზეთი და მთელს ამ სამფლობელოს უწოდებდნენ ლაზიკად ანუ კოლხიდად. თვით ვახტანგ გორგასლის ანდერძიდამ სჩანს, რომ საკუთრად იმერეთსა და სამეგრელოს გარდა დანარჩენი ადგილები—ჯავახეთი, მესხეთი, კლარჯეთი, ჰანეთი და აფხაზეთი ცალკე სამთავრო იყო. ამ ვრცელს ქვეყანაში უმეტესი გავლენა მოიპოვეს ლაზიკის მთავრებმა, რომელნიც თუმცა ემორჩილებოდნენ ბერძნებს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად, პოლიტიკურად; ჰანებს ჰქონდათ საკუთარი კანონები, საკუთარი შინაური წეს-წყობილება. მათი ქვეყანა მწირი იყო და იმდენ მოსავალს არ იძლეოდა, რომ ამ მოსავლით გამოკვებილიყო ხალხი. ამიტომ ლაზები ხშირად შეესეოდნენ ხოლმე მომიჯნავე ქვეყნებს და არბევდნენ. იმპერატორი მათ ყოველ წლივ უგზავნიდა ოქროს, რომ არ დაერბიათ ბერძნების მიწები. მაგრამ იგინი მაინც არ ისვენებდნენ და, ხშირად, თვით იმპერატორების ჯარსაც შეებმოდნენ ხოლმე. 522 წელს, როგორც ამბობს პროკოპი, ლაზებმა (საკუთრად—ზანებმა—ჰანებმა) მიიღეს ქრისტიანობა, და, მიუხედავად ამისა, იგინი ემხრობოდნენ ხან სპარსებს და ხან ბერძნებს, მაგრამ ორთავეს უღელი კი მუდამ ემძიმებოდათ. ლაზების (ჰანების) ქვეყნის აღმოსავლეთ მიჯნად ითვლებოდა ჭოროხი, მაგრამ მათმა მთავრებმა გურია-იმერეთისკენაც დაიწიეს და ეს ქვეყნებიც დაიჭირეს. მათი ძლიერი ციხე-ქალაქები იყო პეტრა (ქაჯთა ქალაქი, ფოთსა და ბათომს შორის ზღვის კიდეზე), ნაქალაქევი, ქუთაისი, სკანდა, შორაპანი, ბიჭვინტა, მუხირეზისი (თუხარისი?). 457 წელს მათმა მთავარმა გუბაძემ თავისი თავი ლაზიკის მეფედ გამოაცხადა და სვანებს წაართვა რამდენიმე დაბა. სვანებმა შემწეობა სთხოვეს ყაენს და მისგანვე შველა ითხოვა გუბაძემაც წინააღმდეგ იმ-

პერატორისა, რომელსაც გუბაძეს გაძლიერება აშინებდა. ყაენი ვერც ერთს ვერ შეეწია, რადგან ჰუნნ-კიდარიტებთან ომობდა. მაშინ გუბაძემ იმპერატორს სთხოვა,—ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა მოსპე და შენს ნებას აღვასრულებო. მან გვირგვინი დაულოცა თავისს შვილს ძამნაკეს და თვითონ წავიდა კოსტანტინეპოლს (461 წ.). მას ეცვა სპარსული ტანისამოსი. თან ჰყვანდა მცველები. საქრისტიანო სიმბოლოს აღვიარებით იმპერატორის ყურადღება დაიმსახურა.

520—521 წელს ყაენის კობადის მოციქულ სეოსმა იმპერატორ იუსტინეს მოციქულებს განუცხადა, რომ თქვენ უსამართლოდ დაგიპერიათო კოლხეთი, რომელსაც დღეს ლაზიკა ჰქვიანო. ამან უსიამოვნება დაჰბადა სპარსეთსა და საბერძნეთს შორის. ეს უსიამოვნება დიდ უკმაყოფილებად გარდაიქცა 527 წელს, როდესაც ლაზთა მეფე ჰათი (Tzathios) თავის მამის ძამნაკის სიკვდილის და დამარხვის შემდეგ, კოსტანტინეპოლს წავიდა და ითხოვა—იმპერატორს მიეღო იგი თავის მფარველობაში, ლაზების მეფედ დაედგინა და დაეგვირგვინებინა ქრისტიანულ წესით. იმპერატორმა იუსტინემ მისი თხოვნა სიხარულით შეასრულა. ჰათიმ ქრისტიანობა მიიღო და გამოცხადებულ იქმნა ლაზთა მეფედ. მან შეირთო ბერძნის პატრიკის ონინის შვილიშვილი ვალერიანა და დაბრუნდა. ჰათის ეცვა აბრეშუმის თეთრი მანტია, ეხურა რომაული გვირგვინი, ძოწეულის მაგიერ გაკეთებული ჰქონდა სამთავრო ფირფიტანა, რომელზედაც ლურჯის წამლით გამოსახულიყო იმპერატორი იუსტინე. მისი წაღები, ეროვნულ წესისამებრ, წითელი ფერისა იყო, მომარგალიტებული. ქამარიც აგრეთვე მომარგალიტებული ერტყა. წამოსვლისას მან და მისმა ცოლმა ძვირფასი საჩუქრები მიიღეს იმპერატორისაგან.

ყველა ეს ამბავი შეიტყო კობადმა და მოციქულის პირით იუსტინეს შეუთვალა: მე და შენ შორისი მეგობრობა შენ დაარღვიეო. ჩემს ქვეშევრდომ ჰათის მეფობა მიეცი, გვირ-

გვინი დაადგი, იგი თქვენი ქვეშევრდომი არასდროს არ ყო-ფილა“.

იმპერატორმა უპასუხა: „აქ იყო ვიღაც ჰათი, ფეხ ქვეშ დაგვივარდა, ბილწ წარმართობიდგან, ჭეშმინდურ საღრმთოების შეწირვისა და ბოროტ ეშმაკების ხელისაგან ხსნას დაგვეველრა და გვთხოვა, რომ ნება დაგვერთო—ქრისტიანობა მიეღო. ჩვენც შევიწყნარეთ მისი სამართლიანი თხოვნა, მოვნათლეთ და სამშობლოშივე გავისტუმრეთ“.

ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ყაენი. 527 წელს მან ომი გამოუცხადა ჰათის იმისთვის, რომ მიემხრო ბერძნებს და, ალბად, იმისთვისაც, რომ მისს სამშობლოში თავი შეაფარა გურგენმა (ვახტანგ გორგასალმა). ჰათიმ შემწეობა ითხოვა იუსტინიანესაგან და შეებრძოლა მტერს. სპარსელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მეორე შეტაკებაში კი დამარცხდნენ ამასობაში ყაენი კობადი მოკვდა (531 წ.). მისი მემკვიდრე ყაენი ხოსროა, როგორც იყო ნათქვამი, შეურიგდა (532 წ.) იუსტინიანეს და დაუთმო მას ლაზიკის ის ციხე-სიმაგრეები, რომელნიც ივერიიდგან ლაზიკაში გადამავალ გზას იცავდნენ.

შერიგების შემდეგ მეორე წელიწადსვე იუსტინიანემ თავისი სარდალი ველისარი გაგზავნა აფრიკის დასაპყრობად. მან დაიპირა კართაგენი და დაიპყრა აფრიკეთი (534 წ.), მერე შევიდა სიცილიას, იტალიას, შეებრძოლა გუთების მეფეს ვიტოგეს. ამან, ნახა-რა თავისი საშიში მდგომარეობა, აფრინა კაცი სპარსეთს და ხოსროს შეუთვალა: თუ ეხლავე იუსტინიანეს ომს არ გამოუცხადებთ, მერე გვიანღა იქნება: დასავლეთს რახან დაიპყრობს, მერე მოგდგება და შეგმუსრავსო. რჩევა მოეწონა ყაენს. დიდის ლაშქრით იგი შეესია (540 წ.) შუამდინარეს, აიღო ქალაქი დარა, მისი მეციხოვნეები ამოსწყვიტა, საბერძნეთის მიჯნები მოარბია, მოსტყვენვა, გაცარცვა და გააოხრა ანტიოქია და ტყვითა და დავლით დატვირთული დაბრუნდა სპარსეთს, იქ ააშენა ახალი ქალაქი, მასში ტყვეები დაასახლა, თვითონ გამობრუნდა, შევიდა პალესტი-

ნას, საიდგანაც შავი ზღვის პირისკენ მოსვლა უნდოდა, მაგრამ ამდროს მცირე აზიაში გამოჩნდა ველისარი. ყაენი შეშინდა და შეურიგდა (544 წ.) იმპერატორს.

შერიგების მიზეზად ისტორიკოსი გიბბონი ასახელებს ჟამსაც, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს მძვინვარებდა 542 წლითგან. პროკოპი ამბობს, რომ ამ ჟამმა დააზარალაო ბკვრის ბკვრეული ბევრი ადამიანი (ბევრი=10,000). თუმცა ეს ჟამი 594 წლამდე არ შესწყდა, მაგრამ ამან ვერ შეაშინა ხოსრო, რომელიც 549 წელს ისევ შეება იუსტინიანეს. ამის მიზეზად შეიქმნა ლაზიკის მეფე გუბაძე (539—554).

გუბაძეს იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა—ბეჯითად დაეცვა თავისი სამეფოს მიჯნები და ჩრდილოეთის ველურებისათვის დაეხშო იმპერიაში შესასვლელი გზა-კვალი. თვით შავი ზღვის პირად, რიონისა და ჭოროხის შესართავებ შორის, იმპერატორს ჰქონდა მაგარი ციხე ჰეტრა. ეს პეტრა იყო იქ, საცა ცნობილი სიმაგრე ციხისძირია ანუ ქაჯეთის-ციხე (თვით ჰეტრა ნიშნავს კლდეს, ქაჯეთს). პეტრაში იუსტინიანეს ჰყვანდა საკუთარი მეციხოვნეები და აგრეთვე ციხისთავი ციბი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თვალყური დაეჭირა ლაზიკის საქმეებზე. ციბი ვერაგი და ვერცხლმოყვარე კაცი იყო. მან ხელში ჩაიგდო ადგილობრივი აღებ-მიცემა, აუმაღლა ფასები მარილსა და პურზე. ლაზების ქვეყანა მწირი იყო და ახლა უდიერ ბაჟებმა უფრო გაამწვავა მათი მდგომარეობა. გუბაძემ მოციქულები გაუგზავნა ყაენს და შემწეობა და მფარველობა ითხოვა.

ყაენი ხოსრო ამდროს ითვლებოდა ნამდვილ პატრონად არათუ მარტო ამერეთისა, არამედ ალბანია-დაღისტნისაც. ეს უკანასკნელი ქვეყნები მას დაეპყრა თავის მამის კობადის მეფობაშივე. მას გაემაგრებინა დარუბანდი და მის ციხე-კედლის გამოყოლებით დაეყენებინა მეომრები. ყველა ამ მეციხოვნეთ დავალებული ჰქონდათ—დაეცვათ ეს მიჯნა ჩრდილოეთის ველურებისაგან. ამას გარდა, აქვე დაეწესებინა სამი სამთაერო

—დარუბანდისა (ფილან-შაისა), თავასარანისა (თავასარან-შაისა) და შარვანისა (შარვანშაისა=შარვაშისა). შარვან-შას სამფლობელოს აღმოსავლეთი მიჯნა იყო ხალხალი (ნუხის მაზრაშია, უდეთს), რომელს აქეთ იწყებოდა საქართველო.

ლაზების მოციქულების თხოვნამ მეტად გაახარა ხოსრო-ნუშირვანი. მან წარმოიდგინა, რომ დაიპყრობს-რა ლაზიკასაც, შეიქმნება ბატონად ორს ზღვას შორის მდებარე ქვეყნისა, ხელში ეჭირება-რა რიონ-ჭოროხის შესართავები, ადვილად დაარბევს პონტოს და ბითინიას და, გამართავს-რა გემებს შავს ზღვაზედ, მუდამ შიშში ეყოლება კოსტანტინეპოლი.

ხოსრო დიდის ლაშქრით შემოვიდა ამერეთს და აქედგან გადავიდა იმერეთს. გზის მაჩვენებლად ლაზები ჰყვანდა. შუა იმერეთს რომ მიაწია, მოეგება მეფე გუბაძე, თაყვანისცა და გადასცა მას თავისი სატახტო ქალაქი ქუთაისი. აქედგან ხოსრომ ანიაბედი ძლიერის რაზმით გაგზავნა პეტრას ასაღებად, თვითონაც უკან შეუდგა. მალე სპარსებმა აიღეს (ციხე პეტრა, მაგრამ ამდროს ველისარი შეესია სპარსეთს. ამიტომ ხოსრომ პეტრაში ჯარი ჩააყენა, თვითონ კი სწრაფად წავიდა სპარსეთს. დროებით შეურიგდა იმპერატორს, ლაზების შესახებ კი გადასწყვიტა, რომ იგინი (ლაზები) სხვა ადგილას გადაესახლებინა და მათს ქვეყანაში სპარსნი დაებინავებინა. ლაზიკაში გამოგზავნა გემების საშენებელი მასალა, აგრეთვე 300 რჩეული სპარსი, რომელთაც დაავალა გუბაძის მოკვლა. ეს სპარსნი ფაბრიცის მოთავეობით შევიდნენ პეტრას. ფაბრიცმა განიზრახა გუბაძეს მოკვლა ღალატით. ამას გადაკიდებული ჰყვანდა კოლხელი აზნაური ფარსმანი (ბარსანსი). ფაბრიცმა ამ ბარსანს განუზიარა თვისი აზრი, ბარსანმა აცნობა გუბაძეს. ამან შველა და შემწეობა ითხოვა იუსტინიანესაგან. იმპერატორმა მოაშველა 7000 ბერძენი და 1000 დაქირავებული ჰანი.

549 წელს გუბაძე შემოერტყა პეტრას. მისი მცველი

სპარსები გმირულად იბრძოდნენ. ყაენმა მათ მისაშველებლად გამოისტუმრა მერმეროს დიდძალი ლაშქრით. ეს რომ შეიტყო გუბაძემ, პეტრას ასაღებად დასტოვა ბერძნების ჯარი დაგისთეს მეთაურობით, თვითონ კი წამოვიდა და გაამაგრა ლაზიკაში შესასვლელი ბილიკები, აგრეთვე ციხე-სიმაგრები ბიჰვინტა, ნაქალაქევი, სკანდა, ვარდციხე, მუხური. აგრეთვე 300 გირვანქა ოქროდ მოიწვია მეომრები ოსეთიდგან. მერმეროს ფარულის გზებით შევიდა ლაზიკაში და სურსათი მიაშველა პეტრას დამცველებს. მალე გუბაძე და ბერძნები ისევ შეერთდნენ და ორჯერ ზედიზედ დაამარცხეს მერმეროს და განდევნეს. 550 წელს ყაენმა გამოგზავნა ხორიანი, მაგრამ ესეც დაამარცხეს და მოკლეს.

551 წელს პეტრას მცველი სპარსნი დანებდნენ გუბაძეს. სპარსთა დარჩენილი ლაშქარი გაიყო ორ რაზმად. ნაბედი შეესია აბხაზეთს და წებელდას, საცა მაშინ მთავრობდა თრდატი. ეს რაზმი ადგილობრივ მცხოვრებლებმა ამოსწყვიტეს. მერმეროს მეორე რაზმით წამოვიდა ნაქალაქევისკენ. გუბაძემ დაანგრია შორაპნის, ვარდციხის და სკანდის სიმაგრეები: რომ სპარსებს არ ჩავარდნოდათ ხელში და აქ არ გამაგრებულიყვნენ. რაწამს ლაზებმა დაანგრიეს სკანდა, მერმეროს მოვიდა, ხელახლა გაამაგრა, შიგ ჩააყენა სპარსნი და თვითონ წავიდა ქუთაისს, აიღო უხიმერიონი (არქელის გორა) და 554 წლამდე დაიჭირა თითქმის მთელი იმერეთი. გუბაძე გამაგრდა მთაში. ამავე წელს მერმეროს ავად გახდა და მოკვდა მცხეთაში. მისმა მოადგილე ნიკორაგანმა ლაზიკაში ვერა გაარიგა-რა. ერთს ბრძოლაში მას მოუკლეს 10,000 კაცი. ამიტომ ყაენმა იგი დაიბარა და ცოცხალი გაატყავა. ამავე წელს ბერძნებმა ღალატით მოჰკლეს მეფე გუბაძე. სპარსოა და ბერძენთ ბრძოლა დასრულდა 561 წელს. ყაენმა ხელი აიღო ლაზიკაზე, ხოლო იმპერატორმა ყაენს ყოველწლიურ საჩუქრად დაუნიშნა 30,000 ოქრო.

მალე ამის შემდეგ იუსტინიანე მოკვდა, ხოსრომ თავისი

სახელმწიფო უფრო გააღიდა და შეიქმნა მბრძანებლად ქვეყნებისა ინდოეთიდგან ხმელთაშუა ზღვამდე, იაქსარტიდამ არაბეთ-ეგვიპტემდე. მაგრამ იგი რომ მოკვდა (579 წ.), მისმა შვილმა ურმიზდმა მამის მიერ დაპყრობილი ქვეყნები თითქმის მთლად დაჰკარგა.

III. **თურქებისა და ავარების მოძრაობა.** ზევით მოვიხსენიეთ თურქები, რომელნიც სპარსეთს შემოესივნენო ალმოსავლეთ მხრიდგან და მამის ურმიზდის (579—591) საშველად რანიდგან წავიდაო მისი შვილი ხოსრო-ამბარვეზი. ეს თურქები ცხოვრობდენ ალტაის მთების ჩრდილოეთით, მდ. ირტიშის სათავეებში, ციმბირისა და ჩინეთის საზღვრებზე. იგინი თავიდგანვე გეუგების მთავრის მონები იყვნენ. ალტაის მთების მაღაროებიდამ მადნეული გამოჰქონდათ და რკინას ჰედავდნენ. 545 წელს მათ შორის გამოჩნდა ერთი ბელადი, რომელმაც თავისს მოგვარე თურქებს ურჩია: გვეყოფაო მონად ყოფნა, რკინეულობა ჩვენც გამოგვადგებაო, მით ჩვენც თავისუფლებას მოვიპოვებთო. თურქებმა იგი გამოაცხადეს თავიანთ მეფედ, დაამარცხეს გეუგები და თავიანთი სამეფო დააარსეს. მათ მალე დროში დაიპყრეს ჩრდილოეთი ჩინეთი, დაეშვნენ სამხრეთისკენ, დაამარცხეს თეთრი ჰუნნები, დაიჭირეს სამარყანდი და ბუხარა. თურქების მესამე ტალღა წამოვიდა ევროპისკენ და მოიცვა მთელი არემარე ვოლგასა და აზოვის ზღვის შორის. ვინც აქ შეხვედათ, ზოგი ამოჟლიტეს, ზოგნი დაეშორჩილნენ, დანარჩენნიც დასავლეთისკენ გაიქცნენ. ამ გაქცეულთა შორის უძლიერესნი იყვნენ ავარნი. ესენი ვოლგიდამ კავკასიაში მოვიდნენ. მათი უმთავრესი ურდო კავკასიონის ძირში დაბინავდა. აქედგან კანდიშის მოთავეობით, საქართველოს გზით, მოციქულები გაუგზავნეს იმპერატორ იუსტინიანეს (558 წ.) და სთხოვეს მიეღო ავარები თავისს სამსახურში, ჯამაგირი დაენიშნა მათთვის და აგრეთვე მიეცა მათთვის მიწები და საძოყრები. იუსტინიანემ მოციქულები დააჯილდოვა და უკანვე გამოისტუმრა, ხოლო მათ ნათხოვნის

მოსაგვარებლად გამოგზავნა უალენტი და ამას დაავალა, ბარბაროსები დაეყოლიებინა და რომისა და გერმანიისთვის მიეხმარა. მისი დავალება უალენტმა შეასრულა. მალე ავარები დუნაიაზე გაჩნდნენ.

ჩვენი მატიანე ამას ასრე გადმოგვცემს: იმპერატორი იუსტინიანე ავასგიის (აფხაზეთის) მხარეს ებრძოდაო ხასკუნებს (ტასკუნებს). ამათი დამორჩილება მან დაავალაო ქართველთა მეფე ფარსმანს. ამან იმპერატორის თხოვნა მიიღოო, საქართველოს გამგეობა ჩააბარა ევაგრეს, თვითონ წავიდა, დაიმორჩილა ხასკუნნი, მათნი მთავარნი შეიპყრა, იუსტინიანეს გაუგზავნა და შინ დაბრუნდაო.

ამასვე „თავად-აზნაურთა სია“ მოგვითხრობს ასრე: იუსტინიანეს და მეფე გურამის დროს აღმოსავლეთიდგან მოვიდნენ თურქმანთა ტომნი—ჰვარნი, რომელთაც დაიპყრეს ყველა მიწები კასპიისა და შავის ზღვის შორის. გურამი სასტიკად შეება მათ და დიდი ვნება მიაყენა. ამიტომ ამ ხალხის ბეგები კოსტანტინეპოლს წავიდნენ, მსახურება აღუთქვეს იმპერატორს, თუ იგი ინებებდა და გურამს მათთან შეარიგებდა. იუსტინიანემ მათი თხოვნა გურამს აცნობა. გურამი შეურიგდა ავარებს და დაასახლა იგინი კავკასიონის ღელესა და წიაღებში, აგრეთვე ხუნძახს, საცა მათი შთამომავლობა დღესაც ავარებად იწოდება, მათი თავი კაცები კი გურამმა დაასახლა ქსნის ხეობაში და იგინი შეიქმნენ ქსნის ერისთვების წინაპრებად. „ალლუზიანში“ მოყვანილია თვით სახელები ამ წინაპრებისა. იგინი იყვნენო ძმები როსტომი, ბიბილა და წილოსანი, რომელთაც 70 ყმა მოიყვანესო და ქსნისა და არაგვის ხეობაში დაბინავდენენო. იმპერ. იუსტინიანემ როსტომს გამოუგზავნაო წამოსასხამი, ბეჭედი, საყურე, ქამარი, ცხენი ჯავშნით და აგრეთვე ღახვარი.

თურქების დასავლეთისკენ წამოსული ტალღა გამოედევნა ავარებს. მათმა მეფე დიზაბულამ საყვედური შეუთვალა იმპერატორს—ჩემი ქვეშევრდომი ავარები სამსახურში რად მი-

გიღიაო. მოლაპარაკება დასრულდა იმპერატორ ტიბერის (571—582) და დიზაბულის შერიგებით. თურქების მეფე თავის თავს სთვლიდა კაცობრიობის შვიდ მოდგმის მბრძანებლად და შვიდის ქვეშნის პატრონად.

IV. **აბრეშუმეული.** რიტტერის გამოკვლევით, რომაელები ძვირფას თვლებისა და აბრეშუმეულის ხმარებას გაეცვნენ მის შემდეგ, როდესაც პომპეოსმა ილაშქრა კოლხეთსა, ივერიასა და ალბანიაში, ე. ი. 1-ლ საუკ. ქრ. წ. მაგრამ 552 წლ. ქრ. შ. ევროპაში ჯერ არ იყო ის აბრეშუმის ჭია, რომელიც საზრდოობს ფურცლის ხის ფოთლით, ის ჭია კი, რომელიც იკვებება ფიჭვის, მუხის და ნაკენჩხლის ფოთლით, არსებობდა უწინარეს დროითგანვე. ეს ჭია ფრიად გავრცელებულიყო ცეოს კუნძულზე, ატტიკას, საცა მის პარკიდგან აბრეშუმს აკეთებდა პამფილ პატუს ასული, თანამედროვე სოლომონ ბრძნისა *). პირველი მწერალი, რომელიც იხსენიებს ჩინეთის აბრეშუმს, არის ვირგილიუსი. პლინიუსი ჩიოდა, რომ აბრეშუმის სასყიდლად დიდძალი ფული იგზავნებაო აღმოსავლეთს. სიძვირის გამო აბრეშუმეულის ტანისამოსს პირველ ხანს იცვამდენ მხოლოდ მდიდარი ქალები და იმპერატორები. ვაჭრობა ამ ძვირფას ნაქსოვისა იყო ხელობა ქართველებისა, სპარსების და სომხების. ბევრი აბრეშუმეული იყიდებოდა ნისიბისს: იგი შემოჰქონდათ სამარყანდიდმა და ბუხარიდამ, ხოლო აქ კი მოჰქონდათ ჩინეთიდამა და ინდოეთიდამ. იმპ. იუსტინიანემ მოინდომა—ჭია მოეშენებინა თავისს სამეფოში. მისს განზრახვას ხელი შეუწყო ორმა ბერმა. ამ დროს წმ. თომას ქრისტიანები ცხოვრობდნენ ინდოეთში, მალაბარის კიდეზე. ამათგან ორი ბერი შევიდა ჩინეთში, საცა მხოლოდ იცოდნენ ჭიის მოვლა-მოშენების ხელობა და აბრეშუმეულის კეთება. ჭიის თესლის გატანა საზღვარს გარეთ ჩინელებს აკრძალული ჰქონდათ. მოხერხებულმა ბერებმა თავისი კვერთ-

*) სოლომონი 980 წელს ქრ. წ.

ხები გამოღრუტნეს, თესლით (ჭიის კვერცხით) აავსეს და მოიტანეს კოსტანტინეპოლს. აქედგან მალე აბრეშუმის ჭია მოეფინა მთელს ევროპას. ჩვენში აბრეშუმეული იხსენიება ვ. გორგასლის ცხოვრებაშიაც, მაგრამ არა ჩანს, ადგილობრივი ნაკეთობა იყო იგი, თუ შემოტანილი. მე-IX—X საუკუნეში კი, როგორც ამბობენ არაბთა მწერლები, თვით ტფილისშიაც აკეთებდენ აბრეშუმეულს *).

---

*) აბრეშუმი (ლეკურად არბეშუნ) აღმოსავლეთის ენების სიტყვაა. ქართულს დაბადებაში მის მაგიერ იხმარება სიტყვა პიპნაური: „და შეგამკვე ოქროთა და ვერცხლითა ...ჰრელნი პიპნაურითა შეგასხენ... და იქმენ შჯენიერ ფრიად“ (ეზეკ., 16, 13).

თავი III.

აღმოსავლეთის ქრისტიანობა ჩ საქართველოს საყდარი.

უკვე შევნიშნეთ, რომ სპარსეთის ყაენები მტრულის თვალით უყურებდნენ ცეცხლის-მსახურების უარმყოფელთ და ქრისტიანეთაგან კი უფრო იწყნარებდნენ მწვალებლებს, ხოლო იმპერატორის ერთმორწმუნე მართლმადიდებლებს სდევნიდნენო.

მართლმადიდებლობის მდგომარეობას აღმოსავლეთში გვიხასიათებს, მაგ., თავგადასავალი ეპისკოპოს ავდისა, მის დიაკვნის ბენიამენისა და მათთან ერთად წამებულ ქრისტიანებისა.

(ტუ. ნაწერი წიგნი მე-XI ს., № 222, გვ. 263):.. იწყო მნეს სპარსეთს იზდიგერდისა ზე (+ 419 წ.). ბენიამენმა დაანგრია სატეცხლე სპარსთა, რომელთა ღმერთი იყო მზე ანუ ცეცხლი. იზდიგერდმა უბრძანა, სატეცხლე აღეგო. ბენიამენ არ დაემორჩილა. მაშინ ქრისტიანეთა ზედა აღიძრა ბრძოლად და 30 წელი გაგრძელდა, რომელთა შინა მრავალთა ხელნი მოეკრნეს და მრავალთა ყურნი, სხვათა—თითნი, ხოლო რომელთამე ხორცნი მახვილითა ლერწებითა განიპნეს. და ფრიად მწარენი წყლულებანი დაითმინნეს. და მრავალთა ხელნი და ფერხნი შეიკრნეს და ჯურღმულთა და ორმოთა და მღვიმეთა შინა შთაიყარნეს, რომელთა შინა შეაყენნიან სიმრავლე გესლიანთა ჭიათა და ქუეწარმავალთა და კოლტი თაგუთად და ეოველით კერძო მოჰკრძალიან, რათა არა ეპოვებოდის განსვალი. და ესრეთ გაჭირვებულნი შიმშილითა განიბძარვიდეს ხორცთა მოწამეთასა, რომელთა მიერ კრძელი და მწარე სიკვდილი მცირედ-მცირედ ღვწლისა მძლეთა მათ ზედა მოიწეოდა. ამას გარდა, დაფხრულთა მათ ასოთა ორკერძოვე განმახულთა ლერწამთა და ორკანთა განაცმიდეს და შემწვალვიდეს, რომელთა მიერ ტკივილი უსაზომოდ შეიქმნებოდა...

მიუხედავად ამისთანა სასტიკ დევნულებისა საქართველომ ქედი არ მოიხარა სპარსეთის მეფეების წინაშე, მართლმადიდე-

ბლობას არ უღალატა და მის დამცველად დაადგინა კათალიკოზი.

ქალკიდონის მსოფლიო კრების (451 წლ.) მოწინააღმდეგენი ამ კრების დადგენილებას ნესტორიანულს უწოდებდნენ. ეს ნესტორი კოსტანტინეპოლის პატრიარქი იყო და ამბობდა: „ქალწულს მარიამს არ უნდა ეწოდოს ღვთისმშობელი. კაცობრიული ბუნება ქრისტესი განსხვავდება ღვთიურისაგანაო: იგინი მხოლოდ ერთად მოქმედებდნენო ჩვენის ხსნისათვის". მონოფიზიტნი კი ამტკიცებდნენ, რომ მაცხოვარი „ხორცით ჩვენთან თანაარსია", უარჰყოფდენ აზრს, რომ მისი კაცობრიული სული შთაენთქას ღვთიურს და ამბობდნენ:— „ერთი განხორციელებული ბუნება" ორნაირიაო. მონოფიზიტთა მწვალებლობის ბუდედ შეიქმნა ანტიოქია. აქ 475 წ. პატრიარქობდა პეტრე კნაფელი, რომელმაც შეაჩვენა ქალკიდონის კრების დადგენილება, შეარყია მართლმადიდებლობა და მიიბირა სომხეთი. ამ დროს სომხეთი ექვემდებარებოდა სპარსეთის ყაენს ფირუზს (+ 488 წ.). მართლმადიდებლობის მტრებმა ეს ყაენი დაარწმუნეს, რომ მისთვის სასარგებლო იქნებოდა, სომხეთში შემოეღო ნესტორის მწვალებლობა. ეს რჩევა ყაენს ჰკუაში დაუჯდა და სომხებს მოსთხოვა, მიეღოთ ნესტორიანობა. სომხეთს მაშინ შეესიენენ მწვალებლობის მოთავენი: ზემოხსენებული პეტრე-კნაფელი (მკაწრველი), ტიმოთე ელური (კატა), სეეროს ნაშიკელი და სხ. სომხეთში კათალიკოზად იჯდა ბაბკენ ვოტმეაცი (487—492), სომხების კრებამ შეაჩვენა ქალკიდონის კრების დადგენილებანი და მიიღო „ხაჩეცარი", ე. ი. სწავლა პეტრე კნაფელისა, რომელმაც სამების გალობას—„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო"—დაუმატა სიტყვები: „რომელი ჯვარს ეცვ ჩვენთვის".

მონოფიზიტთა სწავლა ამის შემდეგ მოედო მთელს ქვეყანას და უმეტესი მძვინვარება იწყო. სომხეთში მეფობის მოსპობის შემდეგ (433 წ) ეპისკოპოსები მეტად გაძლიერდნენ.

სპარსეთის ყაენებმა მათ დაუმორჩილეს არათუ მდაბიო ერი, არამედ ჩააბარეს მართვა მთელის ქვეყნებისა და საერისთაოებისაც. ესრეთი დამცირება ვერ მოითმინეს აზნაურებმა. ვარდან მამიკონიანი და სხ. აზნაურები აუჯანყდნენ სპარსეთის მოხელე სურენს, იგი მოჰკლეს და გაიქცნენ კოსტანტინეპოლს. იმპერატორმა იუსტინიანემ აქვე მიიწვია სომხეთის ეპისკოპოსები და სთხოვა, მიეღოთ ქალკიდონის კრების დადგენილება. ეპისკოპოსებმა და ვარდან მამიკონიანმა შეასრულეს მისი ბრძანება, მოილაპარაკეს და შეაჩვენეს ხსენებულის კრების დადგენილების უვარმყოფელნი. მაშინ (532 წ.) იმპერატორი აშენებდა სოფიოს ტაძარს. სომხებმა მის ასაშენებლად გამოიღეს 100,000 ვერცხლის ფული. აქედგან რომ დაბრუნდნენ სომხეთში, შესდგა დვინის კრება (536 წ.), რომელმაც კვლავ შეაჩვენა ქალკიდონის კრება და მონოფიზიტობა შეიწყნარა. ამის შემდეგ ქართველთა და სომეხთ დამოკიდებულება უვარესად გამწვავდა. ქართველთა მხარეს იყო საბერძნეთი.

დარჩენილა ცნობა, რომ სწორედ ამ დროს ქართველებმა „ითხოვესო იმპერატორ იუსტინიანესაგან, რათა დასხდებოდენო (ივერიაში) კათალიკოზად ნათესავნი ქართველთაგან. ხოლო იუსტინიანემ დაწერაო წიგნი და დაბეჭდა თვისითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდეს კათალიკოზად ნათესავნი ქართველთანი და აქუნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთმთავართა ზედა“. ამის შემდეგ კათალიკოზად სხდებოდნენ წარჩინებულ გვარისანი—ქართველნიო, შენიშნავს ჩვენი მატიანე.

იუსტინიანე იმპერატორი ჰეშმარიტი ქრისტიანე იყო, მოძულე ყოველგვარ მწვალებლობისა. მან, როგორც უკვე ვთქვით, დააწესა ახალი საკათალიკოზოები (ბულგარიისა, კვიპრისა და ივერიისა) და იგივე საჭიროდ დაინახავდა,—რადგან აღმოსავლეთი იწიწკნებოდა და იკაწრებოდა მწვალებლებისაგან,—საქართველოს საყდრის უფროსად ყოფილიყო ქართველი. ამას იმ მოსაზრებითაც მოიმოქმედებდა იმპერატორი, რომ საქართველოს ეკლესიას უფრო მედვარი წინააღმდეგობა გაე-

წია სომხის საყდრისთვის, რომელიც მან ვერავითარ ღონისძიებით ვერ შეუერთა მართლმადიდებლობას, ხოლო იქერიაში კი ქრისტიანულ სჯულის წესები, როგორც მოწმობს თანამედროვე პროკოპი, ყველა ქვეყნებზე წმიდად იყო დაცული.

ასრეთი მფარველობა იქერიის ეკლესიისა იმპერატორის მხრივ უფრო გაამწვავებდა საქართველო-სომხეთის ეკლესიურ დამოკიდებულებას. ამას ნათელსჰფენს საქართველოს კათალიკოზის კირიონისა და სომხეთის კათალიკოზის აბრაამის გადაკიდება 579 წელს. ამ წელსო, სწერს კალანთკატვაწი, სომხები და იქერნი გაიყარნენო და ამის მიზეზად შეიქმნაო წყეული კირიონი, რომლის მხარე დაიჭირაო საბერძნეთმა და იტალიამ. თავის მხრივ სომხეთის კათალიკოზ აბრაამმა გამოუცხადა სომხებს: „ქართველების შესახებ ჩვენ დავადგინეთ: ამიერიდგან გეკრძალებათ, მათთან იქონიოთ ერთობა ლოცვასა, ჰამა-სმასა, მეგობრობასა და შვილების კვებაში. აღარ უნდა მიხვიდეთ მოსალოცავად მცხეთის სახელოვან ჯვრისა, არც მანგლისის ჯვრისა. აღარც უნდა მიიღოთ იგინი ჩვენს ეკლესიებში. მათთან ცოლქმრობას განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ მათ, როგორც ურიებს“.

ქართველებისა და სომხების განხეთქილების უმახლობელეს მიზეზად კალანთკატვაწი სთვლის შემდეგ გარემოებას. იუსტინიანეს მეფობაში სომხეთი ორად გაიყოო. ერთი ნაწილი დარჩა სპარსეთს, მეორე—საბერძნეთს. ტერ-მოვსესი იჯდა კათალიკოზად დვინს წმ. გრიგოლის ტახტზე. მის შორი-ახლო ბერძნების მომხრეებმა დასვეს სხვა კათალიკოზი. საპატრიარქო ტახტი რომ ორად გაიყო, სიუნის მთავრებმა ორივე უარჰყვეს და აღარც ერთს აღარ დაემორჩილნენ. მათმა ეპისკოპოს პეტრემ ბრძანება გასცა თავისს სამწყსოში: ხელდასხმა და წმ. მირონი მიეღოთ ალვანთაგან *). პეტრე რომ მოკვდა, სიუნის ეპისკოპოსად აღვანიის მამადმთავარმა აკურთხა ზაქა-

*) აღვანია=ალვანია (Albania).

რია. ასრე იყო აბრაამამდე, რომელმაც შეაერთა საპატრიარქო ტახტი. უმთავრეს სამღვდელოებამ ეს აბრაამი გამოაცხადა პატრიარქად, ალვანიის მამადმთავარი არხიეპისკოპოსად, ივერიისა—მიტრაპოლიტად. ეს იწყინა ივერიის მაკურთხეველ კირიონმა და საწინააღმდეგო მიზეზს ეძებდა. ხოლო აბრაამი ამბობდა, რომ ალვანელთ ივერიელებზე ადრე მიიღესო ქრისტიანობა, და მათ შეშვენითო ჰყვანდეთ ეპისკოპოსთ მთავარი. ამისთანა აურ-ზაურის გამო ქართველები მართლმადიდებლობას მიეკედლნენ და ქალკიდონის კრების დადგენილება ირწმუნეს. ჯერ ამაზედ წინად ბერძნების სარდლები აქეზებდნენ კირიონს, ეთხოვნა უპირატესობა, მაგრამ ალვანელთ განმარტეს, რომ მათი ქვეყანა მოუქცევია მოციქულს ელისეს, ხელდასხმულს უფლის ძმის იაკობისაგან, რომ ეს ელისე მათს ქვეყანაში სომხეთზე ადრე მოსულა, უქადაგნია, აუშენებია საყდარი გიშში და ეს საყდარი არის მთელის აღმოსავლეთის დედა-საყდარიო.

596 წელს შესდგა მთელის სომხეთის კრება დვინს. კრებამ შეაჩვენა ქალკიდონის კრების დადგენილებანი და სამუდამოდ განეშორა მართლმადიდებლობას და ამასთანავე საქართველოსაც.

ამავე ხანებში აღმოსავლეთსა და ასურეთში მონოფიზიტთა მწვალებლობის გულმოდგინე მსახურად იყო იაკობი (ალპარადაი). ამ ქვეყნის მონოფიზიტი ეპისკოპოსები და სამღვდელოება ზოგი განიდევნენ, ზოგი ციხე-საპყრობილეებში ამოხოცეს; მაშინ მათ მოადგილედ გამოჩნდა ხსენებული იაკობი. ეს რომ მოკვდა (578 წ.), დარჩა აყვავებული სამწყსო, რომლის მოთავე ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე დაჯდომას ლამობდა. ამ იაკობის-გამო ასურეთის, შუამდინარის და ეგვიპტის მონოფიზიტებს ეწოდათ იაკობისნი. ეგვიპტიდამ მონოფიზიტობა მოეფინა აბაშეთსაც (აბისინიას) (იხ. ქვემო, განყ. II, თ. II „საქართველოს საყდრის თავისუფლება").

13-ნი მამანი. ქრისტიანობის განმტკიცებისათვის საქართველოში ბევრი იღვაწეს კაპადოკიიდგან მოსულმა მამებმა, რომელნიც დასახლდენ ქართლ-კახეთის სხვა და სხვა დაბა-სოფელსა თუ უდაბნოში და მათივე სახელი მიითვისეს. იგინი იყვნენ: იოანე ზედაზნელი (ზედაზნელი), დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, ისე წიწყნელი, თათე სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი. ესენი იყვნენო, ამბობს მემატიანე, განმანათლებელნი ქართლისა, განმწმენდელნი სჯულისა, მაშენებელნი ეკლესიათა. ესენი იყვნენ მოწაფენი კათბადუკიის მესვეტის სვიმეონ მკირისა (521—584) და მოვიდნენ საქართველოში „მირიანიდამ 200-ის წლის შემდეგ“, ე. ი. 561 წელს. მაშინ საქართველოში კათალიკოსობდა ევლავიოზი. მოვიდნენ-რა მცხეთაში, ამ ევლავიოზს ქართულად გამოელაპარაკნენ და ქართულად მოიკითხეს. შემდეგ ავიდნენ ზედაზენს, საცა იყო საკერპო გოდოლი და აგრეთვე ბომონი (სამსხვერპლო), რომელზედაც ძველად წარმართნი სალმთოს სწირავდნენ თავიანთ ღმერთს ზადენს. აქ დაჰყვეს რამდენიმე ხანი, მერე იოანემ სხვები წარგზავნა ქართლ-კახეთს, ხოლო თვითონ თავის დიაკონით იქვე დარჩა. ააგო დიდი საყდარი ზედაზნისა, მას შემოარტყა გალავანი, ალმოუჩინა წყარო, გაუკეთა სავლელი გზა. ზედაზნის მთა მცხეთის ახლოს, არაგვის მარცხენა მხარეს არის. მისი მწვერვალი, რომელზედაც ტაძარია, საკმაოდ მაღალია და იქიდგან მოჩანს მთელი არე-მარე ტფილისისა და ქართლისა.

დავით გარეჯელი დასახლდა ტფილისში, მთაწმინდის გორაზე, ხოლო ნიში ჰქონდა იქ, საცა ქვაშვეთის საყდარია. მერე იგი წავიდა ღა იმოღვაწა გარეჯის უდაბნოეში, საცა შემდეგში 12 მონასტერი აშენდა.

შიო შევიდა სარკინეთის მღვიმეებში. მასთან ერთად მოღვაწეობდა ზემოხსენებული სეფეწული ევაგრე, მეფის მოადგი-

ლე, ფრიად მხნე სპასპეტი. მეფე ფარსმანმა მონასტრების ასაშენებლად მისცა 30 ლიტრა ოქრო, ოქროს ბარძიმი და ფეშხუმი და ყოველი სხვა სამსახურებელი ვერცხლისა, ოქროს დიდი ჯვარი და სახარება ფრიად შვენიერად შემკობილი სანატრელისა მეფის ვახტანგისა-მიერ. შიო და ევაგრე დიდად მიჩნეული წმიდანნი იყვნენ: სიგელ-გუჯრებში იგინი იხსენიებიან თანაბრად წმ. ნინოსი, სვეტიცხოველისა, მოციქულებისა *).

შესამჩნევი მონასტრებია აგრეთვე მარტყოფი, სამთავისი, წილკანი, იყალთო, ხირსა, ალავერდი და ნეკრესი, მეტადრე უკანასკნელნი: ნეკრესის, ალავერდის და ხირსის წინამძღვარნი მარადჟამ იღვწოდენ და ცდილობდნენ, ქრისტიანობა მოეფინათ მთიელთა შორისაც.

მონასტრების მნიშვნელობა ქართველთა განათლების საქმეში თვალსაჩინო შეიქმნა. ზემოხსენებულ მონასტრებ გარდა შემდეგში კიდევ დაარსდა მრავალი უდაბნო, რომლებშიც იღვწოდნენ შესანიშნავი მქადაგებლები, მწერალნი, მხატვარნი და სხ

სადაც კი ფუძნდებოდა ხატ მონასტერი, იქ და მის მიდამოს ჩნდებოდა ვენახი, წალკოტი და ყანობირი, ბარდანი იჩეხებოდა, ჭაობი შრებოდა, კამკამი წყაროებით, რომელიც მწირ ბერებს, ხშირად, შორიდგან გამოჰყვანდათ, ირწყოდა არემარე. ბერები მუდამ შრომაში იყვნენ. ზოგი რომ ყანაში

---

*) ძაგან აბულეთის-ძის სიგელის დასაწყისი: „...შეწევნითა და თავდებობითა ქალწულისა მარიამისითა, მეოხებითა ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისითა, შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღდელთმოძღვართა, მოწამეთა, მამათა, ქალწულთა და ყოველთა წმიდათაითა, რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უფალსა ღმერთსა ჩვენსა. თავდებობითა სანატრელთა მამათა ჩვენთა შიო, იოანე და ევაგრესითა... დაგიწერე და მოგაბარე ეს წერილი ესე თქვენ ყოველთა მამათა თვალსა და მნათობსა წმ. გამისა შიოს-და მღვიმეს შინა დამკვიდრებულთა მამ თა“...

მუშაობდა, სხვები სენაკში ისხდნენ და სასულიერო საზდოს უმზადებდენ ერს: სწერდენ და თარგმნიდნენ წიგნებს, ხშირად, ხატავდენ კიდეც. ერთმა მოღვაწეთაგანმა, როგორც თვითონვე ამბობს, იცოდა ათი ხელობა: ხუროჲ, მწიგნობრობა, წერა ხუცურისა, შექმნა ეტრატისა, შეკრვა წიგნისა, მხატვრობა, მკერვლობა, ტუჯვის კერვა, ხუროვნობა, ყოველივე მსოფლიო მუშაობა. საყდრებს, ხშირად, აგებდნენ მიუვალ ადგილებში: მთის მწვერვალებზე, მაღალ კონცხებზე, ფრიალო და უღაღ ბორცვებზე. საყდრების კარმიდამოს ზღუდავდნენ მაგარის ციხით, თუ მწვერვალზე წყარო არ იყო, მილით გამოჰყვანდათ წყალი, ეზოდგან გორის ძირამდის ჩაჰყვანდათ მიწაში სავლელი საიდუმლო გზა-მაღარო. საყდრებს სიმტკიცისთვის, ხშირად, აშენებდნენ რძე-კირით და აგურით, ხურავდნენ კოწიწით, ამკობდნენ მხატერობით, ქანდაკით, წარწერებით. ამისთანა საყდრების კარმიდამო შიშიანობის დროს იესებოდა მორწმუნე ერით, რომელიც თავდაუზოგველად ებრძოდა მოსეულს მტერს დასაცველად თავისუფლებისა, ენისა და სარწმუნოებისა.

თავი IV.

ბაგრატიონთ გამეფება.

ა. ბერძნებთან შერიგების შემდეგ (561 წ) ხოსრომ უფრო გაადიდა თავისი სახელმწიფო და შეიქმნა მბრძანებელად ქვეყნებისა ინდოეთიდგან ხმელთაშუა ზღვამდე, იაქსარტიდგან არაბეთ-ეგვიპტემდე.

ბერძენთა მწერლები ამბობენ, რომ სპარსებმა ქართველებს მეფის დადგენის უფლება მოუსპესო გურგენის ლაზიკაში გაქცევიდამვე (521 წლ.). ქართველებად აქ იგულისხმებიან მხოლოდ ამერლები, ვინაითგან იმერეთი და მესხეთი თვით ვახტანგმავე უანდერძა თავისს, ბერძნის ქალისაგან ნაშობ შვილებს. ამ დროითგანვე განისაზღვრა ორ სახელმწიფოს გავლენა საქართველოზე—სპარსეთისა ამერეთზე და საბერძნეთისა იმერეთზე. ამ შემთხვევას ჩვენი მატიანე იწყობს ცოტა გვიან, ვახტანგის შვილის-შვილის-შვილის ფარსმანიდგან: ამ დრომდისო, ირწმუნება მემატიანე, ვახტანგის ძის მირდატის ძენი, მთავარნი კლარჯეთისა და მესხეთისა, ემორჩილებოდნენ დაჩის შვილთ, რომელნიც მეფობდნენ ამერეთში. ხოლო შემოვიდნენ-რა სპარსნი ქართლს, ფარსმანი ვერ გაუმაგრდათ: ყაენს აღუთქვა მორჩილება იმ პირობით, თუ ქრისტეს სჯულს ხელს არ შეახებდა და ქართლიდამ არ ამოაგდებდა. ყაენმაც შეიწყნარაო მისი თხოვნა. აი ამის შემდეგ დაჩის ძენი ერჩდენო სპარსებს, ხოლო მირდატის ძენი ბერძნებს.

გადმოგვცემს-რა ამ ამბავს, მატიანე კიდევ აღწერს ორს შეურპას (ფარსმანისას და ბაკურისას) და მერე აღნიშნავს მეფობის მოსპობას ქართლში.

ყაენმა ურმიზდმაო, მოგვითხრობს მემატიანე, თავისს შვილს ქასრე-ამბარავეზს მისცა რანი და მოვაკანი. ქასრე მოვიდა და დაჯდა ბარდავს. აქედგან უწყო ზრახვა ქართლის ერისთავებს, აღუთქვა დიდი კეთილი, საერისთაოები საშვილი-

შვილო სამფლობელოდ დაუწერაო. ამგვარ მლიქვნელობით მიიმხრო ერისთავნი, რომელნიც თვისთვისად განდგნენ, დაემორჩილნენ ქასრეს და ხარკის ძღევა იკისრეს. ამის შემდეგ დაჩისძენი დაიმალნენ კახეთის მთიულეთში, ხოლო მირდატისძენი გამაგრდნენ კლარჯეთის კლდეებშიო.

ვახუშტი ამ შემთხვევას და ბაგრატიონთ გამეფებას დასდებს 570 წელს, მაგრამ ეს შეცდომაა: ზემოხსენებული ურმიზდი, რომელის დროს ქართლის ერისთავნი განუდგნენ ბაკურს და მისს შეიდებს, მეფობდა 579 წლითგან, ხოლო მისი ძე ხოსრო II (ქასრე ამბარვეზი), რომელსაც ქართლის ერისთავები ხარკს აძლევდნენ, გამეფდა 591 წელს.

ბ. ურმიზდმა თავის მამის ხოსრო ნუშირვანის (მოსამართლის) შენაძენი მამულები და ქვეყნები თითქმის მთლად დაჰკარგა. იგი იყო ულმობელი მტარვალი. პირმოთნეთა და მლიქვნელთა ზეგავლენით მან დაივიწყა ყოველგვარი სათნოება, რომლითაც შემკული იყო მისი მშობელი. მისმა სვაობამ, თავმოყვარეობამ, უნდობლობამ და შეუბრალებლობამ ქვეშევრდომნი ააღელვა, აიშფოთა. მისი მტარვალობა მეტად სასტიკი და აუტანელი იყო ქართველთათვისაც.

ქართლის მარზაპნად (გამგებლად) მას დაედგინა არვანდ გუბნასპი. ეს იჯდა ტფილისში; მის დროს „მცხეთაჲ ათხელდებოდა, ტფილისი ეშენებოდა, არმაზი შემცირდებოდა, კალისი (ტფილისის მეტეხის ციხე) განდიდდებოდა. სპარსნი უფლებდნენ ქართლს, სომხითს, სიუნიეთს (=სიონს=ყარაბაღს) და გუასპურაგანს“. მცხეთის ციხის თავად იყო სპარსი უსტამი.

არვანდი და მისნი თანაშემწენი აიძულებდნენ ქართველებს—ეწამათ ცეცხლისმსახურება.

იგინიო, ამბობს მამათა ცხოვრება, „ხელმწიფე იეზუეს ჩვენსა ამას სოფელსა და ბიწსა კერპთმსახურების ცეცხლისა მის თაყვანისცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის: ბაბილოვნურსა მას ჩვეულებისა სადმე ოქროსა და სხვასა რასმე და ოდესმე

ცეცხლსა. ამისგამო ადგილსა მრავალნი განიმზადეს მათისა სამსახურებელისა ცეცხლისათვის ქვეყანასა ჩვენსა და მრავალთა შეცთუნებდეს".

ერთი ამგვარი ბომონი (საცეცხლე) გაემართათ კახეთის ხევშიაც (შიგნით კახეთში). მაშინ ნეკრესში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი აბიბოს, რომელმაც მრავალი მთიელები მოაქცია, არ შეუშინდა აგრეთვე სპარს მტარვალებს: დაურიდებლად მივიდა მათ საცეცხლესთან, წყალი გადაასხა და ჩააქრო. ეს დიდ შეურაცხებად და ღვთის გმობად მიიჩნიეს იქაურ სპარსებმა. მათმა უფროსმა ეს ამბავი აცნობა ქართლის მარზაპანს, რომელიც მაშინ იდგა ქალაქ რეხას. მან დაიბარა აბიბოსი. ეს უშიშრად გაჰყვა სპარსთა მეომრებს; მივიდა, მოილოცა მცხეთა, შიომღვიმე და წარსდგა მარზაპანის წინაშე რეხას, საცა უკვე შეკრებილ იყო „სიმრავლე ეპისკოპოსთა, მღვდელთა და ერისთავთა. მარზაპანმა მრისხანეთ ჰკითხა აბიბოსს: „რად უარჰყავ უფლება მეფეთ-მეფისა და მოჰკალ ღმერთი ჩვენი?" მიუგო: „მეფეთ მეფე მე ერთი ვიცი—იესო ქრისტე. მე ღმერთი კი არ მოვკალ, არამედ ცეცხლი წყლით დავშრიტე. ღმერთს ქვეყანა შეუნივთებია ოთხის ნაწილაკისაგან, რომელნი არიან ნოტიო, ცივი, ხმელი და ცეცხლი. ესენი სისწორით შეერთბამებულან, მათი მეტნაკლებობა არღვევს მათ შორის თანასწორობას. ასრე მოუვიდა შენს ღმერთსაც: მცირე წყალი რომ დავასხი, იგი გაქრა, მოკვდა". მარზაპანი განრისხდა. მის ბრძანებით აბიბოსი აწამეს, ქვით განტვინეს, და მისი გვამი გაათრიეს და ქალაქ გარე დააგდეს. ქრისტიანებმა აბიბოს ღვაწლი არ დაივიწყეს: იცეს დრო და მის წამების ადგილზე მონასტერი ააშენეს.

ამავე ხანს ეწამა საქართველოში ევსტათი მცხეთელი, ვეჟან ბუზმილის, ბარამ ჩუბინას მარზაპანის ბრძანებით. ეს ჩუბინი თურქებს ებრძოდა სვანეთში 587 წ., ხოლო სპარსეთში გამეფდა 590 წელს.

ევსტათი, ჩამომავლობით სპარსი, საქართველოში მოსუ-

ლიყო ხოსრო I-ის მეფობის მეათე წელს (537 წ.). იგი მაშინ 30 წლისა იყო. მცხეთაში დაბინავებულიყო. ხელობად ჰქონდა მეხამლობა (მეჯინიბობა). მამა და მისი ძმები მოგვები იყვნენ და მასაც მოგვობას ასწავლიდნენ. მაგრამ მან ცეცხლის მსახურება შეიძულა და, მოვიდა-რა მცხეთაში, ქრისტიანობა მიიღო, მოინათლა და ქრისტიანე ქალი ცოლად შეირთო. მაშინ მცხეთაში უფროსად და ციხისთავად იჯდა სპარსი უსტამი. შიგ მცხეთაში კიდევ ბევრი სპარსი იყო: მეხამლენი და მეჯაბაგენი. ამათ დააბეზღეს ევსტათი და რამდენიმე სხვა სპარსნი, რომელნიც აგრეთვე გაქრისტიანდნენ. უსტამმა მოიწვია ევსტათი და მისნი თანამოაზრენი გუბნაკ, ბაღდიად, ბურზო, პანაგუზნასპ, პეროზაკ, ზარმილ და სტეფანე და გამოგზავნა ტფილისს მარზაპანის არვანდის წინაშე. არვანდმა იგინი გაასამართლა, ზოგმა ქრისტე უარჰყო, ევსტათი და ზოგიერთნი კი შეიპყრა. ექვსის თვის ამის შემდეგ ყაენმა იგი დ იბარა. არვანდი რომ წასასვლელად ამხედრდა, მის წინაშე წარსდგნენ ქართლის მთავარნი, კათალიკოზი სამოელ, ქართლის მამასახლისი გრიგოლ, ქართლის პიტიახში არშუშა და სხვ. სეფეწულნი და მარზაპანს სთხოვეს, გაენთავისუფლებინა შეპყრობილი ქრისტიანები. არვანდმა შეიწყნარა მათი თხოვნა და წავიდა (587 წ.).

არვანდის წასვლის შემდეგ მესამე წელიწადს მოვიდა ზემოხსენებული „ბარამ ჩუბინის“ მარზაპანი ვეჟან ბუზმილი. მას ისევ წარუდგინეს ევსტათი, როგორც მგმობელი ყაენის სჯულისა. ვეჟანმა თავი გააგდებინა (590 წ.). ქრისტიანებმა მისი გვამი დამარხეს მცხეთის ტაძარში.

ამავე წელიწადს დიდი არეულობა მოხდა სპარსეთში. ამით ისარგებლეს ქართველებმა, მიემხრნენ ბერძნებს და საკუთარი მეფე დაიდგინეს—გურამ ბაგრატიონი.

გ. იმპერატორ მავრიკიმ (582—602) თავისი ლაშქარი შეუსია სპარსეთს შუამდინარის მხრით, ხოლო გურამს გამოუგზავნა დიდძალი განძი, რათა მით დაიქირაოს ბლომა მეომ-

რები, მათ შეუერთოს ქართველთა ლაშქარი და შეესიოს სპარსეთს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით. გურამმა მოიწვია ოსნი, ძურძუკნი და დიდონი, მათ შეუერთა თავისი ჯარი, ერისთავები წაუძღვარა და წარგზავნა სპარსეთისკენ. გურამის ლაშქარმა რბევა და ოხრება დაუწყო ადარბადაგანს.

ამავე დროს კასპიის იქითა მხრიდგან სპარსეთს შემოესივნენ თურქნი და სკვითნი.

ბაბილონი, სუზა და ყარამანია აჯანყდნენ.

არაბეთმა და ინდოეთმა ყაენს შემოუთვალეს,—ხარკს აღარ მოგცემთო.

შუამდინარესა და სირიაში ბერძნები ზედიზედ ამარცხებდნენ ყაენის ლაშქარს.

საყაენო სახელმწიფოს დაშლა-დანგრევის ნიშნები ჩანდა ყოველის მხრივ. მაგრამ იგი განსაცდელისაგან იხსნა ბარამ ჩუბინმა. ეს ძველ სპარსელ მთავართა გვარის ჩამომავალი იყო. ბარამი წაუძღვა სამეფოს ლაშქარს და მიესია თურქებს ჰირკანიაში. მათი ძალა შემუსრა ისე, რომ მცირეოდენიღა თურქობა ძლივს გადურჩა სიკვდილს და გაიქცა. დახოცილთა შორის იყო თურქთა მეფეც.

გმირ სარდალს ცბიერი ყაენი უნდობლად და ცივად დაუხვდა. ლაშქარმა იწყინა და ბარამ ჩუბინი მეფედ გამოაცხადა. (590 წ.). ბარამი სატახტო ქალაქ მადაინისკენ დაიძრა, ხოლო საქართველოში მარზაპანად გამოგზავნა ზემოხსენებული ვეჟან ბუზმილი, რომელმაც, როგორც იყო ნათქვამი, ევსტათი მცხეთელი აწამა და მოკლა (590 წ.).

ამდროს ურმიზდს აუჯანყდნენ ძმები ბინდო და ვსტამი (ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ზემოხსენებულნი ქართლის მარზაპანი არ-ბანდი და მცხეთის ციხისთავი უსტამი). ბინდომ ურმიზდი შეამწყვდია სწორეთ იმ ციხეში, რომელშიაც იგი, ურმიზდის ბრძანებით, ტყვედ იჯდა. ამ ბინდოს წინადადებით სპარსეთის დიდკაცობამ ურმიზდი ტახტიდამ ჩამოაგდო და გახურებულ მავთულით თვალები დასთხარა. მისი ცოლი

და უმცროსი ვაჟი დახოცეს და მათი გვამები ქუჩაში დაყარეს ხალხის ფეხქვეშ გასათელად. ბინდომ მეფედ გამოაცხადა ურმიზდის უფროსი შვილი ხოსრო (ქართ. ცხოვრების ქასრე ამბარვეზი=ხოსრო ფარვიზი). ბარამ ჩუბინმა ხოსროს მეფობა არ ინდომა. ხოსრო ტაძრეულით (სასახლის მოსამსახურეებით) და სატახტო ქალაქში მოკრებილ მეომრებით ბარამ ჩუბინის დასახვედრად გამოვიდა, მაგრამ დამარცხდა და გაიქცა საბერძნეთისკენ. ბინდომ ყაენი ურმიზდი შურდულის ბაწრით დაახრჩო. ძლევა-მოსილი ბარამ ჩუბინი შევიდა მადაინს და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა (591 წ.).

საბერძნეთის მხარეს მისულ ხოსროს მეგობრულად მიეგება იმპ. მაკრიკი, თავისი ქალი ცოლად მისცა და გამოაყოლა თავისი ლაშქარი. მდ. ტიგრის ნაპირზე ხოსროს შეუერთდა ბევრი სპარსი. ბარამი და ხოსრო შეიბნენ. ყაენს გაემარჯვა. ბარამი გაიქცა თურქეთს და იქვე დაიღუპა. ხოსრო II ბერძნის ლაშქარმა შეიყვანა მადაინს და ტახტზე დასვა (591 წ.). ხოსრომ დახოცა მოღალატე ბიძები, ბინდო და უსტამი. მფარველობისა და შემწეობისათვის მაკრიკის დაუთმო ციხეები დარა და მარტიროპოლი (მუფარაკანი) და დათანხმდა, რომ სომხეთი არეზსა და კასპიის ზღვამდე ყოფილიყო იმპერატორის გამგეობაში. სპარსეთსა და საბერძნეთ შორის, სიკვდილამდე მაკრიკისა, რომელსაც ყაენი მამად ეძახდა, მეგობრული განწყობილება არ დარღვეულა. ამ ხანს ქრისტიანებს აღარ სდევნიდნენ სპარსეთში, პირიქით, ყაენი დიდის მოწყალებით ეპყრობოდა მათ. ხოსრომ თვითონ არ მიიღო ქრისტიანობა, მაგრამ მისი ცოლი შირინი (სირა), რომლის სილამაზეს, ჭკუას და სამუსიკო ნიჭს ქებით იხსენიებენ სპარსთა მგოსნები, იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე.

სპარსეთის შლილობამ საკუთრად ქართველებსაც დიდი სარგებლობა მოუტანა. ყაენმა რომ დაამარცხა ბარამ ჩუბინი, ამის-მიერ გამოგზავნილი მარზაპანი ვეჟან ბუზმილი ქართველებმა მოჰკლეს ქიზიყში (591 წ.) და საქართველო სპარსთა

უღლისაგან განთავისუფლებულად გამოაცხადეს. მავრიკიც დაეხმარათ ყაენის წინაშე. იმპერატორმა შეუთვალა ყაენს: „ქართველები ბერძნების მორჩილნი არიან იმ დროითგან, როდესაც კერპთმსახურება უარჰყვეს. მხოლოდ მძლავრობით სპარსნი არბევდნენ ქართლს. დღეს მე და შენ დიდი სიყვარული გვაქვს ერთმანეთისა. იყოს ქართლიც ჩვენ შორის თავისუფლ და მშვიდობით. მე ვარ მოურავი და მწე ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა".

ყაენი ხოსრო დათანხმდა. ქართლი განთავისუფლდა. ბაგრატიონთ სახლი გამეფდა (591 წ.).

დ. ეს ბაგრატიონები თავიანთ თავს ურიებად სთვლიდნენ (გვ. 9). „ქართლისცხოვრებაში" მოყვანილია თვით მათი წინაპრების სახელებიც ადამითგან მოკიდებული სოლომონამდე, რომლის შვილები მუშელ, ბაგრატ, აბგავარ, გურამ, სააკ, ასამ და ვარაზვარდ მოვიდნენ ბასიანის მხარეს, ეკლეცს, საცა მთავრობდა დედოფალი რაქაელ. (ალბად ის რაქაელი, რომელსაც აბიბოს ნეკრესელი გაპირების დღეს შეჰღალადებს, როგორც თავისს დედას). დედოფალმა მონათლა იგინი, ერთი სიძედ დაისო, ორნი ამზახლა სომხეთის მთავრებს, ხოლო ოთხნი ძმანი (გურამ, საააკ, ასამ და ვარაზვარდ) შემოვიდნენ ქართლს. გურამმა, როგორც ირწმუნება ვახუშტი, შეირთო ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის და და მიიღო საცხოვრებლად ჰამული ტაოს; აქ მას ეყოლა შვილი ბაგრატ. ამ ბაგრატისძე გურამი განაგებდა ტაოს საერისთაოს. მალე მირდატის ძენი უშვილოდ დაიხოცნენ და გურამი შეიქმნა მათ სამფლობელოს მემკვიდრედ და პატრონად. 590 წელს, სპარსეთში რომ არეულობა მოხდა, ქართველთა დიდკაცობამ გურამი აირჩია თავის მეფედ. იმპერატორი მავრიკიც, რაღა თქმა უნდა, სიხარულით მიეგება მათ არჩევანს და გურამი დაამტკიცა კურატპალატად და მეფედ ქართველთა. გურამის მეფედ დადგენით მთელს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში ბერძნების გავლენა და მფარველობა დამყარდა (591 წ.).

ქაროლისცხოვრებით, სქართველოს პირველი კურატპალატი და მეფე გურამი ბაგრატისძე კი არ იყო, არამედ თვით შვილთა ძმათაგანი გურამი. ეს რომ გაიმეფეს, მისი ძმები საკ, ასამ და ვარაზვარდ კახეთში წავიდნენ... „თავად-აზნაურთა სიით", პირველი ბაგრატიონი, რომელიც საქართველოში მოვიდა 580 წელს, იყო ბაგრატი. ამან ერისთავის ხარისხი მიიღო. მისმა ძმამ გურამმა ტოლად შეართო გორგასლისძის მირდატის ასული და მისგან ეყოლა ბაგრატი. მირდატი და გურამი გარდაიცვალნენ. კლარჯეთის ერისთაობა მირდატის ძეს ასფაგურს ერგო. ბაგრატიც ერისთაობდა, მაგრამ ემორჩილებოდა ასფაგურს, ხოლო ორნივე ემორჩილებოდნენ ქართლის მეფეს. მალე მოსწყდნენ მირდატისძენი და მათ მემკვიდრედ შეიქმნა გურამ ბაგრატისძე, რომელსაც უწოდეს მირდატოვანი. ამან სპარსთა მოსვლის დროს უერთგულა ბერძენთ მეფეს და ამისგამო უაენმა მისცა მას კურატპალატობა და მერე მეფობა.

ამავე დროს გურამის პაპის ძმები საკ, ასამ და ვარაზვარდ წავიდნენ კახეთს. საკი დაემზახლა ბაკურ ნერსესძეს, ხოლო ასამ და ვარაზვარდ მივიდნენ ქიზიყს, საცა მაშინ იყო ზემოხსენებულ ბარამ ჩუბინის მარზაპანი (ერისთავი) ვეზან (ვეჟანი). მიიმხრეს იქაური ერი, ვეზანი მოკლეს (591 წ.), დაიპირეს მთელი კამბეჩოვანი და დასხდნენ ხორნაბუჯს, რომელიც იყო მაგარი და მიუდგომელი ციხე-სიმაგრე.

წინანდელ მეფის ბაკურის შვილები დაემორჩილნენ გურამ მეფეს, რომელმაც სამფლობელოდ მისცა მათ უკარმა და მისი გარეშემო მდებარე ადგილები კახეთ-ჰერეთს:

გურამი ჯერ იწოდებოდა მირდატოვანად (ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის-გამო) და მერე იწოდა ბაგრატოვანად ანუ ბაგრატიონად (თვისის ბიძის ბაგრატის-გამო). ბაგრატიონები თავიანთ საგვარეულო ნიშანზე,—დასამტკიცებლად თვისის ჩამომავლობისა დავით მეფის თესლისაგან—ჰსახავდნენ ქნარს, სასწორს, ხმალს, შურდულს, ქრისტეს კვართს და სამეფო გვირგვინს, დანდობილს ორს ლომზე, ხოლო ნიშნის

აშიაზე აწერდნენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“.

სომხების მწერლები (მ. ქორენელი და სხ.) ბაგრატიონების წინაპრის (სუმბატის) გამოსვლას ურიასტნიდგან დასდებენ მე-VII საუკ. ქრ. წ. ამ სუმბატის ჩამომავალი ბაგრატი მიემხროო სომხეთის მეფეს ვაჰარშაკს (149—127 ქრ. წ.) და ამისგამო ამ მეფემ მას დაუმკვიდრაო სპასტიო უფლება—მეფის თავზე გვირგვინის დადგმა—თაკადირობა. ბაგრატის გამო მისი ჩამომავლობა ეწოდაო ბაგრატუნად = ბაგრატიონად = ბაგრატოვნად. არტაშეს დროს (30—20 წ. ქრ. წ.) მათ მიებოძათო თითქმის ნახევარის სამეფოს სამოქალაქო და სამხედრო გამგეობა. უმთავრესად კი იგინი განაგებდნენო ტაოსკარს, სადაც ჰქონდათო ციხე-სიმაგრე სუმბატოვანი, რომელიც ააშენაო ბივრიტიანის შვილმა სუმბატ ბივრიტიანმა, ქართველთა მეფეების აზორკისა და არმაზელის თანამედროვემ (ზემოთ გვ. 125).

რამდენად მართალია ქორენელის ჩვენება შესახებ ბაგრატიონებისა, ძნელია სთქვას კაცმა, ვინაითგან მის მიერ ნახმარი თაგდირ და აგრეთვე ნუქარი, დივანაგირქ, მალაზეინ ისეთი სიტყვებია, რომლებსაც სომხები შეითვისებდენ არა ქრისტეს წინად, არამედ თათრობის ხანას, ე. ი. არა ადრე მე-VI—VII საუკუნისა და არა უგვიანეს მე-XII—XIII საუკ. ქრ. შემდეგ (თათრულებია: თაგდირ (=თაჯდარ—გვირგვინის დამდგმელი), ნუქარ (=ნოქარი), დივანაგირქ (=დივანხანა). მალაზეინი ხომ უეჭველად შემოსული სიტყვაა).

ე. მთელი მეექვსე საუკუნე ქართველობამ იბრძოლა თავისუფლებისა, ქრისტიანობისა და ეროვნულ წარმატებისთვის. და ეს ბრძოლა მის გამარჯვებით დასრულდა. ქართველობამ მოიპოვა საკუთარი მეფე, საკუთარი კათალიკოზი, ერმა შეიგნო ერთობის საჭიროება, მისი სიდიადე და მნიშვნელობა ეროვნულ მისწრაფებათა სისრულეში მოსაყვანად. მაგრამ ყველა ამის მისაღწევად ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი მსხვერ-

პლი შეიწირა. იგი ერთსა და იმავე დროს იბრძოდა არათუ მარტო გარეშე მტრებთან, არამედ შინაურებთანაც. სხვა და სხვა ერისთავები, მთავრები, პიტიახშები, მამასახლისები და აზნაურნი თავ-თავის სარგებლობას ეძებდნენ, თავიანთ კეთილ-მდგომარეობასა და დამოუკიდებლობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე სამეფოს ერთობასა და გაძლიერებაზე. მათმა შორს გა-ნუკვრეტელობამ და წინდაუხედაობამ საქართველოს ძალა გაანაწილა, დაქსაქსა, ქვეყანა დააძაბუნა და დასცა. მეფობა მოისპო. ყველა ხელჯოხიანი, ყველა მთავარი და ერისთავი განზე გადგა. ცბიერმა ყაენმა იგინი მემკვიდრეობით მფლობე-ლებად გამოაცხადა. ყველას ხარკი დაადო და მათ ზედამხედ-ველად გამოგზავნა თავისი მოხელე მარზაპანი. მაგრამ ჩვენს დიდკაცობას მოლოდინი არ გაუმართლდა. მარზაპანებმა მათ მშვიდობა და დიდება ვერ მიანიჭეს. თვით ყაენი ურმიზდი იყო კაცი ცბიერი, მზაკვართა და მაბეზღართ მოყვარე. რაღა თქმა უნდა, ამისთანა კაცებით გაივსებოდა თვით მისი მარზა-პნების კარმიდამოც. ბოლოს დიდკაცობამაც შეიგნო თვისი შეცდომა. ერმა მოითხოვა მეფე, გურამი გაახელმწიფა და მა-შინ „დასრულდა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა სა-ქმეთა მათთაგან“. ერთ ამგვარ „ბოროტ საქმეთა“ ჩამდენთა-განი იყო აზნაური ვარზქენი (=ვასკენი), შუშანიკის ქმარი.

შუშანიკის წამება. ურმიზდის მეფობაში (579—590), როგორც გადმოგვცემს ჩვენი მატიანე, სომხითს იყო ვარს ქენი, მთავართა შვილი. მას ცოლად ჰყვანდა შუშანიკი, ვარ-დანის ასული. მთელი ეს სახლობა ქრისტიანე იყო. მაგრამ ვასქენი წავიდა ყაენის წინაშე, დაუტევა ქრისტეს სჯული და იქმნა ცეცხლის-მსახურ. ყაენმა გამოგზავნა იგი ერისთავად რა-ნისა. შუშანიკმა ეს რომ შეიტყო, მისი ცოლობა აღარ ინ-დომა. ვასქენმა იგი ვერ შეირიგა „ლიქნითა და ვედრებით“, ამიტომ სტანჯა და მოკლა. ბაკურ მეფემ იხმო ყველა ერის-თავები, მიუხდა უღვთო გასქენს, რომელიც იდგა ველზე, იქ, საცა ანაკერტის მდინარე შეერთვის მტკვარს. მეფემ შეიპყრა,

ხეზე ჩამოჰკიდა და ასო-ასოდ დასჭრა, ხოლო შუშანიკის გვამი მოასვენა და დაფლა ცურტავს. ეს ამბავი მეფემ აცნობა ყაენს, რომელმაც განრისხებას ქართველების დაყვავება არჩია, რომ არ მიმხრობოდნენ ბერძნებს. ვასქენის მაგიერ რანსა და მოვაკანს ერისთავად გამოგზავნა დარიელი. მაგრამ მალე დარიელ ერისთავს უკან გამოადევნა თავისი შვილი ქასრე-ამბარავეზი, რომელმაც, როგორც იყო ნათქვამი, ლიქნით მიიბირა ქართლის ერისთავები.

შუშანიკის ცხოვრების ქრონიკონები ორეულია: ა) მატიანის აქ მოყვანილ სიტყვით ბაკური დასწრებია შუშანიკის სიკვდილს და მისი გვამი თვითონ დაუმარხავ ცურტავს; ბ) ეს შემთხვევები ოთხილა ურმიზდის მეფობაში (579—590) და გ) ბაკურს ვასქენი მოუკლავ იქ, „სადა მდინარე ანკერტისა შეერთვის მტკვარსა“.

ვახუშტით, ხსენებული ბაკურ მეფე მოკვდა 570 წელს, ხოლო ამაზედ რამდენიმე წლის წინად მოკლა ვასქენი და შუშანიკის გვამი დაასაფლავა ცურტავს.

სომხის მწერალ ლაზარ-ჰარბეცით, შუშანიკი ვასქენმა აწამა 458 წელს და ამიტომ ვახტანგ გორგასლმა მოჰკლა ვასქენი. აქ ეშველა შეცდომაა.

ა) ანკერტის მდინარე მტკვარს კი არ ერთვის, არამედ ჭოროხს. ანკერტი კლარჯეთშია, ხოლო ვასქენი იყო სომხითის ბიტიახში და ამ ხომხითის დედა-ქალაქი იყო ცურტავი. ეს „ცურტავი“ მემატიანემ, ალბად, გაიკო ზორტავ-ად (=ხეობა—ტაოსი) და ვასქენის მოქმედების ასპარეზი გადაიტანა ტაო-კლარჯეთს. თვით ცურტავი, ჩვენის მოსაზრებით, უნდა იყოს სომხითის ხეობა ზურთა-კეტი (კეტი=კერტი—ციხე, სიმაგრე).

ბ) შუშანიკი იყო თანამედროვე ქართველის კათალიკოზის კირიონისა, რომელიც ჩანს 579 წელს (458 წელს საქართველოს კათალიკოზი არ ჰყოლია); იგი იყო ასული ვარდან მამიკონიანისა, რომელიც საეკლესიო საქმეების გამო, სხვა სომხებთან ერთად, წავიდა კოსტანტინეპოლს, სოფიის ტაძრის ბალავრის შენებას დეს-

წრო 532 წელს და იმპერატორ იუსტინიანეს ამ ტაძრის აშენების-თვის გადასცა 100,000 დრაკონი.

გ) ბაკური 570 წელს არ იყო მომკვდარი, ვინაითგან იგი, როგორც გვაუწყებს ქართლისცხოვრება, ცოცხალი იყო ურმიზდის მეფობაში (579—590).

თვით შუშანიკის ცხოვრება აღადგენს უველა ქრონიკონებს.

ა) ურმიზდის მეფობის მერვე წელს (=587 წ.) უყენის წინაშე წარსდგა ვარსქენ ბიტიაშხი, ძე არშუშასი.

ბ) იქიდგან მალე დაბრუნდა, შუშანიკი ჰგვემა, სტანჯა და ჭუნთა წინააღმდეგ საბრძოლველად წაიყვანა, ეს იყო პირველი ტანჯვა თვესა ჰენისასა მერვესა, დღესა ოთხშაბათსა". სწორედ 587 წელს იანვრის (ჰენის) 8-ს მართლაც ოთხშაბათი იყო.

გ) ამის შემდეგ ვასქენმა კიდევ რამდენიმეჯერ სტანჯა შუშანიკი და ამ წელიწადებით გარდაიცვალა იგი მეშვიდე წელს თვისის ქმრის განდგომისა, ე. ი. 594 წ., 17 ოქტომბერს.

დ) ამ დროს (594 წ.) საქართველოში ბაკური კი არ მეფობდა, არამედ გურამი. ხოლო კათალიკოზობდა მაშინ სამოელი, რომელმაც წმ. შუშანიკი ინახულა მის სიკვდილის წინად და მანვე ნუგეში სცა ევსტათის, რომელიც ვეჟან ბუზმილმა აწამა 590 წელს.

ვასქენს შუშანიკისაგან ჰყვანდა სამი ვაჟი და ერთი ასული. მისი ძმა ჯოჯიკი ცოლოსანი იყო. ვასქენი განაგებდა სომხითს და იჯდა დაბა ცურტაველ (ზურთაკეტს?).

ქრისტიანობას რომ განუდგა, იგი „ყაენის" წინაშე კი არ წავიდა, როგორც ამბობს მემატიანე, არამედ მის ძეს ქასრე ამბარვეზს (იგი მაშინ რანსა და მოვაკანს იყო) გამოეცხადა: „ყაენითგან" დაბრუნებისას იგი ქართლს წერეთიდამ შემოვიდა. შემდეგ ვასქენი კვლავ წავიდა ჰუნთა წინააღმდეგ საბრძოლად, მერე კიდევ გაილაშქრა ჩორას და გავლო Серети.

ჩორა ანუ ჩოღა (=თოღა) აგრედ-წოდებულ „ალვანიის კარების" სახელია. თოლად დღესაც იწოდება კახეთიდგან დაღისტანს გადამავალი ბილიკები (ბელაქან-ლაგოდეხის თავს, ლოპოტის ხეობაში და სხ.).

ამ ჩოხას კარების დასაცველად ბარდავს მდგომი ქასრე ამ-ბარვეზი გაგზავნიდა სომხითის პიტიაშხს ვარზქენს, როგორც ქრისტიანობიდგან გადამდგარს და ყაენების ერთგულ ხელის-უფალს. ამისთვის, იგი „ყაენის ქალსაც ცოლად“ დაჰპირდე-ბოდა (შუშან. ცხოვრება, გვ. 182). ამ დროს, მართლაც, როგორც იყო ნათქვამი, ურმიზდის სამეფოს ჩრდილოეთის მხრიდგან აწვებოდნენ სკვითნი, თურქნი, ჰუნ-ავარნი და სხ. აქედგან უკანასკნელად რომ დაბრუნდა ვასქენი, შუშანიკს, საყდრის ეზოში შეფარებულს, დაემუქრა: „თუ შინ არ დაბ-რუნდები, იცოდე, კარაულით (ჯორით) გაგისტუმრებ ჩორას ანუ კარს“. შუშანიკმა სიმწარით გამოუხუმრა: „უბადოვო და უგულისხმოო! მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილს რასმე არ შევემთხვიო და ბოროტსა ამას არ განვერე!“ „მართლა იქ ვისმე მთავართაგანს არ ეცოლოსო“, იფიქრა ვასქენმა და ჩორას აღარ გაგზავნა.

შუშანიკის ამბავი დაწერილია მისის მოძღვრის იაკობის-მიერ და შეტანილია მეათე საუკ. ტყავზე ნაწერს კრებულში (№ 95). მო-ძღვრის იაკობის ნაწერი ძვირფასი საუნჯეა შესასწავლად ქართული ენისა. შუშანიკის ცხოვრება. შესანიშნავია აგრეთვე როგორც შვენი-ერი ნიმუში მაშინდელ დროის ყოფა-ცხოვრებისა, ურთიერთობისა და რწმენისა.

ძველადვე წესი იყო, მთავარს ჰქონოდა ციხე-ქალაქი, სი-მაგრე და ხეობანი, აგრეთვე კარის ეკლესია. ყველა ეს არ აკლდა შუშანიკის ქმარს ვარსკენსაც. იგი ითვლებოდა პატია-ხშად (ერისთავად) ვრცელის კუთხისა—სომხითისა და მერე ყა-ენმა რანიც მიუბოძა. მისი სატახტო ქალაქი იყო ცურტავი, სა-ცა ჰქონდა სასახლე და ეკლესია. ჰყვანდა კარის ეპისკოპოსი, რომელსაც ერქვა აფოტ, მოძღვარი იაკობ და სხ. მღვდელ-მსახურნი. ვასქენს, გარდა ჯარისა, რომელსაც იგი საჭირო დროს იწვევდა მთელის საერისთაოდამ, ჰყვანდა აგრეთვე ტა-ძრეული (სასახლის მცველი მეომრები), რომელთაგან ზოგი

აზნაური *) იყო, ზოგი მსახური. ყველა ესენი ცხენოსნები იყვნენ. სადმე რომ წავიდოდა პატიახში, დაბრუნებისას ყველა ტაძრეული, აგრეთვე მისი ცოლი და შვილები მოვალე იყვნენ მიჰგებებოდენ. იგი შორიდგანვე „სადიასპანო (სადესპანო) ცხენით“ კაცს გზავნიდა, რომ ტაძრეულთ აცნობოს მისი მოსვლის დრო-ჟამი, რათა „წინა მიეგებნენ აზნაურნი, შვილნი და მსახურნი“. სუფრაზე მამაკაცნი და დედაკაცნი ერთად არ სხდებოდნენ. სუფრას ამშვენებდა პური, ღვინო, ჰიქები, ასტამი (ჩანგალი) და სხ. ვასქენის სუფრაზე იძულებით მოყვანილ შუშანიკს რომ ჰიქით სავსე ღვინო მიაწოდა მისმა მაზლის ცოლმა და აიძულებდა ეჭამა და ესვა, მან ხელი ჰკრა ჰიქას და თქვა: „ოდეს ყოფილარს აქამომდე, რომ მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური?!“ ვასკენი ულმობელი კაცი იყო. მან თვისის მახლობელის, დიდიხნის მეუღლის, შვენიერი შუშანის შებრალებაც ვერ გამოიჩინა. შუშანიკმა ქრისტიანობიდგან გადამდგარის ცოლობა აღარ ინდომა; ეს საკმაო იყო, ფეხქვეშ გაეთელა სუსტი არსება: ასტამით ეცემა თავპირში, მისთვის თვალი დაეშრიტა, თმით ეთრია, ეგინებინა... და ამავე დროს იჯი, ვით „მძვინვარე მხეცი, ყიოდა და იზახოდა, ვითარცა ცოფი“. ესეც არ აკმარა. რკინის ბორკილი შეუყარა ფეხთ და საპყრობილეში შეაგდო. მაგრამ შემდეგ უვარესად სტანჯა: საპყრობილიდგან სასახლემდე ძეძვ-ეკალზე თრევით მოაყვანინა, მთელი ტანი დაუბზარა, ქედზე ბორკილი დაადო და სენაკსა ბნელს საპყრობილეში შეაგდეო. ამისთანა ტანჯვა-ვაებით შუშანიკმა ექვსი წელიწადი გაატარა საპყრობილეში. აი როგორი იყო თვით ეს საპყრობილე. „გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას (საპყრობილეში) დასხმულ იყო. ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი,

*) ძეგლი განარჩევს დიდდიდ აზნაურებს მცირე აზნაურებისაგან და ამათ—უაზნოთაგან.

წყალნი მავნებელნი. მკვიდრნიცა მის ადგილისა სავსენი სენითა, წყლითა განსიებულნი, გაყვითლებულნი, წერტილნი, დამჭნარნი, დამილრებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი, დღე-მოკლედ ცხოვრებულნი, მოხუცებულნი არიან... ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილიყო (შუშანიკი) და მძიმეთა მათ საკვრელთა შინა ადიდებდა ღმერთსა". შუშანიკის სანუგეშებლად მოდიოდნენ კათალიკოზი სამოელ, იოანე ეპისკოპოზი, აზნაურნი დიდ-დიდნი, სეფექალნი, დედანი, ქართლის აზნაურნი და უაზნონი. თვით ეპისკოპოსი აფოტ ამბილებდა ვასქენს, თუმცა მისგან გინებისა და გმობის მეტი არა ესმოდა-რა

„ცხოვრება" არ გვეუბნება—ვასქენი წერით მოკვდა, თუ მოკლა იგი მეფემ, რომელიც ამ შემთხვევაში იქნებოდა არა ბაკური, არამედ, როგორც ვთქვით, გურამი. გამარჯვებულს საქართველოში, რომელსაც კვლავ მეფობა დაუბრუნდა 591 წ., ვასქენისებრ კაცს აღარ ედგომილებოდა. ალბად, იგი მოკლეს შუშანიკის წვალებისთვისა და ქვეყნის ღალატისთვის. მაგრამ თვით გურამი ამას ვერ მოიმოქმედებდა, ვინაითგან ქართლის ერისთაველის გამოცვლის უფლება მას არ ჰქონდა: ერისთაველს ბერძენთა მეფისა და ყაენისაგან მკვიდრობის სიგელები ჰქონდათ მიცემული.

გურამი მორწმუნე კაცი იყო და ეკლესიების მაშენებელი. მან იწყო ჯვარ-პატიოსანის (მცხეთის პირდაპირ ჯაჭვის საყდრის) აშენება და წელთამდის ამოიყვანა კედლები. მანვე განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა, რომლის აშენება დაეწყო ვახტანგ გორგასალს.

საზოგადოდ, ამ დროს საეკლესიო ცხოვრება და წესები საკმაოდ განმტკიცებულიყო ჩვენში. მრავალ მონასტრებმა და ეპისკოპოსებმა კათალიკოზის მეთაურობით გაავრცელეს გალობა და სასულიერო წიგნები. წმ. შუშანიკი არ იშორებდა თავისს საყვარელ წიგნებს—სახარებას და მოწაფეთა ცხოვრებას. წმ. ევსტათი, რომელიც ვეჯან ბუზმილმა აწამა ტფილისს და

რომლის გვამი კათალიკოზ სამოელმა დამარხა მცხეთას, მთავარდიაკონის სამოელის სკოლაში ნასწავლი იყო. მან ზეპირწევნით იცოდა ძველი და ახალი აღთქმა (დაბადება და სახარება).

მეფობანი:	შემთხვევანი:
გორგასალი 486—532.	კათალიკოზის გამწესება 512 წ.
დაჩი 532 + 12*) = 544	ქ. ტფილისის აშენება — 531 წ.
ბაკურ 544 + 13*) = 557	13 მამათა მოსვლა 561 წ.
ფარსმან 557 + 14*) = 571	აბიბოს ნეკრესელის წამება (გვ. 251)
ფარსმან 571 + 5*) = 276	ევსტათი მცხეთელის წამება 590 წ.
ბაკურ 576 + 13*) = 589	ვეფხან ბუზმილის მოკვლა 590 წ.
გურამ 590 +	შუშანიკის სიკვდილი 594 წ.

*) ვახუშტი ბატონიშვილის ანგარიშით ამდენს წელს მეუობდა ის მეფე.

თავი V.

გურამის მემკვიდრენი.

გურამის ძეს სტეფანოზს ორი ბატონი გაუჩნდა—ყაენი და იმპერატორი, რომელთა „შიშით მეფობის სახელი ვერ იკადრა“ და მხოლოდ ერისთავთ-მთავრად ითვლებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ყაენი ხოსრო, რომელიც მაერიკიმ გაახელმწიფა, თანდათან გაძლიერდა, გავლენა და რიხი მოიპოვა აღმოსავლეთში და იწყო სპარსეთის უწინდელ საზღვრების ძებნა. გარემოებამაც ხელი შეუწყო.

602 წელს იმპ მაერიკის აუჯანყდა ფოკა, მოჰკლა და თვითონ გამეფდა. ეს იწყინა ხოსრომ: ვიღაც ფოკამ როგორ გაბედა ჩემის კეთილისმყოფელის და მამობილის მოკვლაო, და შეესია საბერძნეთს (603 წ.), დაიპყრა სირია (611 წ.), პალესტინა (614 წ.), ეგვიპტე, მცირეაზია, აიღო კოსტანტინეპოლის უბანი ქალკიდონი. ამავე დროს მისივე რჩევით კოსტანტინეპოლს ჩრდილოეთის მხრით 80,000 მეომრით შემოერტყა ავარების ხაყანი. კოსტანტინეპოლის თავისუფლება ბეწვზედ-ღა ეკიდა. მაგრამ იგი იხსნა ირაკლიმ.

610 წ. უნიჭო და მტარვალი ფოკა ტახტიდგან ჩამოაგდეს, მოჰკლეს და გაამეფეს ირაკლი. ამან შეირიგა ხაყანი, რომელსაც მისცა დიდძალი ფული, აგრეთვე ყაენი, რომელსაც ყოველწლიურ ხარკად განუკვეთა 1000 ტალანტი ოქრო, 1000 ტალანტი ვერცხლი, 1000 ფარჩეული, 1000 ტაიჩი და 1000 გასათხოვარი ქალი.

ხოსრო ეხსნა ქალკიდონს. იგი ნეტარებაში იყო და გულის წადილს ისრულებდა: აღმოსავლეთის ეკლესიებს ანგრევდა, არბევდა დაპყრობილ ქალაქებს და სპარსეთში გზავნიდა აუარებელს ოქროს, ვერცხლს, ძვირფას მარმარილოს და სხ. იერუსალიმიდამ გაგზავნა თვით ის ძელი ჭეშმარიტი, რომელზედაც ჯვარსაცვეს ქრისტე, და აგრეთვე იქაური პატრიარქი

ზაქარიაც. თვისი საძოვრები გაავსო საქონლით, ცხვრითა და ცხენებით.

მისი წალკოტები სავსე იყო ხოხბებით, ფარშევანგებით, სირაქლემებით, ტახებითა, ლომებითა და ვეფხვებით. საჯოგეში ჰქონდა 6000 ჯორი და ცხენი და 960 მეომარი სპილო. 12,000 აქლემს ჰკიდებდნენ მის სალაშქრო ქონებას. მის სასახლის კარებს ჰყარაულობდა 6000 მეომარი, ხოლო 12,000 მონა მსახურობდა შიგ სასახლეში, რომელიც შეკაზმულიყო 30,000 ძვირფას ფარდით, 40 000 ყერცხლის სვეტით და 900 ოქროს ბუშტით. ყაენს ჰქონდა 3000 ცოლი, უცილობესი ქალები მთელს ასიაში.

რაღა თქმა უნდა, ამისთანა ამაღლებულ მეზობლის გვერდით პატარა საქართველოს მფლობელი არაფრად გამოჩნდებოდა. სტეფანოზმა მეფედ წოდებაც ვერ იკადრა: იგი თვითვე; თავის ნებით მიემხრო ყაენს და განუდგა იმპერატორს.

აღმოსავლეთის მბრძანებელი რომ განცხრომასა და დამონებულ ერების ცარცვა-გლეჯაში იყო, იმპერატორი ირაკლი საიდუმლოდ იწვევდა მეომრებს, ეკლესიებიდგან გამოჰქონდა ოქრო-ვერცხლი, ამზადებდა ნავებს, სურსათს და ემზადებოდა მტრის ჯავრის ამოსაყრელად.

622 წ. ირაკლი შეება სპარსებს სირიისა და კილიკიის მიჯნაზე, შემუსრა იგინი, გადმოვიდა კათბადუკიას, აქედგან ისევ კოსტანტინეპოლს წავიდა და იქიდგან სამხედრო გემებით მოვიდა ტრაპეზუნტს, საცა მოიწვია თავისი ლაშქარი პონტოს მხრიდგან და აგრეთვე მისი მრმხრე ქართველები.

იმპერატორის მოწოდება დიდის სიხარულით მიიღო კახეთის ერისთავმა, მეფის ბაკურისძემ ადარნასემ, საქართველოს გადაყენებულ სამეფო გვარის წარმომადგენელმა: იგი გამოეცხადა ირაკლის, შემწეობა აღუთქვა და წამოუძღვა.

სტეფანოზ გურამისძემ ციხე-ქალაქების მაგრება იწყო: გაიმრაყლა ლაშქარი და დადგა ტფილისში.

ირაკლიმ დიდის სისწრაფით გავლო სომხეთი, არეზზე ხიდი გასდო, ლაშქარი გადაიყვანა და შეესია სპარსეთს (623 წ.).

მან აიღო დიდი ქალაქი განძაკი (თავრიზი) და თავზარი დასცა ყაენს ხოსროს. ამასობაში ზამთარმა მოაწია, ირაკლიმ უკან დაიხია და მუღანის ველებზე დაიზამთრა. ირაკლის ბრძანებით მისი მეომრები ყველგან ამხობდენ ბომონებს *) და აქრობდენ საცეცხლეებს. მისვე განკარგულებით განთავისუფლებულ იქმნა 50,000 ტყვე.

მეორე წლის გაზაფხულს იმპერატორი კვლავ შეევდა სპარსეთში, მივიდა ყაზვინამდე და ისპაანამდე. შეშინებულ ყაენმა ფიცხლავ იხმო თვისი ლაშქარი ეგვიპტიდამ და მცირე-აზიიდამ და შემოარტყა ირაკლის, რომლის გამოცდილი მეომრები შეშინდნენ და უკან დახევა მოითხოვეს, მისი მომხრე ქართველებიც (კოლხები) წინ წასვლას აღარ კისრულობდნენ. ირაკლიმ უთხრა: „ნუ გეშინიანთ მტრის სიმრავლისა, ერთი რომაელი 1000 ბარბაროსს დასძლევს. სიცოცხლე ჩვენი გავწიროთ ჩვენთა ძმათათვის, მომყევით!" იმპერატორი ეცა მტრებს, დაამარცხა, აიღო ქალაქები და ციხეები და ქურთისტანით წავიდა მცირე-აზიის ქალაქ ამიდას, აქედგან თავისი ამბავი აცნობა კოსტანტინეპოლს, თვითონ კი მტერს დაედევნა და კათბადუკიდგან შავის ზღვის პირაღ მოვიდა (625 წ.).

შერცხვენილმა ყაენმა უკანასკნელი ძალა მოჰკრიბა და სამი ძლიერი ლაშქარი შეადგინა. 50,000 მეომარი „ოქროს შუბოსანი" ირაკლის დასახვედრად გაამზადა, მეორე ლაშქარი დაუყენა ბარდავარ ირაკლის ძმის თეოდორესი და მესამე სპარაპეტის წინამძღოლობით კოსტანტინეპოლის ასაღებად გაგზავნა. ამას გარდა, მიემხრო აგრეთვე დუნაის მხრის ავარების მეფე, რომლის 80000 მეომარს შეადგენდნენ ბულგარები, გეპიდები, სლავები და სხ. სპარაპეტი მცირე-აზიის საუღრებისა და ციხე-ქალაქების აკლებ-ათხრებით კოსტანტინეპოლის უბანს ქალკიდონს მივიდა. ჩრდილოეთის მხრით გამოჩნდა ავართა ხაკანი თავის ლაშქრით (31 იგლ. 626 წ.). ქა-

*) ბომონი (=ბერძნ. „ბომოს")—კვარცხლბეკი, საზორავი სამსხვერპლო, კერა.

ლაქის მცველებს ირაკლიმ მაიშველა 12,000 მეომარი. ხაუანს დაუწვეს მანქანები, მისი ნავები ქარიშხლისაგან აღელვებულმა ზღვამ დანთქა, მისი მებრძოლნი მეციხოვნეებმა დაამარცხეს და უკუ აქციეს. ამასობაში სურსათიც გამოელიათ. ხაუანი აიყარა და შინ დაბრუნდა.

ხაუანის დაბრუნებამ ირაკლი გაახარა. იგი პონტოდგან დაიძრა და საქართველოს შემოვიდა. ადარნასე ბაკურის ძე მისი მშველელი იყო. იმერეთით ირაკლი გადმოვიდა ქართლს. იგი ფრიად ღვთის მოსავი კაცი იყო. გაეგო—აწყურის ხატი სასწაულებს ახდენსო. მის თაყვანის საცემად წავიდა აწყურს. შეევედრა ხატს—გამარჯვება მოგვეციო, განკარგულება მოახდინა აქაურ მცირე ეკლესიის მაგიერ საეპისკოპოსო საყდარი აეგოთ, და ტფილისისკენ დაიძრა. ტფილისის ახლოს მას მიეგება ხაზარების მეფე ჯიბღუ (ზიბელი).

ეს ზიბელი ირაკლიმ წინათვე მიიმხრო და სთხოვა შველა წინააღმდეგ ყაენისა. ზიბელი კავკასიონის ჩრდილოეთის მხრის მეფედ ითვლებოდა. გიბბონის სიტყვით, ხაზარების ურდოები ვოლგის პირას ესახლნენ. იგინი ზიბელმა საქართველოს მთებამდე მოიყვანა. ირაკლის დასახვედრად საქართველოში შემოიჭრა ჩორას (ჭოლას) გზით.

ზიბელი და მისი ამალა მუხლმოყრით მიეგებნენ იმპერატორს, რომელმაც მოიხადა თავისი დიადემა და თავზე დაადო, მოეხვია და თავის შვილად გამოაცხადა. შემდეგ დიდი პურობა გადუხადა, აჩუქა ზიბელს პურპლები, სამკაული, ოქროს ნივთები, შემკული ძვირფას ქვებითა და მარგალიტით, ფარჩეული; მის მეომრებს დაურიგა საყურეები და სამკაული. ზიბელს აჩვენა აგრეთვე თავის ქალის ევდოკიას სურათი და აღუთქვა—ცოლად მოგათხოვებო. ყველა ამან აღტაცებაში მოიყვანა ბარბაროსი და თავისი 40,000 მხედარი შეუერთა იმპერატორის ლაშქარს, და ორთავენი მოადგნენ ტფილისს.

ტფილისი და მისი ციხე კალისი გაემაგრებინა მხნე მთა-

ვარს სტეფანოზს. ტფილისში თვითონ დამდგარიყო, ხოლო კალისში ჩაეყენებინა თვისი მოხელე.

გაიმართა სასტიკი ბრძოლა ჯერ ტფილისის მხარეს. ქართველები იბრძოდნენ სტეფანოზის წინამძღოლობით. ერთ შეტაკების დროს მტრებმა მოკლეს სტეფანოზი. ირაკლიმ ტფილისი აიღო. ახლა ჯერი მიდგა კალისზე, რომელიც მტერს ქედს არ უხრიდა. ირაკლი და ჯიბღუ ყოველგვარად ცდილობდნენ, რომ ციხე მალე დაეჭირათ, მაგრამ ამაოდ. მეციხოვნეები დასცინოდნენ ორთავეს, გულს უსიებდნენ, აჯავრებდნენ. ციხის თავზე გამოსდეს უზარმაზარი გოგრა, ზედ დამახინჯებულად გამოხატეს ზიბელის სურათი, შუბებით ჩხვლეტდნენ მას და ხაზარებს უყვიროდნენ: „აი, თქვენი მეფე“! აგრეთვე დასცინოდნენ და მასხარად იგდებდნენ ირაკლისაც. უყვიროდნენ: ბილწი და მამათმავალი ხარო. მეფეები ჯავრობდნენ, ცეცხლებრ ენთებოდნენ და ფიცულობდნენ ცოცხლად არცერთს არ დაეტოვებთო. მალე თვით ციხის თავიც გადმოდგა და ირაკლის შემოსძახა: „ვაცისა წვერნი გასხიან და ვაც-ბოტისა კისერ გაქუს“! ირაკლი ჯერ აენთო, მერე დაშოშმინდა, რადგან მოაგონდა დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვები: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსროს რქანი ვერძისა აღმოსავლისა“ *). ამ სიტყვებმა დაარწმუნეს იმპერატორი, რომ გაიმარჯვებდა. ადარნასე ქართლის მთავრად გამოაცხადა, იგი და ჯიბღუ ტფილისში ჩააყენა და დაავალა დაეპყრათ კალისი, თვითონ კი თავის ლაშქრით სპარსეთისკენ წავიდა.

იგი შევიდა გარდაბანს და დადგა სოფ. ხუზაშენს. აქაური მთავარი ვარაზ გაგელი **) და მისი ერი მოაქცია, იწყო მათთვის ეკლესიის აშენება, და წავიდა ბერდუჯს, დადგა სო-

*) დანიელი, თავი 8, მუხ. 3—10.

**) გაგი მაგარი და ძლიერი ციხე იყო გარდაბანს და აქაურ მთავრის სატახტო სიმაგრედ ითვლებოდა. ვარაზ გაგელი (იგივე ვარაზ გრიგოლ გაგელი, კაღანკატვაწის სიტყვით, ჩამომავალი იყო სპარსეთის მეფის ურმიზდის (590 წ.) ნათესავის მირანისა, რომელიც 30,000 მოსახ-

ფლის გულს, აღმართა ქვის ჯვარი, ღვთისმშობლის ეკლესიის საფუძველი დადვა, და მერე წავიდა ლალს, მოუწოდა მეწეკევნელების მთავარს, ნათელსცა მას, და სპარსეთისკენ ჩაიარა.

მაგრამ ჯერ იგი სომხითიდგან არც კი იყო გასული, რომ ადარნასემ და ზიბელმა კალისი აიღეს, ციხის თავი შეიპყრეს, ტყავი გაჰხადეს და მიართვეს ირაკლის, რომელიც ჯერ ისევ ვარაზ გაგელისას იყო. თვით ზიბელმა გაძარცვა მთელი ქალაქი, საყდრები და სახლები, შეაგროვა დიდძალი ოქრო და ვერცხლი. მისი მეომრები ისე გამდიდრდნენ, რომ ქალაქის დარბევის შემდეგ ხმაროობდნენ მხოლოდ ვერცხლის ფიალებსა და სტაქნებს, ოქროთი დაფერილებს. ამის შემდეგ ზიბელი დაბრუნდა და თავისი შვილი შადი კი გააყოლა ირაკლის.

ირაკლიმ სწრაფად გაავლო სომხეთი და შუა მდინარეში შევიდა. ამ დროს ხოსრო გაურისხდა სარვარონს და მისი თავი მოითხოვა. სარვარონი განუდგა ყაენს. ძველ ნინევის არემარეზე შეიბნენ ყაენი და იმპერატორი. უკანასკნელს გაემარჯვა. დამარცხებული სპარსელები დაიქსაქსნენ, გაიქცნენ. ირაკლი მალე გაჩნდა ყაენის სატახტო ქალაქ დასტაკერტს. ირაკლიმ ჰიღო კტეზიფონიც (მადაინი) და აგრეთვე თავრიზი (განძაკი). ყაენი ხოსრო გაიქცა, მაგრამ იგი შეიპყრეს სატრაპებმა და მეხუთე დღეს „მსოფლიოს მპყრობელიც“ მოკვდა (628). ახა-

---

ლით გაიქცა აღვანიას, შევიდა უდინების ქვეყანაში და იქიდგან ხაზარეთს გაქცევა სწადდა. იგი მიიღტოდა ხოსროსაგან, რომელმაც ამოწყვიტა თავისი ბიძები ბინდო, უსტამი და 60 მათი მოგვარე. მისი გაქცევის ამბავი რომ გაიგო ყაენმა, მისწერა: „ძმაო, ნურსად გარბიხარ. თუ სამშობლოში დაბრუნება არ გინდა, დარჩი იქ, საცა მიიღებ ჩემს ამ წერილს“. მირანმა წერილი მიიღო შვენიერს გარდმანს, აქაური 12 დიდებული დახოცა და თვითონ აქ დარჩა. მისგან იშვა არმაელი, ამისგან ვარდი, ამისგან ვარდან-ქჯელი, რომელმაც დაიმორჩილა კავკასიის ველური მთიელები. მის შვილს ერქვა ვარდი. ვარდისგან იშვა ვარაზმანი, ამისგან შუშიკ და ვარაზ-გრიგოლი, აღვანიის პირველი მთავარი, რომელიც მონათლა აღვანიის კათალიკოზმა ვირომ. ვარაზ-გრიგოლს ჰყვანდა ოთხი შვილი: ვარაზ-ფეროჟ, ჯუანშერ, ეზუდ-ხოსროვ და ვარაზმან.

ლი ყაენი სიროესი შეეღრიგდა ირაკლის, რომელიც აუარებელ ნადავლით და დიდის დიდებით დაბრუნდა, მეორე წელიწადს წავიდა იერუსალიმს, წაიღო პატიოსანი და ცხოველმყოფელი ძელი, რომელიც ტყეობიდგან გაანთავისუფლა, და დაასვენა იქ, საცა, როგორც ანიშნეს ქართველებმა, რომელნი მანამდეც ემსახურებოდნენ უფლის საფლავს, ესვენა.

ჩვენი მატიანის მოწმობით, ირაკლი, ვიდრე დაბრუნდებოდა კოსტანტინეპოლს, შემოვიდა ქართლს თავის ლაშქრობის მეშვიდე წელს (629 წ.), ქადაგნი განავლინა ტფილისს, უჯარმას, მცხეთას და ერს გამოუცხადა: ქრისტიანები საყდრებში შედითო, მოგვები კი თუ არ მოინათლნენ, უნდა ამოეწყვიტოო. მოგვები არ მოინათლნენ, მაგრამ ეკლესიებში კი ქრისტიანებთან ერთად მიიმალნენ. ირაკლის მეომრებმა ეკლესიებში ბევრ ქრისტიანებთან ერთად მოგვები ამოჟლიტეს, ეკლესიები სისხლით შეიღებაო, მაგრამ სჯული კი გასწმიდაო. შემდეგ ირაკლიმ მანგლისით და ერუშეთით ქრისტეს ჯვრის ფეხის ფიცარი და სამსჭვალი წაიღო და წავიდაო.

ჯერ ისევ პირველ შემოსვლის დროს, როგორც ამბობს გიბბონი, ირაკლი გულმოდგინედ შეუდგა სჯულის გაწმენდას: იგი რომ მუღანს იდგა, მისი ბრძანებით მისი მეომრები აქრობდნენ ცეცხლს, რომელსაც თაყვანსცემდნენ მოგვები, და ანგრევდნენ საცეცხლე ტაძრებს.

ირაკლის ღვანასკნელ შემოსევის ჟამს, შენიშნავს მემატიანე, ალარნასე მთავარს დაესრულებინა ჯვარ-პატიოსნისა და ტფილისის სიონის აშენებაო.

სიონის აშენება დაიწყო ვახტანგ გორგასლმა. მის შენებას განაგრძობდნენ შემდეგი მეფეებიც; სიონის აგების საქმეს უფრო გულმოდგინედ შეუდგნენ გურამ ბაგრატიონი და კათალიკოზი სამოელ. მათ ხელმძღვანელობით განახლდა სიონის შენება: საშენებო საქმის ნახევარი იტვირთეს ტფილისის მცხოვრებლებმა და ნახევარი კი თავსიდვა ერთმა ქვრივმა დედაკაცმა. შენებას მოანდომეს მხოლოდ აგური, ალგეთის ჯავარიანი ქვით კი მისი კედლების და გუმ-

ბათის გარეთი ჰირი განასხლა და შეამკო ვახტანგ სჯულმდებელმა 1709 წ. სახელი სიონი მას და საქართველოს ბევრ სხვა ტაძრებს დაერქვათ მოსაგონებლად ჰალესტინის სიონისა.

ჯვრის-საყდარი ანუ ჯაჭვის საყდარი მცხეთის პირდაპირ არაგვის გამოღმა გორაზეა. წარმართობის დროს ამ გორის მწვერვალზე კერპი იდგა და მცხეთელები მას თაყვანსცემდნენ დილაობით, მზის ამოსვლისას. მის მაგიერ წმ. ნინომ ალმართა ძელი ცხოველი (გვ. 165), ხოლო გურამმა იწყო ეკლესიის შენება და კედლები თითქმის კაცის სიმაღლემდე ამოიყვანა. მისმა ძემ დიმიტრიმ და სტეფანოზ მთავარმა განაგრძეს შენება, ხოლო ადარნასე მთავარმა დაასრულა. აღმოსავლეთის მხარეს კედელზე გამოქანდაკებულია ქრისტე და მის წინ სტეფანოზი, რომლის ზემო წარწერაა: „ჯვარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკოსი შეიწყალე". სამხრეთის კედელზე გამოქანდაკებულია თვით დიმიტრი ქართულის ტანისამოსით და ზე-წარწერით: „წმიდაო მიქელ მთავარ ანგელოზო, დემეტრეს მეოხ ეყავნ". ჩრდილოეთის კედელზე გამოქანდაკებულია ადარნასე და დედაკაცი (მისი ცოლი!) ზე-წარწერით: „წმიდაო გაბრიელ მთავარ აგელოზო, ადარნასეს იპატოსსა მეოხ ეყავნ".

ჯაჭვის საყდრად იმიტომ იწოდება ეს დიდებული ნაშთი ქართულ ძველ ხუროთმოძღვრებისა, რომ იგი და არაგვის გაღმით ადმართული სვეტიცხოველი, როგორც გვაუწყებს გადმოცემა, გადაბმულნი ყოფილან ჯაჭვით და ამ ჯაჭვზე გადიოდ და გამოდიოდნენ წმ. ბერები. ალბად, ჯვრის საყდარი, თავის მდებარეობის გამო მაღალს გორაზე, მცხეთელთათვის სანიშნებელი ალაგი იყო შიშიანობის დროს. საყდრის კედელში დღესაც არის ხვრელი, რომელშიაც, როგორც უჩვენებენ, უნდა გაურილი ყოფილიყო ხსენებული ჯაჭვი.

აღსანიშნავია ჯვრის საყდრის წარწერებში ბერძნული წოდებანი პატრიკოსი და იპატოსი. ეს წოდებანი ბერძნულებია. ბერძნულია აგრეთვე კურატპალატი (ასე იწოდებოდა გურამ ბაგრატი-

ონი). კურატპალატობას იმპერატორები ანიჭებდნენ ჩოლმე სასახლის სპატიო მრჩშლს. პატრიკი იგივე მთავარია, მმართველი. იპატოსი—კონსული, მხედართმთავარი. ჩვენს მეფეებს იმპერატორები ძლევდნენ ხშირად მაგისტრასობას (მთავარმართებლობას, მეფობას), ნობილისიმოსობას, სევასტოსობას, ანთვიპატობას (პროკონსულობას) და სხ.

კალანთკათვაწი ამბობს, რომ ადარნასემ ბერძნების მეფისაგან სამნაირი ტიტული მიიღოო, და განაგრძობს: ალვანიის მთავარმა ვარაზ-გრიგოლმა თავისი შვილი ჯუანშერი გაგზავნა (632 წ.) საშვილად სპარსთა, რომელთაც გამოუჩნდნენ ახალი მტრები—აგარიანები. იქიდგან ჯუანშერი დაბრუნდა 639 წ. მას გამოედევნენ ყაენის მეომრები და დაატყვევეს მისი დედა და ძმები. ჯუანშერი გარისხდა, თავის სამთავროს მიჯნებიდამ გადავიდა მტკვრის მეორე მხარეს, შეიპრა კამბეჩოვანს, დაეცა სპარსებს და ამოწყვიტა იგინი, მაგრამ თვითონაც ჭრილობა მიიღო და იქვე, ივერიის მიჯნაზე, ჩამოხტა. მაშინ მივიდა მასთან „უპატიოსნესი კაცი ატრნერსე, მფლობელი ქვეყნისა, რომელმაც სამნაირი ტიტული მიიღო ბერძენთ მეფისაგან. მან თვითონვე შეუხვია ჭრილობა და უხაროდა მის გამარჯვებისთვის. დასდო რა მასთან მტკიცე ხელშეკრულობა, ჯუანშერმა ივერიის ჯარი წაიყვანა ჯტის მხარეს და ამოწყვიტა ყველა იქაური სპარსელი მეომარი. შაკაშენში *) ორგზის დაამარცხა სპარსები და ამოწყვიტა მრავალნი".

ამავე ხანს საქართველოში იტანჯებოდა მაქსიმე-ადმსარებელი ორის თავის მოწაფით. იგი გამოდევნეს იმისთვის, რომ ამტკიცებდა, იესო ქრისტეს აქვს ორი ბუნება და ორი ნებაო, ღვთიური და კაცობრიული. ამის წინააღმდეგ მაშინდელნი მწვალებელნი (მონოთელიტნი) ასწავლიდნენ: ქრისტეს მხოლოდ ერთი ნება აქვსო—ღვთიური. ამ უკანასკნელების მომხრე იყო თვით მეფე კოსტანტინეც, რომელმაც საშინ-

*) საკაშენ-ად იწოდებოდა რანი (საკა-შენი=სკვითთა ახალშენი).

ლად დატანჯა მაქსიმე და მისნი მოწაფენი და ექსორია ჰყო *). გი ჰოიყვანეს იმერეთს (655 წ.) და დაამწყვდიეს ციხე ჰიმარს, იოლო მისი ერთი მოწაფე (ანასტასი) შეამწყვდიეს ციხე ხოდორს, საიდგანაც გადაიყვანეს ციხე ბუკელეს, მერე სვაკნეთს და ციხე მურს, საცა მოკვდა იგი (666 წ.). მეორე მოწაფე (ესეც ანასტასი) მოიყვანეს თავკვერს (ლეჩხუმს), საიდგანაც 668 წელს დაბრუნდა კოსტანტინეპოლს. თვით მაქსიმე კი სწერდა „ებისტოლეთა მართლისა სარწმუნოებისათვის, რამეთუ კალამი მოიბა დაკუეთილსა მას ხელთა და წერნ. და ესრეთ აღიარა და დაამცკიცა მართალი სარწმუნოებაჲ და ესრეთ აღესრულა“ (662 წ. 13 აგვ.).

---

*) მე-XI საუკ. ეტრატზე ნაწერი სვინაქსრები №-ები 97 და 198: „უკეთურისა სეეროს წვალებაჲ განვრცელდებოდა... შემდგომად განკითხვისა მათისა აღმოჰკვეთნეს ენანი და დაჰკუეთნეს კელნი, განაჭრნეს და ესრეთ გვემულნი ექსორია ყვნეს სამრგელოს“...

განყოფილება II.

არაბების შემოსევიდამ საქართველოს გაერთიანებამდე.

თავი I.

მთავარი სტეფანოზ და არაბები.

სტეფანოზ ადარნასესძე იყო მორწმუნე, განმწმენდელი სჯულისა და მაშენებელი ეკლესიებისა. ჯვარპატიოსანს შემოავლო ზღუდე, აუშენა დარბაზნი. ამან წერილობითი განკარგულება მოახდინა, რომ ეპისკოპოსებისა და კათალიკოზის კრებულს ყოველ პარასკევს ედიდა ჯვარი პატიოსანი, საკათალიკოზო კრებულს ედიდა სიონი ხუთშაბათობით, საეპისკოპოსო კრებას მცხეთაში ედიდა წმ. სტეფანე და აბიბოს ნეკრესელი შაბათობით.

სტეფანოზი ამგვარ „შრომაში“ იყო, ყაენი და იმპერატორი ერთმანეთის წეწვა-გლეჯას უნდებოდნენ, რომ გამოჩნდა ახალი წინასწარმეტყველი, მაჰმადი.

მჭმადი დაიბადა მაქქაში 571 წ. იკი შუათანა ტანის კაცი იყო, ლამაზი, ჭკვიანი, გულკეთილი, გამოცდილი, მხნე, თავმდაბალი, მოსამართლე. 610 წელს თავისი თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა. მაქქელებმა იგი უარჰყვეს. მჭმადი გაიქცა მედინას და ეს გაქცევის დღე—1 იგჯ. 622 წ. —ჩაითვალა მჭმადიანთა წელთ ალრიცხვის დასაბამად—ჰიჯრად. მედინაში ბევრი მომხრე იშოვა, 624 წ. დაამარცხა თავისი მაქქელი მტრები, 627 წ. კვლავ დაამარცხა იგანი და ამოსწყვიტა მათი მომხრე ებრაელნი, 629 წ. წავიდა მაქქას არაბთა ეროვნულ სიწმინდეს ქაბას მოსალოცავად და შესწირა მას 70 აქლემი, მრავალი კურატი და ცხვარი. ამის შემ-

დებ უველა ხელმწიფეებს მოციქულები გაუგზავნა და მოითხოვა: „თაუვანი ეცით მხოლოდ ერთ ღმერთს და მიიღეთ მისი კანცხადება, მიცემული მის მიერ მოციქულის მაჰმადისთვის“. იამანეთის მეფემ მისი თხოვნა შეიწუნარა და ირწმუნა ისლამი. ეგვიპტის მმართველმა გამოუგზავნა ძვირფასი საჩუქრები და ორი ლამაზი ქალი. უანმა ხოსრომ, რომელიც მაშინ თავის თავს უველაზე ძლიერ ხელმწიფედ სთვლიდა, მაჰმადის მოციქულის მოტანილი წერილი დაფხრიწა, ბაჰრის მთავარმა მოჰკლა მასთან მისული მოციქული, ირაკლიმ ბატივით მიიღო გამოგზავნილი მოციქული და მაჰმადს აჩუქა საძოვარი ადგილები. სპარსეთიდგან მოციქული რომ დაბრუნდა, მაჰმადმა საჯაროდ წარმოსთქვა: „მალე სპარსეთი ისრე დაიფხრიწება, რგორც ხოსროს-მიერ დაფხრეწილი ჩემი ეპისტოლე“. 630 წ. მაჰმადმა ზეიდი და ხალიდი გაგზავნა სირიის დასაპურობად. მაჰმადის დროშა ეჭირა ზეიდს, მერე ჯაფარს. იმაუე წელს მან დაიპყრა მაქქა და მერე მთელი არაბეთი. 8 ივნ. 632 წელს გარდაიცვალა მაჰმადი—წინასწარმეტყველი, მგოსანი, დედელმთავარი და მეფე არაბთა, ე. ი. ძე ისმაილისა, ძისა აბრაამისა და აგარის. ამიტომაც ქრისტიანები არაბებს ეძახდნენ აგრეთვე აგარიანებად (აგარის გამო), ისმაიტელებად (ისმაილის გამო) და სარაკინებად (=სარაკინოზებად), რომელიც თარგმანებით ნიშნავს: „სარას-ძალი“.

ხალიფები (მაჰმადის მოადგილენი): აბუ-ბექრი (632—634). ამან შეშოჭკრიბა მაჰმადის ნაწერები—უურანი და თაუებად დაჰყო. მის დროს ხალიდმა დაიპურა ერაყი, რამდენიმე ადგილას შეებრძოლა იმპერატორ ირაკლის და შეიპრა სპარსეთში. ომარი (634—644). იმაუე ხალიდის—„ღვთის შოლტის“—მოთაუეობით არაბებმა აიღეს კადეში, უანიის სატახტო ქალაქები მადაინი, კტეზიფონი. არაბებმა დაიპურეს დამასკო, ფინიკია, ანტიოქია, იერუსალიმი, ეგვიპტე. ევფრატსა და ეგვიპტეს შორის ქვეყნების ემირად დაჰყვა მოავია. არაბების მპყრობელობა ისე სწრაფი და ძლევა-მოსილი იყო, რომ თაუზარი დასცა მსოფლიოს, შეაშინა თვით იმპერატორი ირაკლიც, რომელმაც მათ თაუდასხმას ადარ მოუცადა, გამოეთხოვა სირიას და გაიქცა. იმპერატორი და მისნი მახლობელნი დარწმუნებულნი იუ-

ვნენ, რომ არაბნი უძლეველნი არიანო, ღმერთს მათთვის მიუცია მსოფლიოს დროებითი მფლობელობა.

ჩვენი მემატიანე ამას ცოტა სხვანაირად გვიამბობს: ომარმა რომ განიზრახა შამს (სირიას) და შუამდინარეს შემოსვლა, ირაკლი მოვიდა მასთან საბრძოლად ფილისტიმს. აქ დახვდა ვინმე მონაზონი, რომელმაც მეფეს უთხრა: „ივლტოდეთ, ვინაითგან აღმოსავლეთი და სამხრეთი უფალმა მისცა სარკინოზთა". მაშინ იმპერატორი დაეკითხა ვარსკვლავთმრიცხველებს და მისნებს, ააშენა სვეტი და ზედ წააწერა: „მშვიდობით, შუამდინარეო და ფილისტიმო, ვიდრემდის წარხდეს შვიდნი შვიდეულნი". ამ შვიდეულის განმარტება ნახეს „ტროსმანჯინტონის წიგნში": 250 წელს იუფლებენ არაბებიო. ამის შემდეგ წარჩინებულ ბერძნებმა თვისი განძეულობა მიწაში დაფლესო და თვითონ გაიქცნენო, ხოლო ირაკლიმ ამოვლო რანის გზით და შემოვიდა ქართლს, საცა გამოქცეულიყო მრავალი სპარსელობა. ირაკლის რჩევით ამათ თვისი ქონება, ნათესაობა და ქვეყანა აღწერეს, გუჯრებში ჩანუსხეს, რომ არაბთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ ადვილად გაიგონ, ვის რა ჰქონდა და ვის რა ეკუთვნოდა. შემდეგ განძეულნი დაფლეს და რომელნიმე აქვე დარჩნენ, ხოლო სხვები ირაკლის წაჰყვნენ კოსტანტინეპოლს.

ირაკლის მოსვლა ქართლს (638 წელს, როდესაც იგი სირიის ნაპირს ნავში ჩაჯდა და კოსტანტინეპოლს გაიქცა), მართალი არ არის, მაგრამ ის კი დასაჯერებელია, რომ მან ყველა თვისნი ქვეშევრდომნი, მოკავშირენი და მეზობელნი გააფრთხილა, თუ რა შიში მოელოდათ ახლად გამოჩენილ მპყრობელებისაგან, როგორ მოევლოთ თავიანთ სარჩო-საბადებელისთვის, რომ მტრებს ხელში არ ჩავარდნოდათ; ამასთანავე, იმპერატორი, ალბად, დახმარებასაც ითხოვდა წინააღმდეგ საზოგადო მტრისა. ამას ნათელს ჰფენს უკანასკნელი განკარგულება სტეფანოზისა.

ამან, შეიტყო-რა, რომ ქართლს არაბები მოდიანო, ყო-

ველი თვისი სამეფო ხვასტაგი—საგანძურნი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი—შუაზე გაუყო თავის ორ შვილს, მირსა და არჩილს, შემდეგ მირი წაიყვანა და მისი წილი საგანძურიც წაილო და წავიდა ეგრისს. არჩილმა თავისი წილი განძეულობა ზოგი დაფლა კახეთის ხევში და ზოგი უჯარმაში, ხოლო განძეულობა ჯავახეთისა და ქართლისა დამალა გორს =ტონთიოს (ტონთიო—მთა-ოქრო) და მას თილისმა გაუკეთაო, რომ ვერავის მიეგნო. ქართლის ეკლესიების საგანძური კი არჩილმა დაფლაო მცხეთის სიონის აჩრდილს. შემდეგ ამისა თვითონაც გადავიდა იმერეთს და მივიდა ეგრისს. მისს მამას სტეფანოზს და ძმას მირს თვისი წილი საგანძურნი დაეფლათ ქუთაისს და ციხე გოჯს. თუ რაზომი იყო ეს დაფლული განძი, სჩანს თვით არჩილის სიტყვიდამ: ორი გვირგვინი იყო ზურმუხტისა და იაგუნდისა, ორიც ოქროისა და ანთრაკისა, რომელთაგან ერთი ეკუთვნოდა მირიან მეფეს და მეორე ვახტანგ გორგასალს. ოქრო და ვერცხლი იყო 500 პირუტყვის და 2000 მკვირცხლის სატვირთავიო.

არჩილთან ერთად იმერეთს გაიკრიფა მთელი სამეფო სახლობა. ეგრისში გარდაიცვალა მთავარი სტეფანოზ. იგი იქვე დამარხეს და თვითონ აიყარნენ, აფხაზეთს შევიდნენ და გამაგრდნენ ანაკოფიას, საცა იყო მაგარი და მიუდგომელი ციხე.

აფხაზეთი მაშინ ეკუთვნოდა იმპერატორს და განაგებდა მას ერისთავი ლეონ. ამ ლეონის წინად აქ ერისთაობდნენ ანოსი, მერე გოზარი, იუსტინიანე, ფილიკტოსი და კაპარუკი. არაბების შემოსევის შიში ისეთი დიდი იყო, რომ ლეონი აფხაზეთში ველარ გაჩერდა, აიყარა და შევიდა სობლის ციხეში, რომელიც იყო კავკასიონის მთებში, ოსეთისკენ გადასავალს ვიწროებში.

ამასობაში ხალიფა ომარის ლაშქარმა დაიპყრა მადაინი და გამოეკიდა ქაენს იეზდიგერდს, რომელიც იმალებოდა ერანის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. არაბებმა მისი ჯარი დაამარცხეს გამადანს (ეკბატანს) და თეირანამდე და რემდე მოვიდნენ. ომარმა თა-

ვის ლაშქრის ჩრდილოეთისკენ სვლა დროებით შეაჩერა და შეუდგა მთელის ერანის დაპურობას და ეს საქმე თითქმის მთლად შესრულა 640—641 წლამდე. ამავე დროს მისმა სარდალმა ამრუმ ბიზანტიელნი დაამარცხა და გამოდევნა ეგვიპტეთიდან, აიღო ალექსანდრია და ომარს მოახსენა: დავიპყარიო დასავლეთის ქალაქი, რომელშიაც არისო 4000 სასახლე, 4000 აბანო, 400 თეატრი, 12000 მოვაჭრე წვანილეულობისა, 40000 ებრაელი და უმდიდრესი წიგნთსაცავი. ომარმა შეუთვალა: ქალაქი არ დაარბიოთო; წიგნთსაცავის შესახებ უბრძანა: „თუ ბერძნების წიგნები ეთანხმებიან ღვთის წიგნს (ყურანს), იგინი მეტნია, თუ არ ეთანხმებიან, საშიშარნია და იგინი უნდა მოისპნენ“. ამრუმ ძვირფასი ეტრატები და ხელნაწერები დასწვა და მერე ამ ამრუმ და ომარმა დაიპყრეს ბარკე, ტრიპოლისი, საბრუ ბერბერამდე.

ხალიფა ოსმანი (644—656). მისი ლაშქრის დიდი და წვრილი რაზმები მოედვნენ მთელს სპარსეთს. ყაენი იეზდიგერდი, გაქცეული აღმოსავლეთისკენ, ეხვეწებოდა თურქებს და ჩინელებს, მიშველეთო. არაბებმა დაიპირეს ისპაანი, ჰერათი, ბალხი, ყანდაარი, ქვეყნები ინდოეთის მიჯნებამდე. იეზდიგერდმა თურქები მოიყვანა ხორასანს, მაგრამ იგი მოკლეს (650 წ.) და არაბები მოედვნენ ამუდარიასა და სირდარიას იქით-აქეთა ქვეყნებს, აგრეთვე ინდოეთს. მთელმა სპარსეთმა ირწმუნა მაჰმადი, აგრეთვე ბუხარამ და თურქესტანმა.

ხალიფა ალი (656—661). ოსმანი ღალატით მოჰკლეს და გაამეფეს მაჰმადის სიძე ალი. ამ გარემოებამ დიდი შფოთი და მღელვარება დაჰბადა მაჰმადიანთა შორის. ეს მღელვარება დასრულდა ალის მოკვლით (21 იან. 661 წ.), მაგრამ ამის წამებამ განხეთქილება დაჰბადა: მაჰმადიანობა გაიყო სუნნად და შიად. სპარსეთმა ირწმუნა ალი (შიიბა) და კიდევ შემდეგი იმამები ისმაილისნი: ჰასან, ჰუსეინ, ალ-აბდინ, ალ-ბაქირ, ჯაფარ, ისმაილ, ალი-რიზა, მუჰამედ, ალი-ალ-ხადი, ჰასანი, მუჰამედი (მაჰდი).

ხალიფა მუავია ომაიადი (656—679). ამან საქართველოში გამოგზავნა თავისი ბიძაშვილი მურვან I († 685 წ.) და იმპერატორს კოსტანტინეს (668—685) ომი გამოუცხადა.

მურვანმა დაიპყრა დვინი, ნახჩევანი, ვაიაძორი, შემოვიდა ქართლს, კახეთს, დაიჭირა დარუბანდი, დარიალი, მოვიდა სამცხეს, აიღო ქალაქი ოძრხე. ამ უბედურების დროს ყველა პიტიახშები და მთავრები, გარდა არგვეთის მთავრების დავით და კოსტანტინესი, მიიმალნენ ტყე-ღრეში. ესენი კი წინდაწინვე შეუდგნენ ძალღონის შეკრებას მტრის დასახვედრად და დასაცველად საყვარელ მამულისა და ერისა. მურვანის მოწინავე რაზმი მათ შემუსრეს და უკუაქციეს. მურვანს აუწყეს: „შეშის (ჯვრის) მსახურებმა ჩვენები დაამარცხესო“ განძვინდა იგი, დიდის ძლიერებით მიესია მთავრებს, დაამარცხა, შეიპყრო, აწამა, კისერზე ქვები მოაბა და წყალწითელაში გადაყარა, თვითონ კი წავიდა და დაიბანაკა ჯიხანქვინჯს. მისი ლაშქარი ცხენისწყლითგან აფხაზეთამდე გაიჭიმა, ააოხრა ქვეყანა, დაანგრია და დააქცია დაბა-ქალაქნი. მაგრამ ცამ შეიბრალა ქვეყანა: მოვიდა კოკისპირული წვიმა, ასტყდა ჭექა-ქუხილი, მოვარდა აბაშა და ცხენისწყალი, ნიაღვარმა წალეკა მტრის მეომრები (23000), ეტლები და ცხენები (35000). მურვანი აყვედრიდა თავის თავს, რომ შემოვიდა მთიანს და იწრო ქვეყანაში. დანარჩენი ლაშქრით წავიდა პიტიოტას (ქალაქ ბიჭვინტს), ეს ვერ აიღო და მიჰმართა ანაკოფიას. აქედგან დაეცნენ მას მეფენი მირ და არჩილ, დაამარცხეს იგი, მოუკლეს 3000 კაცი და უკუაქციეს. ამავე ხანს მტრის ჯარში გაჩნდა სატლი (მუცელა), რომლითაც გაიჟლიტა 35000 კაცი. დანარჩენი ლაშქრით მურვანმა ჩაელო ზღვის პირი, გურია, აჭარა, პონტო და გზა-გზა დაბა-სოფლების რბევითა და ნგრევით მივიდა ქალკიდონს და შეუერთდა არაბების იმ ჯარს, რომელიც 668 წლითგან ებრძოდა კოსტანტინეპოლს.

კოსტანტინეპოლის წინააღმდეგ მებრძოლ არაბების უფროსად იყვნენ აბუ-სუფიანი და მუავიას შვილი იეზიდი. არაბთა ნავებმა მოიცვეს ქალაქის ნავთრა ზღვები, თვით მურვანს, როგორც ირწმუნება ჩვენი მატიანე, სურდა ქვით ამოეგსო მარმარილოს ზღვა და ჯარი გადაესხა ქალაქის მხარეს, მაგრამ ეოველივე ამაო იყო. ბერ-

ძნებმა დაამარცხეს იკინი, 30,000 კაცი მოუკლეს. მეფე იძულებულ იქმნა, ეთხოვა მშვიდობა და ხარკი მიეცა იმპერატორისთვის. (ბერძნებთან ბრძოლაში, სხვათა შორის, მოიკლა მჭმადის „ანსარი“ (თანაშემწე) აბუ-ეუბი, რომლის გვამი დამარხეს კოსტანტინეპოლში. მის სიფლაჯს დღესაც თაყვანს სცემენ ოსმალნი).

წყალწითელაში ჩაყრილ დავით და კოსტანტინეს გვამნი იპოვეს აგარიანთაგან გადარჩენილებმა, გამოასვენეს და დაკრძალეს იქვე—მოწამეთას, საცა შემდეგში ააშენეს შვენიერი ტაძარი და მასში დაასვენეს დღემდის განუხრწნელი გვამები არგვეთის მთავრების დავითისა და კოსტანტინესი.

ყოველივე, რაც მურვანმა დამართა ქართველებს, იმპერატორს აცნობეს მირმა, არჩილმა და აფხაზეთის ერისთავ ლეონმა. მან მირსა და არჩილს გვირგვინები გამოუგზავნა და აგრეთვე გუჯარი, რომელშიაც სწერდა და ნუგეშსცემდა მეფეებს და ამცნებდა, რომ გა-ვლის 250 წელიწადი და არაბები ისევ დაუძლურდებიანო. ხოლო ერისთავ ლეონს ურჩევდა მეგობრობა არ დაერღვია ქართველ მეფეებთან, „ვინაითგან ქართველებმა, როგორც გვაუწყებს გუჯარი, რომელშიაც აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი მათნი ტომებით და სოფლებით მათით, მრავალი სამსახური გაუწიესო ბერძნებს მირიანითგან და ვახტანგითგან აქამომდეო“.

მირ მეფე დაჰრილიყო ანაკოფიის ბრძოლაში. ეს წყლულება მას დაუძიმდა და, სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო, მოიწვია თვისი ძმა არჩილ და უთხრა: „მე შვიდი ქალი მყავს და არც ერთი ვაჟი, ხოლო შენ უშვილო ხარ. ამ ქალებს შენ გაბარებ. სამეფოს ნახევარი მათ მიეც და მიათხოვე იგინი ერისთავებს ჩემი საუხუცესო წილიც—ეგრისი, სვანეთი, თავკვერი, არგვეთი და გურია—შენთვის მიანდერძებია, ხოლო კლარჯეთი და შუამთიულეთი—ჩემი ქალებისთვის. ვერ მოვიცალე, რომ მამა ჩვენის გვამი ეგრისიდგან მცხეთას წარმესვენა და მამაპაპათა სამარხავში (სვეტი ცხოველის საყდარ-

ში) დამეკრძალა. შენ იგი გადმოასვენე და დაკრძალე ქუთაისის საყდარში".

მირის სიკვდილის შემდეგ (668 წ.) მეფე არჩილმა შეასრულა ძმის ანდერძი. მისი ერთი ქალი მისცა ცოლად კლარჯეთისა და ჯავახეთის მფლობელს, მეორე—თრიალეთის, ტაშირის და აბოცის მთავარს, მესამე—ნერსე ნერსიანს და მეოთხე ადარნასე ადარნასიანს და ორს ამ განუყო ქართლი (ზენასოფელი), მეხუთე მისცა ვარაზმანს და დაუმკვიდრა ქვეყანა კოტმანითგან ქურდისხევამდე *), მეექვსე მისცა ჯუანშერ ჯუანშერიანს, მირიან მეფის ძის რევის ჩამომავალს. მას ერგო ჯავარი, ხერკი, მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი. თვითონ არჩილ მეფე წავიდა იმერეთს და იმყოფებოდა ციხე გოჯს და ქუთაისს. კლისურამდე ქვეყანა ეკუთვნოდა მას და იმას იქით აფხაზეთი, ჯიქეთი და ჩრდილოეთი კავკასია მდ. ვოლგამდე—ერისთავს ლეონს, რომელსაც არჩილმა მიათხოვა თავისი ძმისწული გურანდუხტი და მიუბოძა აგრეთვე მირის გვირგვინი.

შემდეგ ამისა არჩილ მეფემ თავისი დღენი დალია სამეფოს მოვლა-მიმოხილვაში, მოწყობასა და შენებაში. 12 წელიწადი მან დაჰყო იმერეთს. გურიასა და საბერძნეთის საზღვარზე ააშენა ციხეები. მერე მეფე გადმოვიდა ქართლს და და-

*) ქურდვაპრის ხევი სომხეთშია და აქვე იყდა ვარაზმანი, „ნათესავი სპარსთა ერისთავის ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ გორგასლისა: ვახტანგის დედის სანდუხტის მამა იყო ბარზაბოდი. იგი ერისთაობდა რანსა და მოვაკანს და იყდა ბარდავს. აქაური მმართველები (ერისთავები და პატიახშები) იყვნენ: ფ ე რ ო ზ ი (მირიანის სიძე). ფ ე რ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი (ყაენმა წაიყვანა სპარსეთს და მათ მაგიერ ერისთავად დაადგინა ბ ა რ ზ ა ბ ო დ ი. (ამის ძე ვარაზ-ბაკური († 504 წ.). ვ ა რ ზ კ ე ნ (ვასკენი, შუშანიკის ქმარის). დ ა რ ი ე ლ ი. ქასრე ამბარვეზი, ძე ყაენის ურმიზდისა († 590 წ.). ვეზან-ბუზმილი († 591 წ.). მიჰრ, არმაელი, ვარდ I, ვარდან ქველი, ვარდ II, ვარაზმან I, ვარაზ-გრიგოლი (რომელიც მოაქცია ირაკლი კეისარმა 627 წ.). ამის შვილთაგანი იყო ვარაზმან II, სიძე არჩილ მეფისა და ქმარი მირის ასულისა.

დგა ხიდარს, რადგან მცხეთა აეოხრებინა მურვანს და მასში აღარ იდგომილებოდა. მეფესთან მოვიდა ვინმე ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, ნათესავი ბაგრატიონთა. იგი ბერძნებს დაედგინათ ერისთავად სომხეთისა და მურვანის დროს წასულიყო კლარჯეთს, გურამ კურატპალატის შვილებისას. ამ ადარნასემ არჩილს მოსთხოვა საცხოვრებელი ბინა. მისცა შულავერი და არტანი.

ასრე რომ დაეოფა და დაწიწკნა ქართლი, იმერეთი და კლარჯეთი, მეფემ ახლა ხელი მიჰყო კახეთის დაქუცმაცებასაც. იგი შევიდა ამ კურთხეულს ქვეყანაში და გაუნაწილა იგი თავის სასახლის მოხელეებს. აქ ყოფნისასვე შეირთო ცოლად გურამ კურატპალატის ასული დარია, მერე დაჯდა წუქეთს (საინგილოს), ააშენა კასრი (კასრის-საყდარი სოფელ კაკს) და ციხე ლაკვასტის ხევში, ორწყალშუა ააშენა ციხე-ქალაქი ნუხ-პატის. აქაური ერი იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი. იგინი მონათლა. წუქეთის, თუშეთის, ხუნძეთის (ხუნძახის) და ყველა მთიელ წარმართთა ერისთავად იჯდა აბუ-ხვასრო. არჩილმა იგი არ გამოსცვალა.

ამავე დროს ტარონით მიჰვიდნენ შაკიხს (შაქს, ნუხს) ადარნასე ბრმის ძმისწულნი, სამნი ძმანი, რომელთაც დასწვეს თვალნი ბიძას (ადარნასეს). იგინი გამოიქცნენ ხალიფა ვალიდის (705—715) სპასალარის მასლამას შიშით. ეს მასლამა ებრძოდა ბერძნებს კათბადუკიაში. არჩილმა სამივე ძმა დაასახლა შაკიხს და მისცა ქვეყანა შაკიხიდამ გულგულამდე.

არაბთაგე შიშით ვინმე პატიახშნი შეიჭრნენ ტაოს, დაიპყრეს ერთი კლდე—კალმახი, ააშენეს ციხე და გამაგრდნენ. ერთი მათგან მოვიდა არჩილთან. და ამან შეირთო მას აბუხვასროს ქვრივი და მიუბოძა წუქეთი ციხით და კარითურთ.

გავიდა 50 წელიწადი არაბების პირველ შემოსევიდგან. არჩილი მაშინ უკოლო იყო, ახლა კი გურამის ასულისაგან ჰყვანდა შვილები: ჯუანშერ, იოანე, გურანდუხტ, მარიამ, მირანდუატ და მარიამ. არაბებს ერისთავები ხარკს აძლევდნენ

და თავიდგან იშორებდნენ, მაგრამ მათგან გაოხრებული იყო რანი დარუბანდამდე და უფრო დაცულ იყო კახეთი და ჰერეთი უღრან ტყეთა და ჭალაკთა გამო.

ამ 50 წლის განმავლობაში სალიფობდნენ: მურვან I (684—685), აბდ-ალ-მელიქ (685—705), ველიდ (705—715), სულეიმან (715 - 717) და ომარ II (717—720). აბდალმელიქი ჯერ ხარკს აძლევდა იმპერატორს, მერე კომებოდა (693 წ.). მან დაიჭირა სომხეთის სამხრეთი ნაწილი. ყოველ წლივ არაბნი შედიოდნენ სომხეთს და მცირე აზიას, არბევდნენ, სტყვენვიდნენ და სიერიაში ბრუნდებოდნენ. 703 წ. არაბებმა წვა-ბუგვა დაუწყეს სომხეთს. შემდეგ წლებში იგინი უფრო შორს მიდიოდნენ. მათ აიღეს ტიანა, სამოსატა. ველიდის ძმა მასლამა და ხალიფის ძე აბბასი დათარეშობდნენ დარუბანდამდე. მასლამამ, სხვათა შორის, დაიპყრა დარიალი და შიგ ჩაყენა არაბნი, რომელთაც სურსათს უკზავნიდნენ ტფილისითგან.

717 წელს ხალიფა სულეიმანმა ჯარი შემოარტყა კოსტანტინეპოლს და საქართველოში შემოგზავნა ჯიჯუმ-ასიმი. კოსტანტინეპოლს ებრძოდა ზემოხსენებული მასლამა, მაგრამ დამარცხდა და დაბრუნდა (718 წ.).—ბერძნებმა მტერი დამარცხეს არაბების პირველ შემოსევის დროს ახლად მოგონილ „ზღვის ცეცხლით“, რომელსაც ამზადებდნენ ნავთითა და სხვა წამლებით. ეს ცეცხლი ხმელეთზედაც და წყალშიაც ერთნაირად მოქმედებდა, სწვავდა და ჰბუგავდა მტრის გემებს, მეომრებს, სურსათს და სხ. ამ საშინელ ცეცხლის სითხეს შემზადების საიდუმლო დღესაც არ იციან.

ჰიპუმი შემოვიდა ქართლს. მოაოხრა ქვეყანა. გადავიდა კახეთს. არჩილ მეფე კეთილის გულის კაცი იყო. მან კახეთს ააცილა რბევა-ოხრება. თავის ნებით მივიდა მძლავრის წინაშე, და ითხოვა ქვეყნის თავისუფლება და შვება. ჰიპუმმა სიხარულით მიიღო იგი და სთხოვა ერწმუნა მაჰმადი. არჩილმა ეს არ იკისრა. ჰიპუმმა საპყრობილეში ჩასო. ასიმს გამოეცხადა ერთი გარდაბანელი მოღალატე რომელსაც ჯაერი სჭირდა მეფისა. მან დააბეზღა არჩილი და უთხრა ასიმს: „მეფემ იცის

სად დამარხეს ქართლის საგანძურნი". ასიმმა მოაყვანინა მეფე და უბრძანა ეთქო, სად დამარხეს განძეულობა. არჩილმა უარი უთხრა, ასიმმა თავი წარკვეთა (20 მარტს 718 წ.).

იმავ ღამეს მოვიდნენ გოდერძიანნი, ტბელნი და აზნაურნი მამიანნი, მოიპარეს არჩილის გვამი, წამოიღეს ერწოს, დიდის პატივით შემურეს და დამარხეს სოფ. ნოტკორას ეკლესიაში, რომელიც თვითონვე არჩილ მეფეს აეგო. საყდარი შენახულა დღემდის და იწოდება სიონად. მასში დღესაც უჩვენებენ არჩილის საფლავს. დედოფალმა დარიამ მის ქმარის გვამის მოსვენებისა და დამარხვისთვის გოდერძიანთ, ტბელთ და მამეანთ მამულები უბოძა კახეთში. თვით ამ დედოფალის საფლავსაც უჩვენებენ აქვე, მეორე ეკლესიაში. სოფ. ნოტოკრას დღეს ჰქვიან ნოკორნო, ნადოკრა.

არჩილის ცხოვრება აუწერია მეათე საუკ. დამდეგის ისტორიკოსს ლეონტი მროველს და აგრეთვე თვით არჩილის თანამედროვეს ჯუანშერ ჯუანშერიანს. ეს ის ჯუანშერია, რომელსაც არჩილმა მიათხოვა თავის ძმის მირის მეექვსე ქალი და სამთავროდ მისცა არაგვის მარცხენა მხარე—ჯვარ-პატიოსანის გაყოლება ხერკი (საგურამოს ხეობა) და მთელი მთიულეთი, აგრეთვე ქვეყანა ტფილისითგან მანგლისის ხევამდე. ამან შეადგინა მატიანე ვახტანგ გორგასლის მშობლებითგან მოკიდებული თავისს დრომდე. ამის შესახებ თვით მატიანე ამბობს:

„წიგნი ესე „ქართველთა ცხოვრებისა" ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან. და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწეროთ, ვითარცა იხილონ და წინა-მდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა, ღვთივ განბრძობილსა".

არჩილ მეფის ვრცელს „ცხოვრებაში" სწერია: „ჩუენ ძალისაებრ ვიტყოდით ღუაწლთა მიმართ, სიმხნიო განწყობასა მისსა, მძლავრისა მიმართ სიტყვის გებასა და სიკუდილისა მიმართ უში-

შოებასა და თუ ვითარ ახოვნად გვირგვინოსან იქმნა.—დაღაცათუ უოველნი მაქებელნი თვისნი ძლეულად გამოჩინებულ არიან, რამეთუ დირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილარს, თვინიერ მის ჟამისა წმიდისა ეპისკოპოზისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხოვრებაჲ და ღუაწლი ვრცელად აღუწერია, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე ქართველთა ცხოვრებისა, არამედ იგი ჟამთა მომოკვრებითა ვიდრე ჩვენდამდე არა მოწევნილ, არცა გვიხილავს... ამისთვის მცირედისაჲ რაისამე და კნინოდენისა ვიკადრე მეცა უნდომან და გლახაკმან ამან აღწერად მისთვის... მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი იგი ტბელნი და მათთანა სხუანიცა აზნაურნი მამიანნი და იდუმალ აღიღეს გვამი წმ. არჩილისი, წარმოიღეს და შებურნეს დიდითა პატივითა, დაკრძალეს სოფელსა შინა სოფელსა ნატოკრასა, მის მიერვე აღშენებულსა ეკლესიასა. ხოლო ტოლმან ამის ნეტარისამან დარია მიუბოძა სოფლები კახეთს შინა სამკვიდრებელად, რომელთა მოესვენებინათ გვამი წმ. მოწამისა არჩილისი“*).

---

*) „ქართული მწერლობა“, გვ. 253—292

თავი II.

არაბების მძლავრობა.

არჩილის სიკვდილის შემდეგ გამთავრდენ მისი შვილები იოანე და ჯუანშერ. იოანე, მისი დედა და ორნი დანი დაბინავდენ ეგრისში, ხოლო ჯუანშერი და ორი და დარჩენ ქართლკახეთს. მეტად ლამაზი იყო მთავრების უმცროსი და შუშანა. მისი შვენიერების ამბავი მიუვიდა ხაზარების ხაყანს (მეფეს), მოგზავნა მოციქული და ითხოვა ცოლად. ჯუანშერი დაეკითხა ძმას იოანეს, დედას დარიას და დას შუშანას. დედა-ძმამ შემოუთვალეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ჩვენი ყოფა, უმჯობეს არს წავიდეთ საბერძნეთს და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე-ღა შეიგინოს ჩვენი შვილი“. შუშანმაც აგინა ხაზართა მეფე და არ ინდომა მისი ცოლობა.

მათს ქადილს ძალა არ შესწევდა. საქართველო მრავალ, თითქმის დამოუკიდებელ საერისთოებად იყო დაყოფილი, იოანე და ჯუანშერი მხოლოდ სახელით იწოდებოდნენ მთავრებად, თორემ ნამდვილად კი იყვნენ იგეთივე ერისთავები, როგორც მრავალი სხვები. ამას გარდა, ქვეყანა აოხრებულ, დარღვეულ და დაშინებულ იყო არაბთა მძლავრობით. ეს არაბნი დარუბანდის მხრით ებრძოდნენ ხაზარებსაც, კოსტანტინეპოლი ხომ ძლივს ღაფავდა სულს იმავე არაბების შიშით. ქვეყანა ირყეოდა.

ამდროს მძლავრის ხაყანის წყენინება დიდი შეცდომა იყო, მით უმეტეს, რომ ხაყანი მთავრებს ჰპირდებოდა, თუ თხოვნას აღასრულებთ, შუშანას მომათხოვებთ, მე თქვენი ერთგული მო ერე ვიქნები სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაშიო.

ჯუანშერმა თავისი და შუშანა წაიყვანა კახეთს და დადგა ერთს ციხეში. ხაზართა მეფემ დიდი ლაშქარი შემოაპარა კახეთს ლეკეთ-კახეთის გზით. ხაყანის ლაშქარს წინამძღვრობდა მისი სპასალარი ბლუჩანი. ამან ციხე გატეხა, ჯუანშერი

და შუშანა შეიპყრა და ქვეყნის ცარცვა რბევით ტფილისს მოვიდა, აიღო ეს ქალაქი, შემუსრა და დაარბია (731 წ.) წარტყვენა ქართლი და არემარე და დარიალისკენ გასწია.

დარიალის ვიწროებში შუშანმა უთხრა ძმას ჯუანშერს: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკვდილი, ვიდრე შეგინება წარმართისაგან“. თითზე ბეჭედი ჰქონდა და ბეჭედში სამსალა. მოწოვა იგი და მოკვდა.

ბლუჩანმა თავისს მეფეს წარუდგინა მხოლოდ ჯუანშერი. გაუწყრა ბლუჩანს ხაყანი: რატომ შუშანის გვამი მაინც არ მომიტანეო, ყელზე საბელი მოაბმევინა, ორს ცხენოსანს აცემინა და მოკლა.

სწორედ ტფილისის აკლების წელს ხალიფა ჰიშამმა (724—743) კავკასიაში მყოფ არაბთა ლაშქრის მთავარ-სარდლად დანიშნა მურვან II. 735 წ. იგი შემოვიდა კახეთში და შეება ალანებსა, ხაზარებსა და ლეკებს. ყველა ამათ ვერ მოახერხეს შეერთება საბრძოლად წინააღმდეგ საზოგადო მტრისა, თუმცა ამ მიზნით ხაზართა ხაყანმა დიდის დიდებით დააბრუნა საქართველოში ჯუანშერიც. მურვანმა დაამარცხა ალანები=ოსები (735 წ.), ხაზარები (737 წ.) და ლეკები (739 წ.).

მემატიანე ასრე ახასიათებს ამდროის საქართველოს ყოფას: 738 წ. დაბრუნდა ჯუანშერი ხაყანის ტყვეობიდამ. ამიერითგან „იწყო შემცირებად მეფობამან. პირველად: უფლება სარკინოზთა განდიდნა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი-ჟამად ოხრებასა და რბევასა. მეორედ: იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა, შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთისა. უკეთუ ვინმე გამოჩნდეს, რომელიცა ღირს იყო მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა, იქმნას შემცირებულ სარკინოზთაგან. დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა და შექმნეს სახლად სამყოფად თვისად, და მიიღებდენ ხარკსა (მათებრ ხარაჯასა) ქვეყანისაგან. განდიდნა ნათესავი აგარიანთა და განეფინა ქადაგება მაჰმადისა და მრავალი ერი შეუდგა მას“.

„აბოს ცხოვრება“ განაგრძობს: ქართველები ქვეყნის აღმოსავლეთ ყურეში ვართ მიკუნჭულნი და სარკინოზების სისასტიკეს, სივერაგეს, მანქანებას და მძლავრებას განვიცდითო; ქრისტიანედ ნაშობნი „გარდაგულარძნეს რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუილით, რომელნიმე უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით, ხოლო სხვანი, რომელ ვართ მორწმუნენი და მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი, —შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, მაგრამ ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა, ვეულებისამებრ მამულისა სლვისა ჰირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდ შობილსა ძესა ღვთისასა, მტკიცედ უპყრიათ თვისი სარწმუნოება. ქართლი იწოდება დედად წმიდათა და მოწამეთაო“.

ამის შემდეგ მემატიანე ამბობს: „გამოვიდეს სპარსნი, პონტომდე მოიწინნეს და ყოველი კათბადუკია დაიპყრეს ღვთივ“. კიდევ: „გარდახდა ამას შინა წელიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს, Cერეთს, სახელით ხვასრო, ოდეს ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოხრებული ხაზართაგან“. შემდეგ: „მათვე ჟამთა (აშოტის მეფობაში) შესრულიყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა (დაბრუნდა) გაწბილებული“.

მემატიანეს აურევია სხვა და სხვა დროს ამბები: ხსენებული მასლამა, ძმა ხალიფას ვალიდისა (705—715) ჯერ ლაშქრობდა კავკასიაში დარუბანდამდე და მერე 717—718 წელს ებრძოდა კოსტანტინეპოლს, საიდგანაც სირიას დაბრუნდა გაწბილებული (თითქმის 100000 მეომარი დაეღუპა). აშოტის მეფობამდე თუ ეცოცხლა მას, 150 წლისა მაინც იქნებოდა. მემატიანემ, ალბად, მასლამად დასახა აბუმუსლიმი, რომელიც თანამედროვე იყო ხალიფა აბდალა-აბუ-ჯაფარ—მანსურის (754—775) და რომელმაც ამოწყვიტა ომაიადები და ხალი-

ფობა დაუმკვიდრა აბასიდებს *). მის დროიდგან, მართლაც, სპარსებმა იწყეს გაძლიერება და ამ ხნიდგან აღარც ჩანან მთავარნი იოანე, ჯუანშერ და მათნი ჩამომავალნი.

მასსური განათლებული ხალიფა იყო. 762 წ. ააშენა (ტიგრის ნაპირზე, სპარსეთის სატახტო ქალაქ მადაინის (კტეზიფონის) ახლოს) დიდებული ქალაქი ბაღდადი, რომელიც მალე შეიქმნა მსოფლიო ვაჭრობის შუაგულად, „კაცი საცა დაიბადება, მისი ბაღდადი ეჭვარისო“, ამბობს ქართული ანდაზა. მართლაც და ეს ბაღდადი ერთი-რამ დიდებული და ეოვლისფრით შემკული ქალაქი იყო. მასსური მფარველი იყო მეცნიერებისა და მეცნიერებისა. მის ბრძანებით არაბულ ენაზე ითარგმნა ბევრი სპარსული, ბერძნული და ინდიური წიგნები. მის შემდეგ გამეფდა მისი შვილი მაჰდი (775—795) და მერმე ამის შვილი მუსა (+ 786 წ. 15 სექდ.). ამ ხალიფებს იხსენიებს აბოს ცხოვრება და ამ დროს კი ქართლში იყვნენ გურამ ბაგრატიონის ჩამომავალი მთავრები. მათი სია:

ა. ვახუშტით:

1. გურამ I კურატპალატი (+ 600 წ.)
2. სტეფანოს (+ 619 წ.)—დემეტრე
3. გურამ II (+ 678 წ.)—დარია (არჩილ II-ის მეუღლე)
4. ვარაზ-ბაკურ (+ 705)
5. ნერსე (+ 742)
6. ადარნასე (+ 779)—ფილიპე, სტეფანოს

*) აბუ-მუსლიმმა მოკლაო 600000 კაცი. მის სახლში ყოველდღე აცხობდნენო 3000 პურს, იკლოდაო 100 ცხვარი. მის სამზარეულოში მუშაობდაო 1000 მოსამსახურე, სამზარეულო ნივთების გადასატან-გადმოსატანად უნდებოდა 1200 პირუტყვი.

7. აშოტ დიდი (+ 786)—გურგენ ერისთავი. ლატავრა

ბ. შატბერდის ქრონიკით:

1. გურამ I კურატპალატი
2. სტეფანოს
3. გურამ II კურატპალატი
   გურამ III ერმაჲ
   არშუშა კურატპალატი
4. ვარაზ-ბაკურ პატრიკიოზი
   |
5. ნერსე—№ (ქალი *)
   სტეფანოს გურგენისძე
   |
6. ადარნასე—ფილიპე—სტეფანოს
   გურამ IV
   ბაკურიანი ძე ბაღდადისი
   სტეფანოს ადარნასესძე
7. აშოტ დიდი ადარნასესძე,
   გურამ V.

აბოს ცხოვრება განაგრძობს: ამირა მუმლ აბდილამ (=აბუ-ჯაფარ მანსურმა) ააშენა ბაღდადი (762 წ.). მის წინაშე დააბეზღეს ქართლის მთავარი ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა და ერისთავისა. მან დაიბარა და საპყრობილეში შეაგდო (772 წ.). მესამე წელიწადს მანსური გარდაიცვალა და გამეფდა მისი ძე მაჰდი (775—785). ამან გაანთავისუფლა ნერსე, ისევ ერისთაობა მისცა და ქართლს გამოისტუმრა. გავიდა რამდენიმე ხანი, მაჰდი ისევ გაუწყრა ნერსესს და ქართლის ერისთავად დანიშნა იმავე ნერსეს დისწული სტეფანოზ გურგენ ერისთავის ძე. ნერსე კი არაბთა შიშით 300-ოდე

*) ცოლად ჰყვანდა აშოტის ძმას გურგენ ერისთავს, რომლის ძე სტეფანოზი, აბოს ცხოვრებით, გამთავრდა ნერსეს დროსვე.

კაცით გაიქცა ხაზარეთს და იქიდგან გადავიდა აფხაზეთს, სა-ცა წინათვე გაეგზავნა თვისი ცოლშვილი.

ნერსეს თანამგზავრი იყო აგრეთვე არაბი აბო, რომელიც მას გამოჰყოლოდა ბაღდადიდამ. ამან კარგად იცოდა სულნელების და საცხებელთა შემზადება, იცოდა არაბული მწიგნობრობა და მერე ქართულიც შეისწავლა და ქრისტიანობაც შეიყვარა. ხაზარეთში რომ მივიდნენ ნერსე, აბო და სხ. ქართველები, იქ ნახეს მრავალი ქალაქები; თუმცა იქაური ერი ისევ ველური, მესისხლე და მხეცის ბუნებისა იყო, მაინც სწამდა ერთი ღმერთი—შემოქმედი. იქაურ ქალაქებში მღვდლებიც იპოებოდნენ. აბომ მათგან ნათელ-იღო. აფხაზეთში რომ გადავიდნენ, იქ დიდის სიხარულით მიიღეს იგინი. მთელი აფხაზეთი ქრისტეს აღიარებდა, საქრისტიანო სარწმუნოება აქ ბრწყინავდა. სამი წელიწადი აბომ გაატარა აფხაზეთში, მერე ტფილისს დაბრუნდა. აქ მაშინ ბევრი არაბები იყვნენ. ესენი აბოს წინათაც უწყრებოდნენ: ქრისტეს სარწმუნოება შეიყვარაო. ახლა კი, ქრისტიანედ რომ დაინახეს, ცხადად გადაეკიდნენ და დააბეზღეს ტფილისის მმართველის წინაშე. ეს მმართველი (ამირა) ახლად მოსულიყო ქალაქს. იგი გამოეგზავნა გარდაცვლილ ხალიფას მაჰდის ძეს ხალიფა აბუ-მუჰამმედ-მუსა-ალ-ხადის (785—786). ახალმა ამირამ მიიწვია აბო და ამხილა ქრისტიანობის მიღებისთვის. აბომ უფრო მტკიცე სარწმუნოება გამოიჩინა. ამიტომ ამირის ბრძანებით ხელფეხს რკინის ბორკილი შეუყარეს და საპყრობილეში შეაგდეს (785 წ., დეკ. 27, სამშაბ.). შემდეგ კვლავ დაიბარა ამირამ თავის სამსაჯულო კარზე. აბომ დაჰგმო მაჰმადიანობა. გაიყვანეს გარე და თავი მოსჭრეს. მერე ურემზე დაუდეს მისი გვამი, მიიტანეს ავლაბრის ხიდთან, ადგილსა, საცა იყო სასაფლაო და რომელსა ეწოდებოდა საღოდებელი, ნავთი გადაასხეს და დასწვეს.

აბო ეწამაო, დაასკვნის მემატიანე, კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთაობასა გურგენის ძის სტეფანოზისსა, კეის-

სრობასა ლეონის ძის კოსტანტინესა (780—792) და ხალიფობასა მაჰდის ძის მოსე ამირა მუმლისა, თვესა იანვარსა ექვსსა, დღესა პარასკევსს.

მემატიანის ჩვენება სრული სიმართლეა: ა) ხალიფა მუსა (=მოსე) მეფობდა ერთს წელს (785 3 აგვ.—786 15 სექდ.); ბ) სამშაბათი 27 დეკემბერს მოდიოდა სწორედ 785 წ., ხოლო პარასკევი 6 იანვარს ხვდებოდა 786 წელს.

„აბოს ცხოვრება“ დაუწერია მის თანამედროვეს იოანე საბანისძეს ქართლის კათალიკოზის მამფლის სამოელის ლოცვა-კურთხევით და თხოვნით. „ჩვენ თვით ვუწყითო, სწერს კათალიკოზი იოანე საბანიძეს, წადიერებაჲ შენი ღვთისმსახურებისთვის და ღვთივ მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღრმთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ შენი, კეთილთა საქმეთა მოღვაწებაჲ შენი. შენ თვით უწყი... მოწამისა აბოჲსი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტვილა. მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობაჲ. ამისთვისცა მოვაელინე წიგნი ესე ჩემი კელითა ხსართან მღვდელისა ჩემისათა. აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩუენი და ჯუარისა დაწერაჲ კელითა ჩემითა და კელყავ გამოთქუმად სრულად ჰეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი, და აღწერე მარტვილობაჲ მოწამისა ჰაბოჲსი, და აღწერილი ჩუენ მოგვიძღუანე, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის“. გამოჩენილი საბანისძე ასრულებს მონდობილობას, შესანიშნავის ხელოვნებით და მორჩმით ასწერს ჰაბოს ცხოვრებას ოთხ თავად:—ა. ღუთის მსახურთა და მარტვილთ მოყუარეთა კრებულისათვის და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამის კსენებაჲ. ბ. ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ ნეტარის ჰაბოჲსი. გ. მარტვილობაჲ წმ. ჰაბოჲსი და დ. ქებაჲ სანატრელისა წმ. ჰაბოჲსი. ეს შესანიშნავი, შინაარსითა და ენის მხრივ, თხზულება შეტანილია ტყავზე ნაწერ IX—X საუკ. წიგნებში.

საქართველოს საყდრის თავისუფლება (იხ. ზემო აღმოსავლეთის ქრისტიანობა და საქართველოს ეკლესია). რად-

გან ანტიოქია, საცა ეკურთხებოდნენო საქართველოს კათალიკოზები, დაიპირეს არაბებმა და ანტიოქიასა და საქართველოს შორის მძვინვარებდნენ იგივე არაბნი, მცხეთასა და ანტიოქიას შორის მიმოსვლა გაძნელდა, საშიში შეიქმნა. ამისგამო, როგორც ირწმუნება ჩვენი მატიანე, ქართველებმა ამოირჩიეს ეპისკოპოსი იოანე, წარგზავნეს ანტიოქიას და სთხოვეს იქაურ პატრიარქს თეოფილაქტეს (744—751 წ.): იოანე კათალიკოზად გვიკურთხეო, ხოლო შემდეგი დროისთვის ნება დაგვრთე, რომ კათალიკოზი საქართველოშივე იკურთხებოდესო. თეოფილაქტემ თხოვნა შეუსრულათ და ამასთანავე მოითხოვაო, რომ საპატრიარქო ტახტის კუთვნილი შემოსავალი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ეგზავნათ ანტიოქიის პატრიარქისთვის. და ამასთანავე კათალიკოზს ყოველთვის მოეხსენებინა იგი წირვა-ლოცვაში. მატიანის სიტყვით, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან დაკანონა მეექვსე მსოფლიო კრებამ (680 წ.).

ამ კრებას საქართველოდგან დაესწრნენ ფაზიდის *) ეპისკოპოზ თეოდორე და პეტრას **) ეპისკოპოსი იოანე.

კრებამ დაადგინაო: ა) წმიდა მცხეთა იყოს სწორ პატივითა ვითარცა სხვა წმ. სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი-საპატრიარქონი; ბ) იყოს ქართლისა კათალიკოზი სწორი პატრიარქთა; გ) აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარ-ეპისკოპოსთა, მიტრაპოლიტთა, ეპისკოპოსთა და სამწყსოსა თვისსა: ქართლსა, გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წამოვლით მთისა მის ადგილისათა სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდე სრულად ოსეთსა და ყო-

*) ფაზიდი=ფაზიანი იგივე კოლხეთია (იმერეთი).

**) პეტრა-ძლიერი ციხე-ქალაქი ლაზიკისა (იხ. კიპერტის Atlas Antiquus) მდებარებდა ზღვის პირად, ბათომსა და ფოთს შორის, და ადგილობრივ ერქვა ქაჯთა-ქალაქი. „პეტრა“ თარგმანია ქართულის ქაჯი (=სვ. კოჯ, კაჟი)—კლდე.

ველსა ზემო-ქართლსა და დ) მიგვიცემია ხელმწიფება შეკვრისა და განხსნისა, მირონის შემზადებისა და კურთხევისა".

ესრეთი განკარგულება მეექვსე მსოფლიო კრების განაჩენში არ არის. მაგრამ შეცდომა არ იქნება ვთქვათ, რომ ხსენებული კრება სიტყვიერად დაადასტურებდა საქართველოს კათალიკოზის, იუსტინიანესაგანვე დადგენილის, დამოუკიდებლობას. და ამ დამოუკიდებლობის არსებობას ხმამაღლა ღაღადებს სვიმონ კათალიკოზის (826—846) ტყავზედ დაწერილი წიგნი *)—„ჟამის წირვა" (№ 86 საეკლ. მუზ.). ამ წიგნში არსად ხსენება არ არის ანტიოქიის პატრიარქისა.

(გვ. 96): ღუთისა მიერ ზეგარდამო შეწყალებისა ღირსისა მამისა ჩვენისა ქრისტეს მიერ სვიმონ ქართლისა კათალიკოზისა წარმართებისათვის საქმეთა ხელთა მათთისა ვილოცოთ... (ამით იწყება კვერექსი).

(გვ. 98): გამორჩევითა და ხელთა დასხმითა ღირსისა მამისა ჩვენისა ქრისტეს მიერ სვიმონ ქართლისა კათალიკოზისათა, წამებითა და თანდგომითა (თუ ეპისკოპოსი იყოს—სახელსდვს და თუ არა...) ამათ მღვდელთათა იკურთხევის ძმად ესე ჩვენი...

(გვ. 178): კურთხევად ეპისკოპოსობისად და კათალიკოზობისად (მოყვანილია გრძელი ლოცვა და მერე (გვ. 152): „ესე ლოცვად უკეთუ ეპისკოპოსი იკურთხებოდის, მთავარეპისკოპოსმან წართქვას და უკეთუ კათალიკოზი იკურთხებოდის—მანგლელმან წართქვას.

საეურადღებოა თვით ეპისკოპოსად და მღვდლად დასადგენ კაცის შესახები ცნობები: იგივე „წამებულმცა არს ყოელისა ერისაგან, ვითარცა წინაჲსწარ თქუმულ არს ერთისა ცოლისა ქმარ, წმიდა, უბიწო და შეუსმინელ, ღვინოსა სნეულისა გამოცდილარს, ობოლთა და ქვრივთა მოღვაწე... ეკლესიათათვის მსახურ მეუდრო.— (გვ. 122).

---

*) (167 გვ.): „მე ქრისტეს მიერ სვიმონ ქართლისა კათალიკოზმან დავწერენ წმიდანი ესე ჟამის-წირვანი სამღვდელმოძღვროდ საწირავად.

ჩამოსალოცავში მოხსენებულნია (გვ. 57) ქართლის კათალიკოზი, წმ. ნინო, აბო, მოციქულები, მსოფლიო კრებები, მართლმადიდებელი კაისკოპოსები, იერუსალიმის პატრიარქები, მამანი მეუდაბნოენი და მათ შორის თეოკნოსტი, მართლმადიდებელი მეფეები (იუსტინიანე, ელენე და სხ.) და ბოლოს ისევ სვიმონ ქართლის კათალიკოზი.

კათალიკოზისა და ეპისკოპოზის კურთხევაც სწარმოებს არა ანტიოქიაში, არამედ მცხეთაში და რადგან კათალიკოზის კურთხევაში უპირატესობა ჯერ ისევ ჰქონდა მანგლელს (მანგლისის ეპისკოპოსს), ამიტომ უტყუარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წესი კათალიკოზის კურთხევისა—საქართველოში და არა მის გარეშე—არსებულა იმპერატორის ირაკლის შემოსევის (626—629 წ.) უწინარეს ჟამსაც: მანგლისში იყო ფიცრები, რომელზედაც ქრისტე ჯვარსაცვეს და ეს წმ. ფიცრები მანგლელს ანიჭებდნენ უპირატესობას ქართველ ეპისკოპოსთა შორის. ირაკლიმ ხსენებული ფიცრები წაიღო და მის შემდეგ მანგლელსაც ჩამოეცალა უპირატესობა.

არის კიდევ სხვა უტყუარი ძეგლი, რომელშიაც მოთხრობილია წესი შესახებ არსენის (მეცხრე საუკ.) ამორჩევისა და კურთხევისა საქართველოს კათალიკოსად. მასში აღწერილია არჩევანის მიმდინარეობა, სახელები საკათალიკოზო კათედრის კანდიდატებისა, ამომრჩევლებად არიან ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები. ამათ მიერ ამორჩეული ახალი კათალიკოზი არსენი ჯდება საპატრიარქო ტახტზე სხვა ვისიმე დაუკითხავად და დაუმტკიცებლად.

რაიც შეეხება მირონის შემზადებასა და კურთხევას მცხეთაში, წერილობითი გადმოცემა ამას მიაწერს მეფე არჩილისა და კათალიკოზ მიქელის დროს. ამათგან არჩილ II გარდაიცვალა 718 წელს. თუმცა არც ამ არჩილის დროს და არც არჩილ I-ისა არ იყო „ჰყონდიდელი“, „ათაბაგი“ (ამათ იხსენიებს მირონის შემზადების წესი), მაგრამ ამ შეუფერებელს, იმ ძველი დროისთვის, სახელებს ჩაუმატებდნენ შემდეგში. მირო-

ნის კურთხევა-შემზადების ერთი უმთავრესი პირთაგანი არის ქადაგი; სვიმონ კათალიკოზის „ჟამის წირვაში“ ქადაგი ასრულებს პროტოდიაკონის საქმეს (ხმამაღლა ჩამოიღოცება, იხსენიებს ქართლის კათალიკოზს, მის მიერ ნაკურთხ ეპისკოპოსს და სხ.).

თავიდგანვე მსოფლიოში დაწესდა ხუთი საპატრიარქო (იერუსალიმისა, კოსტანტინეპოლისა, რომისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა) და ამათ შორის განაწილდა ყოველი ქვეყანა. აღმოსავლეთის მამადმთავრობა წილად ხვდა ანტიოქიას, როგორც აღმოსავლეთის ქალაქს. მსოფლიოს ამგვარად განაწილებამ ხუთ პატრიარქთა შორის მათ აქამომდის შეუნარჩუნა იგივ ძველისძველანდელი ტიტულები, თუმცა იმავე ძველ დროს გამოიყენენ საყდრები საქართველოსი, სომხეთისა, კვიპრისა და სხ. ჯერ ისევ ეხლაც კოსტანტინეპოლის პატრიარქი იწოდება „მსოფლიოს“ პატრიარქად, ხოლო ანტიოქიის პატრიარქი თავის ტიტულიდამ არა ჰშლის „იერიას“ და დღესაც, თუმცა ასის წლის წინად მოგვესპო კათალიკოზობა, იწოდება ასრე: „პატრიარქი ღვთის ქალაქის ანტიოქიისა, სირიისა, ივერიისა, კილიკიისა, შუამდინარისა და უოვლისა აღმოსავლეთისა“.

ამ თავდაპირვანდელ ტრადიციაზეა დამყარებული საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქისაგან, თორემ ნამდვილად კი საქართველოს პატრიარქი ანტიოქიისას იმდენადვე „ემორჩილებოდა“ (მეცხრე საუკუნითგან მაინც), რამდენადაც თვით პატრიარქი ანტიოქიისა ემორჩილებოდა დანარჩენ პატრიარქებს და ყველანი კი—ერთმანეთსა და მსოფლიო საყდრის დამაარსებელს—ქრისტეს.

საქართველოს საყდრის დამოუკიდებლობას ძველადგანვე საფუძვლად ედება აგრეთვე შემდეგი გარემოებაც:

717 წლითგან მთელს იმპერიაში დაიწყო ხატთა ბრძოლა. მოთავე იყო თვით იმპ. ლეონ ისავრო (717—741). ხატთა ბრძოლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არაბნი და ებრაელნი დასცინოდნენ ქრისტიანებს: თქვენ ეამბორებით შეშას

(ჯვარს), ნახატებს (ხატებს), თქვენ მრავალ ღმერთის თაყვანისმცემელნი ხართო. ამით ქრისტიანებში შემოჰქონდათ შფოთი და ღელვა. ლეონ ისავრომ მოინდომა ეკლესიებიდგან ხატების გალაგება. საქმე მეტად გამწვავდა. ასტყდა საშინელი ბრძოლა ხატების თაყვანისმცემელთა და ხატთმბრძოლთა შორის. დაიღვარა მრავალი სისხლი, წამებულ იქმნა არა ერთი ქრისტიანი. სხვათა შორის, ხატების თაყვანისცემის მომხრე პატრიარხი კოსტანტინეც აწამეს. ეს ცეცხლი ურწმუნოებისა ვერ გადმოვიდა მხოლოდ საქართველოში და გუთიაში (ყირიმს). ამ გუთებმა ქერსოვნეთის (ხერსონესის) ეპისკოპოსად აირჩიეს ღირსი იოანე და, რადგან ყველგან ხატთბრძოლა იყო, გამოგზავნეს საქართველოში. კათალიკოზ იოვანემ იგი აკურთხა ეპისკოპოსად (758 წ.) და გაისტუმრა. სამშობლოში დაბრუნებულმა იოანე ეპისკოპოსმა წმიდად დაიცვა კათოლიკე ეკლესიის დოღმატნი და ჰეშმარიტი სარწმუნოება.

საქართველოს კათალიკოზი ანტიოქიის პატრიარქის ნება-დაურთველად ვერ აკურთხებდა უცხო ეპარქიის ღვდელმთავარს, თუ მართლა ამ ანტიოქიას ემორჩილებოდა ივერიის საყდარი!

ქართული ფულები. დარჩენილა ქართული ფულები ასომთავრულ წარწერებით: 1) ვნგ; გნ. 2) სნს, სტფანოს, სტეფანოს და 3) ჯო. ყველა ფულები ვერცხლისაა და მათზე გამოსახულია ცეცხლისმსახურთა ნიშანი და, ამას გარდა, ზოგიერთზე ჯვარიც. პირველ ორ ფულს აკუთვნებენ ვახტანგს (=ვნგ), გურგენს (გორგასანს), მეორეებს—სტეფანოზ II-ეს და მესამეს—ჯუანშერს. ჩვენში საფასე ძველადგანვე იწოდებოდა ფოლად=ფულად და ფლურად (ფოლი=ფული, ფლური). დიოკლეტიანე კეისრის († 303 წ.) მოჭრილ ფულს ერქვა follis ანუ follerales. ერთ-და-იმავე ფესვის სიტყვები უნდა იყოს ბერძ. follis, follerales, ქართ. ფოლი (ფული), ფლური, თათრ. ფულ, სომხ. ფუღ.

საქართველოს ერის შინაურ წეს-წყობილების შესახებ,

სამწუხაროდ, ჩვენი მატიანეები არას იტყობინებიან. წარმოსადგენი კია, რომ ქართველ ერის ცხოვრება მოეწყობოდა თანახმად ქრისტიანულ კანონებისა, რომელსაც ადგენდენ მსოფლიო კრებები და ითვისებდენ ყველა საქრისტიანო ეროვნებანი. მეექვსე მსოფლიო კრებამ (680 წ.), სხვათა შორის, დაადგინა ეპისკოპოსები უცოლონი უნდა იყვნენო. ეს დადგენილება ჩვენში მალე განხორციელდა, მანამდე კი თვით კათალიკოსნიც ცოლოსანნი იყვნენ (სულ ცხრა კათალიკოსი იყო ცოლოსანი). საქართველოს ცხოვრებაზე გავლენა ექნებოდა აგრეთვე იუსტინიანეს კანონებს, აგრეთვე ხოსრო ნუშირვანისას, არაბებისას. ღირსია ყურადღებისა, რომ რომაელებმა ქონების განაწილებაში პირშეობის უფლება არ იცოდნენ, ჩვენში კი ეს უფლება გამკვიდრებული იყო. მირ-მეფე თავისს ძმას არჩილს და თავისს ქალებს საქართველოს შუაზე უყოფს, ხოლო ამასთანავე ძმას საუხუცესოსაც აძლევს: „სუხუცესოდ რომელ მაქუნდა, მომიცემია შენდა, და გაქუნდეს სუხუცესოდ ეგრისი, სავანეთი, თავკვერი, არგვეთი და გურია“. საუხუცესო მას თვითონაც ჰქონებია და ახლა ძმისთვის დაულოცნია. ქალს საქართველოში უძრავ ქონების უფლება ჰქონია, აგრეთვე თავისუფლება თავისთვის ქმრის ამორჩევისა. (შუშანას დაეკითხნენ და არ მისთხოვდა ხაყანს). ცოლის შესართავად საჭირო იყო დედის თანხმობა, კურთხევა და დალოცვა. ჯუანშერ არჩილისძემ შეირთო ადარნასეს ასული ლატავრა. დედა მისმა რომ იხილა რძალი, „შეუყვარდა, აკურთხა და დალოცა“.

აბხაზთა რწმენიდან.

„აბოს ცხოვრებაში„ თანამედროვე იოვანე საბანისძე ამბობს: „ქრისტიანობა აფხაზეთში ბრწყინავდაო“. ამით ავქსონს, ალბად, იმის თქმა უნდოდა, რომ აბოს დროს აფხაზეთიც საქრისტიანო ქვეყნად ითვლებოდაო, მასში ბევრი კარგი საყდრები იყოო. ნამდვილად კი მაშინაც ადგილობრივ ერს უნდა ჰყოლოდა ის ღმერთები, რომლებსაც იქ დღესაც თაყ-

ვანს სცემენ. უდიდეს ღმერთად აფხაზებს მიაჩნიათ ანცაუ ანუ ახდაუ, რომელიც უდრის ქართულს ღუთას ანუ ხთაებას. არიან აგრეთვე მრავალი უმცროსი ღმერთები: მეურნეობისა, მწყეშსობისა, დედამიწისა, ხელოვნებისა, ნადირთა, საქონლისა, შჭედლობისა, მეხისტეხისა, წყლისა, საიქიოსი, ქართა და სხ. უმეტესი ამათგან დედათსქესისაა. კაცმა ამათ არ უნდა დააკლოს ლოცვა-ვედრება, შესაწირავი; თუ დააკლო, ისჯება. მათ რისხვისაგან ხსნა შეიძლება მრავალნაირ ლოცვებით, საღმრთოს შეწირვით. აქაური ღმერთები:

ადაბნა, რომელსაც ევედრებიან როგორც დედამიწის მპიროვნებელ ღმერთს (აფხაზურ ადაბნა-ს უდრის სვანური დაბ—ყანა, ქართული დაბა—სოფელი).

აცაუგა ცისარტყელას ღმერთი.

აჟაჰარა—ნეფე-პატარძლის მწყალობელი ღმერთი.

ჟაბრან—საქონელთა მფარველი.

აითარ—შინაურ პირუტყვთა მფარველი.

ალიშკანტარ—ძაღლთა ქალ-ღმერთი.

აქვეშაა—ღმერთი ტყეთა და ნადირთა.

ჯაჯა—მფარველი ნათესებისა, რომელსაც წელიწადში ორჯელ ევედრებიან—გაზაფხულის დასაწყისს და შემოდგომაზე სიმინდის მოტეხის შემდეგ. იგი თავდაპირველად, ალბად, მიაჩნდათ მზრდელად ჯეჯილისა (სვ. ჯეჯი).

ანაფანგი—დედა ნათესებისა, რომელსაც ევედრებიან მკისა და ლეწვის დროს.

აფჰი—ღმერთი ქუხილისა, ელვისა და საატმოსფერო მოვლენათა. მას ევედრებიან საქონლის იალაღზე გარეკვისა და ჩამორეკვის დროს და სხ. შემთხვევებშიაც. იგი ერთ უდიდეს ღმერთად ითვლება. მის მიერ მოვლენილ მეხისაგან მოკლულ კაცს მიწაში არ მარხვენ, არამედ კუბოში სდებენ და მაღლა ხეზე ამაგრებენ იმ დრომდის, ვიდრე მკვდრისაგან დარჩება მხოლოდ ძვლები. მერე ჩამოაქვთ და მარხვენ. ესრეთი ჩვეულება შეუნიშნავთ ძველი დროის მწერლებსაც. ვახუშტი ამ-

ბობს: „აფხაზნი ქრისტიანები არიან, მაგრამ თავისი სარწმუნოებისა არა უწყიანრა და უფრო წარმართნი არიან, ვიდრე ქრისტიანები. თავიანთ მკვდრებს უკეთესს საცმელს აცმევენ, იარაღს ასხმენ, კუბოში ასვენებენ და ხეზე სდებენ". აპოლონ როდოსელი (250—200 ქრ. წ.) ამბობს, რომ კოლხეთში მკვდრებს ტირიფზე ჰკიდებენო ჯაჭვებით. ახლაც კი კოლხეთში დანაშაულობად მიაჩნიათო მკვდრების გვამების დაწვა ანუ დამარხვა. ხარის გამოუქნელ ტყავებში ახვევენ მკვდარს და სოფელს გარე ხეზე ჰკიდებენო. მაგრამ როგორც ჰაერს, ისე მიწასაც ეძლევა თავისი წილიო, ვინაითგან დედაკაცების გვამებს მიწაში მარხვენო". ამასვე იმეორებს ნიმფადორ სირაკუზელი (IV ს. ქრ. წ.).

შაშა—ღმერთი მჭედლობისა, რომელიც აგრეთვე ერთ უდიდეს ღმერთთაგანია და მეტად პატივცემული.

ამრა—მზე და ამზა—მთვარე, რომელთაგან პირველი არის „თვალი ცისა", გამათბობელი და ამღორძინებელი ქვეყნისა, ხოლო მეორე „დარაჯი ღამისა", დამმარცხებელი წყვდიადისა. მზის ლოცვა: „მზეო, ნუ მოგვაკლებ წყალობას, სითბოს, სინათლეს, სიკეთესა და წარმატებას ყოველისფერში. მიანიჭე ჩვენს ქალებს სილამაზე, სიმშვენიერე, მოხდენილობა, რომ იგინიც შენსავით ანათებდენ, აბრწყინვებდენ და ათბობდენ ვაშკაცებს". მთვარეს სთხოვენ, რომ ჰაბუკთ მიჰმადლოს თვისი ბრწყინვალება.

თავი III.

აშოტ კურატპალატი (+826 წ.).

დიდი შემთხვევები მოხდა 786 და 787 წლებში.

786 წელს: გახალიფდა ჰარუნ-არ-რაშიდი; გამეფდა აშოტ კურატპალატი; საქართველოს განუდგა აფხაზეთის მთავარი ლეონ II; ამ წლის დასაწყისშივე, როგორც იყო ნათქვამი, ეწამა აბო ტფილელი.

787 წელს: შესდგა მეშვიდე მსოფლიო კრება; საქართველოს განუდგა კახეთის მთავარი გრიგოლ; გარდაიცვალა იმპერატ. კოსტანტინე ლეონ IV-ის ხაზარის შვილი და გამეფდა ირინე.

აშოტის მეფობის დასაწყისის ამბავი მემატიანეს არ დაუცავს, მხოლოდ იგი შენიშნავს, რომ მასლამა (აბუ-მუსლიმი) საბერძნეთს შეიჭრა, დამარცხდა და მოუძლურებული და გაწბილებული დაბრუნდაო. ეს მუსლიმი, როგორც საშიშარი კაცი, მოჰკლა ხალიფა მანსურმა (755 წ.).

აბუ-მუსლიმი „დერბენდ-ნამეს“ ჩვენებით 733 წ. მოღვაწეობდა შუაგულს დაღისტანში. მურვან II (ვირად წოდებული), რომ გახალიფდა (744 წ.), მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. უპირველესი მათგანი იყო აბუ-მუსლიმი, რომელმაც აღმოსავლეთში ააფრიალა დროშა აბბასიდებისა წინააღმდეგ ომაიადებისა, რომელნიც მაჰმადის შემდეგ მეფობდნენ არაბეთში. ომაიადების მომხრე იყო ნასრი, ხორასნის მმართველი. აბუ-მუსლიმმა დაამარცხა იგი და მეფე-ხალიფად გამოაცხადა (749 წ.) აბდალახი-აბულ-აბასი *). 750 წ. მოჰკლეს უკანასკნელი ომაიადი ხალიფა მურვან-ყრუ (ვირი). მალე თვით აბასიდებშიაც უთანხმოება მოხდა. მაჰდის ძე მუსა (=მოსე) მოჰკლეს (786 წ.). გამეფდა ჰარუნ-არ-რაშიდი, რომელმაც დევნა დაუწყო სპარსეთის გამოჩენილ გვარს—ბარმაკიდებს და გაჟლიტა ყველა ბარმაკიდები (ხალიდი, იახია, ჯაფარი და სხ.).

---

*) აბასი იყო წინასწარმეტ. მაჰმადის ბიძა. მისგან იშვა აბდალახი, ამისგან ალი, ალისგან მუჰამედი, ამისგან აბდალახი-აბულ-აბასი (749—754). მის შემდეგ გამეფდა მისი ძმა აბდალახ-აბუ-ჯაფარ—მანსური (754—775) და მერე ძე მისი მაჰდი (775—785).

ჰარუნი ვაშკაცი მეფე იყო. 90,000 მეომრით მიუხდა კონსტანტინეპოლს. დედოფალმა ირინემ მისცა მას 70,000 ოქრო და დროებით შეირიგა. მაგრამ 802 წლიდამ 806 წლამდე ისევ იომეს თავგანწირულად. ჰარუნი 135,000 მეომრით შეიპრა კათბადუკიასა და პონტოს, ხელში იგდო მრავალი ტყვე და დავლა. მაგრამ იმის გაგრძელება მას აღარ დასცალდა, რადგან ასტყდა ბრძოლა მის შვილთა შორის.

ჰარუნმა ხალიფად გამოაცხადა თავისი მეორე შვილი ემინი, პირველ შვილს მამუნს, რომლის დედა სპარსელი ქალი იყო, უანდერძა სახალიფოს აღმოსავლეთი მხარე (ჰამადანიდგან ინდოეთ-სირდარიამდე) და მესამე კასიმ-მუტამინს უბოძა ჩრდილოეთი სირია, შუამდინარე და ციხეები, მდებარენი მცირეაზიასა და სომხეთის მიჯნებზე. ამ განკარგულებამ ძმები გადაჯაკიდა და დაღუპა თვით ჰარუნიც († 23 მარ. 809 წ.), ემინიც († 813 წ.). გამეფდა მამუნი (813—833). მისმა მოწინააღმდეგეებმა ხალიფად გამოაცხადეს იბრაიმი (617—819), მაგრამ მამუნმა მაინც გაიმარჯვა და მერვიდამ ბაღდადს გადასახლდა. ხორასნის მმართველად მაშინ იყო ტაგირი. ამისი შვილი აბდალახი მამუნმა დანიშნა გამგედ ეგვიპტისა, სირიისა, შუამდინარისა და აგრეთვე ხორასნისა. მამუნის მეფობას მოჰყვა გამარჯვება და აყვავება მწერლობისა და მეცნიერებისა. არაბულ ენაზე გადათარგმნეს ბერძენთ ფილოსოფოსების ნაწერები. ასტრონომიას, მათემატიკას, ისტორიას, ფილოლოგიას დიდის ხალისით სწავლობდნენ არაბები. მაგრამ შინაურმა განხეთქილებამ ისევ მოაუძლურა იგინი და გარეშე ქვეყნებმაც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს.

ჩვენი მემატიანეც სწორეთ ამ დროდგან იწყებს აშოტის ამბავს. „მოუძლურებულ იყვნენო,—შენიშნავს მემატიანე,—სარკინოზნი. განდიდნა აშოტ კურატპალატი. ხოლო ტფილისს არღარავინ დარჩა სარკინოზთაგან თვინიერ ალი-შუაბისძისა“. ეს ცნობა, როგორც ქვემო დავინახავთ, შეეხება 806 წელს, როდესაც ჰარუნის შვილებ-შორის ასტყდა მტრობა და ბრძოლა.

787 წელს განდგა მთავარი გრიგოლი და დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. მან მოსპო სახელი „კუხეთი“ და იწოდა კახთა მეფედ. ხოლო ცერეთი ისევ დარჩა ადარნასე ბრმის ძმისწულების ჩამომავლობის ხელში (გვ. 283). ესეც ცალკე სამეფოდ გამოცხადდა და გაიყო საერისთოებად: შტორისა, ხორნაბუჯისა, ვეჯინისა და მაჭისა.

ამათ მეზობლად, შირვანსა და დაღისტანს, მაღე დამკვიდრდენ არაბნი და გაავრცელეს მაჰმადიანობა.

„დერბენდნამე“ გადმოგვცემს: მეცხრე საუკუნის დამდეგს შირვანს მოაწია 2000 არაბმა. სიმაგრე ჩურ-ს (ჩორას=ჩოღას) მათ შეებნენ ადგილობრივი მკვიდრნი და აგრეთვე ერი რუს. არაბებმა გაიმარჯვეს და ამოსწყვიტეს 700,000 კაცი. შემდეგ შევიდნენ ავარიას, რომლის მეფე ბეიერი გაიქცა თუშეთს. არაბებმა აიღეს მისი სატახტო ქალაქი ხუნძახი, დაიპყრეს ერი, გაამჯმადიანეს და გაჭეულ მეფის ტახტზე დასვეს მასსუმ-ბეგი, ხოლო მსჯულად და ომამად კი შეიხი აბუ-მუსლიმი. თვით არაბების უფროსად და ხელმწიფედ იყო შამხალი. ეს დაბინავდა უუმუხში და მას დაემორჩილა მთელი დაღისტანი, ქრისტიანები და ებრაელნი. უველასგან იგი ჰკრებდა ხარკს. წლიურად სოფლები აძლევდნენ: ყარახი 500 ცხვარს, ქუსრახი—300-ს, ჩამალალი—500-ს, ტინდალი 20 ხარს, ხუმზა 700 ცხვარს, 700 სარწყავ ხორბალს, 60 სარწყ. თ.ფულს, ახუშა 100 ხარს, კეკები 6 ვირს... მთელს დაღისტანში იყო სამი ქვეყანა: ავარია (ტანუსი), სახლი და ზირეგერანი. ავარიის ნუცალი (მთავარი) სერაგეხ, ძე სერეტანისა (სართანისა), მე-99-ე ჩამომავალი იყო ადამისა. მას ექვემდებარებოდა ქვეყანა ჩერქეზეთიდგან შუამხიამდე, ემსახურებოდა და ხარკად აძლევდა ფულს, ხორბალს, ცხვარს, ხარს, ნაქსოვს, მწვანილს და სხ. უოველწლივ იღებდა: ა) ფულად უოველ მეკომურისაგან 3 დრაჰკანს; ბ) მეკომურისაგან ლიტრა ხორბალს; გ) მეცხვარეთაგან 100 ცხვარზე ერთს, დ) თითო ხარს 100 მეკომურისაგან; ე) უოველ ვაჭრისაგან—2 ფარჩეულს და 2 ჩიოეულს; ვ) მეეენახეებისაგან—კოდორ უერძენს. ამას გარდ, მკვლელს ახდევინებდა 100 ცხვარს, ქურდს—თითო ხარს. სოფ. ვარანდის ხარკად ედო 5 მელა (1 შავი და 4 წითელი). მთავარი რომ გარდაიცვლებოდა, უოველი სოფელი მოვალე იყო, წარმოეგზინა თითო კეცი ანუ ჭაკი ცხენი, ხელმწიფის გამეფებისას 5 ხარი უოველ სოფლიდამ. მმთავრის ან სეფეწულის ქორწილის ხარჯად უოველ სოფელს და ქალაქს უნდა წარმოეგზინა თითო ძროხა და ოთხი ვერძი.

ბაქტეულ მეფის შვილმა ეპირ-სულტანმა თაშუოით მოიყვანა ალანები ხემზს. მიმეს ტახტის დაჭერობა უნდოდა. მართლაც გაიმარჯვა და გამეფდა ხუნძახს. გაიმართა სამხედრო ბრძოლა არაბებსა და ადგილობრივ ერთა შორის. ბრძოლამ 24 წლამდე გასტანა. ორთავე მხარე მოიღალა და ამიტომ უომარი და ხუნძახი შეიგდნენ, და ისლამი ირწმუნა უველამ.

ყველა ეს ამბები, „დერბენდნამეს“ ცნობით, მოხდა 822 წლითგან. ამაზედ ცოტა წინად მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში მძვინვარებდნენ ხაზარნი და ალანნი (ოსნი), რომელთაც ეპირათ დარიალის კარიც. ესენი არაბების დაუძინებელი მტრები იყვნენ და მათთან ბრძოლაში ბერძნების მხარე ეპირათ.

ჯერ ისევ იუსტინიანე II-ის მეფობაში (685—711 წ) მათ დასაქირავებლად დიდძალის ფულით მოვიდა კეისრის მოხელე ლევი. ფული მან დასტოვა ფოთს, ხოლო თვითონ გადავიდა ოსეთს. მაშინ აფხაზნი გაორგულებოდნენ კეისარს. ლევის რჩევით ოსნი შეიჭრნენ აფხაზეთს და დაიპყრეს. აფხაზებმა ოსებს მისწერეს, თუ რა ვერაგი კაცი იყო ლევი, რომელმაც განხეთქილება ჩამოაგდო ორ მეზობელ ერს შორის. ეგ მოგვეცით და 3000 ოქროს ჩაგაბარებთო. ოსებმა მოითხოვეს 6000. ლევი წაიყვანეს ვითომ აფხაზებისთვის გადასაცემად, ფული გამოართვეს, მაგრამ მერე, აფხაზებს რომ ლევი მიჰყვანდათ, დაეცნენ მათ მოულოდნელად, ლევი გაიტაცეს. ამდროს ნაქალაქევს დაეცნენ არაბნი. ბერძენთა რაზმი გაიქცა ჯიქეთს. აქაური მთის გზა („ჩრკინის კარი“) ეპირა ფარსმანს, არაბების მომხრეს. იგი დაამარცხა ლევმა, შეუერთდა დანარჩენ ბერძნებს და წავიდა კოსტანტინეპოლს.

ამის შემდეგ აფხაზები დაუმეგობრდნენ ხაზარებს და გადაეკიდნენ ბერძნებს. ერისთავის ლეონ I-ის ძმამ ცოლად შეირთო ხაზართა მეფის (იტაცის) ქალი, რომლისაგან იშვა ლეონი. ლეონ I-ლი, ქმარი არჩილის ძმისწულის გურანდუხტისა, რომ უშვილოდ გარდაიცვალა, ერისთაობა ერგო ლეონ II.სე-

ხაზართა დახმარებით ამან დაიპყრა მთელი იმერეთი ლიხის მთამდე, გამეფდა (787 წ.) და სატახტო ქალაქად გამოაცხადა ქუთაისი. თვისი სამეფო გაჰყო საერისთაოებად: ა. აფხაზეთ-ჯიქეთისა, ბ. ცხუმისა (ცხუმი, ანაკოფია, ალანია), გ. ბედიისა (ინგურიდგან ცხენისწყლამდე). დ. გურიისა, ე. რაჭა-ლეჩხუმისა, ვ. სვანეთისა და ზ. შორაპნისა. რომ განდგომა სრული ყოფილიყო, იმერეთ-აფხაზეთში ცალკე კათალიკოზი დაადგინა.

მხოლოდ ამის შემდეგ მეორე წელს (808 წ.) აშოტ კურატპალატი შეება კახეთის მთავარს გრიგოლს. ამ ბრძოლაში აშოტს მიეშველა მისი სიძე აფხაზეთის მეფე თევდოსი ლეონისძე (806 - 845), ხოლო გრიგოლს მიემხრნენ მთიულნი, წანარნი და ტფილისის ამირა ალი შუაბისძე.

სასტიკი ბრძოლა გადიხადეს მდ. ქსანზე. აშოტს გაემარჯვა. გრიგოლი გაიქცა. აშოტს დარჩა ქვეყანა კლარჯეთიდგან ქსნამდე.

შეიტყო-რა ეს ამბავი ხალიფამ, ფიცხლავ გამოგზავნა ხალილა იზიდისძე, რომელმაც კვლავ დაიჭირა ქართლი, Cერეთი და სომხითი, და მოინდომა აშოტის შეპყრობა. აშოტს იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ ხალილაც დაემარცხებინა, ამიტომ მოერიდა მას. დედით, ცოლით და შვილებით ჯავახეთს გადავიდა. თან მიჰყვებოდნენ მეომრები თავიანთ ცოლ-შვილით. გზისაგან დაღალულები ფარავნის ტბის კიდეზედ გაჩერდნენ, პური ჰამეს და მიეძინათ. ამ დროს მათ მოულოდნელად დაესხნენ არაბნი, მაგრამ იგინი მოსრეს ქართველებმა და მივიდნენ შავშეთს.

შავშეთის-ხევი მაშინ უშენებელი იყო. მურვან-ყრუს საქართველოში შემოსევის დროს დაენგრია აქაური ციხეები, ქალაქები და სოფლები, აქა-იქ ღა ჩანდა დაუზიანებელი სოფლები. მის შემდეგაც შავშეთ-კლარჯეთის მცხოვრებთათვის დიდი ვნება მიეყენებინა სატლს (მუცელას).

შავშეთ-კლარჯეთელებმა სიხარულით მიიღეს აშოტ-კუ-

რატპალატი. იგი იქ დასახლდა. ზოგი სოფელი ააშენა, ზოგი თავის საფასეთი შეისყიდა. კლარჯეთის ტყეებ შუა კლდეზედ მდგარი ციხე არტანუჯი, აშენებული ვახტანგ-გორგასლის ბრძანებით (გვ. 213) და გაოხრებული ყრუსაგან, ხელახლა ააშენა და გაამაგრა, ხოლო ციხის წინა-კერძო, დაბლა, ააშენა ქალაქი. შიგ ციხეში აიგო პეტრე-პავლეს საყდარი და ამაში საფლავი თავისთვის. ციხეში გაიკეთა სასახლე და აქედგან მართავდა სამეფოს კლარჯეთიდგან ბარდავამდე (განჯამდე).

მტერთან ბრძოლაში აშოტმა მოიხვეჭა დიდი სახელი. მაგრამ ერთხელ ბედმა უმუხთლა. ციხიდამ გაიგდა, რომ შეჰკრიბოს თვისი ლაშქარი და შეებრძოლოს არაბებს, რომელნიც კლარჯეთისკენ მიდიოდნენ. მივიდა ერთ ადგილას და ლაშქრის მაწვეველნი განავლინა დაბა-სოფლად. ვიდრე ჯარი მოვიდოდა, არაბები მოულოდნელად დაეცნენ, აოტეს და გამოედევნენ. აშოტი ნიგალისხევიდგან გაიქცა არტანუჯს და პეტრე-პავლეს ეკლესიაში შეიმალა. მას ფეხდაფეხ მისდევდნენ სარკინოზნი. რადგან ციხეში ჯარი სულ ცოტა იყო, იგინი თავისუფლად შევიდნენ მასში და აშოტი დაკლეს საყდრის საკურთხეველში.

ამასობაში აშოტის ლაშქარი შემოკრებილიყო დოლისყანს. შეიტყეს-რა, რომ მეფე მოგვიკლესო, გამოეკიდნენ არაბებს, დაეწივნენ სავანეს, ჰოროხზედ, და მოსრეს სულ ერთიანად. აშოტი კი დამარხეს პეტრე-პავლეს ტაძარში (826 წ. 29 იანვ.

აშოტის მოკვლის ამბავი ჩვენს მატიანეებში არეულია. „ქართ. ცხოვრებაში“ ერთ ადგილას ნათქვამია — აშოტი „არაბებმა მოკლესო“, მეორე ადგილას — „მოიკლა მცირედთავსაო“; არც არის ნათქვამი, რომ გაქცეული მეფე შეუვარდა არტანუჯის საყდარში და იქ მოკლესო მტრებმა. მარიამ დედოფლის ვარიანტით, ეკლესია, რომელშიაც მოკლეს აშოტი, იყო გარდაბანს. თვით ქ-ცხოვრებით, გაქცეული მეფე, მივიდა-რა ნიგალის-ხევს (ჭოროხის ქვემო ხეობას),

იწყო ერის ძებნა, რომ გაიმრავლოს ლაშქარი. ამ დროს გამოჩნდნენ ბოროტგამზრახველნი. მეფემ არ იცოდა, რომ მათ მისი მოკვლა ეწადათ. რომ მოვიდნენ, მხოლოდ მაშინ მიხვდა მეფე, რა ეგულებოდათ მოსულებს. მეფეს მცირე რაზმი ჰყვანდა და მოსულები კი ბევრნი იყვნენ. ამიტომ აშოტი შეივლტო ეკლესიაში. მახვილით მოკლეს იგი საკურთხეველში. აქედგან ცხადად სჩანს, რომ მეფე არაბებს კი არ მოუკლავთ, არამედ შეთქმულებს და მოუკლავთ არა არტანუჯში, არამედ რომელიღაც ეკლესიაში: დოლისყანით რომ დევნა უყვეს მკვლელებს და დახოცეს იგინი სავანეთს, ჯორახზედ, მერმე „მოასვენეს მეფის გვამი და დაფლეს მისსა საფლავსა შინა, ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა ჰეტრე და ჰავლესსა“. თუ მეფე ჰეტრე-ჰავლეს ეკლესიაში მოეკლათ, როგორღა წამოასვენებდნენ იმავე ეკლესიაში?

კოსტანტინე ძოწითმოსილის (952 წ.) სიტყვით, არტანუჯი იყო სასეფეწულო და სატახტო ქართველ ბაგრატიონებისა. „არტანუჯი,—სწერს იგი,—არის მეტად ძლიერი სიმაგრე, შესაფერი მთელის მხარეს სატახტო ქალაქისა. იგია აღებ-მიცემის შუაგული ტრაპეზუნტისა, ივერიისა, აბხაზეთისა, მთელის სომხეთისა და სირიისა, რომლებთანაც აქვს სააღებ-მიცემო დამოკიდებულება. არტანუჯის მხარე ვრცელია და ნაყოფიერი. არტანრჯი კლიტეა ივერიისა, აფხაზეთისა და მესხეთის“. არტანუჯის ახლოს, რთგორც იყო ნათქვამი, ვახტანგის ერისთავ არტვაზმა ააშენა ეკლესიები და მონასტრები მერისა, შინდობისა და ახიზისა და ამ უკანასკნელში გორგასალმა დაადგინა ეპისკოპოსი.

აშოტ კურატპალატმა ოთხ წელს განაახლა დიდებული ლავრა ოპიზს, რომელიც იმერხევის ნაპირზეა, ართვინის მახრაში. ტაძრის ერთი წარწერა იუწყება: „აშოტ კურატპალატი, მეორედ მაშენებელი ოპიზისა და წმიდისა ამის საყდრისა“. თვით აშოტი გამოსახულია საყდრის ლოდზე: მას ხელში უჭერია საყდრის გეგმა, რომელსაც აკურთხებენ და ლოცავენ იქვე ქვაზე გამოქანდაკებული ღმერთი და დავით წინასწარმეტ-

ყველი. 1161 წელს ოპიზში მთავარეპისკოპოსად იყო ანტონი. დღეს ოპიზის გარემო მინგრელულ-მონგრეულია, ხოლო თვით საყდარი ისევ მთელია. მის ახლოს არის განთქმული ადგილები — პორტა, ბერთა, წეფთა.

ვახუშტი სწერს: „შავშეთის წულისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთას, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა. მას შინა იყო ხორხი ნათლისმცემლისა, და იყო დიდ-სელოვნებით ქმნული და დაშენებული. ამისნი შედეგნი 13-ნი მოწაფენი და თავი იყო, სადა ესვენა ხორხი. იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი, და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოველითა სეკლესიო წესითა და მამულითა, შეწირულობითა და აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმ, ცარიელ არს. ამას უწოდებენ ოპიზის მონასტრად“. 1874 წელს ოპოზის შესახებ ყაზიბეგი სწერდა: „სოფელ ოპიზაში 12 კომლი მოსახლეა. სოფლის ბოლოს მცირე ფოლორტია, სადა მრავალი შენობების ნანგრევებია. ფოლორტის შუაგულს აღმართულია დიდი საყდარი. მთელი ეს მცირე ნაქალაქარი, რომელსაც არტეია გალავანი, დაიტევს რამდენიმე ასს კაცს, და ეს არის უწინდელი ოპიზა ანუ ნათლისმცემელი. მ..ს არემარეს არის ხორტა, ბერთა, მიუდგომელი ციხე წეფთა და სხვა სიძველენი ქართველ ერისა, რომელიც სამართლიანად წოდებულია მოწინავე ლაშქრად ქრისტიანობისა ამიერში“. ოპიზას საყდარში ჰმარხია აშოტ კურაპალატის შვილი გვარამი, რომელიც გარდაიცვალა 883 წელს.

თავი IV

მეფე ბაგრატ I, კურაპალატი († 876 წ.).

აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები ადარნასე, ბაგრატ და გურამ დარჩნენ არტანუჯის ციხეში, ხოლო ამათი და იყო აფხაზეთში: იგი ცოლად ჰყვანდა აქაურ მეფეს თეოდოსი I-ს. შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის ხევები დაიჭირეს არაბებმა და დახარკეს. ტფილისში ამირობდა იგივე ალი შუაბისძე, რომელიც დაედგინა ადარბადაგანის სპასალარს ხალილას.

827 წელს შეითქვნენ გარდაბანელნი, კახეთის ქორიკოზი (მთავარი) გრიგოლი დაამხეს და მის მაგიერ დაადგინეს იოანე ქობულიძის შვილი დაჩი (=ვაჩე). მაგრამ მალე ესეც გადააყენეს და დასვეს სამოელ დონაური (839—861). ამ დროს შემოიჭრა იგივე ხალილა. მას შეებნენ გავაზს. ორივე მხრიდგან დაიხოცა მრავალი. ტფილისის ამირად დაჯდა სააკ ისმაილისძე. ამის შემდეგ ხალილა მესამედ შემოვიდა, მაგრამ იგი მოკლეს ჯავახეთს. მის შვილს მოჰამედს მიემხრო ბაგრატ აშოტისძე და ეს ორნივე შეებნენ ტფილისის ემირს სააკს და კახელებს.

ეს იყო ის დრო, როდესაც იწყებოდა არაბთა იმპერიის დაუძლურების ხანა. გაიფანტნენ-რა არაბები ქვეყნის ოთხივ კუთხივ და შეეთვისნენ-რა სპარსებს, სირიელებს, ეგვიპტელებს და სხ., თანდათან დაჰკარგეს თავისუფლების სიყვარული და თავიანთ მამაპაპათა სიქველე და სიმხნე; შეეჩვივნენ მდიდრულ ცხოვრებას, ზოგი შეუდგა მეცნიერების შესწავლას. ხშირად თვით ხალიფებიც მეომრობას, ქვეყნების დაპყრობას ყურს აღარ ათხოვებდნენ და თავიანთ ჰარამხანიდგან აღარ გამოდიოდნენ. ასრე რომ მოდუნდნენ არაბნი, მათს სამფლობელოებში თავი იჩინა განდგომილებამ, ღელვა-შფოთმა. ამ განდგომილებათა მოსასპობად საჭიროდ შეიქმნა ძლიერი ლაშქრის ყოლა. არაბნი ამისთვის გამოსადეგნი აღარ იყვნენ. ხალიფებმა მოიწვიეს, შუაგულ აზიიდამ, ვაშკაცობით განთქმული თურქები.

ხალიფა მამუნის ძმა მუტასიმი რომ გამეფდა (833 წ.), ბაღდადის ერი გადაეკიდა მას. მუტასიმი ჩრდილოეთისკენ წამოვიდა, ტიგრის ნაპირზე ააშენა ახალი ქალაქი სამარუ, აქ დასახლდა და თავის მცველებად დააყენა 70,000 თურქი-მეომარი. მაგრამ ამ თურქებმაც ვერ დააწყნარეს მისი სამეფო. ადრიბეჟანში 816 წლითგან მძვინვარებდა აჯანყებული სპარსი ბაბეკი. მუტასიმმა მას მიუსია აფშინი. ამან დაამარცხა ბაბეკი და აიღო მისი ქალაქი ალბუდი. ბაბეკი გაიქცა სომხეთს, ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერას გახდა, იგი დაატყვევეს და გაგზავნეს ბაღდაღს (837 წ.).

ხალიფა ჯაფარ-მუტავაქილის დროს (847—861) უფრო აირია საქმეები. ხალიფა სასტიკად სდევნიდა ყველას, ვინც სუნნობას უარჰყოფდა და შიობას მომხრეობდა. შიების წინასწარმეტყველის ჰუსეინის საფლავი დაანგრია და გადაახვნევინა. ბრძანება გასცა, რომ არა-მაჰმადიანებს ყვითელი ნიშნები დაეკერებინათ ტანისამოსზე, ქამრის მაგიერ შემოერტყათ თოკი. ამას გარდა, ქრისტიანებს დაადო ცალკე ხარკი, უბრძანა თავიანთ კარებზე ეშმაკის ქანდაკება დაედგათ, ევლოთ ვირით, ჯორით და არა ცხენით, სასაფლაოებიდამ აელაგებინათ ჯვრები. ბევრი ეკლესია მან დაანგრია ანუ მეჩითად გადააკეთა.

ამისთანა დევნისა და, უმთავრესად, არაბთა მოუძლურების გამო მოძრაობა დაიწყო საქართველოსა და სომხეთშიაც. ტფილისის ამირა სააკი მოძრაობის თავს ჩადგა და მიემხრო კახელებსა და გარდაბანელებს. მათ წინააღმდეგ გამოვიდა აშოტისძე ბაგრატი, რომელიც მიემხრო არაბთა სარდალს მაჰამედ ხალილისძეს. სააკი კახელებით ჩამოდგა სოფ. რეხს, ხოლო ბაგრატმა და მაჰმედმა აიღეს უფლისციხე და მერე შემოებნენ სააკს. სასტიკი ბრძოლა გადაიხადეს. ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. მოჰამედი აიყარა და წავიდა ბარდავს.

ამ მოჰამედის (მაჰმადის) დროს ეწვია ნეოფიტე ურბნელი. მის ცხოვრების აღმწერელი ბასილი კათალიკოზი, პატრიკო-

ზის ყაჩესძე, ამბობს: ამირ-მუმინის (=მამუნი—813—833 წ.) ბრძანებით არაბებმა აჰმადის (მაჰმედის) წინამძღოლობით ტყვე-ჰყვეს სომხეთი და ქართლი. აჰმადი იყო კაცი გულფიცხელი, ანგაარი და მძლავრი. იგი დადგა ლიახვ-მტკვრის შესართავ-თან, ხოლო ქართლს შეუსია სპასპეტნი უმარ და ბურულ. ესენი მოვიდნენ ციხედიდს, სარკინეთის მთაში შიომღვიმის გამოქვაბულები დაათვალიერეს, მაგრამ შიგ ვერ შევიდნენ (ალბად, მისთვის, რომ მათ შუა იყო მტკვარი, და უხიდობის გამო არაბნი ვერ გადავიდნენ მეორე მხარეს). იგინი დაბრუნდნენ. მაგრამ აჰმადმა ხელახლა გამოგზავნა უმარი, რომელიც შიო-მღვიმეში ნახულ სასწაულების გამო მოინათლა, იწოდა ნეო-ფიტედ და შემდეგში დაინიშნა ურბნისის ეპისკოპოსად ქარ-თლის კათალიკოზის სამუილის-მიერ († 823 წ.). ხოლო ნეო-ფიტე ვერ გადურჩა არაბთა მრისხანებას. რომ სცნეს მისი გან-დგომა, ღალატი მამეულ სჯულისა, შეიპყრეს და მოჰკლეს *).

ამის შემდეგ, როგორც იუწყება მსოფლიო ისტორია, სომხეთის მმართველ სპასალარმა დაატყვევა ქრისტიანეთა მთა-ვართა შორის ყველაზე უძლიერესი პაკარატი (ბაგრატი) და წარგზავნა ბაღდადს. ამან გამოიწვია საერთო აჯანყება.

ჩვენი მატიანე ბაგრატის შეპყრობის და ბაღდადს წარგ-ზავნის შესახებ არას ამბობს. მაგრამ ცხადად სჩანს იმავე მა-ტიანიდამ, რომ ბაგრატის ძმა გურამი და სომხეთის ერისთავი აბულმაზ თანახმად მოქმედებდნენ ბაგრატის წინააღმდეგ. ალ-ბად, ეს ბაგრატი და მთელი ამირ-კავკასია განუდგნენ არაბე-ბის სპასალარს, მაგრამ ამან დაამარცხა იგინი, ბაგრატი გაგ-ზავნა ბაღდადს, იქ მან შეინანა და ისევ დააბრუნეს სამშობ-

*) ამ ნეოფიტეს ცხოვრება ანტონი კათალიკოზსაც შეუდგენია, მ.-გრამ მასში აურევია, ერთის მხრით, არაბთა ხალიფების მძლავრობა და, მე-ორეს მხრით, სპარსთა ცეცხლის მსახურება: ამირა-მუმინის დროს ცეც-ხლის მსახურება აღარ იყო და ნეოფიტე (უმარი) ცეცხლის-მსახურების უარყოფისთვის კი არ აწამეს, არამედ მაჰმადის სჯულის ღალატისა და ქრისტიანობის მიღებისთვის.

ლოში, საცა არ სცხრებოდა ღელვა. და რადგან ეს აჯანყება ბაგრატმაც ვერ დაანელა, ხალიფამ გამოგზავნა (851 წ.) ზემოხსენებული თურქი ბუღა.

ბუღამ 120000 მეომრით გამოილაშქრა სომხეთით, რომელიც დაარბია, ტყვე-ჰყო მრავალნი და წარგზავნა ბაღდადს. მერე მოვიდა და შემოებრძოლა ქართველებს, რომელთა მოთავე და წინაამძღვარი იყო 85 წლის მოხუცი მთავარი კოსტანტინე. გაიმართა დიდნი წყობანი და ბრძოლანი. ბუღამ გაიმარჯვა. კოსტანტინე შეიპყრეს და მოვიდნენ აჯანყებულ ტფილისის დასასჯელად. სააკი და მისი მომხრე კახელები დამარცხდნენ. ტფილისი ბუღამ შემუსრა, ცეცხლით გადაბუგა და მისი არე-მარე მოაოხრა. ამირა სააკს გაპარვა უნდოდა. წავის ტყავი წამოისხა, ხელში კვერთხი დაიჭირა და სამშვილდის გზას გაუდგა. მაგრამ შეიპყრეს და ბუღას მიჰგვარეს. იქვე გამოცხადდა სააკის შვენიერი ცოლი, ბუღას თავი მოაწონა თვისის სილამაზითა და ძღვენებით, და მით გადაარჩინა უბედური სააკი. მაგრამ მალე საქმე სხვანაირად დატრიალდა: ბუღამ მოინდომა ცოლად შეერთო დამარცხებულ ამირას მეუღლე. ამიტომ ჯალათი გაგზავნა და მოაკვლევინა სააკი.

ასე რომ მძვინვარებდა ბუღა, მის წინაშე წარადგინეს ზემოხსენებული კოსტანტინე, კაცი ფრიად სათნო, მოწყალე, გლახაკთა და უქონელთ გამკითხველი, სასულიერო მწერლობის ღრმად მცოდნე. მას, როგორც სწერს თანამედროვე, მოევლო და მოელოცნა იერუსალიმის სიწმინდენი, მრავალი საბოძვარი შეეწირა მათთვის. ბუღამ მრისხანედ უბრძანა ერწმუნა მაჰმადი. უარი უთხრა. ბუღამ გაგზავნა წინაშე ხალიფა ჯაფარ-მუტავაკილისა, რომელიც იჯდა სამარაჲს *). ჯაფარმა უბრძანა კოსტანტინეს: თუ ქრისტეს არ განეშორები და მაჰმადს არ შეიტკბობ, შენს ხორცს ფრინველებს დავაწიწკნინე-

*) სამარიას კი არა, როგორც ირწმუნება „კოსტანტ. ცხოვ.“, არამედ სამარუ-ს ანუ სურრა-მან-რაა-ს (=მხიარულადმჰვრეტელს) (გვ. 211).

ბო. საპყრობილეში შეაგდო. მაშინ ბაღდადში მყოფ სომეხ ტყვეთაგან ჯაფარმა ზოგი აწამა და მოკლა, ხოლო ზოგმა ირწმუნა მაჰმადი. ამათგან ორი კაცი ჯაფარმა გაგზავნა საპყრობილეში კოსტანტინე ქართველის შესაგონებლად. მაგრამ მათი დარიგება არ შეისმინა. მას სასტიკად სცემეს. კოსტანტინე გმირულად ითმენდა. მერე, ჯაფარის ბრძანებით, თავი მოჰკვეთეს 853 წ. 10 ნოემბ. პარასკევ დღეს (სწორედ ხსენებულ წლის ათ ნოემბერს მართლაც პარასკევი იყო).

ატენის სიონის წარწერა: „აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქკსა ოგ-სა, ზედა-წელსა სარკინოზთასა ა... ტფილისი, დაატყუა ბუღა და შეიპყრა და მოკლა ამირაჲ საჰაკ. და მასვე თვესა აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ და ძე მისი თარხუ“... (სწორეთ 853 წელს აგვისტოს 5-ს და 26-ს იყო შაბათი).

ბუღა ჯერ ისევ ტფილისის ნანგრევებზე სიამოვნებდა ბაგრატ აშოტისძესთან ერთად, რომ მის წინააღმდეგ შესდგა დიდი კავშირი ქართველთა, აფხაზთა, სომეხთა და ოსთაგან. აფხაზებს წინამძღრობდა მათი მეფე თევდოსი, ქართველთ—აშოტისძე გურამი, სომეხთ—მათი მთავარი სემბატ-აბულბაზ აღმსარებელი (ყველა ამათ შორის ასრეთი ნათესაობა იყო: ბაგრატ კურატპალატს ცოლად ჰყვანდა სემბატის ასული, მის ძმას გურამს—სემბატის და, ამათი და—თევდოსის).

ბუღამ მოკავშირეებს შეერთების ნება არ მისცა. თევდოსი რომ გადმოდგა კვერცხობს, მას ბუღამ მიაგება ბაგრატი და თვისი სპასალარი ზირაქი. თევდოსი დამარცხდა და დვალეთის გზით გაიქცა. ამ ბრძოლიდან უკან დაბრუნებულ ზირაქ-ბაგრატს ჯვარისგველრდს შეებნენ გარდაბანელნი და დიდად ავნეს. ბუღა შევიდა ჰართალეთს. ოსეთის დარბევა ეგულებოდა. მთიულებმა 300 კაცი მზეველად მოართვეს. მაგრამ გურამმა და აბულბაზმა მთიულებს შეუთვალეს, მტერი არ შეუშვათ მთაშიო. მათ სიხარულით მიიღეს ესრეთი წინადადება და მთის თავისუფლებას ხსენებული მზეველები ანაცვალეს. იგი-

ნი გულადად გაუმაგრდნენ მტერს. ზედაც დიდი თოვლი მოვიდა. სასტიკად შეებნენ ბუღას და გაემარჯვათ. ურიცხვი არაბი მოკლეს. ბევრი ცხენიც დაეხოცათ: უბალახობისაგამო იელი მოეძოვათ. ბუღა მთიდამ ჩამოვიდა, წავიდა ბარდავს და იქ დაიზამთრა.

შემდეგ შემუსრა მან გარდაბანი, საცა გამთავრებულიყო ვიღაც მღვდლის შვილი, რომელიც ამასთანავე შეიპყრა. დარუბანდის კარით გამოიყვანა 300 სახლი ხაზარი და დაასახლა შანქორს, დარიალით გამოიყვანა 3000 სახლი ოსი და დააბინავა დმანისს. ამანვე, როგორც ამბობს ვებერი, მოტყუილებით შეიპყრა სომხეთის მთავარი სემბატ ბაგრატიონი და სხვა წარჩინებული სომხები და წარგზავნა ბაღდადს. ბუღა ოსეთში შესვლასაც აპირებდა, მაგრამ იგი დააბეზღეს ხალიფას წინაშე: ხაზარებს ეზრახვის, შენი ღალატი სწადიანო. ხალიფამ იგი დაიბარა.

ჯაფარის სიკვდილის შემდეგ († 861 წ.) ბაღდადის ხალიფების ძალა უფრო შესუსტდა, სამეფო დაეცა. სახალიფო ტახტზე სხდებოდნენ უნიჭო ხელმწიფეები *) და მათ ხშირ გადაყენება-გამოცვლისა გამო საქართველოშიაც იგზავნებოდნენ სხვა და სხვა ამირები. ბუღას შემდეგ ამირობდნენ:

ა. მაჰმედ ხალილისძე. ბ. ისე შიხისძე (მაჰმედისვე ნათესავი). გ. აბრაჰამ. დ. იგივე მაჰმედ ხალილისძე, რომელმაც დაიპყრა სომხეთი, ქართლი და რანი. ე. გაბლუც **).

ამ გაბლუცს დაეპყრა გარდაბანი და ფრიად მედიდურობდა. იგი შეიპყრა გურამ აშოტისძემ (ბაგრატის ძმამ) და საბერძნეთს გაგზავნა. თვითონ დაიპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი, ამასთანავე ებრძოდა აგრეთვე

---

*) მუნტასირი (861—862), მუსტაინ (862—866), მუტაზ (866—869), მუჰტადი († 870), მუტამიდ († 892).

**) სომხეთის ერისთავის აშოტ ქველის († 820 წ.) შვილისშვილი იყო.

არაბებსაც. მაგრამ ამ ბრძოლამ იგი მოღალა. თავისი მიწები გაუყო თავისს ძმებს ბაგრატს და ადარნასეს, ხოლო აბოცის ნაწილი მისცა თავის ნათესავს სომხეთის მეფეს, თვითონ კი ბერად შედგა.

მალე გარდაიცვალნენ აშოტისძენი ადარნასე და ბაგრატ კურატპალატი († 876 წ.), რომელსაც ჰყვანდა შვილები— დავით, აშოტ Π და ადარნასე († 885 წ.).

ამ არეულობის დროს ტოლშვილიანად დაიღუპა ეფხაზთა მეფე თევდოსი, გამეფდა მისი ძმა გიორგი ადწეფელი. ეს გიორგი მეფე წამოვიდა, დაიპყრა ქართლი და ჩაებარა იგი თავის ძმისწულს, ჩიხის ერისთავს ტინენ დემეტრესძეს. მაგრამ მალე ეფხაზეთის სამეფო კვარეულობაში დიდი ბრძოლა ასტყდა: გიორგი მეფე დაიღუპა. ჩიხის ერისთავი ტინენი მოკლა გიორგი მეფის ქვრივმა, გამეფდა იოანე გიორგისძე შავლადიანი (875 წ.), მაგრამ ამასაც შეუჩნდა ქვრივი დედოფალი და ურჩია დაეღუპა ბაგრატი დემეტრესძე, ძმა ტინენისა. ბაგრატი ზღვაში ჩაგდეს, მაგრამ იქი გადურჩა სიკვდილს და კოსტანტინეპოლს მივიდა.

ბაგრატისა და მის მამის აშოტ დიდის დროს მოღვაწეობდა სახელგანთქმული გრიგოლ ხანძთელი (დაიბადა 760 წ., გარდაიცვალა 862 წ.). მისი „ცხოვრება", დაწერილი 952 წ., ამასთანავე არის მატიანე კლარჯეთისა, აქაურ მონასტრებისა (შატბერდის, ხანძთეთის და სხ.), საქართველოს გამოჩენილ მეფე-მოღვაწეებისა. გრიგოლი იყო წარმომადგენელი თანამედროვე ბერ-მონაზნობისა საქართველოში, მისი ერთგული დამცველი და ამყვავებელი. „საცა წირვა სრულდება ქართულს ენაზე, იქ საქართველოა",—ამბობდა გრიგოლი.

ამავე დროს სახელი გაითქვა იღსრიონ-ქართველმა, რომელიც კახეთის დიდებულთაგანი იყო. დედა მისი იყო ადამიანი სათნო, გლახაკების და ობოლთ შემწყნარებელი. მშობლებმა იგი მიაბარეს ერთ განათლებულ ბერს, რომლისაგან მშვენივრად ისწავლა ძველი და ახალი აღთქმა. 16 წლისა გარესჯას მივიდა. მისმა მკაცრმა და წმიდა ცხოვრებამ მიიქცია საერთო

ურადღება. რუსთავის (ყარაიის) ეპისკოპოსმა იგი მღვდლად კურთხა. ილარიონ-მღვდელი შეუდგა ერის სწავლებას. რამ-ენიმე ხნის შემდეგ გაიყოლია ერთი ძმათაგანი და წავიდა იე-უსალიმს, მოილოცა ამ ქალაქის სიწმინდენი, აგრეთვე იორ-ანის ნაპირებისა, საბას ლავრა და სხ., ყველას დიდი საბო-ვარი მიუძღვნა და დაბრუნდა. მისი მამა და ძმა ცოცხლები ღარ იყვნენ, ხოლო მისი დედა და და მოლოზნებად აღიკვე-ნენ და მონასტერი დაიარსეს. თვით ილარიონმაც ყველაფე-ი გაყიდა, გარესწას წავიდა და დავით გარეჯელის საფლავ-ე საყდარი ააგო. იგი ეპისკოპოსად ამოირჩიეს, მაგრამ არ ნდომა, გაიპარა კოსტანტინეპოლს, იქიდგან მივიდა რომს, ერე დაბრუნდა თესალონიკეს და გარდაიცვალა არა უგვია-ეს 884 წლისა. ილარიონს დიდ პატივსცემდნენ ბასილი იმპე-იატორი და მთელი საბერძნეთი. ამავე იმპერატორის ბრძანე-ით ილარიონის ცხოვრება აღწერა ბერძენმა ბერმა ბასილი ჯილოსოფოსმა და მისი დაწერილი თარგმნა ქართულად თეო-ჯილაკტემ. იმპერატორმა და მისმა შვილებმა ილარიონის გვა-ი დიდის დიდებით მიასვენეს ილარიონისვე მიერ აშენებულს ოსთენის მონასტერში (რომანას ხეობაში, კოსტანტინეპოლის ებანს) და იქ დაკრძალეს. ილარიონს დარჩა სამი მოწაფე-ქარ-ველი, სახელგანთქმულნი თავიანთ მასწავლებელივით. ბასი-ი იმპერატორს (867—884) იგინი „უყვარდა უმეტეს ყო-ელთა მის ჟამის კაცთა“. ამ ქართველებთან მიიყვანა იმპერა-ორმა თავისი შვილები ლეონ და ალექსანდრე და უთხრა ათ: „ლოცვა ყავთ ამათთვის, წმ. მამანო, და ასწავეთ წიგნი ა ენაჲ თქვენი, რათა იყვნენ ეგენი შვილნი ლოცვისა თქვე-ისანი“.

ამავე ხანს გადაწერილია ზემოხსენებული (გვ. 295) წი-ნი „ჟამის წირვა“. არის ნიშნები, რომ ეს წიგნი გადაწერი-ია სწორეთ კათალიკოზის სვიმონ 1-ის (867—878) მიერ ა არა სვიმონ II-ისა (1002—1012): წიგნში მოხსენებულია ქვსი მსოფლიო კრება, წამება აბოსი (786 წ.), ეპისკოპო-

სები ამერეთისა (მანგლელი, წილკნელი, მაწყვერელი) და არ არიან მოხსენებულნი იმერეთის ეპისკოპოსნი. თუ „ჟამის წირვა“ დაეწერა სვიმონ II-ეს (1002—1012), იგი უეჭველად მოიხსენებდა ჰყონდიდელს, რომლის კათედრა დაფუძნდა მარტვილში გიორგის მეფობაში (921—956 წ.).

საეკლესიო მუზეუმში არის სანათლო (ემბაზი), ერთის მთლიანის ქვით კაკეთებული და მოტანილი მესხეთიდამ. ზედ აწერია ასომთავრულით: „ესე სანათლოჲ ცხოვრებისაჲ ადემართა ქორონიკონსა პიბ უფლებასა ჯუფარის კუზის ძისასა“. ქორონიკონი პიბ უდრის 892 წელს, მაგრამ ამ დროს ხალიფა ჯუფარი ცოცხალი ადარ იყო (იგი მოკვდა 861 წელს) და არც ერქვა მისს შვილს კუზი.

თავი V.

ადარნასე II კურატპალატი (881—923).

არაბების მომხრე ბაგრატ I-ლი გარდაიცვალა 876 წ. და გამეფდა მისი მცირეწლოვანი შვილი დავით I. მის მფარველად გამოვიდა ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც დაეპყრა თრიალეთი და აეგო მაგარი ციხე კლდეკარი.

საქართველო ორ, საურთიერთო სამტრო, ბანაკად გადაიქცა: ერთ მხარეს იყვნენ დავით I, ლიპარიტი და სომეხთ მეფე, მეორე მხარეს ნასრი გურამ მამფალისძე, არტანუჯის ერისთავთ ერისთავი გურგენ და აფხაზნი. უმთავრესი მოქმედი პირი და ორთავე ამ ბანაკების ამძოძრავებელი იყო ნასრი, რომელიც დავით ბაგრატისძის ქართლში გამეფების წინააღმდეგი იყო. მისი მამაც (გურამ მამფალი), როგორც ჩანს მე-IV თავში ნაამბობიდამ, აგრეთვე წინააღმდეგი იყო თავის ძმის ბაგრატ კურატპალატისა, მაგრამ ამას მომხრეებად ჰყვანდნენ არაბნი. ვიდრე აღნიშნული ორი ბანაკი ერთმანეთს შეეჯახებოდა, ნასრიმ ტაბილის სიტყვით მოიტყუა დავით მეფე და მოკლა (881 წ.). ამან საქმე უფრო გაამწვავა. ძმა დავითისა აშოტ, ლიპარიტი, არაბნი და სომეხნი შეებნენ ნასრის, დაამარცხეს, ციხეები წაართვეს და მეფედ გამოაცხადეს მოკლულის დავითის შვილი ადარნასე II.

ამით შვიდობა არ დამყარდა. ნასრი გაიქცა კოსტანტინეპოლს, საცა ცხოვრობდა ზღვაში ჩაგდებული ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფის დემეტრესი (გვ. 316). ნასრიმ და ამ ბაგრატმა გადასწყვიტეს ერთად ემოქმედნათ თავიანთ მტრების წინააღმდეგ. შემთხვევაც მიეცათ, რომ თვისი წადილი განეხორციელებინათ. ამდროს სარკინოზებს ეპირათ თეოდოსიოპოლი (არზრუმი) და ბასიანი, ხოლო ამათთან და აგრეთვე აბნიკელებთან და მანძიკერტელებთან დიდი მეგობრობა ჰქონდათ ქართველებს. ნასრმა იმპერატორი ლეონ (886—911) დაარწმუნა მიეცა ბაგრატისთვის ლაშქარი და გემები საქართვე-

ლოში წამოსასვლელად და საომრად. ლეონი დასთანხმდა. ლაშქარი შეუსია ბასიანს და საქართველოშიაც გამოგზავნა ბაგრატი. ამან დაიპყრა აფხაზეთი, მოჰკლა აქაური მეფე ადარნასე (887 წ.) და მისი ქვრივი (ნასრის და) შეირთო. მერე საბერძნეთიდგან მოიწვია ნასრი, ლაშქარი მისცა და გამოისტუმრა. ნასრი გადმოვიდა სამცხეს, დაიჭირა ციხეები ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანთა, მიიმხრო მრავალი მეომრები (ქართველნი, ოსნი ბალათარის წინამძღოლობით) და შეებრძოლა ქართლის მეფე ადარნასეს, რომელსაც მიემხრნენ გურგენ კურატპალატი კალმახელი, ძენი მისნი და სომეხნი. შეიბნენ მტკვრის პირას. გადაიხადეს შესაზარავი ომი. ნასრი დამარცხდა (888 წ). იგი შეიპყრეს და მოკლეს სოფ. ასპინძაში.

ამის შემდეგ გადაეკიდნენ ერთმანეთს გურგენ კურატპალატი და ადარნასე მეფე.

ეს გურგენი იყო აშოტ დიდის ძის ადარნასეს შვილი. იგი ფლობდა არტანუჯს და კალმახს ტაოში. გურგენს ემტერებოდა მისი ძმისწული ბაგრატ მამფალი, რომელმაც გამოდევნა იგი არტანუჯიდამ. გურგენი დაბინავდა შავშეთსა და არტანს. ეს ბაგრატი მიემხრო ადარნასეს და ორთავემ სოფ. მგლივანს დაამარცხეს გურგენი, შეიპყრეს და მოკლეს (891 წ.).

არც ამის შემდეგ დამშვიდდა ქვეყანა. კახეთის მთავარმა (ქორიკოზმა) ფადლამ დაიპყრა გარდაბანი, ქართლის აზნაურებმაც კვლავ წამოჰყვეს თავი და ქართლის დანაწილებასა და დაჩემებას შეუდგნენ. მალე ფადლას მაგიერ გამთავრდა კვირიკე 1-ლი (893 წ.), ხოლო აფხაზეთში გამეფდა კოსტანტინე (896 წ.). ამისთანა მდგომარეობით ისარგებლა კოსტანტინემ. იგი აფხაზთა ლაშქრით მოვიდა, ქართლი დაიპყრა და უფლისციხე გაამაგრა. ეს იწყინეს მეფე ადარნასემ და მის მოკავშირე სომხეთის მეფე სუმბატ ტეზერაკალმა, მოადგნენ უფლისციხეს. ამ სიმაგრის აღება რომ გაძნელდა მის მიუდგომლობისაგამო, ზემო მხრის ხრამი პალან-კურტნებით ამოავსეს, ზედ გადავიდნენ და ციხე აიღეს. მაგრამ მტრები მალე შერიგ-

დნენ: სუმბატი და კოსტანტინე დამზახლდნენ. კოსტანტინეს დარჩა ქართლი და უფლისციხე.

სომხეთის წარმატებას მტრულად უყურებდა ადრიბეჟანის ამირა აფშანი, ძე აბუ-საჯისა. ეს აფშანი ადრიბეჟანში გამოგზავნილი იყო ჩასაქრობად აჯანყებისა, რომლის მოთავედ იყო ბაბეკი. აფშანმა აიღო ბაბეკის სიმაგრე ალბუდდი, მაგრამ თვით ბაბეკი გაიქცა სომხეთში და აქედგან დაუწყო მას ბრძოლა. ბოლოს იგი შეიპყრო აფშანმა და წარუგზავნა ხალიფა მუტასიმს (833—842 წ.), რომელმაც წამებით მოკლა.

აფშანის შემდეგ დიდის ჯარით მოვიდა იმავე აბუ-საჯის შვილი უსუფი (აბულკასიმი). მან შემუსრა და ააოხრა სომხეთი, სივნეთი, ვაეძორი და ასფურაგანი. სუმბატი ვერ გაუმაგრდა და აფხაზეთს გაიქცა. შემდეგ მოვიდა ტფილისს, საცა მაშინ ამირად იყო ჯაფარ ალისძე. აბულკასიმის ჯარმა დაიპირა უჯარმა და ბოჭორმა. კვირიკე მთავარმა ნახა-რა, რომ ვერ გაუმაგრდება მტერს, დამორჩილება განიზრახა. თავის დედის რჩევით მივიდა აბულკასიმის წინაშე და ერთგულება გამოუცხადა. მან ჰკითხა: „ვინ გაწვია აქა მოსვლა?“ უპასუხა: „დედამან ჩემმან“. აბულკასიმმა იცოდა, რომ კვირიკე დედისერთა შვილი იყო და თქვა: „არა ვატკინო გული ერთისა შემხედვარსა“, და განუტევა კვირიკე მთავარი, ხოლო თვითონ ქართლს მივიდა, მოაოხრა, უფლისციხე დაიპირა, წავიდა სამცხეს და ჯავახეთს, მოაოხრა ეს ქვეყნებიც, შემოერტყა ციხე თმოგვს, მაგრამ ვერ აიღო მის სიმაგრისგამო, გამობრუნდა და ყველის-ციხეს შემოერტყა. აქ მხნედ იბრძოდა გობრონი, მაგრამ აბულკასიმმა სძლია, ყველისციხე აიღო, გობრონი აწამა და წავიდა დვინს. სომხეთის მეფე სუმბატი მაშინ იმალებოდა კაპოეტის ციხეში. აბულკასიმმა შეიპყრო იგი, წაიყვანა დვინს და ძელზე ჩამოჰკიდა (914 წ.).

„გობრონის ცხოვრება“, რომელიც შეადგინა ტბეთის ეპისკოპოსს სტეფანემ, ასრე გვიხატავს მაშინდელ დროის აღმოსავლეთის მდგომარეობას.

„სცოდა დიდმან სახლმან სომხითისამან და ღმერთმა მისცა იგი მახვილსა ბოროტსა, ტყვეობასა საწყალსა, სალმობასა სიყმილისასა, სვრასა სიკვდილისასა... ძირი სიმწარისა დაენერგა მათ შორის. ღვარძლი სიბოროტისა აღმოსცენდა. ცოდვა წვალებისა აღმოსცენდა. რამეთუ მიწა სომხითისა ამპარტავან, მკვიდრნი მისნი ცუდად მზვაობარ, ანგაარ, ლაღ, ცოდვის მოყვარე, უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე. ესე არს საზღვარი სომხითისა და მისი ხევების სახელები: ვანდი, აშორნა, ბაგრევანდი, ააპუნისი, კალკოიტნი, ჰაკატი, გოგოვიტი, შარული, ასურაგანი, ვაიძორი, დაფანდაშტი, გელქუნი, სივნეთი, ტაშირი, კაქფაქარი...—სულ 87 ხევი, რომელიც მოოხრდაო არაბთაგან, ვინაითგან ამ ხევებში არ იყოო არც ერთი მართლმადიდებელთა მონასტერი, გულნი მათნი განფიცხებულ იყვნეს, ვითარცა რვალნი, და დაყინებულ, ვითარცა სამყარო: რამეთუ ცოდვა წვალებისა მათისა დაწერილიყო ფიცარსა მას რკინისასა ფრჩხილითა ანდამანტისათა“.

ესრეთი დახასიათება სომხეთისა სტეფანე მტბევარს, ალბად, უსესხნია მოსე ქორენელისაგან, რომელიც ამბობს: (სომხეთის) „ერი მზვაობარ, უსმინარ, დიდ-მეტუველ, საქმის-უყვარულ, მცინარ, ბოროტის-მოფელ... მეომარნი უსამართლონი, მკვესარნი, თავის წადების უყვარულ, ზარმაც, გაუვინიზებულ, მოუომინარნი, მცარცველნი—ღირსეულნი ამხანაგნი ავაზაკებისა. მთავარნი მაშფოთარნი, ავაზაკთა ტოლნი, მტაცებელნი, ძუნწნი, ხარბნი, მცარცველნი, ადმაოხრებელნი, უზნეონი, თანამოზრენი თვისის მონებისა. მსაჯულნი უღთონი, მტეუარნი, ანგაარნი, სამართლის უუვარულნი... უველანი საზოგადოდ უსიყვარულონი და ურცხვნი“.

ასრეთი დახასიათება მთელის ერისა, რასაკვირველია, უსამართლოა, მაგრამ მოსალოდნელი კია ბერებისაგან, რომელნიც ამა თუ იმ მეფის, მთავრის და ეპისკოპოზის წინდაუხედაობით გამოწვეულს უბედურებას, ყველგან და ყველა ერებში,

აბრალებდენ თვით ერს, რომელმაც დაივიწყაო სჯული, გაიშრავლაო ცოდვები და ამიტომ დაისაჯაო.

ამ ერის დასასჯელადო, განაგრძობს „გობრონის ცხოვრება“, დვინს შემოვიდა აბულკასიმი (უსუფი) აბულსაჯისძე, უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა 60 დიდ-დიდი ქალაქი და 7-ნი ძლიერნი მეფენი. არაბთა მპყრობელებს ჩვეულება ასეთი აქვთო, რომ საცა შევლენ, ჯერ სთხოვენ ერს მასზე დარჩენილ წინაწლების ხარკებს, ძღვენს და საბოძვარს კაეტებისთვის (რაზმის უფროსებისთვის), მერე სთხოვენ წინა ჟამის ბეგარას. აჩქარებენ, მალე გადაიხადონ მოთხოვნილი, თავის მოუცლელობას მიზეზად სდებენ. ამისთანა მანქანებით გამოსწოვენ ერს ძალას, დააცალიერებენ საფასეთაგან და ქანც-გაწყვეტილ ერს იმონებენ.

ასრე მოიქცნენ იგინი სომხეთშიაც. სუმბატ მეფეს ღონე არა ჰქონდა წინ დასდგომოდა აბულკასიმს და აფხაზეთის მთებში გაიქცაო. მას გამოედევნა აბულკასიმი და მოადგა ყველის-ციხეს. ეს ციხე, აგრეთვე არტანი და შავშეთი ეკუთვნოდა ერისთავთ-ერისთავს გურგენს. ციხეში იდგა გობრონი და თან ჰყვანდა მცირე რაზმი.

ქრისტიანი ავქსონი ასრეთის მოჭარბებულის ფერადებით ახასიათებს ყველის-ციხის მებრძოლ არაბებს: ციხის გარეშემო გამართეს თვისი თოვლივით თეთრი კარვები, რომელნი 5-ისა სოფიისა საზღვართა-ოდენ ეტივნეს იწროებითა, და საბელნი კარვებისა მათისა განეთხზნა ურთიერთას: რამეთუ ესე იყო ჩვეულებაჲ მათი დადგომისა. საძაგელნი ნათესავნი ფიცხლად მოისარნი იყვნენ, ჰამდეს ძაღლთა, თაგვსა, კაცსა და ყოველსა არა-წმიდასა. განეწზადნეს ბრძოლად ფილაკაჯნებითა მრავლითა. სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისარ-თა აჩრდილებდა მზესა. მტერს ასი აქლემის სატვირთავი ისარი და ჰოროლი (შუბი) ჰქონდა.

მტერი 28 დღის განმავლობაში განუწყვეტელად ებრძოდა ყველისციხის გმირებს, ბრაზობდა, რომ ვერ იმორჩილებდა

მათ და თავის ბრაზს ყრილობდა მდაბიო ხალხზე: იჭერდა მათ არტაანს და სხ. დაბა-სოფელში, მოჰყვანდა და ყველისციხის წინ აწამებდა და ჟლეტავდა. ამიტომ ერი დაშინდა და გადავიდა აჭარასა და შავშეთს, რომელნიც მალე გაივსნენ მცხოვრებლებით. შეიქმნა დიდი შიმშილი. ერი, ვით კალია, თავს ირჩენდა გაჭირებით: „მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწვანე-ვილოვანსა ქვეყანისასა“.

წინასწარმეტყველიო, განაგრძობს იგივე ავქსონი, დათვად იტყვისო სპარსთა მეფობასა ბაბილონს, ლომად სარკინოზთა მეფობასა ბაღდადს, თიკნად მწვალებელთ და კრავად მართლმადიდებელთ. ბოლოს ყველის-ციხის „კრავნიც“ მიეცნენ „ლომს“, თავის ნებით დანებდენ მას. მათი რიცხვი იყო 133. ყველანი დახოცეს. გობრონი (მიქელ) წარსდგა აბულკასიმის წინაშე. სთხოვა მაჰმადი ერწმუნა. გობრონმა შეაჩვენა მაჰმადიანობა. მას ეკლის გვირგვინი დაადგეს და წარკვეთეს თავი (17 ნოემბ. 914 წ.).

სუმბათის წამების შემდეგ სომხეთი დიდს განსაცდელში ჩავარდა. უსუფმა (აბულკასიმმა) შებორკილა ყველა ადგილობრივი თავადები, მრავალი ქრისტიანი გაჟლიტა, დაბა-ქალაქები დაანგრია და მთელი ქვეყანა გაძარცვა. ვინც გადურჩა მტრის მახვილს, დაიმშა ანუ დაიღუპა სიყმილისაგან.

ამისთანა სავალალო ყოფაში იყო ქვეყანა, რომ აშოტ სუმბათისძე 600-ის მხედრით მოვიდა საქართველოში და სთხოვა მეფე ადარნასეს დახმარება. აშოტს ემტერებოდნენ არა თუ მარტო არაბნი, არამედ მათი მომხრე სომეხი მთავრებიც: ამათ არ სურდათ ჰყოლოდათ მეფე, უმეფობაში ხედვიდენ თავიანთ თავის გაძლიერებას. ადარნასემ გამოაცხადა იგი სომხეთის მეფედ და გვირგვინი დაადგა (915 წ.), აგრეთვე მისცა ჯარიც *).

*) აბაზას სიტყვით, „სუმბათმა დაამარცხა საქართველოს სატახტო ქალაქ ტფილისში ჩამდგარი არაბები და ამისგამო ქართველთა მეფემ დაადგა მას სამეფო გვირგვინი და გამოაცხადა სომხეთის მეფედ“ (В. А. Абаза. Исторія Арменіи, გვ. 76).

აშოტმა უწყალო ომი გამოუცხადა არაბებს; ქლეტდა მათ, საც მოასწრობდა. მაგრამ მისმა სიგმირემაც წყლულები ვერ გაუმთელა მრავალტანჯულ სომხეთს. ამიტომ 920 წ. საქართველოში მოვიდა სომეხთ კათალიკოზი იოანე VI და ადარნასესაგან ითხოვა შემწეობა. მაგრამ თვით ადარნასესაც კეთილი განწყობილება არ ჰქონდა კახეთის და აფხაზეთის მეფე-მთავრებთან და ბგრეთვე არაბთა მმართველებთანაც. ამიტომ მეფე ადარნასე წავიდა კოსტანტინეპოლს (922 წ.). იგი დიდის დიდებით მიიღო იმპერ. რომანოზმა: მშვენიერად მოაწყეს და მორთეს ფოლორცი, რომელზედაც უნდა გაეარნა ადარნასეს; წმ. სოფიოს საყდარი ძვირფასად შეამკეს სურათებითა, თელითა და ოქროთი შემკულ ნივთებით. ადარნასე რომ სოფიოს ტაძარში შეიყვანეს, იგი გაანცვიფრა მისმა სიმდიდრემ, და წამოიძახა: „ჰეშმარიტად ესე არს სახლი უალრესის არსებისა“. ამ ეკლესიის სიმდიდრით მან შეადგინა აზრი შესახებ ბერძენთ სამეფოს ძლიერებისა და სიმდიდრისა.

შემდეგ ამისა რომანოზმა (919—945) და ადარნასემ დასდეს ასრეთი ხელშეკრულობა:

ა. კურატპალატი (ადარნასე) სდებს პირობას, რომელსაც თავის საკუთარ ხელმოწერით და ფიცით ამტკიცებს, რომ ყოველთვის ერთგული იქნება ჩვენის იმპერიისა, იომებს ჩვენ მტრების წინააღმდეგ, ბარაღით შეეწევა ჩვენს მეგობრებს, ჩვენს უფლებას დაუმორჩილებს აღმოსავლეთს, დაიპურობს ქალაქებს და ჩვენ სასარგებლოდ დიდად იმოღვაწებს. ბ. იმპერატორი რომანოზ კურატპალატს აღუთქვამს, რომ: თუ იგი ერთგულად დარჩება, თუ ასრულებს ყველა აღთქმულს, მას და მის ჩამომავლობას საუკუნოდ დაშთებათ სამეფო დირსება და უმაღლესი უფლება, იმპერატორი არ შესცვლის მისს სამფლობელოს მიჯნებს და აგრეთვე, თუ იგი არ დაარღვევს ხელშეკრულობას, დადებულს წინანდელ იმპერატორებთან, არც ის (რომანოზი) დაარღვევს მათ და არც შეუშლის ხელს დაიპყრას თეოდოსიოპოლი (არზრუმი) და მტრის სხვა ქალაქები, სულერთია, გარემოიცავს ამ ქალაქებს პირად თვითონ, თუ ჩვენის ჯარითაც“.

ამ მეორე მუხლს კოსტანტინე იმპერატორმა (912—959) თავის მხრივ დაუმატა: „მას (კურატ. ადარნასეს) ექვემდებარებოდნენ და მისს საკუთრებას შეადგენდნენ აგარიანთა ყველა ის სამფლობელოები, რომლებიც თვითონ ანუ მისმა ნათესავ მაგისტროს ადარნასემ დაიპურეს თავიანთ ჯარებით და ანუ დაიპურობენ ამის შემდეგ".

ამ ხელშეკრულობის გუჯრები (=ოქროს ბულლები) ხელმოწერილი და დაბეჭდილი იყო ადარნასესაგან, რომანოზისა და კოსტანტინესაგან.

ხელშეკრულობის დადგენის მიზეზს და შედეგს ხსნის თვით იგივე იმპერატორი კოსტანტინე ძოწითმოსილი.

ლეონ ძოწითმოსილმა (886—912) შეიტყო-რა, რომ სარინოზებმა დაიპყრეს ბასიანი და იქაურ საყდრებში თავიანთი მეომრები ჩააყენეს, იქ გაგზავნა სომხეთის ლაშქრის სპასალარი ლალაკონი შუამდინარისა, კოლონიისა და ხალდის (აჭარის) უფროსებით. მათ საყდრები გაწმინდეს სარკინოზებისაგან და აოხრეს ბასიანი. შემდეგ იმპერატორმა გაგზავნა კატაკალა, რომელიც შევიდა თეოდოსიოპოლში, აოხრა მის გარეშემო მდებარე ადგილები და მთელი ბასიანი, სარკინოზებს მიაყენა აუარებელი ვნება და დაბრუნდა. ივერიელებს კი ამ ქალაქელებთან (არზრუმელებთან) და აგრეთვე აბნიკელებთან და მანძიკერტელებთან ყოველთვის მეგობრობა ჰქონდათ. შემდეგ იმპერ. რომანოზი (919—945) და მე, სწერს იმპერატ. კოსტანტინე ძოწითმოსილი (912—959), ვცდილობდით დაგვეპირა კეტე-ციხე, რომელიც ითვლებოდა თეოდოსიოპოლში სურსათის საზიდავ გზად. ივერიელთა კურატპალატ ადარნასეს აღუთქვით: დაგითმობთ თეოდოსიოპოლს, თუ მას დაიპყრობთ. მაგრამ არც ადარნასე და არც ივერიელნი არ დათანხმდენ, ვინაითგან სიყვარული ჰქონდათ თეოდოსიოპოლელებისა და არც სურდათ აოხრებულიყო ეს ქალაქი. ივერიელებმა შემოუთვალეს რომანოზს: „თუ ამას ვიზამთ, შევირცხვენთ თავს მეზობლების—აფხაზეთის მთავრის, ვასპურაკანის

და სომხეთის გამგებლის-წინაშე, ვინაითგან ესენი იტყვიან, რომ იგინი იმპერატორის ერთგულნი არ არიანო. თუ გსურს, გამოგზავნე რამდენიმე მეომარი და ჩააყენე კეტე-ციხის თვალყურის საჭერად".

ამნაირად იყვრიელებმა არ მოინდომეს თეოდოსიოპოლის დაქცევა, პირიქით, ისურვეს სურსათი მიეწოდებინათ მისთვის, არ გაუგონეს ბერძნებს, არ დაანებეს ქალაქი კეტეციხე, თუმცა მიიღეს წერილობითი რწმუნება, რომ ამ ქალაქს უკანვე მიიღებენ თეოდოსიოპოლის დაპერის შემდეგ.

კურატპალატი ადარნასე დაბეჯითებით ითხოვდა ბასიანს ქალაქ აბნიკით და თავის უფლებას ამყარებდა ოქროს გუჯარზე, რომელთა პირები გამოგვიგზავნა თავის პროთოსპათარის ცურბანელის (ჩორჩანელის) აშოტის ხელით.

ჩვენმა ჯარმა რომ დაიპყრა თეოდოსიოპოლი და მისი არემარე, მაშინ მოვიდნენ ივერიელნი და დაიჭირეს ეს ქალაქი.

ბოლოს, არა ადრე 944 წლისა და არა უგვიანეს 951 წლისა, ბასიანის მიჯნად დაიდო არეზი (რახსი), რომლის მარცხენა კიდის აქეთი დაეთმო საქართველოს, ხოლო მარჯვენა —საბერძნეთს.

ადარნასეს დროს აშენდა ბევრი შესანიშნავი საყდარი.

1. **ბანა**. „მეფე ადარნასემ ააშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისათა". ეს კვირიკე იყო პირველი ეპისკოპოსი ბანელი, რომელს ექვემდებარებოდა ბანა, ტაოსკარი, ფანასკერტი, ნარუმაკი და ოლთისი. ვახუშტის სიტყვით, ბანა (ფანაქსი) არს მთაში, კეთილშვენიერს ადგილს. იგი გუნბათიანია, დიდი, შვენიერად ნაგები. ბანას ქვეით, კლდეზედ, აღმართულია ციხე ფანასკეტი, დიდშენი, მაგარი. იგი ეკუთვნოდა ციციშვილებს, რომელნიც განაგებდნენ ფანასკეტ-ოლთისის საერისთაოს. ბანას შორი-ახლოს არის კალმახის ციხე, ფრიად მაგარი, შეუალი, ტაოს ერისთავის საჯდომი. დაშთენილა ტყავზე (ეტრატზე) ნაწერი დიდი წიგნი, გადაწერილი ბასილის-მიერ ბანას ეპისკოპოზის ზაქარიას ბრძანებით.

2. **ეოშხი** არის თორთომის ხეობაში, თორთომის სი-მაგრის ახლოს, ველობის დაქანებულ კალთაზე, გარ-შემორტყმული მთებით, რომელთა კალთები ხილის ხეებით შემოსილია. ტაძარი დიდებულია და შვენიერი. მისი წარწერა გვაუწყებს: „ძალითა ღვთივ კურთხეულისა ადარნასე კურატპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმა იწყეს შენებად ამის წმ. საყდრისა და მე, გრიგოლ, ღირსვიქმენ შველად მათდა. მუშაობას უნდებოდა ყოველწლივ: 2000 დრაჰკანი, ღვინო 5000 დრაჰკნისა, რკინა 50 ლიტრა, პური 250 გრივი, მაშენებელნი იყვნენ 70, ქვას ეზიდებოდნენ 30 ხარით, ხოლო საბალავრო ქვები გრიგოლ-წმინდიდგან მოჰქონდათ 30 ჯორით და სხ. საქონლით“... აქ მოხსენებული ბაგრატი და დავით მეფე ადარნასეს შვილები იყვნენ, მათგან ბაგრატი გარდაიცვალა 945 წ., ხოლო დავითი 937 წ. ეოშხი აგებულია 927 წლ. წინად.

3. **ტბეთი** შავშეთშია და ასრე იწოდება ტბების-გამო: ტობა=ტაბა=ტბა. ერს ერქვა ტაბალი, ტობელი, ტბელი. აქ ძველადგანვე იყო ეკლესია, რომელიც გააახლა აშოტ-კუხმა († 918 წ.) და ეპისკოპოსად დასვა აქ ნეტარი სტეფანე, კაცი განათლებული (იხ. ქვემო). ტბეთის საყდარი დღემდის შენახულა. იგი მეტად შვენიერია, დიდებული. ტბეთის ეპისკოპოსს (ანუ ტბეველს) ემორჩილებოდა მთელი შავშეთი ანაკერტს აქეთ და ზემო აჭარა სოფ. დონდალოს ზემო. მეათე საუკ. აქ ეპისკოპოსად იყო იოანე მტბევარი, კაცი განათლებული და წმინდა. მას ტბეთისთვის შეუძენია ტყავზე ნაწერი დიდი კრებული. რომლის აშიაზე თავის ხელით წაუწერია: „ქრისტე, შეიწყალე მომგებნი წიგნისა ამის მამფალი იოვანე ტბევარი და მამაჲ თეოდორე. ამინ“. მისი ნაწერი სტიქარონები შეტანილია მეათე საუკ. ეტრატზე ნაწერს „საგალობელში“. თავისს სიცოცხლის უკანასკნელ ხანს იგი გადაყვანილ იქნა აწყურს, მიტრაპოლიტად. ტბეთის მამები მონაწილეობას იღებდენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც. ცნობილია

ტბეთის „სვეტი თავისუფლებისა“ (მისი ამბავი იხ: ბაგრატ IV-ის ცხოვრებაში).

ცნობები არაბის მწერლის ალ-ისტახრიდამ (ცხოვრ. 930 წლ.).

„სომხეთი, არრანი და ადრიბეჟანი შეადგენენ ერთს ოლქს. არრანის (რანის) უმთავრესი ქალაქებია ბარდავი, დარუბანდი და ტფილისი, ხოლო ამათზე მომცრონი ბაჲლაქანი (ბელაქანი), შემახია, შარვანი, შაბარანი (შაბურანი), ყაბალა, შაქი (ნუხი), შამქორი და ხუნანი. სომხეთის სატახტო ქალაქი დაბილია (დოვინი=დვინი), არრანისა—ბარდავი, ადრიბეჟანისა —არდებილი.

ბარდავი დიდი ქალაქია (სიგრძითა და სიგანით ფარსანგზე მეტი), საამური, აყვავებული, უხვი ნათესითა და ხილით. ამაზე აყვავებული და ლამაზი ქალაქი ერაყსა და ხორასანს, გარდა რეისა და ისპაანისა, არ არის არც ერთი. ბარდავის უბანი ანდარაბი სავსეა ბაღებითა და საბოსტნეებით. აქ მოდის უკეთესი ხილი, სხვათა შორის, კაკალი, რომელიც სჯობს სამარყანდისას, აგრეთვე წაბლი, სირიისაზე უმჯობესი, შვინდი და სხ. ბარდავიდამ გააქვთ დიდძალი აბრეშუმეული სპარსეთს და ხუზისტანს. აბრეშუმის ჰიას ჰკეებავენ ფურცლით ფურცლის ხეები საზოგადო კუთვნილებაა.

ბარდავის კარების ახლოს არის სავაჭრო მოედანი. ამ კარებს ჰქვიან „ქურთის კარები“, ხოლო სავაჭრო მოედანს ალ-კვირიკი, რომლის სივრცე მთელი ფარსანგია. აქ კვირაობით იყრება დიდძალი ხალხი. და ამიტომ თვით კვირა დღესაც ეწოდა კვირიკი: სთვლიან შაბათი, კვირიკი *), ორშაბათი და სხვა. მმართველის სასახლე შიგ ქალაქშია, ხოლო სავაჭროები —ქალაქ გარეთ.

ქალაქი ბაბ-ულ-აბვაბ (დარუბანდი) არის ტაბარისტანის

*) ორივე სიტყვები ქურთი (=ქურჯი) და „კვირიკი“ (კვირიაკე =კვირა დღე) მოწმობენ ქართველების გავლენას ბარდავში მირიანის დროითგანვე.

ზღვის პირზედ და იქვე ნავთ-საყუდელი. ნავთსაყუდელსა და ზღვას შორის გაყვანილია ორი კედელი. ნავთსაყუდელში შესასვლელი კარი ვიწროა და ჯაჭვ-გადაბმული. ნება დაურთველად შესვლა შეუძლებელია. კედლები ქვისა და ტყვიისაა. ქალაქის გარეშემო გალავანია. იგი ითვლება ნავთსადგურად დაღისტნისა და სხვა ქრისტიან ქვეყნებისა, აგრეთვე ქურჯანისა, ტაბარისტანისა, დილამისა. დარუბანდიდამ გააქვთ ტილოეულობა.

ტფილისი დარუბანდზე მცირეა. მის გარეშემო ორ-რიგი გალავანია, თიხისა, და სამი კარები აქვს. ეს ქალაქი ფრიად აყვავებულია, მდიდარი ხილითა და ნათესებით. იგი მიჯნაზე მდებარე ქალაქია. მასში არის აბანოები და იმ აბანოების წყალი ბუნებითვე ცხელია. (აქედგან გაჰქონდათო სავაჭროდ თაფლი, ხორბალი, ხალები, ნაქსოვები, ბამბა და სხ. შემდეგში აქვე ჰქონდათ არაბებს ობსერვატორია).

შამქორი, ხუნანი და სხ. მცირე ქალაქებია, მაგრამ აყვავებული და მდიდარი მამულებით. (ამათგან შამქორი ხალიფა ოსმანს დაუპყრა სალმან რაბიამ მე-VII საუკ. ნახევარს. შემდეგ დაანგრიეს იგი სავარდიელებმა. ბუღა თურქმა, რომელმაც აიკლო საქართველო, კვლავ ააშენა და დაარქვა მუთავაკილია *). შემდეგში იგი ისევ შამქორად იწოდა).

დაბილი (დვინი) არდებილზე დიდი ქალაქია. გარეშემო გალავანი არტყია. შიგ ბევრი ქრისტიანია. საკრებულო მეჩითი ეკლესიის გვერდითაა. ამ ქალაქში აკეთებენ მატყლის საცმელს და ხალებს, სასთუნლებს, საჯდომებს და სხვა ამისთანას აკეთებენ სომხები. იგინივე ამზადებენ საღებავს, რომელსაც ჰქვიან ყირმიზი. მით ღებავენ შალებს. აკეთებენ აგრეთვე აბრეშუმეულს. დაბილი სომხეთის მეფის აშოტის სატახტო ქალაქია. სასომხეთოს მიჯნები უწვდება ბერდამდე, ჯა-

*) ხალიფა მუთავაკილ-ჯაფარი (847—861).

ზირამდე (შუამდინარემდე) და ადრიბეჟანამდე. ტრაპეზუნტიდგან შემოაქვთ აბრეშუმეული, საცმელები და სხ.

ამ ქალაქებში დიდი იაფობაა. ზოგიერთგან ცხვარი იყიდება ორიოდ დირჰემამდე (=30 კაპ.), ხოლო 2—3 მანა. (4—6 გირვ.) თაფლი დირჰემად (=15 კაპ.).

ენა ადრიბეჟანსა, სომხეთსა და არრანს სპარსულია და არაბული, გარდა ქალაქ დაბილის (დვინისა): მის გარემოს ლაპარაკობენ სომხურად. ბერდაში იხმარება ენა არანული.

ყველა ამ ქვეყნებში იხმარება ოქროსი და ვერცხლის ფული.

ხაზარეთის (კასპიის) ზღვას არტყია ქვეყნები დეილამი, ტაბარისტნი, ჯურჯანი და სხ. ხაზარი ქვეყნის სახელია, იტილი სახელია აქაურ ქალაქისა და მდინარის, რომელიც ჩამოდის რუსსის (რუსის) და ბულგარის ქვეყნებიდამ. იტილი (აწინდელი აშტარხანი) იყოფება ორ ნაწილად: ერთი მდ. იტილის (ვოლგის) მარჯვენა ნაპირზეა, მეორე — მარ ხენაზე. მაჯს მეფეს ჰქვიან ბეკი ანუ ბაგი. იქ მრავალი მაჰმადიანი ამათ, როგორც ამბობენ, 30 მეჩითი აქვთ. მათი მეფე ებრაელთა სარწმუნოებას აღიარებს. ხაზარნი არიან მაჰმადიანნი, ქრისტიანნი და ურიანი. უმეტესობა მაჰმადიანობაა და ქრისტიანობა, თუმცა მეფე და მისი მახლობლები ებრაელნია. მათ ჩვეულებათა უმეტესი ნაწილი მომდინარეობს წარმართულ დროითგან. მათს მეფეს ჰყავს 12000 მეომარი და 7 მსაჯული, არჩეული ებრაელთა, ქრისტიანეთა, მაჰმადიანთა და წარმართთაგან. ესენი არჩევენ საქმეს და მეფე ამტკიცებს მათს გარდაწყვეტილებას.

ხაზართა ენა არ ჰგავს თურქულს, არც სპარსულს. ხაზარებს აქვთ აგრეთვე ქალაქი სემენდერი, საცა იზრდება ვენახი.

ერი სერირისა (დაღისტნისა) ქრისტეანია (მასუდის გადმოცემით, არაბებმა რომ დაამარცხეს სპარსეთის მეფე იეზდიგერდი, იგი გაიქცა ხორასანისკენ. მას წინ უძღოდა ბარამ ჩუ-

ბინი *), რომელსაც მიჰქონდა ყაენის ტახტი (სერირი). ყაენი შოკლეს ხორასანს, ბარამმა კი მოაწია დაღისტანს, გამეფდა და იწოდა სახიბ-ას-სერირ, და ამის გამო მის ქვეყანასაც დაერქვა სერირი). ხაზარების უმთავრეს გამგებელს ჰქვიან ხაყანი.

შენიშნ. ფრიად საყურადღებოა არაბთა მწერლების ცნობა შესახებ იმისა, რომ დაღისტანი მის გამაჰმადიანებამდე, საქრისტიანო ქვეყანა იყო. ეს არ ეწინააღმდეგება ქართულ წყაროების ჩვენებას შესახებ დაღისტნის ქრისტიანობისა. დაღისტნის შუაგულში, ხუნძახის ახლოს, არის სოფელ, დათუნას, საყდარი ქართულის წარწერით. ქართულივე საყდრები აღმოჩნდა საჩეჩნოს, ყაბარდოს და სხ. საჩაჩნოს საყდარს, ასსის ხეობაში, აწერია: „ქრისტე, ადიდე აღმაშენებელი ტაძრისა პატრონი დავით“ (ერისთავი ასსისა?). „უფალო, აკურთხე ეპისკოპოსი გიორგი· ქკნ ნ“ (=830 წ.). „მეუფეო საბაოთ, შოიხსენე ეპისკოპოსი გიორგი“. არის ცნობა, რომ ქრისტიანობა ამ ქვეყნებში (ყვარელს, თუშეთს და დაღისტანს) მოჰფინეს მეფე ტირიდატმა და ნეკრესის ეპისკოპოს აბიბოსმა. თუ დაეჯერება თეიმურაზ ბატონიშვილს, მაჰმადიანობას ფეხი მკვიდრად ვერ მოუკიდნია დაღისტანში მე-XIV საუკუნემდე. იგი სწერს: „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მოზრახნი და ქრისტიანენი· ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვიდნენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურლანგამდე (გამოჩნდა 1387 წ.), რომელმანცა დაიპყრა იგინი, მიაქცივნა მრავლისა ტანჯვითა ლიქნითა და წყალობითა, დაუდგინა არაბნი მოლანი... არიან ლეკთა შორის ძველად ნაშენები ეკლესიები და მონასტერნი,—რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, განა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი—უქმად, რომელნიმე მიზგითებად (მეჩითებად) მათდა შეცვალებულნი“.

*) 691 წ.

თავი VI

საქართველოს გაერთიანების წინა-დრო.

ქართველთა მეფეებს შიში ჰქონდათ აღმოსავლეთისა, საიდგანაც მუდამ ემუქრებოდნენ ადრიბეჟანის მმართველები, და აგრეთვე დასავლეთისა, საიდგანაც საქართველოს წასალეკად მოდიოდნენ ბერძნები, არაბები და აფხაზნი. ეს გარემოება მეფე-კურატპალატებს ნებას არ აძლევდა ერთსა და იმავე დროს ებრძოლათ აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც, ხშირად სამეფოს შუაგულშიაც, რომელსაც აგრეთვე მოსვენებას არ აძლევდნენ შინაურნი მტერნი. ამისგამო გარდაცვალებულ მეფე ადარნასემ მონაწილეობა ვერ მიიღო იმ ომში, რომელიც გამოიწვია კახეთის ქორიკოზმა კვირიკე 1-მა (893—918).

ამ კვირიკემ აფხაზეთიდამ მოიწვია მეფე კოსტანტინე; შეესიენენ ცერეთს და შემოერტყნენ ვეენის ციხეს, რომელშიაც გამაგრებულიყო აქაური მეფე ადარნასე პატრიკი. კოსტანტინე მოადგა ციხეს ზემო მხრიდგან, კვირიკე—ქვემო მხრიდგან. ებრძოლნენ დიდხანს და ბოლოს მისწურეს ციხის ძალა. ადარნასე დამორჩილდა: კოსტანტინეს დაუთმო ციხე-სიმაგრეები არიში და გავაზნი, ხოლო კვირიკეს—ორჭობი. მერე დაზავდნენ და გაიყარნენ.

დაბრუნებისას კოსტანტინე მეფე მივიდა ალავერდს, ილოცა, წმ. გიორგის ხატი შემოსა ოქროთი, მერე მივიდა კვირიკესას, მისი სტუმრობა და პატივისცემა მიიღო და დაბრუნდა აფხაზეთს.

მალე ამის შემდეგ კახეთში გამეფდა ფადალა (918—929), რომელმაც ააგო ციხე ლოწობანს. კახეთის გაძლიერებას მტრულად უყურებდა ადრიბეჟანის ზემოხსენებული მმართველი უსუფ აბუ-საჯისძე. ეს, ალბად, ჰერეთის პატრიკის ადარნასეს მოწვევით, შემოვიდა კახეთს, მოსტყვენვა ქვეყანა, დასწვა ჯვარი, მცხეთა და დაბრუნდა ბარდავს და თან წაიღო ნადავლი და ნაცარცვი, სხვათა შორის, ჯვარი-პატიოსანიც.

ფადალა და კოსტანტინე მეფე კვლავ შეერთდნენ და შევიდნენ ადრიბეჟანს. ალბად, მათთან იყო სომხეთის მეფე აშოტიც, უსუფ საჯისძის დაუძინებელი მტერი. იქ გაემარჯვათ (921 წ.), მტერს ფალავნები დაუხოცეს და დაბრუნდნენ.

სომხეთის მეფე აშოტმა გაამაგრა ანისი და შიგ ჩადგა. მისი ქვეყანა აკლებულ იყო უსუფისაგან, რომელიც კვლავ ემუქრებოდა მეფეს, კვლავ აპირებდა შემოსევას, აოხრებას, დარგრევა-დაქცევას. მაგრამ ხალიფამ იგი დაიბარა ბაღდადს და აშოტს მიეცა შვება, აგრეთვე მის მემკვიდრეებს: აბას II-ეს (928—952), აშოტ III მოწყალეს (952—977) და სხ.

ამავე წელს (921) გარდაიცვალა აფხაზთა მეფე კოსტანტინე და მის შვილებ შორის—ბაგრატსა და გიორგის—ასტყდა უწყალო ბრძოლა მამისეულ ტახტის დასაჩემებლად. შუღლი და მტრობა დასრულდა მხოლოდ წლის თავზე (922 წ.) ბაგრატის მოკვლით და გიორგის გამეფებით.

მატიანის სიტყვით, აფხაზთა მეფე გიორგი II (922—955) „იყო სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა, იყო ღვთისმოყვარე, მაშენებელი ეკლესიებისა, მოწყალე გლახაკთა, უხვი, მდაბალი, სრული კეთილითა და სათნოებითა“. მან კეთილად განაწყო სამეფოს საქმეები, აგრეთვე ააშენა ჭყონდიდის საყდარი და აქ დაადგინა ეპისკოპოსი—ჭყონდიდელი.

ჭყონდიდი (=მუხა-დიდი) ერთი უდიდებულესი და უშვენიერესი საყდარია საქართველოში. იგი, დუბუას სიტყვით, აშენებულია საწარმართო დროინდელ საკერპოს ადგილას: მის ასაგებად ზოგი მასალა საკერპო ტაძრისა უხმარიათო. ეს დაუჯერებელი არ არის: კოლხეთის მეფის აეთის სალოცავ ჭალაკში იყო საღრმთო მუხა, რომელზედაც ეკიდა ოქროს საწმისი. აქვე იყო მეომრობის ღმერთის არეს ტაძარი. საქართველოს სიძლიერის დროს ჭყონდიდლებს ეჭირათ საპატიო თანამდებობა: მწიგნობართ-უხუცესობა. ამას გარდა, იგი-

ნივე მოახსენებდნენ ხოლმე მეფეს ქვრივებისა, ღარიბთა და გაჭირებულთ თხოვნას.

აღარნასე II-ის გარდაცვალების შემდეგ (923 წ.) გამეფდა მისი შვილი სუმბატი, მაგრამ იგი უფრო მოქმედებდა დასავლეთ საქართველოში (კლარჯეთში) და ქართლის საქმეებს ყურადღებას ვერ აქცევდა. მაგიერად აქ ბატონობდა აფხაზეთის მეფის გიორგის შვილი კოსტანტინე II, რომელიც ქართლს ერისთავად დაედგინა მისს მშობელს.

კოსტანტინე სამი წლის (923—926) განმავლობაში ემორჩილებოდა მამას, შემდეგ კი აუტეხა ბრძოლა: გიორგი მეფის დამხობა და მის ტახტის დაჭერა უნდოდა. კოსტანტინე გამაგრდა უფლისციხეში. გიორგიმ მოიშველია ტბელნი, აზნაურნი და ფადალა ქორიკოზი, მოვიდა და შემოერტყა უფლისციხეს. გაიმართა ბრძოლა ულმობელი, ცხენოსნებისა და ქვეითებისა. დიდხანს იბრძოლეს და ვერ აიღეს ციხე. გიორგი მეფის დარიგებით აზნაურ საზვერლებმა საიდუმლოდ ინახულეს კოსტანტინე და მოახსენეს: „გამო ციხიდგან, ჩვენ წაგიყვანთ აფხაზეთს, მეფედ დაგსომთ და მამა შენი კი სამეფოს გარე დარჩებაო“. კოსტანტინემ დაიჯერა, თუმცა საკუთარი აზნაურები აფრთხილებდენ: ნუ ენდობიო.

უფლის ციხე კვერნაქის მთა-კლდეში ნაშენი ქალაქია, მაგარი, მიუდგომელი. ერთის მხრივ მას ჩამოუდის მტკვარი. ქალაქიდამ მტკვრამდის ჩამოდის გრძელი გვირაბი. კოსტანტინე ამ გვირაბით ჩამოვიდა, შედგა ტივზე და, ის-ის იყო უნდა გაეცურა, რომ გიორგის მეომრები მოცვივდნენ მის შესაპყრობად. ჯერ ისევ ღამე იყო. კოსტანტინე მიხვდა, რომ ულალატეს. ტივი დაეშო დაბლა და იგი იქვე, ქალაქის ახლოს, კლდის ნაპრალში მიიმალა. შეიქმნა ხმაურობა, გამოვიდა გიორგი მეფე ლაშქრით და ქალაქში შესასვლელი გვირაბი და ბილიკები შეჰკრეს. დილას იპოვნეს კოსტანტინე, მიჰგვარეს მეფეს, რომელმაც შვილს თვალები დასწვა, მერე გამოასაჩურისა და მოკლა.

ამის შემდეგ ფადლასძეს კვირიკე Π-ეს (929—976) გაუდგნენ გარდაბანელნი და მიჰმართეს აფხაზთა მეფე გიორგის. იგი შევიდა კახეთში, მოსწვა, ასწყვიდნა, დაბრუნდა ატენს. ქართლს ერისთავად დაადგინა თავისი შვილი ლეონი, და ბრძანება გასცა, შეყრილიყო ლაშქარი კვლავ კახეთში შესასვლელად. კვირიკე ქორიკოზი შეშინდა და მოვიდა მისს წინაშე, მაგრამ მერე ისევ გაიპარა. გიორგიმ გასწია კახეთისკენ, რომ შეიპყრას ქორიკოზის დედა-წული. კახეთის მიჯნაზე მოეგება მას ქარიკოზის ძმა შურტა და დაუთმო უჯარმა. გიორგიმ დაიპყრა სხვა ციხეებიც, გარდა ბოჰორმისა, ნახჭევნისა და ლოწობნისა, რომელშიაც იდგა იოანე არშისძე. ამ იოანეს ძმას ხახუა არშისძეს ეჭირა ციხე მარანი. ესეც მედგრად იცავდა თავისს ციხეს, მაგრამ მეფის ლაშქარმა აიღო. ხახუა მეფემ წარგზავნა ჯიქეთს.

ნახჭევნის ციხეში გამაგრებულიყო თვით ქორიკოზი კვირიკე. როდესაც შეამჩირვეს იგი, გამოვიდა და ციხეცა და კახეთიც დაულოცა გიორგი მეფეს, მხოლოდ ითხოვა: ერთის წლით აქვე დამტოვეთო. მზევლად გამოართვეს შვილი დავით და ქორიკოზი გაანთავისუფლეს.

მეფე რომ დაბრუნდა იმერეთს, ქართლის თავად-აზნაურებს გაუხარდათ. გიორგის გაძლიერება თავიანთ უფლებათა დამცირებად მიაჩნდათ. შეითქვნენ გოდერძი, მამა ყანჩიელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და იოანე სხვილოსელნი. სარა და გრიგოლ ფხვენელნი და 50 სხვა აზნაური, განუდგნენ გიორგი მეფეს, მიერთნენ კვირიკეს, აფხაზებს წაართვეს კახეთის ციხეები და კვირიკე ისევ გაამეფეს.

გიორგიმ ლეონი გაგზავნა კახეთს. ამ შვენიერ ქვეყნის წვა-ბუგვაში იყო ლეონი, რომ მაძის გარდაცვალების ამბავი მოართვეს.

ლეონმა ბრძოლას შერიგება არჩია. ბაზალეთის ტბის პირს თითო ცხენით გამოვიდნენ ლეონი და ქორიკოზი კვირიკე, მთელი დღე იუბნეს, ლეონმა სიყვარული გამოუცხადა,

დაჰპირდა—შენს შვილს დავითს ჩემს ქალს მივათხოვებო. გაუხარდა კვირიკეს, თაყვანისცა და გაიხტუმრა. მაგრამ ჯვარდაწერილი შვილი დავითი რომ მოუვიდა და ამ დავითს ცოლი მოუკვდა, ლეონი ისევ გადაეკიდა კვირიკეს. მოვიდა დიდის ლაშქრით არაგვისპირს, ასწყვიდა მუხრანი, ხერკი (საგურამო) და ბაზალეთი, მაგრამ კახეთის დაპყრობა ვეღარ დაასრულა: დასნეულდა, დაბრუნდა და მოკვდა.

ლეონმა აფხაზეთში, მოქვის-მდინარის ნაპირზე, ააშენა მოქვის საყდარი, ბუნბათიანი, დიდშენი, დანდობილი თლილის ქვის მაღალ სვეტებზე. აქვს თეთრი მარმარილოს იატაკი. საყდრის წინ სამრეკლოა, მის მარჯვნით—მოქველ ეპისკოპოსების სადგომი. მოქვის ეპისკოპოსს ლეონმა დაუმორჩილა კოდორსა და მოქვის მდინარეს შორისი სამწყსო.

მეორე საყდარი, საეპისკოპოსოვე, ლეონმა ააშენა ჯავახეთის სოფელ კუმურდოს. მისი წარწერა: „შეწევნითა ღვთისათა, იოანე ეპისკოპოსმან დაუდვა საძირკველი ამა ეკლესიასა ჩემ ცოდვილისა საკარისითა ლეონ მეფისა ზე—ადიდენ ღმერთმან—ქორონიკონსა 964, თვესა მაისსა დღესა შაფათსა 1-სა მთოვარისსა, ერისთვობასა ზვიასსა, ესე ბალავარი მან დადვა. ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა ამინ".

ვახუშტი ლეონის სიკვდილის წლად აღიარებს 957-ს, მაგრამ კუმურდოს წარწერიდან ცხადად სჩანს, რომ ხსენებული მეფე 964 წელსაც ცოცხალი ყოფილა. ზვია (=ზვიადი) იყო ზემოხსენებულ ლიპარიტ ორბელიანის ძე და ძმა რატისა (იხ. გვ. 319).

ამ ხანს ცერეთში მეფობდა იშხანიკი, ზემოხსენებულ პატრიკის ადარნასეს ძისა და ამის მეუღლის დინარ დედოფლის შვილი. ეს დინარი აშოტ დიდის ჩამომავალი იყო *). ცე-

*) აშოტ დიდი († 826 წ.)
|
ადარნასე
|

რეთის მცხოვრებნი აქამომდე მონოფისიტნი (სომხის სარწმუნოებისანი) იყვნენ. დინარ დედოფალმა და მისმა შვილმა თვისნი ქვეშევრდომნი მართლმადიდებლად მოაქციეს, მაგრამ, ალბად, არა ყოველნი: ქიზიყში დღესაც ბევრნი არიან მონოფისიტნი, თუმცა მათი ენა, ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, ტან-მოყვანილობა ისეთივეა, როგორც დანარჩენ მართლმადიდებელ ქიზიყელებისა.

Ცერთა მოქცევას, ალბად, ხელი შეუწყო არსენი ვაჩეს ძემ, საქართველოს კათალიკოზმა, თავის შესანიშნავ თხზულებით—„განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“. არსენის მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ სომხები თანდათან როგორ დაშორდნენ მართლმადიდებლობას და ამის გამო რამდენი უბედურება დაითმინეს და როგორ დაჰკარგეს პოლიტიკური თავისუფლება. 934 წელს ეს არსენი შიო მღვიმის მონასტერში შრომობდა, სწერდა „დოღმატიკონს“, ხოლო კათალიკოსობა მიიღო 946 წ. და მამადმთავრობდა 976 წლამდე. მამა მისი ვაჩე მესხი იყო, „სანახებთაგან საფარისა“.

ბრძოლა არტანუჯის გამო. დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთს, დიდი ბრძოლა იყო არტანუჯის დასაჭერებლად.

ეს ბრძოლა გამოიწვია, როგორც კოსტანტინე ძოწითმოსილი ამბობს, „საქართველოს უდიდეს“ მეფის სუმბატის († 889 წ.) ძემ ბაგრატ მამფალმა. სუმბატის სიკვდილის შემდეგ არტანუჯს ფლობდა მისი ძმა გურგენ-მამფალი. კურატპა-

---

გურგენ მამფალი. აშოტ კეკელა. სუმბატ მამფალი

აშოტ კუხი († 918 წ.) ადარნასე († 898 წ.)

დავით. გურგენ († 941 წ.) დინარ ადარნასეს ძის ცოლი 915 წ.-თვან)

იშხანიკ (Ცერეთის მთავარი).

ლატი. ბაგრატი წაედავა ბიძას, მოიწვია ქართლის მეფეადარნასე, შეება, შეიპყრა და მოკლა (891 წ.).

ბაგრატ მამფალი რომ კვდებოდა († 909 წ.), არტანუჯი დაიჭირა მისმა შვილმა გურგენმა. ეს უძეოდ მოკვდა (923 წ.) და არტანუჯს დაუპატრონდა მისი ძმა აშოტ-კისკასი. ამასაც განუდგა მისი სიძე გურგენ-მაგისტროსი, წაართვა არტანუჯი და მის მაგიერ სიმამრს მისცა ტიროკასტრუმი და ქვეყანა, რომელიც ირწყვის აჭარის ხევით. მაგრამ აშოტს მოეშველა მისი სიძე, აფხაზთა მეფე გიორგი; გურგენმა ისიც დაამარცხა, აშოტს ყოველივე წაართვა და განდევნა.

გურგენი მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა უშვილოდ. არტანუჯი დარჩა მის ცოლს, აშოტ კისკასის ქალს. მოვიდნენ აფხაზთა მეფე გიორგი, ქართლის მეფის სუმბატის ძმები აშოტ კურატპალატი და ბაგრატ მაგისტროსი და უთხრეს აშოტის ასულს: „შენ, როგორც დედაკაცს, ნება არა გაქვს, იყო ამ ქალაქის მფლობელი“. არტანუჯის მომიჯნაველ იყო სამფლობელო აშოტ-კისკასის ბიძაშვილის სუმბატისა. ამან შეიერთა არტანუჯი და აშოტის ქალს კი მიუბოძა რამდენიმე სოფელი.

არტანუჯი მეტად მაგარი და მიუდგომელი ქალაქი იყო. მას ვაჭრობა ჰქონდა ტრაპეზუნტთან, ივერიასა და აფხაზეთთან. იქ მოდიოდნენ სავაჭროდ სომხეთიდგან და სირიიდგანაც. არტანუჯის ქვეყანა იყო ვრცელი, ნაყოფიერი და ითვლებოდა ივერიასა, აფხაზეთსა და მესხეთში შესასვლელ კარად.

აშოტ კისკასმა იწყინა, რომ მისს ქალს გამოსწირეს არტანუჯი. იგი ეძებდა შემთხვევას, დაესაჯა მტრები. მაგრამ რომ ღონე არა ჰქონდა, ხერხი იხმარა.

საქართველოს მეფე ადარნასე II რომ გარდაიცვალა (923 წ.), მისი შვილები (სუმბატ, აშოტ, დავით და ბაგრატ) და ამათი ბიძაშვილი გურგენი წაიჩხუბნენ, ამ უკანასკნელმა თავისი უპირველესი მოხელე გაგზავნა კოსტანტინეპოლს დი-

დის საჩუქრებით და იმპერატორისაგან გამოითხოვა კურატ-პალატობა ანუ მაგისტროსობა. იმპ. რომანოზმა შეიწყნარა მისი თხოვნა და პატრიკ კოსტანტს, გემების უფროსს, გამოატანა გურგენისთვის სამაგისტრო საცმელი.

ამასობაში აშოტ კისკასმა იმპერატორს გაუგზავნა ბერი აღათია და შეუთვალა: „არტანუჯი შენთვის დამითმია. გამოგზავნე ვინმე, ჩაიბაროს“. რომანოზ იმპერატორს, რაღა თქმა უნდა, გაუხარდა, რომ ერთი უდიდებულესი სიმაგრე უსისხლოდ ეთმობოდა; ფიცხლავ მოსწერა ზემოხსენებულ კოსტანტს, რომელიც ჯერ ისევ ნიკომიდიაში იყო, წაეყვანა სანდო თავადები ხალდიიდამ *), შესულიყო არტანუჯს და დაეჭირა იგი.

კოსტანტი აჩქარებით მოვიდა საქართველოს. მაგრამ გზაზე დაუხვდა სუმბატის ძმა დავით ადარნასესძე და ჰკითხა: „საით მიდიხარ, რად გამოგგზავნა იმპერატორმა და რად მოგყავს ამდენი მეომრები?“ კოსტანტმა იცრუა, გზა მისცეს და შევიდა არტანუჯში. აშოტმა საიმპერატორო ალამი აღმართა არტანუჯის კედელზე. კოსტანტმა „მრავალ-ჟამიერი“ უგალობა იმპერატორს და საჯაროდ გამოაცხადა: „აშოტ კისკასმა ქალაქი არტანუჯი იმპერატორს აჩუქა“.

შეიტყეს-რა ესრეთი ღალატი, აშოტის ძმა დავითი და გურგენ მაგისტროსი დაემუქრნენ იმპერატორს წერილით: „თუ თქვენი დიდებულება ამას იკადრებს და მობრძანდება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ალარ დაგემორჩილებით, შევერთდებით სარკინოზებთან, იძულებული ვიქნებით, ვიბრძოლოთ ბერძნების წინააღმდეგ, ჩვენს ჯარს შევიყვანთ არტანუჯსა და საბერძნეთს გამოვილაშქრებთო.

ცბიერმა იმპერატორმა დაამშვიდა ქართველები: „მე სრულიადაც არ მიმინდვია კოსტანტისთვის არტანუჯის დაპერა,

---

*) ქვეყანა ხალადი ანუ ხალდა—„მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა“ (ქართლ. ცხოვ., გვ. 215) (ნახე რუკებში).

ეს მას თავის სულელობით ჩაუდენია". თვით კოსტანტსაც უსაყვედურა და უკანვე გაიწვია. რომ უკმაყოფილო ქართველების გული მოეგო, მეფე ადარნასეს შვილს აშოტს, მეფე-კურატპალატის სუმბატის ძმას, კურატპალატობა მოუბოძა, ხოლო საქართველოს კურატპალატს დაუმორჩილა ივერიელებისავე ქვეყნების ბერეზიახის, კარნატის (არზრუმის), ყველისციხის და აჭარის მმართველები, და ესრეთი განკარგულება იმპერატორისა ეცნობათ კათალიკოსებს სომხეთისას, ივერიისას და ალბანიისას.

ამტკიცებენ, რომ არაბთ მწერალი მასუდი იგულისხმებსო მეფე სუმბატს († 958 წ.), როდესაც იხსენიებს სენფატს, მეფეს დიდის საქრისტიანო ერის ჯუზისა ანუ ჯურზისა (ქართველების), აფხაზთა და ალანთ მეზობლებისას.

სუმბატს აუგია რამდენიმე საყდარი:

დოლის-ყანა, ართვინის ოლქში, დიდებული საყდარია, შვენიერი. მის კედელზე გამოსახულია ღვთის მვედრებელი მეფე სუმბატი წარწერით: „ქრისტე, ადიდე მეფე ჩვენი სუმბატ მზე-გრძელობით". საყდრის წინა კედელზე გამოქანდაკებულია ,,მზის საათი'' ხუცური ასოებით დროს საჩვენებლად.

თვით დროს თვლაც ამ დროს კარგად ცნობილი ყოფილა. დაშთენილა 941 წელს ტყავზედ გადაწერილი წიგნი, რომელშიაც არის ვრცელი წერილი: ,,ცნობა და უწყება გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა, თვეთა და დღეთა, მცხრალისათვის, დღისა საძიებელისა, შვიდეულისათვის და ნაკთა, მთვარისა ზედნადებისა, ხუთეულისა და ექვსეულისათვის". მასშივე მოყვანილია წირვისა და ლოცვის საკითხავების დროჟამის განსაზღვრა, კალანდობა ანუ წინასწარმეტყველება, თუ როგორი იქნება მთელი წელიწადი, როდესაც 1-ლი იანვარი დადგება ორშაბათს ანუ სამშაბათს და სხ. დღეებს.

ოთხთავები. სუმბატის მეფობას ეკუთვნის ჯრუჭის მონასტრის ძვირფასი სახარება, ტყავზედ გადაწერილი 936 წელს. ამაზედ უძველესი თარიღიანი სახარებებია: ათონისა 913 წლ.

და ადიშისა (სვანეთისა) 896 წლ. ამათზე უძველესად დ. ბაქრაძეს მიაჩნია ურბნისის სახარება, გადაწერილი იოანე ტატანელის-მიერ. სამწუხაროდ თარიღი გადალეულია და ამიტომ ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ეს სახარებაც მეათე საუკ. უნდა იყოსო. ამ უკანასკნელ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ სახარების ტექსტი გადაწერილია ასომთავრულით, ხოლო სახარებათა შინაარსი—ნუსხურით. ვფიქრობთ, რომ ეს სახარება, როგორც დაუუოფელი თავებად და მუხლებად, უნდა გადაწერილი იყოს ძველის, მე-IV—V საუკ. დედნიდამ და ამ ხანებში კი ჩვენში ტრიალებდა სახარებები ვახტანგის დედის სანდუხტისა, თვით ვახტანგისა და, ჩვენის აზრით, წმ. ნინოსიც, რომელიც საქართველოში უსახარებოდ არ მოვიდოდა (იხ. გვ. 157).

ამავე ხანს ბრწყინავდნენ სტეფანე მტბევარი, სასულიერო მგოსანი მინჩხი, გამოჩენილი დაჩი და სხ. (იხ. შემდეგს თავში).

დაშთენილა ამავე დროის (909—941 წლ.) გუჯრის პირი, შეტანილი მე-XIII საუკ. გუჯარში. მაშინ, როგორც ჩანს ამ გუჯრიდამ, ხმარებაში ყოფილა ფული (=საფასე) ოქროსი ჰულჰულა ანუ პერპერა, ვერცხლისა—თეთრი. ფულის შესანახ სახლს რქმევია სახაზინო. ფული ხშირად ლიტრობით ურწყავთ ანუ უწონიათ (,,მომიწონეს 30 ლიტრა ოქრო, 30 ლიტრა ვეცხლი'') და ანუ უთვლიათ (,,და მომცეს 10,000 პელპელი''). სცოდნიათ: ოქრო-ქსოვილები—სტავრება (,,და მომცეს 10000 სტავრა''), ლაგამ-უნაგირის შემკობა თვლებით (,,და მომცეს ლაგამი მარგალიტის ძირით, უნაგირი ხუთასად და ცხენი სამასად''), ჯორის საკმაზი ყოფილა ,,პალარ-კურტამი'' (ფალან-კურტანი). საბატონო თუ სამონასტრო ბეგარი ყოფილა: დღე ანეული, დღე სამკალი, დღე სალეწავი, დღე (წელიწადში ერთხელ) ნადირობა ქორით, მეძებრით, მწევარით. ღალა: 10 გრივში (საწყაოში) 9 ,,პატრონისა'' და 1—მუშა კაცისა. ამ მუშებსვე კაცის თავზე ორ-

ორი ჯამი შეჰამანდი, ორორი ჰური, ორორი ჰირი ღვინო. ხელოსნები: მოლარე, მეულუფე, მეჯინიბე, მესაბანჯრე, მეგოდრე, მეჯამე. კანონიერად მიცემული გუჯარი (მეფის ხელმოწერილი და დაბეჭდილი) გუჯრის პატრონს ანთავისუფლებდა ,,მეფეთა და დედოფალთაგან'', ,,უფალთა და დიდებულთაგან'', ,,აზნაურთა და მათთა ცოლთაგან'', ,,მოლარეთა, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა და მეჯამეთაგან და დარბაზით გამოსულთა ხელოსანთაგან". თუ გუჯრის პატრონს ვინმე შეაწუხებდა, ღნდ› სასჯო კარს მიეტანა გუჯარი (.,თუ ვინმე გაწყენდეს და არვინ რას გაგიგონებდეს, სასჯოს კარს მიიხუნით'').

თავი VII.

საქართველოს გაერთიანება —„ბრწყინვალე ხანას“ დასაწყისი.

მეცხრე საუკუნ. დასასრულიდგანვე საქართველომ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, იწყო გაძლიერება პოლიტიკური და განვითარება გონებრივი. ეს საერთო მისწრაფება უმეტესად გადიადდა მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდამ, იმ ხნიდგან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მეფე დავით კურატპალატი და მისი თანამოაზრე ერისთავი ქართლისა იოანე მარუშიძე. ამათი გულითადი სურვილი და მისწრაფება იყო გაერთიანება საქართველოისა, მთელის ივერიისა. მათს ლტოლვილებას, მათ პირად ღირსებას გარდა, რასაკვირველია, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამდროს არაბნი მოუძლურებულიყვნენ; თვით საქართველოს სამეფო გვარეულობის ფრიად გამრავლებულნი წევრნიც უშვილოდ იხოცებოდნენ და ამისგამო მრავლად დანაწილებული სამეფო უფლება თანდათან ისევ ერთდებოდა, დიდდებოდა, ძლიერდებოდა, და ამასთანავე იზრდებოდა ძლიერება, რიხი და შემოქმედობა ქვეყნისა, სრულიად საქართველოისა.

დავითის დროს ჯერ ისევ იყვნენ ბევრი მეფეები, კურაპალატები, მთავრები და მცფეთ-მეფეებიც, მაგრამ მხოლოდ სახელით, ნამდვილად კი კურატპალატიცა და მეფეთ-მეფეც იყო მხოლოდ ეს დავით დიდი, ძე ადარნასე კურატპალატისა, მამობილი ბაგრატ III-ისა *).

---

*) შთამომავლობის შტო ბაგრატიონებისა:

ა) აშოტ დიდი († 826 წ.)

ბაგრატ I (826—876). ადარნასე. გურამ († 883)

დავით I (876—881). აშოტ († 885). ადარნასე († 874)

თვით დავით დიდიც უშვილო იყო და თავისს მემკვიდრედ ზრდიდა ბაგრატ III-ეს.

ადარნასე II (881—923)

|

სუმბატ († 958). აშოტ კურატპ. († 954). დავით (937) ბაგრატ († 945)

|

ადარნასე († 966)

|

ბაგრატ († 969), დავით († 966)

დავით რეგენტი († 994. ადარნასე კურატ. (983)
ანუ ბაგრატ II

|

გურგენ მეფეთ მეფე სუმბატ
(† 1008 წ.) კურატპ.
(† 992 წ.)

დავით III მეფე-კურატპ.
(† 1001 წ.)
(მამობილი ბაგრატ III-ისა).

|

ბაგრატ III
(980—1014)

ბ) გურგენ არტანუჯ-კალმახელი, აშოტ დიდის ძის ადარნასეს ძე († 891)

|

ადარნასე ერის.-ერის. († 898). აშოტ კუხი († 918)

|

დავით ერის.-ერ., გურგენ ერის.-ერ. (941). დინარ (ბერეთის დედოფ.)

ბ) სუმბატ მამფ. († 889), აშოტ დიდის ძის ადარნასეს ძე. მისი ძმა [აშოტ კეკელა.

|

დავით მამფალი არტანუჯელი († 943). ბაგრატ მამფალი არტანუჯელი.

|

სუმბატ († 988).

|

დავით († 988). ბაგრატ არტან. († 988)

|

გურგენ კურატ. († 1012). სუმბატ († 1011)

|

დიმიტრი

|

ბაგრატ

საქართველოს მიწა-წყალი მაშინ ხუთ უმთავრეს სამეფოდ იყოფებოდა: ა. არტანუჯ-კლარჯეთი ეჭირა დავით მეფე-კურატპალატს, ბ. ათხაზეთს ფლობდა დემეტრე გიორგისძე, გ. ქართლს მეფობდა ბაგრატ II (958—994), დ. კახეთს ქორიკოზობდა კვირიკე II († 976 წ.) და ე. ჰერეთს მეფობდა იშხანიკ ადარნასე პატრიკისძე.

დავით დიდი, მემატიანის სიტყვით, იყო მეფე ,,ღვთის-მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, დავრდომილთ შემბრალე, მდაბალი, მშვიდი, ძვირუხსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთმოყვარე, ფიჩვოსანთ (ბერების) მოყვარე, ყოველთა კეთილისმყოფელი, სავსე ყოვლითა კეთილითა‘‘.

ამასვე ამბობს სომხის ისტორიკოსი ასოღიკ: ,,სიტკბოებით და მშვიდობის მოყვარეობით, სწერს იგი დავით დიდის შესახებ, ეს მეფე აღემატებოდა ყველა ხელმწიფეებს, რომელნიც ჩვენ დროს ცხოვრობდნენ. დავითი იყო მიზეზი მყუდროებისა და კეთილწესიერებისა მთელს აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან აღმოჰკვეთა ომიანობა, რომელიც ატეხილი იყო ყოვლის მხრით, და სძლია ყველა გარეშე მტრებს, ასე რომ ყველა ხელმწიფეები თავიანთ ნებაყოფლობით ემორჩილებოდნენ მას‘‘.

9 5—975 წლებში აღმოსავლეთის ყურადღება მიიპყრო ბერძენთა და არაბთ შორის ამტყდარ ბრძოლამ. ბერძენთ მხრივ ამ დიდებულ ბრძოლის ხელმძღვანელნი იყვნენ იმპერატორები ნიკიფორე-ფოკა (963—969) და იოანე ჩიმიშკი (969—975); ეს უკანასკნელი ჩამომავლობით სომეხი იყო და

დ) ბაგრატ მამფალი აშოტ დიდის ადარნასეს ძის სუმბატის ძე († 909)

აშოტ კისკასი († 939). დავით ერის.-ერის († 908).

[ადარნასე († 945). გურგენ ერის.-ერის. († 923)

აშოტ კურატპ. († 952). დავით მაგისტროსი. ბაგრატ მაგისტროსი გურგენ ერის.-ერის. († 966)

ამიტომ მას დიდ შემწეობას აძლევდნენ აღმოსავლეთის მართლმადიდებელნი. ნიკიფორემ საზარლად დაამარცხა არაბები, აიღო მოფსუეთი, ტარსი, ანტიოქია და სირიასა და კილიკიაში მტერს წაართვა ასზედაც მეტი ქალაქი. 200,000 მაჰმადიანთაგან ბერძნებმა ზოგი დახოცეს, ზოგი მონად წაიყვანეს, 18 საკრებულო მეჩითი დასწვეს. ჩიმიშკი უფრო მძლავრი იყო. დამასკოდგან, რომელიც მან აიღო, იგი წავიდა შუამდინარისკენ, გადავიდა ევფრატზე, აიღო სამოსატა, ედესსა, მუფარაკანი (მარტიროპოლი), ამიდა, ნისიბი და დააპირა გაელაშქრა ხალიფების სატახტო ქალაქის ბაღდადის ასაღებად. ყველა ამან თავზარი დასცა აქამდე მარტო გამარჯვებას ჩვეულ არაბებს. მაგრამ ჩიმიშკმა აღმოსავლეთისკენ გალაშქრება გადასდო, დაბრუნდა კოსტანტინეპოლს და თან წაიღო ნარბევი: მრავალი აბრეშუმეული, 3,000,000,000 ოქრო და ვერცხლი.

ბერძენთ დაბრუნების შემდეგ არაბებმა იწყეს დანგრეული ქალაქების შენება. მათი მშველელები იყვნენო, მენიშნავს გიბბონი, ნესტორიანნი და იაკობისნი, რომელნიც მართლმადიდებლებს უფრო მტრობდნენო, ვიდრე სარკინოზებსა.

ნიკიფორესა და ჩიმიშკისაგან გაძლიერებული იმპერია მათ გარდაცვალების შემდეგ კინალამ არ დააქციო შინაურმა შფოთობა-განდგომილებამ: ორთავე ეს იმპერატორები უშვილონი იყვნენ. იმპერატორად ითვლებოდნენ (976 წლითგან) რომანოზ კეისრის († 963 წ.) შვილები—ბასილი II და კოსტანტინე VIII, ხოლო მათ მცირეწლოვანობის გამო სამეფოს განაგებდენ მათი დედა თეოფანე და საპურისი ბასილი. ამ ბასილი-საპურისის ბატონობა ვერ აიტანა იმპერიის აზიის მხრის სარდალმა ბარდა სკლიაროსმა. ამან აიყოლია ლაშქარი, განუდგა დედოფალსა და მეფეებს და თავისი თავი მელიტენისა და ჯაანის მეფედ გამოაცხადა (976 წ.). სომხის მწერალი ასოღიკი განაგრძობს: ,,ბარდამ მიიმხრო სომხის ცხენოსანი რაზმი, რომელიც საბერძნეთში იყო, და იმპერია ორ ნაწი-

ლად გახია, შევიდა ბითინიამდე და 4 წლის განმავლობაში სისხლით შეღება მთელი მხარე. მის წინააღმდეგ იბრძოდა მხედრობა ბიზანტიისა, თრაკიისა და მაკედონიისა, მაგრამ ეს ჯარიც დაამარცხა ბარდამ. ამის შემდეგ ომიანობა მოედო მთელს საბერძნეთს: სოფელი ებრძოდა სოფელს, ქალაქი ქალაქს. სისხლი იღვროდა ყველგან. მაშინ ბასილი იმპერატორმა იხმო მხედართ-მთავარი თორნიკე ივერიელი, წარგზავნა ტაოს კურატპალატის დავითის წინაშე, გამოსთხოვა მას ჯარი და პირობად დაუდო: თუ შემეწევი და მტერს დამიმარცხებ, დაგითმობო: ხახთიარიჩს კელე-სირიონ, ჩორმაირს, კარინს (არზრუმს), ბასიანს, სევუკის ციხეს მარდახით, ხარკს და აპაუნიკს. დავითმა შეიწყნარა მისი თხოვნა. ქართველთ მხედრობამ თორნიკისა და მთავართ-მთავრის ჯოჯიკის სარდლობით მოაოხრა ქვეყნები, რომელიც ეპირა ბარდას, თვით ეს ბარდაც დაამარცხეს და განდევნეს ბაღდადისკენ“.

გიორგი მთაწმინდელი თავის მხრივ უმატებს: ,,იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისა. ხმელით კეჴძი ყოველი დაიპყრა და იმპერატორები და დედოფალი შეწყვდეულად იყვნეს ქალაქსა კოსტანტინეპოლს დიდითა ჴირითა და იწროებითა“. ამისთანა მდგომარეობაში რომ იყვნენ, განიზრახეს: ,,ჩვენი შემწე დავით კურატპალატისაგან კიდე არავინ არს“. იხმეს ათონიდამ თორნიკი ბერი, წარგზავნეს საქართველოს: დავითს დაჰპირდნენ—საბერძნეთის ზემო ქვეყნებს მოგცემთო, ხოლო თორნიკს აღუთქვეს, რასაც ნადავლ-ნატყვენავს წამოიღებ, ყველა შენ მოგეცემაო. დავით დიდმა თორნიკს, რომელიც ითვლებოდა გამოჩენილ სპასალარად, ჩააბარა 12000 რჩეული მეომარი და გაისტუმრა ბარდას წინააღმდეგ. მას უკვე აეღო (978 წ.) ნიკია და ემუქრებოდა კოსტანტინეპოლს. თორნიკე თავის ქართველებით აქეთ მხრიდგან და იმპერატორის სარდალი ფოკა-ვარდა იქით მხრიდგან ეცნენ სკლიაროსს, შემუსრეს მისი ძალა (979 წ. 24 მარტს). ბარდა გაიქცა ბაღდადისკენ. მისი ქონება დარჩა თორნიკის და ქართველებს.

გახარებულ დედოფალ-იმპერატორებმა დავით კურატპალატს ჩააბარეს საბერძნეთის ,,ზემო სოფლები'', მხოლოდ მზევლები გამოართვეს იმის თავდებად, რომ კურატპალატის სიკვდილის შემდეგ ხსენებული ზემო ქვეყნები ისევ საბერძნეთს დაუბრუნდება. ამ მზევლებად იყვნენ კლარჯეთის გამოჩენილ თავად-აზნაურთა შვილები და, მათ შორის, წმ. ეფთვიმე-თარგმანიც.

დავით დიდის სახელი რომ ასრე ჰქუხდა გარეშე ქვეყნებში, მას არ ეპოებოდნენ მხოლოდ აფხაზეთისა და კახეთის მეფე-მფლავრები.

აფხაზეთის მეფე დემეტრე, რომელიც გახელმწიფდა 957 წ., უსამართლო კაცი იყო. მისი ძმა თევდოსი იმყოფებოდა კოსტანტინეპოლში. აქ გამოეგზავნა იგი მის მამას გიორგი მეფეს: ჩემ სიკვდილის შემდეგ ჩემმა შვილებმა არ იჩხუბონო ტახტისათვის. მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. დემეტრეს უკმაყოფილო აფხაზებმა თევდოსი მოიწვიეს. იგი მოვიდა სამცხეს, ისმო მესხი აზნაურები, შემოიკრიბა ლაშქარი, რომ ძალით დაიპყრას თავისი კერძი მამული. მაგრამ დემეტრემ არ დააცალა: მოულოდნელად ჯარი დაასხა, დაამარცხა და ქართლს განდევნა. თევდოსი შეეწყნარა ძელელ მთავარს ადარნასეს, რომელმაც შეიყვანა იგი ძმის ციხეში. მალე დემეტრეს ლაშქარი აქაც გაჩნდა. სამ თვეს იბრძოლეს, ციხე მისწურეს. მეციხოვნეთ ითხოვეს ზავი, ფიცი და სიმტკიცე, რომ მშვიდობით განუტეონ თევდოსი. აფხაზნი დათანხმდნენ. თევდოსი წავიდა დავით კურატპალატისას, მას შეეწყნარა. მაგრამ აქედგან რომ შემწეობა ვერ მიიღო, კახეთს წამოვიდა. დემეტრე მეფემ კახეთის ქორიკოზს კვირიკეს მოციქულის პირით სთხოვა: ,,მე და ჩემ ძმას შორის, ბოროტ კაცთა მანქანებით, ბრძოლაა. მომანდევ თევდოსი, მე და მან სწორად ვიუფლოთ ჩვენს მამულში''. კვირიკემ უთხრა თევდოსის: ,,მე ვიყო მეძიებელი სისხლისა შენისა'', დაიყოლია და წარგზავნა. მცხეთაში, სვეტიცხოვლის წინაშე კათალიკოზმა, ღვდელ-

მთავართა და დიდებულებმაც დიდის ფიცით დაარწმუნეს თევდოსი არა გეენება-რა ძმისაგანაო. მაგრამ აფხაზეთს რომ მივიდა, რამდენიმე დღის შემდეგ დემეტრემ შეიპყრო და თვალები დასწვა.

ბოროტი დემეტრე მოკვდა სწორედ იმ წელს (979 წ.), რომელსაც დავით დიდის სარდალმა თორნიკიმ დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. აფხაზებმა მეფედ დაისვეს ბრმა და უნიჭო თევდოსი. კახელებიც მოვიდნენ და დაიჭირეს უფლისციხე.

საქართველოს საქმეები კვლავ ირეოდა და იშლებოდა, მაგრამ იოანე მარუშიძემ შეაჩერა შლილობა და ძმათა სისხლის ღვრა.

მარუშიძე იყო ქართლის ერისთავი, კაცი ძლიერი, ერმრავალი, შორს გამჭვრეტი. მოციქულის პირით სთხოვა მეფე დავით კურატპალატს, ტაო-კლარჯეთის მფლობელს, გამოილაშქროს, აიღოს ქართლი და ანუ შეუერთოს თავისს სამფლობელოს და ანუ მისცეს თავისს გაზრდილს და შვილობილს ბაგრატ გურგენის ძეს. მარუშიძეს აზრად ჰქონდა ბაგრატის გამეფებით გაეერთებინა აფხაზეთი და ქართლი.

დავით კურატპალატი დიდის ლაშქრით მოვიდა ქართლს და დადგა ქვა-ხვრელს. კახთ შეეშინდათ, დასცალეს უფლისციხე და ქართლიდგან გავიდნენ. მარუშიძე მიეგება მეფე დავითს და ჩააბარა ქართლი და უფლისციხე. დავითმა შემოიკრიბა ქართლის თავად აზნაურნი, ბაგრატი მეფედ გამოაცხადა და ყველას გასაგონად ბრძანა: „ესე (ბაგრატ III) არს მკვიდრი ტაოისა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მურავი მისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი?“ უფლისციხე მიუბოძა ბაგრატს და მის მშობლებს (გურგენს და გურანდუხტს), ხოლო თვითონ დაბრუნდა ტაოს.

არ გავიდა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ქართლის თავად-აზნაურებმა მოიგონეს თავისი მამაპაპეული ჩვეულება-განდგომა, ზაკულობა, ორგულობა და შლილობა. ქორიკოზის

მოშხრე საბოტარელთ და ნაქურდეველთ შეეუბნენ, მოიყვანეს ლაშქარი კახეთით და შემოარტყეს უფლისციხეს და მერე მისი კარებიც გაულეს. კახელებმა ციხე აიღეს, შეიპყრეს მეფე ბაგრატ მისის მშობლებით და კახეთს გაგზავნეს. შეიტყო-რა ეს ამბავი დავით კურატპალატმა, ფიცხლავ მოვიდა თრიალეთს, რომ შეიძლეს კახეთს. კახელებს თავზარი დაეცათ. მოციქული გამოუგზავნეს დავითს, ითხოვეს ზავი, დაუბრუნეს ქართლი უფლისციხითურთ, გაანთავისუფლეს ბაგრატი მის მშობლებით.

აფხაზეთიც სანატრელს მდგომარეობაში არ იყო. თევდოსი-ბრმის უთაურობისა და თავად-აზნაურთა მოურიგებლობისა გამო აფხაზეთში წესიერების მაგიერ გამეფებულ იყო მტრობა, შფოთი, უნდობლობა. აქაც გამოჩნდა თაოსნობა იმავე იოანე მარუშიძისა. აქან შეკრიბა გაგებული კაცები და ყველამ ერთად გადასწყვიტეს—თევდოსი დაემხოთ და მისი ტახტიც ქართლის მეფის ბაგრატისთვის დაელოცნათ *). აც-

---

*) უშვილო თევდოსი-ბრმა იყო უკანასკნელი წარმოჰადგენელი აფხაზეთის სამეფო გვარეულობისა და ამ საგვარეულოს კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა ბაგრატ მესამე:

ლეონ II († 806 წ.).

თევდოსი I (8..7). გიორგი I († 875). დემეტრე

იოანე († 879) ბაგრატ I († 906). ტინენ

ადარნასე († 887) კოსტანტინე († 921)

გიორგი II († 955) ბაგრატ († 922)

გურანდუხტ № (ქალი) კოსტან.ლეონ III დემეტრე თევდოსი II ბრმა
(ბაგრატ III დედა) (სომხეთის († 957) († 979)
მეფის სუმბატის მეუღლე).

ნობეს თვისი აზრი დავით კურატპალატს. ამანაც თანხმობა გამოაცხადა. წაიყვანეს ბაგრატი აფხაზეთს და მეფედ დასვეს (985 წ.).

დავით დიდის გარდაცვალების შემდეგ († 1001 წ.) ბაგრატმა დაიპყრა კლარჯეთი, კახეთ-ცერეთი და შეიქმნა სრულიად საქართველოს თვითმპყრობელ ხელმწიფედ.

მეფე დავით დიდის კურატპალატის ცხოვრება აღინიშნა არათუ მარტო საქართველოს გაერთიანებით, არამედ მწერლობის აყვავებითაც და სახუროთმოძღვრო და სამხატვრო ხელოვნებათა განვითარებითაც.

დავით დიდმა ააშენა დიდებული და სახელგანთქმული ლავრა ხახული, მდებარე ჭოროხის ხეობაში, მდინ. თორთომის ნაპირას, შიფაქლუს მთის კალთაზე. მისს შესახებ ვახუშტი ამბობს: „მონასტერი ხახული, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა, არს დიდი, გუნბათიანი, დიდშვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილს, და მისვე ახლოს არს სხვა ეკლესია, ფრიად შვენიერი და დიდშენი“. ხახულის ხატი, შემკული უამრავ დიდ-წვრილ მარგალიტით, გასაოცარის ხელოვნებით დამინანქრებული და დაუფასებელი ღირებულობით, შემდეგში, შიშიანობის დროს, წაასვენეს გელათს. ხახული მის დაარსებიდგანვე ითვლებოდა კერად განათლებისა. აქ ცხოვრობდა გიორგი მთაწმინდელის ბიძა გიორგი-მწერალი, რომელიც ითვლებოდა დავით დიდის მწიგნობართ-უხუცესად. აქ ითარგმნებოდა და იწერებოდა მრავალი წიგნი, რომელიც დედნად იხმარებოდა ბევრ სხვა ეკლესია-მონასტრებში. ტაძრის წარწერა მოიხსენებს დიდებულს მეფეს დავით-კურატპალატს.

უფრო შესანიშნავია მის დროსვე აშენებული მონასტერი ზარზმა, (=ზარ.ზმა), რომელიც ქვაბლოვანის-წყლის ხეობაშია, ყველისციხის ზემო, მთაში, ახალციხიდგან 30 ვერსის მანძილზე, შვენიერს ადგილს. ამ საოცარის ხელოვნებით აგებულ, მოხატულ და მოქანდაკებულ საყდრის წარწერები შეავსებენ მატიანეთა გადმოცემას შესახებ დავით დიდისა და

მის თანამედროვეთა. მეტად საყურადღებოა და საგულის ხმიერო ტაძრის შემდეგი წა-წერა: „მე ივანე, ძემან სულაისმან, აღვაშენე წმიდაჲ ეგვტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს განდგა სკლიაროსი, დავით კურატპალატი ადიდენ ღმერთმან!: უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ. მას ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესვენა ტახტი“...

ამ წარწერას დაუცავს თვით სახელი იმ ადგილისა, საცა დამარცხდა ბარდა სკლიაროსი. წარწერით, იმ ადგილს რქმევია ხარსანანი, რომელიც დებოს ისტორიაში იცვლება ხარსიანე-დ.

სხვა წარწერები იხსენიებენ ხურსიძეებს, რომელთა გვარისაგანი ყოფილა თვით თორნიკე, სკლიაროსის დამმარცხებელი. მისი ნათესავი პატრიკოს ჩორჩანელი (ჩორჩანი სოფელია ზარზმის ახლოს) 988 წ. დალასენთან ერთად იცავდა ანტიოქიას, მაგრამ არაბებმა დაატყვევეს. მაგისტროს ჩორჩანელი 990 წ. შველოდა ვარდა-ფოკას, რომელიც აუჯანყდა იმპერატორს. ფოკას სიკვდილის შემდეგ იგი გამაგრდა ტარონსა და დერჯანს, მაგრამ დაამარცხეს და მოკლეს.

წიგნი „სამოთხე“, ეტრატზე გადაწერილი 977 წ., გვაუწყებს: „მე იოვანე, თორნიკ ყოფილმან, და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისა, მოვიგეთ წმ. ესე წიგნი სალოცველად და სადიდებელად ძლიერისა და ღვთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კუროპალატისა დავითისათვის, რამეთუ მართლმადიდებლობისა თვალი არს და, მსგავსად შემოქმედისა თვისისა, სიმდაბლის წესსა შინა დაუკლებელად იქცევის. და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩვენთა: იოვანე თორნიკ ყოფილისთვის, რომელმან დაჲტევა დიდებაჲ ქვეყნისაჲ... მსწრაფლ შეიცვალა ხატი ერისკაცობისაჲ და შეიმოსა სახე მეუდაბნოეთაჲ ..და ერთგულებით ჰმსახურა ძელსა ცხოვრებისასა და წმ. მე-

ფეთა, რაჟამს იგი გამოჩნდა განლაღებული სკლიაროსი და მხდომად აღუდგა მეფეთა, ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამხვა განზრახვაჲ მისი (სკლიაროსისა) და განმტკიცა მეფენი... და მერმე იოანე ვარაზვაჩესთვის და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა მიქაელისა, ჩორდვანელ ზორვარისა, ჩოროლდისა და თორნიკისთვის და ძმისწულთა ჩემთა ჩორდვანელ პატრიკისთვის და ბაგრატ პატრიკისთვის, და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისთვის და მარიამისთვის, და ძმათა ჩემთა ბაგრატისთვის, არშუშასთვის და აბულარბისთვის, და მამის ძმისა აბულარბისთვის და არშუშაისთვის... ესე ანდერძი მე უღირსმან დავით, დისწულმან ღმერთშემოსილისა მიქაელ მოდრეკილისამან, დავწერე".

ჩორჩანელი ანუ ჩორდვანელი (ანუ Zourvaneli) ერქვა ხურსიძიანთ იმ წარმომადგენელს, რომელსაც ებარა სოფელი ჩორჩანი. ცნობილია ჩორჩანელი აშოტი რომანოზ ლაკაპენის დროს (919—945). მას ცოლად ჰყვანდა მარიამი და ძმებად აბულარბ I და არშუშა I. აშოტის ძენი იყვნენ: თორნიკი I (იოანე სვინგელოზი, აბიას ქმარი, სკლიაროსის დამმარცხებელი), იოანე-ვარაზვაჩე, ბაგრატ I, არშუშა II და აბულარბ II. ვარაზვაჩეს (იოანეს) შვილები იყვნენ: მიქელ, ჩორდვანელი ზორვარი, ჩოროლდი, თორნიკი II. ამათგანივე იყვნენ ჩორდვანელი პატრიკოსი და ბაგრატ II პატრიკოსი.

თორნიკი I-ის „ხორციელი და სულიერი" ძმა იყო თვით წმ. ეფთვიმეს მამა იოანე (ვარაზვაჩე). მაშასადამე, იგიც ხურსიძე ყოფილა. ამ იოანეს (=აბულჰერის) ცოლად ჰყვანდა აბულარბ I-ის ასული

ამ იოანემ (აბულჰერიმ) დააარსა ათონის ქართველთა ლავრა (966—981 წ.). მისი მშველელი ამ საქმეში იყვნენ თორნიკი I და მეფე დავით დიდი (ამ სახელოვან მონასტრის ისტორია ეკუთვნის „ბრწყინვალე ხანას").

დავით დიდის დროითგან დაგვრჩენია მრავალი შესანიშნავი ნაშთი.

ა. დავით დიდის სადროშო ჯვარი, ვერცხლისა, მოოქრული, ასათის მიერ შემკული, წარწერით: „ქრისტე, ადიდე დღეგრძელობით დავით კურატპალატი. ამინ“.

ბ. ვერცხლის ფული ზედ-წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურატპალატი“.

გ. შატბერდის კრებული. შინაარსი: 1. კაცისა შესაქმე, 2. თუალთაჲ, 3. მხეცთათვის სახისა სიტყვაჲ, 4. ებრაული და ბერძნული ანბანების მომგონნი, 5. მეფეები ებრაელთა, სპარსეთისა, ეგვიპტისა, რომაელთა და ბიზანტიელთა, 6. ჰპოლიტეს შრომანი, 7. მოქცევაჲ ქართლისაჲ, 8. ნისიბის ეპ. იაკობის ცხოვრება, 9. ფსალმუნთა თარგმანება, 10. რედაქტორის შენიშვნა.

რედაქტორი ამ შესანიშნავ წიგნისა იოანე-ბერაჲ, თანამედროვე ბაგრატ Π-ისა (958 —994) და დავით კურატპალატისა, სხვათა შორის, სწერს: კაცმა, თუნდაც გლახაკი იყოს, უნდა მიჰბაძოსო ჯინჭველსა, წერილის სიტყვისამებრ: „მედგარო, ემსგავსე ჯინჭველსა და შებმა-უყავ უფროის ძალისა შენისა, რამეთუ ღმერთი არს მომცემელი ძალისა“. „ამისთვის— სწერს ბერაი—მეცა არა დავფარე სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ მიზეზითა ნაკლულევანებისაჲთა და შეუდეგ კეთილსა გულსმოდგინებასა მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მეწესეთაჲ, იოვანე ბერაი, და გავასრულე წმ. ესე წიგნი—კაცის შესაქმჱ, თუალთაჲ, სახისმეტყველი, იპოლიტე, ქართლისა მოქცევაჲ, ცხოვრებაჲ იაკობ ნასიბელისაჲ, თარგმანებაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთა—მოღვაწეობითა და გულსმოდგინებითა დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა, და სხუა არაჲ არავის ჰრთავს, თვინიერ სიგლახაკისა ჩემისა. და შევწირე შატბერდს, საყოფელსა წმ. ღვთისმშობლისასა, რომელსაცა შინა აღვწერე სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობელთა ჩემთა და სალოცველად მე-

ფეთა ჩვენთა ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მისთა-თვის“...

ამავე ბერაის შესახებ ცნობას იძლევა პარხალის სახარება, მის მიერვე გადაწერილი 973 წელს: „ღირს ვჰქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაჲ, აღსრულებად წმ. ამას სახარებასა—ოთხთავსა—მოღვაწეობითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმერთ-შემოსილთა კაცთაჲთა.., სალოცველად მუფეთა ჩვენთათვის—ღვთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა... მე იოანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა... მამობასა (პარხალს) სარწმუნოჲს მწყემსისა და კეთილად მოღვაწისა წმ. მამისა ეფთიმესა“.

ამ იოვანე ბერაის თავისს დიდს კრებულში (ქრისტომატიაში) შეუტანია საქართველოს ისტორია — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მასში შეტანილია მოკლე-მოკლე ამბები ალექსანდრე მაკედონელის დროითგან გვარამ ერისთავთ-ერისთავამდე ანუ მამფალამდე, რომელიც მოკვდა 883 წ. ეს ქრონიკა შედგენილია ამავე გვარამის დროსვე. მის შესახებ ბერაის ქრისტომატიაში სწერია: „მოქცევაჲ ქართლისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“. შესაძლებელია, ქრონიკის ავქსონი ყოფილიყოს ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომელმაც დასწერა არჩილ მოწამის († 718) „ცხოვრება“ ან-და იმავე ძველი დროის მწერლები დავით და სტეფანე.

„**ფსალმუნთა თარგმანებაჲ**“ ეკუთვნის ვინმე დაჩის, რომელსაც იგი გადმოუღია სომხურ ენიდამ და წარუდგენია ტბეთის ეპისკოპოზის სტეფანესთვის, მაშინდელ სასულიერო ცენზორისთვის, შემდეგის წერილის დართვით: „ღირსო მამაო, წმიდაო ეპისკოპოს სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩვენდა, მკურნალად, სულიერად აღმაშენებ-

ლად ჩვენდა... მრავალ ჟამითგან გულმოდგინედ ვეძიებდი თარგმანებასა ფსალმუნთასა(ეპიფანე კვიპრელ ეპისკ. დაწერილსა), და არა ვპოვე ქართულად.. მერმე ვპოვე სომხურად.. შემშურდა სომეხთათვის... და მცირედი ესე გამოვთარგმნე და წინაშე ღუთისა მოყვარისა შენისა განსაკითხავად მიგიძღვანე, ხოლო შენ მსგავსად მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა განიკითხო და, ჯერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესიასა და უკეთუ არა ღირს რაჲმე იყოს, წიგნი ესე დაწვი და სიუცბე ჩემი დაფარე და მე მამხილე და შევინანო“... ფს. თარგმანების დასასრულს დაჩი სწერს წერილს ანტონი მროველს, იხსენიებს მის სიბრძნის მოყვარეობას, სიწმინდეს და ითხოვს მისგან ლოცვა-კურთხევას, ცოდვის გრეხთა და ვეპთა (ვეება) საშინელებათაგან განთავისუფლებას და ხსნას.

ამ სტეფანე მტბევრელ ეპისკოპოსმა, როგორც ზემო იყო ნათქვამი, დასწერა გობრონ (მიქელ) მოწამის ამბავი. იგი თვით ამბობს: „წამება წმ. მოწამისა გობრონისა, რომელი განიყვანეს ყველის-ციხით, მე, მტბევარ ეპისკოპოსმან დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა ერისთავისათა. ამ აშოტ-კუხისაგან († 918 წ.) ტბეთის პირველ ეპისკოპოსად დადგენილი იყო ბრძენი სტეფანე. გობრონის ცხოვრებაში იგი იხსენიებს თითქმის ყველა წიგნებს ბიბლიისას. თვით წმ. აბომ, საქართველოში რომ მოვიდა, ქართული ენის შესწავლის შემდეგ შეისწავლა და შეითვისა სახარება, სამოციქულო, საწინასწარმეტყველო და სხ. ასე რომ სტეფანეს და ვარაზვაჩე-იოანეს დრო საღრმთო წერილი თითქმის მთლად იყო ნათარგმნი, მაგრამ ძველი თარგმანის შესწორებასა და შევსებას ხელახლა შეუდგნენ ათონის მთაზე, ვინაითგან დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგან შერყვნილიყო.

თუალთაჲ—ეპიფანე კვიპრელის († 403 წ.) თხზულება, არის ისტორია ძვირფას ქვებისა, რომელთაგან უმთავრესი 12 ქვაა: ა. სარდიონი, ბ. ტბაზიონი, გ. ზმური, დ. იაკინთე, ე. საფირონი, ვ. იასპინი (ამის შესახებ ეპიფანე სწერს: „იპოე-

ბის ესე საზღვართა ქართლისათა და გორგანეთს და ჭუეყანასა მას კასპთასა, სადა არიან ნათესავნი“), ზ. ლიგვირიონი, Ს. აკატე, თ. ამეთვისტონი, ი. ძოწეული, ია. ბივრილიონი და იბ. ფრცხილი. ამათი მინაგვარნი და სხ. ქვები: ა. სარდიონი მოლოქოს, ბ. სარდიონი-ძოწეული, გ. ჰაკუნტალი (ჰარხლის-ფერი), დ. სარდაკი, ე. კაპუეტი, ვ. ძოწეულის-ფერ, ზ. მწვანე, Ს. კარქედონი, თ. საფირონი ქრისე, ი. საფ. ტოგე, ია. იასპინი სისხლის-ფერ, იბ. იასპინი ღვინის-ფერ, იგ. მარგალიტი, იდ. ბნობის ფერ, იე. ზღვის პეროს-ფერ, ივ. ალის-ფერ, იზ. კუამლის-ფერ, იᲘ. იის-ფერ, ით. ფეტვის-ფერ, კ. მემრუმე (მეტად შავი), კა. ველურის ზროხის-ფერ, კბ. დეაკეულის ფერ, კგ. მხიის ფერ, კდ. მარმარინო, კე. სისხლის-ფერ, კვ. ვეშაპისთვალის გუგა, კზ. ცვილისფერ, კᲘ. გოლეულისფერ, კთ. ღრუბლისფერ, ლ. თაფლისფერ, ლა. ანთრაკი, ლბ. გიშერი, ლგ. ქარვა, ლდ. ბადახში, ლე. ალმასი, ლვ. ლალი, ლზ. ფირუზი, ლᲘ. სადაფი, ლთ. სეჯლანი, მ. ყირმიზი, მა. ლაჟვარდი, მბ. მარჯანი, მგ ბრილიანტი, მდ. ანდამანტი, მე. ბროლი, მვ. რვალი, მზ. ცისნატეხი (აეროლიტი), მᲘ. ზურმუხტი.

დ. **დაბადება** (ბიბლია) 978 წლ.: „ვითარცა ზღვაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითი-დღე სწავლასა წმიდათა მოძღვართასა, და იგი აღსავსე წესსავე ზედა ჰგიეს და მარადის ქადაგებს და იტყვის: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ რომელი ეგოს ცხორებად საუკუნოდ“. რომლისათვისცა მე იოანე, თორნიკ ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმ. ესე „წიგნი მეფეთაჲ“ სალოცველად თავისა ჩემისა... კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი, მადლი მსმენელთა. დაიწერა წიგნი ესე კელითა სამთა მწერალთაითა: მიქელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... ოდეს ნამდვილი ესე ბიბლია დაწერილან, ქნი ყოფილა 978“.

ე. **„სვანური კრებული“** (№ 19), ასომთავრულით ტყავზედ გადაწერილი, შეიცავს მსოფლიო მამების სწავლას, ქადაგებას, სიტყვას, მოძღვრებას, ცხოვრებას, სხვა და სხვა საეკლესიო კითხვათა განმარტებას. მასში ჩართულია აგრეთვე ცხოვრება წმ. აბოსი, მოძღვრება წმ. ნინოსი.

ვ. ამნაირივე შინაარსისაა ტყავზედ ნაწერი კრებული მე X საუკ. (№ 95), რომელშიაც, სხვათა შორის, ჩართულია წერილები: ჯვრის ამაღლება მცხეთაში, ცხოვრება აბოსი, ცხოვრება შუშანიკისა, მოძღვრებანი ბოლნელ ეპისკოპოსისა. ამ წიგნს თუმცა თავ-ბოლო აკლია, მაგრამ მაინც 55 გირვანქას იწონს იგი. მისი გადამწერი გვაძლევს შემდეგ ცნობას: „კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩვენსა შემდგომად ყოფად ხართ! პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მე[ღ]ვა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დავწერო და მით გავასრულო; და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ. მერმე ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი ჰარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე... ჰირნი კულა დიდნი მინახიან—ღმერთმან დაგაჯეროს! სული კრაგოლ ჰატარაისა მოიხსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა. გაბრიელ ჰსკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა (ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი!): ოდეს მიმჰირდის, მათ მივჰმართიდი: პურაი მციან. იოვანე გაცვეთილმან კუტალითა ღვინოჲ მომართუა“.

ზ. **დავითნები**. დაშთენილა დავითნები მე-VII—X საუკ. ამათ შორის შესანიშნავია 974 წ. გამოცემული დავითნი: ა. შესავალი, ბ. 150 ფსალმუნი, გ. დამატება, დ. ქრონიკონები, ე. ფსალმუნთა განაწილება და ვ. განწესება. ფსალმუნები დაყოფილია თავებად, მუხლებად და კანონებად. ფსალმუნთა მუხლები ცალკ-ცალკეც ითვლება და ერთადაც (მთელს წიგნში ნაჩვენებია 2900 მუხლი). საყურადღებოა წერილი: „გამოძიებისათვის ჯამთა და წელიწადთა, მცხრალისათვის და

ნაკისათვის, მთოვარისა ზედნადებისათვის, ხუთეულისათვის, ექვსეულისათვის, შვიდეულისათვის და დღისაძიებელისათვის". ავტორი განმარტავს დღისაძიებელს, შვიდეულს, ზედნადებს და სხ., წარმოადგენს ხუთასეულის (532 წლის) მთელს ცხრილს და იძლევა მრავალს საჭირო ცნობას. „თუენი წელიწდისანი 12, დღენი 365. ჟამნი დღეთანი 4380, ღამითნი 4380, ერთრიცხუად 8760. თუ გინდეს ცნობაჲ ჟამთაჲ მზისა-მოქცევისაჲ: მარტსა 20-სა განისწურნიან დღენი და ღამენი: დღეთა აქუს 12 ჟამი და ღამეთა 12. აწ იწყო ჯობნებად დღემან ღამესა... ვიდრე ივნისა 19-სა: დღეთა აქუს 15 ჟამი და ღამეთა 9. აწ იწყო უკმოლებად ღამემან დღისაგან... სეკდენბერსა 18-სა განისწორნიან დღენი და ღამენი. აწ იწყო ჯობნებად ღამემან დღისა.. დეკემბერსა 18-სა ღამესა აქუს 15 ჟამი და დღესა 9. აწ იწყო უკმოლებად დღემან ღამისაგან ვიდრე მარტსა 20-მდე"...

კალენდარი. ამავე შესანიშნავს დავითნში არის აგრეთვე 532 კვინკლოსის ცხრილიც. რა დროს უნდა დაწყებულ იყო ჩვენში კვინკლოსით თვლა, უკვე ვთქვით (იხ. ზემო გვ. 105). ერთი კვინკლოსი რომ სრულდება, შვიდეულის დღენი, მთვარის განახლება და სხ. ცვალებადნი და უცვალებადო დღესასწაულნი მოდიან იმავე დღეებში, რა დღეებშიაც მოდიოდნენ 532 წლის წინად.

კვინკლოსით თვლა იცოდნენ ჯერ ისევ ეგვიპტის მოგვებმა. კვინკლოსს ადარებდნენ ფრინველს ფენიქსს, რომელიც, მათის აზრით, ყოველ 32 წლ. დასასრულს არაბეთიდამ მოფრინდებოდა ეგვიპტის ქალაქ ჰელიოპოლს (მზის ქალაქს.— იხ. რუქა), აქაურის მზის-ტაძრის სახურავზე იკეთებდა ზეთისხილისა და მუშკის რტოების ბუდეს, შემდეგ პირს იბრუნებდა მზისაკენ, ფრთის შემოკვრით აღაგზნებდა ცეცხლს და თვითონვე შიგ იწოდა. მაგრამ შემდეგ თავისის ფერფლისაგან ჰბადებდა ჰიას, რომელიც 532 წლის განმავლობამდე იზრდე-

ბოლა, ფენიქსადვე ხალისდებოდა, შემდეგ ისევ იწოდა, ისევ ახლდებოდა. და ესრე მარადის

ეს ეგვიპტის კალენდარი განაკარგა და განავითარა ალექსანდრიის ასტრონომმა სოზიგენმა. იგი 46 წ. ქრ. წ. მიიწვიეს რომს ამავე კალენდრის შესასწორებლად სოზიგენმა წლის სიგრძედ მიიღო 365 დღე და 6 ჟამი (საათი), სამი წელიწადი ჩააგდო მჯრტივად და ამათ მომდევნო ერთი წელიწადი ნაკიანად და ამ ნაკიანში ჩასთვალა 366 დღე. ეს მეტი დღე მიუმატა თებერვალს. კალენდარი დააკანონიერა იულიუსმა (44 წ. ქრ. წ.) და ამიტომ დაერქვა „იულიანთა კალენდარი“.

მაგრამ ესრეთი თვლა სწორე არ იყო: წელიწადში არის არა 365 დღე და 6 ჟამი, არამედ 365 დღე, 5 ჟამი, 48 წამი და 48 წუთი, მაშასადამე იულიანთა წელთა აღრიცხვით წელიწადი ნამდვილის წლის სიგრძეზედ 11 წამით და 12 წუთით მეტია და ეს სიმეტე-კი 400 წლის განმავლობაში შეადგენს სრულს 3-ს დღეს.

ჩვენს ზემოხსენებულს დავითნში და 941 წლის ხელნაწერში (ზემო, გვ. 340) დროთა თვლა მოყვანილია იულიანთა წელთ-აღრიცხვის მიმსგავსებით, მაგრამ 1223 წელს კი ქართველებმა უკვე იცოდნენ იულიანთა წელთა აღრიცხვის ნაკლულევანება. ხსენებულ 1223 წელს იოანე შავთელმა გამოსცა დიდი შრომა—ქართული კვინკლოსი, რომლის შესახებ ბროსემშენიშნა: „ქართველებმა 1223 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილობისა, რომელმაც 1582 წელს პაპა გრიგორი XIII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას“.


ამავე მეცნიერულად გამოცემულს დავითნში გვხვდება აგრედწოდებული არაბული ციფირები; ციფირებითვე აღნიშნულია ქუთაისის ტაძრის აშენების დასაწყისი წელიწადი (1003 წ.). მეცნიერთა გამოკვლევით კი თვით მაჰმადიანთა პირველი ძეგლი, რომელზედაც თარიღი აღნიშნულია ციფირებით, არის ფული ყარა-ასლანისა (1161—1166 წ.).

ე. **საგალობელი.** ტყავზე ნაწერი დიდი კრებული, სა-

გალობა ნიშნებით (ნოტებით), შედგენილი მიქელ მოდრეკილის-მიერ. „ქრისტე, მფლობელო ორთავე სუფევათაო, მეოხებითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა უმეტეს ადიდე შენ მიერ ღირსად გვირგვინოსანი, უძლეველი მეფეთა მეფე დავით კურაპალატი, და დაჰკენ ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მეფობისა მათისანი ქვეშე ფერხთა მათთა უძლეველითა ძალითა მკლავისა შენისაჲთა.—მე გლახაკმან.. მიქელ მოდრეკილმან ვიღვაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩვენე, და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისნი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა — მეხურნი (=სომეხურნი), ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოველითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა: ოფალო ღაღადყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდიდითა, ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა... იხილე, მღდელო ღმერთშემოსილო, კნინაკი ესე ნამუშაკევი უნდოთა ხელთა ჩემთაჲ, რაჟამს უშრომელად აღმოიცხო საღრმთოჲსა ამისაგან წყაროჲსა, მოიხსენე საწყალობელი სული ჩემი... უფალო, წყალობით მოიხსენე სული მამისა დავითისი, იოვანესი, დავითისი და წყალობა-ყავ საწყალობელისა მიქელისთვის.

....გლახაკმან მიქელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა დავითისმან, ვიღვაწე და ყოველით კერძო შრომაჲ ვაჩუენე: ეზესთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულს მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოველით კერძოვე, რომელნი ვპოენ ენით ქართველთაჲთა მეხურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოველითა განგებითა და დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოველითა განმარტებითა და ჰეშმარიტებითა და ესრეთ განვაწესე თავით თვისით და უმჯობეს ვყავ, რამეთუ ყოველსა კმასა პირველ უფალო ღაღად მეტყვისა ძლისპირნი დავწერენ და შემდგომად გალობათანი, თვინიერ ქარაბიმისა. და ყოველითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ“.

25 დეკემბრის საგალობლები შეუდგენია ტბეთის ეპისკოპოს იოანეს (გვ. 328): „დეკემბერსა კე: კრებაჲ დიდი ბეთლემს. შობაჲ უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტესი. დასდებელნი ქრისტეს შობისანი, თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისა“. თვით ეს იოვანე მტბევარი ამავე წიგნში წმინდანად გამოსახულია. შემდეგში იგი გადასულა აწყურს მიტრაპოლიტად, როგორც იუწყება ტბეთში გადაწერილი სახარების წარწერა: „ქრისტე, ადიდე იოვანე მამათმთავარი, პირველ მტბევარი და აწ შენ-მიერ მაწყვერელ ეპისკოპოსი... დაიწერა წმ. ესე სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა ქკნსა სიე (=995 წ.).



ტბეთის ეპისკოპოსი იოანე.

მარჯვენა ხელში ეპისკოპოს იოანეს უჭერია გრაგნილი, რომელზედაც ასომთავრულით აწერია: „მომიტევე კადნიერებაჲ არა ღირსსა“.

წიგნშივე მრავალგან მოხსენებულია სტეფანე ჭყონდიდელი სანანოჲსძე, განათლებული მღვდელმთავარი. ამ სტეფანეს დრომდე საქართველოში გავრცელებული ყოფილა ევსევი პამფილიელის წიგნი, მწვალებლობით აღსავსე. სტეფანე ჭყონდიდელი ეფთვიმეს მამის იოანეს წინა-მოადგილეებს შეჰკითხებია: „ევსევი პამფილიელის“ წიგნს ეკლესია მიიღებს თუ არაო. — „არაო“, პასუხად მიუღია.

წიგნში მოხსენებულნია აგრეთვე მწერალ-მგოსანნი მინჩხი, იოანე ქონქოლისძე, მოსე და სხ. ამ მინჩხის საგალობლები ნ. მარრმა აღმოაჩინა სინას. მინჩხი იყომწერალ-მგოსანი მე-X-ე საუკუნისა. სასულიერო მგოსნის მინჩხის სტიქარონები გამოთქმულია მარტივად, გულწრფელად. ამავე საუკუნის ხელნაწერებში აღმოჩენილა ლექსები ბერის გიორგისა და ფილიპესი. ეს ლექსები, ვით შოთა რუსთაველის ლექსიც, 16 მარცვლოვანია.

სამკურნალო სახელმძღვანელოები და ცნობები ჩვენში გავრცელდა ადრითგანვე. ჯერ ისევ აბიბოს ნეკრესელი (მე-ექვსე საუკ.) აღნიშნავს, რომ ქვეყანა შენივთებულიაო ოთხის ნაწილაკისაგან, რომელნი არიანო ნოტიო, ცივი, ხმელი და ცხელი ამათი მეტ-ნაკლებობა არღვევსო თანასწორობას (ზემო, გვ. 251). ამავე შეხედულობას იმეორებს შატბერდის კრებულის წერილი „შესაქმე კაცისა“ და ამბობს: „ბუნებასა ჩვენსა პოვნილარიან სტვიქისნი ესე ამის სოფლისანი: ვიტყვი ნაწილსა სიტფოჲსსა, უინჲლისსა, ნოტიისა და სიჴმელისსა. არაბულიდან გადმოღებულ კარაბადინებშიაც აგრევეა, ხოლო სტვიქისნი (=სტიხიანი) იწოდებიან ცოტა გარჩევით, ასე: გრილი, ნედლი, მხურვალი და ხმელი. ესრეთი შეხედულობისა იყვნენ ჰიპოკრატი (460—372 ქრ. წ.), და მისი მიმდევარი გალიენი (=ჯალინოზი=ჯანაზი), რომელიც ცხოვრობდა მეორე ს. ქრ. შემდ.

„შესაქმე კაცისა“ განაგრძობს:

„სამნი არიან ძალნი, რომელნი, განაგებენ სიცოცხლესა: ერთი მათგანი განატფობს გვამსა სიცხითა თვისითა და მეორე

იგი ძალი ნოტია-ჰყოფს სიმკურვალესა, რათა იყოს განსწორებით შეზავებაჲ მისი და რათა არა წარწყმდეს ნოტიაჲ სიმძაფრითა მკურვალებისაჲთა და კვალად, რათა არა დაშრტეს სიმხურვალე გარდარეულებითა მით ნოტიობისაჲთა. ძალი იგი მესამე შემკრებელობს განბნეულთა მათ შეერთებითა იოგთაჲთა, რომელნი შენაწევრებულ არიან ყოველთა ასოთა ძალითა მით მოძრავითა თავით თვისით. ხოლო ოდეს ძალი მოაკლდეს, იქმნეს ასოჲ იგი მკუდარ და დაკლებულ სულისა მისგან მოძრავითა თავითვისით...

„სამთა ამათ ეხედავთ ბუნებასა შინა კორცთა ჩუენთასა, რომელთათვის დაბადებულ არიან ყოველნი ასონი ჩვენნი, —რომელიმე სიცოცხლისათვის, რომელიმე სიმდიდრისათვის სიცოცხლისა, რომელიმე დადგრომისათვის შობისა და დამტკიცებისათვის ნათესაობისა. ხოლო არიან ჩუენ შორის ასონი შემდგომნი ამათნი: ვერ-ეგების მათგან ცხოვრებაჲ კაცისაჲ.

„არამედ სამთა მათ შინა ეხედავთ თჳსს, გულსს და ღვიძლსს. ხოლო შემატებას ბუნებისას კეთილთა შინა იქმნების სიმდიდრისაგან სიცოცხლისა, რომელი მოენიჭა კაცსა რომელ არს ჰურჰელი, რომელსა შინა არიან საგრძნობელნი: რამეთუ ესენი ვერ მოგუცემენ სიცოცხლესა: თვინიერ ამა სოთა შესაძლებელ არს ცხოვრებაჲ ჩვენი... ფირტვი აგძნობს ცეცხლსა გულისასა, მუცელი მიიღებს ჰამადთა, ჰურჰერთა. მათ თვისთა შინა აწოდებს“...

ყველა ჩამოთვლილი ნაშთები გვაძლევენ საფუძველს ვთქვათ, რომ მეათე საუკ. დასასრულამდე უმაღლესად განვითარებული ყოფილა ქართული ენა—სამწერლო და სამგოსნო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ მთარგმნელების მამად-მთავრებად ჩვენი მწერლები იხსენიებენ დავითს და სტეფანეს. ესენი ცხოვრობდნენო მაჰმადის გამოჩენის წინა დროს და თარგმნესო წიგნები ბერძნულიდამა და არაბულიდამ. მაგრამ ვინ იყვნენ ეს დავით და სტეფანე, რა დროს, სახელდობრ,

ცხოვრობდნენ, რა და რა წიგნები თარგმნეს, არა ჩანს დანამდვილებით. ყოველ შემთხვევაში, იგინი მაჰმადზე († 632 წ.) წინად არაბულიდამ ვერ გადმოთარგმნიდნენ წიგნებს, ვინაითგან მანამდე არაბებს ჯერ არ დაეპყრათ საქართველო, მათი გავლენა აღმოსავლეთში სრულიად შეუმჩნეველი იყო. ამის შემდეგ კი, ხალიფების დროს, არაბთა გავლენა მთელს აღმოსავლეთსა და საქართველოზე თვალსაჩინო შეიქმნა. გავლენა დაეტყო ჩვენს მწერლობასაც. ეს გავლენა უფრო მძლავრი უნდა ყოფილიყო სინას, პალესტინას, შავს-მთაზე და სხ., საცა ქართველებს ჰქონდათ საკუთარი მონასტრები. სინაზედ ნ. მარმა იპოვნა არაბული ანბანი, შედგენილი ქართველთათვის. იქვე აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი არაბულის მინაწერებით.

ამავე დროს უაღრესად განვითარდა სახუროთ-მოძღვრო ხელოვნება, მხატვრობა, ქანდაკება და ხლართული სამკაული. ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ ქართული ხუროთ-მოძღვრება სომხურის ნაშობია ანუ მიბაძვაო, მაგრამ ნ. პ. კონდაკოვის საფუძვლიანმა გამოკვლევამ უარჰყო ესეთი აზრი და დაამტკიცა, რომ ეს ხელოვნება თუ სომხეთისაზე ძველი არ არის, არც მასზე ახალია: მთიანი საქართველო უფრო ხელშემწყობი იყო ხუროთ-მოძღვრების განვითარებისთვის, ვიდრე ბარი-სომხეთი; ქართული ხუროთ-მოძღვრების კილო უფრო ნათელია, ვიდრე სომხეთისა, რომლის ნაშთები საქართველოსაზე უფრო ნაკლებია და უგვიანესი. აგრედ-წოდებული „ქართული არხიტექტურა“ ბრძნულის გონიერების ნაშობიაო, დასძენს იგივე მეცნიერი. გაიცნობს-რა ატენის სიონს (მე-IX საუკ.), შარტვილს (მე-X ს.), ჯვარ-ჰატიოსანს (მე-VIII ს.) და სხ., კონდაკოვი განაგრძობს: ქართული საყდრის წინა-პირი, ხშირად, შემკულია ხოლმე ქანდაკებით. ეს ქანდაკიანი ქვები დატანებულია ხოლმე აღმოსავლეთის მხრის კედელში ანუ დასავლეთისაში, იშვიათად კი სხვა კედლებშიაც, როგორც იცის აგრედ-წოდებულმა „რომანულ არხიტექტურამ“. რაიც შეეხება ამ ქვების დალაგებას, რაიმე წეს-რიგი მათზე გამოქანდაკებულ

სამკაულის მხრივ არსებობს უუძველეს საყდრების—ჯვარ პატიოსანის, ატენის, მარტვილის, ქუთაისის და სხ.—შენობაში. მკობილობა ამ ტაძრებისა (ქუთაისის, მარტვილის და ატენის) არის: სხვა და სხვა მხეცი—ვეფხვები, ირმებზე მონადირე ლომები, და აგრეთვე მტრედები, გველები და სხ. ამ მხრივ უფრო მდიდარია ატენის სიონი, რომლის ქანდაკებათაგან ზოგი თვით საყდარზე უუძველესია და ზოგი მის ხნისაა. მის დასავლეთ კედელში ჩასმულია რამდენიმე ქვა-ფიცარი ქანდაკებით: სამფსონი გლეჯს ლომს. ანგელოზი ახარებს ზაქარიას, რომელსაც ხელში საცეცხლური უჭერია. მხედარი. კრავები. ზღვის ფრთოსანი ნიანგი. აღმოსავლეთის მხრის კედელზე გამოსახულია: მტრედები, ღვთისმშობელი, წმინდანები, მეფე გრძელის ტანისამოსით და საყდრის გეგმით ხელში, და მის გვერდით დედოფალი. კარის თავზე: წყლით სავსე აუზი და ირმები, რომელნიც ამ აუზიდან სმენ წყალს—ეს უუძველესი დროის სიმბოლიური გამოხატულობაა სარწმუნოებისა. ქართულ ხუროთ-მოძღვრების კუთვნილებას შეადგენს ზონრებისა, მოსავლებისა და ზოლების ხლართულობა. აქ ეს ხელოვნება (ხლართული სამკაული) ისე განვითარდა, როგორც არსად სხვაგან და ამის გამო სამართლიანად დაიმკვიდრა სახელი ქართულ ხლართულობისა. არც ბიზანტიაში და არც იმ ადგილებში, საცა ვპოებთ ამ ხელოვნების ნაშთებს, მაგ. ჩრდილოეთ იტალიაში, უმეტესად კი ვენეციაში, არც სერბიასა და რუსეთში არსად არ არის იგი (ხლართული ხელოვნება) ქართულისებრ სრულად და სავსებით განვითარებული. მარტო ირლანდიის არხიტექტურული სამკაული ემსგავსება ქართულს, მაგრამ ქართული მაინც მასაც სჭარბობს: აქ მისი იერი უფრო სწორეა, ნახატი სამკაულისა უფრო ცხადია, დანიშნულება და აზრი ნახატისა ყოველთვის შესაფერია მიზნისა და არასდროს არ ემორჩილება ოცნების თვითნებობასა და ფერადთა ცვალებადობას".

—

გაერთიანების შემდეგ საქართველო უფრო გაძლიერდა

პოლიტიკურად და გონებრივად. განვითარება იწყო მწერლობამ, ხუროთ-მოძღვრებამ, მხატვრობამ. წესიერებას თანდათან მეტი პატივი დაედო; ურთიერთ შორისი დამოკიდებულება უფრო ლმობიერი შეიქმნა. გარეშე მტერთაგან მოსვენებული ერი ეკონომიურად უფრო გაღონიერდა. და ამ საერთო წარმატებამ ქართველ ერს მისცა ძალა პირნათლად დაეცვა სამშობლოს თავისუფლება მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის მრისხანე ველურები—ჯერ თურქები და მერე მონგოლები—ანგრევდნენ მთელს ქვეყნებს და იკლებდნენ სამეფოებს და სამთავროებს.

ქრონოლოგიური ცხრილები

თა**რგამოსიანი** ქართლოს
ქართლს იჯდა პირველ ძეობით,
მერმე ფარნავაზ ტახტოსნად
იჯდა სიქველით, მხნეობით.
არმა**კუნიანთ** იმეფეს,
მერმე **ხოსრო**ა**ნთ** სეფობით.
აწ ვსუფევთ **ბაგრატიონნი**,
ვგიებთ ღმრთის მესათნეობით.

ძველი თქმულობა.

ა. შთამომავლობა ქართველების მეფეებისა.

I. „ქართლისცხოვრების“ გადმოცემით

თარგამოს (2,716 ქრ. წ.)

ქართლოს. ჱროს. ეგროს. ბარდოს. მოვაკან. ლეკოს. კავკას. ჰოს (2116 წ.)

მცხეთოს. გარდაბოს. კახოს. კუხოს. გაჩიოს.

უფლოს. ოძრახოს. ჯავახოს.

(თაობანი)

სამარა № († 324 წ. ქრ. წ.)


აზონ (324—301)

1. ფარნავაზ *) (301—237) № (ოსთა მეფის ცოლი) № (ქუჯის ცოლი)

2. საურმაგ (237—162) № (საურმაგ მეფის ასულის მარი

3. № (ცოლი მირვან I-ისა) (162—112) № (ცოლი ქუ[ჯის შვილისა) ქართამი (ბარძ ის მეფის ქალის ქმარი)

*) მეფობათა ქრონიკონები აღუნიშნავს ბატონიშვილს ვახუშტის.


4. ფარნაჯობ (112—93)
5. № (ცოლი არშაკ I-ისა (93—81)
10. ადერკი (2 ქ. წ.—55 ქ. შ.)
8. მირვან II (33—23)
6. არტაგ (81—66)
9. არშაკ II (23—2)
7. ბარტომ (66—33)
№ (ქუჯის შვილის-შვილის ცოლი)
(მცხეთას)
(არმაზს)
11. ბარტომ II (55—72)
ქართამ
12. კაოს (72—87)
ფარსმან I
13. არმაზელი (87—103)
აზორკი
14. დეროკი (103—113)
ამზასპ I.
15. მირდატ I. (113—129)
ფარსმან II ქველი
16 ადამ (129—132)
მისი დედა ღადანა († 146)
17 ფარსმან III († 182)
18 ამზასპ II (182—186)
№ (ცოლი სომხეთის [მეფისა
19 რევ მართალი (მისი ცოლი სეფელია). (186—213)
20 ვარე (213—231)
21 ბაკურ I (231—246)

22 მირდატ II (246—262)
|
23 ასფაგურ (262—265)
|
24 აბეშურა (მირიანის ცოლი)
(265—342)
|
25 ბაქარ I (342—364)
|
26 მირდატ III
(364—379)
|
27 ვარაზბაქარ (ბაქარ II)
(379—393
|
29 ფარსმან IV
(405—408)

რევ უჯარმელი
(სომხეთის მეფის
ტირიდატის ასუ-
ლის სალოცავს
კმარი)
|
28 ტირიდატ
(393—405)
|
№
(მეფე ვარაზბაქარის
1-ლი ცოლი)

№
(რან-მოვაკნის ერი-
სთავის ფეროზის
ცოლი)
|
№
(მეფე ვარაზ-ბაქა-
რის მეორე ცოლი)

30 შირდატ IV
(408—410)
|
31 არჩილ I
(410—434)
|
32 მირდატ V (434—448)
|
33 ვახტანგ I გორგასალი

მურვანოს (პე-
ტრე მაუმელი)

ხვარამზე (სო-
მხეთის ერისთა-
ვის ბაკურის ცო-
ცოლი)

მირანდუხტ
(სპარსთა
მეფის ცო-
ლი)

34 დაჩი (499—514)
|
35 ბაკურ II
(514—528
|
36 ფარსმან V
(528—542)


ლეონ


მირდატ (ჯავა-
ხეთ-კლარჯე-
თის ერისთავი)

39 № (ცოლი
გურამ ბაგრა-
ტიონისა)
(575—600)
|

№ (ვაჟი)
|
37 ფარსმან VI

40 სტეფანოს I დემეტრე (ჯვარ-


(542—557)
(600—619)
პატიოსნის ამშვ. ნებელი)
38 ბაკურ III (570)
41 ადარნასე I (619—639)
გვარამ (ჯავახეთ. კლარჯეთის მფლობელი)
42 სტეფანოს II (639—663)
ვარაზბაკურ ან. თიპატი მფლ. გარდაბანისა, რომლის მცხოვრებნი მართლმადიდებლად მოაქცია)
№ (=დარია) (ცოლი არჩილ II-ისა)
43 მირ (663—668)
44 არჩილ II (668—718)
45 იოანე ჯუანშერ (718—786)
ნერსე († 744)
ადარნასე ერისთ.-ერისთავი († 779 წ.)
ფილიპე (ერისთავი)
სტეფანოს (ერისთავი)
46 აშოტ დიდი (786—826)
გურგენ (ერისთავი)
ლატავრა (ჯუანშერის ცოლი)
ადარნასე
47 ბაგრატ I (826—876)
№ (აფხაზეთის მეფის თევდორე I ცოლი)
გვარამ მამფალი (სომხეთის მეფის სუმბატის დის მეუღლე † 883 წ. მონაზონად)
გურგენ მამფალი არტანუჯ.-კურაპალატი და კალმახის მფლობელი ტაოში († 891 წ.)
აშოტ კეს (867)
სუმბატ მამფალი ანთიპატი († 889)
ნასრი აშოტ (888) (869)
№ (ცოლი აფხაზეთის მეფის ადარნასესი, მერე იქაურივე მეფის ბაგრატისა).
აშოტ კეხი ტბეთის ეკლესიის აღ-
ადარნასე ერისთავთ.-ერისთავი
48 დავით I კურაპალატი (876—881)
აშოტ († 885)
ადარნასე († 874)


მაშენებელი († 918 წ)
(† 898)
49 ადარნასე II კურატპალატი (881—923)
დავით ერის-თავთ-ერის-თავი
გურგენ ერის-თავთ-ერის-თავი († 941)
დინარი (Ცერეთის პატრიკის მეუღლე)
50 სუმბატ კურატპალ. (923—958)
აშოტ კურატპ. (954)
დავით ბაგრატ (937) მაგისტრ. კურატპ.
№ (ცოლი აფხაზეთის მეფის კოსტანტინეს ძის ბაგრატისა)
იშხანიკი (Ცერეთის მთავარი)
ადარნასე მაგისტრ. († 961 წ. მონაზონად)
ბაგრატ († 969)
დავით ერის.-ერისთავი († 966)
51 დავით II ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994)
ადარნასე კურატპალატი. († 993 წ.)
დავით მამფალი არტანუჯელი († 943)
ბაგრატ მამფალი არტანუჯელი († 909)
გურგენ მეფეთ მეფე (აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ასულის გურანდუხტის ქმარი. † 1008 წ.
დავით დიდი კურატპალ. დაბ. მეფეთ მეფე, ბაგრატ III-ის მამობილი († 1001 წ.)
№ (ქალი)
სუმბატი ერისთავთ-ერისთავი
დავით (988)
ბაგრატ არტანუჯელი († 968)
52 ბაგრატ III გამაერთიანებელი (980—1014)
გურგენ კურატპალატი (1012)
სუმბატ (1011)
(1011)
ბაგრატ
დიმიტრი
აშოტ კისკასი (აფხაზ. მეფის გიორგი I-ის ქალის მეუღლე († 938)
დავით ერის-თავთ-ერის-თავი († 908)
ადარნასე (მონაზონად ვასილი († 945)
გურგენ ერის.-ერისთ.
№ (ცოლი სუმბატ დავითის ძისა)
აშოტ კისკასის ქალისა (928)

№ (ბიძის გურგენის ცოლი)

გურგენ ერისთავთ-ერისთავი († 968)

აშოტ კურატპალატი († 952)

დავით მაგისტროსი

ბაგრატ მაგისტროსი

II. სამეფო სახლთა ჩვენებით.

I. თარგამოსიანნი.

ქართლოს (2116 წ.)

მცხეთოს

უფლოს

№

სამარა

№

ახო (324—301). 1 ფარნავაზ (301—237 *)

II. ფარნავაზიან-ქართლოსიანები.

2 საურმაგ (237—162)

3 № (ცოლი მირვან I ნებროთიანისა) (162—112)

III არშაკუნიანნი

4 ფარნაჯობ (112—93)

5 № (ცოლი არშაკ I-ისა) (93—81)

8 მირვან II (33—23)

6 არტაგ (81—66)

9 არშაკ II (23—2)

7 ბარტომ (66—33)

*) მეფობათა ქრონიკონები ვახუშტის აღწუსხვით.

№ (ცოლი ქუჯის შვილისშვილის ქა-
[რთამისა
10 ადერკი (2 ქრ. წ.—55 ქრ. შ.)
11 ბარტომ II (55—72) ქართამ
12 კაოს (72—87) ფარსმან
13 არმაზელი (87—103) აზორკი
14 დეროკი (103—113) ამზასპ I
15 მირდატ I (113—129) ფარსმან II ქველი
16 ადამი (129—132)
ღადამი † 146
17 ფარსმან III (146—182)
18 ამზასპ II (182—186) № (სომხეთის
[მეფის ცოლი
19 რევ მართალი (186—213)
20 ვახე (213—231)
21 ბაკურ I (231—246)
22 მირდატ II (246—262)
23 ოსფაგურ (262—265)
24 აბეშურა (მირიანის ცოლი)

IV. ხოსროიან-სასანიანნი


24 აბეშურას-ქმარი-მირიანი (265—342)

25 ბაქარ რევ უკარმელი № (რან-მოვაკნის ერის-
(342—364) (სალომეს ქმარი) თავის ფეროზის ცოლი)

26 მირდატ III (364—379)

28 თრდატ (393—405)

№ (მეფე ვარაზბაკურის მეორე ცოლი)


27 ვარაზბაქარ (=ბაქარ II) (379—393)
№ (ვარაზბაქარის I-ლი ცოლი)
29 ფარსმან IV (405—408)
30 მირდატ IV (408—410)
მურვანოს (პეტრე მაუმელი)
31 არჩილ I (410—434)
32 მირდატ V (434—436)
33 ვახტანგ I გორგასალი. (446—499)
ხვარანძე (ცოლი სომხითის პიტიახშის ბაკურისა)
მირანდუხტ (ცოლი სპარსეთის მეფისა)
V. ბაგრატიონები
34 დაჩი (499—514)
ლეონ
მირდატ (ჯავახეთ-კლარჯ.
№№ (ორი ერისთავი)
ქალი და ორი ვაჟი).
39 № ცოლი ბურამ ბაგრატიონისა)
35 ბაკურ II 514—528)
36 ფარსმან V № (ვაჟი) (528—542).
37 ფარსმან VI (542—557)
38 ბაკურ III (557—570)
41 ადარნასე (619—639)
42 სტეფანოს II [639—663)
40 სტეფანოს I (600—619)
ბვარამ
ვარაზბაკურ (ბარდაბანის მომქცევი)
№ (ცოლი არჩილ. ნერსე († 744) II-ისა).
43 მირ. (663—668)
44 არჩილ II (668—718)
ადარნასე
ფილიპე. ერისთავთ-ერისთავი
სტეფანოს
45 იოანე (718—786)
ჯუანშერ

46 აშოტ დიდი (786—826) — ბურბენ. — ლატავრა (ჯუანშერისძოლიკ)

47 ბაგრატ I მეფე კურატპალატი (826—876)

48 დავით I (876—881)

49 ადარნასე II (881—923)

50 სუმბატ (923—958)

51 დავით II ანუ ბაფრატ II რეგვენი (958—994)

ბურგენ მეფეთ მეფე

52 ბაგრატ III (980—1014)

III ჩვენის ქრონოლოგიით.

თარგამოს (2716 წ. ქრ. წ.)

ქართლოს (2116 წ.)

მცხეთოს

უფლოს

ხეთა


კოლხეთი

ფაზის

კოლხი

სელიოს (ზეს)

საფლელი



ვან-არარატი

არამი 860
სედური 830
ლუტიბრი
ბელიტდურის I
ისბუინი (იშბუინის)
სარდა (სარდური) 742
მენუა I
არგისტი
ურსა 719—714
არგისტი 708
ისბუინი II
ახსარის (ახსერა)
სარდური II 645
ისბუინი III
მენუა II

დადილ კოლხელი 731 წ.
ვასსამი ტიბარენელი 731 წ.

დათამი კადუსთა მეფე 558 წ.
ფარანდატეს 514 წ.

. არტაიკტეს (მაკრონთა ჴ მოსინეკთ მეფე) 514 წ.

პონტო

. არტაბაზი
№ |
№ († 324 წ.) სამარა | მიტრიდატ I (402 წლითგან)
| (†324) მიტრიდატ II აღმაშენებელი
| ახო (324—301) |
2 ფარნავაზ (301—237) მიტრიდატ III (284 წ.)
|
3 საურმაგ (237—162) მიტრიდატ III (183 წ.)
4 მირვან I (162—112) მიტრიდატ V ევერგეტი (156—130)
|
5 ფარნაჯირ (112—93) მიტრიდატ VI დიდი (130—63)
6 არტაგ (65 წ.) ოლთაკ კოლხთ მეფე (65 წ.)
არისტარხ კოლხთ მეფე
7 ფარნაბაზი II (46 წ.) ფარნაკ II კოლხთა მეფე (48 წ.)
ასანდრ, სიძე ფარნაკისა (36 წ.)
პოლემონი (კრ. დაბადების წელს)
პითადორიდა, ცოლი პოლემონისა და დედოფალ იკოლხთა, პონტოელთა და ბოსფორისა (ყირიმისა). პოლემონის სიკვდილის შემდეგ კოლხეთს იპერს ქართველთ მეფე, ბოსფორს —სავრომატი, პონტო რჩება პითადორიდას.
8 მიტრიდატ I (35 წ. კრ. შ.
|
9 ფარსმან I. 10 მიტრიდატ II
|
11 რადამისტი († 54 წ.)
12 ფარსმან II
|
13 მიტრიდატ III (75 წ.
|
14 ფარსმან III ქველი (113—) მიტრიდატ IV (=მირდატი)
|

15 ადამი და მისი დედა ღადამი 146 † (წ.)

16 ფარსმან IV (146—182) ლაზთა მეფე პაკორი (ბაკური?)

17 ამზასპI (182—186)
18 რევ მართალი (186—213)

19 ვაჩე

20 ლევი (რევი!)

21 მირიანი (284—361)

22 ბაკურ I (361—367)
23 ასპაგური და სავრომაკი (367—374)
24 მირდატ I ბაკურისძე (374—389

25 ვარაზ-ბაკურ ((389—425)
26 თრდატ რევისძე (425—437)
27 ფარსმან V ვარაზბაკურისძე (437—440)
28 მირდატ II ვარაზბაკურისძე (440—442)

29 არჩილ I (442—466)

30 მირდატ III (466—478)
სანდუხტ დედოფალი (478—486)
31 ვახტანგ I გორგასალი (486—532)

32 დაჩი (532—544)

33 ბაკურ II (544—557)

34 ფარსმან VI (557—571)
35 ფარსმან VII (571—576)

36 ბაკურ III (576—)
გრიგოლ ქართლის მამასახლისი
არშუშა პიტიაშხი
არვანდ გუბნასპი } მარზპანები
ვეფან ბუზმილი

37 გურამ I ბაგრატიონი (590—600)

38 სტეფანოზ I (600—619)

39 ადარნასე I (619—639)

40 სტეფანოზ II (639—663)

41 მირ (663—668)

42 არჩილ II (668—718)

43 იოანე (718—)

44 ჯუანშერ (718—)

გურამ II კურატპალატი კლარჯეთისა († 678 წ)

გურამ III ყრმა

არშუშა კურატპალატი ვარაზბაკურ პატრიკიოზი († 705 წ.) (გურამ II-ის შვილი)

45 ნერსე († 742 წ.)

46 სტეფანოზ გურგენისძე

47 ადარნასე († 779) ფილიპე. სტეფანოზ

გურამ IV

ბაკურიანი ბალდადისძე

48 სტეფანოზ ადარნასესძე

49 აშოტ დიდი ადარნასესძე († 826)

50 ბაგრატ I (826—876)

გურამ V († 883)

51 დავით I (876—881)

52 ადარნასე II (881—923)

53 სუმბატ (923—958)

54 დავით II=ბაგრატ II რეგენი (958—994)

გურგენ მეფეთ მეფე († 1008)

55 ბაგრატ III გამაერთიანებელი (980—1014)

ა) **აფხაზეთის მეფეები.**

ანოს


გოზარ

იუსტინიან

ფილიკტოს

კაპარუკ

№



(ბაგრატ III)

გიორგი I 1014—1027
ბაბრატ IV 1027—1072
გიორგი II 1072—1089
დავით III აღმაშენებელი 1089—1125
დიმიტრი I 1125—1154
დავით III 1155
გიორგი III 1156—1184
თამარ მეფე 1184—1212
დავით სოსლანი
გიორგი IV ლაშა 1213—1223
რუსუდან 1223—1247
დავით IV ნარინი
დავით V († 1269)
დიმიტრი II თავდადებული († 1289)
ვახტანგ II 1289—1292
დავით IV 1292—1310
ვახტანგ III († 1304)
გიორგი VI მცირე († 1318)
გიორგი V ბრწყინვალე 1318—1346
დავით VII 1346—1360
ბაგრატ V დიდი 1360—1395
გიორგი VII 1395—1407
კოსტანტინე I 1407—1414
ალექსანდრე 1413—1442
ვახტანგ IV 1442—1445
გიორგი VIII 1445—1469
კოსტანტინე II 1469—1505
დავით IX 1505—1525
გიორგი IX 1525—1534
ლუარსაბ I 1534—1558
სვიმონ I 1558—1600
დაუთხან 1569—1578
გიორგი X 1600—1605
ლუარსაბ II 1605—1616
ბაგრატ VI 1616—1619
სვიმონ II 1619—1629
როსტომ 1634—1658
ვახტანგ V 1658—1675

ბიორგი XI 1676—1688
ერეკლე I 1688—1703
ქაიხოსრო
ვახტანგ VI († 1737)
იესე 1714—1716
ბაქარ 1716—1719
თეიმურაზ II († 1762)
ერეკლე II 1744—1798
ბიორგი XII 1798—1800
დავით (გამგებელი) 1800 წ.
სოლომონ (იმერეთისა) † 1815 წ.

ბ) სომეხთ მეფენი.

1. ჰაიკის (2350 წ. ქ. წ.) სახლიდამ

პარუირ 640
ხრაჰია 600
ფარნუას
პატჰუიჰ
კორნაკ
პავოს
ჰაიკაქ II
ერუანდ I
ტიგრან I 570
ვაჰაგნ 530
არავან
ნერსე
ზარეხ
არმოლ
ბაგამ
ვან
ვახე 300

2. არშაკის სახლი

ვაჰარშაკ I 150
არშაკ I 128
არტაშეს I 115
ტიგრან II 90
არტავაზდ 36
არშამ 33
აბგარ 3
ანანუნ 35 წ. ქრ. შ.
სანატრუკ 35
ერუანდ II 65
არტაშეს II 85
არტავაზდ II 127
ტირან I 130
ტიგრან III 151
ვაჰარშ 193
ხოსროვ დიდი 213
ტირიდატ 286
ხოსროვ II 343
ტირან II 353
არშაკ III და ვაჰარშაკ II 364
პაპ 382
ვარაზდატ 391
არშაკ III და ვაჰარშაკ II 392
ხოსროვ III 396
ვრამშაპუხ 400
ხოსროვ III (ხელახლა) 421
შაპუჰ 422
არტაშეს (არტაშირ) 427
არშაკიდების მეფობის მოსპობა 433

3) ბაგრატიონთ სახლი

აშოტ ბაგრატუნი 686
ბაგრატ ბაგრატუნი 835
აშოტ 849
აშოტ I მეფე 865—889
აშოტ II 914
აბბას 928
აშოტ III მოწყალე 952
სუმბატ II 977
კაკიკი 989
იოანნეს 1020

აშოტ IV დვინელი 1039
კაკიკი II 1079

4) რუბენიანთ სახლი (კილიკიაში).

რუბენ 1080
კოსტანტინე I 1095
ტოროს II 1100
ლეონ I 1123—1136
ტოროს II 1141
მელეხ 1169
რუბენ II 1174
ლეონ II 1177—1212
ხეთუმ I 1226
ლეონ III 1269
ხეთუმ II 1288
ტოროს III 1293
სუმბატ I 1296—1298
კოსტანტინე II 1300
ლეონ IV 1305
ოშინ I 1308
ლეონ V 1320
კოსტანტინე III 1342
გიტონ 1343
კოსტანტინე IV 1345
ლეონ VI 1366 (გარდაიცვალა პარიჟში 19 ნოემბერს 1393 წ. და სომხების სამეფო კილიკიაშიაც მოისპო.

გ) მიდიის მეფეები.

დეჱოკ 708—655 ქრ. წ.
ფრაორტ 655—633
კიაქსარ 633—593
ასტიაგი (=აჟდაჰ) 593—558

დ) სპარსთა მეფეები.

ა) აქამენიდების სახლი

კვიროსი 560—529
კამბიზ 529—522
სმერდისი 521
დარიოზ ჰისტასპი 522—486
ქსერქს I 486—465
არტაქსერქსი 465—425
ქსერქს II 424
დარიოზ II (ნოტი) 423—404
არტაქსერქს მნემონი 404—359
კვიროს უმცროსი
არტაქსერქს—ოხ
არსეს 338—336
დარიოზ კოდომანი † 330 წ. 3 ივლისს)

ბ) სასანიანთ სახლი

არტაშირ ბაბეკან 226—240 ქრ. შ.
შაბურ (საპორ) 240—271
ჰორმუზდი I 271—272
ბაჰრან (ვარან, ბარამ) I 276
ვარან II (ბარამ) 276—293
ვარან III (ბარამ) 293—294
ნარსეს 294—303
ჰორმუზდ II 303—309
შაბურ II, დიდი 309—380
შაბურ III 383—388
ბაგრან (ვარან ქირმანშაჰ) IV 399
იეზდიგერდ 399—419
ბაგრანგურ (ვარან) V 420—440
იეზდიგერდ II (ვარან VI) 440—457
ჰორმუზდ III და ძმა მისი ფეროზი (ფირუზი) 457—488
ბალატ (ბალაშ, ვაგარშ, ვალენტი)

რდაშირ II 380—383
ხოსრო I ანუშირვან 531 13 ენკ.
[—379 თებერ.
ჰორმუზდ IV 579—591
ხოსრო II 591—628

ე) არაბთა ხალიფები

მაჰმადი წინასწარმეტყველი დაიბ. 571 † 8 იან. 632 წ.
აბუ-ბეკრი 632—634
ომარი 634—644
ოსმანი 644—656
ალი (მაჰმადის სიძე) 656—661 21
[იანვ.
მუავია I 656—679
იეზიდი I 679—683
მუავია II 684
მერვან 684—685
აბდალ-მალიქ 685—705 8 ოკტ.
ველიდ 705—715
სულეიმან 715—717
ომარ II 717—720
იეზიდ II 720—724
ჰიშამ 724—743
ველიდ II 744
იეზიდ III 744—750
მერვან II
აბულაბას 750†754
მანსურ 754†775
მაჰდი 775†785
აბუ-მუჰამედ მუსა ალ-ხადი 786
ჰარუნ არრაშიდ 786—809
ემინ 810—813
მამუნ 813—833
მუტასიმ ბილლაჰი 833—842
[იანვ. ალ-ვატიქ ბილლაჰი 842—847
მუტავაქილ ჯაფარ847—861
მუნტასირ 862
მუსტაინ 866
მუტაჯ 869
აჰმად-ალ-მუტამიდ 892
მუტაზიდ 902
მუქტაფი 907
მუქტადირ 932
კაჰირ 934
რაზი 940
მუტაქქი 944
მუსტაქფი 946
(ბუიდები)
ალ-მუტი 946—970
ატტაი 974—992
ალ-ყადირ 992—1031
ალ-კაიმ 1031 —1075.

ზოგიერთი წყაროები და მასალანი (I წიგნისთვის)

1. „ქართლისცხოვრება“ და მისი ვარიანტები (ბარათაშვილებისა, მარიამ დედოფლისა).
2. „ქართლისმოქცევა“ (შატბერდის კრებული მე-X საუკ.)
3. სუმბატის ქრონიკა (მე-XI ს.)
4. პეტრე მაიუმელის ცხოვრება (მე-V ს.)
5. პატიოსანის ჯვრის აღმართვა მცხეთაში (მე-X ს.)
6. ცხოვრება ევსტათი მცხეთელისა (თხზ. მეექვსე საუკ.)
7. შუშანიკის-წამება 594 წ. 17 ოკტ. (თანამედროვისა)
8. აბოს ცხოვრება თანამედროვის იოანე საბანისძისა (VIII ს.)
9. ჯუანშერის ქრონიკა (ქართლის ცხოვრებაში)
10. არჩილ მეფის ცხოვრება („ქართ. მწერლობა“, გვ. 253—292)
11. კოსტანტინე მთავრის წამება (IX ს.)
12. ილარიონ ქართველის ცხოვრება (IX ს.)
13. „ჟამის წირვა“ სვიმონ კათალიკოზისა (IX ს.)
14. „გობრონის ცხოვრება“ სტეფანე მტბევარისა (X ს.)
15. კოსტანტინეპოლის გარემოცვა სკვითთა მიერ და იმპერატორ ირაკლის ლაშქრობა სპარსეთში (1042 წლ. ხელნაწერიდამ)
16. მამათა ცხოვრება
17. ათონის კრებული 1074 წ.
18. სვინაქსრები გიორგი მთაწმინდელისა (№ 222 და სხ.)
19. საგალობელი მიქელ მოდრეკილისა (X ს.)
20. „მანუელისათვის ქართლისა და სომხითისა“ არსენი კათალიკოზისა (X ს.)
21. დავითნი 974 წლ.
22. სახარების ვარიანტები (IX—X ს.)
23. სჯულის კანონი (1031 წლ.)
24. უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა ეფრემ მონაზონისა (XI—XII ს.)
25. ა ბ ა ზ ა. История Арменіи.
26. ა ლ-ი ს ტ ა ხ რ ი (არაბთა მწერალი 830 წლ.)

26. ასოლიკი. Всеобщая Исторія.
27. ბარათაშვილის საქართველოს ისტორია.
28. Барамзевъ М. Нумизматич. факты груз. царства.
29. ბაქრაძე დ. ა) ისტორია საქართველოსი. ბ) Статьи по исторіи и древностямъ Грузіи. გ) Кавказъ въ др. пам. христіанства.
30. ბროსე. Histoire de la Gèorgie (თარგმანი ქართლის ცხოვრებისა) წინასიტყვაობა—Introduction, დამატებანი და განმარტებანი. Additiones et éclaircissement, მოგზაურობა და სხ.)
31. ბრუგში Лѣтописи и памятники древ. народовъ. Египетъ. Исторія фараоновъ (СПБ. 1880).
32. ბერნეს Первотытная ист. человѣчества (1904 წ.)
33. ბიბბონ ედ. Исторія упадка и разрушенія римской имперіи.
34. დრეპერ ჯ. Исторія умств. развитія Европы.
35. ეზოვი Внутренній бытъ древней Арменіи.
36. ეზნიკი Объ ученіи персидскихъ маговъ (მე-V საუკ.)
37. ეღიშე Борьба христіанства съ ученіемъ Зороастра въ пятомъ столѣтіи, въ Арменіи.
38. ვასილიევი ა. Византія и Арабы (1900)
39. ვახუშტი. ა) საქართველოს ისტორია და ბ) საქართველოს გეოგრაფია.
40. ვებერ გეორ. Всеобщая исторія (ანდრეევის თარგმანი)
41. ვეის გერმ. Исторія одежды, вооруженія, построекъ, и утвари древн. народовъ.
42. Өеодотъ წიგნი (რუსული თარგმანი).
43. თაყაიშვილი ე. ა) ზარზმის მონასტერი ბ) სამი ქრონიკა გ) წმ. ნინოს ცხოვრება (ახალ. ვარიანტი)
44. თეიმურაზ ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია.
45. იოსელიანი პლ. Исторія Груз. церкви.
46. კარბელაშვილი პ. კათალიკოზნი და მღვდელ-მთავარნი.
47. კსენოფონტე. „კიროპედია“ (რუს. თარგმანი).
48. კალანთკატვაწი. Исторія агванъ (1861 წ.)
49. კიპერტი. ა) Atlas antiquus. ბ) Lehrbuch alten geographie
50. კირიონი ეპ. ა) Св. равноап. Нина просвѣт. Грузіи, ბ) Св. царь Миріанъ Хосроіани გ) Двѣнадцативѣковая религіозная борьба православной Грузіи съ исламомъ და სხ.

51. კოვალევსკი მაქსიმ ა) Законъ и обычай на Кавказѣ (т. I და II) б) Современный обычай и древній законъ.
52. კონდაკოვი ნ. Древняя архитектура Грузіи (1876 г.)
53. კულაკოვსკი (Прокоп.) Аланы по свѣдѣніямъ классич. и визант. писателей (1899 г.)
54. ლენორმანიტ. ა) Lettr es assyriologiques. Руководство къ древ. исторіи Востока (2 тома).
55. ლიტტრე. Средніе вѣка и варвары.
56. მარრინ. ა) ცხოვრება პეტრე—იერისა. ბ) Боги языч. Грузіи, в) Хитонъ Господень, д) Грамматика древ. армянскаго языка е) Возникновеніе и расцвѣт. др.-груз. свѣтской литературы, з) Предварит. отчетъ о работахъ на Синаѣ и въ Іерусалимѣ.
57. მახვერა Древняя исторія.
58. მიულლერ მაქს. Наука о мысли.
59. მუხამედ-რაფი. დერბენტ-ნამე (XIV г.)
60. ნატროშვილი Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели.
61. ნიკოლსკი მ. ა) Клинообразныя надписи ванскихъ царей (1893 г.) б) Клинообразныя надписи Закавказья (1896 г.)
62. ორბელიანი სტეფ. ორბელიანთ ისტორია (ხელნაწერი)
63. პატკანოვი კ. ა) О клинообраз. надписяхъ (1883 г.), б) Ванскія надписи и значеніе ихъ для исторіи передней Азіи в) Ванскія надписи и (СПБ. 1881).
64. პროკოპი კესარიელი († 565 г. хр. э.). Исторія войнъ римлянъ съ персами, вандалами и готѳами (1862 г.)
65. ყორდანია თ. Хроники.
66. რაულინსკი ი. Надписи перс. царей изъ рода Ахеменидовъ (1881 г.)
67. რიტტერ კ. Исторія землевѣдѣнія.
68. რობერტსონ ჯ. Исторія Христ. церкви
69. სებეოსი Исторія импер. Ираклa.
70. სკაბალანოვიჩ. Византійское государство и церковь въ XI вѣкѣ.
71. სტრაბონი. Географія.
72. ტეილორი. Первобытная культура.
73. Финлей. Грецiя подъ римскимъ владычествомъ (съ 146 г. до Р. Х. по 717 г. по Р. Х.)
74. Фриманъ. Сравнительная политика

75. უსლარი. Древнѣйшія сказанія о Кавказѣ.
76. შლოსსერი. Всемірная исторія.
77. ჩუბინაშვილი დ. ეთნოგრაფიული განძილვა ჰანეთის და კათბადუკიის მკვიდრთა მოსახლეთა.
78. ცაგარელი ა. Свѣдѣніе о памятникахъ груз. письменности, ბ) Памятники груз. старины въ св. землѣ и на Синаѣ, და სხ.
79. ცინცაძე კალისტრატე. Автокефалія груз. церкви.
80. წერეთელი გიორგი. ისტორიული წერილები.
81. ჭარაია პ. წერილები შესახებ აფხაზთა ცხოვრებისა და ენისა.
82. ხალათიანც. Армян. эпосъ въ Исторіи Арменіи М. Хоренскаго (1896 წ.)
83. ხახანაშვილი ა. ა) Памятники груз. отреченной литературы, ბ) Источники по введенію христіанства въ Грузіи, გ) Номоканонъ Іоанна Постника და სხ.
84. ხორენელი მ. ა) Исторія Арменіи, ბ) Географія Арменіи.
85. ჯავახიშვილი. ა) ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. ბ) Государственный строй древней Грузіи и древ. Арменіи (1905 წ.)
86. Ѣанъ კ. თ. Извѣстія древнихъ писателей о Кавказѣ.

შემჩნეული შეცდომები.

		სწერია	უნდა იყოს
გვ.	სტ.		
1	2	შავის ზღვის	შავს ზღვას
33	20	სიტყვები კ ბევრია	სიტყვებიც ურევია
38	26	ხვან	სვან.
41	12	დასავლეთისა	სამხრეთისა
45	5	კელეტნი	კელტნი
45	24	ასხამდი	ასხამდა.
64	8	დიდი	დიდის
64	24	დადი	დიდი
76	6	რკინისა პირველად მოიგონეს	პირველად მოიგონეს რკინისა
77	3	მაკრონებს იგივე	მაკრონებს ეცვათ...

			სწერია	უნდა იყოს
85	5		უჩდა	უნდა
86		ბოლო	ავრზ	ავაზ
88	5		აფროდიტე	აფროდიტე (=ურანია)
112	10		მიემხრო	მიმხრობილა
115	4		32 წელს	33 წელს
121	25		პარათიისა	პართიისა
161	7		ბრინჯის-ხე	ბრინჯის-ხე (=აკაკი)
169	18		მე-XII	XI
170	17		ოითქმის	თითქმის
174		ბოლო	მოინანნენ	მოინათლნენ
175	1		თავი IV	თავი III
183	1		თავი V	თავი IV
„	6		მირდატმა მან	მირდატმა
188	28		სიკნიეთი	სიენიეთი
193	1		თავი VI	თავი V
272	3	ბოლ.	წარწერებში ჩერძნული	წარწერებში
244	2		გ'	იგი
„	3		იოლო	ხოლო
„	4		ხიდორს	კოდორს
„	„		სკანეთს	სვანეთს
282	7		ორს ამ	ამ ორს
„	28		(ამის	). ამის
283	15		აკაური ერი	აქაურები
„		ბოლო	და მარიამ	და შუშან
289	12		ვეულებისამებრ	ჩვეულებისამებრ
298	9		დ' გუთიაში (ყირიმს) ამ	გუთიაში (ყირიმს) ხატთ ბრძოლა რომ დაცხრა, გუთებმა
305		ბოლო	ლეონ II-სე	ლეონ II-ეს
321	27		დვინს	დვინისკენ
326	13		სარინოზებმა	სარკინოზებმა
328	25		თეოდოსიოპილკში	თეოდოსიოპოლში
327	11		გუჯარზე	გუჯრებზე
331	12		ტაბრისტნი	ტაბარისტანი
„	17		მაჰმადიანი ამათ	მაჰმადიანია. ამათ
332	10		არის სოფელ.	არის, სოფელ
336	4		ქართლს	ქართლის
338	10		თბზულებით	თხზულებაში
350	26		მ-ურავი	მოურავი
357	24		დრო	დროს
362	13		მომიტევე	მომიტევე მე
364	13		აღმოჩენილა	აღმოჩნდა.
381			აზოს ზემო ხაზი არ უნდა.	

ბ. კოლხი. მნასი პეტრონი, ერატოსთენის მოწაფე, ამბობს, კოლხებს ასეთი სახელი დაენათლათ კოლხისაგან, რომელიც იყო ძე ფაზისაო (ამ შემთხვევაში „ფაზის“ შეიძლება ყოფილიყო კავკასიანთა ენების მზე (ბჟა, ვაზ, ბაყ, ბელ).

გ. მზე. კოლხის შვილი იყო ჱელიოს (მზე).

დ. ჱელიოსს ჰყვანდა შვილები იჲეთისი, პერსე, ცირცეა, პასიფაჲ (მეუღლე მინოსისა).

ე. აჲეთისი, ძე მზისა. იგი მეფეა კოლხთა და მეოტეებისა (მეოტიის ზღვა—აზოვის ზღვა) ცოლად ჰყავს თავის ძმის პერსეს ასული ქალ-ღმერთი ჱეკატა. მისი ვაჟებია ეგიალაჲ და აბსირტი და ასულნი ქალკიოპე და მედეა. მისს ოქროს დარბაზში არის სხივოსანი ისრები ფეხმარდ მზისა. იგი კაცის მკვლელია, ჰხოცავს ყველა უცხოელს და ძლიერია ისე, რომ შეედრება მეომრობის ღმერთს არიას. აიას გარდა აქვს ქალაქები ქუთაისი და სიბარის, საცა იყო შვენიერი სასახლეები. ვინც მის წინა ეზოში შედიოდა, ჰკვიროდა, როდესაც ჰხედავდა კედლებს, განიერ კარებს და სვეტებს. სახლის ზემო ნაწილს ამშვენებდა ბრინჯაოს ხვეულები. შესავალ კარებთან მაღლა ეხვეოდა ვაზის ბარდანი. მის ჩრდილოში იყო 4 აუზი: ერთისაგან რძე გამოსჩქეფდა, მეორისაგან—ღვინო, მესამისაგან—სურნელოვანი ზეთი და მეოთხისაგან წყალი, რომელიც ზამთარს თბილი იყო და ზაფხულს ცივი, ვით ყინვა. ამ „საღმრთო“ საგნებს გარდა მეფეს ჰყვანდა კიდევ ხარები, სპილენძის რქიანი და სპილენძის პირიანი, რომელთაგან ცეცხლი გამოდიოდა, აგრეთვე ფოლადის ნაპრისაგან გაკეთებული გუთანი. აჲეთისი ტანზე იცვამდა მაგარს ჯავშანს, თავზე იხურავდა ოქროს ჩაფხუტს, რომელიც ბრწყინავდა ოკეანედამ ამომავალ მზის გულივით. ხელში იღებდა მრგვალ ფარს, მრავალ ტყავებისაგან გაკეთებულს, და ისეთს დიდს ლახვარს, რომ ჰერკულესს გარდა სხვა გმირს მისი ტარება არ ძალუძდა. გარე გამოდიოდა ოქროს ეტლით, რომელშიაც ება შვენიერი და სწრაფი, როგორც ქარი, რა-